ISSN 0132—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

3

1986

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 62-ე  № 3  მარტი, 1986 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი

### პროზა, პოეზია


ტარიელ ჭანტურია — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 3
ვაჟა გიგაშვილი — თბილი ლოგინი და ცივი ღამე. მოთხრობა. . . . . . . 12
ლია სტურუა — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 32
ნინო ქუთათელაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . 37
ზაზა მრელაშვილი — გრილი, სუფთა ჰაერი . . . . . . . . . . . 40
ბესიკ ხარანაული — ჩემი მეგობარი ჩაი (ან ყავა). . . . . . . . . 48
ომარ თურმანაული — ლექსები . . . . . . . . . . . . . 56
გივი მაღულარია — რამეთუ ეწოდა ზარზნა. რომანი . . . . . , . . . . 57


### კრიტიკა, პუბლიცისტიკა


მანანა კვაჭანტირაძე — „მე ჩემს საკუთარ შენობას ვაგებ“... . . . . . 119
ვახტანგ ერქომაიშვილი — მეცნიერება, პოლიტიკა და ზნეობა . . . . . . . 125
არჩილ ბეთანელი, მანანა ქველაძე — რობოტი და თანამედროვეობა . . . . . 133
ანდრე კარბელაშვილი — ქართველი პუბლიცისტი ბულგარეთში . . . . . . 143


### მოგონებები, ფაქტები


დავით ჩხიკვიშვილი — ციცინათელა . . . . . . . . . . . . . 155


### მეცნიერება


სოლიკო ცაიშვილი — რუსთაველის მხატვრული აზროვნების თავისებურებათა შემეცნებისათვის . . . . . . 164
თამილა ცაგარეიშვილი — ქართული ეთნოგრაფიის პატრიარქი . . . . . . 170


(იხ. მეორე გვერდი).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი (გაგრძელება)

### წიგნების მიმოხილვა

ავთანდილ კობახიძე — სამართლებრივი ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენი . . . . . . . . . 174

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ზ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიელ ჭანტურია

## მემენტო მორი, მემენტო ვიტა

პოეტი უნდა მოკვდეს! —
ჯობს, რა თქმა უნდა, დუელში!
ანდა იცოცხლოს! — გული
სიცოცხლისათვის თუ ერჩის!
პოეტმა უნდა პოეტს
მხოლოდ შენობით მიმართოს!
ჰქონდეს ათასი დარდი
და დარდზე დარდი იმატოს!
პოეტი უნდა ჩაქრეს,
როგორც ჩამქრალა სანთელი!
უნდა სათქმელი ჰქონდეს,
მაგრამ ვერკი თქვას სათქმელი!
გადასახედად ღია —
სულ ჰქონდეს ერთი სარკმელი!
სულმუდამ აკლდეს ძილი —
იმედი სანთელ-საკმევლის...
რაც კი ლექსია ამ ქვეყნად,
სუყველა გულზე მოხვდეს!
პოეტმა უნდა იცოცხლოს!
პოეტი უნდა მოკვდეს!
პოეტმა უნდა წიოს! —
ჯობს, რა თქმა უნდა, „მარლბორო!“
ყვითლად უჩანდეს ცერი,
ისე გულდაგულ აბოლოს!
როცა დუმილი შეძრავს,
უნდა ლომივით იჭექოს!
პოეტი უნდა ადგეს,
სიზმარში გადაიჩეხოს!

პოეტი უნდა იყოს
მუდამ ყველასთან შეთქმული!
პოეტი — მოღალატე? —
ის უნდა იყოს ერთგული!
სულ ცდაში იყოს, როგორმე
ქართული არ შემოკლდეს!
პოეტმა უნდა იცოცხლოს!
პოეტი უნდა მოკვდეს!

თუნდ ერთხელ — უნდა პოეტი
ტრფობის ხაფანგშიც მოხვდეს!
მზესავით უნდა ჩავიდეს,
მზესავით რომ ამოხდეს...
პოეტმა უნდა იცოცხლოს!
პოეტი უნდა მოკვდეს!
ხამს, შეიცოდოს სუყველა,
ვინც მას არ შეიცოდებს!
უნდა მოდაზე იცხოვროს
და არ მისდიოს მოდებს!
იგლოვოს, თუ ემღერება!
იმღეროს, როცა გოდებს!
პოეტმა უნდა იცოცხლოს!
პოეტი უნდა მოკვდეს!

გაუძლოს ზეიმს ათასს!
ათას ციებას, ათას ცხროს!
პოეტი უნდა მოკვდეს!
პოეტმა უნდა იცოცხლოს!

საქ. სსრ კ. მარქს.
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალიბი

სასიზღარი მკვლელობა. დიახ, სისხლის სამართლის
შავი დანაშაული. ნაცნობი მისამართი...
არც საგნებზე თითების მკრთალი ანაბეჭდები,
არც ნამწვავი — მხოლოდღა ეჭვები და ეჭვები...
კბილს აჩენენ კაცები. ჩურჩულებენ ქალები...
ახლა ყველას — ქალს თუ კაცს უნდა მხოლოდ ალიბი...

მე კი იმ უბედურის
თუმცა ბედი მეწყინა —
მე ალიბი ნაღდი მაქვს:
მე ხომ... შენთან მეძინა!

სხვისი დანაშაული ლამის მე მომაწება —
რას მერჩოდა, ვიცოდე, რა უნდოდა მაძებარს!
(უნდა ადგეს კაცი და ერთი ფეხქვეშ დაიდვას,
იქნებ მაშინ ისწავლოს, როგორ უნდა დაკითხვა).
შენს თვალებში შემყურე და სულ შენი დამჯერი —
მე რომელი მკვლელი ვარ ან რომელი დამჭრელი!

ყველამ იცის, იმ ღამეს
მე რომ შენთან ვიყავი:
ვისაუბრეთ, ვიცინეთ,
ვიჩაიეთ, ვიყავეთ...

ტანი ჰქონდა — ზღაპარი, ჩამოქნილი ქანდაკად...
ცრემლი ადგა სუყველას — დიდ-პატარას, ქალ და კაცს...
წარბი — თითო მტკაველი, ცხვირი თხელი, ქართული....
იწვა — გაღიმებული და სიკვდილით გართული...

იწვა, როგორც სიცოცხლის
აუხსნელი იგავი...
მე რა მექნა... იმ ღამეს
მე ხომ შენთან ვიყავი...

მარგალიტის მძივები. ბრილიანტის კაკლები.
(მილიონზე კაპიკით რომ არ არის ნაკლები....) .
ძველისძველი საყურე. კამეები ახლები —
არც ერთისთვის რატომღაც ხელი არ აქვთ ნახლები...

საიდუმლოს ამნაირს
არ ვამხელდი მე წინათ,
მაგრამ რა ვქნა — იმ ღამეს
მე ხომ შენთან მეძინა...

გამახარებს თუმც ცნობა დამნაშავის მიგნების —
ყოველ შემთხვევისათვის — მე სულ შენთან ვიქნები:
შენი ცხელი ღიმილი და ზღვისფერი თვალები
სიმდიდრეა ჩემი და... ერთადერთი ალიბი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ რომ მომაგონდები,
მეწმინდება ფიქრები.
თითს ვერ დამაკარებენ,
სანამ შენთან ვიქნები!

მე კი — შენთან ვიქნები
მე — სულ შენთან ვიქნები
მე სულ შენთან ვიქნები — სულ მექნება ალიბი:
ჩემი დამტირებელი — ჩემი... შენი თვალები...

## ბალიში — უატომო ზონა

სად არ გძინებია, სიყვარულო,
რა არ გდებია სასთუმლად!
რამდენი ვინმე თვითონ აცთუნე,
რამდენმა — თვითონ გაცთუნა!
ვის არ უძებნია ზეწარზე
თვალი დაკარგული ბეჭდის!
ვის არ გასჩენია შენს გამო
განუკურნებელი ეჭვი!
რამდენჯერ მოხვედრილხარ ქარში და წვიმაში!
რამდენჯერ მოგხვედრია სილა!
დაღლილი, დაქანცული უზომოდ —
სად არ მივარდნილხარ ძილად!
თითქო მოუხეშავს, თითქო მორცხვს —
ხელში ყვავილებიც გჭერია!
ჯოჯოც ყოფილხარ, სატანაც და
უმშვენიერესი ფერიაც!
წვერგაუპარსავსაც გივლია და
სახეზე მალამოც გისვამს!
პური არ გქონია ნატეხი და
სმითაც უამრავი გისვამს!
ჭიანჭველაზე ფეხს არ ადგამდი და
მკერდებსაც აპობდი ლახვრით!
ხან ჩამოძენძილი დადიოდი,
ხან — ახალუხით ახლით!
სვამდი სიყვარულის ნექტარს საოცნებოს,
მაგრამ საწამლავსაც ასმევდი...
დიად საიდუმლოს ინახავდი
და უსინდისოდაც ასმენდი...
მეფეც შენა ხარ და მონაც საცოდავი,
ჯარისკაციცა და სარდალიც!
ისე მტყუანი ხარ, ისე მატყუარა,
და ისე უცნაურად მართალი!
დღეს რომ პეპელა ხარ ნაზად მოფარფატე,
ხვალ მახრჩობელა ხარ, უდავი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა მოკვდავი ხარ, სუსტი, დაუცველი,
მაინც — ხომ შენვე ხარ უკვდავი...
მე რომ შორს მეგონე, უცებ აქ გაჩნდები!
მე რომ აქ მგონიხარ — იქა ხარ!
მძულხარ, სიყვარულო!
მძულხარ, სიყვარულო!
მძულხარ, სიყვარულო!
მიყვარხარ!

...

როგორც ზამთრის ყინვაში დაგზრომია თითები,
ისე მიფიცხებიხარ ფიქრით დაღლილ ბუხარს!
მიყვარხარ, სიყვარულო!
მიყვარხარ, სიყვარულო!
ვაი, როგორ მიყვარხარ!
ისე, ისე მძულხარ...

იგვიანებს წერილი! რა შეგიცვლის მოლოდინს! —
იმედებით გამთბარს და ურწმუნობით მწუხარს!
სიყვარულო, მიყვარხარ!
რახანია, მიყვარხარ!
რა თქმა უნდა მიყვარხარ!
რა თქმა უნდა, მძულხარ...
ვერ გიტან, ვერ გიტან, სიყვარულო,
და ალბათ ამიტომ მსურხარ!
მიყვარხარ, სიყვარულო! მიყვარხარ გაგიჟებით!
მიყვარხარ! უფრო სწორედ — მძულხარ...
ნათესავი წავალს და ნათესავი მოვალს,
შენ კი — ერთადერთი — სულ ხარ...
მიყვარხარ, სიყვარულო! მომწონხარ, სიყვარულო,
და სწორედ ამიტომ — მძულხარ!
სარდალიც შენ ხარ და ჯარისკაციც,
ბატონიც შენ ხარ და მონაც!
შენი ბალიში თბილია ისე —
ბალიში — უატომო ზონა...
ყოველგვარ ოქრო-ვერცხლს, საუნჯეს ყოველგვარს,
ყოველგვარ სიმდიდრის ქონას
ჯობს ერთი ბალიში მაგ თმებით გამთბარი —
ბალიში — უატომო ზონა...
იზოლდას, ტრისტანის,
ნესტანის, ტარიელის,
დე გრიეს და მანონის
შურთ გოგო-ბიჭებს ქათქათა ბალიშის! —
ბალიშის — უატომო ზონის...
ყველაზე უკეთესი ფიქრი ხარ, ფერი ხარ,
ყველაზე დიდებული სიტყვა ხარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძულხარ, სიყვარულო!
მსურხარ, სიყვარულო!
მძულხარ, სიყვარულო!
მიყვარხარ!

## ჩამავალი ლექსი

სულ სხვა ფერი ჰქონდა ცას, ღვინოს — სულ სხვა გემო.
ვლალატობდით სიყვარულს სიყვარულის გამო...
ქილა ერბოს პატრონმა, მეც შევძახე: „ჰამო!“
ხელს მიქნევენ გაღმიდან: — წამო, ძმაო, წამო!
შე მწვადების გურმანო, შე მუჟუჟის ხმაო,
უსახლკარო, უფულო, უძმო, უდედმამო,
ველარც ხორცი ალალო, ველარც სულს აამო?
არ მოგწყინდა? კარგი რა! წამო, ბიჭო, წამო!

მოარწევდა ასმათი მზით გავსებულ ხონჩას.
— სხვა რა გინდა! ღრუბლიდან საქართველო ხომ ჩანს!
...ჩანდა! მაგრამ უკვე თვალს მიეფარა, ძამო!
ხმა კი ისევ ჩამესმის: — წამო! გესმის? წამო!

თავზე გადმომხობილო მშვენიერო სფერო,
მაჯის სიმსხო სხივებო — ულტრაიისფერო,
უცისფრესად ცისფერო და დაუსაბამო
ცაო, მესმის ვედრება: — წამო! გირჩევ, წამო!

პირი სავსე ყურძნით მაქვს — ვერაფრის ვარ მთქმელი!—
თხმელაზე ვარ! — გავკრიფო უნდა ტოტი თხმელის.
რაკი მსმელი ჯერ ვერ ვარ, უნდა ყურძნად ვჭამო!
ის ხმა არც აქ მასვენებს: — ჩამო დაბლა! წამო!

ჩამავალ მზის ნათელში შეთხზულ ჩამავალ ლექსს
ბევრს ნუ მოთხოვ — ნუ ფიქრობ, გაგისტუმრებს ვალებს! —
ვალზე ფიქრით გონება აღარ მოიშხამო!
ყური იმ ხმას მიუგდე: — წამო-მეთქი! წა-მო!

ვარდობისთვის კვირტების სურნელება ამო
პროტესტია უთქმელი, ჩუმი, უღიმღამო.
თუ გინახავთ ამაზე მშვენიერი რამო...
ხმა კი ისევ მაჩქარებს: — წამო, კაცო, წამო!

ვარ იმედის იმედით. გზა თავის გზით წავა.
ის მიწამებს ბოლოსაც, ვისაც ახლა ვწამვარ.
მაინც, შეკოწიწებას ცხოვრებისას ვლამობ,
მაგრამ ხმა არ მასვენებს: — ხომ გითხარი! წამო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიონო და მტკვარო და არაგვო და ხრამო,
ჩემო ტაბანათო და ჩემო საგურამო,
ვილაც მეპატიჟება, თანაც — სამუდამოდ:
— არ მოგწყინდა? კარგი რა! გამოადგი! წამო...

ზეცა თითქო მოშალეს — დავრჩი უგუმბათოდ.
სამი დღეა, იისფრად ჩემს იმედებს ათოვს.
აჰა, გემშვიდობები, ღვინით სავსე ჯამო!
....თვითონ უკვე შეუსვამს და მაჩქარებს: — წამო!

სულთან ხორცის გაყრის და განშორების წამო,
დაგივიწყა თუმც მიწამ — გაგიხსენა ცამო...
საით მეპატიჟები, შე უფსკერო ხრამო!
— სულ ვერაფერს ვერ მიხვდი? დამიჯერე, წამო...

## წინასიტყვაობა წიგნისათვის: „ღამის თამაშობანი“

შრომის თემა ავრიე სიყვარულის თემაში! —
რა ვქნა! — შრომაც მიყვარს და სიყვარულის თამაშიც.
თუმცა უკვე ჭაღარა მომეძალა თმაში,
რა ვქნა! — მიყვარს ისევე სიტყვა, სიტყვის თამაში.
მოვა ოცდამეერთე, მაგრამ ვაი, თუ მაშინ
ველარ ვიქნე ფორმაში — ვერ შევიძლო თამაში!
გინდა კაცურ სიტყვაში, გინდა ქურდულ თომარში —
რა ვქნა, მიყვარს თამაში! ვიცი კიდეც თამაში!
მაშინებენ: როდესაც მოვხვდები აკლდამაში,
მეტისმეტად, ამბობენ, ჰირს იქ თურმე თამაში...
მაგრამ ჯერ ხომ შინა ვარ, ამ ჩემს კარმიდამოში,
და გრძელდება,
გრძელდება
თა-
მა-
ში!
თამაში!

## რულეტი: ზერო

(მინაწერი თ. დოსტოევსკის წიგნზე)

უნდა წვა და უნდა ხარშო! უნდა ჭრა და უნდა კერო!
უნდა თოხნოთ, უნდა ბაროთ, ქალო, კაცო, ერო ბერო!
ცხრა მთას გადაიფრენს მაღალს, ცხრა ზღვას გადალახავს წერო,
ბოლოს მაინც, ბოლოს მაინც წაგებაა: ზერო! (zero).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარიზის და რომის მერო! იმპრესარიო! მენეჯერო!
მზე გაცხუნებთ თიბათვისა თუ ცაცხვების გადგათ ჩერო,
სონატა და სონატინა. რომანსი და რომანსერო
რაც არ უნდა კარგად წეროთ, ბოლოს წაგებაა ზერო!

ეგრე ვარო! — ძმაკაცისთვის მაღლა შემართულო ცერო,
შენც — მაღალო, შენც — დაბალო! ლომთა ლომო, ციცქნა მწერო!
არაფერი შეგვეშალოს — ბოლოს წაგებაა: ზერო!
...დავიჯერო, მეც მოვკვდები?
რომ არ მინდა დავიჯერო?!

## გაყიდული სახლის ლექსი

გავყიდე მტრედი — ჩემზე ადრე
დაბრუნდა სახლში!
გავყიდე ლეკვი — ჩემზე ადრე
დაბრუნდა სახლში!
გავყიდე სახლი — ჩემზე ადრე
დაბრუნდა სახლში:
სამივე — მტრედიც, ლეკვიც,
სახლიც —
სულ ჩემთან არი!
სულ ჩემთან არი სახლი ჩემი —
ეზო, თალარი!
თეთრი ლელევები, მსხლები, ბლები —
სულ ჩემთან არი!

აღარ მოხერხდა, ვერ გავყიდე
ის, რაც გავყიდე,
და ხსოვნას ჩემსას კიდევ ერთი
დარდი ავკიდე...

## დედა

— არც სმენა აქვს ამ ქალს, არც ხმა!
მაინც ისე ტკბილად მღერის!
ეს მიტომ, რომ ცხრა თვის ბიჭის
რბილ მუცელზე უდევს ხელი!
მეორეთი ლოგინს არწევს —
ბალღის დაძინებას ელის!
გული მღერის, და სიმღერა
რატომ უნდა იყოს ძნელი!
ისე, უცნაური კია —
არც სმენა აქვს ამ ქალს, არც ხმა!
— მერე რა, რომ ღარიბია —
იცის მარგალიტის ასხმა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სევდის ნარჩენები

ჯერ სურათს გადაგიღებენ —
ჯერ ჩიტი გამოფრინდება...
მერე ჩიტიც და ცხოვრებაც
ჩიტივით გაგიფრინდება!
იაპონური შპალერი,
კაი ფრანგული ბიდე გაქვს...
მაინც ბინდდება — უფრო და
უფრო და უფრო ბინდდება...

აქეთ — სამოსი ჯვალოსი.
ასკეტი. ბერი. სალოსი.
იქით — კერპები არმაზის
და ქვათახევის ფალოსი!
დიდ საიდუმლოს ვინ გეტყვის
ჯუმათს დასობილ პალოსი...
ათასი ზნე და უემური,
მეზობლის გამოსალოცი...

არ ძალუძთ, თუ არ იმრუშეს,
ან კიდევ — კაცი არა კლეს!
კაცი შენს შვილთაც მოუკლავთ:
გიორგის.
დავითს.
ერეკლეს...
შუქი მაინც ჩანს, სულში რომ
ოშკმა და ბანამ არეკლეს!
არა გვიჭირდა, სანამ ღმერთს
ქართველთა ხელი არა კრეს...

გავს შუაღამით ჩვილი ყრმის
უეცარ წამოტირებას
მწვანედ ატეხილ ჭალაში
ასი არაგვის დინება!
იდინოს! — ბოლოს და ბოლოს
ის მაინც გვეცოდინება,
რომ მისი ასე დინება
თავად უფალმა ინება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## უძილობა — 3

(თაროდან წიგნი გადმოვიღე—წაკითხვა ვცადე)

თავი მტკივა! თავი —
რახანია გასაკრეჭი!
გულიც მტკივა! გული —
რახანია გასაგლეჯი!
მენატრება სუფრა —
ბატკნის მწვადი ახახლეჩი!
სუფრა! განა ქოხში —
სადმე ნათელ სასახლეში!

მომენატრა ხალხი —
მუსაიფი. ლექსი. ჭორი...
მარტოობამ მომკლა —
ვყოფილიყავ ნეტა... ორი! —
ან ეს ძილი რაა,
ან ამდენი შუაღამე!
ღმერთო, დარდი ჩემი
სიხარულებს შეუხამე!

მე რომ ორი ვიყო,
ვერ დაღლიდა დარდი ორ კაცს...
...მარტოობის გამო,
ვნახო ერთი, რას წერს ლორკა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟა გიგაშვილი

# თბილი ლოგინი და ცივი ღამე

მოთხრობა

„რა მსხვილი ვაცებია...“ — გაიფიქრა გაკვირვებულმა.

ჯიხვები ნელა გარბოდნენ თოვლზე. ადვილი სასროლი ჩანდა. თოფის ნიშანი მშვიდად გააყოლა მოძრაობის ხაზს, ოდნავ წინ გაიტანა და დანდობილად მოსწია სასხლეტი. კარაბინმა მჭახედ დაიყეფა და ხეობა მკვრივად დაიტენა ექოთი, „აააააუჰ! ...აააააუჰ!..“ — გადაბმულად გრიალებდა ექო და მის ჩაუმქრალ ფონზე მოუთმენლად და სწრაფად ჰექდა კარაბინი. ტყვიები წივილით გადადიოდნენ ჯიხვებს ზემოთ და უეცრად, სილის გაწვნასავით იგრძნო შეცდომა: გაცრეცილმა ნისლმა მოატყუა, თითქოს ჯიხვები შორს იყვნენ, იმიტომ მოეჩვენა უჩვეულოდ მსხვილებად...

ამის შემდეგ მოქმედებდა ველური მხეცის სისწრაფით. თოფის სავაზნეში ახალი პწკალის ჩადგმა, გადატენა, სამიზნეს გადაყენება და ნაშალზე გადარბენა, ფეხის მომაგრება სრიალა, არამყარ ქვებში და გასროლა, თვალის დახამხამებაში მოხდა და იმავე თვალის დახამხამებაშივე იცოდა, რომ მოარტყა, გაიგონა კიდეც ტყვიის ტყაპანი ხორცში, და დაინახა, რომ ვაცი წაემხო, ყირაზე გადავიდა, წამოვარდა და გაჰყვა წინ გაქცეულს და ორივენი გაქრნენ მხედველობიდან...

გაიარა მღიერიანი ლოდებით მოფენილი ვიწრო მოედანი და თოვლის ვიწრო ზოლებამდე მივიდა. მონახა ჯიხვის წაქცევის ადგილი და მერე სისხლიც. სისხლი ფიფქ თოვლში გაჟონილიყო და მხოლოდ მოყვითალო ლაქებადღა აჩნდა. ლაქები კვალს მარჯვნიდან მიჰყვებოდა და ნაწილობრივ შიგ კვალშიაც იყო ჩაქცეული. ესე იგი ტყვიამ სხეული გაიარა და გავიდა. გაიარა რბილში, ძვალს არ შეხებია. ამიტომ გარბოდა ჯიხვი ადვილად. სროლის ვარაუდით ტყვიას სადღაც მკერდის დასაწყისში უნდა გაევლო. ლაქები სამიოთხი ნახტომის შემდეგ მეორდებოდა, ეს ნიშნავდა, რომ სისხლი განუწყვეტლივ კი არ ჩამოდიოდა, ის ჯერ ბეწვზე გროვდებოდა დიდ წვეთად და მერე ძირს წყდებოდა. ეტყობოდა, რომ საქმე გაძნელდებოდა. თუ ჯიხვს არც სასუნთქი მილი დაზიანებია, საერთოდ საეჭვო იქნება მისი დაწევა.

ახლა იწყებოდა მძიმე, მგლური სამუშაო — კვალზე სდევა...

ლოდზე დაჯდა, სიგარეტს მოუკიდა. ბოლო ნისლით გაჟღენთილ ჰაერთან ერთად იწოვებოდა და სხვანაირი გემო ჰქონდა. ფიქრობდა ჯიხვზე. დადგა წამი, როცა მას მხოლოდ ჯიხვზე უნდა ეფიქრა. ეფიქრა ისე, როგორც ჯიხვი იფიქრებდა. აქედან მოყოლებული იგი

ჰკარგავდა საკუთარი მოქმედების თავისუფლებას. და მთლიანად ჯიხვის მოქმედებაზე ხდებოდა დამოკიდებული. ზედმიწევნით ზუსტად უნდა გამოეცნო და წარმოედგინა ჯიხვის მოქმედების ნირი, განრიგი და თანმიმდევრობა და მხოლოდ მაშინ შეძლებდა ემოქმედნა სწორად და აზრიანად. უაზრო, აცა-ბაცა, იმპულსური მოქმედებების უფლება აღარ ჰქონდა. იგი მკვეთრად ჩაერია ჯიხვის ბედში, გადააბა მას თავისი ბედი და ეხლა ვალდებული იყო საქმე ბოლომდე მიეყვანა.

ათვალიერებდა გარემოს. ეს თაროსავით ზეგანი, ზემოდან მაღალი, შავკლდეებიანი ქედით დახურული, ქვემოთ ღრმა ხეობაში წყდებოდა. ჯიხვები ქედისაკენ გაიქცნენ და ის გულმოდგინედ ზვერავდა დურბინდით შავ, ჩამოწუწულ, ნალეწ კლდეებს, თვალით მისდევდა დაკბილულ კეხს და ბოლოს შეჩერდა იმაზე, რასაც ეძებდა — ვიწრო ყელზე, რომელიც ერთადერთი გასასვლელი იყო ამ ქედში, შემდეგ დურბინდით მონახა ამ ყელის ქვეშ უახლოესი თოვლის ზვავი და ისიც გულმოდგინედ დაათვალიერა. აქაც იპოვნა, რასაც ეძებდა: თოვლზე სტრიქონივით გავლებული კვალი, რომელიც ყელისაკენ მიდიოდა. ახლა კვალზე თავდაღუნული სიარული აღარ დასჭირდებოდა, სანამ ყელში არ გავიდოდა, კეხის გადაღმა მხარეს...

იჯდა და მშვიდად ქაჩავდა თამბაქოს. ჯერჯერობით საჩქარო არაფერი ჰქონდა. სანამ ჯიხვი ფეხზეა, არ უნდა იგრძნოს მდევრის სიახლოვე, თორემ არ დაწვება, გააგრძელებს სირბილს და ვინ იცის, სადამდე წავა. როცა ჯიხვი გაჩერდება, მხოლოდ მაშინ მოერევა ჭრილობა თანდათან. სწორედ მაშინ უნდა წამოეწიოს სადმე შეფარებულსა და საკუთარი ტკივილით გართულსა და გაოგნებულს...

თამბაქოს ბოლი ძალიან გემრიელი იყო და ფილტვების უკანასკნელ კუნჭულებამდე აღწევდა... თვალით ისევ და ისევ ჩხრეკდა და არჩევდა ყელისაკენ ასასვლელ გზას. შავი ქედის ნაკეცები ძველი, ნაზვავარი თოვლით იყო ამოტენილი. კეხზე ნელა მოძრაობდნენ ჯანღები და შიგადაშიგ კრთებოდა ფირუზივით სუფთა, ღრმა სილურჯე...

მერე ადგა და წავიდა ქედისაკენ. თოვლის დაფებს ნაშალის გროვები ენაცვლებოდა. ნაყარში აქა-იქ გამომძვრალიყვნენ დეკის უდღეური, დაღვლარჭნილი ტოტები... წითელი ლოდები მღიერითა და ხავსით იყო მოჩითული. კვალს აღარ მისდევდა. ხანდახან გახედავდა თოვლზე გავლებულ ნათხარს და ამოწმებდა: არის თუ არა სისხლი?... სისხლი იყო. ისევ ისე, თითო დიდი წვეთი ყოველ სამ-ოთხ ნახტომზე. ქედის ძირს მიადგა და შეუდგა აღმართს. ადიოდა შიშველ, შავ ლოდებზე და გამაგრებულ თოვლზე. ადიოდა ნელა, მძიმედ და ფრთხილად. იგრძნობოდა, რომ დღესვე მოუხდა დიდი სიმაღლის გამოცვლა, გული ყელში აწვებოდა და თავიც მთვრალივით ურაცრაცებდა...

ყელში რომ გადავიდა, პირდაპირ ბურუსის სქელ კედელს მიადგა. ფერდზე ცოტა ჩაინაცვლა, სველ ლოდებში ჩაჯდა და ნისლის გაშლას დაელოდა. ჯიბიდან პატარა ვაშლი ამოიღო და ჩაკბიჩა. გრძელი და ძნელი ამოსვლის შემდეგ სუნთქვა ჯერ არ დაწყნარებოდა და ჭამა უჭირდა. მაგრამ ვაშლი იმდენად ესიამოვნა, რომ ველარ შეეშვა... ვაშლი რომ გაათავა, ისევ სიგარეტი ამოიღო და გააბოლა...

ნიავმა წამოუბერა და გააყრუოლა. იჯდა გაშეშებული და უმზერდა, როგორ დაიხა და აბორიალდა ნისლი, სწრაფად გადაირეკა და გადაიწოვა კეხებზე და გამოჩნდა საკვირველი ქვეყანა: გაყინული, ჩამოლესილი კედლებით შემოფარგლული ვრცელი თოვლის არენა. არენა მთლად სპეტაკი და სწორი იყო და გარშემო მწვერვალები ისე იყვნენ გაყინულნი, რომ გარინდულ ცაში ეკიდნენ მინის სუფთა, წკრიალა კრისტალებივით და მან შეიგრძნო უცნაურად მძაფრი და ცარიელი სისასტი-

კე, რომელიც ჰაერივით შემოერტყა გარს და ჩაეღვარა სუნთქვაში...

ამ დროს გაყინული ჰაერი მჭახე, თავზარდამცემმა სტვენამ გახვრიტა. სტვენას სტვენითვე უპასუხეს და გარემო გაივსო დაძაბული, მოზარე ბგერით. ეს სტვენა რამდენჯერაც გინდა მოისმინო, მაინც მოულოდნელი და შემაშფოთებელია და ახლაც ისევ გაეწურა გული და აუფორიაქდა გუნება. ნერვიულად დაიწყო თვალების ცეცება. სტვენა ფირნის გადაღმა ნაყარიდან მოდიოდა, მაგრამ თვითონ შურთხები არა ჩანდნენ. და ამ დროს დაინახა ნაყარის თავზე დაკიდებულ, ზვავით ამოტენილ კულუარში მიმავალი შავი წერტილი. ეს მისი ჯიხვი იყო...

სამი ნახტომით ჩახრიალდა მაგიდასავით გაბრტყელებულ კლდესთან და ზედ გაიშხლართა. სამიზნო ოდნავ ამოსწია (ვარაუდით სამას მეტრზე მეტი ჩანდა), ერთ წამს გაირინდა და მერე, რაც შეიძლებოდა მსუბუქად მოსწია სასხლეტი. კარაბინმა დაიჭექა, მისი ექოც სტვენასთან ერთად დაეკიდა ჰაერში და თითქოს სტვენამ ხორცი შეისხაო, ცაში აირია მსხვილი თეთრი ფრინველების გუნდი და სტვენასთან ერთად გადაიხვეწა კლდეებში. ჯიხვი მოცურავდა და მოგორავდა თოვლზე...

სწრაფად დაეშვა ლოდებიან ფერდაზე. ეჩქარებოდა ნადავლის მოხელვა. ყოველთვის, ნადირის წაქცევის შემდეგ ეუფლებოდა უცნაური, ძლიერი სურვილი: ხელით შეხებოდა ჯერ კიდევ თბილ სხეულს, მოესინჯა ბეწვი და შეესუნთქა მკაფიო, სუფთა ნადირის სუნი... ...ეს მგლური, ბნელი წარსულის იდუმალი სიღრმეებიდან გამოყოლილი ინსტინქტი ახლაც განუსჯელად მიერეკებოდა ქვევითკენ და ფერდა სულ ხტუნვა-ხტუნვით ჩაათავა. როგორც კი თოვლზე შედგა ფეხი, მაშინათვე მუხლებს ზემოთ ჩაეფლა და მოძრაობა გაჭირდა. ნელა მიარღვევდა თოვლს. წელამდე დასველდა, მაგრამ ჯერ სიცივეს ვერა გრძნობდა. პირიქით, შუბლზე განუწყვეტლივ იცვარებოდა ოფლი და ზედვე აცივდებოდა. მტანჯველი შრომისაგან არაქათი გამოეცალა, მძიმედ ქშენდა, წამდაუწუმ იწმენდდა ცივ, წებოვან ოფლს წარბებიდან და რამდენიმე წუთით სულ წაეშალა გონებიდან ჯიხვიც და სხვა ყველაფერიც და როცა აიხედა, ჯიხვი ფეხზე იდგა...

„უხ, შენი...“ — ხმამაღლა აღმოხდა გაკვირვებისაგან და დურბინდს ეცა, დაუწყო თვალიერება. ჯიხვი თავდაღუნული იდგა და მთელი ტანით ცახცახებდა. მის ქვეშ, თოვლზე მკაფიოდ გაარჩია დიდი წითელი ლაქა...

„ბეჭებში აქვს გავლილი, ახლა წაიქცევა...“ — ისევ ხმამაღლა, დამარწმუნებლად უთხრა თავს და განაგრძო გზა. თოვლი მაგარი იყო და მუხლისთავები სტკიოდა, როცა გასარღვევად აწვებოდა მის ზედა, გაყინულ ქერქს.

„ახლა წაიქცევა!... ახლა წაიქცევა!...“ — ისევ ხმამაღლა გაუმეორა თავს და რამდენიმე ნაბიჯი ისე გადადგა, რომ ჯიხვისათვის მზერა არ მოუწყვეტია, და წაიფორთხილა და წაემხო თოვლში. ფაფხურის შემდეგ, როგორც იქნა, მყარად ჩაარჭო კარაბინი, დაეყრდნო და ადგა. მერე თოფი ამოაძრო, ზედ მიკრული თოვლი ხელის ჩამოსმით ჩამოფერთხა, საკეტი გამოაცალა, ვაზნა გამოიღო და ლულას გახედა, სული შეუბერა, იქიდანაც გამოდენა თოვლის ნარჩენები. გულის ჯიბიდან ორი ვაზნა ამოიღო და სავაზნე შეავსო. მერე საკეტი ადგილზე შესვა, ვაზნა პირში მისცა და ისევ ჯიხვისაკენ გაიხედა. ჯიხვი მიდიოდა. იგი ნელა, ბორძიკით ადიოდა ზვავზე და უკვე ზევითა კლდეებს უახლოვდებოდა...

რამდენიმე წამს პირდაღებული უყურებდა. მძიმედ სუნთქავდა, სტვენით. მერე ფეხები თოვლში გაჩაჩხა, კარაბინი ასწია და დამიზნება სცადა. ხელები უკანკალებდა და წინდაწინ გრძნობდა, რომ ვერ მოარტყამდა. გავარდა. ჯიხვი არ შეტოკებულა. ისევ ისე ნელა ადიოდა ზევით. მიაღწია კლდეებს,

გაჭირვებით გადაპოტინდა ლოდებში და თვალს მიეფარა...

ახლა კი გინება-წყევლა-მუქარის მაგვარი რაღაც აღმოხდა სიმწრისაგან. ქშენითა და გაურკვეველი კვნესა-ბურდღუნით მიარღვევდა თოვლს და უცებ იგრძნო საკუთარ ხმაში საბრალო, ჩივილის ინტონაცია და შერცხვა და გაბრაზდა თავის თავზე და კრიჭაშეკრულმა და მთლად გათანგულმა განაგრძო თოვლთან ბრძოლა.

ფირნის გადაჭრას თითქმის საათი მოუნდა და ზვავის ძირში გამოფიტული და გასავათებული გაჩერდა. სამიათას მეტრ სიმაღლეზე ღრმა თოვლის რღვევა საკმაოდ მძიმე შრომა იყო, ახლა იდგა და ძნელად, სტვენით სუნთქავდა...

როგორც კი პირველი სული ამოითქვა, მაშინვე პირში სიგარეტი იტაკა და ხარბად ჩაისუნთქა. ამან გონება გაუწმინდა, დამშვიდებულად დაუწყო თვალიერება მის წინ ჩამოკიდებულ ზვავის ენას. ეს იყო თითქმის შვეული, უსწორმასწორო, მაგარი, ჭუჭყიანი თოვლის ზოლი, რომელიც შესახედავად ზიზღს იწვევდა. მისი ზედაპირი ცერად იყო დახაზული ჯიხვის ფეხით ნათხარისაგან. ალაგ-ალაგ სისხლით იყო ყვითლად შეღებილი...

სიგარეტის წევა დაამთავრა, ჩასრისა და დაიწყო ასვლა. „ბათინკის“ წვერის რტყმით აღრმავებდა ჯიხვის ნაფეხურს და ნელ-ნელა, თითო საფეხურით იწევდა ზევით. რამდენადაც შეიძლებოდა, სწრაფად ადიოდა. შეუსვენებლად თხრიდა საფეხურებს, იმაგრებდა ფეხს და იწყებდა შემდეგის თხრას. მძიმედ ქშენდა და სახეგაყინული მუშაობდა ატანილივით...

ნაზავი თოვლის ენა მაღალი და გრძელი იყო და ზევით შავ, სველ, ჯანღის ნაფლეთებით დაბინდულ კლდეებში იკარგებოდა. მან ჯერ მხოლოდ ნახევარი აათავა და მთლად არაქათგამოცლილი მიეყრდნო თოვლის კედელს. შუბლით შეეხო თოვლს. მწველმა სიცივემ მთელ სხეულში დაუარა, მაგრამ შვება აღარ მოუტანია... ამ დროს მოისმა სრიალი. გვერდით ღარიდან ქვები და ღორღი გამოიშალა და ქვემოთ დასრიალდა. მაშინვე გულმუცელი მიეტყეპა თოვლს და გვერდზე გადაწვა. ბეწვზე მოასწრო: სამმა თუ ოთხმა მისი თავის სიმსხო ქვამ, სხვა წვრილებთან ერთად შხუილით ჩაუქროლა...

„ოცი მეტრით ზემოთ, ცოტა კიდევ უფრო დაღლილი, ვეღარ მოვასწრებდი გაწევას...“ — გაიფიქრა და იგრძნო, როგორ დაიწყო შიგნით დაგროვება ბრაზმა და გადაიქცა გაბოროტებად... ამავე დროს მზერა გაფაციცებით ჩხრეკდა ქვების ჩამოშლის ადგილს. ისევ დაიხრიალა ნაშალმა და ისევ გამოსრიალდნენ ქვები უკვე გაკვალულ ღარში. ტინებში გამოჩნდა შავკისერა ხარჯიხვი. ის დიდ ქვას მიჰყუდებოდა და უზარმაზარი, მძიმე რქები სულ ძირს, ფეხებამდე ჰქონდა დახრილი.

„კიდევ მიდის!..“ — გაიფიქრა ბრაზიანად და კარაბინის გამართვა დაიწყო. ჩქარობდა, მაგრამ ერთ ციდა საფეხურზე, თოვლზე ატყეპებული, ეს ადვილი საქმე არ იყო და სანამ ადგილზე მოერგო და კარაბინი მიზნისაკენ გაასწორა, ჯიხვი ისევ ლოდებს მიეფარა.

ამის შემდეგ დიდხანს თხრიდა ისევ საფეხურებს და მიჰყვებოდა ჯიხვის კვალს სულ ზევით და ზევით. გონება ნაწყვეტ-ნაწყვეტ მუშაობდა, უცხაური, გადაუბმელი აზრები იბადებოდა და ფიქრის ერთ-ერთი განათებისას მიხვდა, რომ არც ხარ-ჯიხვზე ბრაზობს და არც ამ თოვლზე და რომ არავისზე გაბრაზებისა და გაბოროტების უფლება არა აქვს, რომ ეს სამკვდრო-სასიცოცხლო თამაში მისთვის თავზე არავის მოუხვევია, თვითონ წამოიწყო და ახლა ყველა ძალა და უნარი უნდა იხმაროს, რომ მოიგოს. მაგრამ თუ წააგო, ისევ თავისთავს უნდა დააბრალოს მხოლოდ...

ტყვიამ რამდენიმე მილიმეტრზე გაუარა ჯიხვის გულს. ეს ბრმა შემთხვევა იყო, და არა მისი უნარი და სროლის ოსტატობა. იმის მაგიერ, რომ ჯიხვი ზვავის ძირში ჩამოგორებული-

ყო, ღარის თავში ავიდა და კლდეებს შეეფარა. ეს ჯიხვს ვეღარ უშველიდა, ჭრილობა სასიკვდილო იყო, მაგრამ ამ ამბავმა მისცა შანსი თავისდაშეუგნებლად დაეღუპა მდევარიც... შემთხვევათა ასეთი სვლები აუცილებლად გასათვალისწინებელია ასეთ თამაშში. იმავე მილიმეტრების გამო შეიძლებოდა ჯიხვი იმ პირველ ზეგანზევე დარჩენილიყო და ყველაფერი კაიხნის მოთავებული იქნებოდა... რა სჯობდა ბოლოსდაბოლოს?..

ამ ფიქრზე გაეცინა და ამის შემდეგ აზროვნება მოდუნდა და თითქმის გამოეთიშა. აღარ გრძნობდა აღარც გაბოროტებას და აღარც ბრაზის ენერგიას. ავტომატურად თხრიდა და ადიოდა თოვლზე და ბოლოს შეატყო, რომ ყველაფერი გაბუნდოვანდა და დაიბინდა. უკვე ღამდებოდა. ეს მოულოდნელი იყო მისთვის, რადგან დროის შეგრძნება დაკარგული ჰქონდა და აღარ ახსოვდა, რომ უნდა დაღამდეს. ბოლო საფეხურები ისე აათავა, რომ ჯერ კიდევ კარგად ვერ მიმხვდარიყო, რა ხდება... მერე გადაფორთხდა გვერდით კლდეში, გაძვრა რამდენიმე ლოდს შუა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ თითქმის დაღამებულა და დაჯდა. დაათვალიერა გარშემო აყირავებული ლოდების ბნელი ქაოსი და დამშვიდდა. დღეს ყველაფერი დამთავრებული იყო...

ერთხანს იჯდა ლოდებში ასე გარინდებული და უყურებდა, როგორ მდორედ და ბნელად ამოდიოდა კლდეებს შორის მრუმე ჯანღი და რბილად ავსებდა ყველაფერს, შლიდა ხაზსა და კონტურს და თითონ მასაც საბანივით ეფარებოდა ზედ.

ჯიბეში ჩაყოფილმა ხელებმა თვითონ მონახეს ორი პატარა კანფეტი: „კიბოს კისერი“ და „შოკოლადის ბატონი“. შოკოლადი გაზელილიყო და ფრთხილად გამოლოკა შესახვევი ქაღალდიდან. მერე გაფცქვნა მაგარი, მკვრივი „კიბოს კისერი“ და სიამოვნებით ჩაახრამუნა. მერე ქვებიდან მოფხეკილი ერთი მუჭა თოვლი შეჭამა და მოხერხებულად მოკალათდა კლდის გამოღრმავებულ ძირში, ქვების უკან. ნელ-ნელა დაიწყო სხეულში ქონვა სიცივემ. მთლიანად შეიკრა „შტორმოვკის“ ყველა ღილი და კაპიუშონიც ჩამოიფხატა. სიგარეტს მოუკიდა. აბოლებდა წყნარად და ვეღარც გრძნობდა, თვალები გახელილი ჰქონდა, თუ დახუჭული. აღარც ბოლი ჩანდა. მთლიანად ჩაიძირა გაუვალ სიბნელეში...

დაღლილი გონება უცებ გამოითიშა, თითქოს ბალიში დააფარეს და ეძინა ღრმად და ბნელად, სანამ დაგროვილმა სიცივემ, როგორც ელდენის დარტყმამ, უეცრად არ გამოაფხიზლა. გამოიღვიძა ძიგძიგით. ნოტიო ნისლი თითქოს ტანსაცმელში შეჟონილიყო, ცივად ედებოდა ტანს. „კიდევ კარგი, ქარი არ არის, მომკლავდა...“ — თქვა თავისთვის. არ იცოდა, რა დრო იყო, ან რამდენ ხანს ეძინა. თვალები ფართედ დაეჭყიტა სიცივისაგან და ჩაშტერებოდა სიბნელეს, სადაც გაურკვეველი სიბრტყეები შავდებოდნენ და თეთრდებოდნენ და ლახავდნენ საზღვრებს და უაზროდ ცდილობდნენ მიეღოთ რაიმე მოხაზულობა. ხედვის დაძაბვისაგან თითქოს კიდევ უფრო შესცივდა. მან იცოდა, რომ ამისი აყოლა არა ღირს და შეგნებულად დახუჭა ისევ თვალები და ჩაიყუჟა, დაპატარავდა და თითქოს ცოტა სითბო მოიგო... დაიწყო ცივი ღამის წამება, გაურკვეველი ძილ-სიფხიზლე, არეული წარსულსა და აწმყოში, გახსენებებსა და მოჩვენებებში...

. . . . .

...გარშემო კრთოდა გამჭვირვალე ცისფერი და სივრცე ნახევრამდე სავსე იყო მუქი სილურჯით. ეს იყო ზღვა. ამ სილურჯის ფონზე ჩანდა ერთმანეთზე შეხორხლილი სახურავები და ერთი თეთრი, მილის მოაჯირიანი ვიწრო აივანი. დაჩრდილული კედლის ძირას, კარის გვერდით იდო კვერცხის ფორმის, თვალისმომჭრელად თეთრი, დიდი ქვა. ქვა მოხატული იყო რაღაც უცნობი

ორნამენტით. ეს თვითონ ქვის ღარები იყო, თუ ფუნჯით დაახატა პატარა ბიჭმა, რომელიც აქ ცხოვრობდა, შორიდან ვერ გაარჩევდი. ბუნდოვნად ახსენდებოდა, რომ პატარა ბიჭი ამ ქვაზე რაღაცას საქმიანობდა და მას ტუქსავდა ხნიერი ქალი, მისი დეიდა, თუ ბებია, ვისთანაც ცხოვრობდა ამ ბინაში. ამიტომ ფიქრობდა, რომ შეიძლება ბიჭმა ფუნჯით ატარა ეს ხაზები. იქვე, მეზობელ სახურავზე კი, ცალ ფეხზე იდგა სპეტაკი, თეთრი, ისეთი, როგორც ახალი თოვლი ჩანს ხოლმე მზეზე, წერო. სწორედ წერო, ის არც ყანჩაში და არც ყარყატში არ შეეშლებოდა. წეროს თავი მხრებში ჰქონდა ჩამალული და შავი ნისკარტი ქათქათა მკერდზე ჩამოედო. ვეღარ გაიხსენა, სხვა დროსაც უნახავს აქ ეს წერო, თუ მხოლოდ დღეს... მაგრამ, მგონი, ეს წეროც იმ პატარა ბიჭს ეკუთვნოდა...

...შარაგზას ორმხრივ მიჰყვებოდა ყვითელი, ხმელი, ხშირი ლელი და ზოგჯერ გზაზე, ზედ მანქანის ცხვირწინ, დინჯი ნაბიჯებით გადაივლიდხენ ხოლმე თეთრი ყანჩები. მანქანა ნელა მიდიოდა და სადაც ლელი მეჩხერი იყო, ჩანდა, როგორ დარბოდნენ ლამიან ნაპირზე სხვადასხვანაირი ლაინები. განსაკუთრებით დაამახსოვრდა ორი დიდი, მუქი ღვინისფერი, პრიალა ბუმბულიანი ივეოსი, გრძელი, მორკალული ნისკარტები რომ ჰქონდათ. ამ მორკალულ ნისკარტებს ნახევრამდე ჩაარჭობდნენ ხოლმე თხელ, ცივ, შავ წყალში და რაღაცას ეძებდნენ...

...ცივი, შავი წყალი და ჭუჭყიანი სარეცხივით ზეცა. იმ ღამით იყვნენ ჰამბურგში, თუ შერბურში თუ სადღაც (კარგად ვერ გაარჩია, რა ახსენეს წეღან გამვლელებმა). შევიდა დე-მოინების ბიუროში. ესენი შთამომავლობით თეატრალური ანტრეპრენიორები ყოფილან. ბიურო საცოდავად იყო გაღლეტილი და უკანასკნელი დე-მოინი, ჭაღარა, გრძელთმიანი ბებერი კაცი გრძელ დახლთან ტრიალებდა ტყავის ფეშტამალაფარებული.

„როდის იხურება თქვენი ბიურო?..“

„დაიხურება, აბა რა, ხალხი აღარ დადის თეატრებში...“ — თქვა დე-მოინმა.

„ვიღამ უნდა იაროს, ხალხი აღარაა ამ ქალაქში...“ — თქვა ისევ და ჩურჩულით დაამატა:

„ხალხი იყრება ამ ქალაქიდან...“

მერე ის და ანა სტუმრობდნენ დე-მოინების ძველებური შპალერით აკრულ ბინაში. კედლები დაფარული იყო ძველი ფოტოგრაფიებით, აფიშებით, დეკორაციებისა და კოსტუმების ესკიზებით. იდგა რამდენიმე დიდი მაკეტი, ეყარა უცნაური სუვენირები და გაუგებარი ნივთები. მკაფიოდ დაახსომდა ვიწრო, მაღალი, მოღუნული ხის ზურგიანი და ფეხებიანი სკამი. ჩაის ლამბაქის ხელა, ჩალისაგან მოწნული დასაჯდომით. ამ სკამზე შედგა ცალი ფეხით, ელდენის დამცველში მავთულის გამოსაცვლელად, როცა სააბაზანოში შუქი გადაიწვა, როცა ანა ბანაობდა. სააბაზანო იყო დაბალი, დაქანებულჭერიანი, ნიშში შედგმული აბაზანით, მწვანე, რელიეფიანი ფილაქანით მოგებული...

მერე ბებერმა წაიყვანა თურქულ აბანოებში (სააბაზანოში შუქი გადაიწვა). მიდიოდნენ ფეხშიშველები. თოვლჭყაპი იყო, ციოდათ, ფეხები სულ მოეყინათ...

...„აი, კარგი იყო სოხუმი. კატერით ვბრუნდებოდით ხოლმე პლიაჟიდან ქალაქში. ნელა მივყვებოდით სანაპირო ბულვარს და მერე ვსხდებოდით პატარა ხის პავილიონში, გარეთ დადგმულ მაგიდასთან. პავილიონში ყოველთვის კარგი საჭმელები ჰქონდათ: ახალი კეფალი და წვრილი, შებოლილი სტავრიდები, წითელი ხიზილალა და ზეთისხილი, და ძალიან კარგი, კარგად გაციებული ლუდი. ეს ხდებოდა ყოველდღე, საღამოს ხუთი საათის შემდეგ. მე და ჩემი ძმაკაცი, მთელი დღე ხანგრძლივი ცურვისა და ცხელ სილაზე ხუხვის შემდეგ, მოვდიოდით დაღლილები და გამოფიტულები და ვტკბე-



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ბოდით იმით, რომ სრულიად თავისუფლები და დაცლილები ვიყავით ყოველგვარი გრძნობებისა და სურვილებისაგან, გარდა შიმშილისა და წყურვილისა. ვტკბებოდით მოლოდინის გრძნობით, რომ ახლა გემრიელად შევჭამთ და დავლევთ. ვტკბებოდით მერე გემრიელი საჭმლითა და ცივი ლუდით, რომელსაც გამომშრალი სხეული არაჩვეულებრივი სიამოვნებით იწოვდა. ვტკბებოდით ჭამის შემდეგ თამბაქოთი და კმაყოფილების გრძნობით, რომ სრულიად თავისუფალი ხარ და უყურებ ზღვას და არაფერი არ გინდა... ერთ-ერთი ასეთი ტრაპეზის დროს ბაბკა გ-ჩკამ გვაჩუქა ერთი თავი ხახვი. ეს იყო გამხმარი დედაბერი, რომელიც იქვე სვამდა ლუდს ორ მაწანწალასთან ერთად და მანამდე არც შეგვიმჩნევია, სანამ არ მოგვიბრუნდა და არ გვაჩუქა დიდი, ლამაზი, ოქროსფერი, მრგვალი ხახვი... „პრიმიტე, პარნი, ოტ ბაბკი!..“-ო, გვითხრა. ჩვენ გავფცქვენით ხახვი, დავჭერით, ძმრითა და მარილით შევკაზმეთ და ძალიან გემრიელად შევაყოლეთ ლუდს...“

...თურქული აბანოები აღმოჩნდა შავ ნაპირზე შეკოწიწებული სხვადასხვა ფორმებისა და ზომის კუბების გროვა. მათი ნაცრისფერი სიბრტყეები აქა-იქ გახვრეტილი იყო პატარა შავი სარკმლებით. კუბების ქვეშიდან გამოდიოდა ჭუჭყიანი, ყვითელი წყლის ფართე ნაკადები. წყალი ცხელი იყო და ცივ ჰაერში სქელი ოხშივარი იდგა. ორთქლი გამოდიოდა სარკმლებიდანაც. ისინი შევიდნენ ყვითელ წყალში და კარგახანს სიამოვნებით ითბობდნენ გაყინულ ფეხებს. ნაკადი ღრმა არ იყო, ტერფებს ძლივს ფარავდა. დე-მოინმა დაუძახა: „წამო, შიგ შევიდეთო...“

...ისევ ჩამობნელდა. ცარიელა ოთახში ტალანიდან ქალი შემოვიდა. სწორი, გრძელი ფეხები ჰქონდა და სათხილამურო შარვალი ძალიან უხდებოდა. მოწყენილი, შესაბრალისი სახე ჰქონდა. თვითონ ბნელ კუთხეში იჯდა, ბუხართან. სველი სამთო ფეხსაცმელები პირდაპირ ნაკვერჩხლებზე შეეწყო და ზედ სქელი ორთქლი ასდიოდა... გრძელფეხებიანმა ქალმა მოხდენილად გაიარა და ჩარჩოგამოღებულ თაღიან სარკმელთან გაჩერდა. გარეთ სველი, დაბინდული ტყე მოჩანდა. წვიმდა. სარკმელში ბოლქვებად შემოდიოდა ნისლი. ქალმა მხრები აწურა. ცივი ჰაერისაგან სახე უცნაურად გაფითრებოდა...

„რა მითხარი?..“ — იკითხა ქალმა და მოიხედა.

„არაფერი...“ — გაკვირვებით ჩაილაპარაკა მან.

. . . . . . .

„...ერთხელ დებედეჩაიზე, მწყერზე ნადირობისას ასეთი რამე მოხდა: ხავსმოდებულ კლდეზე გამალებული მიძვრებოდა მელა. ამ ციცაბო ქარაფზე ორ მონადირეს გამოექცა, რომლებიც ახლა ზემოთ იდგნენ თოფებშემართულნი და ცდილობდნენ საიდანმე დაენახათ იგი, მაგრამ შვეული კედელი ამის საშუალებას არ აძლევდა... ჩვენგან, მდინარის გამოღმიდან კი, პირდაპირ ცხვირწინა ჩანდა ქარაფიცა და მელაც. ჩემმა სამმა თანამგზავრმა მაშინვე „ცეცხლი“ გახსნა ორლულა თოფებით. ესროდნენ მრგვალ ტყვიებს, რადგან სხვა, მხოლოდ მწყრის საფანტი ჰქონდათ. რა უნდა მეთქვა? მაინც ყურს არავინ დამიგდებდა. ყველაზე უმცროსი ვიყავი... ვიდექი და ვუყურებდი მელიის განწირულ ცოცვას, ვუყურებდი, როგორ ხვდებოდა ტყვიები მის გარშემო კლდეს, როგორ გლეჯდა ხავსს და ფანტავდა ტინის ნამსხვრევებს. საზიზღარი საყურებელი იყო და უმწეო ბრაზმა ამიტანა. არაფრით არ შემეძლო მელიის დახმარება. ერთადერთი, თუ სროლას დავუწყებდი იმათ, ვინც მას ესროდა. ესენი ვეღარაფერს ვეღარ ამჩნევდნენ, მთლად ატანილნი იყვნენ მელიის მოკვლის ჟინით. ეს ჟინი უაზრო და იდიოტური იყო, რადგან იგი არც ბეწვად ვარგოდა, არც „მტერი“ იყო და არც სასროლად წარმოადგენდა სპორტულ ინტერესს... ერთადერთი ეს შემეძლო, რომ მელოცა მელიასათვის

და ასეც ვშვრებოდი. ყოველ გასროლაზე ვამბობდი: „ღმერთო, ააცდინე!..“ ბოლოს მელამ ააღწია ქარაფის კიდემდე და ისეთ ადგილში მოასწრო გასხლტომა, რომ ზემოთ დადარაჯებულმა ორმა ბრიყვმა სროლა ვერ მოასწრო. ეს იყო საკვირველი გადარჩენა. სამმა სროლაში გამოცდილმა მამაკაცმა ორ-ორჯერ ესროლეს და ვერცერთი ვერ მოარტყეს. ძალიან მიხაროდა და კიდევ ვიგრძენი, რომ ეს ხუთივე სამუდამოდ დამცირდნენ ჩემს თვალში. საძაგელი სანახავია, როგორ სულელდება კაცი იარაღით ხელში. ყველაზე საზიზღარი სანახავია შეიარაღებული სულელი და თუ ვინმეს დაემართა ეს, მერე ძნელია ამისი დავიწყება და პატიება...

...კიდევ ერთხელ ვილოცე ასე. გარუჯულ ველზე, მლაშე ტბის ნაპირას, გზის გაღმა იჯდა დიდი, მშვენიერი ველის არწივი. შოფერმა ზედ არწივის პირდაპირ გააჩერა საბარგო მანქანა. ერთ-ერთ მგზავრს, ხნიერ კაცს, აღმოაჩნდა ყოველი შემთხვევისათვის თან წამოღებული თოფი. ჩააწყო შიგ ფინთიხიანი ვაზნები და გულმოდგინედ დაუმიზნა და ძარაში მსხდომნი გაინაბნენ და მიაშტერდნენ არწივს იმის მოლოდინში, როგორ დაარტყამდა ცეცხლი გამოჯგიმულ მკერდში და მაშინაც დავიწყე ლოცვა, რომ არ მოხვედროდა და გავარდა და არწივს არაფერი არ დაემართა. წამის მეათედი ისევ ისე ამაყად იჯდა და უყურებდა მანქანას და მეორედ რომ გავარდა, ის უკვე ჰაერში იყო და რამდენიმე მოქნევით მლაშე ტბის თავზე შემოტრიალდა, და ეს ისეთი სიხარული იყო, რომ ერთწამს, უცნაური სიცხადით, მეც ზემოდან დავინახე მლაშე ტბის მოლაპლაპე, მარილისაგან გადათეთრებული გლუვი ზედაპირი...“

. . . . . .

...მერე მთელი დღე იწვა მზეზე ჩახურებულ კარავში და წერდა წერილს ანას, იცოდა, რომ ანა ჩუმად იტანჯება მასზე დარდითა და მისი მოლოდინით. იცოდა, რომ ყოველთვის ასეა მათი ხშირი განშორებებისას, ეს მას ამძიმებდა და ზღუდავდა, ამიტომ აღიზიანებდა კიდეც, მაგრამ ახლა გახიცდიდა მწვავე სიბრალულს და ცდილობდა ისე დაეწერა, რომ წერილს ყველაფერი გამოესწორებინა. გრძნობდა, რომ ამისი მთლიანად მიღწევა შეუძლებელია და ბრაზობდა. ბრაზობდა გარეთ მოფუსფუსე ექსპედიციის წევრებზედაც, რომელთაგან ერთი, „მურატორე“, ბოხი, გამომხატველი ხმით იზეპირებდა იტალიურ სიტყვებს. ორნი საკალმახე ადგილებზე და სადილის შემზადებაზე კამათობდნენ. იქვე, გვერდიდან კი ისმოდა მისი ძმაკაცის ულიმღამო, უმიზნო ფლირტი ამხანაგ გოგოსთან. მისი მოსაწყენი, დუდღუნა „შაყირი“ და გოგოს თავგადაკლული, უაზრო კისკისი... ფიქრობდა, რომ ყოველთვის უსამართლო იყო ანას მიმართ და ყოველთვის იცოდა ეს, მაგრამ სხვანაირად არ შეეძლო. აწვალებდა გამოუსწორებელი უსამართლობის გრძნობა, მაგრამ წერილში ამ ფიქრების მეათედიც არ ისახებოდა და ნერვებაწეწილი უცდიდა შეპირებული ცხენების გამოჩენას და ბოლოს, სალამოს, როცა ცხენები აღარ გამოჩნდა, მისცეს ერთადერთი ცხენი და გააგზავნეს ხეობის თავში, იმასთან, ვინც ცხენებს დაპირდა... გზა გრძელი იყო, დაღამებამდე ხეობის თავში ასვლა უნდა მოესწრო და ცხენს გამოწურა ყველა შესაძლებლობა, გიჟურ ჭენებაში დაფანტა ნაგავი თავიდან და მოაშორა ჭუჭყი ხასიათს. გზისპირიდან რამდენჯერმე კაკბები წამოუფრინდა და ეს უკვე სიხარულიც იყო...

. . . . . . .

...გვიანი შემოდგომის პირველ ყინვებამდე ღია აივანზე ეძინა ხოლმე და მთელი ღამე უსმენდა ბნელი სივრციდან მომავალ შორეულ ხმებს: „უუუურრ!...“ — ეს წეროებისა და ბატების უხილავი ქარავნები მიემგზავრებოდნენ სამხრეთისაკენ. საშინლად აფორიაქებდნენ ეს ხმები, დიდხანს ველარ იძინებდა და დილაობით გამო-

უძინებელი და დაგვიანებული, კუთხეში ატუზული იდგა ხოლმე პირველ გაკვეთილზე... ქარავნები კი მიდიოდნენ და მიდიოდნენ. მთელი ღამე გრძელდებოდა მათი აუხსნელი, მძიმე მგზავრობა უზარმაზარ მანძილებზე — თავგანწირული ასრულება ძველთაძველი ბრძანებისა, თუ ბედისწერის, თუ თაობიდან თაობაზე გადასული წყევლისა...

ზოგჯერ ისმოდა მარტოხელა, დაბნეული ტიბუარას ხმა, ზოგჯერ ქოვილოსი. ერთხელ მთელი ღამე იბორიალა ვიღაც მარტოსულმა. „პიი... პიი... პიი!...“ — ისმოდა მისი საწყალობელი ძახილი. იმოდენა სევდა და უსასოობა იყო ამ ხმაში, რომ მთლად გულშეძრული ლოგინში წამომჯდარი, დაძაბული აშტერდებოდა ჩაბნელებულ ცას და ამ უსხეულო ხმის დანახვას ცდილობდა... ახლაც ყურში უდგას ეს სხვა მოდგმის უბედურების სიგნალი, უპასუხოდ დაკარგული უსაზღვრო ეთერში... ახლაც ფიქრობს იმ ჩიტის გზებზე: შეიძლება მან ძველი გზების გამოცვლა სცადა?.. დაიკარგა, სასო წარეკვეთა და უხმობდა თვისტომს, იმუდარებოდა შველას?.. მაგრამ ვინც შეგნებულად ტოვებს *თავის არეს*, მან ისიც უნდა იცოდეს, რომ *არის დატოვება* სწორედ იმას ნიშნავს, რომ შენი თვისტომი იქ აღარ იქნება და ესე იგი ვეღარც შენს ძახილსა და მოთქმას გაიგონებს. ამიტომ შეგნებულად *დამტოვებელნი* პირმოკუმულნი გადიან თავიანთ ახალ გზებს... მაგრამ რა იციან ეს პატარა, გზადაკარგულმა ჩიტებმა?..

ციოდა. კიდევ უფრო აცივდა. მთლად შეუკავებელი გახდა სიცივე.

დიდი სქელი საბანიც ვეღარ დაიჭერდა მას...

. . . . . .

...ზამთრის ცივ ღამეში დგებოდა ზლაზვნით. ნელა და გაჭირვებით, თანდათანობით ძლევდა თბილი ლოგინის მიზიდულობას. სიბნელეში იცვამდა უძილარი და აძიგძიგებული, ფრთხილად მიიპარებოდა კარისაკენ. სიფრთხილის მიუხედავად მაინც გამოღვიძებული დედის ხმა ეწეოდა, როგორც ცდუნება. ხმაში ისმოდა ხან წყრომა, ხან თხოვნა... მაგრამ მან იცოდა: საკმარისია ოდნავ შერბილდე, ოდნავ დაგეზაროს, ოდნავ შეყოყმანდე და ჩააფლავებ მთავარს — დარჩები შინ და ვეღარ ინადირებ და მერე ვეღარ აპატიებ ამას თავს. მას უკვე გამოცდილი ჰქონდა ამისი სიმწარე და ამ დროს უნებურად იბადებოდა მოუთმენელი ბრაზი და სიძულვილი ამ სითბოს მიზიდულობისადმი და ეს შველოდა გარეთ, ბნელ, ყინვიან ღამეში გამოსვლისას...

მერე მიეხეტებოდა ვაგზლისაკენ, ანდა ორთაჭალაში, სადაც რომელიმე ღამეული მანქანის ძარაში მიყუჟული მიჯანჯღარებდა წითელი ხიდისაკენ, კუმისის ტბისაკენ, ყარაიასაკენ...

თავიდან ჰქონდა ბავშვური, ვნებიანი სურვილი, რომ ასეთი ყოფილიყო. ფანტაზია არ აძლევდა მოსვენებას, ქმნიდა სურათებს, რომლებიც უნდა არსებულიყო სინამდვილეში. ეს სურათები თანდათან ისეთი რეალური და ამაღელვებელნი ხდებოდნენ, რომ აღარ შეეძლო ვინმესათვის არ გაეზიარებინა და ის ტყუოდა... მაგრამ ნაამბობი ისეთი ცხადი გამოუდიოდა, რომ უჯერებდნენ. ეს ამბავი იქამდე მივიდა, რომ მოხდა გაორება: სხვების თვალში უკვე თითქმის ის იყო, რაც უნდოდა, რომ ყოფილიყო (ბიჭური ბუნდოვანი დარდი და ოცნება ხიფათზე, თავგადასავალზე), მაგრამ თვითონ იცოდა, რომ ეს ასე არ არის. ეს ამბავი ვალად დაედო, გადაიქცა მოვალედ და ვალის გადახდა გადაუდებელი გახდა. განუწყვეტლივ გრძნობდა სულ უფრო მზარდ აუცილებლობას თავისი მითების სინამდვილედ გადაქცევისას... აქედან დაიწყო პირველი მარტოობა. საჭირო იყო ჯერ სულ მარტოკას გამოეცადა თავი, რადგან მას უჯერებდნენ, მან კი თვითონაც არ იცოდა, რა შეუძლია. აქედან დაიწყო „თბილი ლოგინიდან ცივ ღამეში“

გასვლები და ეს იყო სწორედ მისი კაცობის პირველი ანა-ბანა... ამ ექსპერიმენტებმა ჩაითრიეს, რადგან ამასთან შეხებისთანავე გაიხსნა უამრავი სიღრმე, რომლებიც უნდა დაეძლია მის ხასიათს. ეს იყო წარმტაცი საქმე, რომელშიაც არ ილეოდა ბრძოლის აზარტი და სულ ახალი სიძნელეები, რომლებიც იზიდავდნენ, როგორც ლამფა ბუზანკალს. აუცილებელი გახდა სიმარტოვე, ამაში უკვე ველარავინ უშველიდა და არც უნდოდა და მოხდა ისე, რომ ამ სიმარტოვეში მართლა დაკაცდა და ბავშვური ფიცხი თავმოყვარეობა შეცვალა ცივმა, მშვიდმა თავის რწმენამ...

. . . . . .

მაგრამ ჯერ კიდევ მანამდე იყო ეპოქა კერპთაყვანისმცემლობისა. ეპოქა, როცა დაუოკებელი ჟინით ეძებდა და იცვლიდა სულ ახალსა და ახალ ტოტემებს. ბოროტებსა და მძლავრებს, მებრძოლ კეთილებს, სუსტსხეულიან მეოცნებეთ და გამჭრიახ, დაუნდობელ ეგოისტებს, სუფთამზერიან ამაყ რაინდებსა და ბასრ თვალებიან ცინიკოსებს... და ხდებოდა მისტიური რიტუალები ტოტემებში განხორცებისა, ბრმა მიბაძვისა და თაყვანისცემის...

...ერთხელ მოხდა საკვირველი შემთხვევა:

მანქანა ხრამის პირას დარჩა. გზა აღარ ჩანდა. გარშემო, ცის დასალიერამდე ყვითელი, გადამხმარი სერები იწვა. მარტოკა გაჰყვა ხრამის ნაპირს... ფერდობი, რომელზედაც გავიდა, მთლად ერთიანი ტინისა იყო, გამობურცული და გლუვი, როგორც დინოზავრის გვერდი...

მოულოდნელად მოხვდა სხვანაირ ქვეყანაში, რომელიც მანამდე არასოდეს ენახა...

ქვემოთ, დიდ სივრცეზე, ერთმანეთს ტალღებივით მისდევდა შიშველი, ცარცისფერი ბორცვები. ეს ბორცვები უცნაური წითური ზოლებით იყო დახაზული და მკვეთრი იისფერი ჩრდილები დაჰყვებოდა ბორცვებს. გადაღმა გრძელი, ნაჩეხი, აგურისფერი ქედი მოჩანდა. ქედს ზემოთ კი — შორეული ლურჯი მთიანეთი ყინულოვანი მწვერვალების ჯაჭვით. სიჩუმე იდგა. ხანდახან ქარი ქვებზე ქვიშას ახახუნებდა. ცაში, ძალიან დიდ სიმაღლეზე ტრიალებდნენ შავი ორბები...

იდგა გაშეშებული, მტანჯველი მოგონების გრძნობით მთლად აყვანილი. საიდანღაც, თავისი ბუნების ღრმა ჯულღმულებიდან ახსენდებოდა ეს ქვეყანა, მაგრამ საღი აზროვნების უტყუარობით მტკიცედ იცოდა, რომ არასოდეს, არც სიზმარში, არც ცხადში, არც ეკრანზე, არც ფოტოზე არ უნახავს იგი და არც აღწერა გაუგონია... მერე წავიდა. გაფაციცებული გადადიოდა ბორცვიდან ბორცვზე და გაოცებული გრძნობდა, რომ ნაცნობი იყო ყოველი მოსახვევი, თეთრი ქვის მშრალი კალაპოტი, ღარში ჩახერგილი ყავისფერი ლოდები, მზეზე ჩახუხებული ველური ქონდრის სუნი, გლუვ, წითელ, გამოქვაბულებით დაჩვრეტილ კლდეზე ჩამოყოლებული ბასტიონის ძველთაძველი კედელი და ჩამონგრეული გოდოლის სილუეტი. ჩამოხრამულ ხევში, ნიაღვრებით ჩამოტანილ ლამში ამოსული რამდენიმე ჯუჯა, ველური ნუში, ყვითელი, ქერა თმასავით მობიბინე კაკბის ბალახი და გორაკებს შორის ჩამდგარი მოიისფრო ლიბრი ბინდი...

სულ უფრო ძლიერდებოდა ნაცნობებისა და შინაურების აუხსნელი შეგრძნება და თანდათან გადაიზარდა მოლოდინსა და წინათგრძნობაში რაღაც უაღრესად მახლობელსა და მშობლიურთან შეხვედრისა. შეხვედრისა იმასთან, რაც ხელდახელ ნათელს გახდიდა ყველაფერს. ...ღელავდა. მოუთმენლობისაგან გული საშინლად აუჩქროლდა და უკვე განსჯადაკარგული აწყდებოდა აქეთ-იქით იმ რაღაცა გაუგებარისა და უცნობის მოსახელთებლად, რის სიახლოვესაც მთელი მისი არსება საგანგაშო ზარის რეკვასავით გრძნობდა...

და უეცრად ცარცისფერ გორაკებში დაინახა მგლისსახიანი მამაკაცი. უეჭ-

ველი სიცხადით ხედავდა უდაბნოს მზისა და ქარისაგან გამომშრალ და დაღარულ, ჩამოხვეწილ სახეს მძაფრი, მედგარი, მახვილი მზერით, იმ მზერით, რომელიც მიზანს არასოდეს აცილებს და მან ისიც იცნო, თუმცა არასოდეს ენახა... იცნო და მიხვდა და უკვე იცოდა უდავოდ და მტკიცედ, (საიდან მიილო ეს ცოდნა?), რომ ეს ის იყო, ვისი იმედიც ჰქონდა ყოველთვის, ვინც აძლებინებდა სიმართლეში ბოლომდე... საღი გონება კი ჯანყობდა სადღაც მეორე რიგიდან: ვინ?... საიდან?... რატომ?... და ამ დროს მოახლოვდა, შეეხო და მერე გადაუარა მშობლიურობის ისეთმა ძლიერმა ტალღამ, რომ ამისი აუხსნელად მიღება და გადატანა საღ გონებას უკვე აღარ შეეძლო... შემდეგ, ეტყობა, ცუდად გახდა, რადგან დროის რაღაც მონაკვეთი აღარ ახსოვს. გამოაფხიზლა მისი თანამგზავრის შორიდან მოსულმა ძახილმა. მუხლმოკვეთილი, მთლად გამოფიტული და აზრისაგან დაცლილი გამოლასლასდა მანქანასთან და თანამგზავრის შეშფოთებულ შეკითხვებზე: „სად იყავი?.. რა მოგივიდა?..“ მხოლოდ „არაფერი...“ — წაილუღლუღა...

შემდეგშიაც ეს ყველაფერი აუხსნელი დარჩა მისთვის, მაგრამ ის სახე მისი თანამდევი გახდა და ყოველთვის, გასაჭირში იქნებოდა თუ სიხარულში, როცა ეს სახე წარმოუდგებოდა, მშობლიურობისა და საიმედოობის თბილი ტალღა გადაევლებოდა ხოლმე გულზე და ამის შემდეგ უჩვეულოდ კარგად გრძნობდა თავს კარგახანს...

. . . . . . .

კიდევ ერთმა სურათმა გაირბინა გონებაში:

დაბლა დაშვებული აბაჟური ანათებს მხოლოდ ფართე მაგიდას და მოხუცის თეთრფაფრიან დიდ თავს. დანარჩენი ყველაფერი ღრმა ჩრდილშია მოქცეული. განათებულ მაგიდაზე დახვავებულია სხვადასხვა ადგილას გადაშლილი, უზარმაზარი ფორმატის ძველი, სქელფურცლიანი ტომები. ისმის ზღაპრული სახელები: უჩელლო, მანტენია, პიერო დელა ფრანჩესკა, გირლანდაიო... იცვლება ფერადოვანი სანახაობანი. მათ ნელა ფურცლავს დიდი, დაკუნთული, სახსრებში დაკოჟრილი, ლურჯძარღვებდაგრეხილი, ყავისფერი ლაქებით მოჩითული, ბებერი, ნამუშევარი მხატვრის ხელი. მსხვილნაკვთებიანი ძლიერი სახე, დიდი კეხიანი ცხვირი და ფართე, ღია ფერის თვალები, ხშირი, გაბურძგნული წარბები... ყურებიდანაც გამოზრდილა თეთრი თმის ბლუჯები. ის ნელა, ფშვინვით სუნთქავს, ლაპარაკის დროს ყელში ისმის „ღღღ...“-ს მაგვარი ბგერა და მის მხართან, ჩრდილში არც კი ჩანს პატარა მრგვალთავა ბიჭი, რომლისთვისაც ლაპარაკობს ბებერი ფანტაზიორი... მერე მოგვიანებით, როცა ახალ სამყაროს ნაზიარები ბიჭის შინ წასვლის დრო დგებოდა, ფართებეჭებიანი ბებერი მხატვარი, სქელ ნაქსოვ ხალათში გახვეული, გამოაცილებდა ხოლმე ბნელ კიბეებზე და ასანთს ასანთზე ანთებდა, სანამ ბიჭი ქუჩიდან არ დაუძახებდა: „უკვე გაველი!..“-ო.

ბებერი, კეთილი კერპი, ყველაზე ძველი და ყველაზე ხანგრძლივი, რომელიც სწორედ უდიდესი სიკეთის გამო იყო ყველაზე ძნელად დასამსხვრევი კერპი...

. . . . . . .

...მერე დადგა მძიმე დრო სიძულვილისა და ტოტემების მსხვრევისა...

დიდი ხნის შემდეგ, დაწყნარებული სიმწიფის დროს, თანდათან დარწმუნდა, რომ ეს სიძულვილი პირადად ამ კერპებს კი არ ეკუთვნოდათ, არამედ მის საკუთარ თაყვანისცემას მათდამი. ის თავისუფალი იყო მათგან და დაწმენდილი მზერით შორიდან ხედავდა, რომ კერპებმა დაკარგეს შემბოჭველი ზემოქმედება და ზოგიერთ მათგანს აღმოაჩნდათ მშვიდი, ბრძენი სახეები. მოხდა ორმაგი გათავისუფლება: მისი პირადი — მათი ზემოქმედებისაგან და თვითონ კერპებისა — მისი თაყვანისცემისაგან...

მაშინ კი, როცა პირველად გათავისუფლდა უკანასკნელი კერპისაგან, პირველად დადგა სიბნელე, სიცივე და სიცარიელე და დაიწყო მისი ხეტიალი ამ სიცარიელეში იმ ადგილისაკენ, სადაც გათენებისას დაიწყებდა თ ა ვ ი ს ნ ა დ ი რ ო ბ ა ს...

ამ მოგონებებში იყო რაღაც უსიამოვნო სიმწარე და თითქმის გამოფხიზლდა. მაგრამ ბნელ, სქელ ნისლში საბოლოოდ წაშლილიყო საზღვარი ძილსა და სიფხიზლეს შორის. დაბინდული გონება ისევ შეუმჩნევლად გადნა დაწყვეტილი ჩვენებების ნაკადში...

. . . . . . . .

...დათვს, როცა ის გაჭრეს, უზარმაზარი გული აღმოაჩნდა. რა შეუძლია ამხელა გულს?... ამ გულმა შეძლო თერთმეტი ჭრილობით დახვრეტილი ტანის ისეთ სიმაღლეზე ატანა და თან ისე სწრაფად, რომ ორი ძალიან ჯანმრთელი და ძალიან სწრაფი მამაკაცი სასროლადაც ვერ წამოეწია, სანამ თითონ არ ჩაუსაფრდა მათ თოვლის გვირაბში. ამ გულმა შეაძლებინა სისხლისაგან დაცლილ, ფაქტიურად მკვდარ სხეულს უკანასკნელი ელვისებური თავდასხმა, რომელიც კიდევ უფრო სწრაფმა ტყვიამ ჩაშალა...

დათვის ამბავმა მთელი სიმწვავითა და საშინელებით აგრძნობინა, როგორია, როცა გაურბიხარ შენსკენ მომართულ ლულებს. გაურბიხარ, მაგრამ მაინც გეწევიან პატარა სიკვდილები და მოუშორებლად და სასტიკად იჭრებიან შენი სხეულის ყველაზე ღრმა სიღრმეებში. ვერაფრით ვერ შეაკავებ მათ, ვერაფერს ვერ მოიფარებ და გრძნობ უმწეო სიშიშვლესა და გამხეცებას, გარბიხარ, რომ მოშორდე, გაასწრო მათგან უკანასკნელსა და ყველაზე საშინელს, მაგრამ იმათ, რომლებიც უკვე შენში არიან, ველარსად გაექცევი და ისინი თვითონ დაამთავრებენ თავიანთ საქმეს ცოტა ხანში... მერე, როცა ოთხივე მოგროვდნენ და თავს დაადგნენ თოვლზე გართხმულ, თერთმეტი ჭრილობით დახვრეტილ გოლიათურ გვამს, გაჩნდა უსიამოვნო გრძნობა გაურკვეველი სირცხვილისა და მიხვდა, რომ ეს არ იყო თანაბარი შებრძოლება. ეს იყო ბანდისაგან დევნა ერთისა და მკვლელობა. დაუმძიმდა ხასიათი და მიხვდა, რომ არის საქმეები, რომლებიც მარტოკამ უნდა გააკეთო, თორემ გახდები სამარცხვინო დანაშაულის მონაწილე...

. . . . .

...ფეხით მიდიოდნენ ჩაბნელებულ, ფართე და გრძელ ქუჩაზე. გარშემო ყველაფერი მიმკვდარებული იყო და დაცარიელებული. მიდიოდნენ სწრაფად და ჩუმად და ის ხედავდა, როგორ ცახცახებდა გვერდით მომავალი ქალი, როგორ დაპატარავდა იგი, როგორ დაკარგა თითქოს სხეული, როგორ წაიშალა მისი პატარა, საყვარელი სახე და დარჩა მხოლოდ დიდი დატანჯული თვალები. იცოდა, რომ იგი სიცივისაგან კი არ ცახცახებდა, ცახცახებდა მის წინ უეცრად გახსნილი სიცარიელის წინაშე და მერე მოესმა მისი ძლივს გასაგონი ხმა:

„ლადო!.. ლადო!..“ — და როცა პასუხი არ მიიღო, ჩუმი შეკითხვა: „ნუთუ სულ არაფერი გაქვს სათქმელი?..“

სათქმელი ბევრი ჰქონდა. დღე და ღამე არ ეყოფოდა ყველაფრის სათქმელად, მაგრამ ეს უკვე აღარ შეიძლებოდა. მას ბოლომდე უნდა გაევლო დაჭიმულ მჭრელ მავთულზე, რომელზედაც ებრძოდა არა მარტო ტკივილსა და წონასწორობისათვის დაძაბულობას, კიდევ ებრძოდა სურვილსაც, რომ მიეფურთხებინა ამ მავთულისათვის და მოწყვეტილიყო ქვევით, რბილ და საიმედო ბადეში. თითონვე უკვირდა და თითქმის წყინდა კიდეც, რომ მაინც ახერხებს წონასწორობის შენარჩუნებას... უნდოდა დანამდვილებით ეგრძნო, რომ მეტი აღარ შეუძლია და რომ უკვე ნამდვილად შეუძლებელია თავის შეკავება. სულ ზღვარზე იყო დათმობისა, მაგრამ ამ ზღვარს არ გადადიოდა. რაღაც სასწაულით რჩებოდა მის კიდეზე. თითქმის აბრაზებდა კიდეც

თავისი გამძლეობა, მაგრამ არ შეეძლო შეგნებულად გადაებიჯებინა ამ კიდეზე, რადგან იცოდა, რომ მაშინ დარჩებოდა დამამცირებელი წუწუნი და მოუნელებელი სინანული არ გაკეთებულზე. იწყებოდა კიდევ ერთი გასვლა „თბილი ლოგინიდან ცივ ღამეში“...

. . . . . . . . .

„...მაშინ ისე მოხდა, რომ გვიანღა მივხვდი, როგორ მივქარე, ამ ნაყარზე რომ შემოვვარდი. დაჭრილმა ფსიტმა აქ ისე გაირბინა, ქვაც არ შეურხევია. მეც ზედ მივყევი და ყურადღება არ მიმიქცევია დაქანების კუთხისა და ლოდების სიდიდისათვის, რომლებიც წკიპზე იყვნენ შეხოხოლავებულნი საზარელი სიღრმის პირას. სამი ნახტომის გაკეთება მოვასწარი ლოდებზე, რომლებიც შეხებისთანავე ქვემოთ დაიძრნენ და ჯერაც არ ჩამწყდარიყო მათი ხეთქების ექო ხევში. შემდეგ წამში კი ბაყაყივით გავიტყაპე. მქონდა ინსტინქტური, მძაფრი მოთხოვნილება, გავშლილიყავი, რაც შეიძლება, ფართედ... ახლა მთელი ტანით ვგრძნობდი, როგორ ირყეოდა და ყაყანებდა ჩემს ქვეშ ლოდები. პირველ წამში კიდევ შემრჩა გარეშე ფიქრის უნარი და უკან მომავალ გივის დავუღრიალე: „ფეხი არ გადმოადგა!..“ მაგრამ იმავე წამს თვალის კიდით დავინახე, რომ გაფრთხილება ზედმეტი იყო. გივი თვითონაც კარგად ხედავდა ჩემს განწირულ მდგომარეობას. ჩემი შველა აღარავის შეეძლო...

ამის შემდეგ ვიგრძენი, როგორ გამიცივდა და დამისველდა შუბლი და დამეწყო თვალღია კოშმარი. თითები შიშველ ნერვებად გადაიქცნენ და ხალმის განმმუხტველის სიფრთხილით სინჯავდნენ ლოდებს. უჩვეულო, ამ წამებში დაბადებული მგრძნობელობით აღიქვამდნენ მათი სიმყარის ხარისხს და სასოწარკვეთილი სურვილით ეძებდნენ ოდნავ მყარ ზედაპირს და როცა იპოვნეს, ზედ შეეწებნენ და ჩააფრინდნენ ჭანგებივით...

მაშინ ისევ დავინახე გაღმა დარჩენილი გივი და ჩამესმა მისი თავზარდაცემული ლოცვა თუ ხვეწნა:

„ლადო, რამე ქენი გენაცვალე!... რამე ქენი!... რამე ქენი, გეხვეწები!... რამე ქენი, გენაცვალე!...“ — ის თითქმის ტიროდა და ამან საბოლოოდ დამანახვა ჩვენს შორის გაჩენილი ზღვარი. ეს ის ზღვარი იყო, რომელსაც თავის ნებით არავინ გადადის და რომლის იქიდანაც არავინ ბრუნდება...

ამ დროს ვიგრძენი მძიმე, მოძრავი, შეუკავებელი დაწოლა მკერდზე და მივხვდი, რომ ველარაფერს შევაჩერებდი. ისევ გაქრა გარემო და დარჩა მხოლოდ ეს, მკერდზე მოწოლილი მაჯლაჯუნა. წამის მეათედი თვითონვე მიკვირდა, რომ კიდევ ვაკავებ და ვუძლებ და მერე უცნაურად გამსუბუქებული მოძრაობით ავუშვი მარცხენა ხელი და ფეხი. და მარჯვნივ გადავწექი. განთავისუფლებული ლოდი დაიძრა, დაცურდა, მერე გაქანდა და შხუილითა და ხეთქებით გაფრინდა უფსკრულში...

გაიარეს მოლოდინით სავსე დაბნელებულმა წუთებმა, არ ვიცი, რამდენმა, და ამ წუთებმა რომ გაიარეს, ვიგრძენი, რომ ასე გაჩერება აღარ შეიძლება და აღარც შემიძლია. მაგრამ ფიქრი რაიმე მოძრაობაზე კიდევ უფრო საშინელი იყო და წარმოუდგენელი. ამ დროს ისევ ჩამესმა გივის ხვეწნა: „რამე ქენი, შენი ჭირიმე, რამე ქენი!...“ — და გამიკვირდა: „ნუთუ ამდენხანს ერთიდაიგივეს იმეორებს?...“ მერე უეცრად, ელდენის დარტყმასავით, ჩემთვისვე მოულოდნელად შევახტი ზევითა ლოდებს და ოთხივე ხელ-ხეფის სწრაფი, კატისებური მოძრაობით ავვარდი ჩემს ქვეშ ამოძრავებულ ლოდებზე და ნაყარში ამოშვერილ კლდის ქიმს მივაფრინდი. ეს უკვე საშველი იყო და ცხოველური, უაზრო სიხარულით ვუსმენდი ქვემოთ ატეხილ ხრიალს და საკუთარი გულის ბაგა-ბუგს და ვგრძნობდი, რომ ჩემ ქვეშ მყარი კლდეა და მას ვერაფერი მოჰგლეჯს. რამდენ წუთს ვტკბებოდი ამ კლდეზე, ესეც არ ვიცი, მხოლოდ დადგა დრო, როცა ვიგ-

რძენი, რომ არც ამ კლდეზე ყოფნა შეიძლება დაუსრულებლად და შევაფოფხდი ზემოდან ჩამოყუდებულ კლდის ნაპრალს. ვეძებდი გადასასვლელს მარცხნივ, იქით, სადაც გივი დარჩა. იმ მხარემ ისევ შეიძინა რეალობა და გახდა მისაწვდომი, მხოლოდ გზა იყო საპოვნი. მაგრამ კლდე მარცხნივ გაუვალი იყო და გასასვლელის ძებნაში სულ მაღლა და მაღლა მივიწევდი, სანამ წამოხურულმა კლდემ არ გამაჩერა. როგორც კი გავჩერდი, საშინელი დაღლილობა მომერია და მთლად მოვეშვი. მივხვდი, რომ დიდხანს ვეღარ გავძლებდი. ასე დასუსტებული ვეღარც სარისკო ნახტომს შევძლებდი, რომელიც ერთადერთი საშუალებაა იყო მარცხნივ გადასვლისა. ვეკიდე კლდეზე და გადიოდნენ წუთები. გონება გამეწმინდა და დამიწყნარდა. სალად ავწონ-დავწონე საკუთარი მდგომარეობა და გული დამწყდა იმ უიმედო ადგილს იმიტომ გადავურჩი, რომ ამ კლდეზე ვეკიდო სანამ გამიძლებენ დაჭიმული მკლავის ძარღვები და მერე უფსკრულში მოვწყდე?.. ასევე ფხიზლად და აუღელვებლად ვფიქრობდი იმაზე, რომ რაც მეტ ხანს მოვიცდი, მით უფრო დავუძლურდები და მით უფრო საეჭვო გახდება ბოლო ნახტომი. მაგრამ ვეღარ ვახერხებდი თავის იძულებას ამ ნახტომზე. წუთები ისევ გადიოდა და ქვეშეცნეულად ვგრძნობდი, რომ გონების ბრძანებით შესრულებული მოძრაობა არ იქნება საკმაოდ სწრაფი და მობილიზებული და მეშინოდა... კიდევ უფრო ღრმად, ცნობიერების გამოუცნობ ჯურღმულებში კი იბადებოდა შეუგნებელი მოლოდინი ტრანსის წამისა, რომელიც შემაძლებინებდა ამ ნახტომს...

ეს მართლაც მოხდა და ანაზდეული, ნადირული ნახტომის შემდეგ აღმოვჩნდი კლდეზე, საიდანაც უკვე მოხერხდებოდა დაკიდებულ ფერდობზე გადაცოცება. იქ უკვე ფეხზე დგომაც შეიძლებოდა...

კარგახანს ვიჯექი და ვკანკალებდი. ხელებიცა და ფეხებიც მომმჩვაროდნენ და ვგრძნობდი სულელურ, დამბალ, მტირალა სიხარულს. ადგომის თავიც აღარა მქონდა და სულ საჯდომზე ხოხიალით ჩავედი ფერდის ძირამდე, თან თასმით კარაბინს მივათრევდი, რომელიც ახლაღა ვიგრძენი ზურგზე და მოვიხსენი...

როცა გივიმდე ჩავაღწიე, წამოვდექი და ბოლო ნაბიჯები თოფზე დაყრდნობით ჩავიარე. მძიმედ დავეგდე ლოდზე. გივი ერთხანს თვალდაჭყეტილი მომჩერებოდა. მერე მებდღვნა და კოცნა დამიწყო. ამ კოცნისაგან, მახსოვს, კინაღამ გული წამივიდა. გივი დაფაცურდა, დაბნეულად ცდილობდა რაიმე გაეკეთებინა და ბოლოს სიგარეტი ამოიღო და პირში შემჩარა, მომიკიდა. თამბაქოს ბოლის პირველ ამოსუნთქვასთან ერთად ყველაფერმა გაიარა. მომხდარი უცებ გადაირიცხა წარსულში და თავისი ადგილი დაიკავა. წონასწორობა აღსდგა. მაგრამ ის ზღვარი ისევ აქვე, გვერდით იყო და უცებ გიჟურმა აზრმა გაირბინა: „რომ ავდგე და ისევ შევიდე იმ ნაყარზე?..“ — და ტანში გამცრა ამის წარმოდგენაზე...

„მაინც რა ცოტას გაკეთება შეგვიძლია ადამიანებს ერთმანეთისათვის...“ — ვფიქრობდი და სიგარეტს ვექაჩებოდი, — „იქ სულ მარტოკა ვიყავი და ვეღარავინ მიშველიდა, გინდაც მთელი პოლკი მდგარიყო გარშემო ჩემი კეთილისმყოფელებისა... დახმარება ხერხდება მხოლოდ რაღაც ზღვრამდე, რომლის იქით რჩები მარტოდმარტო ყველაზე საშინელისა და ძნელის წინაშე. სხვანი კი ყველანი ზღვარს გადაღმა რჩებიან, ზღვარს გადაღმა რჩება მათი თანაგრძნობაც და დახმარების სურვილიც...“

მერე გივიმ მითხრა: პირველად რომ შეგხედე ფერდაზე ჩამოსულს, შემეშინდა, ისეთი თეთრი იყავი და გაწურული, ამდგარ მკვდარსა ჰგავდიო...

შემდეგში, როცა ჩემი თანამგზავრი ამ ამბავს ნაცნობებს უამბობდა, ეს გაკვირვებასა და პატივისცემას იწვევდა...

მაგრამ მე თვითონ მეჯავრებოდა ამისი მოგონება, რადგან მახსენდებოდა მქისე, საზიზღარი, დამამცირებელი შეგრძნება უმწეობისა და განწირულებისა და ტვინის გამყინავი, გულის შემაღონებელი შიში.

ახლა კი, მრავალი წლის შემდეგ, ვიხსენებ იმ აკვიატებულ ფიქრს: „რომ ავდგე და ისევ შევიდე იმ ნაყარზე?..“ — მაშინ სასწრაფოდ რომ მოვიწყვიტე თავიდან, როგორც ამაზრზენი სიგიჟე... ახლა ვიცი, რომ ეს სიგიჟე არ იყო. ეს ლოღიკური განვითარება იყო უკვე მომხდარისა... მაშინ ამისი გარკვევა ჩემთვის შეუძლებელი და აუტანელი იყო... ახლა კი ნათელია: იქიდან გადარჩენა გონისმიერი მოქმედებით შეუძლებელი იყო. ეს მოხდა გაუცნობიერებლად, რაღაც ფარული მექანიზმის ამოქმედების შედეგად. მაგრამ თუ შეგნებულად შევალ ისევ იმ ნაყარზე და შეგნებულად მოვუცდი იმ ფარული მექანიზმის ამოქმედებას და თუ მექანიზმი მართლაც ამოქმედდება, ეს იმისი ნიშანი იქნება, რომ არსებობს შესაძლებლობა ამ მექანიზმის დაუფლებისა და ამის მისაღწევად დამჭირდება გაგრძელება სახიფათო ექსპერიმენტებისა...

ალბათ როდისმე მაინც მომიწევს შეგნებულად შესვლა იმ ნაყარზე, ანდა ამ ნაყარის ტოლფასი სხვა რაიმეს გამონახვა...

. . . . . . . .

ნოლაის ტრამალში, ეულად გავლებულ შარაზე გარბოდა მანქანა. გარშემო ტრიალებდა უსასრულო ლამაზი სიბრტყე, მოხატული მქრქალი ოქროსა, ვერცხლისა და ბრინჯაოს კეთილშობილი ფერებით. ზოგან ძუნწად ერთვოდა უმბრა და მეწამული ლაქები. ჰორიზონტები დაბინდული იყო და წაშლილი. აქა-იქ გაიბრჭყვიალებდა არტეზიული ჭების გარშემო დატბორებული, ლელმოდებული წყლები და ქარი მოიტანდა ამ ტბორების თავზე ეულად მოწრიალე ტრამალის წითელი იხვის საწყალობელ ხმას... საიგაკებზე ნადირობა არ გამოვიდა და სამი დღე-ღამის ალმა-დალმა ხეტიალით უსაშველოდ დაღლილი, ახლა იჯდა მანქანის ღია ფანჯარასთან და ყოველგვარი ფიქრის გარეშე ისუნთქავდა ტრამალიდან მონაბერ ავშანა-ბალახის მომწარო სურნელს და გრძნობდა დაბინდული სივრცეებიდან მომავალ უსაზმნო ნაღველს. კიდევ გრძნობდა სხვა ნაღველსაც. ნაღველს იმაზე, რაც დატოვა აქეთ წამოსვლის წინ. დატოვა ისე, თითქოს ეს მისთვის სულერთი და ძალიან ადვილი ყოფილიყო და მოახერხა კიდეც გარეგნულად ისეთი სახის შენარჩუნება, მაგრამ ეს ძნელი იყო და მოუშორებელი, როგორც სისხლიანი ჭრილობა, რომელიც არ ხორცდება და სადაც გინდა იყო და რასაც გინდა აკეთებდე, მაინც გტკივა და თავს არ გაიწყებს. ამიტომ დაიწყო მარტოკამ წრუპვა იმ არყის ბოთლიდან, სტანიცაში რომ იყიდეს დალამებისას. ამხანაგებმა უარი თქვეს დალევაზე და თითონ გახსნა ბოთლი და დაიწყო პატარ-პატარა ყლუპებით სმა. უკანა დასაჯდომზე სამად ჩაკეცილი მისი ძმაკაცი ალერსიანად იცინოდა და ამბობდა: „ეს რა ლოთი ყოფილა, ბიჭო!..“ საჭეზე მჯდომი ილიმებოდა და უდასტურებდა: „რა, არ იცოდი?..“ იგი გრძნობდა მათგან მომავალ მეგობრულ სითბოს და ამისაგან უცნაურად მოლბა და დათვრა და მერე, როცა გროზნოში თავიანთ მასპინძელს მიაგნეს და გაშლილი სუფრა დახვდათ ცხვრის მწვადებითა და ჯიგრის ყაურმით დახვავებული, დაითანხმეს, მანქანიდან გადმოსვლაზე. განძრევაც არ შეეძლო, მას უნდოდა ასე მარტოკა ყოფილიყო თავის სიმთვრალესთან და ილუზიასთან, თითქოს ჭრილობა პირის შეკვრას იწყებდა. მასპინძელი გაკვირვებული იყო და დიდხანს ვერ შერიგებოდა ამ ამბავს. ძმაკაცებმა, როგორც იქნა აუხსნეს, რომ ძალიან მთვრალია და არა ღირს ჩაციება, დააწყნარეს და ისიც დაშოშმინდა, თავს აქნევდა და გამგებიანად ილიმებოდა...

. . . . .

...სიბნელეში, გვერდით დადიოდნენ ვიღაცეები და ძალიან უკვირდა, საიდან გაჩნდნენ აქ ამ დროს... ბუნდოვან სილუეტებში რაღაც ნაცნობიც მოეჩვენა. მგონი ისინი არიან, გასქელებული, დამძიმებული მამაკაცები, სამსახურისა და ოჯახის საქმეებით დაკავებულნი, დღისით რომ გახამებულ პერანგებსა და ძვირფას ჰალსტუხებში არიან, საღამოობით კი შალის პიჟამებსა და ძვირფას ჩუსტებში... ნუთუ აქაც ამოაღწიეს... შეშფოთებისაგან მთლად დაიძაბა, მაგრამ შეუძლებელი იყო რაიმეს გარჩევა. ქარმა წამოუსისინა. სიბნელე ისევ ცარიელი და ცივი გახდა. შეშფოთებამ თანდათან იკლო, დაილია და გაქრა. ყურადღება მთლიანად ქარმა დაიკავა. ქარი უსისინებდა და უსტვენდა, გადიოდა ძვალ-რბილში. თანდათან უმატა სტვენას და ქედებზე ნამქერის ბაირაღებიააფრიალა. მერე უცებ აღმუვლდა და მისი ღმუილი დაძრული ზვავების გრუხუნში აირია. საშინელი ორომტრიალი იდგა და მთლად სასოწარკვეთილი ეჰიდებოდა და იხუტებდა ანას, ცდილობდა თავისი სხეულით დაეფარა და აგიჟებდა ფიქრი, რომ თვითონ ტყავის ქურთუკი აცვია, ანა კი ღამის პერანგის ამარაა. გრიალით იფუშებოდნენ ზემოთ გადმოკიდებული ყინულის ლავგარდანები. იშლებოდნენ და შავ დაგლეჯილ ღრუბლებში ირეოდნენ თოვლისა და მიწის შავეები. გრძნობდა, რომ იყინება და უკვე აღარ იცოდა, ანა ცოცხალია, თუ არა... ვეღარც მის სახეს ხედავდა. წამითაც არ შეიძლებოდა ხელის შეშვება, ან მოძუნება, თორემ ქარი მაშინათვე წაჰგლეჯდა და წაიღებდა...

მერე ბნელ ოთახში იყვნენ. სიწყნარე იდგა. იატაკი სველი იყო შემოტანილი თოვლისა და წყლისაგან. ტყავის ქურთუკიდან იფერთხავდა თოვლის ნაგლეჯებს და წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. იატაკზე, ღია გალიასთან, გუბეებს შორის დაბაჯბაჯებდა მუქი შინდისფერი მოკლეკუდა თუთიყუში და როცა მისკენ დაიხარა, ბაჯბაჯს მოუჩქარა და გალიაში შეასწრო. ეს თუთიყუში მგონი თელავიდან წამოიყვანა. ვარდის ბაღში, ბუჩქის ძირას მიბმული ნახა. ფართხალებდა და ეწყვეტებოდა, როცა ხელი სტაცა და აიყვანა. მეზობლის დედაკაცი მოსულიყო ძღვნით. ჩუქნიდა დიდ, ბიბილო დაგლეჯილ კრუხს და ეუბნებოდა: ეგ თუთიყუში რად გინდაო... მორიდებულად არწმუნებდა დედაბერს, რომ თუთიყუში ურჩევნია, კრუხი არ უნდა, დიდ მადლობას უხდიდა...

...ანა უკან, ჩაბნელებულ კუთხეში იწვა და არა ჩანდა. ისევ არ იცოდა, ცოცხალია იგი, თუ არა. პირდაპირ, ფართე მინის კარებში მოჩანდა ქალაქის სინათლეები და ნელნელა ისევ ავსებდა საშიშროების ნაცნობი გრძნობა... ეს გრძნობა იმ სინათლეებიდან მოდიოდა, იმ განათებული ფართე ლოჯიებიანი ბინებიდან, სადაც ცხოვრობდნენ ათასობით დამძიმებული მამაკაცები. მათ ახლა ეცვათ ძვირფასი, შალის პიჟამები და ძვირფასი, რბილი ჩუსტები. ¦ხსნიდნენ ბორჯომის ბოთლებს და უყურებდნენ ტელევიზორებს... არა, იქ ამათ ჯერ არ აუღწევიათ და ალბათ ვერც ვერასოდეს ააღწევენ, მაგრამ მაინც არ შორდებოდა საშიშროების გრძნობა. ‚ქვეშეცნეულად იცოდა, რომ მათ რაღაცა აკავებთ, რაღაც ადვილად მოსაშლელი პირობითი ზღუდე. საკმაოა ამ ზღუდის შეცდომით მოშლა და ისინი მის პროკურორებად და ჯალათებად გადაიქცევიან...

მთლად სველი იყო, ძიგძიგებდა და ხედავდა, რომ ამ სიფრიფანა კარებში მინებიც კი არა ყოფილა ჩასმული და უკან, სიბნელეში წევს ანა და მან კიდევ ვერ გაიგო, როგორაა იგი...

...და უცებ მოესმა დედამისის ხმა. ჰერმაღალი, გრძელი, ბნელი დერეფნის ბოლოს, ფართე, გრილი სამზარეულოდან ისმოდა ჰურჰლის წკრიალი და მელოდიური წყნარი ხმები — ხმადაბლა ლაპარაკობდნენ დედამისი და დიდედამისი... ხედავდა კიდეც დიდე-

დას ქათქათა თეთრ, ხშირ, სქელ თმას, მკაცრად დავარცხნილსა და კეფაზე დიდი, ძვლის სავარცხლით დამაგრებულს. ხედავდა დედამისის მოკლედ შეკრეჭილ წაბლისფერთმიან თავს. ხედავდა მხვიარა მწვანე მცენარეებით მოხატულ, გაჩენიდან ნაცნობ მათლაფებს, რომლებსაც ისინი ამშრალებდნენ ზოლიანი ტილოებით და ერთმანეთზე ალაგებდნენ. მაგრამ ვერ არჩევდა სახეებს. ეს აწვალებდა და თანდათან მოეძალა აუტანელი, მტანჯველი დარდი დედამისის სახეზე, აუტანლად მოუნდა მისი ახლო ნახვა. ისე უნდოდა იმ სამზარეულოში მოხვედრა, რომ ლამის იყო, ეტირა... მაგრამ ეს არაფრით არ ხერხდებოდა და უკვე დარწმუნდა, რომ ეს შეუძლებელია და მიუღწეველი. ყელამდე შემოაწვა მაღრჩობელა დარდი და გრძნობდა, რომ აქედან ხსნა იქნება მხოლოდ და მხოლოდ ქვითინი, რომლითაც უკვე დაებერა ყელის ძარღვები და საცაა ამოსკდებოდა, როგორც ბავშვობაში. ...და ამ დროს, თითქოს რაღაც გადაირთო, მოხდა მოულოდნელი: დედამისი მის გვერდით იყო, მის გვერდით იყო მისი საყვარელი სახე და მანამ, სანამ გახარებას მოასწრებდა, მოხდა კიდევ უფრო საკვირველი: მას აღარ უნდოდა ეს სახე, აღარ უნდოდა მისი სიახლოვე, სრულიად გულგრილი იყო მისადმი და ვეღარც კი აღიქვამდა მის სიახლოვეს. იცოდა, ხედავდა, რომ აქვე იყო, მაგრამ ვეღარ აღიქვამდა... გრძნობდა ისევ დარდს, მხოლოდ ახლა გრძნობდა დარდს იმ მტანჯველი დარდის შეგრძნებაზე, რომელიც წეღან ასე მძაფრად განიცადა...

ისევ იმ კუთხისაკენ მიიწევდა, სადაც ანა ეგულებოდა, საჩქაროდ უნდა დაეხედა მისთვის, მაგრამ ბნელ ტალანებში გაიბლანდა, იარა და სულ სხვა ადგილას გამოვიდა... გარშემო შხამიანი ფერებით აჭრელებული ვრცელი ტბორი, თუ ჭაობი გაჩნდა. თითონ გამხმარ ხეზე იჯდა, სულ ზედა ტოტებში. ხე ძალიან დიდი იყო, როგორც მრავალსართულიანი სახლი და ზემოდან ხუფივით ეხურა ცის ლურჯი გუმბათი. ჭაობი ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე გადაჭიმულიყო და მხოლოდ რამდენგანმე მოჩანდა ხმელი ხეების ჩონჩხები. ჭაობს თავს დასტრიალებდა უზარმაზარი, ლეგა, საზარელი ფრინველი. მკაფიოდ ხედავდა ყოველ ბუმბულს, გლუვსა და მკვრივს, თითქოს ფოლადიდან გამოჭრილს. ფრინველი მდორედ ტრიალებდა და ქვეშ, ჭრელ ჭაობზე, ღრუბელივით დაჰყვებოდა გოლიათური ჩრდილი. თვითონ ხის ტოტებში ბუზივით ჩაკარგულიყო და განუწყვეტლივ ესროდა ფრინველს ორლულა თოფიდან. ყოველი გასროლა მიზანში ხვდებოდა, მაგრამ ფრინველს არაფერი ემჩნეოდა და სასოწარკვეთილი ფიქრობდა: ამით მაგას რა უნდა დავაკლო?.. როდემდე უნდა ვისროდე ასე?.. ხანდახან ფრინველი ზედ ხის წვერთან ჩაივლიდა ხოლმე, როგორც დიდი, აფრებიანი ხომალდი და ჩანდა, როგორ ტრიალებდა აქეთ-იქით მისი ბორბლისხელა, ჩაბნელებული, საზარელი თვალი. ისევ და ისევ ურტყამდა ორლულა თოფიდან და შესამჩნევი გახდა, რომ ფრინველი დამძიმდა მის სხეულში დაგროვებული ტყვიის კილოგრამებისაგან და უეცრად მოიშალა ჰაერში, ტორტმან-ტორტმანით წამოვიდა ძირს და ჩაასკდა ჭაობში. აქ დაიწყო ბორგვა და თხლაშუნი, მიანგრ-მოანგრია ყველაფერი და ტალახის შადრევნები დააყენა. ბოლოს დაეგდო. ამაზრზენი, თავზარდამცემი სანახავი იყო ეს უზარმაზარი ლეში, უამრავი ფართე ჭრილობებით, რომლებიც ეხლაღა გამოჩნდა. მაშინ დააპირა ხიდან ჩამოსვლა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არ იცის, ან როგორ ჩამოვიდეს ხიდან, ან როგორ იაროს ჭაობში, ან სად გავიდეს ამ ჭაობიდან...

. . . . . . . .

აფორიაქებული ეძებდა გამოსავალს და აუტანელი ხდებოდა ძებნაც და მოლოდინიც. მოუთმენლად მოუნდა მოძრაობა. იგრძნო ტკივილი გაშეშებულ

ტანში და საბოლოოდ გამოფხიზლდა. ბინდში ცრიატი შუქი ჩამდგარიყო, მაგრამ ნისლი ისევ ისე სქლად იწვა. ხაბიჯზედაც არა ჩანდა არაფერი. უნდა მოეცადნა, სანამ დილის ჯანღი საბოლოოდ გადაიყრებოდა...

გამოფხიზლებულს კიდევ უფრო მოერია სიცივე და მთელი ტანით ისე ძიგძიგებდა, რომ იდაყვები უკან კლდეს ურაკუნებდნენ. სიმწრით აჭერდა არაკრაკებულ კბილებს ერთმანეთს, მაგრამ ვერაფრით ველარ იკავებდა ძიგძიგს და მაინც ისევ აწუხებდა ღამინდელი შეგრძნება, რომ გვერდით ვილაცეები მოძრაობენ... გაეცინა კიდევაც ამის წარმოდგენაზე, მაგრამ თუ დაფიქრდებოდი, მთლად უსაფუძვლო არ იყო ეს მოჩვენება: მართლაც ბევრ ადგილას ავიდნენ უკვე, ბევრი ადგილი გადათელეს და აქციეს შარაგზად, მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ და მხოლოდ მისი და მისთანების დახმარებით. თითონ იყო მათი უნებური მზვერავი და გზისგამკვლევი... ზიზღით იხსენებდა თავის ალფრთოვანებულ ტრაბახსა და თავმოწონებას ახალნახულითა და ახალმიკვლეულით. რა აიძულებდა ენაგადმოგდებულს ერატრატა ამაზე?.. თავისი მოდგმის უძველესი და უძლიერესი სტიმული, ის, რასაც თვითონ „ბანდარ-ლოგური“[1] შეჯიბრი დაარქვა, შეჯიბრი კოზირების გადმოლაგებაში: „აი, მე რა მაქვს!..“ და საპასუხო: „აი, მე კიდევ რა!..“ ამაზეა დამყარებული მის თვისტომთა ურთიერთობანი: ამათუიმ ფორმითა თუ სახით დემონსტრირება საკუთარი უპირატესობისა... და ამის გამო თვითონაც გახდა მიზეზი ბევრი მაღალი ადგილის „ბანდარ-ლოგურ“ ინვენტარად გადაქცევისა...

მერე დადგა დრო, როცა ეგონა, რომ დაძლია აშკარა, წვრილმანი „ბანდარ-ლოგობა“. მიაღწია იმას, რომ სრულებით გამოეთიშა „ბანდარ-ლოგურ“ შეჯიბრს... მაგრამ სად იყო გარანტია, რომ თვითონ ეს გამოთიშვა და ცალკე დადგომა არ იყო ახალი კოზირი, ახალი, უფრო მაღალ ხარისხში აყვანილი ბანდარ-ლოგობა?..

დაეწყო ისტერია, როცა ყოველ ახალ მოქმედებაში ახალ „ბანდარ-ლოგობას“ ხედავდა და ბოლოს მიხვდა, რომ თითქმის შეუძლებელია ამისაგან განთავისუფლება, ყოველშემთხვევაში ჯერ არავის უგემნია ასეთი თავისუფლება...

მაგრამ მაინც ვერ შეურიგდა საბოლოოდ ამ ამბავს და თუმცა იცოდა ამისი ამაოება, ვერ უძლებდა ხოლმე აქედან დასასხლტომი კიდევ ერთი გზის მოსინჯვის ცდუნებას...

აგორებული ქვა და ხავსის მოკიდება. რომელი ჯობია?..

კარგია ხავსის მოკიდება, თუ ჯობია დროზე გაგორდე?...

კარგია და ადვილი, როცა შენს მოძრაობას აღიქვამ თვალსაჩინო მიჯნებით, რომელთაც უკან იტოვებ...

ძნელია სიცარიელეში მოძრაობა, როცა არაფერი გრჩება გარდა საკუთარი მოძრაობის შეგრძნებისა და განუწყვეტლივ გაწვალებს ამ შეგრძნების თვალნათლივ შემოწმების სურვილი...

საჭიროა საკუთარ თავთან ეს მუდმივი ბრძოლა და ჯიბრი?.. ბრძოლა, რომლისგანაც არ რჩება ნაყოფი, არც გამარჯვება და არც გამოცდილება?..

საჭიროა, განუწყვეტელი, დაუმთავრებელი ბრძოლა საკუთარ ნაგავთან, რათა ის არ დაგროვდეს და არ მოგეკიდოს ხავსად?.. ბრძოლა, რომელშიაც ვერასოდეს გაიმარჯვებ და პირველი შესვენებისთანავე დამარცხდები?..

. . . . .

გულამღვრეული უმზერდა, როგორ უთავბოლოდ იბოლებოდა ნისლი, ტრიალებდა, იკუმშებოდა, იზლაზნებოდა და აღარ იშლებოდა. მერე დაინახა, როგორ თანდათან გამომჟღავნდნენ ცრიატი ბინდიდან კლდეები, გამოიკვეთნენ და შეიძინეს მოცულობა და მარცხნივ, დახორავებულ ლოდებში ჯიხვი დაინახა.

---

1 ბანდარ-ლოგები — მაიმუნების მოდგმა კიპლინგის „ჯუნგლის წიგნიდან“.

ის ათიოდე ნაბიჯზე იყო ლოდებში არაბუნებრივად ჩახერგილი და შეტენილი, თითქოს მდინარემ გამორიყაო...

წვალებით გაშალა გახევებული ხელფეხი და წამოდგა. არცერთი სახსარი არ ემორჩილებოდა და კარგახანს მოუნდა მათ მოთელვასა და დაზელას, სანამ სისხლმა გაიარა გაყინულ ძარღვებში და ამოძრავდა...

უცნაურ სიმსუბუქესა გრძნობდა. თითქოს შიგნიდან დაცარიელდა და მხოლოდ ქერქილა დარჩა. ამიტომ ყოველი ნაბიჯი გაუბედავი და მოუხერხებელი იყო, ვერა გრძნობდა დასაყრდენს...

ჯიხვი გუშინდელი მკვდარი იყო. ბეწვიც კი გაშეშებოდა და ზემოდან თრთვილი ედო. თვალები გალურჯებული და დალიბრული ჰქონდა. გაღებული პირი მშრალი იყო და გაშავებული გამხმარი სისხლისაგან. კბილების ძირებზე ჩარჩენოდა სიყვითლე — ბალახის წვენის დაძველებული კვალი. ორი შავი ნახვრეტი — ერთი კისრის ძირში, მეორე — ზურგში, ხერხემლიდან ორი თითის დადებაზე — ისეთი ძველი და გამხმარი ჩანდა, თითქოს გახურებული ლურსმნით გამოწვესო მუყაოში. მხოლოდ მეორე მხარე, როცა გაჭირვებით წამოსწია სიპიდან, აღმოჩნდა სველი და გაზლიკნილი დაძველებული, გაწყალებული სისხლისაგან. ამ სისხლითვე იყო მოთხვრილი სიპიც და როცა რკინასავით მძიმე ჯიხვი უკანვე დააგდო, დაინახა, როგორ ჩამოიჟონა მოშავომოყავისფრო წვეთი იმ ადგილიდან, სადაც ბეჭებში გავლილ ტყვიას გამოეგლიჯა სხეული...

„და ამ დანგრეული გულ-მკერდით ამოვიდა აქამდე...“ — გაიფიქრა და გადააფურთხა.

გაყინულ, განაწამებ გონებაში აღარ იყო აღარც აზარტი, აღარც სიხარული. მხოლოდ მთელი არსებით გრძნობდა, რომ ა ღ ა რ უ ნ დ ა ნ ა ნ ა დ ი რ ე ვ ი. რომ აღარაა არავინ და აღარაფერი, რისთვისაც დასჭირდებოდა, ან გაუხარდებოდა ნანადირევის ჩატანა და რომ ბრიყვობა იქნებოდა ცენტნერი ხორცის უმიზნო თრევა ორწოხებში. ამის გარდა სხვა აღარავითარი განცდა არ აბოგინებულა. მძიმედ დამყარებულ სიცარიელეში.

თავისივე გათხრილი საფეხურებით დაიწყო უკანვე ჩასვლა. მზე უკვე აცხუნებდა და საფეხურები მოესველებინა. ფეხი უსხლტოდა და ძალიან წვალობდა. ძირამდე ცოტაღა აკლდა, რომ მაინც მოსხლტა და ზურგსა და საჯდომზე სრიალით ჩავიდა, ხელის გულიც გადაიტყავა მაგარ, ხორკლიან თოვლზე, მაგრამ არც კი უგრძვნია... ნელა მიეხეტებოდა გუშინდელ გაქვალულ თოვლში. მზე აუტანლად წვავდა თავპირს, თვალები სტკიოდა ყინულების ბრჭყვიალისაგან. სახეცა და გონებაც ალმურში ჰქონდა გახვეული და ჩუმი გმინვით მიიკვლევდა გზას ყელისაკენ...

. . . . . . .

საღამოს, თავის კარავში, საძილე ტომარაზე დაგდებული, სანამ უნიათოდ ღოღნიდა ნესტიანი, დაძველებული პურის ნატეხს, განიცდიდა საშინელ გრძნობას თავისი დიდი და ძნელი შრომის უაზრობისას და მერე გადაქანცული, თითქმის დაავადებული გონება უცებ ჩაიძირა უკუნეთ სიბნელეში...

. . . . . . .

დადგა ბრჭყვიალა, ლურჯი დილა, გამჭვირვალე ჰაერში დაკარგულიყო სიშორის აღქმა და შორეული და ახლო მწვერვალები ერთნაირი სიცხადით ჩანდნენ. კარვიდან მოჩანდა მის წინ დაქანებული ბალახიანი ფერდობი, რომელზედაც ეს წუთია დაეშვა მამალი როჭო. ცის ფონზე, ნამით მოციმციმე ქუჩის ღეროებში, გაარჩია კიდეც შოღერებული თავკისერის შავი სილუეტი და მიხვდა, რომ დაეჭვებული როჭო მას უთვალთვალებდა.

წყნარად აშალა ბანაკი, შეკრა ბარგი. მერე ზედ ჩამოჯდა, გახსნა ძეხვის კონსერვი, გრძელი დანით ამოჭრა ნახევარი და ნელ-ნელა, მადიანად დახა-

ყრდა. მერე სიგარეტი გააბოლა და უაზროდ გაჰყურებდა მრგვალ, ბალახიან ფერდობს, რომელსაც სხამას ღეროები თამბაქოს პლანტაციასავით მოსდებოდა. გრძნობდა გალახულ სიმშვიდეს, რომელიც დგება პირველ წყნარ დილას, მწარე დამარცხების შემდეგ.

...ფერდობის ძირში თოფმოღერებული ჩავიდა, რადგან გვერდით ბექებიდან უკვე „მესსერშმიტებივით“ მოჰქროდნენ დიდი ნაგაზები... ფარეხში თეთრად ფუთფუთებდა ცხვარი და მიხვდა, რომ ჯერ კიდევ წველიდნენ. მწყემსმა, რომელიც ფარეხისაკენ მოდიოდა, ცარიელა კოჭობი ძირს დადგა და ძაღლებს გადმოერია.

თოფის ლულის ქნევითა და „გეთ!.. გეთ!..“-ის ღრიალით მიაღწია ფარეხის ყორეს, შეჩერდა და მიესალმა. ერთხანს უყურებდა მოფუთფუთე დედა ცხვარში ჩაკუზულ მაღალ, ქერა ბანჯგვლიან მწყემსს, რომელიც კოჭობს ხან ერთ ცხვარს შეუდგამდა, ხან მეორეს და ნიჩაბივით განიერი, დაწითლებული ხელებით ებღლვნებოდა ხოლმე ცურებში. დაფეთებული ცხვარი ნერვიულობისაგან ზედ ხელებზე აკურკლავდა. ის კი ფრთხილი, მოზომილი მოძრაობით, ისე, რომ კურკლი რძეში არ მოხვედრილიყო, გადმოაბრუნებდა ხელს გვერდზე, გადააგდებდა და მერე ხელს პაჭიჭზე შეიხოცავდა.

„რა ინადირე?..“ — ჰკითხა დუმილის შემდეგ მწყემსმა.

„ერთი ვაცი მოვკალი...“ — უთხრა და მერე დაიწყო ჩვენება და დაწვრილებით ახსნა, სად არის და როგორ უნდა მიაგნონ და უთხრა, იქნებ ჩამოიტანოთ, ხორცად გამოგადგებათო...

ადგილების ახსნაზე მწყემსები თავებს აკანტურებდნენ, რადგან ის კარგად და ზუსტად უხსნიდა და ორივენი უნებურად გაჰყვნენ გონების თვალით ნაცნობ ადგილებს... „ე, რამსიშორეს გადევნებიხარო...“ — გაიკვირვა ერთმა. მაგრამ ჩამოტანაზე შეხედეს და ერთხანს გაჩუმდნენ. მერე ქერა ბანჯგვლიანმა თქვა

„იმ სიმაღლეზე რა ამიყვანს...“

მერე თითქოს მოიბოდიშაო, ისე უთხრა:

„აბა მაგისი დრო სად არი?.. ორნილა ვართ. ვერა ხედავ, ამ დრომდი წველას ვერ ავსვლივართ. ერთი კვირაა ცხელი შეჭამანდი გვენატრება... დრო რომ იყოს, განა მე კი აღარ წავიდოდი სანადიროდ?..“

წამოდგა, გულიანად გაიღრიჭა და დაამატა:

„ხორცი კიდე, აგე, რამოდენა დარბის...“ — ცხვრებისაკენ გაიქნია ხელი...

. . . . .

სწრაფად ეშვებოდა ფერდაზე და ზურგზე გრძნობდა მწყემსების დაეჭვებულ მზერას.

„ისლა დაგრჩენია, დარჩე და მწყემსებს ცხვრის წველაში უშველო...“ — ფიქრობდა გესლიანად და გრძნობდა, რომ კარგავდა კიდევ ერთ „თბილ ლოგინს“ და იწყებოდა ისევ უცნობი სიცარიელე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია სტურუა

## ლიტერატურული რემინისცენციები

ერთი ქალი მეგობარს წერდა:
— შესაძლებლობა გამიჩნდა,
რომ დავიხმარო ვინმე
ბავშვების და სახლის მოვლაში,
მაგრამ რა ვუყო მაშინ ჩემს ტანჯვას,
რომელსაც ამდენი ხანია
ვუფრთხილდები და ველოლიავები!
ეს ტანჯვა აწერინებდა ლექსებს,
რომლებშიც ცირცელის ბუჩქი —
აყვავებული სისხლი,
უფრო სამშობლო იყო, ვიდრე სიტყვა „სამშობლო“...
ცნობილ პიანისტს,
რომელიც ისე უკრავდა,
კაცს რომ ყელში ტოროლა ჩაუსვა
(ხელი კრა ცისკენ)
და იმას რომ კრიალა ხმა ამოუვა,
აი, ასეთ კაცს
ერთ მშვენიერ დღეს მოეჩვენა,
რომ შუშისაა მისი ხელები
და როიალთან შეხებისთანავე დაიმტვრევიან,
თითები ოთახის კუთხეებში,
კარადების ქვეშ შეგორდებიან მძივებივით
და შეუძლებელი გახდება მათგან
ორი ხელის მტევანი აასხა...
ხოლო როცა მუსიკა კვდება —
შავი ბემოლები ჩაჩხრიალდება
როიალის შავ კუბოში,
სიმების იმედიანი ოქრო კი არ ჩანს,
რადგან კუბო თავდახურულია.
აი, მაშინ, იმ წუთას,
სრულიად ფხიზელი პოეტი
გაფრინდება ღია ფანჯრიდან
არა მძიმე სენის, ან მარტოობის გამო,
მაგრამ, ვინ იცის, იქნებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამბახის ღერო გადაუტყდა სულში
და ისე ეტკინა, რომ მიხვდა,
თავისი ტკივილით
იმ ერთადერთი ბავშვის ცრემლსაც განელებდა,
რომელიც საყოველთაო ჰარმონიას ხელს უშლის.
იქნებ, ამიტომ უფრთხილდებიან
და ელოლიავებიან პოეტები
საკუთარ ტკივილს ბოლო წუთამდე...

## ჩემი ბავშვობის მუსიკალური თანხლება

ის იყო კაცი, ნათესავი, ოჯახის წევრი
ქირით გამოტანილი როიალი
ბებერი, ტრადიციული,
მაგიდასავით თუ სკამივით რომ დგას,
რომელზედაც მე ვუკრავ დღეში სამი საათი
და ჩვენ, ორივე, მოწაფეებივით,
ჩვენი ხისტი და მოუქნელი ტანებით,
ვერაფერს ვერ ვამბობთ,
გარდა გაზეპირებული გაკვეთილისა...
და მე ის მიყვარს, რადგან
ტყუილიც გამდის და სიზარმაცეც
ამ დარბაისელი მოწმის ხათრით,
მაგრამ უფრო იმიტომ, რომ მარტო მე ვხედავ,
როგორ ამოტეხავს მის პირში
ქავილით და ტკივილით სხვა როიალი,
რომელიც ისეთივე თავისუფალია
როგორც ჩემი წარმოსახვა.
მე ხომ ყოველდღიურ ცხოვრებაში
ბავშვობიდან მოყოლებული,
ჯარისკაცივით ვასრულებ უმაღლეს ბრძანებებს,
წარმოდგენაში კი იმ როიალს ვგავარ,
რომელიც ისე გაუსაძლისად ანთია
დედა-ავეჯის ტანში,
როგორც სიძულვილი ოთხ კედელში,
მაგრამ ძალიან თუ გაუჭირდა,
გამოტეხავს კედლებს და წავა,
და მადლობის ნიშნად გამითავისუფლებს ხელებს,
რომლებიც ძაღლებივით მყავდა
გამობმული კლავიატურაზე,
გულისგამაწვრილებელ გამებს ვდარაჯობდი
მშობლების წაქეზებით.
ახლა ორივე თვალით მიმალურსმავს მასზე
ვიღაც ხელვარდიანი კაცი,
რომელიც არც ზის და არც დგას,
ჰაერში ტივტივებს და უკრავს როიალზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ჩემი თვალების გუგებსა და თეთრონებზე,
გასკეცებულზე, მუსიკაზე გამრავლებულზე;
რადგან ჩემთვის არ არსებობს
სმენის ნეტარება
გამძლარი თვალის გარეშე
ალბათ, ჩემი დაგვიანებული სიბეცეც,
თვალის ფერადი, თავაშვებული ზეიმების საზღაურია...
ის კაცი კი არც ზის და არც დგას,
ჰაერში ტივტივებს და როიალის
შავ, გალაქულ მუცელში ჯოჯოხეთს ანთებს,
მერე სამოთხის ვაშლებს აკრიალებს
სადღესასწაულო ფანჯრებივით...
მე ვდგავარ და ვუყურებ ამ ფანჯრებს,
როგორც მონატრებულ სამშობლოს,
უკვე კაცი, უკვე დანაშაულის გრძნობით შეპყრობილი
რადგან წანწალის დაუძლეველმა სურვილმა
ჩემს სახლს ჰერი ახადა თავის დროზე
და ქალალდის ნაკუწებივით
აქეთ-იქით გამიფანტა ახლობლები,
როიალიც წაიღეს დიდი ხნის წინ
და ერთადერთი, რაც დამრჩა,
მისი ბარტყი, ჰაერში მდგარი,
ხელვარდიანი კაცის თანხლებით,
რომელიც, დამინახავს თუ არა,
თითქოს, მარწყვის კალათა ჩაიმხო პირში,
ისე ტკბილად ამრგვალებს ცას
და ჰერის ნაცვლად თავზე მახურავს ცარგვალს.
(უფრო შინაური, უფრო სახლური სახელი ცის
და უფრო მიმზიდველი
ჩემისთანა მოხეტიალესათვის)...
რომელსაც სულ სარძევე კბილივით
მეჰრება პირში მუსიკის ფესვი,
ულალატოდ თავისუფალი,
მიუხედავად იმისა, რომ გაუთავებლად
მიმტკიცებს ცხოვრება
სალეჰი კბილების უპირატესობას...

## მეტაფორის სიყვარული

როგორც დედა იპოვის ყველანაირ მდგომარეობაში
გამოსავალს შვილისთვის, ისეთს,
როგორიც ჯანსაღ გონებას არც მოელანდება,
თაგვის ხვრელში გააძვრენს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თმის ბეწვზე გაატარებს,
ფანჯრის ღრიჭეში შეაცურებს მზის სხივივით,
ასეთი შველაა ჩემთვის მეტაფორა.
მაგალითად, მე ვამბობ, რომ მომისმენია
ბულბულის სიმღერა,
მაგრამ როგორ მომისმენია?
ფირზე ჩაწერილი. ხოლო ეს
ისეთი არაბუნებრივი და უზნეო საქციელია,
რომ მაშინვე წარმოვიდგენ
როგორ გვანან ადამიანის ყურები ვარდებს,
სინათლეზე თუ გახედავ,
(ჭარბსისხლიანები, ჩახვეულები)
და ჩემი ყურების ვარდისფერ წალკოტში
ბულბული ამღერდება,
ამ მეტაფორაზე შემოჯდება,
მოსევადებულ-მოვერცხლილ ენაზე
რაფინირებული შაქრის ნატეხებს გაიდნობს
და ისე გატკბილდება გარემო,
რომ სულ იოლი გახდება სიმღერა,
თანაც თუ ჩემს დარბაისელ წინაპარს გავიხსენებ,
ცაში ფრენას და ბულბულის ენას
რომ მოითხოვდა
ამათთან ისე მსუბუქად გარითმული ზენასგან,
რომ მეც უყოყმანოდ ავყევი,
თავი ამოვიტყავე საკუთარი შესაძლებლობიდან...
და როცა მოშურნენი იტყვიან
ისეთი შეუვალობით,
თითქოს საკუთარი ჭირნახული მოიწიეს:
— რაც უნდა იხტუნო,
სიკვდილს ვერ აცდებიო!
და კმაყოფილებისაგან ხელებს მოიფშვნეტენ,
იმას ველარ წარმოიდგენენ,
რომ მე თავქვეშ მეტაფორის ბალიში მიდევს,
დედის კალთის მაგიერი,
რომელიც მიწიდანაც ამომაპარებს
ყვავილივით თუ ჩიტივით...
ეს რომ იცოდნენ, თავისი უძვლო
და გალექსილი ენით
სიამოვნებით ჩამაბრუნებდნენ
უკან, მიწაში,
მაგრამ ფრინველთან და მცენარესთან ლაპარაკი
მათ ყველაზე თამამ სურვილსაც აღემატება
და მე ძალიან ცოტა მეგულება ისეთი,
რომ საკუთარი შესაძლებლობიდან ამოხტეს,
თავი ამოიტყავოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაუცხოება

არ ვიცი, ციდან ჩამოდის ის,
თუ ყველაზე მაღალ ხის ტოტიდან
შემოვა,
ფრთებს ქოლგასავით დაკეცავს,
სასთუმალთან ჩამომიჯდება
და, სწორედ, მაშინ მესიზმრება
ის ერთი სიზმარი,
რომელიც რეფრენივით გასდევს
მთელს ჩემს ცხოვრებას:
საღამოხანს ვბრუნდები სახლში,
ოღონდ, აღარ მახსოვს ამ დილას გავედი,
თუ ერთი წლის წინ
და ვერავინ ვერ მცნობს,
ძაღლიც კი, რადგან ჩემი სუნი,
რომელიც ისეთი მკვეთრი იყო მისთვის,
როგორც სისხლიან-ოხშივრიანი ხორცის ნაჭერი,
ახლა სუნის აჩრდილად იქცა
და რაღაც მოგონებას კი იწვევს,
მაგრამ ამასაც წვიმა შლის...
ჩემს სიზმარში აუცილებლად წვიმს
და მე მომაქვს ახლობლებისთვის
წვიმის შრიალა გვირილები
ყვითელი გულები — შორეული მზის გახსენება,
ძაღლისთვის კი ხორცის ნაცვლად
სევდის თეთრი, გამოხრული ძვალი
და ისინი უარს ამბობენ ჩემზე...
ამ სიზმრის მომყვანიც უკვე აღარ მიზის სასთუმალთან,
ალბათ, გაფრინდა თავის ხეზე, თუ ვარსკვლავზე,
ჩემი ბიძაშვილი,
რომელიც თოთხმეტი წლისა მოკვდა,
შორეულ კლაიპედაში,
ჩვენს დროში სრულიად არარომანტიკული
ჭლექისგან,
ან, იქნებ, იმიტომ,
რომ მასაც ვესიზმრებოდით ჩვენ,
რომლებიც სახლში ვუშვებდით,
წერილებს ვწერდით, მაგრამ ვერ ვცნობდით,
რადგან უცხო წვიმებმა ჩამორეცხეს
მისი სუნი, მონათესავე,
და უსისხლო თარგმანს დაემგვანა
ჩვენი ურთიერთობა...
მას კი, თურმე, მთელი ამ ხნის განმავლობაში
სიტყვები ტკიოდა,
ისეთი თანხმოვანჭარბი და მყივანი,
რომ ან თავს გათქმევინებენ, ან მოგკლავენ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო ქუთათელაძე

## ზაფხულის სურათი

მოჩითულია ზაფრანებით მთები და ჭალა —
მზე ჩამოვიდა, უამრავი ცრემლი დაღვარა,
სერზე მოგოგავს ვარსკვლავივით გოგო პატარა
და მისდევს უკან დარღვეული სივრცე თაკარა,
ტბაზე ტირიფი სიცხისაგან წელში გამტყდარა,
ტოტზე ყრანტალებს დალეული შავი ყვანჩალა.

* * *

მე ფოთლებივით მცვივა დარდები,
რაკი სხეული შემოდგომაა
და სიყვითლისგან მინდა ავტირდე,
რაკი სხეული შემოდგომაა.
შემოდგომაა ჩემი აპრილი,
ჩემი მაისიც შემოდგომაა,
შემოდგომაა, რაც გავიარე
და გასავლელიც შემოდგომაა.

მე ფოთლებივით მცვივა ჩიტები,
თეთრი ჩიტები ჩემი სხეულის,
ვარ დალეული წყაროს წყალივით
და სიმინდივით გადამტვრეული,
მაგრამ არ მტკივა არცერთი ნეკნი,
არც სისხლი მწამლავს მოხეტიალე,
შემოდგომითაც ამოდის მზე და —
ერთი დღე მაინც გაიმზიანებს.

* * *

მ. ლ-ს

გზაზე ისევ დაღვრილა
მზისფერ მალამოსავით
სიჭაბუკის მადლი...
ფოთის მატარებელი
თბილისიდან ისევ
ისე გვიან გადის.
ისევ მინანაობენ
რწევა-რწევით ცხენები

აჩქარება არ სურთ,
მეც მას გავექიდები,
მეც მას დავედევნები
დროს დიდი ხნის წასულს.
ახლა ისე ამჩატდა,
როგორც ჩიტი ნიბლია
გალეული სული,
თითქოს ბიჭი მეზობლის

უკან დასდევნებია
შურდულით და მდურვით.
და მოფრინავს ყოველი
ფრთებს ქვეშ გახელებული
ეზო-ყორე, ჭალა,
პაწაწინა ფინია
გზაზე მიაფრიალებს
მეპატრონის ხალათს...
ოი, რა შორს წასულა,
სოფელს გასცილებია,
ალბათ წუთისოფელს...
ჩვენი ბედის სამდურავს
გზას რომ ვეღარ ავუვლით
ყოვლის უარმყოფელს.
მერე გვიდგას მზესავით
ერთმანეთის ნახვის და
შეღამების დარი,
სხვა დროს არა გვცალია,
ფერი უკვე შეაცვდა
სიყვარულის ყვავილს.
როგორც ნოეს კიდობანს
ვაკოწიწებთ, ვაწებებთ
ყველა. ნათლის სითბოს,
თუკი რამე ჩვენგან,
(ან სულ რომ არ გვეხება)
გადარჩენას ითხოვს.
მერე ცხენით მივაპობთ
დრო და ჟამის სატკივარს —
გამოუცნობ სივრცეს;
ქარი თვალებს გაჰკვესავს,
ეკალ-ბარდებს ჩავუვლით —
შემოგვაყრის ხიწვებს...
მაგრამ ესეც ლამაზი
და ძალიან სათუთი
გამოჩნდება ალბათ,
დრო-ჟამი რომ დაჩრდილავს
და უცნობი ცრემლებით
დააფარებს კალთას.

• • •

მინაწერი მ. ბულგაკოვის წიგნზე
„ოსტატი და მარგარიტა“

მე ახლა ისევ შენთან მოვდივარ,
რატომ მაწვალებ და მეომები...
და გალეული ჭრელი ლოდინით
ქალები, როგორც ნიამორები
იწელებიან, იზნიქებიან,
სურთ გადაახტნენ საკუთარ სურვილს...
ჩვენში სადავო არაფერია,
ბედნიერება სიკვდილის ურვით
შემოდის ჩვენთან როგორც გალობა
და შეჩერებულ წამის სიმშვენით
სულით ხორცამდე ზეიმობს სული
და ყველაფერი, რაც გაიელვებს
ვერაფრით ვერ კლავს
    სიცოცხლის წყურვილს.
მე ახლა ისევ შენთან მოვდივარ
და შემიჩერე წამი ყოველის,
მე ვქმნი, მე ისე მშვენიერი ვარ,
უფრო მშვენიერს ველარ მოველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲬᲕᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲔᲚᲝ

ველარ გიკოცნი
    ვერცხლის თავთავებს,
ვერ გიამდები
    ჩუმი ტკივილი,
ვერც ვიმაისე,
    ვერ ვიავდარე,
ისე წაველი,
    როგორც გიხილე!
წვიმის ბალახზე
    ჩემი ფიქრია,
წვიმა არა ჩანს,
    არსად არ არის,
შენი წვიმები
    ისევ მიჰქრიან,
სველდება შენი
    ოქროს თავთავი.
წვიმის კოშკები
    ააგო ზეცამ,
წვიმის კოშკებში
    წვიმა ხმაურობს...
და ყველა სურვილს
    ნელ-ნელა ვკეცავ,
რომ შენს წვიმაში
    ვიმოგზაურო.

სადა ხარ, ჩემო წვიმების მდელო,
უკვე არ მახსოვს, როდის გიხილე,
წვიმა მოდის და სველდება ყველა,
მე კი სიზმრების მაწვის სიმძიმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა მრელაშვილი

# გრილი, სუფთა ჰაერი

შენ წყნარად დგები და ფანჯრისკენ მიდიხარ.

გარეთ საღამოა, წვიმს და ხედავ, როგორ სველდება სახლის სახურავები, ხეები, ქუჩა... თუ როგორ ცდილობენ გამვლელ-გამომვლელნი წვეთიც კი არ მიაკარონ ტანსაცმელს... შენ კი ბავშვივით დგახარ ჰერქვეშ და უეცრად რატომღაც გახსენდება სიყვარული, ძველი პურივით დავიწყებული და დაობებული. სასიამოვნო სიმღერა, რომლის მოსმენა თანდათან გბეზრდება, მაგრამ სასიამოვნო სიმღერადვე რჩება. შენ გრძნობ, რომ ჩვეულებრივი საღამოა, სადღაც ტირიან, სადღაც იცინიან, ვიღაცა კვდება, ვიღაცა რჩება, ვიღაცეები ერთმანეთს ეხვევიან, ვიღაცეები კინოს უყურებენ, ვიღაცეები მღერიან, ქეიფობენ, წერენ, კითხულობენ, სადღაც ბავშვი იბადება, სადღაც ომია, სადღაც ატომურ ბომბს ცდიან... და შენ სულაც არ გიკვირს, რომ ქუჩაში, ხის ქვეშ მჯდარი, წვიმისაგან ერთიანად გაწუწული, უპატრონო ძაღლი საცოდავად შეჰყურებს მოფუსფუსე ხალხს და ალბათ ფიქრობს კიდეც: „როგორ გაძუნწდნენ ადამიანები“.

ნერვებს გიშლის ოთახის დაგუბებული ჰაერი. გარეთ გასვლა გინდება.

ხვდები, რომ ვერაფერს დაწერ, ეს საღამო დაკარგულია.

დგები, სამზარეულოდან ერთი ნაჭერი პური გამოგაქვს ძაღლისთვის, საწვიმარს იცვამ, ქუდს იხურავ და სახლიდან გადიხარ.

გასვლისთანავე გრძნობ, რომ ერთბაშად იცვლება გარემო. ჰაერი გრილი და სასიამოვნოა. წვიმა ნელდება. საღამოს ბინდ-ბუნდს ფერადი ნეონისა და ლამპიონების შუქი კვეთს. ყველა და ყველაფერი მოძრაობს. ოღონდ ყველაფერს რაღაცნაირი, ნაღვლიანი ელფერი დაჰკრავს. მოლუშულები, ყურებჩამოყრილები დგანან სახლები, ლამპიონები, ხეები. ნაღვლიანად დასრიალებენ მანქანები. ადამიანებიც ნაღვლიანად დადიან და შენ მიგაჩნია, რომ ასეც უნდა იარონ. მათ თითქოს არ უყვართ ერთმანეთი და ვერც ჰგუობენ ერთიმეორეს. ალბათ, დიდი ხანია, იმ ტოტსაც სჭრიან, რომელზედაც თავად სხედან... შენ კი მიაბიჯებ და ფიქრობ, რომ ღმერთი მოწყალეა...

იქნებ თვითონა ხარ სევდიან განწყობაზე და ყოველივე იმიტომ გესახება ამგვარად?

არა. შენც მაგათი ჯიშისა ხარ, შენი ნაბიჯებიც სევდიანია და გიკვირს: ვინა ხარ, რას წარმოადგენ, ან როგორ შეგქმნა ბუნებამ, ანდა რა ენერგია მოგცა ისეთი, რომ სამოცი (პირობითად, რა თქმა უნდა) წელი შეგიძლია იარო, ისუნთქო, იგრძნო, უყურო, გესმოდეს... სასწაულებითაა სავსე გარემოება, ადამიანები კი ისე შეეთვისნენ ამას, რომ ველარც ამჩნევენ...

ალარ წვიმს. სამაგიეროდ, შენ იღლები.

ქუჩაში გრილი, სასიამოვნო სურნელი ტრიალებს.

ერთ-ერთ სადარბაზოსთან ჩერდები, კედელს ზურგით ეყრდნობი, ფეხებს აჯვარედინებ, ხელებს მკერდზე იკრეფ და ქუჩას გასცქერი. გულში კმაყოფილების გრძნობა გეწვეთება: მოგწონს შენი პოზა. შენ ახლა მეთვალყურე ხარ და ხედავ იმას, რასაც გამვლელ-გამომვლელნი ვერ ამჩნევენ. ხედავ, თუ როგორ იფლითება მრუმე ცა ღრუბლებად, როგორ ინთება სახლების ფანჯრებში სინათლეები, როგორ იკლაკნებიან სველ ასფალტზე ასხლეტილი ფერადი შუქები, როგორ ეჯახება, ხვდება ხალხი ერთმანეთს, რა ენერგიულად იქნევს ჯოხს მოპირდაპირე მხარეს მდგარი ავტოინსპექტორი და ა. შ. შენ გრძნობ, რომ დღე გრძელდება. ახლა საღამოა. ირგვლივ დადიან გრძნობაჩამცხრალი მამრები და ღამეულ სუდარებში გახვეული ანგელოზები, გინა ქალები. ქუჩის ყრუ, ერთფეროვან ხმაურით გამოჭედილ სმენას შენსას, სადარბაზოდან გამომავალი ფეხსაცმელების ქუსლთა კაკუნი აწყდება და უნებლიედ გეღიმება: იქნებ ამიტომ აგებენ ასფალტს მიწაზე მხოლოდ მამაკაცები... „ჩუმად, ქალი მოდის"...

სადარბაზოდან გამოსული დედაკაცი უშნოა და გული გწყდება. შენ რაღაც გახსენდება.

(მეგობრის ოთახს მქრქალი ფარდა ჰყოფდა შუაზე. შენ ფარდა შემთხვევით გადასწიე და დაინახე ტახტზე წამოწოლილი გველი — ნუკა. ასე ეძახდნენ ამ გოგოს ოთახში მყოფი ამხანაგები. ნუკას მართლაც გველივით მოქნილი ტანი და მოძრაობები ჰქონდა. შეიძლება უშნოდაც მოგჩვენებოდა, ასეთი მიმზიდველი რომ არ ყოფილიყო. შავი ქვედაკაბა ნატიფ ფეხებს ვერ უფარავდა და შემოტმასნილ შავსავე „როლინგსტონში" აფეთქებული მკერდი უთრთოდა.

იგი საოცრად ენაჭარტალა და ქარაფშუტა აღმოჩნდა).

შენ თვალს აყოლებ სადარბაზოდან გამოსულ ქალს, მერე საწვიმრის ჯიბიდან სიგარეტს იღებ, უკიდებ და ფიქრობ:

„ლამაზია ის, ვინც თავისი თავის ფასი იცის. თავისი თავის ფასი კი ყველა ლამაზმა იცის. სავალდებულო არაა, ფასი საზოგადოებამ დაგადოს. შეგიძლია თავადვე დააფასო საკუთარი თავი. ცოტა გონებაც უნდა გიჭრიდეს. მაგრამ, რომ არაა აუცილებელი ეს „სილამაზე"? აუცილებელია იყო *კარგი*, ოღონდ არაგამაღიზიანებელი. აქ უკვე ადამიანის თვალი წყვეტს საქმეს. კარგია ის, ვისაც *კარგი* თვალით ვუყურებთ...

მოდით ვიყოთ კარგები!

რაღაც უნდა შეიმჩნიოთ, რაღაცა უნდა გიხაროდეთ, უნდა გიხაროდეთ, რომ ცოცხლები ხართ, დადიხართ და სუნთქავთ, ნუ გაცივდებით (გრიპს არ ვგულისხმობ), უნდა გიკვირდეთ. რატომ არ გიკვირთ, რომ ქარი ქრის, მზე ათბობს, დედამიწა ტრიალებს, ჩვენ ვარსებობთ... მარტოოდენ იმას ნუ გაიოცებთ, რომ გოგონა, რომელიც თქვენს თვალწინ გაიზარდა — გათხოვდა! „ვა, მართლა?"

შენ ხედავ, რომ ქუჩაში მეტწილად ახალგაზრდები დადიან. მარტო, წყვილწყვილად, ხანდახან ლაპარაკიც გესმის გარკვევით და გრძნობ, რომ შენ, „სიბონზე", „სანტა ლუჩიასა" და „ტუმბა ლელეზე" გაზრდილი ბიჭი რაღაცით განსხვავდები მათგან. დროდადრო მოხუცებსაც მოჰკრავ თვალს და, რაგინდ უცნაურიც არ უნდა იყოს, რაღაც სინდისის ქენჯნისმაგვარს გრძნობ, ახალგაზრდა რომ ხარ... მაგრამ თავს იმით ინუგეშებ, რომ ოდესმე შენც დაბერდები, დაჯდები შინ, მუხლებზე შალს გადაიფარებ და გაზეთ „თბილისის" მეოთხე გვერდის კითხვას შეეჩვევი. სამაგიეროდ, ვალმოხდილი ერისკაცი იქნები. დაუჯდები შვილიშვილებს და უამბობ, თუ რა კეთილსინდისიერად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უანგაროდ ემსახურე სამშობლოს. ერისკაცობასა და სამშობლოს სიყვარულზე ლაპარაკი ხომ ყველაზე მეტად ხანშიშესულებს ემარჯვებათ...

ჰაერში რაღაც ძალიან ნაცნობი, საამო სუნი ტრიალებს და შენ გახსენდება პირველი დღე უნივერსიტეტისა. (ახალი ნაწვიმარი იყო. შენ მიიხედმოიხედე, ერთხელ კიდევ შეისუნთქე გ რ ი ლ ი, ს უ ფ თ ა ჰაერი და თეთრი შენობისაკენ აჩქარებულ შარვალ-კაბებს გაჰყევი. ეს შენობა გარედანაც და შიგნიდანაც ტაძარს ჰგავდა, ოღონდ უფრესკოს. შენ სწორედ იმ კიბეებით ახვედი მესამე სართულზე, რომლითაც მრავალჯერ უსარგებლია ბევრ ცნობილსა და ჰკუადამჯდარ ადამიანს. ცოტა ხნის შემდეგ კი, ერთი ფრიად უავტორიტეტო ლექტორის მოსაწყენ ლექციაზე, მწვანე, დაჩიჩქნილ მერხზე იჯექი და საოცრად გენატრებოდა ის გრილი, სუფთა ჰაერი).

შენ ახლა იქ აღარა ხარ. იქ სულ სხვა ხალხი ტრიალებს და ის შენობაც მათ ეკუთვნის. ოდესღაც ხომ შენიც იყო! მაშინ უამრავი მეგობარი გყავდა და მარტო არ იყავი, როგორც ახლა. ამდენი ხანია, კედელთან დგახარ ატუზული და ერთი ნაცნობიც ვერსად დალანდე. დალანდე-დალანდი, დალანდიდალანდე, გემი „დალანდი“...

უცბად საშინლად გინდება ვინმე ხმის გამცემი გედგას გვერდზე, რაიმეზე ესაუბრო და ისიც უთხრა, რომ შენ დღეს ვერაფერი გააკეთე...

თვალებს აქეთ-იქით აცეცებ. ყურადღებით აკვირდები თითქმის ყოველ გამვლელ-გამომვლელს. მერე მზერას შენგან მარჯვნივ მდგომ სატელეფონო ჯიხურზე აჩერებ. ჯიხურში ვიღაც გოგოა შესული. შენკენაა შემობრუნებული. ცელოფანის გამჭვირვალე საწვიმარი აცვია და ცისფერი კაბა საოცრად უხდება ლამაზ სხეულს. „მშვენიერი სურათია“, ფიქრობ, „ჯიხურის მინა, მინის მიღმა — გამჭვირვალე ლაბადა, ლაბადაში — ცისფერი კაბა“...

შენ სიგარეტს ეწევი და გგონია, რომ მას შეუძლია მეგობრობა გაგიწიოს. სხვა დროს თუ არა, ამ საღამოს მაინც. გოგო კი თვალმოუცილებლად გიყურებს და ლაპარაკობს. შენ გგონია, რომ მართლა გხედავს და სულელურადაც კი გაუღიმებ წამით. მაგრამ გოგოს სანდომიანი სახე არ ეცვლება, ისევ ძველებურად გიმზერს. შენ ხვდები, რომ იგი თავისდაუნებურად, ანგარიშმიუცემლად გიყურებს და სულაც არ გაქცევს ყურადღებას... მიუხედავად ამისა, მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი გამოელაპარაკო: „ცუდად ნუ გამიგებ, შენთან საუბარი მსურს“... ის გეტყვის: „ვისაუბროთ“... და გაუყვებით ნაწვიმარ ქუჩას...

გოგო ყურმილს ჰკიდებს, ჯიხურის კარს აღებს და შენკენ მოდის. ვერც გამჩნევს. შენს გულს ბაგა-ბუგი გააქვს. გოგო გიახლოვდება. აი, უკვე გაგისწორდა კიდეც. შენ პირს აღებ და...

„ისაა... ორკაპიკიანი ხომ არა გაქვთ... ზედმეტი?

„კი, როგორ არა“.

გოგო ორკაპიკიანს გაძლევს. შენ მადლობას უხდი და ამით მთავრდება ყველაფერი. მხოლოდღა თვალს აყოლებ ტროტუარზე მიმავალ გამჭვირვალე ლაბადასა და მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს...

შენ საკუთარ თავზე გეცინება და გულში ამბობ: „რა მიუხვედრელნი არიან ზოგჯერ ქალები“.

მერე ერთ ადგილზე დგომაც გბეზრდება.

„სამეთვალყურეო“ ადგილს ტოვებ და ტროტუარს აღმა უყვები. უკან იტოვებ ქსოვილების გაჩახჩახებულ მაღაზიას, ფოტოსალონს, რომლის კედლებიდანაც მრავალი არაფრისმეტყველი, ყეყეჩი სახე გიმზერს. შემდეგ სილამაზის სალონია... შენ კი მიაბიჯებ ხალხში, ვიღაცა გეჯახება, ვიღაცას ეჯახები, ადამიანებში ითქვიფები, მაგრამ ახლა უფრო მწვავედ გრძნობ საკუთარ თავს. შენ ხომ არც იდეალისტი და არც ცინიკოსი, ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ხარ, მაგრამ არა ისეთი,

ორკაპიკიანი რომ გიწყალობა და „პირნათელი“ წავიდა შენგან. შენ — შ ე ნ ა ხარ და, ეშმაკმა დალახვროს, თუ უნდათ, არანორმალურადაც ჩაგთვალონ! როგორც გინდა ისე მოიქცევი, რაცა გსურს, იმას იტყვი. ვთქვათ, გეკითხებიან: „ბოდიში, ეს სასტუმროა, არა?“ შენ პასუხობ: „არა, ეს გემია, რომელშიც კაცების ნაცვლად ვირთაგვები ცხოვრობენ!“ მაგალითად, ერთმა ნაცნობმა უთხრა მეორეს: „მე მოვკალი ძაღლი, რომელიც, სანამ მოვკლავდი, ჩემს დასაგლეჯად გამოიქცა და, სანამ გამოიქცეოდა, ერთ ადგილზე იდგა, ერთ ადგილზე მდგარი, გამოქცეული და მოკლული, ერთი და იგივე ძაღლია?“ რა თქმა უნდაო, — უპასუხებს მეორე. შენ კი, ეს რომ გკითხონ, სიგარეტს ამოიღებ ჯიბიდან, გააბოლებ და მშვიდად მიუგებ: „მაჩუქეთ ეგ ფოტოაპარატი“... ისინი ან დაიბნევიან, ან გაეცინებათ. შენ კი, ფეხებზე გკიდია... რაც მთავარია, საკუთარ თავთანა ხარ მართალი და იმის უფლებაც გაქვს, უთხრა: „დავიღალე თქვენთან სიმართლის ლაპარაკით“...

შენ მიაბიჯებ და ფიქრობ, რომ შემოდგომის ეს მოწითალო დღეები მალე ჩათავდება და მოვა ნაცრისფერი, მრუმე ზამთარი. შემდეგ გაზაფხული, ზაფხული, ისევ შემოდგომა... წარუვალია მხოლოდ და მხოლოდ ყოველივე პირველი, შენს მიერ განცდილი და დანახული. იგი შენშია ჩარჩენილი, დალექილი და მოვლა-გაფრთხილება სჭირდება, რომ მერე, სიცოცხლის ბოლო წუთებში გაგახსენდეს... მომავალი თავისას მოითხოვს შენგან და ალბათ მიიღებს კიდეც. სამაგიეროდ ბლომად მოსაგონარს გიტოვებს და, რადგან ადამიანი ხარ და არცერთი ადამიანური სურვილი შენთვის უცხო არ არის, გსურს, რომ ის „მოსაგონარი“ ყოველთვის კარგი იყოს. ჭეშმარიტად სასიამოვნო მოგონებები, ჭეშმარიტად კარგ ადამიანებს აქვთ... შენ შეგიძლია მავანის კითხვას არ უპასუხო, ვიღაცას აწყენინო, ვიღაც გალახო, ვიღაცას ეცემინო... ოღონდ თავად უნდა იყო შინაგანად კ ა რ გ ი და კიდევ... ს უ ფ თ ა ჰაერით უნდა სუნთქავდე.

„რომელი საათია?“ გეკითხებიან შენ.

„არ ვიცი. წიკწიკებს საათი, დროც გადის და მეც მივდივარ. საათი რომ გაჩერდეს, მეც გავჩერდები? არა, მე ისეთი ჯიუტი ვარ, მაინც დროს გავუყვები“, პასუხობ შენ, ტოვებ გაოცებულ შემკითხველს და გზას აგრძელებ. სულაც არ გედარდება, რა გაიფიქრა მან შენზე...

მიაბიჯებ. მიდიხარ და ყურადღებას არავის აქცევ.

შენ იმისათვის დაიბადე, რომ იარო. რაღაცა შეიძინო და რაღაცა დაკარგო. მაგრამ შეძენაცა და დაკარგვაც იოლია. ძნელი მხოლოდ პიროვნებად ჩამოყალიბება და ცხოვრებისეულ ნორმებთან კონფლიქტია. ესენი კი ერთმანეთთან იმდენად მჭიდრო კავშირშია, რომ ყოველდღიურად გრძნობ მას. (ერთხელ სამსახურში იჯექი და რაღაცას წერდი. დაგიძახეს, — მოდი, ხელფასი აიღეო. შენც მიხვედი, ფული აიღე და... იმ წუთსვე დაკარგე წერის ხალისი. მერე კი, გული იმით დაიმშვიდე, რომ ეს ყველაფერი სუსტ ნებისყოფას დააბრალე). აი, თუნდაც დღეს. შენთვის საღამო, ყველაზე კარგი და სასარგებლო დროა. საღამოობით აკეთებ ყველაფერს. წერ, ჯღაბნი, ხევ, ყრი... მაგრამ ვერსად გაქცევიხარ ამქვეყნიურ ცდუნებებს... როცა წერას იწყებ, სწორედ მაშინ გახსენდება, რომ ამხანაგს ახალი ვიდეოფილმი აქვს, რომელიც შენ არ გინახავს, ვიღაც გოგოს პაემანი დაუნიშნე, ვიღაცამ დაბადების დღეზე დაგპატიჟა... ანდა, სულაც სულელური აზრები მოგდის თავში: „ახლა, აგური რომ ჩამოვარდეს, თავზე დამეცეს და აგური გატყდეს“... „ზოოპარკში მაიმუნი ადამიანად რომ გადაიქცეს... და ა. შ. დღევანდელ საღამოს როგორღა გაამართლებ? სუფთა ჰაერზე გამოისეირნე?..

შეგნებულად არიდებ თავს ამ კითხ-

ვას და ცდილობ, სულ სხვა რამეზე იფიქრო.

შენ გგონია, რომ საკუთარ თავს მარტო თვითონ ვერ შეიცნობ. ალბათ შენი თავი სხვასთან მიმართებაში უნდა შეიცნო და ამისდა მიხედვით იქცევი ასე თუ ისე. გრძნობ, რომ მძიმე კაცი ხარ, ხანდახან ძნელად ასატანიც და, ხანდახან შერეკილიც კი (ვთქვათ, სტუმრად ხარ წვეულებაზე. ყველა კარგ გუნებაზეა, მღერიან, იცინიან. შენ კი, არ გეცინება, სდუმხარ. მერე სტუმრები დგებიან, მუსიკას ჩართავენ და ცეკვავენ. შენ კი ისევ სავარძელში ზიხარ და სერიოზული სახით უყურებ მათ. უკვე ჩურჩულებენ, შენკენ თითებს იშვერენ. რა უნდა ქნა. არ გიყვარს ეს სწრაფი ცეკვა! აბა რა არი, გამოდიხარ, ერთ ადგილას დადგები და იწყებ სრულიად არაფრისგამომხატველ, ავტომატურ მოძრაობებს. ნელ ცეკვას კიდევ არაუშავს რა. პარტნიორს რაიმეზე მაინც დაელაპარაკები... ისინი კი ცეკვავენ, სახეებზე დაღლილობის ოფლი ჩამოსდით... შენ კი, ზიხარ შენთვის ცალკე და სიგარეტს ექაჩები. მერე უცებ — ჰაცაააა! — ხელებს შლი, გადმოხტები (ფხრწ... — უკან შარვალი გერღვევა). და ფეხის წვერებზე დადგები! შერეკილი ხარ, აბა რა!). ხანდახან ინერტულიცა ხარ და უხალისოც. მაგრამ თავის გასამართლებელი პასუხი ყოველთვის მზადა გაქვს: „გუნებაზე არა ვარ“. ეს ისეთი საბუთია, რომელზედაც ვერავინ შეგედავება. ვიღაცას უთქვამს, უხასიათობა საძაგელი ხასიათიაო. შენ იცი, რომ ხასიათიდან მოდის სიკარგე. შენ ებრძვი საკუთარ უგუნებობას, ცდილობ, რომ სხვასთან მიმართებაში მაინც იყო დამაკმაყოფილებელი...

შენ სასტუმროს გასწვრივ მისეირნობ...

სასტუმროს პირველ სართულზე რესტორანია, რომლის ლამაზი, გამჭვირვალე ფარდებიანი ფანჯრები პირდაპირ ქუჩას გადმოჰყურებს. ფანჯრებიდან რაღაცნაირი თბილი, მიმზიდველი სინათლე იფრქვევა და მუსიკის ხმაც ისმის. შენ ფანჯარას უახლოვდები და დარბაზში იჭყიტები. სცენაზე ვარიეტეს შიშველი ჵანდილოსნები ცეკვავენ. მამაკაცთა დაბიჟვინებული სახეები ერთმანეთს ლოშნიან. ქალები ხმამაღლა ლაპარაკობენ და კისკისებენ. ოფიციანტები გარბი-გამორბიან. შენ გული გწყდება, რადგან ამ რესტორანში შესვლა არ შეგიძლია. ვერ გაძლებ. იქ, შიგნით, საოცრად დახუთული ჰაერია ალბათ... შენ გიკვირს: „ყველა ერთმანეთსა ჰგავს, არავის არაფერი ახსოვს“... და ერთბაშად საშინელ მარტოობას გრძნობ. ყველა რაღაცას ცოდვილობს, ყველა თავის საქმეს აკეთებს. შენ კი მარტო დგახარ და ფანჯარაში იყურები. „მოდი, მარტოსულ კაცს გაუმარჯოს“, — გახსენდება ვიღაცის ნათქვამი სადღეგრძელო და საკუთარი თავი გეცოდება... შენ იცი, რომ ამაოა ვიღაცის ძებნა. ის მაინც ვერ მიგიხვდება. როგორც ის გოგო, ორკაპიკიანი რომ გითავაზა...

ორკაპიკიანი?

ორკაპიკიანი ხომ გაქვს!

შენ უცბად იღებ გადაწყვეტილებას. ვინმეს უნდა დაურეკო. უცნობს კი არა, ნაცნობს. სულერთია ვის. ოღონდ გელაპარაკოს, ხმა გაგცეს და შენც უთხრა შენი სათქმელი. სათქმელი უამრავია, რა გამოლევს... იმასაც ეტყვი, რომ დღეს ვერაფერი გააკეთე! „უჰ, რა მოუსვენრები ვართ ეს ადამიანები. სულ რაღაცას... არა, უფრო სწორედ, ვ ი ღ ა ც ა ს დავეძებთ ყოველთვის“, ფიქრობ და სატელეფონო ჯიხურს უახლოვდები. კარი ჭრიალით იღება. შენ შედიხარ, ყურმილს იღებ, ორკაპიკიანს აპარატის ბუდეში აგდებ და ანაზდად შეშდები: ვის უნდა დაურეკო? რა თქმა უნდა — უახლოესს, მეგობარს. ცოტა ხანს ყოვნდები, მერე სწრაფად კრეფ ნომერს და ელოდები... რამდენიმე წამის შემდეგ ყურმილიდან ბოხი, ჩახლეჩილი, ახლობელი ხმა გიძვრება ყურში, ტვინში, სხეულ-

ში და ერთიანად გთენთავს, გულს გიფონებს, ყველაფერს გავიწყებს...

„როგორა ხარ“.

. .

„მე ვარ... რას შვრები?“

. .

„ვერ გამოხვალ?“

. .

„ქუჩაში. გავიაროთ... სუფთა ჰაერზე...“

. .

„ჰოო... არა, ისე, უბრალოდ“.

...(შენ ისევ ლიზიანდები).

„არაფერი ისეთი. უბრალოდ, მარტო ვარ და... იცი, მე დღეს ვერაფერი გავაკეთე“.

. .

„ვერაფერი გავაკეთე-მეთქი“.

. .

„არაფერი არ მომსვლია...“

...(შენ მოთმინება გეკარგება).

„არა, არაფერი არ მომხდარა... ისე, უბრ...“

. .

„უბრალოდ დაგირეკე, მარტო ვარ, ქუჩიდან გირეკავ“.

. .

„არა, ვერ ამოვალ... კაი, წავედი აბა...“

. .

„ჰო, კარგად იყავი...“

. .

ყურმილიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტი ზუმერი ისმის.

საქციელწამხდარი დგახარ და გგონია, რომ სამყარო დაიხურა შენთვის. აღარავის სჭირდები. ყველაც კარგად გრძნობს თავს უშენოდ. ჩაკეტილები არიან სახლებში და უყურებენ ტელევიზორს, ამ ჭორების ყუთს. შენ კი დამდგარხარ ჯიხურში, ჩაგიბღუჯია ყურმილი და რეკავ...

უცბად ამჩნევ, რომ ორკაპიკიანი ისევ იქ დევს, ბუდეში. არ ჩავარდნილა. შენ გეცინება, იღებ ორკაპიკიანს და გარეთ გამოდიხარ. გრილი ჰაერი გილიტინებს ცხვირში, მიაბიჯებ და ფიქრობ, რომ არავის უნდიხარ, ყველამ მიგატოვა. უაზრობაა სხვებთან დარეკვა. იგივე პასუხს მიიღებ. არ სცალიათ. რაღაცას აკეთებენ. შენ ხელს უშლი, გარედან იჭრები მათ საბრძანებელში და სიმყუდროვეს უფრთხობ. ამიტომაც აღარ დარეკავ. არავისთან. ისხდნენ სახლებში და იკითხონ გაზეთები. ისუნთქონ ოთახის შედედებული ჰაერი. შენ კი ივლი ასე, მარტოდმარტო. დღეს არაფერი გაგიკეთებია, მაგრამ გრძნობ, რომ მარტოობა ბევრი რ ა მ ი ს დასაწყისია... ეშმაკმა დალახვროს! ივლი მარტო...

„ორკაპიკიანი ხომ არა გაქვთ?“ გეკითხება გოგოს ხმა.

„ინებეთ“. აძლევ ფულს და გზას აგრძელებ... მაგრამ თითქოს რაღაცის გახსენება გინდაო...

არა, შენ იმიტომ კი არ დაიბადე ამ რაღაც არეულ, თბილ სამყაროში, რომ უპატრონო ძაღლი დაინახო და პური გადაუგდო. კი, ალბათ ძაღლს გაუხარდება, კუდსაც გააქიცინებს და პურსაც შესანსლავს, მაგრამ მერე ისევ საწყალობელი თვალებით შემოგხედავს. შენ გიხარია, რომ ძაღლს ასიამოვნე, მაგრამ ძაღლი ხომ ადამიანი არაა. ცხოველია. იგი მარტოობას ვერ განგიფანტავს. შენ კმაყოფილი რჩები, ოღონდ ისევ მარტო ხარ.

ალბათ, მარტოობაში თუ გიმძიმდება ხოლმე სხეული, რომ მერე, იმ დიდ „რაღაცასა“ (შენს გონებაზე რომ მბრძანებლობს) და შენს შორის მოგრიალე, აქაფებულ მდინარეში მოისროლო ხორცი შენი, ხოლო სულმა შენმა კი ზემოდან გიყუროს, თუ როგორ შობ რაღაც ძვირფასს, ჩვილისმაგვარს და რა ტანჯვით, რა წვალებით განიტვირთები...

მიაბიჯებ და გრძნობ, რომ უკვე ღამეა, მაგრამ ირგვლივ ისევ დაბორიალობენ გრძნობაჩამცხრალი მამრები და ღამეულ სუდარებში გახვეული ანგელოზები, გინა ქალები...

არა, კაცი, რომელიც ხალხში ტრიალებს და თავს ეულად გრძნობს, შინ უნდა იჯდეს. მაგრამ რა უნდა ქნას? თავი უნდა ახალოს კედელს, რომ მერე

ან ტკივილზე გადაიტანოს ყურადღება, ანდა კედელზე? (თუ დაზიანდა).

„ისე, მაინც, საშინელი რამაა სიმარტოვე“, ფიქრობ შენ.

კვლავ რაღაცის გახსენება გსურს და ვერ გაგიხსენებია...

„არა, ხეტიალის ფასი არაფერია ამქვეყნად“.

ნაბიჯს თანდათან უმატებ. იმ გორაკზე ასვლა გწადია, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს ქალაქი.

„რა ლამაზი მოდა შემოვიდა, ყველა ლამაზი გეჩვენება“, ფიქრობ შენ, მიდიხარ და უკან იტოვებ სკვერებს, ხეებს, სახლებს, მაღაზიებს, კინოთეატრებს... მიდიხარ და თან მიგაქვს ყელში ყვირილად მომდგარი მარტოობა და რომ არ განთავისუფლდე, ალბათ გაგიქდები. ველარც დაღლილ ფეხებს გრძნობ (ყველაზე ერთგული რამ, რაც კი ადამიანს დაბადებიდანვე დაჰყვა), ველარც ხედავ რასმე, იმ გორაკის გარდა. მხოლოდ და მხოლოდ იმას გრძნობ, რომ უნდა გასცილდე აქაურობას. ცოტა ხნით მაინც უნდა გასცილდე აქაურობას. არ გსურს გაგუდვა. გრილი, ს უ ფ თ ა ჰაერი გჭირდება და იცი, რომ მარტო ხარ. რომ შენა ხარ შენივე თავის უკანასკნელი მოდგმა, თაობა და ამ საღამოს ვერაფერი გააკეთე...

ასფალტი აღარაა. ხალხიც აღარ ჩანს.

შენ უკვე სირბილს იწყებ. „ჩქარა, ჩქარა, ჩქარა“...

ტალახში მიტლაპუნობ. ჭუჭყიანი შხეფები გხვდება ტანსაცმელზე. უკან რჩება ქალაქი და ამ ქალაქიდან გამოქცეული ნაფეხურები — უტყუარი მოწმე იმისა, რომ შენ აქ მორბიხარ, მარტო ხარ და გრილ, სუფთა ჰაერს სუნთქავ.

იწყება აღმართი და ძალა გიორკეცდება. გარბიხარ. ეჯახები ბუჩქებს, ხეებს, ეცემი, დგები, ისევ გარბიხარ. „მალე, მალე, მალე“... იმეორებ გულში, მაგრამ შენ გრძნობ, რომ ეს არ არის შიშნეული სირბილი ლტოლვილისა, მოსაკლავად რომ მისდევენ. ეს მძლავრი, უშიშარი, ლაღი სირბილია. აზარტია... გარბიხარ იმიტომ, რომ ასე გსურს. შენა ხარ — შენ, ის ყელში მოწოლილი მარტოობაც შენია და არავისა აქვს უფლება შეგაჩეროს, ხელი ჩაგავლოს და გკითხოს: „სად მირბიხარ?“

გორაკის თავამდე ცოტაღა რჩება...

შენ დაგავიწყდა ყველაფერი. დაგავიწყდა, რომ ამ საღამოს ბევრი იარე, რომ წვიმა მოდიოდა, რომ ამ პატარა პლანეტაზე, ამ პატარა ქვეყანაში, ამ პატარა ქალაქში შენი მშობლიური, პატარა სახლია... დაგავიწყდა ის გოგო, ორკაპიკიანი, ვიღაცასთან დარეკვა,.. მხოლოდ ერთი რამ გახსოვს: უნდა ახვიდე გორაკის თავზე და ჩაისუნთქო, რაც ძალა და ღონე გაქვს ჩაისუნთქო სუფთა ჰაერი. დაე, ნურავინ გაიგებს, ნუ დაგინახავს, ამას მხოლოდ შენთვის აკეთებ. უნდა მოიშორო ეს საშინელი გრძნობა, ყელში რომ გაქვს გახირული. სხვა ყველაფერი ფეხებზე გკიდია. შენ გაქვს მიზანი, რომლის ასრულებასაც მხოლოდ და მხოლოდ გორაკზე ასვლა სჭირდება! შენ მიისწრაფვი მიზნისკენ...

და აჰა, ისიც!

გორაკის თავზე დგახარ და აქოშინებული, გაბრწყინებული თვალებით გადაჰყურებ ფერადი სინათლეებით აციმციმებულ ქალაქს, სადაც არავინ გელის.

„ააა-ჰააა... ააა-ჰააა...“

მძლავრად, მამაკაცურად სუნთქავ შენ და მყისვე გეშვება გულს. აქ სწორედ ის ჰაერია, შენ რომ გჭირდება.

შფოთვა კი სადღაც, ქალაქის შუაგულში იკარგება და გიკვირს: „რამდენი უსახელო გრძნობაა ამქვეყნად“...

. . .

ქალაქში დაბრუნებულს გახსენდება, რომ გვიანია.

უდარდელი ძილით სძინავს ქალაქს. მხოლოდ აქა-იქ გამოკრთება ნაგვიანევი მანქანების ანთებული ფარები, თითო-ოროლა ადამიანი თუღა მიფაცი-

ფუცობს საითკენლაც, შენს თვალწინ. ობლად დგანან ლამპიონები და ფოთლებდანამული ხეები. აქა-იქ სინათლეებანთებული ფანჯრებით მოწყენით იმზირებიან სველი სახლები. აღარც ძველებური ხმაურია...

ცაზე ვარსკვლავები ჩამომსხდარან და იცინიან (ეტყობა, ხვალ კარგი ამინდი იქნება), შენ კი, დაღლილი, გაწუწული მიბორიალობ სახლისკენ.

ყველაფრისგან დაიცალე, დიდ, სასიამოვნო სიცარიელეს გრძნობ, იმდენად დიდს, რომ სხეული ვერ იტევს. შენ მოიქეცი ისე, როგორც გსურდა და თავს ძალიან კარგად გრძნობ, მაგრამ გახსენება გწადია ერთი რამისა, რატომღაც რომ დაგემგზავრა ამ საღამოს...

შენ მილასლასებ და ფიქრობ, რომ ის, რაც დღეს გააკეთე, მხოლოდ შენთვისაა სასარგებლო და სხვა ვერ გაიგებს. ეს ყველაფერი იმ კარგი საქმეების დასაწყისია, რომელიც არამარტო შენ მოგანიჭებს თვითკმაყოფილებას, არამედ სხვასაც გამოადგება... და ძალაუნებურად იწყებ ფიქრს სხვაზე, ძალიანაც გიკვირს, მაგრამ იწყებ კი... შენ აღარც სიმარტოვე გაწუხებს. იცი, რომ ამ დადუმებულ ქალაქში სძინავთ ადამიანებს, შენს მეგობრებს... ძილი კი ისეთი რამაა, რომლის დროსაც ვ ე რ ა ფ ე რ ს დააბრალებ ადამიანს... მათ ახლა სძინავთ და არ იციან, რომ შენ რაღაც ისეთი გამოსცადე ამ საღამოს, რამაც ძალიან გიშველა. ამიტომ თანდათან, უფრო და უფრო მშვიდდები, წყნარდები და ნებდები დაღლილობას. ახლა აღარავის ეძებ („...ყოველთვის რაღაცას თუ ვიღაცას ვეძებთ"...), დაე, ისევ სხვამ გეძებოს... ამ საღამოს იგრძენი, რომ ოდითგანვე გული და სისხლი ბატონობს გონებაზე, რომ შენ დღეს ჰპოვე ის კიდობანი, რომელმაც ამ ტვინთა, ანუ გონებათა ადიდებულ მორევს გადაგარჩინა...

მარცხნივ პატარა აღმართია. აღმართის ბოლოში კი — შენი სახლი. შენს ოთახში სინათლე ანთია. „არ სძინავთ და... დასწყევლოს ღმერთმა, ასფალტზე სულ სხვანაირია ცხოვრება". გაიფიქრებ შენ, უკანასკნელად შეისუნთქავ ღამის შეთხელებულ, გრილ ჰაერს და სადარბაზოში შედიხარ...

კარებს ცოლი გიღებს. „სად იყავი ამდენ ხანს?"

„სუფთა ჰაერზე", პასუხობ შენ, საწვიმარს ჰკიდებ, ტანსაცმელს იხდი, იბან და ლოგინში წვები.

„...შეიძლება... ნერვიულობა... იყო... მამაშენ... დედაშენ... ხეტიალ... გვიან... რატომ..." კანტიკუნტად ჩაგესმის ცოლის ჩურჩული და... უცბად გახსენდება ამდენ ხანს რა გაწვალებდა!

ის გოგო, ორკაპიკიანი რომ გთხოვა!

შენ რომ ორკაპიკიანი მიეცი!

იქნებ ისიც...

მაგრამ შენ ამდენი ფიქრის თავი აღარა გაქვს.

თვალებს ხუჭავ და წყნარაად, მშვიიდად იძინებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ბესიკ ხარანაული**

## ჩემი მეგობარი ჩაი (ან ყავა)

1.

ეს არის მისი ერთადერთი ნ ა შ ო ვ ნ ი ცოდვა,
ერთადერთი უმანკო, ნებადართული ნარკოტიკი,
ერთადერთი ტკივილგამაყუჩებელი,
ერთადერთი მიდრეკილება.

ეს არის ერთადერთი თავისთავთან თამაში,
თავისთავთან კეკლუცი და კუკუმალობა.
ერთადერთი ერთგული, ულალატო სარკეა,
პასიანსის გაშლაა, მწვერვალზე ასვლაა,
მეფისწულის არშიყია, მენაგვის კომპლიმენტი,
აღმოჩენაა და ანგარიშსწორება
და დიალოგი, დიალოგი...
რადგანაც მონოლოგი იყო მაშინ, როცა ჩაის არ სვამდა,
როცა ახლადგაღვიძებული და ახლადამდგარი
დილის რეალობას უვლიდა გარშემო,
გვერდს უქცევდა ყველა ხმას და ყველა საზრუნავს
და ორი საათი მხოლოდ დ ა დ ი ო დ ა.

სადღაც კი სმენია, რომ ცხოვრებას აქვს რაღაც აზრი,
მაგრამ მასთან შეგებება სულ არ ეჩქარება.
იქნებ ასე უჯობს, იქნებ რაღაც იცის
და ეს დაყოვნება სიბრძნეა იმისი.

ერთ რაღაცას გარეცხს, ერთ რაღაცას გადადგამს,
მერე მიზეზს მოიდებს და მივა სარკმელთან,
მერე უკან წამოვა, მერე შევა ოთახში
და სარკისკენ სიფრთხილით მზერას გააპარებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ ხომ ვეფხვი ბინადრობს. ვეფხვი, მკვიდრი შამბნარის.

განა თვისი ხმა
ადამიანს ან შიშით ან რიდით ჩაესმის?
ან გოროზად ეჩვენება, ან მხიარულად?
განა თვისი ხმა ადამიანს რამეს აგონებს?
ახალისებს? ეჩხუბება, ელლაბუცება?

ჯერ არ მოსწევს, ჯერ უნდა ცოტა რამე შეჭამოს,
სულელი ნანინელი უზმოზე ეწევა.
თაფლი უნდა იყიდოს, ასკილს კარლო შეჰპირდა —
კარლო ფიზიკოსი, კარლო მოგზაური,
ბრეგის მიმდევარი...
კარლო უცოლშვილო, კარლო ყველაფერი,
კარლოვივარი...

ჯორის ძუა ყოფილა თირკმელების წამალი,
აბაზანაში შევალ, თორემ მანჯა დარეკავს...

შამპუნების კვარტალი...
სხვადასხვა სიმაღლის, სხვადასხვა სიგანის,
როგორც ბავშვობაში თოჯინების ქალაქი — აშვერილ-
დაშვერილი.
დღეში სამჯერ აქაა, ამათ ეკონტაქტები
უმანკო სხეულით, უმანკო სულით, უმანკო, ფიქრებით...

მე ვარ ნიმფა კალიფსო და მე ჩემს თავს ვაყოვნებ,
ოდისევსის პერანგი კოჭებამდე მწვდებოდა.
ჩაი მახარაძიდან ჩიჩუმ ჩამოუტანა.
ერთადერთი პარტნიორი,
ერთადერთი მეგობარი...

სიზმრების ახსნა, ბუდა, ხირომანტია,
თავისუფლება — ეგოიზმიდან,
მწერლობების და რელიგიების ნაწყვეტები,
ციტირებები,
რუსულ-ქართულ-გერმანულად... როგორ იზიდავს!
სუპერვარსკვლავები, მოდა, თვითკრიტიკა,
ნერწყვის ყლაპვა სხვის სახელზე, სხვის ქონებაზე,
თვითირონია, თვითგვემა და თვითანალიზი,
მაგრამ ცხოვრება... თავის ნებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ნაკლი ჩვენი გამოსაცნობი
ნიშანი არის
და ჩვენ მას არასგზით არ დავეთხოვებით,
ის კი არ გვინდა, რომ ვინმეს ვჯობნიდეთ
(ძალას, წიჭს მოითხოვს),
ის გვინდა, რომ არ ჩამოვრჩებოდეთ
და ცხოვრებას ვეჭიდებით ფაფუკი ხელებით.

მეათე სიზმარია, მოდის დედაჩემი და უნდა, ყურში რაღაც ჩამჩურჩულოს.
მაგრამ მე არ მესმის... გაბრუნდება ხოლმე ისიც გამწყრალი სახით.
ჩემი გარდაცვლილი დედა... ფრიალო კლდის მარტო-ხე.

ჩემი საქმე უსაქმობაა,
ძუძუთა ბავშვივით უმანკო ვარ და უშურველი,
მაგრამ ჭირვეულიც — ძუძუთა ბავშვივით —
როცა სურთ, რომ მომაშორონ ჩემს უსაქმობას.

თავის ცოლზე თქვა ერთხელ ბიძაჩემმა —
ამ ქალმა საოცარი სიზმარი იცისო,
მაგრამ ახლა დაჭერილი შვილის ჯავრით შიმშილობს და ვეღარ გამოაქვსო.
მაშინ გაჯავრდა საწყალი დედაჩემი,
გაიყვანა სამზარეულოში თავისი რძალი,
გაუწყო საჭმელი და უთხრა — ჭამეო!
ერთი ლუკმაც ვერ შეჭამა, გულს აზიდებდა,
ძალა ჰქონდა წართმეული ამდენ უძილობით.

2

წინ ჩაის დავიდგამ —
როცა გრძლად ვთამაშობ,
როცა ვითომ მეჩქარება,
მაშინ ყავას ვიდუღებ.
როცა ბევრი მაქვს სათქმელ-საფიქრალი,
საეჭვო, საჭოჭმანო... ჩაის ვამჯობინებ.
ხელში ვიღებ თაიგულად და მიმაქვს ტუჩებთან...
და ვისმენ პასუხებს.

ვიღაც ვიღაცას გამწარებით ეძახდა შორით
(მენინოდამანანა კარლომ წაგვიყვანა რკონში ვარდკაჭაჭაზე),
ვიღაც ვიღაცას...
ჩემამდე კი მხოლოდ ეს აღწევდა —
ვივი ვავა... ვივი ვავა...

რად მინდოდა ეს ქალაქელობა,
მეც სოფლიდან საიდანმე ვყოფილიყავ ჩამოხენცილი!
მეც მქონოდა ცხოვრების ჟინი,
უტეხლობა, რეგვენობა, გაუთლელობა...
მაგრამ ნუ გავკიცხავთ — დაკომპლექსებულებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიამაყის დრო არა ჰქონდათ,
ცხოვრება უნდოდათ და ყველა ძალა,
რაც კი სოფლებმა იმათ საგზლად გამოატანეს,
შეალიეს ამ ბრძოლას და ამ დამკვიდრებას.
და, აი, რა მივიღეთ მათგან!

3

მაგიდაზე წითლით ჭრელი სუფრა აფენია,
ახლადგამოყვანილი ჩაის რამდენიმე წერტილით.
სამზარეულო ვიწროა, მაგრამ მყუდრო და კრიალა...
დას ციმმერ ისთ ჰელლ უნდ ბრაით.
სამი მეგობარი თავისუფლად ეტევა,
მეოთხეც — თუ ის სამი თავს შეივიწროვებს,
თუ უცებ შემოვარდება ახალ-ახალ ამბებით.
„ამ ქალაქში საქმეს ათი კაცი აკეთებს,
დანარჩენები კი იმათ განაქიქებენ“.
კედელზე ფერადი პლაკატია გაკრული,
მნახველს იპატიჟებს ზღაპრადქცეულ ტაიტზე,
— მობრძანდითო — იხვეწება.
აქ სვამს ის ჩაის, აქ იდუღებს ყავას,
ოთახიდან კი მუსიკა მოისმის
(ორშაბათიდან უნდა ცურვაზე იაროს).
მუსიკა... მუსიკა... როცა ის ჩაის სვამს,
ჩაისთან ერთად კარგად იყლაპება,
მუსიკა...

ჩვენ უკვე აღარასდროს
აღარ შევიცვლებით,
ჩვენი საქმე უკვე დამთავრებულია,
ჩვენ მხოლოდ განუწყვეტლივ
ჩვენს თავს გავიმეორებთ,
ჩვენ მხოლოდ ვნებასღა ავყვებით რაღაცას,
გავეშლევინებით რაღაცა სიხარულს,
და რაღაც სევდას ცრემლად გადავაქცევთ,
მაგრამ ჩვენ უკვე
აღარ შევიცვლებით,
ჩვენი საქმე უკვე დამთავრებულია...

სულ ვემზადები ჰენდელის მოსასმენად,
მაგრამ ფირსაკრავზე ისევ პრესლი მიდევს...
ყველაფერი გარეთ მინდა გამოვიყვირო,
ჩემი ფანჯრის წინ რომ რუხი სახლის კედელი არის
ელენთა მინდა ზედ მივატყეპო: ფ ე რ წ ე რ უ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს!

წელიწადის ოთხი დრო ოთხჯერ გადაახვია
და ოთხჯერ მოიწყინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლოს აქვს რაღაც მახინჯი ფირსაკრავი,
რომელსაც რატომღაც აგრეგატს ეძახის.

რითი განვსხვავდები მე ბებოჩემის მოახლე გოგოსგან,
ჩვენს სახლში რომ დაბერდა, ჩვენს ფიქრში და ზრუნვაში?
ერთადერთხელ რომ ჰყავდათ ერთადერთ ქალაქში
და მთელი სიცოცხლე იმას რომ ჰყვებოდა:
გუნდა რომ ესროლა ვიღაც უცხო ბიჭმა.
— როგორ იყოვო? — ჰკითხავდნენ მოხელსაქმე ქალები,
ცეცხლთან რომ იჯდნენ თავისუფლად, მიშლილ-მოშლილად,
რადგანაც კაცის ჭაჭანება არ იყო ირგვლივ
(ვიღაც სადღაც შეშასა ჭრიდა),
— როგორ იყოვო? და იმდენადაც არ ერიდებოდნენ
რომ ან გაცინებული სახე გაეწიათ,
ანდა სულაც დაემალათ თავსაფრის ფოჩში.
— როგორ იყოვო? — ვკითხავდით სხვისი შვილიშვილები
და ვხითხითებდით ხმამაღლა და მოურიდებლად...
მე რას გავიხსენებ?
კორდებალეტში ცეკვავდა,
ქუჩაში მხვდებოდა,
თვალებში ვუყურებდი
და...
ვუყვარდი!.. მიყვარდა!..

ბავშვებო, გახსოვდეთ, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს:
პირველი შემოსული ქლიავი ჭიანი არის
და ამიტომ ღორისა გახლავთ.
მეორე — ხილია,
მესამე კი ჩურჩა არის გრძელი ზამთრისთვის.
— ესეც თქვენ, სიყვარულზე ბებოჩემის არაკი!

სიყვარული...
რომელსაც მე ათასი გასართობით ვცვლიდი,
რომელსაც ჯიბრით ვუპირისპირებდი ახალ-ახალ ჭეშმარიტებებს
და ძველი სიბრძნეების სალესავზე ვილესავდი სულს და გონებას.
გადაქცეულიყო თურმე იგი ამასობაში
ლაო-ძედ, ფოლკნერად და ვარდკაჭაჭად.
სიყვარული მე მოვათავე ჯერ კიდევ ბავშვობაში,
ჯერ კიდევ სიზმრებში, ოცნებებში, წიგნებში,
ბებერი ვარ სიყვარულისთვის...
კოკრადა ვჭკნები!

მუსიკის შუაგულში, მუსიკის მორევში,
გაგრძელებული ახალგაზრდობის მუწუკებდასხმულ ჭაობში...
პირველი ყლუპი — პირველი ფრაზაა,
რომელსაც მოჰყვება მომხიბვლელი ლაყბობა
და შენ გრძნობ, რომ ხორცს ისხამს დილის სიცარიელე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5

სოფიკოს საშინელი დეპრესია აქვს,
სიგარეტი რომ მიაწოდოს ვინმემ — იმაზეც კი ტირის,
ხოლო სალამზე გული უჩუყდება.
გუშინ ჩვენი თანამშრომლის პანაშვიდზე ვიყავით,
გაყონვა დაემართა, მაგრამ არ მიჰხედა
და მეორე დარტყმა ველარ გადაიტანა.
მთელი კვირა რიგ-რიგით ღამეს ვუთენებდით,
მარტოხელა ქალი იყო, ორმოცდაათისა ან იყო, ან არა,
ყველაფერზე, მათ შორის კაცებზე, საკუთარი აზრი გააჩნდა:
— მოცარტიო — ამბობდა — მაშინ იყო მოცარტი,
როცა თავის ღვთაებრივ მუსიკას სწერდაო,
დანარჩენ დროს კი ისიც ყველა კაცივით ნაგავი იყოვო!
მაინც კი ახალგაზრდებს ჯიუტად გვიბიძგებდა:
— თუ არ გათხოვდებით, ვინმე მაინც გაიჩინეთო!
ამბობენ ვილაცაზე — ვითომ უყვარდაო,
ვითომ რომ დაკარგაო გათხოვების იმედი,
ჩავიდა ვითომო სოფელში, მშობლებთან
და ასე უთხრაო:
ვერა ვთხოვდები და შვილს მაინც გავაჩენო,
იმისგან გავაჩენ, ვინც მეყვარებაო.
დედამისს თურმე ტირილი ავარდნია,
მამამისს კი კედლიდან თოფი ჩამოუღია
და ეჭვმიუტანელი სიმშვიდით უთქვამს,
რომ არც თავს იცოცხლებდა და არც თავის ქალიშვილს.

ის ცხოვრობდა როგორც ნამდვილი მამაკაცი,
ეწეოდა უამრავს, ყავას სვამდა უამრავს და ხმაც დაუბოხდა.
სამსახურშიც კი შეეძლო პასიანსის გაშლა.
ყოფილა, უფროსი თავს წამოსდგომია,
იმას კი, კბილებში სიგარეტი რომ ეპყრა,
ისე გამოუხედავს —
პასიანსს ზემოდან.
აბა, რამე ეთქვა!
კაცივით შეეძლო ყველაფრის კეთება,
სანტექნიკა, რემონტი... და ისიც შეეძლო
რომ კაცურად ეხუმრა, კაცურად ეუხეშა,
კაცურად ჩაეწყო ჩვენთვის საქმეები.
ის ცხოვრობდა როგორც ნამდვილი მამაკაცი,
რომელმაც თავის თავიდან ქალი დაითხოვა.

ცხოვრება, რათქმაუნდა ტრაგიკულია,
მოდით, ამას ნუ დავუკარგავთ,
მაგრამ იმასაცა აქვს ერთი სუსტი მხარე:
შეგიძლია მიაფურთხო, დასცინო, უარყო,
ბოლოსდაბოლოს შეგიძლია, რომ სულაც გასცილდე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(მაგრამ უნდა დაასწრო).

ჩემი თავის მამაკაცი მე თვითონ ვიქნები!

6.

ერთ სიმღერაში,
რომლის სიტყვებიც მე არ მესმოდა,
ნათქვამი იყო:

ნუ გეშინია,
მე ცოცხალი ვარ,
ამ ქალაქში ვარ,
ნუ გეშინია,
ნუ გეშინია
შენთვის სიცოცხლე
და სიყვარული დამიჟინია.

ნუ გეშინია,
ასწიე თავი,
გასწორდი მხრებში,
ამაყი იყავ,
კმარა, რაც ცრემლი
გიკვირტა თვალზე
ათასი ჯურის
ათასმა ბრიყვმა.

რადგან მე აქ ვარ,
რადგან შენი ვარ,
იმედად რომ ვარ,
ხსნად რომ გეგულვი,
შეაღე ყველა
თამამად კარი,
იყავი ლაღი და გაბედული.

ნუ გეშინია,
არ შეგერხევა
არც გულის ძაფი,
აღარც თმის ღერი,
ნუ გეშინია,
მე ცოცხალი ვარ,
ამ ქალაქში ვარ
და შენზე ვმღერი.

არ დაიჯერო
მიწა ყვავილით
არ გაიკვირვო
ზეცა მერცხლებით,
არც მოგებული,
არც წაგებული,
მარგალიტებით,
ოქრო-ვერცხლებით...
სისულელეა,
ყველა გაქრება,
მარადი მე ვარ,
მე შენ გეძლევნები.

რადგან მეფეთა
გვიან ჩიტივით
შენი თვალები
შავად მბრწყინავი,
ისე გიპოვე,
ისე გიცანი,
ერთხელ არ მითქვამს გულში
— ვინ არის?!

და ტკბილი არის
შენი ლოდინი,
მალიმალ გულს რომ
ელდა ეცემა,
ვაითუ
აღარც ჩემი გოგოა,
არც ეს ქვეყანა,
მისით ედემი.

შემეშინდება,
გამოვალ გარეთ,
მზეს მოვძებნი და
დარდს გავეცლები,
აწკრიალდება
მიწა ყვავილით,
ახმაურდება
ზეცა მერცხლებით,
და მე გეძახი,
ნუ გეშინია,
მე ცოცხალი ვარ
და შენ გეძლევნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7

ოთხჯერ უნდა გამოავლოთ ჩაიდანს მდუღარე,
მერე ჩაი ჩაყაროთ—არ უნდა იძუნწოთ!
დაასხათ მდუღარე, ხუთი წუთი აცალოთ.
მერე გადაასხათ ცარიელ ჭურჭელში
და კვლავ ჩააბრუნოთ ისევ ჩაიდანში
და მდუღარეთი ისევ გადაავსოთ.
ადროვეთ, ცოტახანს ასე იტუკტუკოს...
შაქარი — სულ ცოტა!
რომ კი არ დაატკბოს,
არამედ შეერწყან ერთურთს გემოები:
როგორც ლოყას — ლოყა (რომ უფრო გაიგოთ),
ვით სხეულს — სხეული (რათა დაიჯეროთ),
და როგორც სული — სულს (რომ წარმოიდგინოთ).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ომარ თურმანაული

* * *

კითხვამ: — ყოფნა თუ არყოფნა —
ჩემამდეც ბევრი იარა,
კითხვამ: — ყოფნა თუ არყოფნა —
კვლავ დიდხანს უნდა იაროს,
ბევრნაირ სისხლის ამრევი
მეც გულს ჩამეჭრა იარად,
და მათქმევინა: „ასეთი
რა ხარ შე ოხერტიალო...“
ვიფიქრე: — „თავი მოვიკლა...“
მერე კი ისევ ვთქვი: „არა“.
ავილე თოხი, სიმინდებს
ძირები მოვუფხვიერე,
წვიმა ვინატრე, გულიდან
ღრუბელმა გადამიარა,
და წასვლა-მოსვლის მიზანი
მეც ყანასავით ვიცანი:
ამოვა, — მოსვლა ის არის,
იზრდება, — ყოფნა ის არის,
ტაროს ან თავთავს მოიბამს —
იმისი საქმეც ის არის:
ამათ ფიქრი ღვარძლია,
ხვიარაა და ის არის.
და რაკი ყოფნით არყოფნა
რჰა, ვერ გამოვიცანი,
მოვკვდები, მერე ვიფიქრებ
არყოფნაზე და ის არის.

* * *

მჯერა მოხუცო, ეგ შენამდეც ბევრს უთქვამს ჩემთვის,
მჯერა, რომ ადრე მშიერი იყავ,
რომ ტანსაცმლით და ფეხსაცმლით არვინ გმოსავდა,
რომ ნახირში ათენებდი და ალამებდი,
მაგრამ რომ მაინც წერა-კითხვა ისწავლე თვითონ,
რომ დაოჯახდი,
რომ შვილებიც ბევრი დაზარდე...
მჯერა მოხუცო!
ეგ შენამდეც ბევრს უთქვამს ჩემთვის,
მაგრამ ამ ცაზე, ნაცვლად აი ამ „პლანეტებისა“,
მზე და მთვარე ამოდიოდაო, ამბობენ,
თუ გახსოვს, მათზე მიამბე რამე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი მაღულარია

# რამეთუ ეწოდა ზარზმა

რომანი

## ნაწილი პირველი

### თავი პირველი

როცა სენაკის კარზე კაკუნი გაისმა, ლოცვა უკვე მოთავებული ჰქონდა. იმ ღამეს ცუდად ეძინა, ხან ანგელოზის ფრთების ტყლაშუნი ესმოდა, ხანაც უკაცრიელი უდაბნო ელანდებოდა. უდაბნო ღრმა ხეობებით იყო დასერილი და ეკლიანი ბუჩქებით დაფარული მიწის ზედაპირი ისე ირხეოდა ღამესა და მარტოობას შორის, როგორც ჭაობიდან წამომდგარი ნისლი. ერთხელ ისიც კი მოეჩვენა, თითქოს ვიღაც გამოეცხადა და რაღაც უთხრა, მაგრამ ვერც ციით მოვლენილი არსების სახე დაინახა და ვერც მისი სიტყვების მნიშვნელობა გაიგო. მხოლოდ თეთრი ფრთის ბოლოს მოჰკრა თვალი. ფრთას შუაში შავი ზოლი გასდევდა, რამაც ცოტათი დააეჭვა და გული დასწყვიტა, მაგრამ მისთვის ესეც გამოცხადება იყო და ამიტომ უთენია ადგა, სანთლები აანთო, ხატის წინ მუხლი მოიყარა და ლოცვას შეუდგა. ლოცულობდა გულმხურვალედ, თავდავიწყებით, მოუკლებლად, მაგრამ აღარც ლოცვა გამოუდიოდა ისე, როგორც ჩვეული იყო, სიტყვები სხვაგვარად ლაგდებოდნენ, სხვა აზრს, სხვა შინაარსს იძენდნენ, ვერ აღწევდნენ იმის სმენამდე, ვისაც უნდა გაეგონა და შეეწყნარებინა. იმ ღამეს მის სულში რაღაც აირ-დაირია, ჩვეული სიმშვიდე შიშისა და უსიამო წინათგრძნობის გამო დაირღვა და ახლა აღარ იცოდა, უწყრებოდა გამჩენი თუ ამხნევებდა, მისგან მეტ რწმენას, მეტ ღვთისმოსაობას მოითხოვდა თუ იმისაკენ მოუწოდებდა, მასაც ეტვირთა ჯვარი და ქრისტეს მცნების გამტკიცებას და გაფართოებას შესდგომოდა. ამასობაში სანთლები ჩამოიღვენთა, ვიწრო სარკმელში შემოჭრილი შუქი თანდათან მომძლავრდა, ბნელი შუაზე გახლიჩა და უმოწყალოდ შეავიწროვა. სწორედ ამ დროს გაისმა კარზე კაკუნი, რასაც არაფრით არ მოელოდა და მისდაუნებურად შეკრთა. ვიღაც უხმობდა, კვლავ უხმობდა ვიღაც და მან მხოლოდ მაშინ იგრძნო, თუ როგორ დაბუჟებოდა და გახევებოდა მუხლები, როცა ფეხზე წამოდგომა სცადა. კედელთან კოჭლობით მივიდა, ბერის მძიმე ჩოხა ჩამოხსნა და გაჭირვებით გადაიცვა. ჩოხა ისევე ცივი იყო, როგორც ქვის იატაკი. ნეტა ვინ არის, რა უნდა ამ უდროო დროს, გაიფი-

ქრა მან და კარი მხოლოდ მას შემდეგ გაალო, როცა ბურანიდან გამოერკვა და ცოტათი დამშვიდდა.

კარის ზღურბლზე მორჩილი იდგა. მისი გამხდარი, ფერმკრთალი, ჩატეტკილი სახე იმ სხივის ფერი იყო, რიჟრაჟზე რომ შემოიჭრა საკანში.

— რა მოხდა, შვილო? — ჰკითხა მან მორჩილს, რომელმაც ცოტათი უკან დაიხია და მოწიწებით დახარა თავი.

— მაპატიეთ, მამაო სერაპიონ, ლოცვა რომ შეგაწყვეტინეთ, მაგრამ ნეტარი მიქაელი გიხმობთ, მთავარი ტაძრის სადიაკვნოში გელოდებით.

მორჩილს თვალებიც იწეთივე უფერული და უსიცოცხლო ჰქონდა, როგორც სახე.

— მომიკითხე უნეტარესი და მოახსენე, ახლავე გეახლება-თქო.

მორჩილი უხმოდ გაბრუნდა და ნახევრად ბნელ დერეფანს გაჰყვა, მან კი კარი მიხურა, თაროდან კრიალოსანი აიღო და ისე ჩამარცვლა, თითქოს პირველად ეჭირა ხელში. ნეტარი მიქაელი — მონასტრის დამაარსებელი და წინამძღვარი — ჰკვიანი, წინდახედული, ღვაწლმოსილი კაცი იყო და გადაუდებელი საქმე რომ არა, ასე უდროოდ არ შეაწუხებდა. ისინი დღეში რამდენჯერმე ხვდებოდნენ ერთმანეთს, განსაკუთრებით ახლა, როცა მონასტერში ბერების რიცხვმა იმატა და ახალი ტიპიკონი იყო შესადგენი. წუხელ სწორედ ამაზე ჰქონდათ საუბარი, მაგრამ ეს იყო წუხელ და შეიძლება ამ ხნის განმავლობაში მართლაც მოხდა რაღაც საგანგაშო, თორემ სათქმელს ან წირვის დაწყებამდე ეტყოდა ან წირვის შემდეგ. იქნებ სარკინოზები შემოიჭრნენ ტაო-კლარჯეთში, იქნებ სახადმა იჩინა თავი, ხელმწიფე ხომ არ მობრძანდება მონასტრის მოსახილველად, მამა იუსტინე ხომ არ გარდაიცვალა? ბოლო დროს ბერიკაცი ისე დაჩაჩანაკდა, რომ სენაკიდანაც ვერ გამოდიოდა. იქნებ მისი წუხანდელი მოუსვენრობაც უსიამო წინათგრძნობით იყო გამოწვეული, იქნებ მის ცხოვრებაში ან მთელი მონასტრის ცხოვრებაში რაღაც იცვლებოდა ისე, არავინ რომ არ მოელოდა. მონასტერი მისთვის მარტო სამლოცველო და თავშესაფარი კი არ იყო, არამედ სიბრძნის, სათნოებისა და სინათლის წყაროც, საკმევლის სუნით გაჟღენთილი ღვთის სახლი, რომელმაც მერყევი რწმენა განუმტკიცა და სასუფევლის დამკვიდრების იმედი მისცა. მას შემდეგ, რაც ბერად აღიკვეცა, რამდენიმე წელი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ისე შეერწყა და შეეთვისა ეკლესიას, რომ სხვაგვარად არასებობა ველარც კი წარმოედგინა. არაფერი არ ანიჭებდა ისეთ სიხარულს, როგორც ღვთის სამსახური, არაფერი არ ამხნევებდა ისე, როგორც ლოცვა, არაფერი არ იზიდავდა უფრო ძლიერ, ვიდრე მთავარი ტაძარი. ტაძარი მისთვის ქვეყნის წარუხოცავი ხატება უფრო იყო, ვიდრე ქვითკირის კედლებზე დაყრდნობილი, გარკვეული გეგმით აგებული, ცისკენ შემართული შენობა, რომელიც შუამავალივით იდგა ამქვეყნიურ ცხოვრებასა და ზეცას შორის და ყოველგვარ უაზრობას აზრს ანიჭებდა. იყო დრო, როცა იგი აღტაცებით შეჰყურებდა უყელო გუმბათის მოხატულ კამარას, მაგრამ ამ ბოლო დროს ერთი გაუმხელელი სურვილი აწვალებდა — უნდოდა ტაძარი კიდევ უფრო მაღალი, ხათელი და ჰაეროვანი ყოფილიყო.

სერაპიონმა ისე დახედა კრიალოსანს, თითქოს მისი დანიშნულება არ იცოდა. ბოლოს მიხვდა, რაც ეჭირა ხელში, კრიალოსანი თაროზე დადო და ვიწრო სარკმელს მიუახლოვდა. ცის მოგრძო, სწორკუთხოვანი ნაჭერი ღრმა და მოწმენდილი იყო. ასეთი ფერი ცას მხოლოდ ადრე გაზაფხულზე აქვს. ამ ფერისაკენ, ამ სიწმინდისაკენ ისწრაფოდა იგი ბავშვობიდან, მაგრამ ცის სიწმინდე მაშინაც ისე მიუწვდომელი იყო მისთვის, როგორც ახლა. თუმცა მაშინ იგი ცისა და საერთოდ საგანთა გარეგნულ სახეს ხედავდა, მხოლოდ ფერის სიღრმე და სიფაქიზე იტაცებდა. ახლა

კი მისთვის ცა სხვა საუფლო, სხვა სამსჯავრო იყო, სადაც ყველაფერი მისდა დაუკითხავად წყდებოდა, მაგრამ წყდებოდა სამართლიანად და მას იმედი ჰქონდა, რომ ამ საუფლოში იგიც დაიდებდა ბინას.

გარედან ჩალვადრების ხმა შემოიჭრა. მათ რაღაც ამოეზიდათ ცხენებით და სატრაპეზოსთან მოეყარათ თავი. სერაპიონნ სარკმელს მოსცილდა და ხატის წინ ისე გაჩერდა, თითქოს სურდა მის უძრავ თვალებში ამოეკითხა, რა საქმე ჰქონდა მასთან წინამძღვარს. პატივს რომ სცემდა და ენდობოდა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. მისი ღვაწლი და ღვთისმოსაობა სხვებზე ადრე სწორედ ნეტარმა მიქაელმა შენიშნა და იმდენი პატივი დასდო, რომ მღვდლადაც კი აკურთხა. შეიძლება იგი ამის ღირსი არ იყო, შეიძლება მისთვისაც სჯობდა, ერთხანს კიდევ დარჩენილიყო უბრალო ბერად, მონასტერში მასზე ხანდაზმული და ღვაწლმოსილი არა ერთი და ორი მონაზონი ცხოვრობდა, მაგრამ უნეტარესს წინააღმდეგობა ვერ გაუწია, ბოლოს და ბოლოს მაინც დაჰყვა მის ნებას. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მისი ხელდასხმაც თვით წინამძღვარმა იკისრა. იმ დღეს ტაძარი გალობითა და სინათლით აივსო. ილვენთებოდა სანთლები, გალობდნენ მგალობლები, ლოცავდა ნეტარი მიქაელი და ბოლოს ისიც კი მოეჩვენა, თითქოს საკურთხევლის ზემოთ გამოსახული, ციდან დაშვებული და კედელზე უძრავად გაკრული ანგელოზი უზარმაზარ ფრთებს ოდნავ არხევდა, ამხნევებდა, ანუგეშებდა და მფარველობას პირდებოდა.

რწმენას და სინათლეს იგი იმ დღიდან ეძებდა, რა დღესაც მიხვდა, რომ ურწმუნო კაცი შიშს, ძრწოლას და მარტოობას ვერასოდეს დააღწევს თავს. მისი სმენა არაერთხელ შეუძრწუნებია ქვესკნელიდან მომდინარე ყრუ ხმას, რომელიც შავ ბგერებად იფანტებოდა, მკვრივდებოდა და ისე იკიდებდა ფეხს მის შეგნებაში, რომ მზერა უმძიმდებოდა, აზრი ეფანტებოდა, არ იცოდა რისთვის იყო ამქვეყნად და რა უნდა ექეთებინა. იდგა თუ დადიოდა, იმის გამთლიანებას და შეკვრას, რაც თვალში ხვდებოდა, ვერაფრით ვერ ახერხებდა. ზოგჯერ კი ისე უჩლუნგდებოდა გონება, რომ ერთსა და იმავე კითხვას ასჯერ იმეორებდა და ვერსაიდან ვერავითარ პასუხს ვერ ღებულობდა. შიგნით რაღაც ჰქონდა გახირული და მის ფიქრს, მიგნებებსა და გამჭრიახობას გასაქანს არ აძლევდა, ხოლო იმას, რაც გუშინ თუ გუშინწინ სარწმუნო ეჩვენებოდა, ერთი ხელის მოსმით აცამტვერებდა. ახლობლები წუხდნენ, მის უგუნებობას და მჭმუნვარებას ავადმყოფობას აბრალებდნენ, ერთხელ შემლოცავიც კი მოუყვანეს, მაგრამ როცა ვერც შელოცვამ გაჭრა, ურჩიეს მონასტრისათვის შეეფარებინა თავი.

ბერად აღკვეცაზე თვითონაც ფიქრობდა, რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ მონასტერში ჰპოვებდა სიმშვიდესა და იმის ახსნას, რასაც თავი და ბოლო ვერ გაუგო, გაამთლიანებდა სამყაროს, რომელიც დაჩეხილი და დანაწევრებული ეჩვენებოდა, იპოვიდა პასუხს იმ კითხვაზე, დღე და ღამე რომ აწვალებდა. მაშინ მონასტერი უკვე მოღონიერებული და სახელმოხვეჭილი იყო. მთელ მათ მხარეში მონასტერზე უფრო დიდებული და ძალმოსილი არც ქალაქი არსებობდა და არც დაბა. ციხე-სიმაგრეებიც კი არ იყო ისე შეუვალი და მტკიცე, როგორც მონასტერი. მთავარი ტაძრის გუმბათი რაღაცნაირ უჩვეულო შუქს აფრქვევდა და ეს შუქი ახშობდა ქვესკნელიდან მომდინარე ყრუ ხმას, აცამტვერებდა იმ შავ შხეფებს, მის შეგნებაში რომ იკიდებდა ფეხს, პირველად გაუჭირდა, განმარტოვდა, არავის ეკარებოდა, ლოცვაში ათენებდა და აღამებდა. სამარხო შეჭამადი მისთვის საკანში მოჰქონდათ. თმა და წვერი გაეზარდა, ხმა დაუბილდა, ლოყები ჩაუცვივდა. დრო შეჩერდა. ზოგჯერ დაღამებასა და გათენებასაც კი ვერ ამჩნევდა. იმ თვეებში

მისთვის არავინ და აღარაფერი აღარ არსებობდა — არც დედმამისშვილები, არც სულიერი ძმები, არც თანამემამულენი და არც სამშობლო — იყო მხოლოდ ღვთის საუფლო, საღვთო წიგნები და ლვაწლი, რომელიც ამ საუფლოსაკენ უკაფავდა გზას. ასე გაატარა ნახევარი წელი და როცა დაცხრა, როცა დღის სინათლე და სუფთა ჰაერი მოენატრა, სენაკიდან გამოვიდა, ირგვლივ მიმოიხედა, სულიერ ძმებს დააკვირდა და მცირე ხნის შემდეგ სატრაპეზოშიც კი დაიწყო სიარული. მის გვერდით აღმოჩნდნენ სულით ძლიერნი, სალმთო წიგნებში ღრმად განსწავლული, წლების მანძილზე დაყუდებული ბერები, რომელთაც სირია, პალესტინა და საბერძნეთი ფეხით ჰქონდათ შემოვლილი. მათმა ურყევმა რწმენამ, მათ მიერ განმარტებული სალმრთო წიგნების კითხვამ, უბრალო და მკაცრმა ცხოვრებამ, ბაღ-ვენახებში მუშაობამ, ყოველდღიურმა ლოცვამ და ზომიერმა ჭამა-სმამ რალაცნაირად განწმინდა, მოალონიერა, მძიმე ულლისაგან გაათავისუფლა. სწორედ მაშინ მიხვდა იგი საბოლოოდ, ულვთოდ ცხოვრებაზე საშინელი რომ არაფერია ამქვეყნად და ისე დაულალავად ეძებდა დაუშრეტელ ნათელს, ისე უნდოდა ზიარებოდა ურყევ ჭეშმარიტებას, ეპოვნა ღმერთი და მარადისობა, რომ დასძლია შიში წარწყმედისა, უკუაგდო ფიქრი იჭვნეული და მისი სული ისეთმა სიმშვიდემ მოიცვა, როგორიც არასოდეს უგრძვნია. იმ დღიდან, სწორედ იმ დღიდან დაისადგურა მის სულში უშრეტმა რწმენამ, სამუდამოდ დაიდო ბინა იმ ნათელმა, თვალით რომ არ ჩანს და ხელშესახებად რომ არ არსებობს. გაქრა სიბნელე. სიბრმავე, უკეთურობა, აზრი შეიძინა მთელმაც და წილადმაც, განიმსჭვალა ღვთიური სამყარო ღვთიური მადლით და მონასტერი მისთვის იმ სავანედ იქცა, რომლის მიღმა ცხოვრება ულვთოდ ცხოვრებას უდრიდა. მის ქცევასა და ფიქრს ღმერთიდან ერთად მონასტერიც წარმართავდა, მონასტერი იყო ყველაფრის დამტევი საკრებულო, რომელსაც არავითარი ზღვარი და სამიჯნენი არ გააჩნდა, მაგრამ ერთი რამ მაინც უკარგავდა მოსვენებას — არ იცოდა, რა გზა აერჩია, მთლიანად უფალს მინდობოდა და საბოლოოდ უარეყო ამქვეყნიური ცხოვრება, თუ არა მარტო საკუთარ თავს გამოდგომოდა, არამედ ქვეყანასაც, ის შუქი, მის სულში რომ კიაფობდა, სხვებისთვისაც გაეზიარებინა თუ სიკვდილამდე დაყუდებულიყო და მხოლოდ სასუფევლის დამკვიდრებაზე ეზრუნა. მოღვაწეობას, ქმედითი ცხოვრებით ცხოვრებას დაყუდება ერჩია, რადგან ყოველ ქმედებას შეცდომა და ცოდვაც თან სდევს, მაგრამ შიგნით მაინც რალაც ღრღნიდა, აკრთობდა, აძრწუნებდა, სწორედ იქით ექაჩებოდა, საითაც ფეხის გადადგმა არ უნდოდა. ხანდახან იმასაც ფიქრობდა, ეშმაკი ხომ არ შემომიჩნდა, გამჩენი ხომ არ მცდის, მახეს ხომ არ მიგებს ბელზებელიო და ასეთ წუთებში ისე ეძალებოდა ჭმუნვა, რომ კვლავ უძლურ, არაფრის მაქნის კაცად მიაჩნდა თავი. იმ დილით სწორედ ასეთ ხასიათზე იყო და ამიტომ ითრევდა ფეხს, ელოდა იმ წამს, როცა უგუნურობას მოთოკავდა, სულის შემბორკავ ხუნდებს მოიშორებდა.

სერაპიონმა ხატის უძრავ თვალებს მზერა მოარიდა, თმა და წვერი თითებით ჩამოივარცხნა და ფიქრი განაგრძო. მართალია, მონასტერში იგი საბოლოოდ განთავისუფლდა სულით კოჭლობისაგან, მოახდინა ის არჩევანი, ბოლოს და ბოლოს, ყველა ადამიანმა რომ უნდა მოახდინოს, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავდა იმას, რომ გონების თვალიც დაეხშო, წაერთვა ცხოვრების დანახვისა და შეფასების უნარი. მონასტერში ცხოვრება არც ისე უმტკივნეულოდ, უცოდველად და უშფოთველად მიმდინარეობდა, როგორც გარედან ჩანდა. იყო შემთხვევები, როცა მორჩილნი, ზოგჯერ ბერებიც კი ვერ უძლებდნენ ბოლომდე ხანგრძლივ ლო-

ცვას, წირვას, მარხვას, სიცივეს, შრომას, მკაცრ შინაგანაწესს, უქალობას და მონასტრიდან გარბოდნენ. ხანდახან კი ეჭვი, მედიდურობა, შური და ავხორცული ჟინი მონაზვნებს შორისაც იჩენდა თავს, იწყებოდა ქიშპი და მითქმა-მოთქმა, ბოლო არ უჩანდა ბრალდებებს, დაბეზღებებს, ჩივილს, მუქარას და როდესაც ამგვარი უთანხმოება უკიდურესობამდე მწვავდებოდა, საჭირო ხდებოდა ერთი ან რამდენიმე ბერის მონასტრიდან გაძევება. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც მონასტრული ცხოვრება ფუფუნებად მიაჩნდათ და ისე ეჩქარებოდათ სასუფევლის დამკვიდრება, რომ მონასტრიდან გადიოდნენ, გამოქვაბულებში, ხეებზე და სვეტის თავებზე ცხოვრობდნენ, თავს შიმშილითა და წამებით იკლავდნენ და ბოლოს მონაზვნებს მათი ჩამოხსნა, სუდარაში გახვევა და მონასტრის ეზოში დამარხვა უხდებოდათ. არც ქურდობა იყო იშვიათი გამონაკლისი, იპარავდნენ პურს, ღვინოს, სამოსელს და რადგან მონასტერს მათი გასამართლება და დასჯა არ შეეძლო, ან საკანონო განაწესს უწესებდნენ, ანდა სამუდამოდ დევნიდნენ მონასტრიდან. ერთხელ მკვლელობაც კი მოხდა, ბერმა ბერს ისე გაუყარა ზურგში დანა, რომ წვერმა მკერდში გამოაღწია. ერთი სიტყვით, ზნედაცემულობისა და უკეთურობისაგან ვერც მონასტერი ათავისუფლებდა ყველას. ვინც ღმერთს გარეთ არ ეძებდა, მას ვერც მონასტერში პოულობდა. სინამდვილე მონასტერშიც სინამდვილე იყო და ცხოვრების გადაკეთებისა და გარდაქმნისათვის თავის წილ სიგლახეს, უგუნურობასა და უბადრუკობას მოითხოვდა.

დერეფნიდან ხის ქოშების ბაკა-ბუკი მოისმა. ბერები სენაკებიდან გამოდიოდნენ, დილის წირვისათვის ემზადებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი შეიძლება მისი ძმა, იოანეც ყოფილიყო. როცა დაობლდნენ, როცა მამა მიწას მიაბარეს, იოანე ჯერ კიდევ ბავშვი იყო — ფაქიზი, ცოტათი გულჩათხრობილი, სანდომიანი ბავშვი, რომლის უპატრონოდ დატოვება დანაშაული იქნებოდა. არა და გული უკვე მონასტრისაკენ მოუწევდა და როცა საბოლოოდ გადაწყვიტა ბერად აღკვეცილიყო, მათი საკმაოდ დიდი მამული უფროს ძმას, დემურტაშს დაუტოვა, იოანე კი, რომელიც საერისკაცო ცხოვრებისათვის არ იყო დაბადებული, გამოაწყო, თან წამოიყვანა და წინამძღვრის წინაშე მუხლმოყრილმა იგიც შეავედრა უნეტარესს. წინამძღვარმა ორივე შეივრდომა. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა. ცხოვრებაშიც ბევრი რამ შეიცვალა და მონასტერშიც, არეულ-დარეული ცხოვრება ნელ-ნელა დალაგდა, მონასტერი გაიზარდა, მოღონიერდა და რაღაცით მათ შორისაც ჩადგა. იოანე ექვსი წლით იყო მასზე უმცროსი, მაგრამ მონასტერში ეს სხვაობაც გაქრა და ახლა ისინი სულიერი ძმები უფრო იყვნენ, ვიდრე ერთი დედ-მამის შვილები. თავიც ისე ეჭირათ, როგორც ეს სულიერ ძმებს შეეფერება. არავითარი ზედმეტი მიკითხვ-მოკითხვა, ზრუნვა-პატრონობა, სხვებისაგან გამორჩევა. თუმცა იოანეს არც სჭირდებოდა სხვების ხელშეწყობა და დახმარება. მონასტერში მოსვლის დღიდანვე დაუღალავად ილვწოდა და მის ღვაწლს სხვები უფრო ამჩნევდნენ და აფასებდნენ, ვიდრე თვით იგი. წინამძღვარიც ღმობიერად, მამაშვილურად ეპყრობოდა, ლოცვა-კურთხევას არ აკლებდა და მღვდლად მისი კურთხევისაგან თავს თუ იკავებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ნაადრევად მიაჩნდა.

ერთხელ გადაწყვიტა სენაკში წვეოდა ძმას, გამოლაპარაკებოდა, მის სულში ჩაეხედა, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უკუაგდო. მას შემდეგ, რაც ისინი ბერად აღიკვეცნენ, მათ სულში და ურთიერთობაში ბევრი რამ შეიცვალა, რაღაც გაუფასურდა, ჩაქვდა, ჩაიფერფლა, რაღაც აღმოცენდა, განვითარდა, განმტკიცდა და ახლა არაფრით არ უნდოდა იმ მანძილის შემცირება, მათ რომ ერთმანეთს აშორებდა, იმის ჩხრე-

კა და გამოკვლევა, რასაც დიდი ხანია არ შეხებია და შეიძლებოდა შემთხვევით ისეთი რამ გამოეჩხრიკა, რაც ორივეს ააფორიაქებდა, დააეჭვებდა, გააწბილებდა. მართალია, გასაყოფი მათ არაფერი ჰქონდათ, მამისეული სახლიდან ისე წამოვიდნენ, საგზალიც კი არ წამოუღიათ, მაგრამ ჯერჯერობით ისინი ღვთის უბეს იყვნენ ამოფარებულნი, თითოეულს თავისი ანგელოზი და თავის მაცდუნებელი ჰყავდა; ჯერ მხოლოდ გზის დასაწყისში იდგნენ და ღმერთმა იცის, როგორი აღმოჩნდებოდა ეს გზა — ეკლიანი თუ გაკვალული, წარმწყმედი თუ მაცხონებელი, სწორი თუ დაკლაკნილი, აღმავალი თუ დაღმავალი და რადგან წინ უამრავი ცდუნება ელოდათ, ჯობდა ერთმანეთი გაჭირვების ჟამს შეეცნოთ და გამოეცადათ, ვიდრე ახლა, როცა მათ უცხო თვალისაგან ღვთის კალთა იფარავდა.

სერაპიონმა კიდევ ერთხელ ჩამოისვა წვერზე ხელი, კარი გამოაღო და ისე გაჰყვა ნახევრად ბნელ დერეფანს, რომ სახეში არავისთვის შეუხედავს. ახლა არავის მოკითხვა, არავისთან გამოლაპარაკება არ უნდოდა, ღამენათევს დღის სინათლე და ფერთა სიუხვე ენატრებოდა და იმედი ჰქონდა, როგორც კი ტაძარს თვალს შეავლებდა, მის ჩალისფერ პერანგზე არეკლილი მზის სხივები სამოღვაწეოდ გაღვიძებული დღის დადგომას აუწყებდნენ.

სერაპიონმა ტაძრის მძიმე კარი შეაღო, გვერდით კედელს გაჰყვა, შუა სარკმლის ნიშს ჩაუარა და საკურთხევლის ზემოთ გამოსახულ ანგელოზს, რომელიც მღვდლად კურთხევის დროს ამხნევებდა, მხოლოდ მაშინ მოჰკრა თვალი, როცა სადიაკვნოს მიუახლოვდა. ჯერჯერობით სანთლები მხოლოდ სადიაკვნოში ენთო, დასავლეთის კედლიდან მოციქულები იცქირებოდნენ, უჩუქურთმო, ნალისფერი თაღი დაბალი და გამჭვარტლული მოეჩვენა. მამა მიქაელი მარტოდმარტო იჯდა სადიაკვნოს შორეულ კუთხეში, მხრებზე ფალონი ჰქონდა წამოსხმული, ხელში კი კვერთხი ეჭირა და სანთლების შუქზე წმინდანს ჰგავდა. არაფერი არ ქათქათებდა ირგვლივ ისე, როგორც წინამძღვრის თეთრი წვერი, არაფერი არ იყო ისე აზრიანი და მახვილი, როგორც მისი დაღლილი და ჭკვიანი თვალები, არავინ არ იყო ისე ძლიერი, მხნე და შეუპოვარი, როგორც ეს ხანდაზმული მოხუცი. ღრმა ნაოჭები, მის სახეს რომ ზოგჯერ მკაცრ გამომეტყველებას ანიჭებდა, ზოგჯერ კი ლმობიერს, ახლა გახსნილი, დარბილებული, უჩვეულოდ მეტყველი ჩანდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ წინამძღვარს მასთან მართლაც დიდი, ეროვნული მნიშვნელობის საქმე ჰქონდა და ეს საქმე გადადებას აღარ ითმენდა. უნეტარესს სწორედ მძიმე საუბრის წინ უნათდებოდა სახე, შიგნით კი ამ დროს მისი ფიქრები იმისაკენ იყო მიმართული, რომ სულიერი ძმა დაერწმუნებინა იმ საქმის სიდიადეში და გარდუვალობაში, წინასწარ რომ ჰქონდა მოფიქრებული და გადაწყვეტილი. შემწყნარე და ლმობიერი მიქაელი იმიტომ კი არ იყო, რომ მბრძანებლობა არ შეეძლო, როცა განრისხდებოდა, მისი შიშით მონასტერში ხეებიც კი ძრწოდნენ, მაგრამ მან გამოცდილებით იცოდა, რომ იძულებით ადამიანს იმის მეათედსაც ვერ გააკეთებინებ, რამდენსაც რწმენით.

— საყვარელო შვილო ჩემო, დიდად მახარებს შენი ნახვა, რადგან რჩეული ყოფილხარ ღვთისა და ეს ამბავი უზენაესმა მხოლოდ წუხელის მაუწყა. მომიახლოვდი, ამიერიდან ღვთის სამსახური შენგან დიდ სიქველეს მოითხოვს, რამეთუ „ხმასა მას თანა საყვირისასა მრავალთა თანა, შენ ძლით ცხოვნებულთა, წარმოუდგე მეუფესა“, — უთხრა მიქაელმა და ჯერ თვითონ გარდაისახა პირჯვარი, შემდეგ კი მის წინ მუხლმოყრილ სერაპიონს გარდასახა.

სერაპიონმა წინამძღვარს ხელზე აკოცა, შემდეგ თვალები ცისკენ აღა-

პყრო, ჩურჩულით წარმოთქვა, „ღმერთო დიდებულო, იკურთხოს სახელი შენიო“ და კვლავ იგრძნო ის განუმეორებელი სურნელება, წინამძღვრის ხელებს რომ ასდიოდა.

— ნუთუ უფალი ჩემისთანა ცოდვილის ღვაწლსაც ხედავს? — იკითხა სერაპიონმა ისე, როგორც ამას მონასტერში დამკვიდრებული წესი მოითხოვდა და მანამდე არ წამომდგარა ფეხზე, სანამ მიქაელმა ხელი არ მოჰკიდა და გვერდით არ მოისვა.

— უფალი ყველაფერს ხედავს, შვილო, წუხელის, როცა ლოცვად ვიდექი, მომევლინა ძალა საკვირველი, ალმიტაცა ზეცად, სადაც ვიხილე მღვდელმშვენიერად შემოსილი არსება, რომელმაც მითხრა: „განსწავლული მოწაფენი შენი — სერაპიონი, ძმა მისი იოანე და ოთხიც სხვა ბერი წარავლინე ქვეყანასა სამცხესა და მუნ აღაშენონ მონასტერი და შეიფარონ სული მრავალი სადიდებლად ღმერთისა“.

— მე რა ღირსი ვარ ამგვარი პატივისა, მამაო, სად შეუძლია ჩემს სუსტ მხრებს ამხელა ტვირთის ზიდვა, — უპასუხა სერაპიონმა დაზეპირებულივით, რადგან წინასწარ იცოდა, რა პასუხსაც მიიღებდა.

— მეც დამწუხრებული ვარ, შვილო ჩემო, იმის გამო, რომ გამიძვირდება შენი ნახვა, მაგრამ ღვთის ნებას ვასრულებ და უფალი ჩემი პირით გეუბნება იმას, რის აღსრულებაც ხამს.

სათქმელი ითქვა, ითქვა იმ ენით და იმ შემწყნარებლობით, როგორც მონასტერში იყო მიღებული, მაგრამ წინამძღვრის გადაწყვეტილება ისე მოულოდნელი აღმოჩნდა სერაპიონისათვის, ისე ძირეულად ცვლიდა მის ცხოვრებას და არა მარტო ცხოვრებას, არამედ მთელ სამოღვაწეო ასპარეზსაც, რომ ყველაფრის ერთბაშად წარმოდგენა და გათვალისწინება არც კი უცდია. იმ მიზნის მიღწევა, რომლისკენაც უბიძგებდნენ, მხოლოდ რჩეულს შეეძლო და ისიც არა ყველას. ის კი თავის თავს არც რჩეულთა რიცხვს აკუთვნებდა და არც იმხელა კაცად თვლიდა, რომ ახალი მონასტრის დაარსების ძნელი და დიდებული საქმე ეკისრა. მონასტერი მთელი სამყარო იყო, ისეთივე რთული და ამოუხსნელი, როგორც ზოგიერთი საღმრთო წიგნია, ისეთივე იდუმალი და მღაღადებელი, როგორიც განდეგილის ლოცვა, ისევე გამსჭვალული დასაბამიერი ცოდვით, როგორიც ვნებააშლილი და წარწყმედის შიშით შეპყრობილი კაცის ფიქრია. საამისო მას არც გამოცდილება ჰქონდა, არც ცოდნა და არც ძალა. ამ მძიმე და ცოდვით სავსე გზაზე მრჩეველი და მოძღვარიც კი არ ეყოლებოდა. ყველაფერი თვითონ უნდა მოეფიქრებინა, მოესაზრებინა, მოეგვარებინა, ყველა სადაო და საჭოჭმანო საქმე სხვების დაუხმარებლად გადაეწყვიტა. ამისათვის კი გამჭრიახობა, ადამიანის სულის ბნელ უფსკრულებში წვდომის უნარი, ბრბოს მოთოკვის ნიჭი და, როცა საქმე გამრუდებას დაიწყებდა, დროული და მკაცრი ზომების მიღება იყო საჭირო. მის მშვიდსა და აუმღვრეველ ცხოვრებაში იჭრებოდა რაღაც ისეთი, რაც ტანჯვას, გაორებას, ეჭვს, ურყევ მიზანდასახულობას და ყოველდღიურ მსხვერპლს მოითხოვდა. იგი ისევ უნდა დაბრუნებოდა იმ ცხოვრებას, სადაც ჭუჭყი, სისხლი, ცრემლი და ოფლი ერთმანეთშია აზელილი და იმ საქმის დასაგვირგვინებლად, მისდა დაუკითხავად რომ დააკისრეს, სწორედ ეს დუღაბი უნდა გამოეყენებინა. ამისათვის კი საჭირო იყო რწმენა, ისეთი რწმენა, რასაც ვერავითარი ტანჯვა-წამება, ვერავითარი დაბრკოლება, ვერავითარი უკეთურობა ვერ შეარყევდა. მისი ხსნა მხოლოდ რწმენას შეეძლო და როგორც არ უნდა გაჭირვებოდა, როგორც არ უნდა დაეღრღნა სინდისს, მის სულში არ უნდა ჩამქრალიყო ის ნათელი, დიდი ვაივაგლახით რომ მოიპოვა.

— რა მოხდა, შვილო, ხომ არ შეგაკრთო იმ განსაცდელმა, წინ რომ გელის? — ჰკითხა წინამძღვარმა იმ კა-

ცის გამომეტყველებით, ვისაც ნიჭითა და გამჭრიახობით მოპოვებული უპირატესობა დროდადრო მაინც ახსენებს თავს.

— არა, მამაო, განსაცდელზე მეტად მე ჩემი გამოუცდელობა და უმეცრება მაფიქრებს.

— გამოცდილება დედის მუცლიდან არავის დაჰყოლია. ღმერთმა ჩვენზე უკეთ იცის, რის შემძლენი ვართ და რის არა და რაკი სამოღვაწეოდ გიხმობს, იმაშიც დარწმუნებულია, რომ აღსასრულებელი აღსრულდება.

— მე სწორედ ის მაფიქრებს, მამაო, შევძლებ კი აღსასრულებლის აღსრულებას.

— ჩემგან არ უნდა გესწავლებოდეს, შვილო, რომ სადაც ღმერთია, იქ შეუძლებელი არაფერია.

— ჭეშმარიტება მე აქ, ამ მონასტერში შევიცანი, მამაო, და აქვე შემიძლია ვემსახურო ღმერთს.

— დღესდღეობით ჩვენთვის, შვილო ჩემო, ხელდაკრეფილ ჯდომას მოქმედება სჯობია. ამჟამად შეგვწევს იმის ძალა, რომ აღსასრულებელი აღვასრულოთ და ამ ძალის ზემოქმედებას ვერსად გავექცევით.

სერაპიონი მიხვდა, ერთხელ და საბოლოოდ მიღებულ გადაწყვეტილებას მიქაელს ვერავინ შეაცვლევინებდა, მაგრამ მოულოდნელი ის იყო, რომ წინამძღვარს უფრო ენდობოდა, ვიდრე საკუთარ თავს, ბერიკაცი უფრო მყარად იდგა მიწაზე, ვიდრე თვითონ, უფრო მეტად ეკუთვნოდა იმ სამყაროს, სადაც იციან, როგორ დაამკვიდრონ ცხოვრება ამ გაუსაძლის წუთისოფელში. მიქაელმა როგორღაც შეძლო საკუთარ ტყავში გაძრომა და ღვაწლის ისე მომჭირნედ განაწილება, რომ არც დაუძლურებულა და არც ჭკუიდან გადასულა. იგი ფეხმოუცვლელად იდგა იმ კვარცხლბეკზე, ღმერთი რომ მხოლოდ რჩეულისათვის იმეტებს, მხედველობიდან არაფერი რჩებოდა და ბუნების ყოვლისმომცველ გულგრილობას რწმენასა და აღსასრულებლის აღსრულებას უპირისპირებდა. შეიძლება მიქაელის სიშლეგე სწორედ ის იყო, რომ ეჭვი არ ეპარებოდა — არჩეული გზის სისწორეში და ის მსხვერპლი, მონასტრებისა და ტაძრების მშენებლობა რომ მოითხოვდა, გარდუვალი და ბუნებრივი ეჩვენებოდა, შეიძლება არც ოდითგანვე დადგენილის უკუგდება და უბედურთა და უბადრუკთა ხარაჩოებზე აგზავნა მიაჩნდა დიდ ცოდვად, იქნებ ნდობასაც იმიტომ იმსახურებდა, რომ ბევრი რამ იცოდა და ღვთის გარდა არავის ხელისუფლებას არ ცნობდა, რაც თავისთავად იწვევდა რიდსა და მოწიწებას. მაგრამ მთელ ამ ამბავში მაინც იყო რაღაც მოჩვენებითი, დაუჯერებელი, რაღაც ისეთი, ეშმაკეული ძალის ნიშანს რომ ატარებს და შეიძლება მარტო დარჩენილი მიქაელი არაფერს არ ებრძოდა ამქვეყნად ისე, როგორც მის სულში შეპარულ ბიწიერებას, ასე გულმოდგინედ რომ ფარავდა უცხო თვალისაგან და იმ ბნელ ძალას, ერთსა და იმავე დროს ყოვლისშემძლებლობასაც რომ ანიჭებდა და უმოწყალოდაც ქენჯნიდა.

—წუხელის თუ ილოცე, შვილო? — ჰკითხა მიქაელმა და სერაპიონი გუმანით მიხვდა, რომ წუხანდელი ღამე წინამძღვრისათვის კიდევ უფრო მძიმე იყო, ვიდრე მისთვის. მართალია, მიქაელი ამას არ იმჩნევდა, მაგრამ ეჭვი აქამდე რომ გაუაზრებლად ფათურობდა სერაპიონის გონების რომელიღაც ბნელ კუნჭულში, ახლა ცხადად გამოიკვეთა — ღვაწლი მარტო ცხონებისაკენ მიმავალი გზა კი არ არის, არამედ წარწყმედისკენაც.

— მოუკლებლად, მამაო — უპასუხა სერაპიონმა.

— რა გულით გამოხვედი ამ დილით სენაკიდან?

— უგუნებოდ, მამაო.

— რატომ, შვილო?

— ის ნათელი, ლოცვის დროს რომ მეღვრებოდა სულში, როგორღაც აიმღვრა, გაბუნდოვანდა.

— იმან, ჩვენთვის რომ ბევრი რამ

გონებამიუწვდომელია, არ უნდა დაგალონოს, შვილო. საკუთარი სულის საყრდენს თუ შენსავე თავში ვერ იპოვი, სხვა ვერაფერს გიშველის. ამ დილით იმიტომ გიხმე, რომ იმის თქმა, რისა თქმაც ახლა მსურს, ხვალ უკვე დაგვიანებული იქნებოდა.

— რა უნდა მითხრათ ასეთი, მამაო.

— დადგა ფიცის აღსრულების დრო, შვილო. ცოტა რამ ამ ცხოვრებისა მეც გამეგება და დამიჯერე, რომ შენი ბუნების კაცისათვის სამოქმედო ასპარეზი უფრო მიზანშეწონილი იქნება, ვიდრე მესვეტეობა ან მეუდაბნოეობა. მართალია, ამ გზაზეც მოგელის შიმშილი, წყურვილი, სიშიშვლე, სიცივე, აბუჩად აგდება, დამცირება, დევნა და მრავალი სხვა განსაცდელი, მაგრამ ჯერ ერთი, საშვილიშვილო კვალს დასტოვებ ამ ცოდვილ მიწაზე, მეორეც, ღვთის მადლისაგან გაძარცვული ხალხის მოქცევა უფრო დიდი ღვაწლია, ვიდრე უდაბნოდ გასვლა.

— ღმერთისთვის მწუხარება მე ნებაყოფლობით ვიტვირთე, მამაო, და უკან მოხედვას არ ვაპირებ, მაგრამ სამცხე დიდია, ხომ უნდა ვიცოდე, სადაა ის ადგილი, მონასტერი რომ უნდა აშენდეს, საით ავილო გეზი, — უთხრა სერაპიონმა წინამძღვარს და გულზე რაღაც მოეშვა, საბოლოოდ შეურიგდა იმ აზრს, რომ ამიერიდან ცოდვასა და მადლს შორის გადებულ ბეწვის ხიდზე უნდა ევლო.

წინამძღვარმა დაღლილი, უძინარი თვალები ოდნავ მილულა და ისე შეერწყა და შეესისხლხორცა საკუთარი ჯაფით აშენებულ ტაძარს, რომ მის განუყრელ ნაწილად იქცა. ერთი წუთით სერაპიონს ისიც კი მოეჩვენა, თითქოს ტაძარი და მისი ამშენებელი ჰგავდნენ კიდეც ერთმანეთს და ეს მსგავსება ტაძრისა და მიქაელის, საერთო აღნაგობაში უფრო იგრძნობოდა, ვიდრე იმ კედლის მოხატულობაში, სადაც წინამძღვარი ქტიტორთან ერთად იყო გამოსახული. სერაპიონმა არ იცოდა, ვის მოახატვინა მიქაელმა ტაძარი, თუმცა ერთი კაცის სიცოცხლე ამხელა ტაძრის მოხატვას არ ეყოფოდა, აქ ალბათ რამდენიმე მხატვარი და მათი შეგირდები მუშაობდნენ, ამას სხვადასხვა ხელწერაც ცხადყოფდა, მაგრამ ამჯერად სერაპიონს სულ სხვა რამ აინტერესებდა: მიქაელი უფრო იყო შეპყრობილი მიწიერ არსებობასთან დაკავშირებული ტანჯვისა და ტკივილის სიმძაფრით თუ ის ოსტატი, რომელმაც წინამძღვრის ძლიერი, ახოვანი სხეული განგებ დააჩიავა, დააუძლურა და დაამწუხრა.

— იმ წმინდა სულმა, წუხელის რომ გამომეცხადა, ისიც მაუწყა, შვილო, თუ სად უნდა აშენდეს მონასტერი და ვისი ხელშეწყობით, — მოესმა ამ დროს წინამძღვრის სანდომიანი ხმა და მან მოხატულ კედელს თვალი მოსწყვიტა.

— ის ადგილი მესხეთის ერთ-ერთი მდინარის ხეობაშია, სადაც სააბანო წყარო გადმოდის. კლდეში ნიშებია გამოკვეთილი. მის ქვემოთ მღვრიე ტბა ელავს. იმ ქედამდე მიღწევა ჩვენს უკუღმართ დროში ადვილი როდია, მაგრამ ღმერთმა სწორედ ის ადგილი აირჩია სამონასტროდ და მისი მიტოვება ან მის მაგივრად სხვა ადგილის არჩევა ყოვლად შეუწყნარებელი ცოდვა იქნება.

— გასაგებია, მამაო, მაგრამ ის ხეობა და მისი შემოგარენი რით იმსახურებს იმას, რომ უფალმაც კი გამოარჩია?

— არაფრით, შვილო, უბრალოდ იმ კუთხეში ხალხი უფრო გაველურებული, უგუნური და ულვთოა, ერთხელ მოქცეული ხელახლა მოსაქცევია. ამ ოციოდე წლის წინათ ჩორჩანელთა სამთავროში ერთი-ორი ბაზილიკა კიდევ იდგა, მაგრამ ახლა ისინიც დანგრეული და იავარქმნილია. მღვდელი იქ არ ადის და ეპისკოპოსი, წერა-კითხვა მათ არ იციან და საღვთო რჯული, ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული. იმ უმეცრებისა და უზნეობის ჭაობს, რომლის სიმყრალეც აქამდე აღწევს, ვერც საერო ხელისუფლება ამოაშრობს და ვერც საეკლესიო, საამისოდ მათ არც

სიქველე ყოფნით და არც შემართება. ამ საქმეს ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენ, ბერებმა და მონაზვნებმა. უფალმა ხომ მწირთა და ყარიბთ დაგვდო ვალად ღვთის მადლისაგან განძარცულთა ხსნა და წარმართვა.

— თქვენ იმედი გაქვთ, მამაო, რომ ჩვენ იმ გაველურებულ მხარეში წესრიგს დავამყარებთ?

— წესრიგისა რა მოგახსენო, შვილო, ხეირიანად მეც კი არ ვიცი, რას ჰქვია წესრიგი, მაგრამ, როცა უკეთურობა და ღვირახსნილობა საყოველთაო ხდება, როცა სიცრუე და სიყალბე ღრმად იდგამს ფესვს ცხოვრებაში, როცა ირღვევა კავშირი ღმერთსა და კაცს შორის, მაშინ ჩვენც ბიწიერნი ვხდებით და მანამდე ვერ განვიწმინდებით ბიწისაგან, სანამ ამ კავშირს არ აღვადგენთ.

— როგორ უნდა შეაგნებინო, მამაო, ავაზაკს, კაცის მკვლელსა და მძარცველს იმ ცოდვის სიმძიმე, მისთვის რომ დაფარული და დაუნახავია?

— სასწაულით შვილო, ჩვენი მაცხოვარი და ჩვენი ეკლესია სასწაულმოქმედია და უსასწაულოდ ჩვენ ვერაფერს გავხდებით იმათთან, ვისაც მხოლოდ ის სწამს, რასაც საკუთარი თვალით ხედავს.

— სასწაულის მოხდენას ნიჭი, ნებისყოფა და ძლიერი სული სჭირდება, მამაო.

— ძლიერი სული ყველა იმ ქრისტიანს აქვს, ვინც ღვთიურ საწყისს ეზიარა და ზეგრძნობადი სამყაროსაკენ ისწრაფვის.

— მიუხედავად ამისა, მტერი და მადევარი მაინც არ დამელევა, მამაო.

— ამაში ეჭვი არ მეპარება, შვილო, მაგრამ ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრების მიზანიც ტანჯვაა და არა განცხრომა.

სერაპიონს უნდოდა კიდევ ეკითხა რაღაც წინამძღვრისათვის, მაგრამ უეცრად მიხვდა, რომ კითხვა-პასუხი ვერაფრით ვერ შეუქმნიდა სწორ წარმოდგენას იმ სინამდვილეზე, რომელსაც უნდა შებმოდა და იმ ხალხზე, ყელამდე რომ ბიწიერებაში იყო ჩაფლული. შლეგებს, დამთხვეულებს, მრუშებს, უკეთურებს და მოძალადეებს მანამდე ვერ გაუგებ ვერაფერს, სანამ მათ შორის არ იცხოვრებ და საკუთარ ტყავზე არ გამოცდი იმას, რაც მაცხოვარმა გამოსცადა — შეურაცხყოფას, გვემას, უსამართლობას, დევნას, უმადურობას, არაადამიანურ ტკივილს და არაადამიანურ ტანჯვას. ამისათვის კი მარტო კაცური ღირსებები და სიქველე არ კმაროდა, საჭირო იყო აგრეთვე ზედმიწევნით სცოდნოდა საკუთარი ხასიათის სუსტი მხარეები, აელაგმა, ის, რასაც შეეძლო ეჭვი და უნდობლობა გამოეწვია და მისი სული ისეთ ჩიხში მოემწყვდია, საიდანაც გამოსავალი აღარ არსებობს. თუმცა ჯერჯერობით არც ის არსებობდა, რის ასაშენებლად და ასამეტყველებლად უცხო მხარეში აგზავნიდნენ და არც ის ადამიანები ჩანდნენ, რომელთაც ამისათვის ოფლი და სისხლი უნდა დაელვარათ. ჯერ მხოლოდ იმ ქვების სიმძიმეს გრძნობდა, ქვის სამტვრევებში რომ უნდა მოეტეხათ და გაეთალათ.

— მამაო, მშენებლობა თუ იცის იმ ბერთაგან რომელიმემ, თან რომ მატანთ? — ჰკითხა სერაპიონმა წინამძღვარს და ტაძრის გუმბათს შეავლო თვალი. უყელო გუმბათი მძიმე და უტყვი მოეჩვენა. ბოლო დროს აღარ მოსწონდა იმგვარად აშენებული მონასტერი, რომელშიც ცხოვრობდა და იმგვარად აგებული ტაძარი, რომლის შიდა სივრცეს საკუთარი თვალით ხედავდა. ამჯერად არც ნახევრადწრიული და ჯვაროვანი კამარები იტაცებდა თვალს, მლოცველთა დარბაზიც ვიწრო და ბნელი ეჩვენებოდა. სინათლის სწორედ ის წყარო იყო დახშული, საიდანაც ტაძარში ცის სინათლე უნდა ჩამოღვრილიყო. გუმბათს სჭირდებოდა სარკმლებიანი ყელი, მაგრამ ჯერჯერობით მას წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ უნდა აშენებულიყო და რომ აშენებულიყო კიდეც, რას დაეყრდნობოდა მაღალი, ყელიანი გუმბათი, რომლის

სარკმლებიც ტაძარს ღვთიური მადლით გაანათებდა.

— ხუროთმოძღვარი არც ერთი არაა, მაგრამ ერთ-ერთ მათგანს, მგონი, მცირე სავანისა და კელიონის მშენებლობა ეხერხება, — უპასუხა მიქაელმა შემწყნარებლური ღიმილით.

— სხვა რა იციან, მამაო?

— მორჩილება, წერა-კითხვა, ღვთისმსახურება, ქადაგება, წესის აგება, სულის მოხსენიება და, რაც მთავარია, ჭირთა თმენა და მოყვასის სიყვარული.

— ყოველმხრივ შემკული ყოფილან, მამაო, — თქვა სერაპიონმა ოდნავ გეხლიანი ღიმილით და უეცრად გაახსენდა, იმ ბერებს შორის, თან რომ უნდა წარეტანა, წინამძღვარმა მისი ძმა, იოანეც დაასახელა. ახლა, უნდოდა თუ არა, მაინც უნდა გამოლაპარაკებოდა იოანეს, შეემზადებინა იგი წარწყმედილ სულთა საოხად და სამარტვილოდ. გამოცხადება რომ არა, რაშიც ეჭვის შეტანა უდიდესი შეურაცხყოფა იქნებოდა მიქაელისათვის, იგი შეეცდებოდა დაერწმუნებინა წინამძღვარი, იოანეს ნაცვლად სხვა ბერი წარეტანებინა თან, თუ წარწყმდებოდა და მარცხს იწვევდა, ერჩივნა ამის მოწმე უცხო კაცი ყოფილიყო, ვიდრე საკუთარი ძმა, მაგრამ ამაზე სიტყვის ჩამოგდება ახლა იგივე იქნებოდა, რაც შარბათში შხამის გარევა.

— როდის უნდა გავიდეთ მონასტრიდან, მამაო?

— ერთი კვირის შემდეგ და თანაც უთენია, მანამდე, სანამ ბერ-მონაზნები სენაკებიდან გამოვლენ.

— ჩვენს გარდა ვინ იცის კიდევ ეს ამბავი, მამაო?

— ჯერჯერობით არავინ და ჩემი თხოვნაა, ისე მოემზადოთ ამ ღვთის სადიდებელი ღვაწლისათვის, რომ არავინ არაფერი შეგატყოთ.

— რატომ, მამაო?

— მართალია, მონაზვნები ღმერთს ემსახურებიან და სახელსა და დიდებას არად აგდებენ, მაგრამ მაინც ადამიანები არიან და არ მინდა ატყდეს ერთი მითქმა-მოთქმა, ქიშპი, დრტვინვა, რატომ სერაპიონი და არა ჩვენ, აქ უსამართლობასა და მიკერძოებას აქვს ადგილი, რით დაიმსახურა სერაპიონმა იმხელა ღვთის წყალობა, რომ რჩეულთა შორის ამოჰყო თავიო და ასე შემდეგ. მნესა და მოლარეს გავაფრთხილებ, დარწმუნებული ვარ, კრინტს არ დაძრავენ. ბოლოს, როცა გზას გაუდგებით, მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი ყველას გასაგონად, ჩემდა დაუკითხავად მიატოვეს-მეთქი მონასტერი.

— ასე რომ, ჩვენ უკან მოსაბრუნებელი ყველა გზა მოჭრილი გვაქვს, მამაო.

— ვინც ახალ მონასტერს აარსებს, ის ან ეწირება ამ ღვთისკურთხეულ საქმეს, ანდა მანამდე რჩება მის წინამძღვრად, სანამ ღმერთი არ მოუხმობს სამუდამო განსასვენებელში.

სერაპიონს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ტანჯულთა სექტის წევრი გახდა და დღევანდელი დღე იმის თავდები იყო, რომ ამიერიდან მისთვის ყველაფერი დაუსრულებელი და დაუმთავრებელი იქნება, ისე გამოეკიდება ცასა და მიწას შორის, როგორც ის გუმბათი, ჯერ რომ არავის აუშენებია და ალბათ ვერც ვერავინ ააშენებს. იცვლებოდა არა მარტო მისი ცხოვრების წესი, გუნება-განწყობილება, სამოქმედო ასპარეზი, არამედ შესაძლებელსა და შეუძლებელს შორის გავლებული ზღვარიც და იმ მერყეობას, ორი უკიდურესობა რომ იწვევს იდუმალი შიშით შეპყრობილ არსებაში, იგი უკვე ქვეშეცნეულად გრძნობდა.

— დარწმუნებული ხართ, მამაო, რომ თქვენი არჩევანი სწორია? — ჰკითხა სერაპიონმა წინამძღვარს და თვალი გაუსწორა, მაგრამ მის სახეში ვერაფერი ამოიკითხა ისეთი, ბურუსს რომ გაფანტავდა.

— ბოლომდე ადამიანი მხოლოდ იმაშია დარწმუნებული, რომ ღმერთი და გამკითხავი არსებობს, სხვა ყველაფერი კი ჩვენი ფიქრის, ვარაუდის და

გუმანის ნაყოფია. ჩემმა გუმანმა მე შენამდე მომიყვანა და ახლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, სწორია ჩემი არჩევანი თუ არა.

— კარგი იქნებოდა, მეც რომ ისე ვენდობოდე ჩემს თავს, როგორც თქვენ გენდობით, მამაო.

— კაცი ჯერ ღმერთს უნდა ენდობოდეს, შვილო, და მერე კაცს.

— ამ დილით ღმერთი ხომ თქვენი პირით მეტყველებს, მამაო.

— იცი, რას გეტყვი, შვილო, წინ იმდენი სულის შემძვრელი ამბები გელის, რომ ის, რაზედაც ახლა ფიქრობ, უსაფუძვლო ვარაუდია და მეტი არაფერი. ჩვენ იმისათვის ვართ გაჩენილი ამ ქვეყანაზე, რომ ღმერთს ვემსახუროთ, სხვა ყველაფერი სულ აშაო და წარმავალია.

სერაპიონს ცოტათი თავიდანვე აღიზიანებდა ის ამბავი, რომ წინამძღვარი მის აზრებს კითხულობდა, თუმცა რა უნდა ეფიქრა ისეთი, რაც არ იცოდა კაცმა, რომელმაც თავიდან ბოლომდე გაიარა გზა, რომელზეც მას აწი უნდა შეედგა ფეხი. შეიძლება არც კითხულობდა, მხოლოდ მის შემზადებას ცდილობდა, მაგრამ ცოტაოდენი გაღიზიანება ვერ ეწინააღმდეგებოდა იმ ზეგავლენას, წინამძღვარი რომ ახდენდა მასზე. იგი უკვე იმ გარემოში ტრიალებდა, მიქაელმა რომ ზოგადად შემოხაზა, მის გონებაში უკვე იკიდებდა ფეხს ქვის სიმძიმე, ტაძრის ირგვლივ აღმართული ხარაჩოები, გამომწვარი კირის სუნი, რკინის სამაგრეები, თაღები, კამარები, ჩუქურთმები და ყველაფერი ეს თვალნათლივ იკვრებოდა, დუღაბდებოდა და ისეთ სახეს იღებდა, როგორზედაც აქამდე მხოლოდ ოცნებობდა. ყველაზე მოულოდნელი კი ის იყო, რომ ბურუსიდან გამოკვეთილი და გაცხადებული ღვთის კარმიდამო აღარ ეთმობოდა, უკვე გრძნობდა, რომ მასა და ჯერ არარსებულ მონასტერს შორის გაიბა უხილავი, მაგრამ უწყვეტი ჯაჭვი.

— რა უნდა წავიღოთ თან, მამაო? ჰკითხა სერაპიონმა მიქაელს და ცდუნებისათვის რომ თავი დაეხარა, ქვის მოპრიალებულ იატაკს დახედა.

— საზალი, სამშენებლო იარაღი, ბიბლია, დავითნი, კურთხევანი და ლოცვანი, ხოლო შემწედ და მფარველად თან გატანთ ფერისცვალების ცხოველმყოფელ ხატს.

— ხატი ძვირფასია, მამაო?

— მოოქვრილია და პატიოსანი ქვებით მოჭედილი.

— ყველაფერი ეს ზურგით უნდა ვატაროთ, მამაო?

— ორ ჯორს წაიყვანთ თან. შენ იცი, შვილო, რარიგ გამოცარიელებულია ჩვენი სალარო, მაგრამ იმდენ ვერცხლს, საქმის დაწყებას რომ ეყოს, მაინც გაგატანთ თან.

— იმედია, ღმერთი შეგვეწევა, მამაო.

— არც ჩემი ლოცვა-კურთხევა მოგაკლდებათ, შვილო.

— სადაცაა დილის წირვა დაიწყება, მამაო.

— დღეს შეგიძლია წირვას არ დაესწრო.

— დამლოცეთ, მამაო — შეევედრა სერაპიონი და წინამძღვრის წინ მუხლი მოიყარა.

მიქაელი ფეხზე წამოდგა, ხელები ცისკენ აღაპყრო და ძლიერი, ქადაგებას ჩვეული ხმით წარმოთქვა: „და რქუა მას იესო: ნეტარ ხარ შენ, სვიმონ ბარ იონა, რამეთუ ხორცთა და სისხლთა არ გამოგვიცხადეს, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან და მე გეტყვი შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამასა კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ მას და მიგცე შენ კლიტენი სასუფევლისა ცათაისანი, და რომელი შეჰკრა ქვეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა, და რომელი განჰხსნა ქვეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა“.

როცა სერაპიონი ტაძრიდან გამოვიდა, მზე ის-ის იყო ამოდიოდა და მისმა უჩვეულო სიკაშკაშემ თვალი მოს-

ჭრა. ამოდიოდა გაზაფხულის დაუდეგარი მზე, რომელიც არემარეს თვალის დახამხამებაში უცვლიდა ფერს და საგნებს ღვთისგან ნაბოძებ, უტყუარ სიმკვეთრეს ანიჭებდა. ამ აელვარებულ, გაკაშკაშებულ სამყაროს მხოლოდ ბერების შავი და რუხი ჩოხა უკარგავდა სილაზათეს, ართმევდა სითბოსა და სიხალისეს. მათი ქოშების ბაკა-ბუკი კი ისე ისმოდა სიხარულს მოკლებული მონასტრის ეზოში, როგორც ხეს შესეული კოდალების კაკუნი. დღეს იგი მათთან ერთად არ ილოცებდა, არ იგალობებდა, არ დაიჩოქებდა უფლის თანამდგომთა გვერდით და ეს საქმე მას უკვე სხვაგვარ სამსახურს, სხვაგვარ სულისხმევას მოსთხოვდა. ამიერიდან მას უნდა გაეერთიანებინა ის, რაც მის გონებაში ორად იყო გახლეჩილი და ნებისყოფას უჩლუნგებდა, არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ გასაგები აზრი ერთხელ და საბოლოოდ გასაგები ყოფილიყო, მარტო ხორცით კი არ გვემულიყო, არამედ სულითაც. ის ზღუდეები, აქამდე რომ იცავდა, მოირღვა ერთიანად და იგი აღმოჩნდა უდაბნოში, სადაც გაბატონებულია უკუნი, სადაც ყოველი ბუჩქი, ხე, ქვა, ხორციელი და უხორციელო მანამდეა უდრტვინველი და უტყვი, სანამ არ შეეხები, არ შეანჯღრევ, ადგილიდან არ დაძრავ, შემდეგ კი სამაგიეროს გიხდიან იმისათვის, რომ შეაშფოთე, ადგილი მოუნაცვლე, რაღაც ისეთი დააკისრე, რაც მათ დანიშნულებას ეწინააღმდეგება და ერთმანეთისაგან თიშავს.

როცა თვალი დღის სიკაშკაშეს შეეჩვია, სერაპიონი სენაკისაკენ კი არ წავიდა, არამედ მოკირწყლულ ბილიკს გაჰყვა, ორთაღიანი კარიბჭე გაიარა და მონასტრის ეზოდან გავიდა. ჩოხა აღარც ცივი ეჩვენებოდა და აღარც მძიმე. მალე იმ კელიონებსაც გასცდა, მონასტრის ირგვლივ რომ იყო მიმოფანტული და დაცვარულ, მობიბინე ბალახს ისე ფრთხილად დაადგა ფეხი, როგორც ახალამოყრილ ჯეჯილს. მონასტერი მაღალ, თავმოკვეთილ მთაზე იყო გაშენებული და ზემოდან დასცქეროდა სამხრეთით გადაშლილ ფართო ველს, სოფლებს, დაბებს, ორ პატარა მდინარეს და მოგრძო ტბას, რომლის ნაპირთანაც უკვე მოედენათ ნახირი. ერთ დროს ამ ველზე უბელო ცხენს დააქროლებდა, ხან ბაღ-ვენახებს ჩამოუვლიდა, ხანაც მწყემსებთან მიიჭრებოდა და მათთან ერთად ატარებდა მთელ დღეს. მაგრამ ახლა მთელი ეს სამყარო მისთვის მოჭრილი და გადაღობილი იყო და შეიძლება სწორედ ამიტომ ეჩვენებოდა უფრო ნათელი, სახიერი და უცოდველი, შეიძლება ის, რაც ახლა მის მეხსიერებაში ხორცს ისხამდა, ცდუნება კი არ იყო, არამედ გამართლება და გამთლიანება ყოველივე იმისა, რაც არსდაუდებელია, რასაც ყოფა იმიტომ ჰქვია, რომ მასშიცაა ჩაბუდებული და მის გარეთაც განფენილი. ერთხელ, ჯერ კიდევ ყმაწვილი, მწყემსებმა დაათვრეს. გიორგობა დღე იყო, საკმაოდ ციოდა, მაგრამ თოვლი მხოლოდ სამცხის მთის ფერდობებზე იდო. პირველად ღვინო ემწარა, მწკლარტე და მომჟავო მოეჩვენა, სახედამანჭულმა ცარიელი ჯამი ცხვრის ტყაპუჭზე დააგდო და ყაურმას მიეძალა, ისიც კი გაიფიქრა, რა ნახეს ამ მწკლარტე სითხეში ისეთი, ქვეყანა რომ ეტანებაო, მაგრამ მერე და მერე გაუტკბა და მან პირველად იგრძნო, რას ჰქვია სინამდვილიდან გასვლა, შინაგანად გამთლიანება, ყველა ნაკვთის, ყოველი კუნთის თავისთავად ამოძრავება, შემჭიდროვება, შენივთება, იმის მორჯულება და მოშინაურება, რაც მანამდე უცხო და მიუკარებელი ჩანდა, იქითკენ სწრაფვა, სადაც სახარბიელოს ვერაფერს ხედავდა, იმ შუქის დანახვა, უფსკრულის მიღმა თუ ტყის სიღრმეში რომაა მიყუჟული და გეძახის, გიხმობს, რაღაცას ისეთს გპირდება, რაც შენს გარდა არავისთვის არ ემეტება. ამიტომაც მოახტა იმ დღეს ცხენს და ისე დააქროლებდა გაშლილ ველზე, თითქოს საკუთარ ტყავში ვეღარ ეტეოდა, საწუთრო ევიწროვებო-

და. ბოლოს ისე გახელდა, გაქაფული ცხენი ყინულივით ცივ მდინარეში შეაგდო და ცხენიც გააცივა და თვითონაც გაცივდა. მაშინ იმდენხანს იწვა ლოგინში, ისე დაილია და გამიწისფერდა, იმდენად უმწეო და უბადრუკი ეჩვენებოდა საკუთარი თავი, რომ გამოჯანსაღება, ფეხზე წამოდგომაც კი არ ახარებდა.

მათი დაბა ყოველწლიურად იზრდებოდა, ფართოვდებოდა, ხალხმრავალი ხდებოდა, რაც შეხლა-შემოხლას, შუღლსა და ხანჯლების ტრიალს იწვევდა, მაგრამ იმ ხანებში, როცა სულს ვერ იურვებდა, ერთი სრულიად მოულოდნელი უბედურებაც მოხდა. მამამისი არ იყო ის კაცი, რომ მამულისთვისაც მოევლო, ხელმწიფისთვისაც სამსახური გაეწია და მეზობელ მემამულეებთან მიჯნებისათვის დავასა და მიხდომ-მოხდომაში გაემარჯვა, იმდენად გატოლებოდა აზნაურებს, რომ მათ მედიდურობაზე მედიდურობითვე უპასუხა. მას საერო საქმის მოგვარებაც სურდა და ღვთის წყალობის მოპოვებაც, ორივე ერთად კი არ გამოსდიოდა. ციხე-დარბაზს რომ ვერ აშენებდა, ამ აზრს ნელნელა შეეჩვია, მაგრამ არც იმის სახსარი ჰქონდა, რომ დაბაში ეკლესია აეშენებინა, არა და უეკლესიო დაბა და მამული, მამულად არ მიაჩნდა. კვირადღეობით თვითონ, მთელი მისი ჯალაბი, ნათესავები, მოყვრები, მონები, შიდა ქართლიდან გადმოხვეწილი ხიზნები, ერთი სიტყვით, ყველა ის ქრისტიანი, ტაო-კლარჯეთს რომ მოაწყდა და მათ მამულში დაიდო ბინა, წირვას უნდა დასწრებოდნენ და ზიარება მიეღოთ. ეს აზრი ისე აეკვიატა, რომ სხვა საზრუნავი აღარაფრად უჩანდა, მაგრამ განსაკუთრებით მას შემდეგ დაკარგა მოსვენება, როცა მეუღლე გარდაეცვალა და ეპისკოპოსი დაპირდა, თუ ეკლესიას ააშენებ, მღვდელს გამოგიგზავნით და წირვისა, ნათლობისა, ჯვარისწერისა, წესის აგებისა და სულის მოხსენიებისათვის ამ სიშორეზე სიარული არ დაგჭირდებათო. ეპისკოპოსის დაპირებამ მამა იმდენად აღაფრთოვანა, რომ სხვების გაბრიყვებაც შეძლო. უსახსრობის გამო არც ხუროთმოძღვარი მოუწვევიათ, არც გეგმა შეუდგენიათ და არც არავისთვის არაფერი უკითხავთ. გადაწყვიტეს აეშენებინათ ერთნავიანი ბაზილიკა საკურთხევლითა და იმხელა დარბაზით, რომ მთელი მრევლი დატეულიყო. საქმეს გულმოდგინედ შეუდგნენ, რიყის ქვას ურმებით ეზიდებოდნენ მდინარის ნაპირიდან, თიხას იქვე ზელდნენ, ხის კოჭებს რანდავდნენ. საქმე სწრაფად მიიწევდა წინ, მუშაობდა ყველა, ვინც დავრდომილი და ხეიბარი არ იყო. რიყის ქვით ნაგები კედლები სულ უფრო მაღლა და მაღლა მიიწევდა, მაღლა მიიწევდა ხარაჩოებიც, მაგრამ მშენებლობის ჟინით თუ რომელიღაც ფარული ზრახვით შეპყრობილ მამას მაინც დაბალი ეჩვენებოდა და მანამდე არ მოისვენა, სანამ ერთი კედელი არ წამოიქცა და რამდენიმე მუშასთან ერთად იგიც არ მოიყოლია ქვეშ. იმ დღეს დაბაში ისეთივე წივილ-კივილი ატეხეს, სარკინოზების შემოსევის დროს რომ იცოდნენ. მამის უგუნურობამ მის გარდა კიდევ სამი კაცი იმსხვერპლა, რამდენიმე კი მძიმედ დაშავდა, მათ შორის ერთი მათი ნათესავიც. იმ კედლის დანგრევა მისთვის ნაკლებად შემაძრწუნებელი იყო, ვიდრე სხვებისათვის, პირადად მას ცოდვასა და უგუნურობაში ბრალი არ მიუძღოდა, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ იმ საქმეში, მამამისმა რომ თვითნებურად წამოიწყო, ღვთის ხელი არ ერია, ეკლესიას რწმენით კი არ აშენებდნენ, არამედ წამხედურობით, რასაც პატივმოყვარეობა უფრო ედო საფუძვლად, ვიდრე უფლისადმი მოწიწება.

სერაპიონმა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ხევისაკენ და სახე მოღრუბლა. აზრი, ასე ხელაღებით რომ გამოთქვა, მკრეხელური მოეჩვენა. ეკლესია, უგუმბათო ბაზილიკა კი არა, ტაძრები უშენებიათ მამამისზე უფრო ძლიერ და ნიჭიერ ადამიანებს და ბო-

ლომდე მაინც ვერ აუშენებიათ, რადგან ამ ცხოვრების ბუნებრივი მოთხოვნილება შეცდომა და მარცხი უფროა, ვიდრე სწორად განსჯა და გამარჯვება. ამ შეცდომების გამო მის წინაპრებს არა ერთხელ უწყევლიათ ბედი და არავინ იყო იმის თავდები, რომ თვითონაც არ დასწყევლიდა. მიწასა და ცას შორის მხოლოდ გამჭვირვალე, მზის სხივებით გაკაშკაშებული ჰაერი კი არ ლივლივებს, არამედ უამრავი დაბრკოლებებიცაა ერთმანეთზე დახვავებული და ყოველი ჭუჭრუტანიდან, ყოველი ვიწრო ხვრელიდან იქედნის ნაშიერთა ბოროტი და მზაკვარი თვალი იცქირება, იბლანდება უამრავი მახე, იხლართება გზა და სარბიელი და არავინ იცის წინასწარ ღვაწლმოსილი მიაღგება ცის კარიბჭეს თუ გვემული და წარწყმედილი. ვინ მოკრებს, ვინ გააერთიანებს ყველა იმ ბნელ უჯრედს, მის არსებაში რომაა მიმოფანტული, ვინ შეაჩერებს მათ ადგილმონაცვლეობას და გარდასახვას, ვის შეუძლია, ყოველივე იმის გაცნობიერება, რაც ადამიანს ტვინს უმღვრევს და გზას უმრუდებს. მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს, მხოლოდ იმას, ვინც ყველაფრის პირველმიზეზი და პირველწყაროა, ვინც მთლიანად ავსებს სიცარიელეს და ძას, ამა ქვეყნის მატლსა და მტვერს, საკუთარი თავის ანაბარა კი არ ტოვებს, არამედ ხატად თავისად მიიჩნევს. სწორედ ამის დასტურია წუხანდელი ღამე, წუხელი მან კიდევ ერთხელ ირწმუნა, რომ ღვთის შვილი და ღვთის ნების აღმსრულებელია.

სერაპიონი ხევის პირას შეჩერდა, ჩოხის კალთები აიკეცა და მუხის ძსხვილ ფესვზე ჩამოჯდა. მზე უკვე მთებს გამოსცდა, ჩრდილებმა დაგრძელება დაიწყეს. ორ ქედს შუა მოქცეული ველი ისე იდო მის წინ, როგორც ახალმოქსოვილი, ფერუხვი ხალიჩა, რომლის ზედაპირზე საქონელი ბალახს ძოვდა, ადამიანები კი ჭიანჭველებივით ფუსფუსებდნენ — ხნავდნენ, ბარავდნენ, სხლავდნენ, ლობავდნენ, გამხმარს ჭრიდნენ და ჩეხავდნენ, გახარებულს ამრავლებდნენ და ანოყიერებდნენ, ტბა თხელ საბურველს იცილებდა, მდინარეები ვერცხლისფრად ელავდნენ და ორთქლავდნენ, წყლის წისქვილები გარედანაც კი გამჭვარტლულნი ჩანდნენ და ყველაფერი ეს ვერ თავსდებოდა მოგონებათა იმ გარემოცვაში, ბავშვობიდან რომ გამოჰყვა თან. მაგრამ შეიძლება მაშინ იგი ბრმა იყო და ვერაფერს ხედავდა, ან თუ ხედავდა, ხედავდა იმ კაცის თვალით, ვისაც გონება დახშული აქვს, ხოლო სული იმდენად გამცონარებული, რომ არაფრით არ უნდა იმ საბურველის ჩამოხსნა, მის აღმაფრენასა და სიქველეს რომ აბრკოლებს. მაშინ მან არც სილამაზის ფასი იცოდა და არც იმ ადამიანების სიყვარული, იქ, დაბლა ოფლს რომ ღვრიდნენ და მიწას აპოხიერებდნენ. მაგრამ ახლა მის სულში მთელი კლარჯეთი, მთელი მშობლიური მხარე, მთელი სამყარო ეტეოდა, იქვე ჰქონდა დამკვიდრებული ადგილი ყველა უპოვარს და ყველა გლახაკს, ყველა მისი ძმა, და მესაყდრე იყო და ამ სიყვარულს იგი ისე მიიტანს ღვთის საკურთხეველზე, როგორც საკუთარ სისხლსა და ხორცს.

## თავი მეორე

ორ დატვირთულ ჯორს ორი ბერი მიუძღოდა წინ, ოთხნი კი უკან მიჰყვებოდნენ და მიუხედავად იმისა, რომ საურმე გზა ალაგ-ალაგ გადარეცხილი და ატალახიანებული იყო, მაინც მხნედ, მუხლგამართული მიაბიჯებდნენ. მათ სიარულში ახალგაზრდული ჯანი და სულისხმიერება იგრძნობოდა. შალის რუხი ჩოხების კალთები აკაპიწებული ჰქონდათ. წუხელის გადაულებლად

წვიმდა და ძლივს მოასწრეს სახელდახელოდ გამართული კარვისათვის შეეფარებინათ თავი, დილით კი გამოიდარა და იმ სინესტეს, წუხანდელმა ვდარმა რომ მიწაზე ჩამოიტანა, მზე ახლა ისევ ზევით, ცისაკენ ექაჩებოდა. აქამდე მშვიდობიანად იარეს, სახიფათო არაფერი შემთხვევიათ, გზაში ერთმანეთი უკეთ გაიცნეს და ცოტათი დაახლოვდნენ კიდეც, მაგრამ აქამდე გზა ტაო-კლარჯეთის მიწა-წყალზე გადიოდა, დღეს კი ძინძეს ხეობას უახლოვდებოდა და მალე სამცხის ქედის ულრან ტყეებს ხეობამდე აჰყვებოდნენ. პირველყოფილ სიჩუმეს მხოლოდ ჩიტების ჭიკჭიკი და ჯორებისა და მათი ფეხის ხმა არღვევდა. იმდენი შაშვი, გვრიტი, კოდალა, კაჭკაჭი და ტყის ქათამი, აქაურ ტყეებში რომ ბინადრობდა, არსად და არასოდეს ენახათ. ეტყობა ფრინველებიც იშვიათად ხედავდნენ ადამიანებს, რადგან ისე არ უფრთხოდნენ, როგორც ტაო-კლარჯეთში. მიუხედავად ამისა, აქაურმა მიწა-წყალმა მაინც იუცხოვა მათი ფეხის ხმა. სიჩუმე ისე იყო მოკალათებული ხელუხლებელი ბუნების უსასრულობაში, როგორც უხსოვარი დროიდან დასაკუთრებულ ბუდეში და ამ სიჩუმესა და უსასრულობაში ისე ყვაოდა ყოველი ხე, ბუჩქი, ყვავილი და ბალახის ღერო, რომ მათი სუნთქვა, ფეთქვა და დრტვინვა მთელ ქვეყანას აყრუებდა. გაზაფხული იდგა და სიცოცხლისაკენ სწრაფვა თვით სიცოცხლეს უსწრებდა წინ, მაგრამ მათ ტანჯვა და მწუხარება მოჰქონდათ თან, მოჰქონდათ რაღაც ისეთი რაც ამ ხელუხლებელი ბუნებისათვის სრულიად უცხო იყო და ამიტომ არც კვალს იმჩნევდა და არც მათ შიშსა და იმედს იზიარებდა.

უზარმაზარი, ასვეტილი ფიჭვების მძაფრი სურნელება და სველი მიწის სუნი ისეთ ნაზავს ქმნიდა, როგორიც მათ სხვაგან არსად უგრძვნიათ და როგორც კი ფიჭვნარს გასცდნენ, გარემომ არა მარტო სურნელება დაკარგა, არამედ ტყემაც უკან დაიხია, სივრცე განიხვა და მათ წინ ხასხასა ბალახით დაფარული მოგრძო მინდორი ამოჩნდა. სერაპიონმა, რომელიც სამ ძმას შორის მიაბიჯებდა, გადაწყვიტა დასასვენებლად და წასახემსებლად აქ შეჩერებულიყვნენ. მზეს ბალახი უკვე გაეშრო, ირგვლივ ტალახის ნასახიც კი არ ჩანდა უკეთეს ადგილს ძნელად თუ იპოვნიდნენ სადმე. არა და გზას უთენია დაადგნენ და აქამდე ლუკმა არ ჩაუდვიათ პირში. სერაპიონმა ნაბიჯს უკლო, დაწმენდილ გუბეს გვერდი აუარა და სულიერ ძმებს შეავლო თვალი. ისინი მას თანაშემწეებად გამოაყოლეს და ისევე ევალებოდა მათი დაცვა და პატრონობა, როგორც საჭიროების დროს სახიფათო საქმეზე წარგზავნა და იარაღად გამოყენება. იოანე და ილარიონი ჯორებს მიუძღოდნენ წინ, მის გვერდით კი მაკარი, ბასილი და მარკოზი მოაბიჯებდნენ. ყველაზე უხნესი, ტლანქი და ღონიერი ილარიონი იყო, უყვარდა შრომა და გარჯა, იცოდა ხის გარანდვა, ქვის გათლა, კედლის წყობა, კერძის მომზადება, თევზაობა და ნადირობაც კი, არ უყვარდა მერყევი გარემო და გაურკვეველი მდგომარეობა. ბუნებით კეთილი და თვინიერი კაცი იყო, ღვთის ყოვლისშემძლეობაში ეჭვი არ ეპარებოდა და საკუთარ თავს იშვიათად ეკითხებოდა რამეს, მაგრამ ზოგჯერ ისეთ რამეზე ახირდებოდა, კაცი ვერ გაუგებდა, საქციელს უწუნებდა ვინმეს თუ იმ აზრს არ იზიარებდა, მისი თანდასწრებით რომ გამოთქვეს. ერთხელ ისეთ გუნებაზე ადგა, რომ ყველას განერიდა, მთელი დღე ტყე-ტყე იარა და მხოლოდ შეღამებისას წამოეწია მათ. ეტყობა მონასტერში მოსვლამდე მას რაღაც ისეთი გადახდა თავს, რამაც სულიან-ხორციანად შეძრა და როცა ის ამბავი მოაგონდებოდა, თავის თავსაც გაურბოდა და სხვებსაც. შეიძლება ნეტარმა მიქაელმა ილარიონი იმიტომ გამოაყოლა თან, რომ მისი საიდუმლოც იცოდა და მისი ხასიათის ის თვისებებიც, საერთო საქმეს რომ გამოადგებოდა.

ილარიონის გვერდით იოანე თხელი და სუსტი ჩანდა, მათ შორის იგი ყველაზე ახალგაზრდა იყო, მაგრამ სულიერი სიმტკიცით, შემართებით და სათნოებით არც ერთს არ ჩამოუვარდებოდა. მისი პირიდან ერთხელ არ ამოსულა უდიერი, ხმამაღალი სიტყვა. შრომობდა მშვიდად, აუჩქარებლად, დაუჩივლელად, ზოგჯერ კი სახეზე ისეთი ნათელი გადაეფინებოდა, თითქოს განხორციელებულს ხედავს იმ ოცნებას, თან რომ გამოჰყვა. არა და სერაპიონს წარმოდგენა არ ჰქონდა, რაზე ოცნებობდა იოანე, რა აზრები უტრიალებდა თავში, რა აწუხებდა და რა ახალისებდა. მათი ურთიერთობა ჯერ კიდევ ვერ გასცდა იმ ზღვარს, რომლის მიღმა გულახდილობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა იწყება. შეიძლება იოანე ბუნებით იყო სიტყვაძუნწი და გულჩათხრობილი, შეიძლება ის სამყარო, მისად რომ მიაჩნდა, არ ემეტებოდა სხვების საჯიჯგნად და სათრეველად, მაგრამ სერაპიონი რატომლაც დარწმუნებული იყო, რომ მის უმცროს ძმას ცხოვრების სიმძიმე და უკულმართობა იმდენად არ აშინებდა, რამდენადაც სიმშვიდისა და სულიერი წონასწორობის დაკარგვა, მოუშუშებელი ჭრილობის მიყენება იმისათვის, რაც რწმენას უმტკიცებდა, ისეთ საქმეში გარევა, რაშიც ადამიანის ხელი ერია და არა ღმერთის. იოანე ჯერ კიდევ ახალგაზრდა, უმწიკვლო იყო და არ იცოდა, რომ ყოველი ქმედითი ნაბიჯის გადადგმა სიშლეგეა და წინასწარ არავინ იცის, რა მოჰყვება ამ სიშლეგეს — წყევლა-კრულვა თუ ღვთის მადლით შემოსვა.

— ამ მინდორზე შევისვენებთ, ვილოცებთ და წავიხემსებთ, — ბრძანა სერაპიონმა, გზიდან გადავიდა და იმ ადგილისაკენ გაემართა, სადაც მზისკენ პირშექცეული ყვავილები ფერთა სინატიფით ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ამ მინდორზე ნაზ, სუსტღეროიან ყვავილებზე გაცილებით მეტი სარეველა ბალახი იყო და მას ყოველთვის აკვირვებდა ამ ფაქიზი, დღემოკლე, სურნელოვანი ყვავილების სიცოცხლისუნარიანობა და შემართება, შეუპოვარი ბრძოლა იმისათვის, რომ მტრულად განწყობილ გარემოში თავიანთი ადგილი დაემკვიდრებინათ.

ირგვლივ ისეთი სიმყუდროვე და სიჩუმე იყო გამეფებული, რომ სიმშვიდეს მონატრებულ ადამიანს უსაზღვროდ შეეძლო დამტკბარიყო ამ სიჩუმითა და უშფოთველობით, მაგრამ მათ არც ტკბობის დრო ჰქონდათ და არც სიჩუმე ჩანდა ისეთი უხიფათო, როგორც სერაპიონს თავიდან მოეჩვენა. ყოველმხრივ ტყით შემოზღუდული მინდორი ხაფანგს ჰგავდა და რაღაცას შეიცავდა ისეთს, რაც ეჭვსა და უნდობლობას იწვევდა. აქ ჯდომასა და პურის ჭამას ისევ ის ჯობდა, რომ ტყისთვის შეეფარებინათ თავი, მაგრამ სერაპიონმა ცდუნებას ვერ გაუძლო, სითბოსა და სინათლის ღრეობამ გააბრუა და იმის მაგივრად რომ წინდახედულება გამოეჩინა და აქაურობას გასცლოდა, ამ ადგილიდან ფეხის მოცვლა მაინც არ ისურვა. ბერებმა ჯორის ზურგზე გადაკიდებული ხურჯინი ჩამოხსნეს და სუფრის გაშლას შეუდგნენ. მართალია დიდმარხვა იდგა და არაფერი არა სამარხო მათ პირში არ უნდა ჩასულიყო, მაგრამ წინ მძიმე გზა ედოთ, თითქმის უვალი ხეობის ავლას და დროებითი თავშესაფარის მოწყობას გარჯა და ძალ-ღონე სჭირდებოდა და ამიტომ არა მარტო პური და ყველი წამოიღეს თან, არამედ ერთი ტიკჭორა ღვინოც. იოანე და მაკარი ღვინოს არ ეკარებოდნენ, სხვები კი თითო ყანწის გადაკვრაზე უარს არ ამბობდნენ. სუფრა თვალის დახამხამებაში გაიშალა, ცხვრის ტყაპუჭზე პური, ყველი და მწნილი იდო, ნახევრად დაცლილი, ბალახზე გაგორებული ტიკჭორა კი ცოცხალ არსებასავით სუნთქავდა. სანამ პურის ჭამას შეუდგებოდნენ, სერაპიონმა მაკარს ჯორიდან ფერისცვალების ცხოველი ხატი ჩამოახსნევინა, საბურველი შემოაცალა და იქვე მიწაში ჩარჭობილ ჯოხზე მიაყუდა. ხატი

ბრწყინავდა, პატიოსანი თვლები კი ელავდნენ და კიაფობდნენ. ხატის შეჭედილობა იმგვარი იყო, რომ გაზაფხულის მზის სხივებს უკლებლივ ირეკლავდა დაირგვლივ აფრქვევდა. სერაპიონმა ხატის წინ მუხლი მოიყარა, სხვებმა გვერდით დაიჩოქეს და მანამდე არ შეუწყვეტიათ ლოცვა, სანამ „მამაო ჩვენო" ბოლომდე არ ჩაათავეს. მხოლოდ ამის შემდეგ მიუსხდნენ სუფრას და თითოეულმა მათგანმა იგრძნო, რომ ისინიც მიწის შვილები, ადამიანები არიან. პირველი ყანწი სერაპიონმა მარკოზს გაუწოდა. მარკოზი აფხაზეთის სამეფოდან იყო გადმოსული ტაო-კლარჯეთში, მონასტრის ცხოვრებასა და საეკლესიო სჯულის კანონს სწავლობდა და შეიძლება მიქაელმა იგი იმიტომ გამოაყოლა თან, რომ თავის თვალით ენახა, რა სიძნელეები ელობება წინ ახალი მონასტრის დაარსებას და შემდეგ ეს გამოცდილება აფხაზეთის სამეფოში გამოეყენებინა. მარკოზს თხელი პირისახე, ღია ფერის თმა-წვერი და მოცისფრო თვალები ჰქონდა. დადიოდა სხარტად, ძალდაუტანებლად. უყვარდა ხუმრობა და ზოგჯერ იმდენად ენამოსწრებული იყო, რომ საერთო ხარხარსაც კი იწვევდა. მიუხედავად ამისა, მონასტრის მძიმე და უსიხარულო ცხოვრებას იოლად იტანდა და ამქვეყნიურ სიამეთა მიმართ დიდ თავდაჭერილობას იჩენდა. გალობდა ისე, თითქოს მისი ხმა მართლაც აღწევდა ღმერთამდე და გალობის დროს მცირე უზუსტობასაც კი მძიმე ცოდვად მიიჩნევდა. არ უყვარდა თავის წვალება და მეტისმეტად შორს ყურება, რაშიც ვერ ერკვეოდა, იმაზე ფიქრით თავს არ იტკიებდა და რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ განსაწმენდელს დედამიწაზეც ჰპოვებდა. შრომაში გამჭრიახობას და სიბეჯითეს იჩენდა და ზოგჯერ ისეთი მდგომარეობიდან პოულობდა გამოსავალს, უიმედო რომ ჩანდა.

— როგორ გგონიათ, მამაო სერაპიონ, მესხებმა ღვინის სმა იციან, თუ ესეც ჩვენ უნდა ვასწავლოთ, — ჰკითხა მარკოზმა ღიმილით და გამჭვირვალე ყანწს მზეზე გახედა.

— შენ ის ასწავლე, რაც არ იციან — გალობა და წერა-კითხვა, თორემ ღვინის სმასა, აყალ-მაყალსა და დანის ტრიალში მათთან შედარებით უსუსური ბალღი აღმოჩნდები, — თქვა სერაპიონმა.

— ვითომ ასეა საქმე?

— შეიძლება მე ვაჭარბებ, მაგრამ იმ საქმეში, რის აღსრულებასაც ვაპირებთ, ღვინოზე დიდი მტერი ცოტა გვეყოლება ამ ქვეყნად.

— ასე უყვართ?

— საშიში ის კაცი არ არის, ვინც ღვინის ყადრი იცის და ღვინო უყვარს, არამედ ის, ვისაც ღვინოზე მეტად აღვირახსნილობა და ღრეობა უყვარს.

— იქნებ მათ პურის ჭამაც კი არ იციან ხეირიანად, მამაო?

— ადვილი არც ხეირიანად პურის ჭამაა, მამაო მარკოზ.

— ღევნას ხომ არ დაგვიწყებენ?

— არც ეგაა გამორიცხული.

— მთავრებსაც და აზნაურებსაც ამგვარი ზნე სჭირთ?

— შეიძლება ისინი მტრულად არ მოგვექცნენ, მაგრამ მათ სხვა ზნე სჭირთ — სისხლის ღვრა უყვართ.

— ღვთისმსახურთა სისხლისაც?

— თუ დასჭირდათ, არც ამას მოერიდებიან.

— რაღა ყველამ ჩვენდა სამტროდ მოიცალა, მამაო?

— ის, რის აღმოსაფხვრელადაც ჩვენ მივემგზავრებით, იქაურებს ისე აქვთ ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ უსისხლოდ და უმსხვერპლოდ არ დაგვითმობენ.

— ყველა უკეთურობის აღმოფხვრას უამრავი დრო სჭირდება, მამაო.

— ჩვენ სივრცის დასასაკუთრებლად მივდივართ და არა დროის ასაჩქარებლად.

— რას ნიშნავს ეს, მამაო?

—უპირველეს ყოვლისა ჩვენ მონასტერი და ტაძარი უნდა ავაშენოთ და ბინა დავიდოთ.

— თუკი არ მოინდომეს?

— უნდა ვაიძულოთ.

— რატომ თიშავს მათ ის, რაც ჩვენ გვაერთიანებს, მამათ?

— მათაც აერთიანებს რაღაც ისეთი, რაც ჩვენ გვთიშავს.

— რა უნდა აერთიანებდეთ ურწმუნოთა და უბადრუკთ?

— ის ადათ-წესები, რომელთაც ემორჩილებიან.

— მერედა, ღმერთი ამას არ ხედავს?

— ხედავს, ღმერთი ყველაფერს ხედავს, მამაო მარკოზ.

— ჰოდა, სადაც ღმერთია, ჭეშმარიტებაც იქ არის, მესხებმა იკითხონ, თორემ ჩვენ ღვთის მადლი გვცხია, — თქვა ბოლოს მარკოზმა ისე, თითქოს გამოსავალი იპოვა და გამჭვირვალე ყანწი აუჩქარებლად მიიტანა პირთან.

სერაპიონმა პურსა და ყველს მაშინვე შეატანა და იქაურობას კიდევ ერთხელ მოავლო თვალი. ტყით შემოსილი მთები ახლა უფრო მაღალი, დაბურული და გაუვალი მოეჩვენა, ვიდრე მანამდე ეჩვენებოდა. სხვადასხვა ჯიშის ხეთა მჭიდრო ქსოვილი დღის სინათლეს ამუქებდა, აბუნდოვანებდა, არაერთგვაროვანს ხდიდა. ველის პირას გამოჭრილი ბუჩქები ახალ ფოთლებს ილებდნენ და ნორჩი ფოთლები მზის სხივებზე ლაპლაპებდნენ, ხანდაზმული, ძირიდან წვერამდე შემოსილი ნაძვები კი ისე ნთქავდნენ ციდან ჩამოღვრილ სინათლეს, რომ არც ფერს იცვლიდნენ და არც იმ იდუმალებას თმობდნენ, გაჩენის დღიდან რომ ინახავდნენ გულში.

სერაპიონმა ისევ გაავსო ყანწი და ბასილს გაუწოდა. ბასილს სახელი ჰქონდა დიდი საეკლესიო მოღვაწისა, თორემ თვითონ სუსტი, უენო, უანდამატო კაცი იყო, რომელსაც ვერც სიხარულს შეატყობდი და ვერც მწუხარებას, ანაფორაც ყოველთვის ტომარასავით ეკიდა ტანზე. ხშირად მთელი დღე მისი პირიდან „ჰო“-ს და „არა“-ს მეტი არაფერი ამოდიოდა. შრომასა და გაჭირვებას არ გაურბოდა, მაგრამ ქვეყანა რომ დაქცეულიყო, არც ხელს ააჩქარებდა და არც იმაზე მეტ ტვირთს იტვირთავდა, რამდენის ტვირთვაც შეეძლო. მან არც ხელობა იცოდა, არც ქალამნის გაბლანდვა, არც კარვის გამართვა და მისი ხმის პატრონს არც ქადაგება გამოუდიოდა, სამაგიეროდ წერა-კითხვაში იყო გაწაფული, მონასტერში ერთ-ერთ საუკეთესო გადამწერად ითვლებოდა და როცა მიქაელს ვინმესათვის წიგნი ჰქონდა მისაწერი, ბასილს იხმობდა, საწერ მაგიდასთან დასვამდა, სათქმელს უკარნახებდა და ბოლოს ნაკარნახევს სუფთად გადააწერინებდა. შეიძლება მიქაელმა იგი იმიტომ გამოაყოლა თან, რომ მათი საქმიანობისათვის ედევნებინა თვალყური, ყველაფერი ჩაენიშნა, ჩაეწერა და წინამძღვრისათვის შეეტყობინებინა, ერთი სიტყვით მისი მსტოვარი, მისი თვალი და ყური ყოფილიყო.

სულიერ ძმებთან ყოველდღიურ ურთიერთობაში ბასილს „არა“-ს თქმა უფრო უჭირდა, ვიდრე „ჰო“-ს და ახლა მხოლოდ იმიტომ ჩამოართვა ყანწი, რომ უარის თქმა მოერიდა. ისე კი თრობასა და სიმაძღრეს, მარხვა და სიფხიზლე ერჩია.

ბასილს ყანწი ჯერ კიდევ არ ჰქონდა ბოლომდე გამოცლილი, როცა სერაპიონს ცხენების ფლოქვების თქარა-თქური მოესმა. ცხენების ფეხის ხმა ჯერ ყრუდ ისმოდა, მაგრამ თანდათან გაძლიერდა და როცა სერაპიონი მიხვდა, მხედრები იმ გზას მოჰყვებოდნენ, რომლითაც თვითონ მოაღწიეს აქამდე — შეკრთა. შეკრთომა სხვებსაც დაეწყოთ სახეზე. ამ უდაბურ ტყეში მათ კვალს სასიკეთოდ არავინ დაედევნებოდა და რადგან მხედრები სწორედ მათკენ მოჰქროდნენ, სერაპიონს აღარც იმაში ეპარებოდა ეჭვი, რომ ხეობაში შემოსვლის დღიდან მათ ყოველ ნაბიჯს ვიღაც უჩუმრად ადევნებდა თვალყურს, ისიც კი იცოდა, ახლა სად იყვნენ, რას აკეთებდნენ და მხედრებიც მან დაა-

ყენა მათ კვალზე. წინათგრძნობა აუხდა, აქ არც დამალვა შეიძლებოდა სადმე და ვერც გაქცევით უშველიდა კაცი თავს. ისინი ნამდვილ ხაფანგში აღმოჩნდნენ და ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ ეს ხაფანგი მან აირჩია დასასვენებლად და წასახემსებლად. სერაპიონმა სულიერ ძმებს თვალი შეავლო, ყველა შემკრთალი და დაბნეული იყო, ყველას მისი იმედი ჰქონდა. უშუალო საფრთხე ჯერ არსად ჩანდა. არც ერთს არ ჰქონდა წარმოდგენა, ვინ უნდა ყოფილიყვნენ ის მხედრები, მათკენ რომ მოაჭენებდნენ ცხენებს, მაგრამ მიწა და ჰაერი რომ დაიძაბა, ქვეყანა რომ გამუხთლდა და გაუკუღმართდა, ეს ყველამ იგრძნო.

სერაპიონი ფეხზე წამოდგა, პირჯვარი გადაიწერა და უფრო ხმამაღლა თქვა, ღმერთო შენ დაგვიფარეო, ვიდრე უნდოდა: სხვებიც ფეხზე წამოდგნენ. ყველა გაფითრებული იყო. მხედრები სწრაფად ახლოვდებოდნენ და სადაცაა მათ მიერ დასაკუთრებულ მინდორზე შემოიჭრებოდნენ, დადგა ის წუთები, როცა დრო ჩერდება და აღარ იცი, მალე დაგიბნელდება დღე თუ გამჩენი თავის კურთხეულ კალთას გადაგაფარებს, როცა არაფრით არ გჯერა, რომ ასე უცებ, ასე უაზროდ დამთავრდება ყველაფერი და აღარც მონასტერი აშენდება და აღარც ტაძარი. არა და უაზროდ სისხლი უფრო ხშირად იღვრება დედამიწაზე, ვიდრე ცრემლი, კაცისკვლა კაცისმკვლელს უფრო სახახელო საქმედ მიაჩნია, ვიდრე დანდობა. მით უმეტეს მაშინ, როცა თვით მკვლელს საამისო საფრთხე არ ემუქრება. ამ შემთხვევაში კი თავდამსხმელებს მართლაც არ ემუქრებოდათ არავითარი საფრთხე, არც მას და არც მის სულიერ ძმებს არავითარი იარაღი არ ჰქონდათ თან, თუმცა რომ ჰქონოდათ კიდეც, მაინც ვერ გამოიყენებდნენ. მონაზვნისათვის კაცის მოკვლა ისეთივე მომაკვდინებელი ცოდვაა, როგორც ავაზაკობა და მრუშობა, მათი ხსნა მხოლოდ სასწაულს შეეძლო და ეს სასწაული ცით უნდა მოვლენილიყო.

მინდორზე შვიდი თუ რვა მხედარი შემოიჭრა და ხმალშემართულნი ყიჟინით წამოვიდნენ მათკენ, სერაპიონი გაშეშდა, არ იცოდა, რა ეღონა, როგორ ეხსნა სიკვდილისაგან საკუთარი თავი და სულიერი ძმები, როგორ დაემთავრებინა ასე ფუჭად ცხოვრება. არა და თავდამსხმელები რომ ავაზაკები იყვნენ, ამაში ეჭვი აღარ ეპარებოდა. რაზმს წინ ახალგაზრდა, შავგვრემანი, მკაცრნაკვთებიანი კაცი მოუძღოდა, რომლის შავ თვალებსა და ფერმკრთალ პირისახეს მოკლე წვერ-ულვაში უხდებოდა. იგი რომ სხვებზე მამაცი და შეუპოვარი იყო, შემართებაზე ეტყობოდა, ხმალიც უფრო მოხდენილად და მარჯვედ ეჭირა ხელში და ცხენსაც უფრო მეომრულად მოაგელვებდა. წამის რაღაც მეათედ ნაწილში სერაპიონმა შენიშნა, რომ ავაზაკთა მეთაური ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო სულიან-ხორციანად გახრწნილი, რადგან მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ იცოდა, ვის უნდა დასხმოდა თავს, უიარაღო ბერებისა და მათ მკერდზე ჩამოკიდებული ჯვრების დანახვა მაინც არ ესიამოვნა. იქნებ ვიღაცამ გაგვცა, ავაზაკებს შეატყობინა ცოტაოდენი ვერცხლი და ძვირფასი ხატი რომ მოგვაქვს თან, გაიფიქრა სერაპიონმა, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უკუაგდო, დაუჯერებელი, უსამართლო ეჩვენა, თუმცა იმ წამს ერთი რამ მაინც მოხდა, ხატის ხსენებამ მისი ჩაბნელებული გონება გაანათა, აამოქმედა.

ავაზაკები სულ ოცდაათიოდე ნაბიჯით იქნებოდნენ დაშორებული მათგან, როცა სერაპიონი სწრაფად დაიხარა, ფერისცვალების ცხოველი ხატი ორივე ხელით აიტაცა, მაღლა აღმართა და ავაზაკებს ისეთი ხმით შესძახა „შეჩერდით თქვე შეჩვენებულებო, ჩვენთან ღმერთიაა“, რომ თვით მასაც კი გაუკვირდა, საიდან აღმომხდა ასეთი ძლიერი და მჭექარე ხმა. მაღლა აღმართული, მზეზე აბრიალებული ხატი მართლაც

სასწაულებრივად ბრწყინავდა და ეს სასწაული სერაპიონმა ავაზაკთა მეთაურს თვალებში მიანათა. შუქი იმდენად ძლიერი, იმდენად დამაბრმავებელი იყო, რომ ავაზაკთა მეთაურმა ხმლიანი ხელის თვალებზე აფარება სცადა და სანამ ამას მოახერხებდა, ხმალი ხელიდან გაუვარდა. დაბრმავებულმა მხედარმა სადავე ლონივრად მოქაჩა, დამფრთხალი ცხენი ყალყზე შედგა, განზე გახტა და მხედარიც თან გაიტაცა. სერაპიონმა ახლა სხვებს მიაშუქა თვალებში სასწაულმოქმედი ხატის შუქი და ავაზაკებმა შიშისა, გაოგნებისა თუ მიმბაძველობისაგან თვალებზე ხელი აიფარეს და ხმლები ძირს დაყარეს. მოხდა რაღაც ისეთი, რასაც არც თავდამსხმელები ელოდნენ და არც დამხდურნი. ავაზაკები აირიენ, აღარ იცოდნენ რა ექნათ, როგორ მოქცეულიყვნენ, რით აეხსნათ ეს სასწაული და შეცბუნებულებმა თავიანთი მეთაურის ირგვლივ მოიყარეს თავი. მათი მეთაური კი სიკვდილივით გაფითრებული იჯდა ცხენზე, ხმას არ იღებდა და ხატს ისე არიდებდა თვალს, თითქოს ციდან იყო მოვლენილი. ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდა, გონს მოსვლა ვერავინ მოასწრო. გაოგნებულნი არა მარტო ბერები და ავაზაკები იყვნენ, არამედ ის გარემოც, ამას წინათ რომ ასე ვერაგულად გამუხთლდა. სერაპიონმა შემთხვევით ისარგებლა, ილარიონს უბრძანა ხმლები აეკრიფა და თავიანთი პატრონებისათვის დაებრუნებინა. ავაზაკთა მეთაურს სახე ავად მოელრიცა, მაგრამ ხმალი უსიტყვოდ ჩააგო ქარქაშში, ცხენი გააბრუნა და იმავე გზით გაეცალა იქაურობას, საიდანაც მოვიდა. დანარჩენებიც უხმოდ გაჰყვნენ უკან. სერაპიონმა შვებით ამოისუნთქა და ჯერ კიდევ გაოგნებულ ბერებს უბრძანა, სუფრა აელაგებინათ. დრო იყო ამ ფათერაკიან ველს გასცლოდნენ და ძინძეს ხეობას ბოლომდე აჰყოლოდნენ.

მდინარე ძინძეს სათავე შიშველი ბორცვებით და მშრალი ხეობებით იყო დასერილი, ზემოდან კი მათ ულრანი ტყეებით დაფარული, მაღალი მთები დაჰყურებდა. ერთ ადგილას, მწვერვალიდან თითქმის შუა წელამდე, მთის ფერდობი მოშვავებულიყო და იმ ადგილას ჯერ კიდევ იდო თოვლი. ცივი და ნესტიანი ჰაერი ისე ისუსხებოდა, თითქოს ახალგათენებულ დღეს ეკლები ესხა ტანზე. სერაპიონი ყველაზე დიდსა და მაღალ ბორცვზე იდგა, ჩოხის სახელოებში შეყოფილ ხელებს ისრესდა და იქაურობას ეს უკვე მერამდენეჯერ ათვალიერებდა. ძინძე პირდაპირ კლდიდან მოედინებოდა, ორთქლავდა და აჩხრიალებული და აქაფებული თეთრი ძაფივით ეშვებოდა ხევში. ძალას იგი ქვემოთ, ქვაბლიანის შესართავთან იძენდა, აქ კი პატარა წყარო თუ ღელე იყო და არავისთვის არ შეეძლო ვნება ან ზიანი მიეყენებინა. მართალია, ფართო ხევი ან გაშლილი მინდორი არსად ჩანდა, მაგრამ ახლოს იყო ტყე, წყალი, ნაშალი ქვა, ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა და თუ კაცი მოინდომებდა და გაირჯებოდა, ბაღ-ვენახების გაშენება ამ ბორცვებზე და გორაკებზეც შეიძლებოდა. იმ ბორცვზე კი, რომელზედაც იდგა, კელიონებიც დაეტეოდა, საოსტიგნოც, ბეღელიც, მარანიც, სატრაპეზოც, ეკვდერიც და მთავარი ტაძარიც თავის სამრეკლოიანად. ეს ადგილი ერთსა და იმავე დროს უცხო თვალისათვის დაფარულიც იყო და ღიაც, სანამ ტყეს არ გამოსცდებოდი, ვერ დაინახავდი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სამცხეში ურჯულოები შემოიჭრებოდნენ, მონასტერი ღვთის საუფლოდაც გამოდგებოდა და ციხესიმაგრეთაც. ციხე-სიმაგრე კი ადამიანს ისევე სჭირდება ამ ქვეყნად, როგორც სალოცავი და სახატე. ამიტომაც დაყოვნდნენ ამ ადგილას აქამდე, ამიტომაც შეუდგნენ ქვის მცირე ეგვტერის შენებას. ეგვტერი დღეს თუ ხვალ გადაიხურებოდა და სიცივე და წვიმა ისე აღარ შეაწუხებდათ, როგორც აქამდე აწუხებდათ. მხოლოდ ეს იყო, რომ არ იცოდა, როგორ მოიქცე-

ოდნენ აქაურები, როცა მათ დამკვიდრებას გაიგებდნენ. შეიძლება უკვე გაგებულიც ჰქონდათ და ახლა იმაზე ბჭობდნენ, შეეწყნარებინათ უცხო მხრიდან მოსული ბერ-მონაზვნები თუ გაედევნათ. როცა აქეთ მოდიოდნენ და ტბას გამოსცდნენ, საკმაოდ მოზრდილ დაბას ჩაუარეს გვერდით. როგორც მოგვიანებით გამოირკვა, დაბას ბერასჯვარი ერქვა და შორიდან ხალხმრავალი ჩანდა. მოსახლეობა არაბების მიერ გადაბუგულ და გაპარტახებულ მესხეთშიც ისევე სწრაფად იზრდებოდა, როგორც ტაო-კლარჯეთში, მაგრამ ამ ღვთისაგან მივიწყებულ კუთხეში ადამიანები გაცილებით უფრო უფრთხილდებოდნენ სახლ-კარს, სისხლით ნათესავებს, სიმწრით შეძენილ ავლადიდებას და პირუტყვსაც კი, ვიდრე საკუთარ სულს, სინდისს, ადამიანურ გრძნობას და უცხოსადმი სიძულვილი უფრო ბუნებრივ ამბად მიაჩნდათ, ვიდრე მოყვასის სიყვარული. ჯერჯერობით მათ არც ღმერთი სჭირდებოდათ და არც სულიერი მამა, არც ცოდვების მონანიება და არც წირვა-ლოცვა, ცხოვრება ისედაც აუტანელ ტვირთად აწვათ მხრებზე, მაგრამ ამიერიდან მათ აღარავინ ჰკითხავდა, რა სჭირდებოდათ და რა არა, უნდო და უტკბო იქნებოდნენ თუ მორჩილნი და ღმობიერნი. რაკი მან და მისმა სულიერმა ძმებმა აქამდე ამოაღწიეს, რაკი თან მოიტანეს საღვთო წიგნები, ქრისტეს მცნება და ქრისტიანული ცხოვრების წესი, უნდოდათ თუ არა, ქრისტეს მცნება და ქრისტიანული ცხოვრების წესი მთელ ამ მხარეში მაინც გაბატონდებოდა, ხოლო მალე ეკლესიებისა და მონასტრების დიდი და პატარა ზარების ერთობლივი, შეხმატკბილებული რეკვა ყველას ამცნობდა, რომ „ხორცი ეგე თქუენი ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმინდისანი არიან".

სერაპიონს გაღმიდან, იმ ფერდობიდან, რომელიც თითქმის ბერასჯვარამდე ეშვებოდა და ტყით იყო დაფარული, ცულების კაკა-კუკი მოესმა. ადგილობრივი მკვიდრნი ტყეს ჰკრიდნენ და მორებს გამოკაფული ღარით დაბლა აცურებდნენ. ისინი იმ ბორცვს, რომელზედაც სერაპიონი იდგა ზემოდან დასცქეროდნენ და შეუძლებელი იყო ბერების აქ ყოფნა და საქმიანობა არ შეემჩნიათ. სერაპიონი კი მათ ვერ ხედავდა, არ იცოდა, როგორი სახეები ჰქონდათ, როგორ იქნევდნენ ცულებს, რა თვალით იცქირებოდნენ მისკენ, რა სიტყვებით ამკობდნენ მომხდურს. მათ თვალში რომ იგი მომხდური იყო, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა, თანაც ისეთი მომხდური, სამუდამოდ რომ აპირებდა ამ მხარეში დამკვიდრებას და აქაური ყოფა-ცხოვრების თავისებურად გადაკეთებას, რასაც ახალი ტკივილი, ახალი ტანჯვა მოჰყვება. ჩამოვარდება განხეთქილება ნათესავებს, ოჯახის წევრებს შორისაც კი, აფორიაქდება, ამოძრავდება, აიმღვრევა სიმწრით დალაგებული ცხოვრება, გამრავლდება უცხო თესლი, უცხო ნიშნები, გაბატონდება სხვაგვარი სულისკვეთება, გაფართოვდება საწუთროს ზღვარი და ის კაცი, რომელიც ახლა ბორცვზე დგას და აქაურობას ეს უკვე მერამდენეჯერ ათვალიერებს, თავის სიშლეგით და შეუპოვრობით ისე მოწამლავდა და მოშხამავდა ყველას, ისეთ რამეს ჩააწვეთებდა სულში, რისგანაც შემდეგ ვერაფრით ველარ განთავისუფლდებოდნენ.

სერაპიონმა თვალები დახუჭა, საკუთარ სულში ჩაიხედა და არა მარტო რწმენა და ადამიანის მიდრეკილებანი დაუპირისპირა ერთმანეთს, არამედ განსჯაც განუსჯელობას, სიქველე მცონარებას, საყდრეულობა უსაყდრობას, ზნეობა უზნეობას, წესრიგი უწესრიგობას და როცა დარწმუნდა, რომ მისი ნება ურყევია, რომ გულჩვილობა მისთვისაც ისევე უცხოა, როგორც გამჩენისათვის, თვალები გაახილა, ჩოხის სახელოები აიკეცა და იქით დაიძრა, სადაც სულიერი ძმები ეგულებოდა.

ეგვტერის კედლები ბოლომდე იყო ამოყვანილი, ირგვლივ ხარაჩოები ერ-

ტყა, ახლა მხოლოდ სახურავს სჭირდებოდა დამთავრება. როგორც კი გადახურვას მორჩებოდნენ, ეგვტერს გამოხვეტავდნენ, დაასუფთავებდნენ, გაათბობდნენ და ღამეს ჰერქვეშ გაათენებდნენ. შეშა და მშრალი თივა მომარაგებული ჰქონდათ, ჯერჯერობით არც მთლად ულუკმაპუროდ იყვნენ დარჩენილნი და თუ საგანგაშო არაფერი მოხდებოდა, ერთ-ორ კვირას კიდევ შეიცდიდნენ აქ. მანამდე კი ისიც გაირკვეოდა, აეგოთ ამ ადგილას მონასტერი თუ სხვა ადგილის ძებნას შესდგომოდნენ. მიქაელის მიერ აღწერილი ნიშნები იმდენად ბუნდოვანი იყო, ამ მხარეში კი იმდენი ხელუხლებელი, ლამაზი, საცხოვრებლად გამოსადეგი ხეობა ესაზღვრებოდა ერთმანეთს, რომ ზუსტად იმ ადგილის მიგნება, ღმერთმა რომ გამოარჩია, მისივე ხელშეწყობის გარეშე მეტისმეტად ჭირდა. ერთხანს ეგონა ანგელოზი ან რომელიმე წმინდანი გამოეცხადებოდა და რითიმე ანიშნებდა, საით ზელო გეზი, მაგრამ რადგან ასეთი არაფერი მოხდა, უგზო-უკვლოდ ხეტიალს ისევ აქ დაყოვნება და ლოდინი ჯობდა. შეიძლება ის საამო წყარო, მიქაელმა რომ ახსენა, ძინძეს სათავე იყო, ხოლო მღვრიე ტბა — ის ტბა, ბერაჯვარის ქვემოთ რომ ელავდა.

ბერები უკვე შესდგომოდნენ შრომას. ილარიონი და იოანე, რომელმაც ამასობაში ცოტათი ისწავლა ქვის წყობა, სახურავზე იყვნენ ასული, მაკარი ხარაჩოზე იდგა, მარკოზი და ბასილი კი ნაშალ ქვას და მოზელილ თიხას აწვდიდნენ ქვემოდან. ქვის გათლა და წყობა სერაპიონმაც იცოდა, ცოტათი ხუროთმოძღვრობაშიც ერკვეოდა, როცა ოპიზის მონასტერში სალოსტიგნოს მშენებლობა დაიწყეს, იმდენად დიდი სურვილი ჰქონდა საამშენებლო საქმეს გასცნობოდა (შეიძლება ამის მიზეზი მამის უგუნურად დაღუპვაც იყო), რომ მიქაელს შეევედრა, ოპიზის მონასტერში გაეშვა და ნება დაერთო რომელიმე ოსტატს შეგირდად დასდგომოდა.

მიქაელს არც დაუშლია და არც დიდხანს დაუყოვნებია, მხოლოდ ლოცვა-კურთხევა გაატანა თან. ოპიზის მონასტერში მთელი ერთი წელი დაჰყო, უბრალო ქვისმთლელივით თლიდა ქვას, მის წყობაშიც ეხმარებოდა კალატოზებსა და კირითხუროებს, ხოლო როცა დრო ჰქონდა ხუროთმოძღვარს უკან დასდევდა და ყოველ მის განკარგულებას იმახსოვრებდა, ყოველ მის ხელსაწყოს აკვირდებოდა. ერთ წელიწადში დამთავრდა სალოსტიგნოს მშენებლობა, მაგრამ ჯერ ერთი, სალოსტიგნო ტაძარი არაა, მეორეც, ერთი წელი ძალზე მცირე დრო აღმოჩნდა იმისათვის, რომ ამ რთულ საქმეს საფუძვლიანად დაუფლებოდა. არა და არაფრის ცოდნა არ სჭირდებოდა ახლა ისე, როგორც ხუროთმოძღვრებისა. მართალია, საქმე ჯერ ხუროთმოძღვრამდე არ იყო მისული, ჯერ მხოლოდ პატარა ეგვტერს ამთავრებდნენ, მაგრამ თუ ღმერთი შეეწეოდა და საქმე მონასტრის მშენებლობამდე მივიდოდა, ყველაზე მეტად ნიჭიერი, გამოცდილი და გაბედული ხუროთმოძღვრის გამონახვა გაუჭირდებოდა.

სერაპიონმა სულიერ ძმებს გაუღიმა, ჩოხის კალთები აიკაპიწა და ხისგან გამოთლილი ნიჩბით მარკოზთან და ბასილთან ერთად თიხის ზელას შეუდგა.

— რამე ახალი ხომ არ შეგინიშნავთ, მამაო სერაპიონ? — ჰკითხა მარკოზმა.

— არა, არაფერი.

— რა ხალხია ეს მესხები, ამდენი ხანი აქა ვართ და ერთი კაციც კი არ დაინტერესებულა ჩვენი ვინაობით და საქმიანობით.

— გინდა კი, რომ დაინტერესდნენ?

— აბა, მარტო ჩვენ ავაშენებთ მონასტერს?

— არა მგონია აქაურები მონასტრის შენებაში დაგვეხმარონ.

— რატომ, მამაო?

— იმიტომ, რომ ჩვენგან სასიკეთოს არაფერს მოელიან.

— რამ დააბრმავათ ასე?

— შიშმა.

— კი მაგრამ, რისი ეშინიათ, მამაო?

— ყველაფრის, რაც მათთვის უცხო და გაუგებარია. ჩვენ ისინი ბატონებად გვთვლიან და არა ძმებად და მოყვასებად.

— თუ ასეა, რატომ არ გამოგზავნიან ვინმეს და არ გაიგებენ, რისთვისა ვართ აქ ამოსული და რას ვაპირებთ.

— გამოგზავნისაც ეშინიათ.

— რამ დაალაჩრათ ასე?

— წინდახედულებას იჩენენ, რა იციან, რა გუნება-განწყობილებით გაბრუნდებიან უკან მათი გამოგზავნილი კაცები. რაც არ უნდა იყოს, ჩვენ ღვთისმსახურნი ვართ და ღვთისმსახურთ რომ სასწაულებრივი ზემოქმედების ძალა გააჩნიათ, ეს მათ არ ავიწყდებათ.

— აბა, არ ყოფილა საშველი და ესაა, — თქვა მარკოზმა ისე, თითქოს ადგილობრივმა მოსახლეობამ თავის უნდობლობით პირადად მას მიაყენა შეურაცხყოფა.

სერაპიონმა ისე გაიღიმა, თითქოს ყველას ერთად ულიმისო და აზელილი თიხა ნიჩბით ხისგან გამოთლილ ღრმა ვარცლში ჩაასხა. ადამიანის გონება რომ მოუსვენარი, კირკიტა და მაძიებელია, საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, ზოგჯერ ისეთ რამეს მიაგნებს, რაც მანამდე ბურუსით იყო მოცული, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია ისიც, თუ რა იოლად, რა ბრიყვულად, რა საბედისწეროდ ცდება ხშირად და ზოგჯერ სწორედ მაშინ, როცა არა თუ შეცდომის, მცირედი უზუსტობის უფლებაც კი არ აქვს. მარკოზს საქმის დაწყება ეჩქარებოდა, უნდოდა ხორცშესხმული ენახა ის, ცდუნებით მავალთ რომ ჭეშმარიტების გზაზე მოაქცევს. სალოცავად და სულის სახსნელად მოუხმობს ხალხს, იქნება კერა მწიგნობრობისა და განათლებისა, სავანე ზნეობისა და კაცთმოყვარეობისა, საყდრიონი შემწყნარებლობისა და გულმოწყალებისა, მადიდებელი მამისა, ძისა და სულისწმიდისა და არავითარ ანგარიშს არ უწევდა იმას, თუ რა მერყევი და არასაიმედო იყო მათი მდგომარეობა. კიდევ ორიოდე კვირა და ლუკმა პური საძებარი გაუხდებოდათ. აქაურები რომ მათთვის არაფერს გაიმეტებდნენ. ფულითაც კი არ მიჰყიდდნენ სანოვაგეს, ცხადზე ცხადი იყო, ხოლო ირგვლივ არავინ ცხოვრობდა ისეთი, მათთვის რომ მფარველობა აღმოეჩინა ან შუამდგომლობა გაეწია ადგილობრივ მოსახლეობასთან. დაბაში მათი გაუფრთხილებლად გამოჩენა კი სახიფათო იყო. ღმერთმა იცის, რას არ მოიმოქმედებს წაქეზებული, აღვირახსნილი ბრბო. მაგრამ აღარც დრო ითმენდა. მტრული გარემო სულ უფრო დაძაბული და უტყვი ხდებოდა. საჭირო იყო ქმედითი ნაბიჯის გადადგმა, ყველაფრის ისე მოგვარება, რომ არც საქმისათვის მიეყენებინა ზიანი და არც სულიერი ძმების წინაშე შეერცხვინა თავი, მაგრამ რაღაც ბოჭავდა, გრძნობდა, რომ დიდხანს არ შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო, ბოლოს და ბოლოს აფეთქდებოდა ის მდუმარება, მძიმე ფარდასავით რომ ერტყათ ირგვლივ და თუ რამე ადგილიდან დაიძვრებოდა, გაჭირვებასაც კი იმედის თვალით შეხედავდა.

შუადღე უკვე გადასული იყო, მაგრამ დასვენებასა და წახემსებას არავინ აპირებდა. გაზაფხულის მწვავე მზე სველ კედლებს აშრობდა, ნამარხულევი ბერების ფერმკრთალ სახის კანს ამუქებდა. ახლა ისინი ქვის მთლელებსა და კირითხუროებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე მონაზვნებს. აღარც ბორცვი იყო ისე ხელუხლებელი და უბიწო, როგორც მათ აქ ამოსვლამდე. ხარაჩოების ქვეშ ქვა და გამხმარი თიხა ეყარა, ეგვტერის ირგვლივ ხის ნაფოტები მიმოფანტულიყო, ის ორმო, ცეცხლს რომ ანთებდნენ, ნაცრითა და ნახშირით იყო სავსე. აქაურობას დაგვა, დახვეტა, დასუფთავება სჭირდებოდა, მაგრამ როგორც არ უნდა დაეხვეტათ და დაესუფთავებინათ, მათი კვალი ასე ადვილად აღარ აღმოიფხვრებოდა. თუ აქედან

აიყრებოდნენ, ადგილობრივი მკვიდრნი ამ ადგილს ნაეგვატარალს ან რაიმე ამდაგვარს დაარქმევდნენ და მათ აქაურ საქმიანობას, იმისდა მიხედვით, თუ როგორ დამთავრდებოდა ყველაფერი, შესაბამის კუდს გამოაბამდნენ, რაღაცას გააზვიადებდნენ, რაღაცას დააკნინებდნენ და ზღაპრად ან თქმულებად აქცევდნენ.

ილარიონი და იოანე მანამდე არ ჩამოსულან სახურავიდან, სანამ ეგვტერი ბოლომდე არ გადახურეს. დაღამებამდე ხარაჩოების მოხსნა, ეგვტერისათვის კარის შებმა და იქაურობის დახვეტადასუფთავებაც მოასწრეს. ეს იყო პირველი შენობა, რომელიც მათ საკუთარი ხელებით ააგეს და ამან ერთგვარი სიმშვიდე და ცოტაოდენი სიხარული მოჰგვარა ყველას, რასაც მთის უზარმაზარი ჩრდილიც კი ვერ თრგუნავდა. დიდი იყო თუ პატარა, ბნელი თუ ნათელი, მშრალი თუ ნესტიანი, ეგვტერი მაინც ღვთის სახლი იყო, ჯვრით შემკული ღვთის სახლი, სადაც მათ ლოცვაც შეეძლოთ, პურის ჭამაც, ძილიც, საუბარიც და ფიქრიც. სანამ დაღამდებოდა, ტალავარში მშრალი თივა და შეშა შემოზიდეს, საწოლები მოაწყვეს, ცეცხლი დაანთეს და როცა საკვამურმა კვამლი მაღლა წაიღო, ხატი კედელზე დაკიდეს და ლოცვას შეუდგნენ. ლოცულობდნენ დიდხანს, გულმოდგინედ, დაუკლებლად, ღმერთს შეწეობას და თანადგომას სთხოვდნენ და როცა მათი ზეაწეული განწყობილება ცოტათი დაცხრა, სახელდახელოდ წაივახშმეს.

— როგორ გგონიათ, მამაო სერაპიონ, ჩვენ ვცდებით თუ ეს მართლა ის ადგილია, სამონასტროდ რომ გვირჩია ნეტარმა მიქაელმა? — ჰკითხა ბასილმა.

— შეიძლება ის ადგილი იყოს, მაგრამ გული მაინც მეთანალრება.

— არ მოგწონთ აქაურობა?

— მშვენიერი ადგილია, მაგრამ ვატყობ, აქაურები ჩვენდამი მტრულად არიან განწყობილნი, ჩვენ კი მათი დახმარების გარეშე ვერაფერს გავხდებით.

— იქნებ ჩავიდეთ დაბაში და განვუმარტოთ მათ, რისთვის ვართ ამოსულნი აქ და რას ვაპირებთ.

— ერთი-ორი დღე შევიცადოთ, რაღაც არ მომწონს ეს სიჩუმე,ირგვლივ რომ გვარტყია. შეიძლება ამასობაში გაირკვეს რამე, — უპასუხა სერაპიონმა და ცეცხლს თვალი მოსწყვიტა.

— ხომ არ აჯობებს ამაღამვე გავეცალოთ აქაურობას, გული რაღაც ცუდს მეუბნება, მათ ჩვენი გაძარცვაც შეუძლიათ და დახოცვაც, — თქვა მაკარმა.

—არა მგონია ხელი აღმართონ ჩვენზე, შეიძლება რაიმე უსიამოვნება მოგვაყენონ, მაგრამ დახოცვით არ დაგვხოცავენ, — უპასუხა სერაპიონმა.

— განა ესენი იმ ავაზაკებზე უკეთესები არიან, დახოცვას რომ გვიპირებდნენ?

— ისინი მართლა ავაზაკები იყვნენ, ესენი კი მშრომელი ხალხია და რაც სჭირთ, თავიანთი უბადრუკობითა და უმეცრებით სჭირთ.

— ნუთუ აქაურებს ნეტარი მიქაელის სახელი არ გაუგონიათ? — იკითხა ილარიონმა.

— მდაბიურთ ალბათ არ გაუგონიათ, — უპასუხა სერაპიონმა.

— განა ამ მხარეში არამდაბიურნიც ცხოვრობენ?

— ცხადია, ცხოვრობენ.

— მერე სად არიან?

— თავიანთ ციხე-დარბაზებში.

— თუ ვინმე არ შეგვეწია, ამ ხალხთან ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ, — თქვა კვლავ მაკარმა.

— იმედი ნუ გადაგიწყვეტიათ, ჩვენ, მეუდაბნოეთ ამგვარი ლაპარაკი არ გვეკადრება. რაც მოხდება, ღვთის ნებით მოხდება, ჩვენ ხომ მისი ნების ანაბარა ვართ ამ ქვეყანაზე. ახლა დაწექით და დაიძინეთ. დღეს მუხლი არ მოგიკეცავთ არც ერთს.

მიუხედავად იმისა, რომ ეგვტერის კედლები სველი და ნესტიანი იყო, ცოტაოდენ მყუდროებას მაინც ქმნიდა და

არა მარტო თავშესაფარს წარმოადგენდა, არამედ პატარა სიმაგრესაც, მათ რომ უცხო თვალისა და მომხდურისაგან იცავდა. ეგვტერში ცეცხლს სხვა ფერი ჰქონდა, კვამლს სხვა სუნი, წყალს სხვა გემო, ხატს სხვაგვარი იდუმალება. ეგვტერში ძილი იმით განსხვავდებოდა გარეთ ან კარავში ძილისაგან, რომ მოჩვენებები ნაკლებ სისხლსავსენი, ნაკლებ აბეზარნი იყვნენ. არც ემმას ჰქონდა ის ძალა ოთხ კედელს შორის, როგორც ტყე-ღრეში. მონასტრების მშენებლობა იმიტომ კი არ დაიწყეს ბერ-მონაზვნებმა, რომ თავშესაფარი ენატრებოდათ, არამედ იმიტომ, რომ საკუთარი სივრცე, საკუთარი სამყარო ჰქონოდათ და ამ სამყაროს მეშვეობით ზეგრძნობიერებამდე ამაღლებულიყვნენ. მონასტერი არც სახლია და არც ადამიანთა საკრებულო, მონასტერი მიწიერი ყოფით შეჭირვებულთა საყუდარია, გვემულთა და დამწუხრებულთა სამარტვილო, უქონელთა და უპოვართა სამგალობლო და სამლოცველო.

უეცრად კედელს რაღაც მოხვდა და სერაპიონი შეკრთა. ბორცვი შიშველი, მთიდან ხევით გამოყოფილი იყო და კედელს დაგორებული ქვა არ მოხვდებოდა. ამიტომ ერთხანს არც განძრეულა ადგილიდან, მაგრამ როცა ერთობლივი, ხმამაღალი ყიჟინა მოესმა და დარწმუნდა, რომ ვიღაცეები ქვებს უშენდნენ ეგვტერს, ფეხზე წამოდგა. მის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. ყიჟინი და მუქარა თანდათან ძლიერდებოდა, ახლა უკვე ყოველი მხრიდან უშენდნენ ქვის კედლებს ქვას. ბოლოს სერაპიონმა სიტყვებიც გაარჩია: „წაეთრიეთ აქედან თქვე წუნკლებო, წაეთრიეთ თქვე შავო ყვავებო, წაეთრიეთ თქვე კუდიანებო!“—ღმუოდა გარედან ბრბო და რადგან ტალავართან ახლოს მოსვლას ვერ ბედავდნენ, შორიდან უშენდნენ ქვას. ეტყობა უმეტესობა მოზარდები და ბავშვები იყვნენ. ცეცხლი ჩამქრალი იყო, ტალავარში ბნელოდა და სერაპიონმა ისიც კი არ იცოდა, რა ფერი ედოთ სახეზე მის სულიერ ძმებს, მაგრამ მაინც ურჩია არც ხმა ამოეღოთ და არც გარეთ გასულიყვნენ. რომელიმე მათგანის გამოჩენა კიდევ უფრო გაახელებდა ისედაც აგზნებულ ბრბოს. ისინი აქ მათ დასახოცად არ იყვნენ მოსული, მხოლოდ დაშინება უნდოდათ მათი, თორემ ტალავარის კარის შემომტვრევა და მათი ამოხოცვა არ გაუჭირდებოდათ. ეს ის ბრბო იყო, აშკარად რომ ვერ ბედავს თავს დაესხას სიბრძნესა და სიქველეს, რწმენასა და ღვაწმოსილებას და მხოლოდ იმას ცდილობს, რომ დააკნინოს, დაამციროს, დააშინოს უცხო მხრიდან მოსული კაცი, რომელსაც ახალი სიბრძნე, ახალი კანონი, ახალი სულისკვეთება მოაქვს და არა მარტო ხელი აალებინოს განზრახვაზე, არამედ განდევნოს კიდეც მათ მიერ დასაკუთრებული მიწა-წყლიდან. ამიტომაც არ აფორიაქებულა, არ შეძრწუნებულა სერაპიონი ზედმეტად, მაგრამ, როცა მათ მომდევნო ღამესაც დაესხნენ თავს და კიდევ უფრო მეტი გამეტებით დაუშინეს ქვა, იგი მიხვდა, აქ რომ აღარ დაედგომებოდათ და სულიერ ძმებს აყრა და სხვა ხეობაში გადასვლა უბრძანა.

ქედის გადალახვამ და ქვაბულიანის ხეობაში გადასვლამ ბერები ისე დაქანცა და გააწამა, რომ როცა მდინარე დაინახეს და ერთ-ერთი ბორცვიდან გამომდინარე წყარო მართლაც საამური აღმოჩნდა, ადგილიდან ფეხი აღარ მოიცვალეს. სამი დღე გადაუღებლად წვიმდა, ჰაერი მძიმე და ნესტიანი იყო, ტანსაცმელი კი სველი და დაფხრეწილი. ორი დღე ტანსაცმლის გაშრობასა და დაკემსვას მოუნდნენ. უკეთეს დღეში არც ჯორები იყვნენ, გახდნენ, ფერდები ჩაუცვივდათ. დრო იყო ბოლო მოღებოდა მათ წანწალს, თორემ ისე გამოიფიტებოდნენ, აღარაფრისთვის ივარგებდნენ. სერაპიონმა იქაურობა რამდენჯერმე მიათვალ-მოათვალიერა, ყველაფერი აწონ-დაწონა და ბოლოს გადაწყვიტა, რომ მათ ტყე-ღრეში ხეტიალს და სამონასტროდ ახალი ადგი-

ლის ძებნას აზრი არ ჰქონდა და რადგან სხვებმა არაფერი იცოდნენ იმ ნიშნების შესახებ, მიქაელმა რომ ბუნდოვნად დაუსურათხატა, დაბეჯითებით დაიწყო მტკიცება, ეს სწორედ ის ადგილია, ის უდაბნოა, ანგელოზმა რომ შთააგონა ნეტარ მიქაელსო. მონასტრის აგება აქაც ისევე შეიძლებოდა, როგორც ძინძეს ხეობაში, მთავარი იყო ადგილობრივი მკვიდრნი მოერჯულებინათ როგორმე და სახსრები გამოენახათ, რაც შეეხება ჰაერს, იგი აქაც ისეთივე სუფთა, გამჭვირვალე და დამათრობელი იყო, როგორც ოპიზაში ან პარეხში. იმ ბორცვებიდან სერაპიონმა თვალი რომ დაადგა, ერთი უფრო მაღალი და ვიწრო იყო, მეორე კი დაბალი და განიერი და რადგან ჯერ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, მათ შორის რომელი აერჩია სამონასტროდ, იმ ადგილას, სადაც იდგნენ, მცირე ტალავარისა და ეგვტერის აგება ბრძანა. უსაქმოდ ჯდომას და უნაყოფო სჯა-ბაასს ისევ შრომა და დაღლილობა სჯობდა. ტალავარი და ეგვტერი ორ კვირაში ააშენს, ქვა და ხე აქაც თავსაყრელი იყო, ილარიონმა კი მდინარეში ფაცრები ჩაყარა და ყოველ დილით კალმახი, ქაშაყი, ტობი და თაღლითა ამოჰქონდა მისივე მოღობილი კალათით. მხოლოდ ეს იყო, ყოველდღე წვიმდა, ზოგჯერ ისე დაიქუხებდა, მთა და ბარი ირყეოდა, მეხი ასწლოვან ხეებს ხლეჩდა და ანახშირებდა. ყველაფერი სველი იყო — მიწაც, ცაც, ჰაერიც, სულიერიც და უსულოც. ადიდებულ ღელეებს იმდენი წყალი ჩაჰქონდათ მღვრიე ტბაში, რომ მთის პატარა ტბა კი არა, ზღვაც ძლივს დაიტევდა. იმ ტბიდან გამომდინარე ორი ღელე ერთმანეთს იქვე ერთვოდა და ადგილობრივ მკვიდრთ სწორედ მათ შესართავთან აეგოთ საკმაოდ მოზრდილი წისქვილი. ვისაც რამე დასაფქვავი ჰქონდა, ალბათ ამ წისქვილში ფქვავდა. მიუხედავად უამინდობისა, წისქვილთან დღისით მაინც იყრიდა ხალხი თავს და მათი გაბანჯგვლული წვერი და ტლანქი მიხრა-მოხრა ცხადყოფდა, რომ იქაურები შეიძლება ბერასჯვარელებზე უფრო გაველურებულნი და გატყიურებულნი ყოფილიყვნენ.

იმ დღეს ქარი უბერავდა, ციოდა, დილიდან ცეცხლი ენთოთ, სტუმრის მოსვლას არავინ ელოდა და ცოტათი გაუკვირდათ კიდეც, მათ კარს რომ ვიღაც ახალგაზრდა კაცი მოადგა. უფრო საოცარი ის იყო, ჭაბუკი არც მტრულად განწყობილი ჩანდა და არც ისე ეჭირა თავი, თითქოს მის ზურგს უკან მთელი ჯარი იდგა. ბერებმა სტუმარი ტალავარში შეიპატიჟეს. ჭაბუკს მზერა ხატისაკენ გაექცა და სწრაფად გადაიწერა პირჯვარი. სანამ დაჯდომას შესთავაზებდა, სერაპიონმა თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა ახალმოსული, მის თმა-წვერს, ტანსაცმელსა და ნაკვთებს დააკვირდა და გუმანით იგრძნო, რომ იგი თავის ნებით კი არ იყო აქ ამოსული, არამედ ვიღაცამ გამოგზავნა და რაღაცის გაგება დაავალა. მისი გამომგზავნი ავაზაკთა მეთაურიც შეიძლებოდა ყოფილიყო და რომელიმე აქაური მსხვილი აზნაურიც. ამ დასკვნამდე სერაპიონი იმან მიიყვანა, რომ ჭაბუკს არც მთლად თავისუფალი კაცის გამომეტყველება ჰქონდა და არც მთლად ბეჩავის. მის მიმოხრაში მსახურის სიმკვირცხლე იგრძნობოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პატრონი და მბრძანებელი სადღაც ახლოს იყო.

— ვინ ხარ, შვილო და აქ რას დაეძებ? — ჰკითხა სერაპიონმა თავაზიანად დაბნეულ და გაკვირვებულ ახალგაზრდას, რომელიც ისე უმზერდა მათ, თითქოს აქ ავაზაკებისა და მეკობრეების დახვედრას უფრო ელოდა, ვიდრე ბერ-მონაზვნებისა.

— მე დიდი მთავრის, გიორგი ჩორჩანელის მონა გახლავართ, წმინდა მამაო, — უპასუხა ჭაბუკმა სერაპიონს.

სერაპიონმა არ შეიმჩნია, მაგრამ ამ სიტყვებმა ისე გაახარა, რომ მის სახეზე ერთგვარი ნათელიც კი გამოკრთა.

— რაო, რა დაგაბარათ მთავარმა, შვილო? — ჰკითხა სერაპიონმა.

— არაფერი. მთავარი ამ მხარეში სანადიროდაა წამოსული. აქვე მახლობლად პატარა სახლი უდგას ღამის გასათევად და უამინდობის დროს თავის შესაფარებლად. ახლა იმ სახლში დგას და როცა ამ ადგილიდან ამომავალი კვამლი დაინახა, დიდად გაოცდა და განრისხდა, თუ მონადირენი არიან, ჩემდა დაუკითხავად როგორ ბედავენ აქ ნადირობას, ხოლო თუ ავაზაკები, ისე როგორ გამითამამდნენ, თავზე წამომდგომიან და ცხვირში კვამლს მაფუტებენო. მიბრძანა, წადი და გამიგე, ვინ არიან და რატომ უნთიათ ცეცხლი იქ, სადაც არავინ სახლობსო.

სერაპიონი მიხვდა ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება რომ არ შეიძლებოდა. გიორგი ჩორჩანელი ან აქ უნდა შემოეტყუებინა როგორმე, ანდა მანამდე ენახა, სანამ ნადირობით გულს იჯერებდა და აქაურობას გაეცლებოდა. ამ საქმეში განგების ხელი ერია, რადგან უფრო გავლენიან მფარველსა და თანამდგომს სამცხეში ვერავის იპოვიდა. ახლა არ ახსოვს ვინ უთხრა, მაგრამ გაგონილი ჰქონდა, ჩორჩანელი მორწმუნე და ღვთისმოსავი კაციაო. ასეც რომ არ ყოფილიყო, გიორგი მთელი სამცხის მთავარი იყო და თუ ქვეყნის მოვლა-პატრონობა, ხალხის დაშოშმინება და საკუთარი ხელისუფლების განმტკიცება სურდა, მონასტრის დაარსებას წინ არ უნდა აღსდგომოდა.

— როგორც ხედავთ, შვილო, ჩვენ არც ავაზაკები ვართ და არც მეკობრეები, ჩვენ ღვთის ულირსი შვილები ვართ და აქ იმისათვის ამოვედით, რომ ამ ადგილას მონასტერი ავაშენოთ და ხალხი ჭეშმარიტებას ვაზიაროთ, — უთხრა სერაპიონმა.

— გასაგებია, მამაო, თუ არ შემრისხავთ, ახლა წავალ და ყველაფერს პატრონს მოვახსენებ.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შვილო, — დაადევნა სერაპიონმა და სულიერ ძმებს იმედიანად გაუღიმა. არაფრით არ შეიძლებოდა გიორგი ჩორჩანელი მათი ნახვითა და მათთან საუბრით არ დაინტერესებულიყო. მის საბრძანებელში რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა, საიდანღაც მოსული ბერები ამ უკაცრიელ უდაბნოში ფეხს იკიდებდნენ და მისდა დაუკითხავად მონასტრის აშენებას აპირებდნენ. მონასტერი კი, როცა მომძლავრდება და მოღონიერდება, ღვთის გარდა არავის ხელისუფლებას არ ცნობს და თავის სავანესა და მამულებს თვითონ განაგებს. ეს კი მის საბრძანებელში უცხო ხელისუფლების შემოჭრას ნიშნავდა და უნდოდა თუ არა, მთავარი ვალდებული იყო გაეგო, ვინ გამოგზავნა ბერ-მონაზვნები მის საბრძანებელში და მართლა მონასტრის აშენებას აპირებდნენ თუ მონამ ვერაფერი გაიგო და რაღაც-რაღაცები მიკიბ-მოკიბა.

ამასობაში დილიდან ამოვარდნილმა ქარმა ღრუბლები გადარეკა და ცოტათი გამოიდარა. თუ დრო აქამდე დუნედ, ერთფეროვნად მიიზლაზნებოდა და ცას დაბლა ექაჩებოდა, ახლა აზრი შეიძინა, აჩქარდა, სივრცე გააფართოვა. ის, რაც მანამდე თვალით დაუნახავი იყო, ნათლად გამოიკვეთა, შეფერადდა, პირვანდელი სახიერება და მოხაზულობა დაიბრუნა. მზეს ჯერ კიდევ ეფარებოდა თხელი ღრუბელი, მაგრამ იმის განსაზღვრა მაინც შეიძლებოდა, სად იყო სამხრეთი და სად ჩრდილოეთი, სად აღმოსავლეთი და სად დასავლეთი, სიკეთეს უქადდათ დღევანდელი დღე თუ უკეთურობას, შემოეცლებოდათ სასოების წარმკვეთი საბურველი თუ კიდევ უფრო გამუქდებოდა და დამძიმდებოდა. უგზო, უპატრონო და უსასრულო იყო ის მთა და ტყე, ირგვლივ რომ ერტყათ და მანამდე არ გახდებოდა საიმედო და მანუგეშებელი, სანამ არ შემოსაზღვრავდნენ და თავიანთ ნაცოდვილარსა და ნაჭირნახულევს ცამდე არ აზიდავდნენ. ცა იყო ერთადერთი საუფლო, სადაც მიწიერი ტვირთის მოხსნა, ყველა ტკივილის, ყველა წყლულის მოშუშება შეიძლებოდა, მაგრამ ცად ამაღლებამდე რამდენი იქე-

დნეს ნაშიერი შეეცდებოდა მათ ცდუნებას, გვემას, მოღორრებას. ამ მხრივ დღევანდელი დღე გამონაკლისი იყო და თუ მთავარი მართლა ინებებდა აქ ამობრძანებას, ღმერთმა იცის, რით დამთავრდებოდა მათი პაემანი — გვემით თუ შეწევნით.

ხევი, ტალავარის ღია კარიდან რომ ჩანდა და ხან ფართოვდებოდა და ხან ვიწროვდებოდა, გამოდარების შემდეგ, ბურუსით მოცული მზის მწუხრნარევ სხივებში იმგვარად ილებებოდა, თითქოს სიმწვანეს ზემოდან ნაღველი გადაასხეს და ეს ნაღველგადასხმული ხევი იმის მანიშნებელი იყო, რომ მის სათავესთან ან ერთბაშად დამთავრდებოდა ყველაფერი ან აწი დაიწყებოდა ვნებათაღელვა და ჭაპანწყვეტა.

სწორედ ამ დროს მოისმა ქვემოდან ხის ტოტების ჩეხვისა და ცხენების ფლოქვების ცემის ხმა. ვილაცეები გზას იკაფავდნენ, მათკენ მოიწევდნენ, შიშსა და უნდობლობას უგულვებელყოფდნენ. თუ ისინი ბორცვამდე ამოაღწევდნენ, ეს იქნებოდა პირველი გზა, ამ უღაბნოში რომ გაიკვალა და დასაბამი მისცა რაღაც ისეთს, რამაც სულში და სისხლში უნდა შეაღწიოს და სამუდამოდ დაიდოს ბინა. გზის გაკვალვა აქ სწორედ ამას ნიშნავდა და თუ პაემანი ისე დამთავრდებოდა, როგორც სერაპიონი ვარაუდობდა, მაშინ მას და მის სულიერ ძმებს ყველაფერი უნდა გაეღოთ, ყველაფერი სხვებისთვის დაერიგებინათ და მის სანაცვლოდ აეგოთ მონასტერი და ისეთი ტაძარი, ჯერ კიდევ ნათლად რომ არ ჰქონდათ წარმოდგენილი.

სერაპიონი ფეხზე წამოდგა, ჩოხაზე თოკი შემოიჭირა და ისე გავიდა ტალავარიდან, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ მისი სულიერი ძმები იმ წამსვე მიხვდნენ, რომ ახლა ცეცხლთან ჯდომა არ ეგებოდა, ერთიანად წამოიშალნენ და მოძღვარს მიჰყვნენ. სველ ბალახს სტუმრის ნაკვალევი აღარ ემჩნეოდა, ტყიდან შაშვების ჭახჭახი ისმოდა. უეცრად სერაპიონმა გადაწყვიტა, ვინმე შეეგებებინა იმათთვის, მათკენ რომ გზას იკაფავდნენ, მაგრამ ეს აზრი იმ წამსვე უკუაგდო. საჭირო არ იყო აჩქარება, მოვლენებისათვის წინ გადასწრება. მისი ვარაუდი სწორიც შეიძლებოდა ყოფილიყო და მცდარიც, ჯერჯერობით მან მართლაც არ იცოდა, ვინ მოდიოდა მათკენ და ამიტომ ვერც უსაყვედურებდნენ, რატომ მეტი თავაზიანობა არ გამოიჩინეო.

სერაპიონმა მთავარი ვერ შეიცნო იმ ორ კაცში, ტყიდან რომ გამოვიდნენ და ცხენები სადავით მოჰყავდათ. მათი ალჭურვილობა და გარეგნობა მდაბიურობაზე უფრო მეტყველებდნენ, ვიდრე დიდკაცურ სიდარბაისლეზე. იქნებ იმ მონას არ დაუჯერა და ახლა სხვები გამოგზავნა ყველაფრის გამოსაძიებლად, გაიფიქრა სერაპიონმა და უკმაყოფილება რომ დაეფარა, თავს ძალა დაატანა. არ ეგონა მთავარიც თუ ისეთივე უნდობლობას გამოიჩენდა მათ მიმართ, როგორსაც ადგილობრივი მკვიდრნი იჩენდნენ. ჩამოქვეითებული მხედრები დინჯად, მშვიდობიანად მოდიოდნენ მათკენ, მაგრამ სერაპიონს მხოლოდ მაშინ გაუქარწყლდა ეჭვები, როცა ტყიდან ხუცესი გამოვიდა და ისიც მათკენ წამოვიდა. ეს ფერმკრთალი, ძვალმსხვილი, წვერგაჩეჩილი ეკლესიის მსახური მთავრის კარის ეკლესიის მღვდელი თუ დიაკვანი რომ იყო, ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ სერაპიონი იმან უფრო გაახარა—მთავარს ნადირობის დროს რომ დაჰყავდა ხუცესი თან. ეს იმას ნიშნავდა, ღმერთი სწამდა და სულიერი მამა სჭირდებოდა. ამ დროს კიდევ სამი კაცი გამოვიდა ტყიდან. ერთი ცხენზე იყო ამხედრებული, დანარჩენი ორი კი უკან მოჰყვებოდა და ცხენები მათაც სადავით მოჰყავდათ. ცხენზე ამხედრებული მამაკაცი რომ მთავარი იყო, ამაზე კაციც მეტყველებდა და ცხენიც. ყორანივით შავი ულაყი ლაგამს ხრავდა და თავი ისე მაღლა ეჭირა, თითქოს ხეობა ფეხით კი არა, ფრენით ამოიარაო. ახლა ლოდინი მართლაც უზრდელობა იქნებოდა და სე-

რაპიონი ამხედრებული მთავრისაკენ დაიძრა, სურდა პირადად მიგებებოდა და მოეკითხა, მაგრამ სანამ მიუახლოვდებოდა, მთავარი ცხენიდან ჩამოხტა, აღვირი მონას მიუგდო და სერაპიონის წინაშე ისე დახარა თავი, თითქოს ცოდვილი წმიდა მამასთან ცოდვების მოსანანიებლად მოვიდა.

— ვმადლობ ღმერთსა და მეუფესა, მამანო, რომ ჩვენ ულირსნი ღირსად გვცნო და მოგავლინათ ამ იავარქმნილ მხარეში მონასტრის ასაგებად და პირმეტყველ ცხოვართა შესაკრებლად, — თქვა გიორგი ჩორჩანელმა, ცალ მუხლზე დაიჩოქა და პირჯვარი გადაიწერა. მთავარი მაღალი, ტანსრული, სიჭარმაგეში შესული მამაკაცი იყო, რომელსაც მსხვილი სახის ნაკვთები და ჭკვიანი, ბევრის მნახველი თაფლისფერი თვალები ჰქონდა. თმა და წვერი გვარიანად შეჭაღარავებოდა, მარჯვენა საფეთქლიდან ყვრიმალამდე ნაჭრილობევი აჩნდა, ხმა დაბალი და ძლიერი ჰქონდა. ეცვა თითქმის მდაბიურად — სანადირო ჯუბა და სანადირო ჩექმები, წელზეც მხოლოდ სანადირო დანა ეკიდა. სერაპიონი ამ კაცს პირველად ხედავდა,და წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორი იყო იგი შინ, როგორ ექცეოდა ქვეშევრდომებს, მოხვეჭა უფრო უყვარდა თუ გაცემა, ქველმოქმედება თუ უაზროდ ფლანგვა, მაგრამ როგორიც არ უნდა ყოფილიყო, სერაპიონს ყველაფერი უნდა ელონა იმისათვის, რომ ეს კაცი მონასტრის მშენებლობით დაინტერესებულიყო და მათი საზრუნავი და სატკივარი გულთან ახლოს მიეტანა.

— ერნო ქრისტეისანო, მთავარო ღვთისნიერო და ღვთისმოყვარეო, — მიმართა სერაპიონმა ჯერ ერს და მერე მთავარს, — ჩვენ, მე ულირსი სერაპიონი, იოანე, ილარიონი, მარკოზი, მაკარი და ბასილი მოწაფენი ვართ დიდისა, ნეტარისა და სახელგანთქმულის მიქაელ პარახელისა, რომელმან ბრძანებითა საღმრთოითა წარმოგვგზავნა უდაბნოსა ამას წმიდასა აღსაშენებლად მონასტრისა და მარადის თქვენდა სამსახურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიქაელ პარახელის ხსენებამ მთავარი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ამ საქმეში ეკლესიის დიდი მამები იყვნენ ჩარეული და სამცხეში მონასტრის აშენება ამ ბერების აკვიატებული აზრი კი არ იყო, არამედ სახელგანთქმულ მამათა ნაფიქრი და ნაჭოჭმანები.

— მიმიღიხართ როგორც მოციქულნი მაცხოვრისა ჩვენისა იესოსი და ამიერიდან ყოველი საქმე და ღვაწლი თქვენი ჩვენი საქმეც და სამოღვაწეოც იქნება, — თქვა გიორგი ჩორჩანელმა ისე, რომ ყველას გაეგონა.

— ჩვენ, გლახაკნი ამა სოფლისანი, რა ღირსი ვართ მაცხოვრის მოციქულთა შორის მოხსენიებისა, შვილო ჩემო, ჩვენი უმცირესი წვლილი ღვთის სამსხვერპლოზე ის იქნება, რომ ამ ადგილას მონასტერი ავაშენოთ, შევამკოთ ციური მადლით, გავაძლიეროთ ღვთის ძალით და მადლობა მოგახსენოთ თქვენ შეწევნისათვის, — უპასუხა სერაპიონმა მთავარს ისე, რომ თავვდაბლობაც გამოეჩინა და ღირსებაც შეენარჩუნებინა.

— აქ მუხლის მოყრა და ლოცვა თუ შეიძლება სადმე, მამაო,—ჰკითხა გიორგი ჩორჩანელმა სერაპიონს, როცა დარწმუნდა, რომ რიტუალური მიკითხვ-მოკითხვა დასრულდა — მონამ მითხრა, სასწაულმოქმედი ხატი გქონიათ თან წამოღებული.

— ტალავარში მობრძანდით, მთავარო, — მიიპატიჟა სერაპიონმა მთავარი და მიხვდა, რომ მთავარს მარტო სასწაულმოქმედი ხატის ნახვა კი არ აინტერესებდა, არამედ მასთან მარტო დარჩენაც.

ცეცხლი, რომლის კვამლმაც ბერებს დაუფასებელი სამსახური გაუწია და მთავარი აქ შემოიტყუა, დანაკვერჩხალებულიყო. ტაბლას, ცეცხლის მახლობლად რომ იდგა, ირგვლივ ნამორები ჰქონდა შემოწყობილი, კარის მოპირდაპირე კედელზე ფერისცვალების ცხოველი ხატი ეკიდა. ხატი რომ მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულაც ძვირფასი და უიშვიათესი იყო, მთავარმა მაშინვე იგრძნო. ამიტომ სანამ სერაპიონის მიერ შემოთავაზებულ ნამორზე დაჯდებოდა, ხატის წინ მუხლი მოიყარა, პატიოსნად ილოცა და მხოლოდ ამის შემდეგ ინება ნამორზე ჩამოჯდომა. ნედლი შეშა, სერაპიონმა რომ ცეცხლს შეუკეთა, სასიამოვნოდ შიშინებდა.

— როგორაა ნეტარი მიქაელი? — ჰკითხა მთავარმა სერაპიონს.

— გახლავთ ღვთის შეწევნით.

— რამდენი ხანია გზაში ხართ?

— თვე იქნება.

— ხიფათს ხომ არ გადაყრიხართ სადმე?

— ერთხელ ავაზაკები დაგვესხნენ თავს და ამ ხატმა გვიხსნა, მეორედ ბერასჯვარელებმა ქვები დაგვიშინეს და რომ არ გამოგვესწრო, შეიძლება ჩავექოლეთ კიდეც.

— გაირყვნა, გაავაზაკდა, გაველურდა ხალხი. აღარც ღმერთის ეშინიათ და აღარც კაცის. აქაური ეკლესიები და სამლოცველოები იავარქმნილი და გავერანებულია. იშვიათია დაბა, საყდარი რომ იდგეს და მღვდელი ჰყავდეს. არც ეპისკოპოსს აქვს იმდენი ძალა და სახსრები, რომ ქვეყანა მოარჯულოს და დააშომინოს. ამიტომ ნეტარი მიქაელის გადაწყვეტილება და თქვენი აქ ამობრძანება დროული და სანაქებოა. მხოლოდ ერთი რამ ვერ გამიგია, მამაო, რატომ მაინცდამაინც ეს უდაბური და მწირი ადგილი აირჩიეთ მონასტრის ასაშენებლად?

— ეს ადგილი ჩვენ არ აგვირჩევია. საწ..მ აქეთ გამოვემგზავრებოდით, ნეტარ მიქაელს ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, სად უნდა აშენებულიყო მონასტერი და ვისი წინამძღოლობით. ეს სწორედ ის ადგილია.

— დარწმუნებული ხართ, მამაო, რომ ის ადგილია?

— მეც და ჩემი სულიერი ძმებიც.

მთავარი ერთხანს დუმდა. ალბათ იმაზე ფიქრობდა, დაეჯერებინა თუ არა ანგელოზის გამოცხადება. შემდეგ კი თავი ასწია და თქვა.

— თქვენ ამ მხარეს და აქაურ ხალხს არ იცნობთ. მე მარტო ის კი არ მაწუხებს, რომ აქ გზებია ამოსაყვანი, არამედ თქვენი ბედიც, რადგან დიდ საფრთხეში იგდებთ თავს. ყველაზე მეტი ავაზაკი და კაცის მკვლელი აქ დაძრწის, აქ იყოფენ ნადავლს, აქ თამაშობენ, ღრეობენ, სჩადიან ყოველგვარ სისაძაგლეს, აქ უსწორებენ ანგარიშს ერთმანეთსაც და იმათაც, ვისაც მტრად ან გამცემად თვლიან. ჩვენს ქვემოთ რომ თახვის ტბაა, ის ტბა გვამებითაა სავსე. მოკლულს მიწას კი არ აბარებენ, კისერზე ქვას აბამენ და ტბაში აგდებენ. ერთი სიტყვით, მთელ ამ მხარეში თქვენ არსად არ გელით იმდენი საფრთხე, რამდენიც აქ.

— სწორედ ამიტომაა უფრო მიზანშეწონილი ჩვენი აქ დარჩენა და ამ ადგილას მონასტრის აგება, შვილო ჩემო. უფალმა თქვენზე უკეთ უწყოდა, სად გვგზავნიდა და რისთვის. მონასტერი აღკვეთს იმ ბიწიერებას, ბოროტებასა და ავკაცობას, აქ რომ ხდება. რაც შეეხება თახვის ტბას, ჩვენ იმ ტბასაც აღვგვით პირისაგან მიწისა, თუ უფალმა ინება.

მთავარს გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა. სერაპიონი არ ტოვებდა ისეთი კაცის შთაბეჭდილებას, ცრუპენტელა ან უგუნურობამდე თავდაჯერებული რომ ყოფილიყო, არა და ტბის აღგვა არაბუნებრივ, უფრო სწორად ზებუნებრივ ამბად მოეჩვენა.

— თუ ჩემ რჩევას მიიღებთ, ნაკლებადაც გაწვალდებით და მონასტერსაც უფრო სწრაფად ააშენებთ, — თქვა მცირე ხნის დუმილის შემდეგ მთავარმა, — მესხეთში ბევრია ისეთი ადგილი, სადაც მუშახელიც იშოვება, სამშენებლო მასალაც უფრო ადვილი მოსაპოვებელია და ბაღ-ვენახების გაშენებაც შეიძლება. თქვენ არ გინახავთ ზანავი, მისი შემოგარენი თვალს იტაცებს, მიწა ნოყიერია, ხალხი მშრომელი და ღვთისმოშიში. იქ მეც უფრო ადვილად

მოგაწვდით ხელს, ყველაფრით დბგეხმარებით — ფულითაც, მუშახელითაც და მასალითაც.

ზანავი რომ მთავრის პირად მამულში ან მამულის მახლობლად მდებარეობდა, ამაში სერაპიონს ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ მთავრის დაჟინებულმა თხოვნამ იმაშიც დაარწმუნა, რომ გიორგი ჩორჩანელს რაღაც ფარული აზრი ამოძრავებდა და არც ამ აზრის ამოკითხვა გასჭირვებია. მთავარს, ეტყობა, სურდა მონასტერი თუ მის გამგებლობაში არა, მისი გავლენის ქვეშ მაინც მოექცია, რაც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა მონასტრის მიზანს, დანიშნულებასა და არსს. მონასტერი უნდა დამორჩილებოდა ღვთის ნებას და არა კაცისას, რადგან მონასტერში ყველა თავისუფალია და ყველასათვის სავალდებულოა ის ტიპიკონი, მონასტრის ყოფა-ცხოვრებას რომ აწესრიგებს. ამიტომაც შენდება მონასტრები საერო ხელისუფლებისაგან მოშორებით, ამიტომაც ცდილობს სარჩო-საბადებელი საკუთარი შრომით მოიპოვოს. ის, რასაც მთავარი სთავაზობდა, სერაპიონისათვის მიუღებელი იყო. თუ მონასტერს აშენება ეწერა, აშენდებოდა ან აქ, ან არსად.

— მოგეხსენებათ, შვილო ჩემო, რომ ღვთის შეწევნით მოსემ ზღვა კვერთხით გააპო, ხოლო უდაბნოში წყალი ალმოაცენა და ერის გამოსაკვებად ციდან მანანა აწვიმა. იგივე მოხდება აქაც. ჩვენ ვერც უდაბურობა და სიმწირე დაგვაბრკოლებს და ვერც ადგილს გამოვიცვლით, რადგან ღვთის ბრძანების გადასვლა არ ეგების, — უთხრა სერაპიონმა მთავარს.

— ნუთუ აუცილებელია, მამაო, კაცმა ნებაყოფლობით ჩაიგდოს თავი ჭირში და ნაშენებ და მშვიდ ადგილს უდაბნო და საფრთხე ამჯობინოს?

— მინდა ერთი იგავი მოგიყვე, შვილო ჩემო: მიწის წიაღში მარგალიტი და თვალი პატიოსანი უწესრიგოდაა მიმობნეული და ისე არ ბრწყინავს, როგორც მაშინ, როცა მოიპოვებენ, გაწმენდენ, გახეხენ და ოქროს გვირგვინში ჩასვამენ. მთელი მისი მშვენიერება მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდება და ოსტატს მარჯვენას უქებენ. მართალია, ეს ადგილი ახლა უდაბური და მწირია, მაგრამ როცა აქ მონასტერი აშენდება, ისეთივე მშვენიერი იქნება, როგორც გვირგვინში ჩასმული პატიოსანი თვალი. ამიტომ ნუ გვაიძულებთ მივატოვოთ აქაურობა და სხვაგან გადავბარგდეთ.

— განა იმით რამე დაშავდება, მამაო, რომ პატიოსანი თვალი მზა გვირგვინში ჩავსვათ.

— დაშავდება, შვილო ჩემო, და, შეუფარველად რომ გითხრათ, მე ცოტათი მაკვირვებს კიდეც თქვენი ამ საქმისადმი დამოკიდებულება. რაც არ უნდა იყოს, თქვენ მთელი ამ მხარის მთავარი ხართ, გევალებათ სამცხის მოვლა-პატრონობა და სამთავროს საზღვრებში ქრისტეს რჯულის გამტკიცება. მაგრამ სამცხე მარტო ჩორჩანი და ზანავი როდია, ეს ადგილიც სამცხეა და მას კიდევ უფრო მეტად სჭირდება მოვლა-პატრონობა, რადგან ღვთისგანაც მიტოვებულია და კაცისაგანაც. განა თქვენთვის საზიანო იქნება, ერთიორი დაბისა და ციხე-ქალაქის ნაცვლად რომ მთელი სამცხე იყოს აშენებული, დამშვენებული და ნათელცხებული?

— ჭეშმარიტებას ლალადებთ, მამაო, მაგრამ მე თუ რამე მალაპარაკებს, მხოლოდ ის, რომ მებრალებით.

— ჩვენ მაცხოვრის მსახურნი ვართ, შვილო ჩემო, და ისევე გამზადებული ტანჯვისათვის, როგორც ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი.

— რა დაშავდება იმით, მამაო, სხვა ადგილებიც რომ მოიხილოთ და თუ არ მოგეწონებათ, უკანვე დაბრუნდეთ?

— ამაზე მოციქულის სიტყვებით გიპასუხებთ, მთავარო: „უკუთუმცა ანგელოზი მახარებდა გარეშე მისსა, რომელი გვახარა, არა გვრწამს“.

— რა მოხდება, მამაო, მე რომ გან-

ზე გავდგე და შემწეობა არ აღმოგიჩინოთ?

— ამით მხოლოდ საქმე დაბრკოლდება და ჩვენი ცოდვები დამძიმდება. განაგდეთ ის ეშმაკი, მთავარო, ასე ძალდაუტანებლად რომ გაცდუნებთ.

— რა გაქვთ მხედველობაში, მამაო?

— ყალბი ღვთისმოსაობა ცოდვებს ასკეცებს, შვილო ჩემო. ჩვენ ღვთის ნებას ვასრულებთ და ამდენად ღვთის ნებას აღასრულებს ყველა, ვინც ჩვენ შემწეობასა და დახმარებას აღმოგვიჩენს.

— მართლა გამოეცხადა ნეტარ მიქაელს ანგელოზი, მამაო?

— დიდ ცოდვას ჩადიხართ ახლაც, ამას რომ მეკითხებით, მთავარო.

— შემინდეთ, მამაო და ნუ მომაკლებთ თქვენს ლოცვა-კურთხევას. რაკი არ იშლით, იყოს ნება თქვენი.

მთავარი წამოდგა, კართან მივიდა და ვიღაცას გასძახა გარეთ:

— ეი, გოშნა, მოდი, ბიჭო, აქ.

ცოტა ხნის შემდეგ ტალავარში სწორედ ის ჭაბუკი შემოვიდა, ამბის გასაგებად რომ გამოგზავნა მთავარმა. ამჯერად ჭაბუკს გაცილებით უფრო მშვიდი და სანდომიანი სახე ჰქონდა, ვიდრე მაშინ, პირველად რომ შემოვიდა ტალავარში და მათ დანახვაზე შეკრთა.

— მისმინე, გოშნა, ამაღამ აქ, ამ წმინდა მამებთან დარჩები და ხვალ გათენებიდან, ვიდრე მწუხრამდე, რამდენი ადგილიც მოვლოთ გარეშემოწერით, ამათთვის მიმიცია. შენ აქაურობას იცნობ, აქაურ დაბებში ნამყოფი ხარ და უთხარი ყველას ჩემი სახელით, რომ ჩემს საბრძანებელში ეს წმინდა მამანი ღვთის ნებითა და შეწევნით მონასტერსააშენებენ. ღმერთი არ გაუწყრეს ვინმეს და რამე უმსგავსობა არ ჩაიდინოს.

ჭაბუკმა თავი დახარა და პატრონს აგრძნობინა, ყველაფერი გავიგეო.

— თქვენ კი, აი, რას გეტყვით, მამაო, — მიუბრუნდა მთავარი სერაპიონს — გული დაიმშვიდეთ და საქმეს მიხედეთ. მე კი ჩემი მხრიდან ყოველგვარ შემწეობას და დახმარებას აღმოგიჩენთ. თუ უფალმა ინება, ამ დღეებში ისევ გინახულებთ. აბა, წავედი, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. ხო, მართლა, მცირედი ევლოგია მოგართვით და ნუ შემომწყრებით.

სერაპიონს უნდოდა მადლობა გადაეხადა მთავრისათვის, მაგრამ გიორგი ჩორჩანელი ისე სწრაფად გავიდა ტალავარიდან, რომ სამადლობელი სიტყვა პირზე შეაშრა.

## თავი მესამე

ირიჟრაჟა თუ არა, სერაპიონი ფეხზე წამოდგა, სულიერი ძმები დააღვიძა, გააღვიძა ის ჭაბუკიც, მეგზურად რომ დაუტოვა მთავარმა და ხატის წინ მუხლი მოიყარა. აქამდე მათ არაფერი გაუკეთებიათ, არაფერი შეუქმნიათ ისეთი, რაიმე ღირებულება რომ ჰქონოდა, მაგრამ ახლა რაღაცას თავი ებმებოდა და თუ უნდოდათ მათ ღვაწლს ნაყოფი გამოეღო, ყველა შესაძლებლობა დროულად უნდა გამოეყენებინათ. მათი საქმიანობა, მეცადინეობა, სიქველე სხვებსაც მოიზიდავდა, თვალს აუხელდა, ენას ამოადგმევინებდა, დაანახვებდა, როგორ იქმნება ქვისა და ხისაგან მშვენიერი, დიდებული ნაგებობა, რომლის მსგავსი არსად და არასოდეს არ ენახათ და თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც გააქარწყლებდა იმ მტრულ დამოკიდებულებას, აქაურები რომ იჩენდნენ მათ მიმართ. ქვა, რომელიც წონას კარგავს და ჰაეროვნებას იძენს, პატივისცემასა და წესრიგს მოითხოვს. წესრიგი კი ისევე სჭირდება ცხოვრებას, როგორც საძირკველი ტაძარს. საქმის დაწყება მათ არა მარტო

გაურკვევლობისა და უსაქმურობისაგან გაანთავისუფლებდა, არამედ იმ ბიწიერებისაგანაც, ადამიანის სულში შეუმჩნევლად რომ იკიდებს ფეხს, ყოველგვარ მიზანსწრაფვას რომ ახშობს და ცხოვრებას აუფასურებს.

სერაპიონს არ უყვარდა ერთდროულად ფიქრი და ლოცვა, მაგრამ აკვიატებული ფიქრები ვერაფრით მოიშორა თავიდან და რადგან დარწმუნებული არ იყო, აღწევდა თუ არა მისი ხმა ცათა საუფლომდე, ყველაფერს თავიდან იწყებდა. წინ მძიმე დღე ედო, ღმერთმა იცის, რა შეემთხვეოდა გზაში, ვის და რას გადაეყრებოდა და ამიტომ ლოცვა კარგა ხანს გაგრძელდა. მასთან ერთად ლოცულობდნენ სხვებიც, ის ჭაბუკიც კი, ლოცვისა რომ არაფერი გაეგებოდა. ბოლოს სერაპიონი მიხვდა, დროის დაკარგვა რომ სამონასტრო მამულის ნაწილის დაკარგვას უდრიდა, ფეხზე წამოდგა და სულიერი ძმები და გოშნა სატრაპეზოდ მიიწვია. იმ ევლოგიაში, გიორგი ჩორჩანელმა რომ მოართვათ, ძირითადად სურსათ-სანოვაგე ელაგა. რაც სახსნილო იყო, სერაპიონმა გოშნას დაულაგა წინ და უთხრა, თან წამოეღო და საგზლად გამოეყენებინა. როცა წაიხემსეს და წამოიშალნენ, ტალავარში ნათელმა დილამ შემოიჭრიტა. სერაპიონმა წვერზე ხელი ჩამოისვა, ჩოხის კალთები გაისწორა და ილარიონის მიერ მუხის ხისაგან გამოთლილი კვერთხი მოიმარჯვა. ამჯერად კვერთხს ის დანიშნულება ჰქონდა, რომ სიარულში დახმარებოდა.

— ჩემთან წამოვლენ იოანე და ილარიონი, თქვენ კი აქ დარჩებით და რაც არ უნდა დაგვაგვიანდეს, ფეხი არ მოიცვალოთ ადგილიდან, — მიმართა სერაპიონმა მარკოზს, მაკარს და ბასილს.

— ჩვენ თუ მართლა იმდენი მიწაწყალი მოგვცეს, ერთი დღის მანძილზე ფეხით რომ შემოივლის კაცი, მთავრის შემდეგ ამ მხარეში ყველაზე დიდი მემამულენი ვიქნებით, — იხუმრა მარკოზმა.

— ეს მიწა-წყალი უდაბნოა, მამაო მარკოზ, და თუ ჩვენი სისხლითა და ოფლით არ მოირწყა, ირგვლივ შემოგვეერტყმება და მოგვგუდავს, — უპასუხა სერაპიონმა, ტალავარიდან გავიდა და იოანესთან, ილარიონთან და გოშნასთან ერთად დასავლეთისკენ დაუყვა მდინარეს.

გუშინდელივით აღარ ციოდა. დაფლეთილი ღრუბლები ცაზე მიმოფანტულიყვნენ და დედამიწას მხოლოდ მაშინ ამწუხარებდნენ, როცა მზეს აეფარებოდნენ. მდინარეს, რომელიც ხეობას თანდათან აფართოებდა, საცალფეხო ბილიკი გასდევდა და ორივე მხრიდან ისე იყო შემოზღუდული ხშირტყიანი ფერდობებით, რომ ზოგჯერ ცის დანახვაც კი ჭირდა. ბილიკი ხან იკარგებოდა, ხან ისევ ჩნდებოდა, ხან კლდეს გადაუვლიდა, ხან ტალახში ეფლობოდა, და ადამიანების, ცხოველების და ფრინველების კვალს მანამდე ინახავდა, სანამ არ ადიდდებოდა და პირწმინდად არ გადარეცხდა. იმ ადგილამდე, სადაც მონასტრის აშენება ჰქონდათ გადაწყვეტილი, მეორე ხეობის სათავეც აღწევდა და როცა მშენებლობა დაიწყებოდა, ორივე ხეობის საცალფეხო ბილიკები საურმე გზამდე მაინც უნდა გაეფართოვებინათ. ხის დაგორება ზევიდან, ტყიდანაც შეიძლებოდა, მაგრამ ფერადი ქვა, კირი და რკინა საამშენებლო მოედნამდე ურმით უნდა აეზიდათ, თორემ სისხლის ფასი დაუჯდებოდათ. ეს მხარე რომ ტუფით, ბაზალტით, ფერადი და თაბაშირიანი თიხებით იყო მდიდარი, ადრეც ჰქონდა გაგონილი, ოპიზის მონასტრის სასტინგოს მშენებლობის დროს თქვა ვილაცამ, მაგრამ როგორც ყველგან, საბადოები აქაც იყო და ყველაფერს მიგნება, მოპოვება, დამუშავება და მოზიდვა სჭირდებოდა. ის მცირეოდენი ვერცხლი, თან რომ წამოიღეს, მშენებლობის დამთავრებას კი არა, საქმის დაწყებასაც არ ეყოფოდა და რადგან უსასყიდლოდ ხელს არავინ გაანძრევდა, სახსრებიც ისე იყო მოსაპოვებელი, როგორც საბადოები. გარდა

გიორგი ჩორჩანელისა, ამ მხარეში კიდევ ცხოვრობდა რამდენიმე მსხვილი და წვრილი აზნაური და როცა დაინახავდნენ, რომ საქმეს კარგი პირი უჩანს, რომ მათ მხარეში მართლაც შენდება რაღაც ისეთი, რაც ადამიანებს ღმერთთან და ერთმანეთთან აახლოებს, შეიძლება მათაც გამოეღოთ ხელი და ფულითაც დახმარებოდნენ და მუშახელითაც. მაგალითი კი გიორგი ჩორჩანელს უნდა მიეცა, ყველაზე მეტი და ყველაზე უხვად მას უნდა გაეცა.

ახალმოსული მზის სხივები ისე ჩამოიცრა დაბურულ ხეობაში, როგორც მტვრად ქცეული ოქრო და არა მარტო ხის ფოთლების კიდეები შეაფერადა, არამედ წყლის ზედაპირიც ააელვარა და აამჩატა. ერთგვარი სიმსუბუქე სერაპიონმაც იგრძნო. წუხანდლიდან გამოყოლილი ფიქრები ისე მძიმედ აღარ აწვებოდა ტვინს, როგორც მზის ამოსვლამდე. წინ გოშნა მიაბიჯებდა, სერაპიონი, იოანე და ილარიონი უკან მიჰყვებოდნენ.

— დაბა თუა აქ სადმე მახლობლად, შვილო? — ჰკითხა სერაპიონმა გოშნას.

— პატარ-პატარა დაბები აქ თითქმის ყველგანაა მიმოფანტული, მამაო, ერთი მოზრდილი დაბა კი, აი, იმ მთის უკანაა და აქედან ერთი საათის სავალი იქნება, — უპასუხა გოშნამ.

— რატომ იყრის ამდენი ხალხი წისქვილთან თავს?

— აქაურების თავშესაყარი წისქვილია, მამაო, წისქვილთან ხდება მოლაპარაკება, გარიგება, ანგარიშსწორება, აქვე ყვებიან ათასგვარ მონაგონ და ნამდვილ ამბავს, გებულობენ, ვის რა უჭირს და რა ულხინს, სად სჭირდებათ მუშახელი და სად არა. აქვე იყრიან თავს ხელმრუდენიც, უკულმართნიც და მცონარენიც.

სერაპიონს კლარჯეთი და ბავშვობა მოაგონდა. წისქვილთან თავშეყრა იქაც უყვარდა ხალხს და ერთბაშად მის გონებაში იმდენი მოჩვენება ამოტივტივდა, რომ აღარ იცოდა, რომელს ჩასჭიდებოდა, ვინ გამოერჩია და ვინ უგულვებელეყო, ვინ იყო მათ შორის ავი სულით შეპყრობილი და ვინ ღვთითშემოსილი. ყველაფერს აჯობებდა წარსული და ბერად აღკვეცამდე თავსგადამხდარი ამბები, ერთ მოთხრობაში ჩატეულიყო, სადაც თითოეულს თავის ადგილი ექნებოდა მიჩენილი და აღარც ხასიათს შეიცვლიდა და აღარც საქციელს, მაგრამ არც წარსული ეტეოდა ერთ მოთხრობაში და არც აჩრდილები იშლიდნენ გადასხვაფერებას და გადაჯიშებას. ეს ამბავი ნაკლებ შემაწუხებელი იქნებოდა, აჩრდილებს რომ თავშესაყრელად და საჯიჯგნად მისი მეხსიერება არ აერჩიათ, მის გონებაში არ ელვარათ სისხლი, ოფლი და ცრემლი, არ გამოემზეურებინათ მთელი თავიანთი სულიერი სიმახინჯე, სიბილწე, სიმდაბლე, განუსჯელობა და უსულგულობა. ყოველივე ამის ალაგმვა მხოლოდ ქმედებით შეიძლებოდა, მხოლოდ მონასტერი იყო ის ნათელი და საყრდენი ბურჯი, აჩრდილებს რომ განდევნიდა მისი გონებიდან და ჯოჯოხეთის ღია კარიბჭეს დაახშობდა, რადგან მონასტერში სხვა ზესწრაფვა, სხვა სულისკვეთება სუფევს, მონასტერში ღმერთი მეტყველებს და არა კაცი და წარსულის ბნელ სიღრმეში გადგმულ ფესვს ძირშივე ახმობს.

დილა ისეთი ნათელი და თბილი იყო, რომ ასეთ დილას ჩვეულებრივ ავდარი და თქეში მოსდევს ხოლმე. წისქვილთან ამჯერადაც მოეყარათ თავი მდაბიო მესხებს. ცხენები, ჯორები და სახედრები ტყის პირას მიეშვათ საბალახოდ, თვითონ კი მორებზე ჩამომსხდარიყვნენ და ხმამაღლა, როყიოდ ლაპარაკობდნენ. მათ შორის, რა თქმა უნდა, ისეთებიც ერია, სალაზღანდაროდ, სასეიროდ და, თუ შემთხვევა მიეცემოდათ, რაღაცის გამოსარჩენად რომ იყვნენ აქ მოსული. მხოლოდ დედაკაცები არ ჩანდნენ არსად, ეტყობა, აქაურები დედაკაცებს წისქვილში არ გზავნიდნენ. ბრგე, ტანსრულ მესხებს თმა-წვერი გაჩეჩილი ჰქონდათ, მზერა

მკაცრი და უნდო, ხმა ძლიერი და როყიო. ეცვათ ღარიბულად, ულაზათოდ, მიხრა-მოხრაც ისეთი ჰქონდათ, თითქოს ხისგან იყვნენ გამოჩორკნილი.

ბერ-მონაზვნები მათ მხოლოდ მაშინ შენიშნეს, როცა ხის ბოგირზე გადავიდნენ და წისქვილისაკენ აიღეს გეზი. პირველად გაკვირვებისაგან ხმა ჩაუწყდათ, მათ აქ გამოჩენას არაფრით არ ელოდნენ, შემდეგ კი ერთიანად წამოიშალნენ და აყაყანდნენ. ყაყანზე ეტყობოდათ, რომ ბერ-მონაზვნების გამოჩენა არა მარტო იუცხოვეს, არამედ მტრულ გამოხდომადაც კი მიიჩნიეს და ბერებს წისქვილთან მისასვლელი გზა გადაუჭრეს. ერთადერთი იმედი გოშნა იყო, იგი თუ გამონახავდა საერთო ენას მათთან, მაგრამ ფეხზე წამომდგარი და აყაყანებული მესხების დანახვაზე გოშნასაც ეცვალა ფერი. ბერები და მესხები ისე იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, როგორც ორი მტრულად განწყობილი ბანაკი.

— რომელი ხარ, ბიჭო, შენ? — ჰკითხა გოშნას ერთმა ახმახმა მესხმა, რომელიც მწყემსს უფრო ჰგავდა, ვიდრე მიწის მუშას.

— გოშნა გახლავართ, გიორგი ჩორჩანელის მონა.

— მერე აქ რა გინდა და ამათ რისთვის მოუძღვები წინ?

— ასე მიბრძანა პატრონმა.

— გიბრძანა? ერთი ჩვენც გაგვაგებინე, რა გიბრძანა?

— ამ წმინდა მამებმა აქ მონასტერი უნდა ააშენონ და მთავარი მონასტერს იმდენ მიწა-წყალს აძლევს მამულად, რამდენსაც ერთ დღეში ფეხით შემოივლიან. თანაც დამაბარა, ღმერთი არავის გაუწყრეს და რაიმე უმსგავსობა არ ჩაიდინოსო.

— ხედავთ, ხალხნო, მიწასაც გვართმევენ და კიდეც გვემუქრებიან, — მიმართა ახმახმა მესხმა დანარჩენებს. მესხები კიდევ უფრო აყაყანდნენ, ზოგიერთმა კომბალიც კი მოიმარჯვა.

— მაშ ჩვენი ადგილსამყოფელი ამათ უნდა წაიღონ? — ჰკითხა გოშნას ახლა მხრებზე ტყაპუჭმოგდებულმა, პირქუშმა მესხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამათ თქვენი არაფერი უნდათ, მონასტერი აშენდება ზემოთ, იმ უდაბურ და მწირ ადგილას, სადაც არავინ სახლობს, — უპასუხა გოშნამ.

— თუ ასეა, აქეთ რა გინდოდათ, აქეთ ხომ ჩვენი სავარგულები და საძოვრებია? — ჰკითხა გოშნას იმავე მესხმა.

— გზად გამოვიარეთ.

— ამას აქეთ ერთი ნაბიჯიც რომ გადმოდგათ, მთავარი კი არა, მამაზეციერიც ვერ გიხსნით, — იყვირა იმ მესხმა, მწყემსს რომ ჰგავდა და სხვებს წამქეზებლურად გადახედა. იმათ, ვისაც კომბალი არ ჰქონდა, ქვა მოიმარჯვეს.

სერაპიონი პირველად შეეჩეხა პირისპირ გაავებულ, ღვთის მადლისაგან გაძარცულ ბრბოს. მათთვის არ არსებობდა არაფერი წმინდა, შეუბღალავი, შეუმუსრავი, არ იცოდნენ არც სინანული და არც სიხარული, არც ტანჯვა და არც ტანჯვის გზით სრულყოფისაკენ სწრაფვა. ტანჯვა მათთვის ტკივილი იყო, დათმობა — სისუსტე, გაცემა — სიბრიყვე. ისინი ჯერ კიდევ იმ საფეხურზე იდგნენ, თავის თავში რომ ვერაფერი უპოვიათ და უგზო-უკვლოდ დაბორიალებენ ბნელეთში, სადაც შიშისა და ძრწოლის მეტს არაფერს განიცდიან, რადგან არც ბრძოლა იციან და არც თავგანწირვა. საჭირო იყო მათი სულიანხორციანად შეძვრა, ისეთი სასწაულის მოხდენა, თავზარს რომ დასცემდათ და ცოდვების მღვრიე მორევიდან გამოაღწევინებდათ. მხოლოდ ამის შემდეგ იწამებდნენ ისინი მის ღვაწლს, უანგარობას და სიქველეს.

ბრბო თანდათან წინ მოიწევდა და რაც უფრო მდუმარე და პირქუში ხდებოდა, მით უფრო ემღვრეოდა მზერა.

— წავიდეთ აქედან, მამაო, ამ გატყიურებულებს ვერაფერს შევაგნებინებთ, ჩვენ კი შეიძლება სიკვდილის პირას მიგვიყვანონ, — შეევედრა სე-

რაპიონს გოშნა, რომელსაც ადამიანის ფერი აღარ ედო.

უეცრად სერაპიონმა იგრძნო, რომ შიში, დათმობა, უკან დახევა იმ საქმეს უთხრიდა ძირს, რის აღსრულებასაც მისგან ღმერთი მოითხოვდა და იმდენად მეხებზე არ მოსდიოდა გული, რამდენადაც საკუთარ თავზე. მის სულში რწმენა ღვიოდა, მისი ვალი ღვთის სამსახური იყო და ბოროტებას, სიბილწეს, უზნეობასა და უგუნურებას ყველგან და ყოველთვის უნდა აღსდგომოდა წინ. სიმხდალე და სიქველე ისევე ვერ თავსდებოდა ერთმანეთის გვერდით, როგორც ცოდვა და მადლი. იგი აქ იმისათვის კი არ იყო მოვლინებული, რომ საფრთხეს გაქცეოდა და დამალვოდა, არამედ ეს სულწაწყმედილი ხალხი მოერჯულებინა და მოექცია.

სერაპიონი თავისიანებს გამოეყო, გაავებულ ბრბოსაკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ისეთი ხმით მიმართა მეხებს, თითქოს მის წინ მრევლი შეყრილიყო და არა მტრულად განწყობილი ბრბო.

— ერნო და საყვარელო შვილნო ჩემნო, ვინა ხართ თქვენ, რა რჯულის ხალხი ხართ?

ამ კითხვამ ბრბო დააბნია. შეიძლება ისინი არც აქამდე დაფიქრებულან ვინ და რა რჯულისანი იყვნენ, მაგრამ როცა მათგან პირდაპირი პასუხი მოითხოვეს, ჩაფიქრდნენ.

— აი, შენ, შვილო ჩემო, რა რჯულის კაცი ხარ? — მიმართა სერაპიონმა იმ მესხს, მწყემსს რომ უფრო ჰგავდა, ვიდრე მიწის მუშას.

— ქრისტიანი გახლავართ, მამაო, — უპასუხა მესხმა უფრო მორცხვად, ვიდრე თამამად.

— მონათლული თუ ხართ?

— მონათლული რად ვიქნები.

— ღმერთი თუ გწამს?

მესხი ამ კითხვამ კიდევ უფრო დააბნია, რადგან რწმენა მისთვის რაღაც ისეთი იყო, რაც მისთანა უბირ, უმეცარ და უწიგნურ კაცს არ მოეთხოვებოდა.

— არ ვიცი, მამაო.

— თქვენს შორის ვის სწამს ღმერთი? — მიმართა სერაპიონმა ბრბოს.

ხმა არავის ამოუღია და სერაპიონი მიხვდა, იმ უნდობლობისა და უსულგულობის აღმოფხვრა, ასე ღრმად რომ ჰქონდათ აქაურებს გამჯდარი ძვალრბილში, არც ისე იოლი იქნებოდა, როგორც თავიდან ეგონა. თუმცა უარესი ის იყო, რომ ესენი არც თვითონ იყვნენ რაიმეს გამკეთებლები და არც ის უნდოდათ, რომ მათთვის ვინმეს რამე გაეკეთებინა. არა და მას არ შეეძლო ამ ხალხის ულვთოდ, უსიყვარულოდ, ეშმაკის ანაბარა დაგდება.

— ხალხო, როგორ შეგიძლიათ ულვთოდ ცხოვრება, ულვთოდ ცხოვრება იგივე სიბრმავე და სიყრუვეა. ღმერთი თუ არ გწამთ, რა გწამთ აბა? — მიმართა სერაპიონმა ბრბოს და მზერა მცირე ხნით თითოეულ მათგანზე შეაჩერა. არც ერთს არ შეტოკებია, არ გახსნია სახე, მათი პირქუში გამომეტყველება ისევე შეუვალი და უძრავი იყო, როგორც ლოდი. ის სიბნელე, მათ სულში რომ იყო ჩაბუდებული, არა მარტო რწმენასა და სინათლეს გაურბოდა, არამედ თავისუფლებასაც, რადგან თავისუფლება რაღაცაში გარკვევას, რაღაცის არჩევას მოითხოვს. მათ კი არც გამბედაობა ჰყოფნიდათ საამისოდ და არც სურვილი ჰქონდათ იმისა, რომ უმეცრებას თავს დააღწევენ და ცოტათი მაინც გაერკვევიან იმაში, რაც მათთვის სამუდამოდ დაფარული და დაბეჭდილი იყო.

— ხალხო, გზა აგბნევიათ, პირდაპირ უფსკრულისაკენ მიექანებით, თავად ვერ ხედავთ ამას და არც სხვას აძლევთ იმის უფლებას, რომ გამოგაბრუნოთ, სწორ გზაზე გაგიყვანოთ, გაპოვნინოთ ის, რაც თქვენთვის უცნობი და დაფარულია, გაზიაროთ სათნოებასა და ნეტარებას, გაგანთავისუფლოთ მონობისაგან, შეგაბრალოთ და შეგაყვაროთ ერთმანეთი. ჩვენ ყველა ღვთის შვილები ვართ და უერთმანეთოდ ვერ ვიარსებებთ, ვერც ხსნის გზას ვიპოვით

გათიშულნი და გაუბედურებულნი. ჩამომეცალეთ გზიდან, დამანახეთ თქვენი სული, ყოფა, თქვენი ქვეყანა, ამოირეცხეთ გულიდან ეჭვი და უნდობლობა და გადმოეფინება მაღლით ნათელი, ამაღლდება ცამდე გუმბათი და გამტკიცდება კავშირი ცასა და მიწას შორის.

სერაპიონი ისე გაიტაცა და აალელვა საკუთარმა მჭევრმეტყველებამ, იმდენად სწამდა ის, რაც სიტყვებში ჩააქსოვა, რომ ეგონა მისი რწმენა და ღმობიერება ბრბოსაც გადაედებოდა და ამიტომ უშიშრად, ჯიქურად დაიძრა გზაზე ჩამწკრივებული მესხებისაკენ იმის იმედით, გზას დამითმობენო, მაგრამ როცა ფრთხილ და უნდო მზერას წააწყდა, მიხვდა, რომ ამაოდ გაისარჯა, მესხები მას არც ცნობდნენ და არც ენდობოდნენ.

— ამას იქით ნაბიჯს ვერ გადადგამთ, მამაო, — უთხრა პირქუშად იმ მესხმა, ტყაპუჭი რომ ჰქონდა მხრებზე მოგდებული.

სერაპიონს შიგნით ყველაფერი უდუღდა, ერთი წუთით მის სულში რისხვამაც კი იფეთქა, ისეთმა რისხვამ, გამოსავალს რომ ვერ პოულობს, მაგრამ არც დამშვიდების საშუალებას იძლევა და მიუხედავად იმისა, რომ გრძნობდა ულირსად და უგუნურად იქცეოდა, მაინც დაიძრა ადგილიდან და გადაწყვიტა გზაზე ჩამწკრივებული მესხებისათვის, ერთი ბეწოთითაც რომ არ ეპუებოდნენ, გვერდი აევლო. მესხები ერთხანს დაძაბული ადევნებდნენ თვალს სერაპიონს, აკვირვებდათ მისი სიფიცხე და დაუდგრომლობა, მაგრამ როგორც კი მიხვდნენ, რა ჰქონდა გუნებაში ბერს, მწკრივმა იმ მხარეს გადაინაცვლა, საიდანაც სერაპიონი მისთვის გვერდის ავლას აპირებდა და ისევ კედლად აღიმართა. სერაპიონი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა, ახლა უკან გამობრუნდა და მარჯვნიდან მოინდომა გვერდის ავლა ბრბოსათვის, მაგრამ როცა მწკრივმაც მარჯვნივ გადმოინაცვლა და ისევ კედლად აღიმართა მის წინ, გონს მოეგო, სახეზე ცივმა ოფლმა დაასხა, შეკრთა და შეძრწუნდა. ასეთი რამ მას არ უნდა მოსვლოდა და მთელი რისხვა, მასში რომ დუღდა, მზამად იქცა, გულ-ღვიძლში ჩაელვარა და ისე მოშხამა, რომ ერთი წუთით აღარც კი ახსოვდა, სად იყო, რისთვის და რატომ დაეხშო გონება უცაბედად. თავისიანებიც მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა იოანე გვერდით ამოუდგა და მკლავში ხელი მოჰკიდა.

— მამაო სერაპიონ, თქვენ უფრო დიდი საქმეების აღსასრულებლად ხართ მოწოდებული და ცდუნებას ნუ აყვებით, თორემ ღმერთი გიწყენთ. ახლა პირჯვარი გადავისახოთ და გავეცალოთ აქაურობას. იმედია, უფალი ამათ შეუმოსავს არ დატოვებს.

სერაპიონმა, რომელიც შინაგანად ცახცახებდა, პირჯვარი გადაიწერა, მაგრამ იმ თვინიერებამ, ღმერთი რომ მისგან მოითხოვდა, მის სულში მაინც ვერ მოიკიდა ფეხი.

— წავიდეთ, ძმაო იოანე, მაგრამ სანამ წავალთ, მინდა ამათ წინასწარმეტყველის სიტყვები შევახსენო: „ვიხილე ულმრთო ამაღლებული ნაძვთამდე ლიბანისათა და თანწარვჰხედ და არა იპოვა ადგილი მისი“, — თქვა სერაპიონმა ხმამაღლა, ყველას გასაგონად.

ამ სიტყვების გაგონებაზე ბრბო მცირე ხნით შეკრთა და შეყოვნდა, რადგან ცრუმორწმუნე უფრო იყო, ვიდრე მორწმუნე. მესხების შეკრთომა სერაპიონმაც შეამჩნია, მაგრამ ისინი მას უკვე აღარ აინტერესებდა. იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ მოხდა, რომ რისხვამ გონება დაუბნელა და იმ ადგილს რომ გასცლოდა, სადაც თავი შეირცხვინა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, სწრაფად გამობრუნდა და ისევ მთებისაკენ დაიძრა, ოღონდ ახლა უკვე მეორე ხეობით. იოანე, ილარიონი და გოშნა უკან მიჰყვებოდნენ. ბრბომ ქვის სროლა მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა ისინი ტყის პირას იყვნენ მისულნი და ამიტომ არავინ დაზიანებულა.

ბერები ხეობას აჰყვნენ, თითქმის

გოდერძის უღელტეხილამდე ააღწიეს და უეცრად ისეთ ღრმა და გაუვალ ტყით დაფარულ ხევში აღმოჩნდნენ, რომ სერაპიონმა ათიოდე ნაბიჯის გადადგმისთანავე იგრძნო, რომ აქედან გაღწევა დიდ ჯაფად და ფასად დაუჯდებოდათ. კუნძები, ხმელი ტოტები, კლდიდან დაგორებული ქვები და ეკლიანი ჯაგები არც ტყავს დაინდობდნენ, არც ქსოვილს და არც ხორცს. შეიძლება ამ ტყიდან დედაშობილანიც კი გასულიყვნენ. არა და დრო არ ითმენდა. შუადღემდე უღელტეხილამდე ასვლა უნდა მოესწროთ და უკან გამობრუნებაც, შუადღემდე შეუსვენებლად იარეს და როცა ხევი აათავეს, ფეხები დახეთქილი და დასისხლიანებული ჰქონდათ, ტანსაცმელი დაფლეთილი და ჩამოძენძილი, ხელები კი დაკაწრული. ყველაზე მეტად გოშნას გაუჭირდა, რადგან ტანჯვა და წვალება მისთვის მართლაც ტანჯვა და წვალება იყო და არა ღვაწლი. იმ საგზალს, თან რომ წამოიღო, გზაშივე მოუღო ბოლო, მაგრამ კუჭი მაინც შიმშილით ეწვოდა და სადაც კი ტყის ნაყოფს დაინახავდა, მაშინვე პირში იტენიდა. სერაპიონი ჯერ კიდევ გრძნობდა იმ ცეცხლის მხურვალებას, უცბად ავარდნილ ალივით რომ მოედო და გულ-ღვიძლი ამოსწვა. საჭირო იყო იმ კვანძის გამოხსნა, მისდაუნებურად რომ შეიკრა, დაიხლართა, კიდევ უფრო დაიკვანძა და ისე დაამძიმა და დააჭმუნვა, რომ აღარ იცოდა, როგორ გამართულიყო წელში, ვისთვის რა ეთქვა, რა მოენელებინა და რა არა. იგი ვერც თავს გაექცეოდა და ვერც სხვებს, ვერც ღმერთს უღალატებდა და ვერც საქმეს და ამიტომ საკუთარი უგუნურობით გამოწვეული უგუნებობისათვის თვითონ უნდა მოევლო როგორმე.

— ძმაო იოანე, მეპატიება კი ოდესმე ის უსაქციელობა, დღეს რომ ჩავიდინე? — ჰკითხა სერაპიონმა ძმას, რომელსაც გვერდიდან არ იშორებდა.

— მიუტევებელი არაფერი ჩაგიდენიათ, მამაო სერაპიონ.

— ახსნითაც კი ვერაფერს აგიხსნით, ძმაო, რადგან თავად არ ვიცი, რამ დამიბნელა გონება, რამ ამამჩატა და ამაცერცეტა.

— რომ ამიხსნათ კიდეც, მე მაინც ვერაფერს გავიგებ, მამაო. ამიტომ ნურც ახსნით შეიწუხებთ თავს.

— იქნებ მე არ ვარ ის კაცი, ვისაც ამხელა საქმე უნდა ეტვირთა, იქნებ ჰკუაც მაკლია საამისოდ, სულის სიმტკიცეც და სიდარბაისლეც?

— ნეტარი მიქაელი ასე ადვილად არ შეცდებოდა, მამაო სერაპიონ. მან თქვენ აგირჩიათ წინამძღვრად და რადგან რჩეულთა ხვედრი გაიზიარეთ, უკან დასახევი გზა აღარ გაქვთ.

— სავალალოც ეგ არის სწორედ.

— რატომ, მამაო?

— იქნებ ჩემმა უხიაგო ხასიათმა საქმესაც ავნოს და ადამიანებიც გათიშოს და გააბოროტოს.

— ღმერთს ნუ სცოდავთ, მამაო, თქვენ ხომ თქვენთვის არაფერი გინდათ, ხოლო ის, რაც გაფუჭდება ან გაკეთდება, საქმისთვის იქნება ცუდი ან კარგი.

— სწორედ ამისთვისაა საჭირო სიდინჯე და გამჭრიახობა, ძმაო.

— თქვენ არც ერთი გაკლიათ და არც მეორე, მამაო. ის, რაც დღეს მოხდა, ყველას შეიძლება შეემთხვას. ზოგიერთ წმინდა მამას უარესიც შემთხვევია, მაგრამ ამის გამო მოწოდებაზე ხელი არ აუღია.

— გმადლობთ, ძმაო.

— ღმერთმა ნუ მოგაკლოს წყალობა, მამაო.

როცა უღელტეხილამდე ააღწიეს და ტყიდან გავიდნენ, გარდა ყანობილისა, მცირე დაბაც დაინახეს. დაბაში სულ რამდენიმე სახლი იდგა. ერთ-ერთი დედაბოძიანი დარბაზიდან, მზის ბორჯღალი რომ ამშვენებდა, მხცოვანი, სანდომიანი კაცი გამოვიდა და როგორც კი თვალი მოჰკრა, ისე გაუნათდა სახე, ისე გულღიად შეეგება ბერ-მონაზვნებს, თითქოს სასურველი სტუმრები ეწვივნენ. მთავრის შემდეგ ეს იყო პირველი

კაცი ამ მხარეში, მათ მიმართ რომ პატივისცემა, თანაგრძნობა და მოწიწება გამოიჩინა. ეტყობა გოშნა მას იცნობდა, რადგან სხაპასხუპით უამბო ყველაფერი, რაც იცოდა და რაც იმ დღეს თავს გადახდათ. მხცოვანი მამაკაცი შეწუხდა, ბერ-მონაზვნები შინ შეიპატიჟა და მხლით, მწნილით, პურითა და ღვინით გაუმასპინძლდა.

— დიდი ხანი არაა თქვენი აქ ჩამობრძანება რომ გავიგე, წმინდა მამანო, მაგრამ მაინც მაპატიეთ, აქამდე რომ ვერ მოგინახულეთ და კურთხევა არ გთხოვეთ, — უთხრა მასპინძელმა სტუმრებს და ისეთი გულით შესთავაზა მცირედი შექამადი, რომ უარის თქმა უმადურობა იქნებოდა.

— რა გქვია და რა გვარი ხარ, საყვარელო ძმაო ჩვენო? — ჰკითხა სერაპიონმა მასპინძელს.

— სახელად ია მქვია, გვარად კი ცოტაისძე გახლავართ.

— მარტო ცხოვრობთ ამ დარბაზში, ძმაო ია?

— არა, შვილებიც მყავს, რძლებიც და შვილიშვილებიც, მაგრამ ყველახი მინდვრად არიან გაკრეფილნი.

— აქ სულ ცოტაისძეები ცხოვრობენ?

— თითქმის, მამაო.

— რა ჰქვია ამ დაბას?

— ცოტაისძიანთ დაბა.

— ძმაო ია, როგორ გგონიათ, მიზანშეწონილია თუ არა ქვაბულიანის ხეობაში მონასტრის აშენება?

— მე არ ვიცი, მამაო, ვის დაებადა ეს აზრი პირველად, მაგრამ ის კაცი შორსმჭვრეტელი და მადლით ცხებული ყოფილა.

— რატომ ფიქრობთ ასე?

— ამ მხარეს და აქაურ ხალხს ახლა ისე სჭირდება განათლება, გამოფხიზლება, მორჯულება და ხსნა, მამაო, როგორც მცენარეს წყალი.

— თვითონ რომ ამას ვერ გრძნობენ.

— ეს იმიტომ, რომ ზარმაცები არიან და სიბნელესა და ჭუჭყში ცხოვრობენ.

— თქვენ ხომ იცით, ძმაო ია, მონასტრის აშენება აქაურებისათვის დიდი გამოცდა იქნება, გაუძლებენ კი ამგვარ გამოცდას?

— შეიძლება ყველამ ვერ გაუძლოს, მამაო, მაგრამ ამის გამო მონასტრის მშენებლობა არ უნდა შეფერხდეს.

— მშენებლობა რომ არ შეფერხდეს, ამისთვის რწმენა და ერთსულოვნებაა საჭირო.

— დიდი საქმე თავად ბადებს რწმენასაც და ერთსულოვნებასაც, მამაო.

— ესმით კი აქაურებს, ჩვენ თუ ხელი შეგვეშალა და საქმე გაჭიანურდა, აქედან ავიყრებით და მონასტერს სადმე სხვაგან ავაშენებთ.

— მე და კიდევ რამდენიმე კაცი შევეცდებით, რომ გაიგონ, მამაო.

სერაპიონს უნდოდა კიდევ ეკითხა რაღაც, მაგრამ თავი შეიკავა და ლუკმაც კი აღარ მიიტანა პირთან. ახლა მათ არ ჰქონდათ იმის დრო, რომ სუფრასთან მსხდარიყვნენ და საქმეზე ელაპარაკათ ან უსაქმოდ ელაყბათ, ახლა ყოველ წუთს, ყოველ წამს უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ზოგჯერ დღეს ან მთელ თვეს აქვს და ამ წუთებს, ამ წამებს უნდა დაეჩქარებინა ის საათის დადგომა, როცა იგი სანთლებით გაჩირაღდნებული საკურთხევლიდან ერთ კაცს კი არ დამოძღვრავდა, არამედ მთელ მრევლს, როცა მას ერთი და ორი კაცი კი არ სთხოვდა კურთხევასა და შენდობას, არამედ ათასები და ათი ათასები, როცა წირვა-ლოცვას ვერც უამინდობა შეუშლიდა ხელს, ვერც სახადი და ვერც შინააშლილობა. ახლა მთავარი იყო სამონასტრო მამული შემოემტკიცებინათ და დროზე მიეღწიათ იმ ადგილამდე, სადაც ბინა დაიდეს.

სერაპიონმა მასპინძელს მადლობა გადაუხადა და ფეხზე წამოდგა. წამოიშალნენ სხვებიც. ია ცოტაისძეს ცოტა გაუკვირდა სერაპიონის ასეთი უეცარი აჩქარება, მაგრამ მაინც მოწიწებით და თავაზიანად მიმართა ყველას:

— წმიდა მამანო, რადგან ღმერთმა იმის ღირსი გამხადა, რომ ჩემს უბირ

ქოხში მეწვიეთ, დარჩით ამაღამ ჩემთან, მოისვენეთ, გამოიძინეთ და ხვალ განაგრძეთ გზა.

— საყვარელო ია, არ ეგების ჩვენი ამაღამ აქ დარჩენა. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, დროზე უნდა მივიდეთ იმ ადგილას, სადაც ვდგავართ და სადაც ჩვენი სულიერი ძმები გველოდებიან:

— გაწამებული ჩანხართ, მამაო, თანაც შუადღე გადასულია და მეეჭვება დაღამებამდე მიაღწიოთ იმ ადგილამდე.

— ჩვენთვის ნუ იმჭმუნვარებ, საყვარელო ძმაო. მხოლოდ ერთი თხოვნა მაქვს, ღვთის გულისათვის, თხვს იდე შრომა და ცოტა ხნით მაინც გაგვიწიე მეგზურობა.

— მაგას როგორ დაგამადლით, მამაო, ნეტა ღმერთმა ინებოს და მარადის თქვენთან მამყოფოს.

ამჯერად გეზი მათ დასავლეთისაკენ აიღეს. ტყე, ხევი და მთა აქაც ისეთივე უვალი, ხელუხლებელი და მდუმარე იყო, როგორც გოდერძის უღელტეხილის ღრმა ხევში. მდინარეებს, მთებსა და ხეობებს არც სახელი ჰქონდათ შერქმეული და არც ის იცოდა ვინმემ, რა იმალებოდა მათ წიაღში, რა სარგებლობა შეეძლოთ მოეტანათ ადამიანისათვის. ამ ტყიდან კაცი მხოლოდ იმას ხედავდა, რაც უშუალოდ ხვდებოდა თვალში, სხვა ყველაფერი კი — ცა, მზე, ღვთის ვრცელი საუფლო და მათი ურთიერთკავშირი, მხედველობის მიღმა რჩებოდა. სერაპიონი კი აქ იმისთვის ამოვიდა, რომ ღვთისაგან მიტოვებული კუთხე მთელ სამყაროსთან დაეკავშირებინა, აქაური მდუმარება ისე აემეტყველებინა, როგორც მეტყველებს უტყვი მშვენება, აქაური ფოთლების შრიალი ისე შეეკრა ერთ დიდ ბგერად, როგორც იკვრება ერთ სხივად შუქი ნათლიერი, აქაც ისევე დაეგუგუნებინა ზარები, როგორც გუგუნებენ ცადაღმართულ სამრეკლოებზე და დამფრთხალი ფარა დაებრუნებინა იმ ფარეხში, მტკიცე კედლებით რომ შემოზღუდავს და ისე მოხატავს, როგორც მოხატა ცათა მეუფემ წუთისოფელი.

როცა ხეობა აიარეს და მთაზე ავიდნენ, სივრცე ერთბაშად განიხვა და მათ წინ აღმოჩნდა მეწამული ზოლებით დასერილი მღვრიე ტბა, რომელიც მართლაც ისე იმზირებოდა ქვესკნელიდან, როგორც ავი თვალი. ტბაში რამდენიმე კამკამა წყარო და ღელე ჩაედინებოდა, მაგრამ ვერც ფერს უცვლიდა და ვერც იმ იქედნურ ბგერებს აღშობდა, ტბის ტალღების დგაფუნი რომ გამოსცემდა. ეს ტბა დედამიწის ზურგზე გაჩენილ დიდ მუწუკს ჰგავდა, რომელიც ბალღამით, სისხლითა და წვირით იყო სავსე. სამი მხრიდან კლდოვანი ქარაფები ზღუდავდა და მხოლოდ ერთი მხრიდან იყო ჩამოქცეული კლდით თუ მეწყერით ჩახერგილი. ტბას სუნიც კი ისეთი უდიოდა, როგორიც ფერი ედო.

— ეს ხომ თახვის ტბაა, ძმაო ია?, — ჰკითხა სერაპიონმა ცოტაისძეს, რომელიც მძიმედ სუნთქავდა.

— კი, თახვის ტბაა, მამაო.

— რატომ ადევს ასეთი ფერი?

— არ ვიცი, მამაო, შეიძლება იმიტომ, რომ ტბაში უამრავი თახვი ბინადრობს.

— ამ მწვერვალს რა ჰქვია, ძმაო, ამ ტბას რომ წამოდგომია თავზე?

— თავი შეშათაი.

— რა უცნაური სახელია.

— ეს მთა უმაღლესია ამ მხარეში, მამაო, და მის წვერზე ჯერ არც კაცს დაუდგამს ფეხი და არც ნადირს. თავი შეშათაი კი იმიტომ ჰქვია, რომ აქაური ტყეებს დასცქერის ზემოდან.

— რა მოხდება, საყვარელო ძმაო ია, ტბის ნაპირას რომ ჩავიდეთ?

— არ გირჩევთ, მამაო, ამ დროს აქ ნადირი მოდის წყლის დასალევად და მონადირენიც აქ იკრიბებიან, მათ შორის ბევრია უკეთური და ცდუნებით მავალი. ისინი ერთმანეთს უჯერო საქმისათვის დევნიან და კაცის კვლასაც არ ერიდებიან.

— როგორ გავაღწიოთ აქედან, ძმაო ია?

— ტბას მარჯვნიდან უნდა შემოვუაროთ და აი, იმ ღელეს ავყვეთ.

სერაპიონმა ცას ახედა. დასავლეთიდან ისეთი შავი ღრუბელი მოიგრაგნებოდა, ისეთი დიდი თავი და წვრილი კუდი ჰქონდა, რომ თავკომბალას ჰგავდა. მან დაახლოებით უკვე იცოდა, სად იწყებოდა და სად თავდებოდა ის მიწაწყალი, მთავარი რომ მონასტერს უთმობდა. ერთადერთი უკეთური ადგილი, მომავალ სამონასტრო მამულს რომ აბინძურებდა და ამახინჯებდა, თახვის ტბა იყო და ახლა სწორედ ამ ტბისთვის უნდა აევლო გვერდი.

— რა დრო იქნება ახლა, ძმაო ია? — ჰკითხა სერაპიონმა მეგზურს.

— დღე მიდრეკილია, მამაო და თუ არ იჩქარეთ, გზაში დაგაღამდებათ.

— ცოტა კიდევ გაგვაცილეთ, ძმაო ია, თორემ, ეტყობა ეს ყმაწვილი ამ მხარეს ხეირიანად არ იცნობს.

— დაბამდე მიგყვებით, მამაო, სადაც ერთი სახელოვანი, კეთილი კაცი ცხოვრობს. ის კაცი უმეგზუროდ და უპატივცემლოდ არ დაგტოვებთ. მე კი უკან უნდა გავბრუნდე, თორემ გზაში დამიღამდება და შინამდე ვერ მივაღწევ.

— რა გვარია, ის კაცი, ძმაო, ია?

— გარბანელი, მამაო.

იმ ადგილას, სადაც ბერ-მონაზვნები იდგნენ, სისხლის კვალი დარჩა. ტყიდან მელა გამოცუნცულდა და სისხლს დაუწყო ლოკვა. უეცრად სამყარო როგორღაც გაიყო. ის, რაც თვალით არ ჩანდა, თავისთვის, დამოუკიდებლად არსებობდა, და ისე იჩრდილებოდა, თითქოს არა მარტო აზრი დაკარგა, არამედ მოძრაობის უნარიც, ფერიც და სახიერებაც. წყლის ხმაური ოხვრასავით ისმოდა ზემოდან, ფოთლების შრიალი იმდენივე იდუმალებას იტევდა, რამდენსაც მათი მომცველი მდუმარება. ამ მდუმარებაში ცხადი მხოლოდ ის იყო, რომ დღე იდრიკებოდა, ცა იღრუბლებოდა, ნისლი და ბურუსი კალთას იგრძელებდა და იმათგან, ვისაც უცხოობაში, უგზოობაში და ეშმაკეულ მახეთა სამფლობელოში უღამდებოდათ, დიდ ჭირთა თმენასა და საკუთარ რწმენასთან შენივთებას მოითხოვდნენ.

ბერ-მონაზვნები და მათი თანამგზავრნი ღელეს მიადგნენ და გაღმა გასვლა მოინდომეს, მაგრამ ამ დროს ტყიდან ვიღაც მამაკაცი გამოხტა, მგზავრებს წინ გადაუდგა და შუბი მოიმარჯვა. მის შემართებაში ისეთი რისხვა იგრძნობოდა, რომ მგზავრები ადგილზე გაშეშდნენ.

— საით მიდიხართ თქვე დამთხვეულებო, თქვე მათხოვრებო, თქვე ღორის შვილებო, ნადირი გინდათ დაგვიფრთხოთ? — დასჭყივლა მათ ზემოდან შუბმომარჯვებულმა მამაკაცმა და მისი ხმის გამოძახილი ტყე-ღრემ გაიმეორა. ამ დროს დამხვდურს კიდევ ორი კაცი ამოუდგა უკან. ერთი შურდულით იყო შეიარაღებული, მეორე მშვილდისრით.

— ჩვენ აქეთ დიდმა მთავარმა, გიორგი ჩორჩანელმა გამოგვგზავნა, — უპასუხა შემცბარმა ია ცოტაისძემ მონადირეებს თუ ავაზაკებს.

— არ ვიცით ჩვენ არავითარი მთავარი, ახლავე გაბრუნდით უკან, თორემ ამ შუბს ხომ ხედავთ, — დაემუქრა მათ იგივე მამაკაცი, პირველად რომ გამოხტა ტყიდან და შუბი ხელში შეათამაშა.

— ამასთან ლაპარაკი კი არა, ბრძოლაა საჭირო, — ჩაიბუზღუნა ილარიონმა ისე, თითქოს ვიღაცას ედავებაო.

— ესენი ამ ხეობაში თავცოცხალი არ შეგვიშვებენ, მამაო, ამიტომ უმჯობესია უკან გავბრუნდეთ და სხვა გზას დავადგეთ, — მიმართა ია ცოტაისძემ სერაპიონს და უკან გამობრუნდა.

როცა მონადირეები თვალს მიეფარნენ, ია ცოტაისძე საკმაოდ ციცაბო ფერდობს აუყვა ხვნეშით. ბერები და გოშნა უკან მიჰყვნენ. ტყეში თითქმის ბნელოდა, ხმელი ტოტები ტკაცუნებდნენ, ხეები ლურჯად ილებებოდნენ. ფეხებდასისხლიანებულებს და ჩამოძენძილებს სიარული უჭირდათ, ბუჩ-

ქებსა და ხვიარებს ებღაუჭებოდნენ, მძიმედ სუნთქავდნენ, მაგრამ მაინც შეუპოვრად მიიწევდნენ წინ. ბოლოს, როცა წაქცევას ღარაფერი უკლდათ, ხეებს შორის ჯერ ვერცხლისფრად მოციმციმე დღის სინათლე გამოჩნდა, შემდეგ კი ის პატარა დაბა, ია ცოტაისძემ რომ ახსენა. დაბის ირგვლივ ტყე გაჩეხილი იყო. საქონელი მთის ნოყიერ და ხასხასა ბალახს ძოვდა. ტყის შემდეგ დაბა გალამაზებული და მორთულმოკაზმულიც კი მოეჩვენათ. ია ცოტაისძემ ისინი ისეთივე სახლთან მიიყვანა, თვითონ რომ ედგა და მასპინძელს ჭიშკრიდან დაუძახა. მათ გამოეგება მაღალი, მოხდენილი, შუახნის მამაკაცი, რომელიც აქაურებისაგან იერითაც გამოირჩეოდა, ჩაცმა-დახურვითაც და კაცური სიდარბაისლითაც. ეტყობა იგი ქვეყნად ნავალი კაცი იყო და შეიძლება წერა-კითხვაც იცოდა და რაიმე ხელობაც. მოდიოდა მსუბუქად, ხალისიანად, გულგახსნილად და სანამ ახლოს მოვიდოდა, სერაპიონმა კიდევ ერთი რამ ამოიკითხა მის გარეგნობაში, რაღაცით გარბანელი ხუცესს უფრო ჰგავდა, ვიდრე ერის კაცს, მისი სული მეტყველი, მოძრავი მოეჩვენა.

— ძმაო, გაბრიელ, — მიმართა ია ცოტაისძემ მასპინძელს, — აი, ეს წმიდა მამანი მოგიყვანე კარზე. ახლა ისინი იმ ადგილისაკენ მიიჩქარიან, სადაც დგანან და სადაც მონასტერი უხდა ააშენონ. მე რომ უკან არ გავბრუნდე, გზაში დამიღამდება და ამიერიდან მათი პატრონობა და მეგზურობა შენთვის მომინდვია.

გარბანელი სერაპიონთან მიიჭრა, მის წინ მუხლი მოიყარა და ხელზე ემთხვია.

— მაკურთხე, მამაო!

— ღმერთმა გაკურთხოს, შვილო.

სერაპიონმა მასპინძელს პირჯვარი გადასახა. ეს კაცი დალოცვასაც იმსახურებდა და პატივისცემასაც, რადგან იყო მასში რაღაც ისეთი, რაც ადრე თუ გვიან საერთო ენას გამონახვინებდათ და შეიძლება იმდენადაც დაახლოებულიყვნენ, რომ ამ გამორჩეულ კაცს მისი ლოცვა-კურთხევით ღვთის თანადგომაც კი ეკისრა. ყოველი ადგილობრივი მკვიდრი, ყოველი საქმიანი და გონიერი კაცი მისთვის ახლა მთელ ჯარს უდრიდა და თუკი ვინმე დაეხმარებოდა, მხარში ამოუდგებოდა, გაათვითცნობიერებდა, მადლობის მეტი რა ეთქმოდა.

— წამოდექ, შვილო!

გარბანელმა სერაპიონის ფეხებს დახედა, შეძრწუნდა და სწრაფად წამოდგა ფეხზე.

— შემობრძანდით შინ, წმიდა მამანო, ჭრილობებსაც მოგბანთ და რითაც შემეძლება გაგიმასპინძლდებით, — მიმართა მან ბერებს.

— არა, შვილო, ჩვენი დაყოვნება აღარ შეიძლება. თუ მართლაც ქრისტესმიერი ძმა ხარ ჩვენი, ჰქენი სიკეთე და მიგვიყვანე იმ მდინარემდე, აქედან რომ ჩრდილოეთით ჩამოედინება, — სთხოვა სერაპიონმა.

— ქვაბლიანამდე?

— ქვაბლიანამდე.

— ასე სულზე მისასწრები რა გჭირთ, მამაო?

— ჩვენ რომ ამაღამ უკან არ მივბრუნდეთ, ღმერთი გვიწყენს. გარდა ამისა იქ ჩვენ ჩვენი სულიერი ძმები გველოდებიან.

— საგზალი მაინც წაიღეთ თან, მამაო, ახლავე მოგიმზადებთ.

სერაპიონმა იოანეს და ილარიონს შეავლო თვალი. უზომოდ დაღლილნი და გაწამებულნი ჩანდნენ, ფეხები მათაც დახეთქილი და დასისხლიანებული ჰქონდათ, ხელები დაკაწრული, ტანსაცმელს ძლივს იმაგრებდნენ ტანზე, მაგრამ სულის სიმხნევე და სიქველე არც ერთს დაეკარგა და არც მეორეს.

— არა, შვილო, ახლა აღარც ამისათვის გვცალია. ავად ილრუბლება და თუ დროზე არ მივაღწიეთ ბინამდე, შეიძლება ჩვენც აღმოვჩნდეთ საფრთხეში და ჩვენი სულიერი ძმებიც.

— რა გაეწყობა, მამაო, ღმერთსა და ამ კაცს მადლობას ვწირავ, ჩემს კარზე

რომ მოგაყენათ. ხვალ მე თვითონ გესტუმრებით, ახლა კი ჩემს ვაჟს გაგაყოლებთ და ის მიგიყვანთ მდინარემდე, — თქვა გარბანელმა და შინ შებრუნდა.

— მე გამოგემშვიდობებით, წმიდა მამანო, ღმერთმა მშვიდობით გატაროთ და ხელი მოგიმართოთ, მალე მეც გინახულებთ, — მიმართა ბერებს ია ცოტაისძემ, რომელიც ამდენხანს განზე იდგა და საუბრის დამთავრებას ელოდებოდა.

— იკურთხე, ძმაო, ჩვენს მაგივრად ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროს, — დალოცა სერაპიონმა წასასვლელად გამზადებული ცოტაისძე.

— გემუდარებით, მამაო, მე აქ დამტოვეთ, აღარც სიარული შემიძლია და აღარც ამდენი შიმშილის ატანა, — შეევედრა სერაპიონს გოშნა.

— დარჩი, შვილო, მადლობა ღმერთს, მეგზური გვყავს და აწი უშენოდაც გავიკვლევთ გზას.

ფეხების ტკივილზე უფრო სერაპიონს თავის ტკივილი აწუხებდა, როცა თავის ტკივილი წამოუვლიდა, ღამეს თეთრად ათენებდა, მაგრამ ახლა ტკივილზე ფიქრის დრო არ იყო. მზე ჩასასვლელად ემზადებოდა, გარემო ფითრდებოდა, ცა მძიმე ღრუბლებით იფარებოდა და მიუხედავად ამისა, ერთი წუთით მაინც ისე მოუნდა ხის ძირში წამოწოლა და თვალის დახუჭვა, უძრაობა და უმოქმედობა, რომ კინაღამ კვნესა აღმოხდა, რამაც ცოტათი შეაკრთო. მისი შეკრთომა მის მეტს არავის შეუმჩნევია, თუმცა სხვებისთვის ამას ის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რაც მისთვის. შემაშფოთებელი ის იყო, რომ ჯერ არაფერი გაუკეთებია, ხეირიანად არც ადამიანებთან დაუმყარებია, ურთიერთობა და არც სამშენებლო მასალისათვის შეუვლია თვალი, მაგრამ მაინც გრძნობდა, რა მარტო იყო გარე სამყაროში. თვით მასშიც იცვლებოდა რაღაც, იცვლებოდა მისდაუნებურად და ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რა იწვევდა ამ ცვლილებას, რა ამკაცრებდა ზოგჯერ აზრს, სულს და რამდენადმე სხეულსაც კი.

გარბანელი სახლიდან ჩვიდმეტთვრამეტი წლის ახალგაზრდასთან ერთად გამოვიდა, ყმაწვილს სიარულზე ეტყობოდა, რომ მოქნილი, სხარტი და დაუზარელი იყო. გარეგნობით მამას ჩამოგავდა, მაგრამ შემართება უფრო მხედრული და მეომრული ჰქონდა. იგი რომ შინ არ გაჩერდებოდა და ადრე თუ გვიან ხელმწიფის ან რომელიმე დიდი მთავრის კარზე აღმოჩნდებოდა, ამაში სერაპიონს ეჭვი არ ეპარებოდა.

— შვილო, დემნა, ეს წმიდა მამანი ისე უნდა მიიყვანო მდინარე ქვაბლიანამდე, რომ არაფერი გაუჭირდეთ. ახლა კი ემთხვიე ხელზე წინამძღვარს და ლოცვა-კურთხევა სთხოვე, — უთხრა გარბანელმა შვილს.

ყმაწვილმა უხერხულად დაიჩოქა, უხერხულად ემთხვია ხელზე სერაპიონს, სწრაფად წამოდგა და გეზი ჩრდილოეთისაკენ აიღო. ბერები მასპინძელსა და გოშნას გამოემშვიდობნენ და უკან მიჰყვნენ. ყვავილებით მოფენილი არც ეს გზა იყო, მაგრამ ამ გზას ისინი შინისაკენ მიჰყავდა და ის მარტოობა, ღმერთმა რომ ადამიანს კედელივით შემოარტყა ირგვლივ, არც ისე მძაფრად იგრძნობოდა, როგორც გზის დასაწყისში. მიწიერი ცხოვრების სიშიშვლე და დამამცირებელი უთავბოლობა სრულიად არ ნიშნავდა იმას, რომ მათ ამქვეყნად არაფერი ესაქმებოდათ, არაფერს ეძებდნენ, არ იცოდნენ ტკივილისა და ტანჯვის ფასი, ღვაწლისა და ქმედების მნიშვნელობა, სულის დაწყლულება, მსხვერპლის გაღება და ამ ტყე-ღრეში მხოლოდ იმიტომ დახეტიალობდნენ, რომ დასაბამიერი ცოდვა არ ასვენებდათ. სიშიშვლე სწორედ იმიტომ იყო სიშიშვლე, რომ შემოსვას მოითხოვდა, უთავბოლობა — თავის მობმას, უაზრობა — აზრით შემოსვას, მარტოობა — ერთსულოვნებას, არარაობა — რაობად ქცევას, უსაყდრობა — საყდრეულობას და თუ ნათელს ყველგან და ყოველთვის თან ახლავს ბნე-

ლი, ამით არც სამყარო ირღვევა და არც სული, რომელიც იტევს ყველაფერს, რაც ღმერთს შეუქმნია და ერთმანეთთან დაუკავშირებია. კაცს იმიტომ დააქვს თავის თავში სიცარიელე, რომ სამყაროს უსასრულობა დაიტიოს, იწვალოს, ივაგლახოს, იქანაოს იმედსა და უიმედობას, ცოდვასა და მადლს, სიწმინდესა და სიბილწეს შორის, ისწავლოს ჭირთათმენა, ხორციელი მოთხოვნილებების ალაგმვა, გამოაღვიძოს მიძინებული წარმოსახვა, ამბოხდეს, ამხედრდეს, დაუსხლტეს ხელიდან ცხოვრების მძიმე მორევს და შექმნას რაღაც ისეთი, რასაც სამყარო გულში ჩაიკლავს და შეიშნობს. ფეხებისა და თავის ტკივილი ნაწილი იყო ყოველივე იმისა, რაც მათ უნდა აღესრულებინათ და სვეტად და ძეგლად აღემართათ. ამიტომ ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი მათ არა მარტო გამოცდილებას მატებდა, არამედ ძალასაც.

ქვაბლიანის ხეობა არც ისე შორს აღმოჩნდა გარბანელთა დაბიდან, როგორც თავიდან ეგონათ. მდინარის პირას ისე მოულოდნელად აღმოჩნდნენ, თითქოს ვიღაცამ მთელი ხეობა მათკენ მოაჩოჩა. დემნა გარბანელმა მათთან დარჩენა არ ისურვა და როგორც კი დარწმუნდა, აწი ბერები თვითონ გაიკვლევენ გზასო, მაშინვე უკან გაბრუნდა.

როცა ბერები მათ მიერვე გაკვალულ ბილიკს აჰყვნენ, მწუხრი საბოლოოდ დაეპატრონა ქვეყანას. მძიმე ღრუბლები, ცა რომ დაადაბლეს და შესუდრეს, მწუხრსაც ამღვრევდნენ და ანესტიანებდნენ. მარკოზს, მაკარს და ბასილს ისე გაუხარდათ მათი დანახვა, თითქოს მიღმიეთიდან მობრუნებულიყვნენ. ტალავერში თბილოდა და მოხარშული თევზის სუნი იდგა. სანამ ლოცვას შეუდგებოდნენ, მარკოზმა და მაკარმა მათ ჭრილობები მობანეს და ბალახებისაგან დამზადებული მალამოთი დაუამეს. ჭექა-ქუხილმა პირველად მაშინ გააყრუა იქაურობა, როცა ლოცვად იდგნენ. სახურავს წვიმის მსხვილი წვეთები დაეცა. შემდეგ [illegible] გრგვინვა და ცოდვის [illegible], ისე ელავდა და ქუხდა, თითქოს ცა ჩამოქცევას აპირებდა. სახურავს წვეთები კი აღარ ეცემოდა, არამედ ციდან გადმომსკდარი ნიაღვარი, ყველაფერს წალეკვითა და განადგურებით რომ ემუქრებოდა. ადიდებული მდინარის ხმაური ტალავარშიც კი იჭრებოდა. სერაპიონს აღარც საკუთარი ხმა ესმოდა და აღარც იმ სიტყვების აზრი, ჩურჩულით რომ წარმოთქვამდა. შიმშილმა და თავის ტკივილმა გააბრუა, დააცარიელა, გამოაშრო. სანთლების ალი ისე მძაფრად ქანაობდა, რომ ჩრდილები სახეს იცვლიდნენ, ტოკავდნენ, ხტოდნენ. ავდარი და უამინდობა მისთვის ახლა ისევე ხელისშემშლელი იყო, როგორც მგზავრისათვის მდინარეზე გადაუსვლელობა, მაგრამ ამ ბნელ ღამეში, როცა სატანა ბობოქრობდა და ქვეყანას წალეკვით ემუქრებოდა, აღარ უნდოდა იმაზე ფიქრი, რანაირი დღე გაუთენდებოდა ხვალ, ჩაეყრებოდა რამეს საძირკველი თუ ისევ გაჭიანურდებოდა საქმე.

ნახეტიალები ბერები იმდენად დაღლილები იყვნენ, რომ სასწრაფოდ წაიხემსეს და თავთავიანთ კუთხეში მიწვნენ. ჭექა-ქუხილმა ცოტათი იკლო, მაგრამ იმატა წვიმამ. ცა ისე ილვრებოდა წყლად, თითქოს უძირო იყო. სერაპიონი ერთხანს უხმოდ იჯდა ტაბლასთან, იმ ცეცხლის მინელებას უგდებდა ყურს, შიგნით რომ ენთო, შემდეგ წამოდგა, კარი გააღო, გარეთ გაიხედა და როცა უკუნის მეტი ვერაფერი დაინახა და წყლის ხმაურის მეტი ვერაფერი გაიგონა, სანთლები ჩააქრო, ხმელ თივაზე წამოწვა და მილულა თუ არა თვალები, იგრძნო როგორ გამოცალკევდა, გამოიკვეთა ტკივილი. სიბნელე და ტკივილი ერთ კვანძად ინასკვებოდა, ერთ წრედ იკვრებოდა და ისე დაგორავდა ტვინში, როგორც ზღარბი ხმელ ფოთლებში. დროდადრო ხმელი ფოთლების შრიალიც კი ესმოდა და როცა აზრი უწყდებოდა, ვერაფრით ვერ ხვდებო-

და, სად იკარგებოდა აზრის ის ნაწილი, ჩამოყალიბება რომ ვერ მოასწრო. აღარც მოჩვენებები ჰგავდნენ იმათ, მის გონებაში რომ იყვნენ აღბეჭდილნი, რადგან სხვაგვარად ეცვათ, სხვაგვარად დადიოდნენ, სხვაგვარად იბღვირებოდნენ, სხვაგვარად აკრაჭუნებდნენ კბილებს. კბილების კრაჭუნი ძილში ილარიონმა იცოდა, მაგრამ ის კაცი, ქვას რომ თლიდა, ილარიონი არ იყო, ილარიონს არც ისინი ჰგავდნენ, ხარაჩოებზე რომ იყვნენ ასული და ქვის კედლებს შორის დუღაბს ასხამდნენ. მათთვის კედელი მხოლოდ კედელი იყო და მეტი არაფერი, ვერ ამჩნევდნენ, რომ სუნთქვა და დაძაბვა კედელსაც შეუძლია, კედელიც ისევე მეტყველი და წმინდაა, როგორც ხატი, რომელიც ძველდება, მაგრამ არც ცვდება და არც უსახურდება. წვერგაჩეჩილმა, პირქუშმა, ხელებდაკორძილმა კირითხუროებმა არ იცოდნენ, მათი უხეში ხელები რომ მის სასიცოცხლო ძარღვს, მის ოცნებას ეხებოდნენ, არც იმაზე ჰქონდათ წარმოდგენა, ყოველ ზემოთ ატანილ ქვას, იგი რომ ლოცვა-კურთხევას ატანდა თან, რადგან ტაძრის კედელში დატანებული ყოველი ქვა მარტო ქვა კი არ იყო, არამედ, ერთი დიდი, უკვდავი ქმნილების ცოცხალი კუნთი, რომელიც ისეთივე ღვთისნიერი საგანია, როგორც საღმრთო წიგნი.

უეცრად სერაპიონს ისეთი ჭექა-ქუხილი, გრუხუნი და ნგრევა-მტვრევის ხმა მოესმა, რომ თვალები გაახილა და საწოლიდან წამოიწია. ბნელში ვერაფერს ხედავდა, მაგრამ მაინც ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სადღაც მახლობლად მიწა გასკდა და ყველაფერი თან ჩაიტანა. ერთხანს ისიც კი მოეჩვენა, თითქოს მათი ტალავარი ბორცვზე კი არ იდგა, არამედ უფსკრულის ფსკერზე. ეს არ იყო ცის გრუხუნი და ჭექა-ქუხილი, ასეთ შემზარავ ხმას მთაბარის ნგრევა გამოსცემს და ისიც მაშინ, როცა ბუნების წიაღში მნიშვნელოვანი ძვრები ხდება. ეს არც მიწისძვრა იყო, რადგან არაფერი შეტოკებულა, არაფერი შერხეულა, იმ გუგუნისათვისაც კი არ მოუკრავს ყური, მიწისძვრას რომ უძღვის წინ. მაგრამ რაღაც რომ მოხდა, რაღაც უჩვეულო და სასწაულებრივი, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. უნდოდა წამომდგარიყო, გარეთ გაეხედა, დარწმუნებულიყო, რომ ის მიწა-წყალი, მთავარმა რომ მონასტერს უბოძა, მიწამ არ ჩაყლაპა, წყალმა არ გადარეცხა, მეწყერმა არ წალეკა, ის მაინც გაეგო, რატომ გრძელდებოდა ეს ჯოჯოხეთური ხმაური ამდენ ხანს, მაგრამ გარეთ კოკისპირულად წვიმდა და ისეთი წყვდიადი იდგა, რომ ვერც გზას გაიგნებდა და ვერც ვერაფერს დაინახავდა. ამიტომ ამჯობინა განთიადს დალოდებოდა. დღის სინათლე იმას მაინც მოჰფენდა ნათელს, რაც ახლა გონებამიუწვდომელი და შიშის მომგვრელი იყო.

## თავი მეოთხე

როცა თვალი გაახილა, სერაპიონი ყველაზე მეტად იმან გააკვირვა, ტალავარის ერთადერთი ვიწრო სარკმელიდან ნათელი დღე რომ იჭყიტებოდა. მას გამთენიის ხანს ჩაეძინა და ახლა ყველაფერი, რაც წუხელი მოხდა, სიზმარი ეგონა. არა და ამ ჯოჯოხეთური ნგრევა-ლეწვის ხმა კიდევ ედგა ყურებში, ჯერ კიდევ ხედავდა, როგორ დრტვინავდა უფსკრულის ფსკერზე უკუნი. ასე ცხადად მას იშვიათად დასიზმრებია რამე და გონს რომ მოსულიყო, ახალი დღის დადგომა, ცის უშფოთველობა და ირგვლივ გამეფებული მყუდროების უსაფრთხოება რომ დაეჯერებინა, ჯერ ხატს შეავლო თვალი,

შემდეგ კი ირგვლივ მიმოიხედა. ბერები ამდგარიყვნენ, ტალავარიდან გაქრეფილიყვნენ. ეს პირველი შემთხვევა იყო, მას რომ სხვებმა დაასწრეს ადგომა. ასე გალახული, გონებაგაფანტული და გამოცარიელებული კარგა ხანია აღარ ყოფილა, არც წინათგრძნობა ჰქონია ასე დაჩლუნგებული. წარმოდგენა არ ჰქონდა, რას უქადდა დღევანდელი დღე — წყენას თუ სიხარულს, წარმატებას თუ მარცხს, ღვთისმოწყალებას თუ ღვთისწყრომას. შეიძლება გამოცარიელებული იმიტომ იყო, რომ ცუდად ეძინა, ძილში ბორგავდა, ისევ ესმოდა ანგელოზის ფრთების ტყლაშუნი, ისევ ეცხადებოდა ვიღაც, ვიხც რაღაცას ანიშნებდა, მაგრამ ეს ნიშნები მისთვის გაუგებარი იყო, რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ იმ სიტყვების აზრი მის შეგნებამდე არ აღწევდა. ის ვიღაც კი მიწიერი არსება რომ არ იყო, ამაზე ფრთებიც მეტყველებდნენ, გარემოც და მისთვის უცნობი ძალისხმევაც. შეიძლება ცის მეუფე ჯერ კიდევ არ თვლიდა მას იმის ღირსად, რომ ცხადად მოევლინებინა ვინმე, უფრო ნათლად ენიშნებინა, რას უწუნებდა და რას უწონებდა, რას ითხოვდა და რას არა, დაერწმუნებინა სიყვარულში, უცოდველობაში, თანადგომაში. შეიძლება წუხელი მართლაც მოხდა რაღაც ისეთი, რამაც აქაურობას სახე უცვალა და მან არაფერი არ იცის ამის შესახებ, შეიძლება მართლაც აკლია ალღო, ჭკუა და წინდახედულება იმისათვის, რომ ზეციურ მინიშნებათა მიხედვით დიდი მოვლენების არსი გაიგოს და უეცარ გარდატეხათა მნიშვნელობა დაინახოს. მაგრამ ისეთი შემთხვევებიც ხომ ყოფილა, როცა ყველაფერს სწორად მიმხვდარა და მოსალოდნელი შედეგებიც დროულად გაუთვალისწინებია. ამიტომაც არა აქვს მოდუნების, მომჩვარების, დაჩლუნგების უფლება. მისი რწმენა ისეთივე მტკიცე და ურყევი უნდა იყოს, როგორც ტაძრის ბურჯია.

სერაპიონს გარედან მამაკაცის ხმამაღალი ლაპარაკი და ვაი-ვიში მოესმა, მაგრამ ფეხზე მხოლოდ მაშინ წამოდგა, როცა მხრებში გულის ჯავრის გადამყრელი სიმძლავრე იგრძნო. გაუხდელად წამოწოლილს ტანსაცმლის დაკემსვის არც თავი ჰქონდა, არც დრო და ამიტომ გადაწყვიტა მეორე ხელი ტანსაცმელი გაეშინაურებინა. თუ საქმე სასიკეთოდ წარიმართებოდა, ანაფორის, ჩოხის, საცვლების და სხვა საჭირო ნივთების მომქსოვსა და შემკერავს აქაც იშოვიდა, თუ არა და მწირსა და ყარიბს ისიც ეყოფოდა, რაც ზედ ეცვა. თუ ხელი არ მოეცარებოდა, სამოსელის საცავიც ისევე დასჭირდებოდა, როგორც სატრაპეზო, ბეღელი, სალარო, წიგნსაცავი და სხვა. ყველაფერი ეს ასაშენებელი, შესამკობი, მოსაწყობია, — ფიქრობდა სერაპიონი და ისევე სწრაფად ფხიზლდებოდა, როგორც იცვამდა.

ბერები გარბანელს, გოშნას, ორ უცნობ, ტალახში ამოგანგლულ, სახედაშავებულ მამაკაცს შემოხვეოდნენ და მათ ხმამაღალ ლაპარაკსა და ვაივიშს გაკვირვებულნი უცქეროდნენ. ყველაზე მეტს გოშნა ლაპარაკობდა, კი არ ლაპარაკობდა, ოხრავდა, ხვნეშოდა, სიტყვებს უწესრიგოდ ისროდა და ხელებს იქნევდა. იგი იმდენად შეძრული და შეძრწუნებული იყო, ისე იშვერდა ხელს დასავლეთისაკენ, რომ სერაპიონი მიხვდა, წუხელი მართლაც მოხდა რაღაც უჩვეულო და სასწაულებრივი და, რადგან ღმერთმა სასწაული მოახდინა, ეს სასწაული მას ურწმუნოთა დასარწმუნებლად უნდა გამოეყენებინა.

— რა მოხდა, საყვარელო ძმაო ჩემო, რამ შეგაძრწუნათ თქვენც და ეს ხალხიც? — მიმართა სერაპიონმა გარბანელს, რადგან მისგან უფრო სარწმუნო და დამაჯერებელ პასუხს მოელოდა.

— სასწაული, მამაო, ნამდვილი სასწაული, ჩვენ ზარითა და შიშით ვართ შეპყრობილი და ამიერიდან ამ ადგილს ზარზმა უნდა ეწოდოს.

სერაპიონს ეს აზრი ჭკუაში დაუჯდა.

ზარზმა მართლაც დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა იმათზე, ვისაც მათი არ სჯეროდა.

— პირადად შეესწარი სასწაულს, შვილო ჩემო?

— არა, მამაო, პირადად მე არ შევსწრებივარ, მაგრამ, აი, ესენი შეესწრნენ, — უპასუხა გარბანელმა და იმ ორ ტალახში ამოგანგლულ მამაკაცზე მიუთითა, შემცბარი და გაოგნებული რომ იდგნენ.

— მაინც რა მოხდა?

— თქვენ რომ წამოხვედით, მე და გოშნამ სახელდახელოდ ვივახშმეთ, ღმერთი ვადიდეთ და დასაძინებლად ნაადრევად დავწექით. შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა გავიგონეთ არაამქვეყნიური, ჯოჯოხეთური გრგვინვა და ნგრევა-ლეწვის ხმა. შიშისაგან ფეხზე წამოვცვივდით, მაგრამ გარეთ ისე წვიმდა და ისეთი უკუნი იდგა, რომ შინიდან გასვლა ვერ გავბედეთ, როცა ინათა, ტანთ ჩავიცვით და თქვენთან წამოსასვლელად მოვემზადეთ. სწორედ ამ დროს მოგვადგა კარზე ეს ორი კაცი. ამათ მე ვიცნობ და ჩემთან იმიტომ ამოირბინეს, რომ განსწავლულ კაცად მთვლიან. ტალახში ამოგანგლულნი, სახედაშავებულნი, შიშისაგან გაოგნებულნი ისე ყვიროდნენ და ძოთქვამდნენ, რომ თავიდან ვერაფერი გავიგე. მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, რაც მომხდარა და რა იყო იმ ჯოჯოხეთური ხმაურის მიზეზი. თახვის ტბას კლდე ძირამდე გაუნგრევია, ეს ამოდენა წყალი დალმართში დაშვებულა, ხეობა წაულეკია და ტბის კალაპოტი ისე დაცლილა წყლისაგან, როგორც წვირიანი გუბე.

სერაპიონი ისე გააკვირვა ამ ამბავმა, რომ პირჯვარი გადაიწერა და შიშნეულად ჩაილაპარაკა: „დაილოცოს შენი სახელი, ღმერთო!“ ტბის მიწის პირისაგან აღგვა მართლაც სასწაული იყო და მას ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ამ საქმეში უფლის ხელი ერია. თახვის ტბა სიბილწესა და სიმყრალეს ანთხევდა, მღვრიე და მოწამლული, გარემოსაც წამლავდა, ბოროტსა და ეშმაკეულს იზიდავდა და მისი სიახლოვე მომავალში მონასტერსაც მოსცხებდა ჩირქს. ახლა კი მისი ნასახიც აღარ იყო ქვეყანაზე და ტბის გაქრობის სასწაულებრივი ამბავი ელვის სისწრაფით მოედებოდა მთელ ამ მხარეს, ხალხს შეზარავდა, შეაძრწუნებდა, ყველა ირწმუნებდა თუ მის ძალას არა, ღვთის ყოვლისშემძლეობას მაინც და თითოეული ეცდებოდა საკუთარი თვალით ენახა სასწაული, დაეკმაყოფილებინა გაღვიძებული ცნობისმოყვარეობა. ამიტომ არც მათ მოერიდებოდნენ, არც მთავარს, არც უგზოობას და აქაურობას ისე მოაწყდებოდნენ, როგორც არნახულ, არგაგონილ სანახაობას. დაიწყებდნენ თავის ქნევას, ვიშვიშს, სასწაულის განდიდებას და მონასტრის ამ ადგილას აშენებას ღვთის სასურველ საქმედ მიიჩნევდნენ.

სერაპიონი გრძნობდა როგორ უბრუნდებოდა ძალა, როგორ უნათდებოდა გონება, როგორ ემატებოდა სიმხნევე და სიფიცხე. ახალამოსული მზე დედამიწას ეფერებოდა, აფერადებდა, ამრავალფეროვნებდა. ამოივსო ის უფსკრული, ძირი რომ არ უჩანდა და ყველაფერს შთანთქმით ემუქრებოდა. დაცხრნენ ჯოჯოხეთის მოციქულნიც, ვეღარ არყევდნენ, ვეღარ აზანზარებდნენ დედამიწას. დღის გარძისფერებულ სითეთრში ცხადად იკვეთებოდა აფსიდები, შვერილები, ბურჯები, თაღები და გუმბათი, მონასტრის გალავანი და კარიბჭე და მათი უჩინარი ჩრდილები ისე იწელებოდნენ მიწის ზედაპირზე, თითქოს მართლაც ჩრდილები იყვნენ და არა მისი წარმოდგენის ნაყოფი.

სერაპიონი მხოლოდ მაშინ დაუბრუნდა სინამდვილეს, როცა მისი აზრი შორს გაიჭრა და ისეთ ბგერად იქცა, არავის რომ არ ესმის, მაგრამ მაინც ხმაურობს.

— ესენი რატომ არიან ასე შეძრწუნებული, გალახული და გაუბედურებულნი? — ჰკითხა სერაპიონმა გარბანელს და მესხებზე მიუთითა.

— სასწაულს უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია, მამაო. ესენი და კიდევ რამდენიმე კაცი წუხელ წისქვილში დარჩენილან და იქვე დაუძინიათ. მოვარდნილ წყალს წისქვილი ნაფოტივით აუტაცნია, დაუშლია, დაურღვევია და აშათთან ერთად ჩაუტანია ხეობაში. ესენი დიდი ვაივაგლახით, სასწაულით გადარჩენილან, სამი კაცი კი წყალს დაუხრჩვია და მათი ცხედრები მხოლოდ აძ დილით იპოვეს გავაკებულზე.

ამ ამბავმა სერაპიონი დაალონა. ჯერ კიდევ ვერ მოასწრო იმ სიხარულის ბოლომდე გათავისება, ასე მოულოდნელად რომ ეწვია და ისევ მოეშხამა გუნება. მართალია მესხების დაღუპვაში მას ბრალი არ მიუძღოდა, დედამიწის უამრავ ხვრელსა და ბზარს. იგი რომ ვერ ამოქოლავდა, მაგრამ სადღაც სულის სიღრმეში მაინც დამნაშავედ გრძნობდა თავს იმ სიტყვებისათვის, განრისხების ჟამს რომ წამოსცდა. განთიადს არ უნდა მოჰყოლოდა დღის სინათლისა და სიცხადის დაკნინება, მის გულისწყრომას კი მსხვერპლი. მსხვერპლი, თუ ამას მსხვერპლი ერქვა, ჯერ ნაადრევი იყო, ჯერ არაფერს შეუსხამს ხორცი, არაფერი აგებულა და ამეტყველებულა ისეთი, მსხვერპლის გაღება რომ გაემართლებინა. არა და მას რომ არ დაეკავშირებინა ტბის გაქრობა და მესხების დაღუპვა მათ აქ ჩამოსვლასა და მომავალი მონასტრის მშენებლობასთან, სხვები დააკავშირებდნენ. მოკვდებოდნენ და ამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ და გამიჯნულ მოვლენებს ერთ ამბად შეკრავდნენ, სასწაულს გაუთანასწორებდნენ და თვითონაც დაიჯერებდნენ და სხვებსაც დააჯერებდნენ. ამის ნიშნები უკვე ისახებოდა იმათ თხრობაში, ვინც თავად იყო მთელი აძ საშინელების მოწმე და იმათ ნაამბობში, ვინც ყველაფერი ეს მოისმინა.

— კიდევ რა უბედურება მოხდა, შვილო ჩემო? — ჰკითხა სერაპიონმა გარბანელს და იმ მხარეს გაიხედა, საითაც ყოფილი ტბა ეგულებოდა.

— სავალალო სხვა არაფერი მომხდარა, მამაო, მაგრამ აქაურებს უწისქვილობა ერთხანს გაუჭირდებათ.

— მე ძალიან ვწუხვარ — [illegible] — და ქრისტესმიერო ძმებო ჩემო, რომ ღმერთმა ასეთი რისხვა დაატეხა თავს იმათ, ვინც სულს მტრობდა, ზნეობას განუდგა და პირუტყვად იქცა, მაგრამ როცა ადამიანი ბიწიერების მორევში ეფლობა და იმის სურვილიც კი არ აქვს, რომ ამ მორევს თავი დააღწიოს, სულიერად განიწმინდოს და ჭეშმარიტებას ეზიაროს, ასეთი კაცის ამქვეყნად ბოგინი კიდევ უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე ღვთის სამსჯავროს წინაშე წარსდგომა. ღმერთი ყოვლადმოწყალე და ყოვლადკეთილია და ჩვენ, მისი უღირსი შვილები ვილოცებთ იმისათვის, რომ შეუნდოს გამჩენმა მათ ცოდვა და განუსჯელობა.

სერაპიონნს უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაც, მაგრამ მიხვდა, რომ ეს მისი სიტყვები არ იყო და რაც უფრო მეტად გამოიდებდა თავს, მით უფრო გაუჭირდებოდა მეხსიერებიდან იმის ამოფხვრა, რაც მისი არ იყო და მისად უნდა მიეჩნია. გარდა ამისა, გუშინს აქეთ რაღაც უკვე დაიძრა ადგილიდან, ვიღაც-ვიღაცეებთან კავშირი და ურთიერთობა დაამყარა, მას ნდობითა და მოკრძალებით უსმენენ და ახლა შეცდომის დაშვება, ყალბი კილო, არაგულწრფელი სიტყვები სწორედ იმას გამოუთხრიდა ძირს, რაც გასაფრთხილებელი და გასამტკიცებელი იყო.

— წმიდა მამაო, ნება მომეცით ჩემს პატრონნს ვეახლო და მოვახსენო ყველაფერი, რაც აქ მოხდა, — მოესმა ამ დროს სერაპიონნს გოშნას ხმა. ყმაწვილი ისე იყო აღგზნებული და აცეტებული, რომ მისი დაკავება ცოდვა იქნებოდა.

— წადი, შვილო, მომიკითხე მთავარი და ჩემი ლოცვა-კურთხევა გადაეცი.

გოშნა ისე გაქრა ხელსა და თვალს შუა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. სერაპიონი დარწმუნებული იყო, რომ მთავარი თუ შუაღლემდე არა, შუადღის

შემდეგ მაინც ამოაკითხავდა. დღეს ბევრი რამ უნდა გადაწყვეტილიყო ისეთი, რაც აქამდე ადგილიდან არ იძროდა, დღეიდან იგი ამ კუთხის მქვიდრი, ამ ხალხის სულიერი მამა, აქაური მრევლის მწყემსი ხდებოდა და ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც ეს ღირსეულ მწყემსს ეკადრება. ღმერთმა მას იმიტომ კი არ ჩაუდო ხელში ძლიერი იარაღი, რომ დაებლაგვებინა და კუთხეში მიეგდო, არამედ აელესა და საქმეში გამოეყენებინა. სწორედ ასეთი იარაღი იყო ის სასწაული, წუხელ რომ მოხდა.

— საყვარელო მამანო, შვილო გაბრიელ, ამ გალახულ, შეშინებულ და გაუბედურებულ ხალხს მოვლა-პატრონობა, წამლობა და დაპურება სჭირდება, შევიდეთ ეგვტერში და მივხედოთ ბერავთ, — მიმართა სერაპიონმა ყველას, რადგან იცოდა, იმ დილით ლუკმა არ ჩაუდვია არც ერთს პირში. ხანგრძლივმა მარხვამ და ტყე-ღრეში ხეტიალმა ბერები ისე დაასუსტა, მოჩვენებებივით დალასლასებდნენ და მართლა დაყუდებულებს ჰგავდნენ. აღდგომამდე ჯერ კიდევ ათი დღე იყო დარჩენილი და ეს ათი დღე მარტო ლოცვა-ვედრებაში კი არ უნდა გაეტარებინათ, არამედ საქმესაც წასდგომოდნენ შეძლებისდაგვარად. აღდგომას კი აქ ისევე გადაიხდიდნენ, როგორც ბრწყინვალე დღესასწაულს შეეფერება.

— მომიტევეთ, მამაო, მაგრამ ორი სათხოვარი მაქვს და სანამ ამ ორი ძმისა და ჩემს სათხოვარს არ მოგახსენებთ, ფეხს ვერ მოვიცვლით ადგილიდან, — უთხრა სერაპიონს გაბრიელ გარბანელმა და გალახულ მესხებს ამოუდგა გვერდით.

— ბრძანე, შვილო, ღმერთი ყველა სათხოვარის ყურადმღები და შემწყნარებელია.

ძმები შეიშმუშნენ, გამოცოცხლდნენ, თვალებში იმედის ნაპერწკალი ჩაუდგათ. ისინი დაუბანელ-დაუვარცხნელი, ჩაუცმელ-დაუხურავი, გაუთლელ-გაურანდავი იყვნენ, თორემ შეიძლება ასაკით ერთ-ერთი მათგანი იოანეზე უფროსი არც კი ყოფილიყო.

— ესენი ვერ გიბედავენ, მამაო, ამიტომ ჯერ ამათ თხოვნას მოგახსენებთ, — დაიწყო გარბანელმა და თავი მესხებისაკენ გადააქნია. — წუხელ, როცა ქვეყანა იქცეოდა და ღმერთმა ესენი მომაკვდინებელი საფრთხისაგან იხსნა, ირწმუნეს, მამაო, მთელი გულით ირწმუნეს და თუ თქვენი ნებაც იქნება, გადაწყვეტილი აქვთ ბერად აღიკვეცონ, თქვენი წინამძღვრობით იმოღვაწეონ და სიკვდილამდე ემსახურონ გამჩენსა და მონასტერს.

ამგვარმა თხოვნამ არა ნაკლებ გააკვირვა და გაახარა სერაპიონი, ვიდრე ტბის გაქრობამ. უკულმა შეტრიალებული ქვეყანა წალმა ბრუნდებოდა. იმათ სულში, ვისაც სულის არსებობაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რწმენა იკიდებდა ფეხს, ისინი, ვისთვისაც იგი უცხო და უცხვირპირო იყო, ახლა მის კალთას ეფარებოდნენ. იგი უკვე იძენდა ძალასა და ხელისუფლებას, მესხები ისე იდგნენ მის წინ, თითქოს განაჩენის გამოტანას ელოდებიანო და ეს ძალა და ხელისუფლება მისგან არა მარტო ჭკუასა და ყოველი სიტყვის, ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯის აწონდაწონასა და გათვალისწინებას მოითხოვდა. არამედ რაღაც ისეთსაც, რაც მას ცას აშორებდა და მიწაზე აბამდა და ასე გაგრძელდებოდა მანამდე, სანამ არ აშენდებოდა ტაძარი და მისი სიდიადე ნათელს არ მოჰფენდა ყველაფერს.

— ღმერთი არასოდეს არ ტოვებს იმას, ვინც მას ირწმუნებს და შეუდგება, არც თქვენ მოგაკლდებათ ღვთის მადლი და კურთხევა. ბერად აღკვეცის უფლება ყველას აქვს, ვინც ჭეშმარიტების გზას დაადგება. ამიტომ როგორც კი ამის შესაძლებლობა მოგვეცემა, ჩვენ ვალს სინდისიერად აღვასრულებთ. მანამდე კი დარჩით ჩვენთან და შეუდექით ღვთის სამსახურს, — მიმართა სერაპიონმა მესხებს, შემდეგ კი გარბანელს მიუბრუნდა, — შენ რაღა გაქვს

სათხოვნელი, საყვარელო შვილო ჩემო?

—ჩემი თხოვნაც იმის მსგავსია, მამაო, რაც ამათ გთხოვეს. მინდა თქვენთან დავრჩე, ღვთის სამსახურს შევუდგე და ჩემი ცოდნა, გამოცდილება და ძალ-ღონე მონასტრის მშენებლობის დიდებულ საქმეს მოვახმარო.

— შვილო გაბრიელ, აქაურები განსწავლულ კაცად გთვლიან და მეც იმთავითვე პატივისცემით გავიმსჭვალე შენდამი. მინდა ვიცოდე, რა იცი, რაში ხარ დახელოვნებული და დაოსტატებული? — ჰკითხა სერაპიონმა გარბანელს.

— მე რკინის გამოდნობაც მეხერხება, ჭედვაც, ქვის გათლაც, ხის გარანდვაც და დუღაბის შეზავებაც, მამაო, მაგრამ ყველაზე მეტი დრო მაინც ხუროთმოძღვრებას შევალიე. საქართველოში რამდენიმე ბაზილიკა, ციხე-დარბაზი და ხიდი მაქვს აშენებული.

— ტაძარი თუ აგიგია როდესმე, შვილო.

— არა, მამაო, ტაძარი არ ამიგია და ვფიქრობ, ტაძრის აგება ჩემს ცოდნასა და ძალ-ღონეს აღემატება.

— გუმბათიანი ეკლესია?

— არც გუმბათიანი ეკლესია.

— სად ისწავლე ხუროთმოძღვრება, შვილო?

— ბიზანტიასა და რომში არ ვყოფილვარ, მამაო, რაც ვიცი, აქ საქართველოში ვისწავლე.

— კელიონებისა და მონასტრის სათავსოების აშენება ხომ შეგიძლია, შვილო?

— მერწმუნეთ, ამ საქმეში თავს არ შევირცხვენ, მამაო...

— ჰოდა, ჩვენც ამით დავიწყებთ. დარჩი ჩვენთან, შვილო ჩემო, და კურთხეულ იყავ აწ და მარადის. ახლა კი შევიდეთ ეგვტერში, ვილოცოთ და ცოტა წავიხემსოთ.

— არა, მამაო, თქვენ ილოცეთ და წაიხემსეთ, მე კი ამათ წავასხამ, მოვუვლი, მოვასულიერებ, ადამიანებს დავამსგავსებ, ცოტას შინაც მიმოვიხედავ და ხვალ დილიდან ღვთისა და თქვენს სამსახურს შევუდგები.

სერაპიონს აღარც ფიქრი უნდოდა, არც უკან მოხედვა და არც იმ ამბების აფორიაქება, წინა დღეს რომ გადახდა თავს. მზე ძალას იკრებდა, გრილი ნიავი ნორჩ ფოთლებს აშრიალებდა, ფრინველები ისე გალობდნენ, ისე ჭიკჭიკებდნენ, თითქოს სინათლე მათ გამოიხმეს ამქვეყნად და სერაპიონს არავითარი სურვილი არ ჰქონდა მოვლენები დაეჩქარებინა, მთავართან შეხვედრამდე გადაეწყვიტა ისეთი საკითხები, ფიქრსა და განსჯას რომ მოითხოვდნენ. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რა მოხდებოდა საღამომდე, ვინ ამოაკითხავდა აქ, რა ხალხი მოიყრიდა თავს მის ირგვლივ, ვის შეეწყობოდა და ვის შეედავებოდა, ვინ შეეკედლებოდა და ვინ განუდგებოდა, ვის დაწყევლიდა და ვის დალოცავდა. ამიტომაც არჩია გადაუჭრელ, ძნელად მოსაგვარებელ საქმეებში ბრმად ჩაყურყუმალავებას მცირე ხნით სულის მოთქმა და მოსვენება.

— შიში უფლისა წმიდა არს და ჰგიეს იგი უკუნითი უკუნისამდე, — დამოძღვრა სერაპიონმა წასასვლელად გამზადებული თანამდგომნი და ეგვტერს მიაშურა.

როცა პურის ჭამა მოათავეს და სუფრიდან წამოიშალნენ, გარედან ცხენების ფეხის ხმა მოისმა. ცხენით აქ მხოლოდ მთავარი ამოდიოდა და სერაპიონი მიხვდა, რომ გიორგი ჩორჩანელი სადღაც მახლობლად იდგა, თორემ გოშნა ასე მალე ვერც ჩორჩანამდე მიაღწევდა და ვერც ზანავამდე. ეტყობა მთავარი მართლაც დაინტერესებული იყო მონასტრის მშენებლობით, მის სამთავროში მწიგნობრობისა და რწმენის, ზიარებისა და ლოცვა-კურთხევის გავრცელებით, წმიდა სულისა და წმიდა მამების დამკვიდრებით, რასაც იქნებ იგიც გაეწმინდა ცოდვებისა და ბიწიერებისაგან, მიენიჭებინა იმის უნარი, რომ საბოლოოდ გარკვეულიყო ავსა და

კარგში, განესხვავებინა ერთმანეთისაგან ჭეშმარიტი სიკეთე და ჭეშმარიტი ბოროტება, ერთხელ და სამუდამოდ მოეპოვებინა სულის სიმშვიდე და ურყევი რწმენა და ბოლოს, როცა მამაზეციერის წინაშე წარსდგებოდა, იქნებ მასაც დაემკვიდრებინა ადგილი ცაში. იგი უკვე იმ ასაკში იყო, როცა კაცს ზეცის იმედი უფრო აქვს, ვიდრე საკუთარი თავის, ამიტომ რაღაც უნდა ეღონა, ისეთი გადაწყვეტილება მიეღო, ღმერთს და მარადისობას რომ ეკადრება, მაგრამ მას ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად არც ძალა ყოფნიდა, არც სულისხმევა და არც სიმხნევე და თუ ღვთის წყალობას ვერ ეღირსებოდა, თუ მისი ღვაწლი ნაყოფს არ გამოიღებდა, იმის იმედს მაინც იტოვებდა, რომ მონასტრის ეზოში დამარხულიყო.

ბერები გარეთ გაიკრიფნენ, ეგვტერის წინ ჩამწკრივდნენ და მთავარსა და მის მხლებლებს მოწიწებით დაუკრეს თავი. გიორგი ჩორჩანელი ამჯერად ჩაცმულიც უკეთ იყო და აღჭურვილიც, თანაც იმდენი მხედარი, ქვეითი და ეკლესიის მსახური ახლდა თან, რომ მის უფლებამოსილებაში და თვითმპყრობელობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო. სერაპიონს მხოლოდ ერთი რამ აკვირვებდა, რისთვის ამოიყვანა მთავარმა ამდენი ხალხი აქ, რა უნდა ეჩვენებინა ან დაემტკიცებინა მათთვის ისეთი, უჩვეულო და უმაგალითო რომ ყოფილიყო. ნაძვები მშვიდად ირხეოდნენ მზეზე, მათ გარდა ირგვლივ კაციშვილი არ ჩანდა, მხოლოდ მდინარის ხმაური ისმოდა მარჯვნიდან. ყველაფერი ეს კი მათთვის ისეთივე ჩვეულებრივი და ნაცნობი იყო, როგორც საკუთარი კარმიდამო, ანდა სანადიროდ შერჩეული სანახები. მაგრამ ისინი რომ რაღაცით შეცბუნებულნი და გაკვირვებულნი იყვნენ, ეს ამბავი სერაპიონს მხედველობიდან არ გამოპარვია. მათი შეცბუნება კი მხოლოდ სასწაულს ან ისეთ მოვლენას შეეძლო, ღვთის ნიშანი რომ ატყვია ცხადად.

სერაპიონს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს კარზე მომდგარი ხალხი მისგან რაღაცას მოითხოვდა, თითქოს ისინი თავის ნებით კი არ ამოვიდნენ აქ, არამედ მან ამოიყვანა და ამისათვის რაღაც უნდა გაიღოს, რაღაც უნდა აჩვენოს მათ ისეთი, აქამდე რომ არ უნახავთ, მაგრამ სანამ იგი ჯვარს აღმართავდა და კარზე მომდგარ ხალხს პირჯვარს გადასწერდა, მთავარი ცხენიდან ჩამოხტა, მასთან მიიჭრა, ჯვარს ემთხვია და როგორც კი ჯვარს ტუჩები მოაშორა ჯიქურად მოსთხოვა სერაპიონს:

— ხატთან მიმიყვანეთ, მამაო!

— მობრძანდით, მთავარო.

სერაპიონი მთავარს ეგვტერში შეუძღვა და ფერისცვალების ცხოველ ხატთან მიიყვანა. ხატი ოდნავ შემჭვარტლულიყო, ცოტათი მოძველებულიყო კიდეც, მაგრამ სწორედ ეს სიძველე ანიჭებდა მას ტანჯვით გამსჭვალულ, განუმეორებელ სინატიფეს და ისეთ სახიერებას, ღვთიურსა და კაცურს რომ აერთიანებს. მთავარს ამჯერად სწორედ ეს მოხვდა თვალში. მცირე ხანს ისე უყურებდა პატიოსანი თვლებით მოჭედილ ხატს, თითქოს თავის ნებით ჩამობრძანდა ზეციდან, შემდეგ მის წინ მუხლი მოიყარა და გულმხურვალედ შეუდგა ლოცვას.

მთავრისათვის რომ ხელი არ შეეშალა, სერაპიონი მოშორებით გაჩერდა, ხელები გულზე დაიკრიფა და ისე გაირინდა, როგორც უხორცო აჩრდილი. მხოლოდ თვალები ცხადყოფდნენ, რომ გამალებით ფიქრობდა და მისი ფიქრები მიწიერ ამბებს უფრო უტრიალებდა, ვიდრე ზეციურს. მთავარი რომ რაღაცით შეშფოთებული და აფორიაქებული იყო, მის ლოცვაშიც იგრძნობოდა, მაგრამ სერაპიონს მთავრის შეშფოთება იმდენად არ აინტერესებდა, რამდენადაც იმის გაგება, თუ რა ედო მთავარს გულში, რამდენად შეუმსუბუქებდა იმ ტვირთს. გამჩენმა რომ დააკისრა, რამდენად შეელეოდა დრასა და თავისუფლებას. ეს კაცი მას სჭირდებოდა და რაც შეიძლება სწრაფად უნ-

და მოემხრო, მოეთოკა, საკუთარი ნების აღმსრულებელ იარაღად ექცია. დიდი საქმე დიდ გარდაქმნებს, დიდ ხარჯს, დიდ მსხვერპლს მოითხოვს ყოველთვის და დიდ ხარჯსა და მსხვერპლს მთავარი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიღებდა, თუ დარწმუნდებოდა, რომ ღვთის რჩეულთა შორის თვითონაცაა. ეს აზრი კი მას უნდა შთაეგონებინა მთავრისათვის, მას უნდა გამოეჭედა ის თვალით უხილავი ბორკილი, რომლის გაწყვეტას გიორგი ჩორჩანელი სიკვდილამდე ველარ შეძლებდა. ამისთვის კი საჭირო იყო საქმის დაწყება, ისეთი დიდი საქმისა, მთელი ამ მხარის მოსახლეობის ყურადღებას რომ მიიქცევდა. მონასტრის მშენებლობა მარტო მშენებლობა კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ იმედიც და სულიერი მოთხოვნილებაც. მხოლოდ ამის შემდეგ გამოიღებდნენ ხელს მთავარიც და მისი ქვეშევრდომნიც, მხოლოდ ამის შემდეგ ამოძრავდებოდა მიძინებული სული და დაჩქარდებოდა მათი მორჯულება და გაადამიანება.

მთავარმა ლოცვა დაასრულა, ფეხზე წამოდგა და იმის მაგივრად, რომ გარეთ გასულიყო, ტაბლასთან მივიდა და ნამორზე ჩამოჯდა. ლოცვამ გიორგი ჩორჩანელი დააცხრო, დაამშვიდა, საკუთარი თავის რწმენა და საღად აზროვნების უნარი დაუბრუნა. ის ნიღაბი, მცირე ხნით რომ გვერდზე მოექცა, ისევ მოირგო. მხოლოდ თვალებში ედგა ჯერ კიდევ იჭვნეული ფიქრის ნარჩენები და სერაპიონი მიხვდა, რომ მთავარს მასთან საუბარი სურდა.

— ის, რაც თქვენ იწინასწარმეტყველეთ და რაც ჩემი თვალით ვნახე, ისეთივე სასწაულია, როგორც ზღვის კვერთხით გაპობა, მამაო. ნუთუ თქვენ მართლაც შეგწევთ უნარი ამგვარი სასწაულების მოხდენისა? — ჰკითხა მთავარმა სერაპიონს და წინ გადახრილმა ნამორზე ჩამოჯდარ სერაპიონს ქვემოდან ახედა.

— რა გაქვთ მხედველობაში, მთავარო?

— ტბის გაქრობა.

— ჩვენი ეკლესია რომ სასწაულმოქმედია, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მთავარო, მაგრამ ტბის გაქრობას სასწაულთან არავითარი კავშირი არა აქვს.

— არც იმ სიტყვებთან, თქვენ რომ ჩემთან საუბარში წამოგცდათ?

— არც იმ სიტყვებთან.

— არც ამ ხატთან?

— არც ამ ხატთან.

— აბა, რა მოხდა, მამაო. ეს ტბა აქ უხსოვარი დროიდან არსებობდა და რალა მაინცდამაინც თქვენს აქ ამობრძანებას დაემთხვა იმ ცოდვის ბუდის პირისაგან მიწისა აღგვა?

— სულ უბრალოდ, მთავარო. ტბა იმ მხრიდან, საიდანაც დაიცალა, ზვავით იყო ჩახერგილი და წუხელი მოვარდნილმა ღვარცოფმა ეს ბუნებრივი ჯებირი ერთიანად გადარეცხა.

— არ ვიცი, მამაო. შეიძლება ეს მართლაც ასე მოხდა, მაგრამ ამას აქაურები არც თქვენ დაგიჯერებენ და არც მე. სასწაულის ამბავი უკვე თითქმის მთელ მესხეთს მოედო. ასეც რომ არ იყოს, იმ საქმისათვის, რომლის წამოწყებასაც ჩვენ ვაპირებთ, უმჯობესია ეს ამბავი სასწაულს მიეწეროს, ვიდრე შემთხვევითობას.

მთავარმა ის თქვა, რაც თავისთავად იგულისხმებოდა. ახლა იმათი გადაჯერება, ვინც სასწაული იწამა და დაიჯერა, ბევრად უფრო ძნელი იყო, ვიდრე მონასტრის აშენება. პირადად სერაპიონს ამაში ბრალი არ მიუძღოდა, ხმა სხვებმა დაარხიეს და ახლა იგი ვერაფერს გახდებოდა, მაგრამ ყველაფერი ეს რომ უმნიშვნელო და უსარგებლო იყო, სერაპიონი მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა წარმოიდგინა, თუ რამდენი რამ ელოდებოდა წინ ისეთი, რის წინაშეც უძლური და ხელუწიფარი აღმოჩნდებოდა, რამდენი დრო დასჭირდებოდა აქაურობის გაწმენდას უწმინდურობისა და უკეთურობისაგან. ის, რაც მოხდა, მასა და აქაურებს არც აახლოებდა და არც თანამოაზრეებად

ხდიდა. ეს მხოლოდ ხმამაღალი გამოძახილი, შეძრწუნებული მგლების პირუტყვული ყმუილი იყო და არა ბნელი გამოქვაბულიდან გამოსული კაცის სიხარული, რომელმაც შეიგნო, რომ სამუდამოდ დააღწია თავი სიბნელეს და აწი აღარც წამების ეშინია და აღარც ტკივილის. აქამდე ჯერ არც ის კაცი იყო მისული, მის წინ რომ იჯდა, ჯერ არც მის სულს მიაჩნდა საკუთარი ხორცი საპყრობილედ. ამიტომაც უყურებდა ყველაფერს ისე, თითქოს ის, რაც არ ჩანდა, არც არსებობდა.

— როგორ გგონიათ, მამაო, — ჰკითხა სერაპიონს ჩორჩანელმა, რომელმაც ისე ჩამოისვა ხელი ლაწვზე, თითქოს ნაჭრილობევმა რაღაცა გაახსენაო, — რამდენი ხანი დასჭირდება მონასტრის აშენებას?

— ალბათ მთელი სიცოცხლე, მთავარო.

— ვისი სიცოცხლე, თქვენი თუ ჩემი? თქვენ ბევრად ჩემზე ახალგაზრდა ხართ, მამაო.

— ისეთი საქმის აღსრულებას, მე რომ დამაკისრეს, ხშირად ერთი კაცის სიცოცხლე არც ყოფნის მთავარო.

— და ეს სიცოცხლე, ღმერთმა ერთხელ რომ მოგანიჭათ, ამ საქმეს გინდათ შეალიოთ?

— ეს წინასწარ იყო განპირობებული, მთავარო.

— ვის მიერ?

— ღმერთისა და პარეხის მონასტრის წინამძღვრის, ნეტარი მიქაელის მიერ.

— თქვენ ერთხელ თქვით, მამაო, ნეტარ მიქაელს ანგელოზი გამოეცხადა და მან აუწყა ღვთის ნება სამცხეში მონასტრის აშენების შესახებო, როცა აქეთ გამოგგზავნათ, ნუთუ ნეტარ მიქაელს ჩემზე სიტყვა არ დასცდენია?

— როგორ არა.

— მაინც რა გითხრათ?

— გიორგი ჩორჩანელი არა მარტო ღვთისმოსავი, ღვთის რჩეული კაციცაა და ყველაფერში მისი იმედი გქონდესო.

— რით არის ღვთის რჩეულიო?

— ღვთის რჩეული რომ არ იყოს, უფალი მის სამთავროში მონასტრის აშენებას არ მოიწადინებდაო.

— იდიდოს შენი სახელი, ღმერთო, — წამოიძახა გრძნობამორეულმა გიორგი ჩორჩანელმა და პირჯვარი გადაიწერა.

სერაპიონმა თვალი გააყოლა სინათლის ზოლს, ვიწრო სარკმლიდან რომ იჭრებოდა ეგვტერში და იგრძნო თუ რა მტკიცეა მისი რწმენა, რა უტეხი მისი ნებისყოფა. ახლა ეჭვი აღარ ეპარებოდა, დღეს თუ ხვალ მშენებლობა დაიწყებოდა და ამ უდაბნოში ახმიანდებოდა რკინის იარაღები, დახვავდებოდა ქვა, კირი და ღორღი, გაითლებოდა და გაირანდებოდა ფიჭვის მორები, აბოლდებოდა სამჭედლო, აიზილებოდა ტალახი, აფხვიერდებოდა მიწა და აღარც მტვერს მოერიდებოდა ვინმე და აღარც კირითხუროებისა და ქვისმთლელების უწმაწურ ლანძღვა-გინებასა და უხეშ ხუმრობას. ყველაფერი წარიმართებოდა გეგმაზომიერად, ყოველი კუთხე, ყოველი სიბრტყე, ყოველი მრუდი ხაზი თავის განუმეორებელ სახეს შეიძენდა, ერთ მთლიან ნაგებობად შეიკვრებოდა და რამე რომ არ დასახიჩრებულიყო, გადახრილიყო, დაბრეცილიყო, იგი იძულებული იქნებოდა გულდასმით შეესწავლა ნახაზები, ყოველდღე დაკვირვებოდა ტაძრისა და სხვა ნაგებობების თვალსაჩინოებისათვის დამზადებულ ასლებს, ეგრძნო და ეცნო გათვლილის სისწორე, გაანგარიშებულის უტყუარობა, ნაოსტატარის სინატიფე, იმ კვანძების სიმტკიცე, სივრცის ძლევის უნარი რომ შესწევთ, იმ სწორი და მრუდე ხაზების შეჭიდულობა, საუკუნეების მანძილზე რომ არ ილლება და მანამდე ღაღადებს, გალობს და ლოცულობს, სანამ კაცს პირში სული უდგია და საკუთარი თავი ღვთის ხატად მიაჩნია.

— მე როგორც ვხედავ, მამაო, თქვენ აქ იმხელა მონასტრის აშენებას აპირებთ, რამხელაც აქამდე არც ქართლ-

ში აშენებულა და არც ტაო-კლარჯეთში, — უთხრა სერაპიონს მთავარმა ისე, თითქოს ახლა გაისიგრძეგანა, რა დიდ საქმეს ჰკიდებდა ხელს.

— ღმერთს ის ადამიანები უფრო უყვარს, მთავარო, ახლისა, უკეთესისა და თითქმის შეუძლებელისაკენ რომ ისწრაფვიან. მართალია ასეთ კაცს მეტი ტანჯვა-წამება ხვდება წილად, მაგრამ რა აზრი აქვს იმის განმეორებას, რაც შენს წინაპრებს უკვე შეუქმნიათ. ჩვენ თუ მართლა გვინდა მოვიპოვოთ ღვთის წყალობა, უფრო მეტად უნდა მივუახლოვდეთ მას.

— რა გზით, მამაო?

— იმ ტაძრის მეშვეობით, აქ რომ ავაშენებთ.

— სივრცობრივად?

— დიახ, სივრცობრივად.

— კი მაგრამ, რის აშენებას აპირებთ?

— აკი გითხარით, ტაძრის-მეთქი.

— მერედა, როგორი იქნება თქვენი ტაძარი?

— მაღალყელიანი, ხათელი.

— რას ნიშნავს მაღალყელიანი, მამაო?

— გუმბათი ექნება მაღალი და სარკმლებიანი.

— ეს მართლაც რაღაც ახპლია, მამაო, რაშიც მე ასე ადვილად ვერ გავერკვევი. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ და ამ ცოდვილ მიწაზე მართლაც აგეშენებინოთ ისეთი ღვთის სახლი, სხვაგან რომ არავის აუშენებია. მე მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს, ვინ ააშენებს ასეთ ტაძარს?

— ამშენებელი გამოჩნდება, მთავარო.

— ღმერთმა ქნას, მაგრამ ასეთ დიდ მშენებლობას სახსრებიც დიდი სჭირდება, მამაო.

— დახარჯული სახსრები არასოდეს არ რჩება აუნაზღაურებელი, მთავარო, ღმერთი უკეთ ხედავს, ვინ რას იმეტებს მისთვის და რას არა.

— განა ამხელა მონასტრის აშენება მარტო სურვილზეა დამოკიდებული, მამაო?

— თუ ღმერთი შენთანაა და წყალობას არ გაკლებს, სურვილიც კმარა.

— მე ვგრძნობ, მამაო, რომ მონასტრის მშენებლობის დაწყება ბევრ რამეს შეცვლის ამ მხარეში.

— ჩვენი მიზანიც ეს არის, მთავარო.

— თუ თქვენ მართლა შეგწევთ იმის ძალა, რომ შეცვალოთ ის, რისი შეცვლაც შეიძლება და ეს არ გაშინებთ, მამაცი კაცი ყოფილხართ, მამაო.

— მე მწამს, მთავარო, რწმენა კი სიქველე და სათნოება უფროა, ვიდრე სიმამაცე.

მთავარს უნდოდა კიდევ ეკითხა რაღაც, მაგრამ თავი შეიკავა. იგი მიხვდა, რომ იმ კაცთან დავას, ვისაც მთელი არსებით სწამს და ღვთის სახელით მეტყველებს, აზრი არა აქვს. ყოველი მისი მოსაზრება, ყოველი მისი გონივრული საბუთი კაცს კი არ დაუპირისპირდებოდა, არამედ ღმერთს. სერაპიონთან დავის უფლება მას მხოლოდ მაშინ ექნებოდა, თუ იგიც ისევე იქნებოდა გამსჭვალული რწმენით, როგორც სერაპიონი იყო და ისევე ილაპარაკებდა ღვთის სახელით, როგორც სერაპიონი ლაპარაკობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველ ნაბიჯზე გაწბილება და მარცხი ელოდებოდა. ეს კი არც ისე სახარბიელო და სასიამოვნო იყო, რადგან ისეთ ჩიხში ექცეოდა, ბოლო რომ არ უჩანდა. ბერი მას იმით კი არ იმორჩილებდა, რომ მასზე ძლიერი იყო, არამედ მიზანი ჰქონდა დიდი და ამ მიზნის წინაშე ყველა ჩვეულებრივი მოკვდავი არარაობა ჩანდა. ამიტომაც აღმოჩნდა მძიმე არჩევანის წინ — თუ ბერს განზე გაუდგებოდა და დაალალატებდა, ამით ღმერთის წყრომასაც დაიმსახურებდა და საკუთარ სამთავროსაც ავნებდა, ხოლო თუ გვერდში ამოუდგებოდა და მისი ნების აღმსრულებელი გახდებოდა, ისეთ ხლართებში გაებმებოდა, რომელთა გამოხსნასაც სიკვდილამდე ვერ შეძლებდა. ეს საკითხი მას აქვე, ახლავე უნდა გადაეწყვიტა, რა-

დგან დროის გაჭიანურება მათ ურთიერთობას უკიდურესად გაართულებდა და გააუკუღმართებდა.

—მითხარით, მამაო, თქვენ ჩემი დახმარება უფრო გჭირდებათ, თუ ჩემი სული? — ჰკითხა მთავარმა სერაპიონს ისეთი გამომეტყველებით, თითქოს მის წინ მაცდური იჯდა და არა ბერი.

— მე არც ერთი მჭირდება, მთავარო და არც მეორე, მაგრამ ღმერთისათვის მიწიერ ფასეულობებზე უფრო ძვირფასი ადამიანის სულია.

— და თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ღმერთმა სხვა სულებს შორის, ჩემი ცოდვილი სული გამოარჩია?

— ასე ბრძანა ნეტარმა მიქაელმა.

მთავარი გრძნობდა, რომ მის ირგვლივ წრე იკვრებოდა და უნდოდა თუ არა, მაინც ექცეოდა იმ ჩიხში, სადღაც რომ მოიფიქრეს და ამ შეუპოვარმა ბერმა აქვე, ადგილზე შემოავლო ღობე. მართალია, ღობე არ ჩანდა, მაგრამ თვალით ბევრი რამ არ ჩანს ისეთი, კაცს რომ ბორკავს და გასაქანს არ აძლევს. ეს კი არა მარტო საეჭვო იყო, არამედ სახიფათოც. ღმერთმა უწყის, სადამდე მიიყვანს სიშლეგე იმ კაცს, ვინც იცის, რა უნდა, მაგრამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად არც სახსრები ყოფნის და არც გადაულახავ დაბრკოლებებს უწევს ანგარიშს. ამიტომაც არ უნდოდა მთავარს ჩიხში მოქცეულიყო და ხელ-ფეხი შეკრული ჰქონოდა — მისი სიდარბაისლე ცოტათი მაინც შებოჭავდა ბერის სიფიცხეს, მაგრამ კიდევ უფრო უარესი ის იყო, რომ ჩიხში არც ვიწროდ გრძნობდა თავს და არც დამცირებულად. პირიქით, თითქოს რაღაც შეემატა, თვალსაწიერი გაუფართოვდა, ისეთი მიზანი გაუჩნდა, რომელიც არა მარტო მისი სამთავროს ფარგლებს და დანაწევრებული დროის ჩარჩოებს სცდებოდა, არამედ მარადისობის უხრწნელობასაც იძენდა.

— რაც არ უნდა მოხდეს, მამაო, ბედმა თუ ღმერთმა ისე დაგვაკავშირა ერთმანეთთან, რომ ამიერიდან ჩვენს შორის ჩამოვარდნილი შუღლი და უთანხმოება სწორედ იმ საქმეს გამოუთხრის ძირს, რომლის პასუხისმგებლობაც თქვენთან ერთად მეც დამეკისრა. ამიტომ ჯობია საქმეზე ვილაპარაკოთ და ჩვენი განსჯა და განკითხვა ღმერთს მივანდოთ, — უთხრა მთავარმა სერაპიონს და მიხვდა, რატომ არ გრძნობდა ჩიხში თავს ვიწროდ. მთელი ამ საქმის წამომწყები და სულის ჩამდგმელი ბერი იყო და ამიტომ მას არც პასუხისმგებლობა ეკისრებოდა და არც ცოდვები მოეკითხებოდა.

— მეც ამ აზრისა ვარ, მთავარო, — უპასუხა სერაპიონმა.

— ადგილი თუ შეარჩიეთ სამონასტროდ, მამაო?

— ჯერ არა, მაგრამ ადგილის შერჩევა ჩვენზეა დამოკიდებული და ამაღამვე გადაწყდება.

— როდის შეუდგებით საქმეს?

— ხვალვე.

— მთელ სამთავროში მე მხოლოდ სამასიოდე კაცს მოვუყარე თავი, მათ შორის კირითხუროებიც არიან, ქვისმთლელებიც, ხითხუროებიც და მჭედლებიც. ვინც ხელობა არ იცის, მუშახელად გამოგადგებათ. თუ საჭირო იქნება, ნურც გამოცდილი ოსტატების დაქირავებას მოერიდებით. ქვისსამტვრევები მესხეთში საკმარისადაა, ჩვენ მხოლოდ კირის გამოსაწვავი ღუმელებისა და სამჭედლოების აშენება დაგვჭირდება. მთელ ამ ჭრელ, უხეშ და უბირ ბრბოს თქვენ უნდა მოუაროთ, მამაო, თქვენ უნდა ალკვეთოთ მათ შორის შუღლი, შფოთი და დანის ტრიალი, თქვენ უნდა ასწავლოთ ხელმრუდეებს და მცონარეებს შრომა და ოფლის ღვრა.

— ზოგიერთს მაინც თუ იცნობთ, მთავარო?

— ძალიან ცოტას.

— მთელი ეს ჯარი აქ უნდა მორეკოთ?

— არა, მამაო, მათი აქ მორეკვა სახიფათოა. აქედან ორნახევარი მილიონის სავალზე საკმაოდ მოზრდილი და-

ბაა. იმ დაბაში მიწურებს გათხრიან და დროებით მიწურებში იცხოვრებენ.

— დაბელები თუ შეეგუებიან ამას, მთავარო?

— ისინი იმდენნი იქნებიან, რომ დაბელები ვაგლახად ვერაფერს გაუბედავენ.

— მათ დაპურებაზე ვინ იზრუნებს, მთავარო?

— იმდენს, მუშა კაცი რომ შიმშილით არ მოკვდეს, სამთავრო გაიღებს უსასყიდლოდ, დანარჩენზე კი ისინი იზრუნებენ, ვისაც ასეთ დროს ხელის მოთბობა უყვარს.

გაღვიძებული ცნობისმოყვარეობა რომ დაეოკებინა და მთავრისათვის თავი არ მოებეზრებინა, სერაპიონმა გადაწყვიტა ჯერჯერობით იმით დაკმაყოფილებულიყო, რაც შეიტყო, ხოლო თუ რაიმე გასარკვევი ან დასაზუსტებელი იქნებოდა, ამის მოგვარება გზადაგზა შეიძლებოდა. რაკი მთავარი მონასტრის მშენებლობას საკუთარ საქმედ თვლიდა, ყურადღებას აღარ მოაკლებდა, ცალი თვალი და ყური მუდამ აქეთკენ ექნებოდა მოპყრობილი. ამაში სერაპიონს ეჭვი აღარ ეპარებოდა. მას სულ სხვა რამ აწუხებდა. ყველაფერი მისით იწყებოდა და მისით უნდა დამთავრებულიყო და ამ დასაწყისსა და დასასრულს შორის იმდენი სული იყო გამომწყვდეული, იმდენი ცოდვა და მადლი დახვავებული, იმდენი იდუმალება და ამოუხსნელი ამოცანა თავმოყრილი, რომ უნდოდა თუ არა, ამიერიდან ყველაფერი ეს თავის თავში უნდა ეტარებინა და თანაც ისე, არავის დაენახა, არავინ არაფერში დაეჭვებულიყო, არავის არაფერი შეემჩნია. ეს კი სულიერად შეჯავშნას და სხვებისაგან გამორჩევას მოითხოვდა, რაც არა მარტო ოსტატებსა და ხუროებს გააუცხოებდა, არამედ მთავარსაც და მის სულიერ ძმებსაც. მის დანახვაზე ყველას დაუმძიმდებოდა მზერა, ჩაუვარდებოდა ენა, გაუქვავდებოდა გული, წმიდა სულებთან ერთად ჯოჯოხეთის მოციქულნიც მოეძალებოდნენ და ერთმანეთის ჯიბრზე არც ერთი მხარე არ იქნებოდა მისი დამცველი, გამამხნევებელი, სწორი გზის მიმნიშნებელი და მის განკითხვას სწორედ ისინი დაიჩემებდნენ, ვისაც არაფრით არ ჰქონდა მოპოვებული ამის უფლება. იგი ნებაყოფლობით, მთელი სულითა და ხორცით ეხვეოდა იმ დიადი მიზნის გაუფანტავ ბურუსში, რომლის აღუსრულებლობა ახლა უკვე აღარაფრით შეიძლებოდა.

სინათლე, ვიწრო ზოლად რომ იჭრებოდა ტალავარში, თანდათან ძლიერდებოდა, სიმკვეთრეს იძენდა, სიცხადით ივსებოდა და უფრო თვალსაჩინოს ხდიდა იმ ჩრდილთა მწუხარებას, კუთხეებში რომ მოკალათებულიყვნენ.

— გავიდეთ დღის სინათლეზე, მამაო, დავენახოთ ხალხს, თორემ ჩვენს განმარტოებას საეჭვოდ მიიჩნევენ, — უთხრა მთავარმა სერაპიონს, ფეხზე წამოდგა და უეცრად იგრძნო, რომ ვიწრო ტალავარში ყოფნა არ სიამოვნებდა.

აღარც სერაპიონს გვრიდა სიამოვნებას მთავრის პირისპირ ჯდომა და იმაზე ფიქრი, მშენებლობის დაწყების შემდეგ რა როგორ შეიცვლებოდა და ვინ როგორ იცვლიდა სახესა და ზნეს. გარედან შემოჭრილი სინათლე და სითბო, ბრბოს ყაყანი და ვიშვიში უფრო გამამხნევებელი და საიმედო იყო, ვიდრე ერთმანეთის აწონ-დაწონა და შეფასება.

გარეთ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. მთავრის ამალას ახლო-მახლო მდებარე დაბების მკვიდრნიც შემატებოდნენ და ყველას ის უკვირდა, როგორ აღიგავა ერთ ღამეში ტბა პირისაგან მიწისა, როგორ დაისაჯნენ ის ცოდვილნი, მონასტრის აშენებას რომ ეწინააღმდეგებოდნენ. მათ თვალწინ მოხდა რაღაც ისეთი, რაც ზებუნებრივ ძალასთან იყო დაკავშირებული, მათ უსულგულო ცხოვრებაში ღმერთი თუ არა, მისი წარმომადგენელი მაინც ჩაერია და ყველას აგრძნობინა, ცოდვილნი და უკეთურნი რომ არიან. ტბის გაქრობით მესხები ისე იყვნენ შემკრთალი და შეშ-

ფოთებული, რომ უკეთაც ჩაეცვათ და გამომეტყველებაც უფრო სანდომიანი ჰქონდათ. წუხანდელს აქეთ მათ სულში რაღაც შექანდა, მათი დაჩლუნგებული გონება რაღაცამ ააფორიაქა და ახლა აღარ იცოდნენ, რა ერწმუნათ და რა არა, ვის მიმხრობოდნენ და ვის განდგომოდნენ, რა ეღიარებინათ და რა დაეგმოთ. შიშისაგან შეცბუნებულნი ისეთი კაცის გამოჩენას ელოდნენ, ვინც მათ შიშისა და ცოდვებისაგან იხსნიდა, გაამხნევებდა, დააიმედებდა, მაგრამ უნდობლობა ისე ღრმად ჰქონდათ გამჯდარი ძვალ-რბილში, იმდენად დარწმუნებულნი იყვნენ, ხსნისათვის მათ საფასურსა და გასამრჯელოს მოსთხოვდნენ, რომ თავიანთ უნდობლობას ეფარებოდნენ, იმშუშნებოდნენ და ცდილობდნენ არავის შეემჩნია მათი უბადრუკობა, არავის ეთქვა უგუნურნი და ურწმუნონი რომ არიან. სინამდვილეში კი მათ რწმენა კი არ სჭირდებოდათ, არამედ მკაცრი მბრძანებელი, ისეთი კაცი, ძალადობას რომ არ მოერიდებოდა და აიძულებდა მათ ერწმუნათ, ეშრომათ, ეშიმშილათ, თვითონვე დაესაჯათ თავიანთი ურჩი და მეამბოხე ამხანაგი, ძირშივე ამოეკვეთათ ყოველი მკრეხელური აზრი, ბოლომდე შეეგნოთ, რომ მათ ამქვეყნად მხოლოდ ტანჯვაში უდევთ წილი და არა განცხრომაში! ამის სანაცვლოდ კი იმ კაცს მათი ცოდვები უნდა ეტვირთა, პასუხი გაეცა გამკითხავისათვის, მათ მაგივრად ეთია ღამე, მიეღო გადაწყვეტილებანი და ყოველ სწორ თუ არასწორ გადაწყვეტილებაზე თვითონვე ეგო პასუხი. სერაპიონი მიხვდა, ასეთ კაცად ახლა ისინი მას რომ თვლიდნენ, რადგან ღმერთის სახელით მეტყველებდა, შეუპოვრად ისწრაფოდა მიზნისაკენ და წუხელი სასწაულიც კი მოახდინა, მაგრამ მათ არ იცოდნენ, რომ იგი მონაზონი და ღვთის ნების აღმსრულებელი იყო, ცასა და მიწას შორის იდგა და ვერასოდეს ვერ გახდებოდა მათი ბელადი და წინამძღოლი, რადგან მთელი სიცოცხლე ტანჯვითა და სიყვარულით უნდა ეცხოვრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ხალხი გაიკრიბა და ბერებმა ტალავარში მოიყარეს თავი, მზე ჩასასვლელად ემზადებოდა. ამდენი ხალხი მათ კარგა ხანია არ ენახათ და თავს ისე გრძნობდნენ, თითქოს მათ ცხოვრებაში უცხო, უხეში ძალა შემოიჭრა და ყველაფერი ააფორიაქა, აახმაურა, აამტუტა. ის დღე რაღაცით სახალხო ზეიმს ჰგავდა, ერთსა და იმავე დროს სიხარულსაც რომ შეიცავს და მწუხარებასაც, იმედსაც და უიმედობასაც, სიმახინჯესაც და სინატიფესაც და როცა მთავრდება, როცა მდუმარებასა და უძრაობაში იძირება, სულის ფსკერზე რაღაცნაირ მღვრიე შლამს ტოვებს. ისინი იმდენად დაღლილნი არ იყვნენ, რამდენადაც მოთენთილნი, გაბრუებულნი და გაყრუებულნი.

შეიძლება ამიტომაც გაუგრძელდათ ლოცვა, მაგრამ როცა ერთმანეთის პირისპირ ნამორებზე ჩამოსხდნენ და თავი ისევ საკუთარ სამყაროში იგრძნეს, დაშოშმინდნენ, მოლონიერდნენ, გამოცოცხლდნენ, ლაპარაკის ხასიათზეც კი მოვიდნენ. იმდღევანდელმა ამბავმა ისე ააფორიაქა და დააჩქარა ყველაფერი, იმდენი საჭოჭმანო და გადაუდებელი საკითხის გადაწყვეტა მოითხოვა, რომ მათ აღარც დასვენების უფლება ჰქონდათ და აღარც დროის უქმად ფლანგვისა. აწმყო და მომავალი მათ ახლა ერთ კვანძად უნდა შეეკრათ და სამოქმედო ასპარეზი ისე გაეფართოვებინათ, რომ ყველას ყველაფერი დაენახა და დაეჯერებინა. უპირველეს ყოვლისა უნდა შეერჩიათ ადგილი, სადაც საფუძველს ჩაუყრიდნენ მონასტერს, ეს კი არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც ეგონათ.

სერაპიონს სიმაღლე, ღმერთთან სიახლოვე უყვარდა და მონასტრისათვის ყველაზე მაღალი ბორცვი აირჩია, საიდანაც ყველა ხევი, მდინარე, ტბა და დაბა ჩანდა, სადაც ჰაერი ისეთი მსუბუქი და გამჭვირვალე იყო, როგორც

სასუფეველშია, სადაც მარტო ტყე, ბალახი და წყალი კი არა, ლურჯი მთების მწვერვალთა ჩრდილებიც ისე იცვლიდნენ ფერს, თითქოს საკუთარი სხივი გააჩნდათ. მაგრამ მისი არჩევანი არც იოანეს დაუჯდა ჭკუაში და არც ზოგიერთ სულიერ ძმას. იოანე მოითხოვდა მონასტერი უფრო დაბალ, განიერ და იოლად მისადგომ ბორცვზე აეშენებინათ.

— ეს საკითხი ჩვენ ამაღამვე უნდა გადავწყვიტოთ, საყვარელო ძმებო ჩემო, ხვალ დილით კი ჩვენი გადაწყვეტილება მთავარს უნდა მოვახსენოთ, — მიმართა სერაპიონმა ბერებს.

— ჩვენ თუ თავიდან დავუშვით შეცდომა, შემდეგ მისი გამოსწორება არაფრით აღარ მოხერხდება, — უპასუხა იოანემ.

— იოანე მართალს ამბობს, მამაო სერაპიონ. ჯერ იმ ბორცვზე ასვლა-ჩამოსვლა წარმოიდგინეთ. ჩვენზე არას ვამბობ, მაგრამ მონასტერთან უამრავ ხალხს ექნება ურთიერთობა და ზაფხულში თუ არა, ზამთარში, როცა თოვლს დასდებს, ძალზე გაუჭირდებათ მონასტერში ამოსვლა. გარდა ამისა, მონასტრის აშენებას უამრავი მასალა სჭირდება და ამდენი მასალის ამ სიმაღლეზე აზიდვას რა მუშახელი აუვა, — აუბა მხარი იოანეს მაკარმა.

— ჩვენ თუ თავიდანვე საქმის გაიოლების გზას დავადექით, ბოლოს ხელში რაღაც ისეთი შეგვრჩება, რაც არც ღმერთს მოეწონება და არც კაცს, — შეედავა სერაპიონი.

— ჩვენ იმ ამბავსაც უნდა გავუწიოთ ანგარიში, რა სახსრების პატრონნი ვართ, — თქვა ბასილმა ისე, თითქოს ძალად ამოადგმევინეს ენა.

— საკუთარი სახსრებით მონასტერი ჯერ არავის აუშენებია, მონასტერს აშენებს სახელმწიფო, სამთავრო, მთელი ხალხი, — უპასუხა სერაპიონმა.

— თუ ვირჯებით, საქმეს ხელს ვკიდებთ და მონასტრის აშენებას ვაპირებთ, ავაშენოთ ბარემ რაღაც ისეთი, რაც ნამდვილად დიადი და შეუმუსრავი იქნება, — გამოესარჩლა სერაპიონს ილარიონი.

— აქაური სამთავრო ჯერ არაა ისე მოღონიერებული და მომძლავრებული, რომ ამხელა მონასტრის აშენება შეძლოს. რის ამგები არიან გატყიურებული და გაუკულმართებული მესხები, — თქვა მარკოზმა გესლიანი ღიმილით.

— მონასტერი ღვთის სახლია და იმ სიმაღლეზე უნდა იდგეს, რომ მთელი ქვეყანა ხედავდეს. იგი დიდიც შეიძლება იყოს და პატარაც, მძიმეც და მსუბუქიც, მაგრამ მთავარია სუნთქავდეს, სივრცეს იპყრობდეს. მონასტერზე, უფრო სწორად, ტაძარზე დიადს ჩვენ ჯერჯერობით ვერაფერს ავაშენებთ და მისი უჭკნობი სილამაზე დამალული და დაფარული არ უნდა იყოს. მისი იმედი უნდა ჰქონდეს ყველა დავრდომილს, ტანჯულს და გაჭირვებულს, მისი რიდით თავს მაღლა ვერ უნდა სწევდეს ყველა ავი, ბოროტი და ცოდვილი კაცი, მის წიაღში უნდა ეძებდეს სამართალს ყველა დაჩაგრული, გაძარცული და გათელილი. იგი უნდა იყოს შუამავალი მიწასა და ცას შორის. ამიტომ მას ისევე სჭირდება გარეგნული სიდიადე, როგორც შინაგანი სიწმინდე. დიადი კი ისაა, რაც ცასთანაა ახლოს, — კვლავ შეედავა სერაპიონი სულიერ ძმებს.

— მამაო სერაპიონ, შეიძლება მონასტერი უმაღლეს მწვერვალზე ააშენო და უზარმაზარი სივრცე დაიპყრო, მაგრამ ეს სივრცე ცარიელი იქნება, რადგან თუ მიწას მოწყდა და ცაში გამოეკიდა, ვერავის ტანჯვას ვერ დაინახავს, ვერავის მწუხარებას ვერ გამოეხმაურება, ვერავის უზნეობას ვერ შეებრძოლება, — არ დაუთმო ძმას იოანემ.

— ჩვენ მეტისმეტად ბევრს მოვითხოვთ მურვან ყრუსაგან გაძარცვულ, გათელილ და გადაბუგული ქვეყნისაგან, მამაო სერაპიონ, — თქვა ბასილმა ისე, თითქოს მისი აზრი თუ ბრძნული არა, ანგარიშგასაწევი მაინც იყო.

— განახლება, აშენება და დამშვე-

ნება სწორედ გაძარცულ და გადაბუგულ ქვეყანას სჭირდება და ამიტომ ჩვენ ისეთი მონასტერი და ტაძარი უნდა ავაშენოთ, რომელზე უარესის აშენება ჩვენს შთამომავლებს შერცხვებათ. ქვეყნის აშენების უკეთესი გზა მე არ ვიცი, — არ თმობდა თავისას სერაპიონი.

—არ მეგონა, მამაო სერაპიონ, პატივმოყვარე თუ იყავით, — უსაყვედურა ძმას იოანემ.

— მე ქვეყნისთვის ვზრუნავ და არა სახელისათვის, — უპასუხა სერაპიონმა.

— თუ ქვეყნისთვის ზრუნავთ, მონასტერი უნდა აშენდეს იმგვარი და იმ ადგილას, ხალხს რომ უნდა და გამოადგება, — გაცხარდა იოანე.

— ის, ვინც ყოველთვის იმას აკეთებს, რაც ხალხს უნდა და გამოადგება, ვერაფერ ხეირიანს ვერ შექმნის. ჩვენ აქ ხალხის გულის მოსაგებად კი არ გამოგვგზავნეს, არამედ ძველის დასანგრევად და ახლის დასანერგად. ახალს კი ხალხი ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებს და ეწინააღმდეგება. რა ფასი აქვს ისეთ ნაგებობას, რომელიც ხელოვნების ქმნილება არაა და არავითარი სიახლე არ მოაქვს, რად გვინდა ისეთი მონასტერი და ტაძარი, კაცის თვალს რომ ვერ მიიზიდავს და დაატკბობს, რა ღირსება გააჩნია ისეთ ღვთის სახლს, სიდიადეს რომ არ ატარებს თან და ზემოდან არ დაჰყურებს ქვეყანას. ჩვენ, განგებამ, მძიმე ტვირთი დაგვაკისრა, მოღვაწისა და შემოქმედის ტვირთი და უფლება არა გვაქვს ჩვენი გონებრივი და სულიერი მცონარეობის გამო ეს ტვირთი შევიმსუბუქოთ, — თქვა სერაპიონმა უფრო ხმამაღლა, ვიდრე ლაპარაკობდა. მის კილოში უკვე იგრძნობოდა მომავალი წინამძღვრის სიმტკიცე და ნებაუხრელობა.

— ჩვენ ისე არ გამოგვივიდეს, მამაო სერაპიონ, რომ მარჯვენამ არ იცოდეს რას იქმოდა მარცხენა, — თქვა იოანემ.

— შეცდომისაგან არც ერთი დიდი საქმე არაა დაზღვეული, მით უმეტეს ისეთი საქმე, ჩვენ რომ ვკიდებთ ხელს, მაგრამ ჯერ ერთი ჩვენთან ღმერთია და იმედი გვაქვს, რომ საბედისწერო შეცდომას არ ჩაგვადენინებს, მეორეც თუ არ გავბედეთ, თუ ისეთ რამეს არ შევეჭიდეთ, რაც არ ვიცით და ტანჯვითა და გამოცდილებით უნდა შევიცნოთ, მაშინ ჩვენ მშიშრები და კაცისა და ღმერთის მოღალატეები ვყოფილვართ, — უპასუხა სერაპიონმა და მეტისმეტად რომ არ გაცხარებულიყო, ჯიბიდან კრიალოსანი ამოიღო.

— მე მეშინია, მამაო სერაპიონ, შენი მეტისმეტი გულმოდგინება სიშმაგეში არ გადაიზარდოს. ცას მხრებით ვერ შეეყუდები, — უთხრა იოანემ იმ კაცის ხმით, რაღაც ახალი რომ შენიშნა მახლობელ ადამიანში.

— როცა კაცი უცნობი, აქამდე მიუღწეველი ზღვარისაკენ ისწრაფვის, წინასწარ არავინ იცის, რა შეემთხვევა ამ გზაზე. სიშმაგე იმდენად საშიში არაა, რამდენადაც ის, როცა შენს ნაფიქრალსა და ნავარაუდევს ფესვი ულპება. ამ ტყეს, კლდეს და მიწას არც უკან მოხედვა შეუძლია და არც წინ ყურება, წინ მხოლოდ ადამიანი იყურება და სისხლსა და ოფლს ღვრის იმისათვის, რომ ამ ცხოვრებას საყრდენი არ მოეშალოს. ამას გვასწავლის ჩვენ ღმერთი და ამიტომ კიდევ უფრო მაღლა უნდა ავწიოთ, გავამაგროთ და გავამშვენიეროთ ის სახლი, ურომლისოდაც ეს ქვეყანა მოურთველი და მოუწესრიგებელია, — თქვა სერაპიონმა და ხმაზე ეტყობოდა, რომ საკუთარ თვალსაზრისს ადვილად არ დათმობდა.

— ჩვენ ასე დილამდე შეგვიძლია ვიდაოთ, ვიმსჯელოთ და ვერაფერი გადავწყვიტოთ. ამ დავის გადასაწყვეტად რაღაც სხვა ხერხი, სხვა ღონე უნდა ვიხმაროთ, — თქვა მარკოზმა.

— მართალს ამბობს მამა მარკოზი, — დაეთანხმა მარკოზს მაკარი.

— მაინც რა ხერხი? — იკითხა ილარიონმა.

— ვიფიქროთ და რამეს მოვიფიქრებთ, — უპასუხა მარკოზმა.

ტალავარში დუმილი ჩამოწვა. კედლებზე გართხმული ჩრდილები ისე შეირხნენ და შეტორტმანდნენ, თითქოს ცხადყვეს ის ამბავი, რომ გადამწყვეტ წუთში, როცა მართლა დიდი საქმეა საკისრებელი, როცა გზაზე გასვლა და ნაბიჯის წინ გადადგმაა საჭირო, სულით ძლიერნიც კი ყოველთვის შფოთავენ, ტორტმანებენ, მერყეობენ და ამგვარ მერყეობას მხოლოდ მაშინ აღწევენ თავს, როცა სხვა გზას, სხვა ხსნას ვერსად ხედავენ.

— მე ერთი რამ ვიფიქრე, თუ თქვენც თანახმა იქნებით, დილით დავა გადაჭრილი იქნება, — თქვა მარკოზმა და ყველას სათითაოდ შეავლო თვალი.

— რა მოიფიქრე ასეთი? — ჰკითხა უკმეხად ილარიონმა, რადგან დიდად არ სწამდა იმ კაცისა, ენა რომ მუდამ ალესილი ჰქონდა.

— ღმერთს მივანდოთ იმის გადაწყვეტა, რაც ჩვენ ვერ გადაგვიწყვეტია. ავანთოთ ორი კანდელი, ერთი მამა სერაპიონმა აიტანოს იმ ბორცვზე, რომელზედაც მონასტრის აშენება სურს, მეორე კი მამა იოანემ იმ ბორცვზე, სამონასტროდ რომ მიაჩნია, ილოცონ დილამდე და ვისი კანდელიც ბოლოს ჩაქრება, ღმერთსაც ის ბორცვი სდომების სამონასტროდ, — თქვა მარკოზმა.

— ორივენი რომ ერთდროულად ჩაქრეს? — იკითხა მაკარმა.

— შეუძლებელია ორივე კანდელი ერთდროულად ჩაქრეს, — უპასუხა მარკოზმა.

— მე მომწონს მამა მარკოზის აზრი, — თქვა ბასილმა.

— ეს აზრი არც მე მეჩვენება უაზრო, — თქვა ოდნავ მომღიმარმა ილარიონმა.

— თქვენ რას იტყვით მამაო სერაპიონ და მამაო იოანე?, — მიუბრუნდა მარკოზი ძმებს და ოდნავ შესამჩნევად გაუღიმა საკუთარ თავს, ამ მძიმე მდგომარეობიდან რომ ნახა გამოსავალი.

— მე თანახმა ვარ, ჩვენ მიწასთანაც ვართ დაკავშირებული და ცასთანაც, მაგრამ მაინც ჯობია მიწიერი საქმეები, რომელთა გადაწყვეტაც ჩვენ არ ძალგვიძს, ცამ გადაწყვიტოს, — თქვა იოანემ ისე, თითქოს მძიმე ლოდი მოიცილა მხრებიდან.

სერაპიონს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს გრძელი გზა გაირბინა, მიზნის მიღწევამდე თითქმის აღარაფერი აკლდა და ისევ უკან, გზის დასაწყისში დააბრუნეს. მას უნდოდა მისი აზრი, მისი მისწრაფება ბოლომდე გაეგოთ და გაეზიარებინათ, ღვთის იმედით ისეთი საქმე წამოეწყოთ, რომლის ყოველი კვანძი გამოსახსნელი, შესაცნობი და კვლავ გასაკვანძი იქნებოდა, მაგრამ ახლა, როცა ყველა იზიარებდა მამა მარკოზის წინადადებას, არ უნდოდა სხვებისაგან გამორჩეულიყო, სულიერ ძმებს მარტო დაპირისპირებოდა. მოსაწევარი მასაც იმდენი ჰქონდა, რამდენიც იოანეს, ღმერთი კი უპირატესობას ყოველთვის იმას ანიჭებს, ვინც შეუძლებელს შეეჭიდება. ამიტომაც აღარ გაჯიუტებულა, არ გაკერპებულა უგუნურობამდე.

— საყვარელო ძმებო ჩემო, დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი ჩვენს ლოცვა-ვედრებასა და თხოვნას უპასუხოდ არ დატოვებს და რადგან ყველა ერთ აზრს ადგახართ, „ყურნი ბრძენისანი მარადის მზად არიან საღმრთოითა სიტყვათა“.

საქმე რომ არ გაჭიანურებულიყო, ბერები მაშინვე წამოიშალნენ, ზეთი მოიტანეს, პატრუქი დაგრიხეს, ორი კანდელი გააწყვეს და გარეთ გამოვიდნენ. ღამე მშვიდი, უმთვარო იყო, ცა კი ვარსკვლავებით მოჭედილი, მაგრამ ღამით ბორცვებისაკენ გზის გაკვლევა მაინც ჭირდა, ამიტომ ჩირაღდნები ააბრიალეს და ბორცვებისაკენ დაიძრნენ. მიმოდიოდნენ უხმოდ, მდუმარებას მხოლოდ ფიჩხის მტვრევის ხმა არღვევდა. როცა მათი გზა გაიყო, ილარიონი და ბასილი სერაპიონს გაყვნენ, მარკოზი და მაკარი კი იოანეს. მიუხედა-

ვად გვიანი გაზაფხულისა, ღამ-ღამობით მაინც გრილოდა. ჩირაღდნების შუქი ჩრდილებს, დაბუდებულ ფრინველებს და წვრილფეხა ნადირს აფრთხობდა. იდუმალებას არა მარტო ტყე და ღამე შეიცავდა, არამედ ამ შავად შემოსილი, ჩირაღდნიანი ბერების აღმასვლაც და მათ სულში ჩაბუდებული იმედიც იმისა, რომ ამ უდაბნოს წალკოტად აქცევდნენ, წესრიგსა და სათნოებას დაამკვიდრებდნენ იქ, სადაც წესრიგზე და სათნოებაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ, ერთ-ერთ ბორცვზე იმხელა ტაძარს აღმართავდნენ, ყველას და ყველაფერს რომ გააერთიანებდა, განწმენდდა და ისეთ ფესვს გაიდგამდა ამ ყამირ მიწაში, რომელსაც შემდეგ ველარც ხმლით ამოძირკვავდნენ და ველარც ცხენის ფლოქვებით გასრესდნენ.

როცა ბორცვის წვერზე ავიდნენ, სერაპიონმა მუხლი მოიყარა და ლოცვად დადგა. ილარიონმა კანდელი აანთო. ალი ჯერ მარჯვნივ გადაქანდა, შემდეგ კი გასწორდა და ხრჩოლვა დაიწყო. იმ ბორცვიდან, სერაპიონმა რომ აირჩია სამონასტროდ, კარგად ჩანდა მის ქვემოთ გართხმული, უფრო ფართო და დაბალი ბორცვი, სადაც კანდელი უკვე აენთო და იოანე ლოცვას შესდგომოდა. რადგან საქმე არაფერი ჰქონდათ, ილარიონიც და ბასილიც ლოცვით ებრძოდნენ დროსა და ღამეს. სერაპიონს სიმხნევე არ აკლდა, ლოცვაში არა ერთი ღამე გაუთენებია თეთრად, მაგრამ მაშინ იგი არავის არაფერში არ ეცილებოდა, მოსაწევარი და მოსაპოვებელიც არაფერი ჰქონდა და ღმერთს მხოლოდ იმას ევედრებოდა, სასუფეველი დაემკვიდრებინა მისთვის, ახლა კი, მისი სული აფორიაქებული იყო, არ ყოფნიდა რწმენა, ერეოდა სიტყვები, ხელახლა უბრუნდებოდა იმას, რაც უკვე ერთხელ წარმოთქვა, არ იყო დარწმუნებული, რომ მისი კანდელი გამოცდას გაუძლებდა, მოაგებინებდა იმ დავას, ასე მოულოდნელად და ჯიქურად რომ გაუმართეს. კანდელი კი იწვოდა, ხრჩოლავდა, ალი ხან ძლიერდებოდა, ხან სუსტდებოდა, დრო გადიოდა, ზოგჯერ მუხლები ისე უბუჟდებოდა, რომ თმენის ძალა აღარ იყო, მაგრამ მას უფლება არ ჰქონდა მოდუნებულიყო, ლოცვა შეეწყვიტა, ყური არ დაეგდო იმ შინაგანი ხმისათვის, ალლოს რომ უმახვილებდა და გამჩენთან აახლოებდა. ცაზე მოციმციმე ვარსკვლავები გადაადგილდნენ, სიგრილე უფრო საგრძნობი გახდა, მალე ირიჟრაჟებდა და ყველაფერი წვრილმანი და უმნიშვნელო ბნელს გაჰყვებოდა თან. ხვალ დილიდან კი იგი ამ უცხო მხარეში, ამ მაღალ ბორცვზე ახალი მონასტრის აგებას შეუდგებოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს ალი მძაფრად შექანდა, პატრუქს ნამწვი მოსწყდა, ცეცხლი მინელდა, კანდელი ისე ახრჩოლდა, როგორც წყალგადასხმული მუგუზალი და როცა ჩაქრა, როცა ირგვლივ სიბნელემ დაისადგურა, სერაპიონს ისეთი გრძნობა შეექმნა, თითქოს ქვეყანამ მხარი იბრუნა და დილით მზე აღმოსავლეთიდან კი არ ამოვა, არამედ დასავლეთიდან. ილარიონი და ბასილი ფეხზე წამოდგნენ და იმ ბორცვს გადახედეს, სადაც იოანე ათევდა ღამეს ლოცვაში. იოანეს კანდელი ისევ ისე ენთო და ჩაქრობას არ აპირებდა. „ღმერთო სახიერო, იყოს ნება შენი“ — წაიჩურჩულა სერაპიონმა და გაჭირვებით წამოდგა ფეხზე.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა კვაჭანტირაძე

# „მე ჩემს საკუთარ შენობას ვაგებ“...

> „მე უფრო დიდი ვარ და დიდი რამისთვის შობილი, ვიდრე მსახურებაა ჩემივე სხეულის მიმართ“ (სენეკა).

„აი, რა არის ყველაზე ძნელი ამ ქვეყნად: ჩააყენო მთელი შენი ინტელექტი და შემოქმედებითი უნარი — სამსახურში“. პოლ ვალერის ეს სიტყვები ჩემს წარმოდგენაში გურამ გეგეშიძის შემოქმედებითი პორტრეტის გრაფიკულ მონახაზს ქმნის. გურამ გეგეშიძის „სამსახურს“ ახასიათებს უაღრესი სიცხადე მიზნისა, რაც მოქალაქისა და შემოქმედის გარკვეული ზნეობრივი ტრადიციის დამკვიდრებას გულისხმობს. სწორედ ამ გზაზე ვხვდებით „ცოდვილის“ გმირის სულიერ ასკეტიზმს, თარხუჯ გურამიშვილის ხასიათის სიმტკიცესა და ზომიერებას („სტუმარი“), ვრცელი ისტორიული რომანის („ხმა მღაღადებლისა“) გმირთა დასანგრევად განწირულ ზნეობრივ გუმბათებს. „ჟამის“ გმირთან ეს გზა მაინც ინარჩუნებს ზნეობრივი ტრადიციის მნიშვნელობას, თუმცა ამჯერად განუხორციელებელ, გაუზიარებელ ზნეობრივ პოტენციასთან გვაქვს საქმე.

გ. გეგეშიძის პროზის გარეგნულ სახეს ქმნის სისადავე და სიმშვიდე ფორმისა, ერთგულება ქართული სინტაქსის ტრადიციისადმი. ამ ტრადიციის მეშვეობით მხატვრული აზროვნება უკავშირდება ადამიანის სულის ულრმეს ფენებს, მის ფსიქოლოგიურ და ეროვნულ გენეზისს. გ. გეგეშიძისათვის აზრი აუცილებელი, შეუცვლელი ჟესტია, ხოლო ზომიერება და სისადავე — ინტელიგენტური გემოვნებისა და სტოიკური ცხოვრების წესის განუყოფელი ერთიანობის ფორმა.

გურამ გეგეშიძის მხატვრული სამყაროს „შინაგან ცხოვრებას“ ადამიანები და პრობლემები ქმნიან, საერთოდ, პრობლემატურობა მისი შემოქმედების უმთავრესი ნიშანია. გ. გეგეშიძის ზნეობრივი კონცეფციის საფუძვლია ბრძოლა ადამიანის შინაგან არსსა და იმ მდგომარეობას შორის, რომელშიც ის ბედისწერის ნებით არის ჩაყენებული და რომელიც, ადამიანის წინააღმდეგობის მიუხედავად, განსაზღვრავს და წარმართავს მისი ცხოვრების გზას. გურამ გეგეშიძის მხატვრულ სისტემაში ეს საკითხი განუყოფლად უკავშირდება ეროვნული ხვედრის, ერის ისტორიისა და მომავლის გააზრების პრობლემას.

„ბედი — ეს არის შენი შინაგანი ბუნება“, — ამბობს „ცოდვილის“ გმირი. ვამეხ გურამიშვილს საკუთარი ბედისწერის საზღვრების დადგენა სწადია. ამიტომ მარტოოდენ ზნეობრივი მოღვაწის როლი (იგი ერთგვარ სამართლიანობის ადეპტად ევლინება პროვინციულ ქალაქს), ვერ აკმაყოფილებს მის შინაგან ბუნებას. მინდვრის ბატონის საბრძანებლისაკენ ლტოლვა ბედისწერის თანხმობის მოპოვების სიმბოლურია აქტია მისი ცოდვიანი სიცოცხლის უფლებაზე. კლდეზე ასვლა ბედისწერის გამოწვევაა, მისი ყრუ სიბნელიდან შუქის დანახვის წადილი. ვამეხ გურამიშვილი ეძებს კავშირს და თანხმობას იმ გზაზე, სადაც იგი არაა საგულვებელი. მისი ცოდვის სასჯელი შინაგანი, ზნეობრივი სფეროს საზღვრებშია საგულვებელი და არა გარეთ, ბედისწერის გზებზე: „ყოველი, რომელმან ჰქმნა ცოდვა, მონა არის იმა ცოდვისა“. გ. გეგეშიძის მსოფლშეგრძნებაში ეთოსი არ უკავშირდება გარეგან დეტერმინაციას, იგი უარყოფს ადამიანის ზნეობის კანონმდებელ ყოველგვარ გარეშე ძალას.

ვამეხ გურამიშვილი სიცოცხლის ძახილს უხშობს ყურს და ამისათვის ისჯება კიდეც. სწორედ მაშინ ილუპება, როცა ჭეშმარიტება მოდის მასთან და თან სიცოცხლის უსაზღვრო წყურვილი მოაქვს: „ერთბაშად გაირბინა ყველაფერმა თვალწინ და ისევ იგრძნო, რომ ვერ

ავიდოდა ამ კლდეზე. უბრალოდ შეუძლებელი იყო ამ კლდეზე ასვლა და არც არავითარი აზრი არა ჰქონდა“.

ადამიანების ნების თავისუფლებისა და ბედისწერის ურთიერთმიმართების ეს ნათელი კონცეფცია გ. გეგეშიძის შემოქმედების შემდგომ ეტაპებზე ტრაგიკულ ელფერს იძენს: ეთიკური არჩევანის განხორციელების ასპარეზი „ხმა მღაღადებლისაში“ ილუზიადაა ქცეული, „ჟამში“ იგი განადგურებულია.

გ. გეგეშიძის ნაწარმოებების სიუჟეტს წარმართავს არა ინტრიგა, არამედ შემთხვევა. ინტრიგა, რომელიც ადამიანის გამიზნული მოქმედების სფეროდან იღებს დასაბამს, ადგილს უთმობს შეუცნობელი მიზეზისაგან აღმოცენებულ ბრმა, აუხსნელ შემთხვევას. ესაა გ. გეგეშიძის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის მხატვრული ადაპტაცია, გავიხსენოთ ნესტორ ვარდანიძის ცხოვრების გზა („ხმა მღაღადებლისა“). ყურადღება მივაქციოთ შემთხვევას, რომელიც შეუბრალებლად ამსხვრევს მის მიზნებსა და მისწრაფებებს. გ. გეგეშიძე იყენებს მისი ესთეტიკური პოზიციისათვის ნაკლებად დამახასიათებელ სიუჟეტურ ხერხს: მკითხველის ცნობისმოყვარეობა იმპოზანტური, პიკანტური ამბით ღიზიანდება. ამ ხერხის მოულოდნელობა, უჩვეულობა იმ ტიპის მწერლისაგან, როგორიც გ. გეგეშიძეა, ნესტორ ვარდანიძისა და რაია რაევსკაიას შორის მომხდარი ინციდენტის მხატვრულ-აზრობრივი ფუნქციის გააზრებისაკენ გვიბიძგებს: ადამიანის ფიზიკური არსის მოულოდნელი „გაბოროტება“, გაუთვალისწინებელი, ალოგიკური შემთხვევითობის ბნელი, შეუცნობელი ძალა საბედისწეროდ ცვლის ცხოვრებისეულ მოვლენათა მსვლელობას. ამგვარი ახსნა ბედისწერის გავლენის სფეროთა სიღრმეში გვახედებს და მისი მოქმედების რთულ, ყველგანშემღწევ მექანიზმზე ჩაგვაფიქრებს.

სიცოცხლის გაუცნობიერებელი ძალა უსაფრდება ადამიანს „აპრილშიც“. უჯანყდება და ღალატობს საკუთარი სხეული. ბედისწერა ცრუ მოქმედების არეს გადაუშლის: სხეულის ძახილს მიჰყვება გონებაზე ორიენტირებული კაცი. იძინებს ზნეობა და ვხედავთ საბედისწერო სურათს: ნათელი, სიხარულის მომტანი ვნება როგორ იქცევა ძალმომრეობის უზნეო აქტად და როგორ მიერეკება კაცს სიკვდილისაკენ; ამ მუდმივი ღალატით დაღლილი, გაწამებული და ღირსებააყრილი კაცი როგორ ქმნის საკუთარ თავს ბოლო წამს, როცა ბედისწერის დევნისაგან შეურაცხყოფილი, საკუთარი არსებობის სირცხვილისაგან გაბეზრებული, ტყვიის შესაგებებლად შედგება; რა უმწეოა ადამიანი სულისა და ხორცის ამ გაურკვეველ, ბუნებით მისჯილ ქაოსში და რამდენად მეტია მაინც ამ ბუნებაზე, რადგან შეუძლია საკუთარ თავს თვითონვე გამოუტანოს განაჩენი: „და უეცრად მობეზრდა სირბილი..., ისე რცხვენოდა საკუთარი თავის, რომ აუტანლად შეეზიზღა არსებობა...“

ბედისწერის იდეის განვითარების დასაწყის ეტაპზე იგი ჯერ კიდევ შეიცავს მოუსყიდველობის, დაუინტერესებლობის ეთიკურ მარცვალს. იბადება აზრი მასთან კონტაქტისა („ცოდვილი“), მისგან პასუხის მიღებისა („სტუმარის“ წინასწარმეტყველური სიზმარი).

ბედისწერის იდეის განვითარების შემდგომ ეტაპებზე თანდათან მჟღავნდება ბედისწერის ულმობელი, ბოროტი არსი. ბედისწერა წარმოგვიდგება რეალობად, რომელიც არავითარ აზრს არ გამოასხივებს. მას არ ახლავს არავითარი ნაპერწკალი, შუქი სინათლისა: „განუწყვეტელ წყვდიადს ყველაფერი გაეერთიანებინა, კონტურები წაეშალა და ბნელ მთლიანობაში ქცეული კიდით-კიდემდე განფენილიყო“ („ხმა მღაღადებლისა“).

აქედან მოდის გ. გეგეშიძის დაჟინებული ხეტიალი აზრის ლაბირინთებში, ხანდახან სკეპტიკოსის ირონიაც საკუთარი მსჯელობებისადმი, აქვე იბადება შეურიგებელი, ყრუ სიძულვილი ბედისწერის სიბნელის, მისი ფატალური ულმობლობის მიმართ, რომელიც იდეის განვითარების ბოლო ეტაპზე განსაკუთრებული ძალით იჩენს თავს („ჟამი“). თუკი ჭეშმარიტება მართლაც „ვნებით მიიწვდომება“, გ. გეგეშიძისათვის ესაა აზროვნების დაუოკებელი ვნება, რომლითაც იგი ბედისწერის ყრუ სიბნელეში იმედისა და რწმენისთვის ათავისუფლებს ადგილს.

რომანში „ხმა მღაღადებლისა“ ზნეობრივი სფერო თანდათან კარგავს შეუვალობას და მისი ავტონომიის იდეა ილუზიური ხდება. ბედისწერა შეაბიჯებს ადამიანის შინაგან არსში და ადამიანი იხლიჩება იმად, რაც „ის სინამდვილეში არის და იმად, რაც იძულებულია იყოს ბედისწერის ნებით“. არსებითად, აქედან იჭრება ტრაგიზმი გ. გეგეშიძის მხატვრულ სისტემაში. ბედისწერის იდეა კარგავს განგების აზრს, დაუინტერესებლობის, მოუსყიდველობის გაგებას და იქცევა ხვედრად, რომელიც საზოგადოებისა და ადამიანის პასიური მორჩილების შინაარსს შეიცავს.

გ. გეგეშიძის მხატვრულ სამყაროში ადამიანის შინაგანი არსის ეს რღვევა ჩვეული ნიშანია, ამავე დროს ერის, საზოგადოების სულიერი ცხოვრების საერთო მახასიათებელიცაა. ბედისწერის იდეის იმგვარი გააზრება, როცა ეთოსი, ზნეობა ადამიანის ბედისწერად ცხადდება („ცოდვილი“), გ. გეგეშიძის მსოფლმხედველობრივ-მხატვრულ სისტემაში თანდათან ყალიბდება საკუთარ ფასეულობებზე ორიენტირებულ, რწმენაგამოცლილ ცალკეულ პიროვნებათა ინდივიდუალურ აქტივობად („ჟამი“,

„ხმა მღაღადებლისა“). ბედისწერის იდეის მთლიანობა ირღვევა და მის ადგილს გაუხამსებულ ყოფასთან მორგებული ინდივიდუალური თეორიები იკავებენ: „განგება თავის თარგზე აწყობდა კაცთა ცხოვრებას და ასეთი ცხოვრება ბრმა და უსამართლო, დანგრევის ღირსი იყო. ულმერთობა სჯობდა უსამართლო ღმერთის რწმენას, ულმერთობა უდიდეს თავისუფლებას ანიჭებდა ადამიანს, ყველაფერს დასაშვებს ხდიდა, უკარგავდა შიშს ზღვევისას, რადგან ულმერთოდ წარმოდგენილ წუთისოფელში სიცოცხლე წამიერი გაელვებაა, გაუგებარი და უნუგეშო, რომელიც სიკვდილით წყდება, თავდება სამუდამოდ, მკვდარს კი არაფერი მოეკითხება“.

ეს ეტაპი ბედისწერის იდეის განვითარების ისტორიაში, ს. ავერინცევის სიტყვით, „უკვე მოიაზრება როგორც ყოვლისმომცველი და გარდუვალი დეტერმინაცია, როგორც ფატუმი, გაუცხოებული ინდივიდის კონკრეტული ყოფიერებისაგან. ფატუმისაგან თავის დაღწევა ისევე შეუძლებელია, როგორც მსოფლიო იმპერიის ადმინისტრაციისაგან (იგულისხმება რომის იმპერია — მ. კ.). ადამიანისა და ერის არსებობის შინაგანი ფორმით იგი ისევე ნაკლებად ინტერესდება, როგორც ცეზართა ხელისუფლება. ადამიანი იხლიჩება იმად, რაც ის სინამდვილეში არის და იმად, რაც იძულებულია ბედისწერის ნებით „იყოს“.

ამგვარი ვითარება პირველად „სტუმარში“ ჩნდება. „მასპინძლების“ ამაო ფუსფუსი, გამუდმებული წვალება და წადილი სხვა არაფერია, თუ არა მარადისობიდან ერთი წამის წაგლეჯის ულირსი სურვილი, სამყაროს გათავისების მცდარად გადაჭრილი პრობლემა: „რატომღაც მოღალატეებად მეჩვენებოდნენ ყველანი... სუყველანი რაღაცაში დაბნეულიყვნენ, თითქოს ცხოვრების სწორი გეზი დაეკარგათ“. საზოგადოებრივი მორალის რღვევის საშიში ტენდენცია მწერალს კარნახობს, ადამიანებს შეახსენოს უნივერსალური ზნეობრივი კანონი, რომლის მიხედვით ეთიკური უპასუხისმგებლობა ღალატია და სასჯელს იმსახურებს. ბედისწერის განვითარების ამ ეტაპზე გ. გეგეშიძის სამყაროში ჯერ კიდევ არსებობს ზნეობის სადარაჯოზე მდგარი უზენაესი ღვთაების რწმენა. ამ რწმენის დასტურია „სტუმრის“ სოციალურ-ეთიკური ვითარების ავტორისეული შეფასება, რომელიც მოუსყიდველი განგების განაჩენის ეღერადობას იძენს: „...რამეთუ აღსდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფება მეუფებასა ზედა და იყვნენ სიყმილნი და სრვანი და ძვრანი ადგილდ ადგილდ. ხოლო ესე ყოველი დასაბამი სალმობათა არს... და მაშინ დაბრკოლდებოდიან მრავალნი და ურთიერთას შინა გასცემდნენ და სძულობდნენ ერთურთას. და მრავალნი ცრუ წინასწარმეტყველნი აღდგნენ და აცთუნებდნენ მრავალთ. და განმრავლებითა უსჯულოებისაითა განხმეს სიყვარული მრავალთა. რამეთუ იყოს მაშინ ჭირი დიდი, რომელი არა იყო დასაბამიდგან სოფლისაით ვიდრე აქამომდე, არცა ყოფად არს... რჩეულთა მათთვის შემოკლდნენ დღენი იგი (მათე, 24, 6-12., დაყოფა ყველგან ჩვენია — მ. კ.).

„სტუმარში“ ბედისწერის გაგება ჯერ კიდევ არ გამორიცხავს პიროვნების თავისუფლებას, ზნეობრივ არჩევანს: „უნდა გავეცალო ამ სიბინძურეს, ამ გადაგვარებულ ადამიანებს... უნდა დავუბრუნდე ბუნებას, ყველა უნდა დაუბრუნდეს ბუნებას, უნდა აღსდგეს გამწყდარი კავშირი, რათა მთლად არ დაიკარგოს ის მცირედი, რაც განგებას მოუცია ჩემთვის, უბრალოდ და უშუალოდ უნდა ვიცხოვრო, არ უნდა ვეპოტინო არა საჭიროს, არა აუცილებელს, ჩემს მიერვე გამოგონილს“.

„ხმა მღაღადებლისაში“ უზენაესი ზნეობრივი კანონი უკვე ირღვევა. ბედისწერა ეუფლება ადამიანს, დროს, სივრცეს. იგი „ახლოსაა“ და თავის ნებაზე ათამაშებს ისტორიას, საზოგადოებას. იგი მეზობლის მკვლელი, ბავშვის გამყიდველი, მოღალატე გლახუნა უნდილაძის პირით მეტყველებს და უკვე ფესვგადგმულ საზოგადოებრივ უზნეობაზე მიგვითითებს „მეიცადეთ პატარა ხანს და უარესსაც გეიგებთ“ — ამბობს იგი და „ჟამში“ ამ უარესსაც ვხედავთ: კაცს საბელმოდებული დედა გასაყიდად მიჰყავს ბაზარზე.

თუ „ჟამის“ მეტაფორას გავხსნით და ინვექტივასაც მისაღებად ჩავთვლით, ნათელი გახდება, რომ 70-80-იან წლებში გამოქვეყნებულ ქმნილებებში საზოგადოების სულიერი ცხოვრების არსებითად ერთსა და იმავე სურათს ვხედავთ. საზოგადოების სულიერი ვითარება მხოლოდ „კალეიდოსკოპურ ცვლილებებს“ განიცდის და არა არსებითს. „სტუმრისა“ და „ჟამის“ ესქატოლოგიური განწყობილება ადამიანის გამქრალი ზნეობის, მისი მთვლემარე ღირსების გაღვიძებისკენაა მიმართული: „ჩემი ხალხი არც იბრძოდა და არც საერთო მიზნები გააჩნდა. ეს ხალხი უბრალოდ არსებობდა“...

„ხმა მღაღადებლისაში“ ბედისწერა ჯერ კიდევ ინარჩუნებს ერთგვარ მიუდგომლობასა და დაუინტერესებლობას. იგი ჯერ ისევ სჯის ბოროტს ბოროტის ქმნისათვის (გლახუნა უნდილაძე), თუმცა კეთილსაც სჯის (ნესტორ ვარდანიძე). პირველი ზნეობის უზენაესი კანონის აღსრულების აქტად გვევლინება, მეორე — სოციალური წიაღიდან აღმოცენებული ბედისწერის სიბრმავის შედეგად. ამ დაძაბულ ველში ბოროტი ბედისწერა ჯერ კიდევ არ დაუფლებია მთელ სივრცეს, მას ჯერ კიდევ არ შეუგდია ადამიანი აბსოლუტური მარტოობის

გზაზე. იგი „აცლის“ მიხაკო ნიგურიანს, თუმცა მისი ცხოვრება „ვერ შედგომის“ წინასწარგანწყობას ქმნის. „აცლის“ იგი იასე ნიგურიანსაც, ამბაკო უნდილაძესაც, რადგან მათი მოსვლის ისტორიული კანონზომიერება ბედისწერის მიერ ჩაფიქრებული აქტია, მისი უხილავი მიზნების არეალში შედის. უზენაესი განგების იდეა „ხმა მღაღადებლისაში“ უკვე ტრანსფორმირდება ბოროტ ბედისწერად, ფატუმად. ადამიანის მსგავსად ბედისწერის იდეაც იხლიჩება იმად, რაც ის არის თავის თავში და იმად, რაც ის ვითარების გამო „იძულებულია იყოს“.

„ხმა მღაღადებლისაში“ ჯერ კიდევ არსებობს ადამიანური არსის რწმენა („ვითარებანი არსს ვერ ცვლიან“).

„ჟამში“ ადამიანური არსის შეურყევლობის გაგება დარღვეულია: „ყველას ერთი არსი მოგვეცა, ერთი მუხტით ვართ დამუხტული და თუ ასეა, ცუდი და კარგი კაცი არ არსებობს. მხოლოდ ცუდი და კეთილი ვითარებანი არსებობენ, რომელნიც გარკვეულ თვისებებს აღვივებენ ჩვენს არსში და გარკვეული შემთხვევების წინაშე გვაყენებენ. მხოლოდ კეთილი და ბოროტი ბედისწერა მოქმედებს ალბათ, რომელიც ჰყოფს და ანსხვავებს ადამიანებს კეთილებად და ბოროტებად. საუკეთესო კაცს განგება ისეთ რამეს შეამთხვევს, თუ დასჭირდა, ყველაზე უარესად გადააქცევს“.

„ხმა მღაღადებლისაში“ დრო მდინარესავით მოედინება და თავის დინებაში ითრევს ვარდანიძეებსა და ნიგურიანებს. დროის დინება ბედისწერის სვლაა — წინაღუდგომელი და ულმობელი. ადამიანის მთელი ცხოვრება ბედისწერის დაღითაა აღბეჭდილი. რომანის მხატვრული დრო რეალურ დროს უახლოვდება.

რომანის მდორე დინებაში ზნეობრივად ინტენსიური „მცირე სამყაროები“ ფეთქდება; ინგრევა ის „ზნეობრივი გუმბათები“, რომელთა შესახებ შემდეგ „ჟამის“ გმირი იტყვის: „როცა მრევლს მაღლა ახედვა არ უყვარს და აზრადაც არ მოსდის, იქ გუმბათის მოხატვა საჭირო არც არის“. მათი აფეთქების ძალა გამოუყენებელი რჩება და უკვალოდ იკარგება. არაფერი არ რჩება არც ნესტორ ვარდანიძის პატრიოტული ძალისხმევისაგან, არც ვენე ნიგურიანის რომანტიკული ოცნებებისა და შემოქმედებითი ვნებისაგან, არც კონსტანტინე ნიგურიანის სიყვარულის „ზეგარდმო ნიჭისაგან“. ყველაფერი სულიერებასთან და სიკეთესთან წილნაყარი, შეუბრალებლად იმსხვრევა. რეალიზების გარეშე დარჩენილი, განუხორციელებელი ზნეობრივი პოტენცია იმ საზოგადოების ტრაგედიაა, რომელშიც სიკეთის მაღლი არავის ეფინება და რომელშიც ზნეობის თესლი არასდროს არ ღვივდება: „მხოლოდ სიკეთე იყო ჭეშმარიტება, რომელიც აკლდათ ამა სოფლის მკვიდრთ, ვერ ხედავდნენ მას, შეიძლება არც სწამდათ იგი...“

ბედისწერა თიშავს და აკავშირებს ადამიანებს, ბედისწერის მეგზური ამ ცოდვის ტრიალში თავისუფლებადაკარგული, ზნეობრივ სივრცესა და გასაქანს მოკლებული, ამაოებაში მოფუსფუსე ადამიანია, ვისთვისაც „ნაძრახი სიცოცხლე არსებობის ფორმა გამხდარა“. ცხოვრების ასპარეზზე მხოლოდ მიხაკო ნიგურიანი შერჩება საკუთარ თვისტომზე მზრუნველი, იმ ეთიკური ტრადიციის განმაახლებელი, რომელიც მისი ხალხის, მისი ეროვნული არსებობის შინაგან ფორმას წარმოადგენს. მიხაკოს ცხოვრება „სტუმრისა“ და „ცოდვილის“ მთავარი გმირების ზნეობრივი და ზომიერი ცხოვრების წესის გამოძახილია. მიხაკოს „ბედიც სწყალობს“, რადგან მის შინაგან ბუნებასა და ცხოვრების წესში შეცნობილი აუცილებლობის გონივრული გამოყენების დიდებითი შესაძლებლობებია განხორციელებული. გ. გეგეშიძის მსოფლშეგრძნებაში ამ შესაძლებლობების რწმენა ყოველთვის არსებობს.

ვინ აგებს პასუხს ადამიანის მოქმედებაზე? — აი, ის ძირითადი და ურთულესი პრობლემა, რომელსაც გ. გეგეშიძე თავის ისტორიულ რომანში აყენებს და რომლის გადასაწყვეტად ძირფესვიანად ატრიალებს და ათვალიერებს თავისი გმირების ეთიკურ-ზნეობრივ არსს, იმ ლოდებსა და კენჭებს, ცხოვრების გზაზე მიმავალ კაცს ფეხს რომ წამოაკვრევინებს ხოლმე და ხანდახან წამოაჩოქებს კიდეც. ყველაფერი, რაც გ. გეგეშიძის გმირებს ამ გზაზე ხვდებათ, ბედისწერის მიერ დაგებული ფანდია, მათი ადამიანობის გამოცდა — დასტური ან უარყოფაა: „უჩინარი გზებითა და გამოუცნობელი კანონებით მიჰყავდა განგებას ყოველი არსი თავის დანიშნულების ბოლო ზღუდემდე“.

„ხმა მღაღადებლისას“ გმირები მწერლის გარკვეულ სოციალურ-ზნეობრივ იდეას განასახიერებენ. რომანის სოციალურ-ისტორიულ შინაარსს სწორედ ამ იდეათა ურთიერთმიმართება და წინააღმდეგობა ქმნის, გმირთა დახასიათებისას აქცენტირებულია მათი ხასიათის ეთიკური მხარე და ეროვნული პოზიცია. მწერლის ხმის ტონალობის განსაზღვრისას სწორედ ისინი ასრულებენ გზისმკვლევის ფუნქციას.

80-იანი წლებიდან გ. გეგეშიძის შემოქმედებაში ღრმავდება ადამიანისა და ერის თავისუფლების შინაგანი და ბედისწერით განსაზღვრული მიჯნის ძიება. „გაბოროტებასთან“ ერთად ბედისწერის იდეა სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში“ „ჩამოდის“ და საბოლოოდ იცილებს შეუცნობლობის, იდუმალების, დაუინტერესებლობის საბურველს. ამასთან დაკავშირებით საბოლოოდ იკვეთება შეცნობილ აუ-

ცილებლობასთან ადამიანის დაპირისპირების კონცეფცია.

„ჟამში“ ბედისწერა აშკარად უპირისპირდება ადამიანს, იგი—ბრმა და უგრძნობი — „ჟამში“ უკვე ბოროტია. ეს კონცეპტუალური ცვლილება უმალ აისახება მწერლის მხატვრულ აზროვნებაში. ენობრივ ქსოვილში დაუყოვნებლივ ჩნდება „ბოროტის“ ეპითეტი. გავიხსენოთ: „მხოლოდ კეთილი და ბოროტი ბედისწერა მოქმედებს ალბათ“. „ჟამში“ უკვე ჩაკეტილი, გამოუსვლელი, გაუშლელი დრო და სივრცეა. მსოფლმხედველობრივად ესაა მფრინავი წამი, ბედისწერის ულმობელი მსვლელობის ერთი მომენტი, ერთი მონაკვეთი. მოთხრობის მხატვრულ სხეულში ესაა შეჩერებული, გაყინული, შედედებული დრო. ბედისწერა კრიჭაში უდგას დროს, ცხოვრებას, ულმობლად კლავს და ანადგურებს მას.

ვხედავთ: ყველაფერს ალმური ასდის. გვესმის: გმირის აჩქარებული, სულშეხუთული საუბარი. იგი სიტყვის მოსწრებას ჩქარობს. თხრობის რიტმი თითქოს ცხოვრების რიტმს იმეორებს. ესაა განუკითხავი, სადავემიშვებული ბედისწერის ჰენება, ადამიანისათვის დაკარგული დრო, განწირული სრბოლა სიკვდილისაგან და ჟამისაგან. ჩნდება განცდა ვერ გასწრებისა, ვერ ახდენის, ვერ მოსწრების. ამ მისწრაფებისა და ვერშეძლებისაგან ყველაფერი განწირულების ხვატში ინთქმება. ადგილი, სადაც შეიძლება შეყოვნება — ჯურღმულია; მოქმედება, რომელსაც აზრი აქვს — დუმილი; სამარე, ხარო, ბლანტი წყვდიადი ამ არსებობის სინონიმებია. დუმილი და აბსოლუტური მარტოობა „ჟამის“ გმირისათვის სამყაროსთან კომუნიკაციის თავისებური ფორმაა. ორმოში ჯდომისას იგი ბედისწერის სიბნელიდან რწმენის სფეროში შეღწევას ცდილობს...

მოქმედების, სიტყვის დინამიკა ქმნის უფსკრულის სიახლოვის წინათგრძნობას — ესაა არარსებობის უფსკრული. ეს გაწელილი წამი — მოთხრობის დრო — ფასეულობათა გაუფასურების, ადამიანის ღირსების განწირული ბრძოლისა და მარცხის, უზნეობის მანიფესტაციის, ადამიანური არსის კვდომის წამია. ფრაზა შეიცავს ძლიერ ემოციურ ინფორმაციას — სიძულვილს, გულგატეხილობას, გალიზიანებასაც კი... ამ ემოციურ გრიგალში გამუდმებით იბადება ეთიკური რეფლექსია. „ჟამის“ სიმართლე გულისწყრომით შეზავებული სიმართლეა, ულმობელი, პირში მოხლილი სიმართლე, ინვექტივა, მათრახიც, თუ გნებავთ. სტილში გაცხადებული მწერლის ამოცანა შესრულებულია: იგი კოშმარის შეგრძნებას ბადებს.

ჟამი და ბედისწერა მოთხრობის კონტექსტში — სინონიმებია. „ჟამი“ დროის სინონიმიცაა და პრედიკატიც ერთსა და იმავე დროს. ეს ფაქტი მოვლენათა განსაკუთრებულ დამთხვევაზე, თავშეყრაზე მიგვითითებს: ვითარების შინაგანი სული სიტყვიერ ფორმაშიც გამოაღწევს.

ბედისწერის იდეის ტრანსფორმაციის ეს საფეხური შეცვლის, გარდაქმნის აუცილებლობასაც გულისხმობს. ბედისწერის წყვდიადში ხმიანობს განწირული შეძახილი: „სად არს, სიკვდილო, საწერტელი შენი? სად არის, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?“. „ახალი აღთქმის“ მიხედვით ეს სიტყვები განახლების რწმენაა: „აჰა, ესე რა საიდუმლოსა გითხრობ თქუენ: ყოველთავე უკუე არა შევისუენოთ, ხოლო ყოველნივე განვახლდეთ.. მაშინ აღესრულოს სიტყუაი იგი წერილისაი: დ ა ი ნ თ ქ ა ს ი კ უ დ ი ლ ი ძ ლ ე ვ ი თ ა (იგულისხმება: ესაია 35,8 — მ. კ.)... ამიერითგან, ძმანო ჩემნო საყუარელნო, მტკიცე იყვენით და შეურყეველ და ჰმატებდეთ საქმესა უფლისასა მარადის; უწყოდეთ, რამეთუ შრომა ეგე თქუენი არა ცუდად იყოს უფლისა მიერ“ (კორინთელთა I, 15, 51-58).

ამ ბიბლიური წინასწარმეტყველებით გ. გეგეშიძის სამყაროში წამიერად იჭრება უზენაესი განგების სამართლიანობის იმედი, პოლ ვალერის სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის „რეფლექსური, კურთხეული უნდობლობა... სკეპტიციზმი ყოვლწამიერი და წარუვალი ბოროტების მიმართ სამყაროში... იმედი რომ არა, ინდეტერმინაცია იქნებოდა ყოველგვარი აზროვნების ზღვარი“. იგი იმ ზარს მიაგავს, ჩაქცეული ეკლესიებისა და დახოცილი ბერების სამყოფელში ჯიუტად რომ რეკს: „მაინც რეკდნენ, ალბათ ასე იყო საჭირო“ („ჟამი“).

ბედისწერისა და ადამიანის ურთიერთმიმართება გ. გეგეშიძეს ესმის როგორც დაპირისპირება და არა მორჩილება. რა უპირისპირდება ბედისწერას გ. გეგეშიძის მსოფლშეგრძნებაში? ადამიანის ზნეობა და აზრი. ზნეობისა და აზრის მილმა ის ვერ ხედავს საყრდენს. ესაა ადამიანური მოღვაწეობის ის სფეროები, რომლებშიც პიროვნება თავს ითავისუფლებს გარდუვალი დეტერმინაციისაგან. ზნეობა ეროვნული არსებობის საძირკველიცაა და შეუცნობელთან ადამიანის ჭიდილის საჭილდაო ქვაც. საკუთარი მიწა მარტოობის, ბედისწერის, სიკვდილის წინაშე ადამიანის თავშესაფარია, იმედის კოშკი, კაცური ზრახვის, ვნების, სიცოცხლის ასპარეზი. გ. გეგეშიძის მსოფლშეგრძნებაში „სამშობლო მიწიერი ღმერთის ტოლფასია“ („ხმა მღაღადებლისა“).

„ჟამის“ გმირის ლტოლვა, აუცილებლობის შეცნობის გზით მიაღწიოს თავისუფლებას, განუხორციელებელია. ეს გზა არსაით არ მიდის, რადგან ჟამის ვითარება გამორიცხავს ზნეობრივი ქმედების თავისუფლებას, რომელიც ადამიანურ შემეცნებას მარადიული არსებობის

პირობად ესახება. „სტუმარში“ ადამიანის მოქმედებისათვის, არჩევანისათვის არსებობს ასპარეზი. იგი გმირის ცხოვრების სტოიკურ წესში — ბუნებასთან მიბრუნებასა და ზნეობრივი მოვალეობის უდრტვინველად შესრულებაში გამოიხატება. ასპარეზი რჩება „ხმა მღაღადებლისაშიც“ — უპირატესად ესაა ასპარეზი ილუზიური (ნესტორ ვარდანიძე), მაგრამ რეალურად განხორციელებულიც (მიხაკო ნიგურიანი). „ჟამში“ ილუზიაც გამქრალია. თავისუფლების ხმა, ადამიანის ზნეობის ძახილი ჟამიანობაში იქცევა ცარიელ ხმად, — „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. სივრცე შეკრულია, კომუნიკაციები დარღვეული, საორიენტაციო ფასეულობები გამქრალი: „ახლა აღარსად აღარაფერი არ გამაჩნდა და რატომ იყო ჩემი ეს ქვეყანა, არ ვიცოდი, თავისუფალი ვიყავ ვით ტყის ნადირი“.

იდეა რწმენისა და მორალისაგან დაცლილი აქტივობისა, როგორც ბედისწერის საპირისპირო მოცემულობა ადამიანში — გ. გეგეშიძისათვის არაეთიკურია. შინაგანი თავისუფლება აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს ზნეობას — სხვაგვარ გზას თავისუფლების განხორციელებისას გ. გეგეშიძის ადამიანის კონცეფცია არ ცნობს. „ჟამის“ გმირი უარს აცხადებს ამგვარ თავისუფლებაზე, რადგან ჟამი ძალით ახვევს თავს სწორედ „ტყის ნადირის თავისუფლებას“, ძალით ურღვევს და უსპობს ადამიანური ცხოვრების საკუთარ, შინაგან ეთიკურ ფორმას. „ტყის ნადირის თავისუფლებას“ იგი უპირისპირებს „საკუთარ სიმართლეს“. „საკუთარი სიმართლე“ ადამიანის ქცევის ნორმაა ჟამიანობაში. ესაა დაწმენდილი გონებით გაკეთებული არჩევანი, რომელიც ადამიანის შინაგან სიმართლეს — სინდისის ხმას შეესიტყვება და არა ვითარების გარეგან სახეს. გოგონას მკვლელობაა აქტი სინდისისა და გონების ხმაა; ელინთა ქვეყანაში გაქცევა — ვითარების გარეგანი სახის შესატყვისი მოქმედება. ჩაფრის მკვლელობა თანამოძმის ღირსების დაცვაა საკუთარი თავის გაწირვის ფასად, შეგნებული პროტესტი უსამართლო განგების მიმართ, „საკუთარი სიმართლე“. ძმის მკვლელობა — „ტყის ნადირის თავისუფლებაა“. „საკუთარი სიმართლე“ ჟამიანობაში ზნეობრივი ფასეულობების მონაცვლე რამაა, თავისებური საყრდენი ადამიანის ღირსებისა. „საკუთარი სიმართლის“ სახელით გმირი იხსნის პასუხისმგებლობას ცოდვაზე, რადგან ადამიანი „არ არის თავისუფალი, იგი იარაღია მხოლოდ და ამიტომ უნდა მოგვეტეოს“.

სულისა და სხეულის, ადამიანური არსისა და ვითარების ეს ტრაგიკული გათიშულობა „ჟამში“ მარადიულ, გადაუწყვეტელ ეთიკურ პრობლემად წარმოდგება. გავიხსენოთ ახალი აღთქმის „რამეთუ არა რომელი იგი მნებავს კეთილი, მას ვჰყოფ, არამედ რომელი იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ, ხოლო უკეთუ, რომელი — იგი მე არა მნებავს და მას ვჰყოფ, არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი — იგი დამკვიდრებულ არს ჩემ თანა ცოდვაი“ (წმ. პავლე, რომ. VII, 19-23).

„ჟამის“ გმირის გზა არის გზა საკუთარი თავის შეცნობისაკენ. ეს გზა იქით მიდის, სადაც ადამიანი საკუთარ თავს ეროვნული სულისა და სხეულის განუყოფელ ნაწილად შეიცნობს: „არსად არ წავალ, რა მინდა გალმა? შეიძლება იქ მართლა უკეთესია, მაგრამ ადამიანს თავისი მსგავსი ურჩევნია თავისზე უმჯობესს... იქ უნდა მოვკვდე, სადაც დავიბადე, ვიტანჯე და გული გამიტყდა“...

„ჟამის“ გმირი ილებს ალტერნატივას: იარსებოს თავისი ქვეყნისათვის, თვისტომთათვის, შეასრულოს ადამიანური მოვალეობა, რომელშიც ეროვნული შინაარსია ჩადებული. სწორედ ესაა შეცნობილი აუცილებლობით მოპოვებული თავისუფლება გ. გეგეშიძის სამყაროში. ესაა ბედისწერასთან ბრძოლის, ადამიანად ყოფნის ერთადერთი სწორი და განგებისაგან ხელდასხმული ფორმა. ამ მომენტში იგი ხორცშესხმული ენერგიაა, სწრაფვაა აზრისაკენ, იმედისაკენ, რწმენისაკენ. „რაგინდ დაქცეული, გადაგვარებული და უგუნური არ უნდა იყოს ჩემი ქვეყანა, როგორი ჟამიც არ უნდა მძვინვარებდეს აქ, მე მაინც ყველაფერს მირჩევნია იგი, რადგან მხოლოდ აქ ვგრძნობ თავს მყარად, აქ არის ჩემი ასპარეზი, აქ ცხოვრობს ჩემი ნათესავი და რაც ყველაზე მთავარია, აქ ისმის ჩემი ენა. თუ მე აქედან ახლოს შევხედე ჯოჯოხეთს, ვინ იცის, იქნებ ეს იმისათვის გამომადგეს, რომ ოდესმე ზეცის სიმაღლეს უკეთ გავუსწორო თვალი“.

გურამ გეგეშიძის გმირების გზა შინისკენ მიდის. ყველა უბრუნდება საკუთარ კერას, საკუთარ მიწას, საკუთარ სამოქმედო სივრცეს — ზოგი სიკვდილთან შესახვედრად, ზოგი გვარისა და ტრადიციის გასაგრძელებლად, ზოგიც ზნეობის ტვირთის საზიდად, მაგრამ სწრაფვა შინისაკენ — უცვლელია. ეს „შინ“ ადამიანურ არსში ზნეობაა, მისი შინაგანი ბუნება, „ადამიანის დანიშნულების ბოლო ზღუდე“. სივრცესა და დროში „შინ“ სამშობლოა, საკუთარი მიწა.

არარსებობის ორბიტაზე ადამიანი „შინ“ მიღებული საწვავით გადის. ამიტომაა, რომ გ. გეგეშიძესთან მარადიული პრობლემები, წყევლა-კრულვიანი კითხვები ესოდენ მჭიდროდ უკავშირდება ეროვნულს — არსებობის შინაგან ფორმას, გამოხატულს ეთიკურ ტრადიციაში, ყოფით წესში და, რაც მთავარია, ენაში. ესაა სწორედ ქვაკუთხედი იმ სულიერებისა, რომლითაც ადამიანის სიცოცხლე მარადიულ არსებობას უკავშირდება, საყრდენი, რომელსაც გ. გეგეშიძის ადამიანის კონცეფცია გვთავაზობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ერქომაიშვილი

# მეცნიერება, პოლიტიკა და ზნეობა

„ატომურმა ფიზიკამ ახლებურად დააყენა ფილოსოფიური, ეთიკური და პოლიტიკური პრობლემები".

ვ. ჰაიზენბერგი.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, რომლის ეპოქაშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არსებითად შეცვალა თანამედროვე ადამიანის ყოფიერების პირობები: შრომის პროცესი, ყოფა-ცხოვრება, ბუნებისადმი მიმართება, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, სამედიცინო მომსახურება, ომის წარმოება და სხვა თვისებრივად შეიცვალა. საზოგადოებამ მოიპოვა არნახული აღმავლობისა და პროგრესის მატერიალური საფუძველი. გაიზარდა მეცნიერების, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველების როლი, რომლის აღმოჩენების დანგრევამ სრულიად ახალი ეტაპი შექმნა ტექნიკის განვითარებაში. დღეს ტექნიკის ფუნქციონირება, მისი სრულყოფა და პროგრესი შეუძლებელია მეცნიერების გარეშე. ადრე თუ მეცნიერების გავლენა ტექნიკაზე სპორადულ და შემთხვევით ხასიათს ატარებდა, დღეს იგი აუცილებელი და კანონზომიერი გახდა. მათი განვითარება შეერწყა ერთმანეთს, რამაც შედეგად მოგვცა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია.

უდავოა ის გარემოება, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მატერიალურ წანამძღვარებს ქმნის. მაგრამ მას უარყოფითი შედეგების მოტანაც შეუძლია: მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ შეიქმნა ცივილიზაციის და, საერთოდ, სიცოცხლის მოსპობის საფრთხე. უპრეცედენტოა ის ვითარება, რომ დამოკლეს მახვილი ემუქრება არა ერთეულ ადამიანებს, ცალკეულ ხალხს ან რომელიმე რეგიონს მთლიანად, არამედ მთელ კაცობრიობას. ყოფნა-არყოფნის საკითხი ეხება არა მხოლოდ იმას, რასაც ადამიანმა რამდენიმე ათიათასეული წლის განმავლობაში გონებითა და შრომაგარჯით მიაღწია, არამედ იმასაც, რაც ბუნებამ მილიარდობით წლის განმავლობაში ევოლუციის შედეგად შექმნა. და ამის საშუალება ადამიანს მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ მისცა. მასობრივი მოსპობის საშუალებანი, ძრწოლა და შიში ხვალინდელი დღის გამო — გადარჩება თუ არა პლანეტა განადგურებას — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირმშოა. მის გარეშე არც ასეთი საფრთხე და მასთან დაკავშირებული შეშფოთებანი შეაწუხებდა ადამიანს. მიუძღვის თუ არა ბრალი მეცნიერებას? არის თუ არა იგი პასუხისმგებელი ამისათვის? ზოგიერთი თვლის, რომ მეცნიერება გულგრილია, ნეიტრალურია სიკეთისა და ბოროტების მიმართ. მას შეუძლია ერთიც და მეორეც მოუტანოს ადამიანს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ გამოვიყენებთ მის მიღწევებს. ეს უკვე პოლიტიკის საქმეა. ამიტომ — ასკვნიან ისინი — ბოროტებისა და სიკეთის ჭიდილში თუ რომელი გაიმარჯვებს, დამოკიდებულია არა მეცნიერებაზე, არამედ პოლიტიკაზე. პოლიტიკა და მხოლოდ პოლიტიკაა ყველაფერში დამნაშავე და ამდენად პასუხისმგებლობაც მას უნდა დაეკისროს. არის კი ასე მარტივად საქმე? მთელი სიმწვავით დგება პრობლემა მეცნიერების, პოლიტიკისა და ზნეობის მიმართების შესახებ.

გავაანალიზოთ კაცობრიობის ისტორიაში მომხდარი ყველაზე დიდი ტრაგედიის ფაქტი — ჰიროსიმისა და ნაგასაკის ატომური დაბომბვა, რასაც შედეგად მოჰყვა დაახლოებით 150 000 უდანაშაულო კაცის ცეცხლში დაფერფვლა. ტრაგიკულობას აძლიერებს ის გარემოება, რომ ადამიანის გონების და შრომის უდიდესმა

მიღწევამ — ატომური ენერგიის დაუფლებამ — პირველ რიგში ბოროტება და არა სიკეთე მოუტანა კაცობრიობას. ადამიანმა თავდაპირველად იგი გამოიყენა არა მშვიდობიანი, არამედ სამხედრო მიზნით. ვინ არის ამაში დამნაშავე? მოკლედ აღვადგინოთ ატომური ბომბის შექმნისა და გამოყენების ისტორია: XX ს. პირველ მეოთხედში ატომური ფიზიკის განვითარების შედეგად დადგინდა მიკროსამყაროსათვის დამახასიათებელი ფუნდამენტური კანონზომიერებანი. 30-იანი წლების ახალმა აღმოჩენებმა პრაქტიკულად შესაძლებელი გახადეს ატომური ბომბის შექმნა. 1932 წ. ინგლისელმა ფიზიკოსმა ჩედვიკმა ნეიტრონი აღმოაჩინა. ეს ის ნაწილაკია, რომლითაც შეიძლება ურანის გაყოფა. მას ატომის გასაღები უწოდეს. 1938 წ. გერმანელმა ფიზიკოსმა ოტო ჰანმა ურანის გაყოფა მოახდინა. ამის შემდეგ ფიზიკოსებისათვის ნათელი გახდა, რომ ატომური ბომბის შექმნა პრაქტიკულად შესაძლებელია. 1940 წ. პრეზიდენტმა რუზველტმა გასცა განკარგულება დაეწყოთ ატომურ ბომბზე მუშაობა. 1943 წ. პროექტის მეცნიერ ხელმძღვანელად დაინიშნა რობერტ ოპენჰაიმერი. 1945 წ. ივლისში წარმატებით ჩაიარა ატომური ბომბის გამოცდამ. პრეზიდენტ ტრუმენის განკარგულებით ამერიკელმა მფრინავებმა 1954 წ. 6 აგვისტოს ატომური ბომბით დაბომბეს ჰიროსიმა, ხოლო 9 აგვისტოს — ნაგასაკი.

ატომური ბომბის შექმნა და გამოყენება პოლიტიკური, მეცნიერული და ფიზიკური მუშაობის ერთიანი პროცესია, რომლის ძირითად მომენტებად შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: 1. მეცნიერებმა ატომურ ფიზიკაში აღმოაჩინეს ფაქტები და დაადგინეს ფუნდამენტური კანონზომიერებანი; 2. მეცნიერებმა დაარწმუნეს აშშ მთავრობა, რომ შესაძლებელია ატომური ბომბის შექმნა. პრეზიდენტმა რუზველტმა პროექტზე მუშაობის განკარგულება გასცა და გამოყო სათანადო სახსრები; 3. მეცნიერმა გამომგონებლებმა მოახდინეს თეორიული გაანგარიშებების ტექნიკური რეალიზაცია და შექმნეს ატომური ბომბი; 4. პრეზიდენტმა ტრუმენმა გასცა განკარგულება ატომური ბომბის გამოყენების შესახებ; 5. მფრინავებმა შეასრულეს ეს ბრძანება. მაშასადამე, ეს მომენტები ერთიანი ჯაჭვის რგოლებია: მეცნიერი აღმოჩენას აკეთებს, გამომგონებელი მის ტექნიკურ რეალიზაციას ახდენს, პოლიტიკოსი შექმნის დაკვეთას იძლევა, სახსრებს გამოყოფს და შედეგს იყენებს, ჯარისკაცი კი ბრძანებას ასრულებს. ყველას აქვს თავისი გამამართლებელი საბუთი. მფრინავს შეუძლია თქვას: მე ჯარისკაცი ვარ და ბრძანებას ვასრულებ. ტრუმენს შეუძლია თქვას. მე პოლიტიკოსი ვარ და მაქვს უფლება ომის შემთხვევაში მტრის მიმართ გამოვიყენო, ყოველი იარაღი, გარდა საერთაშორისო კონვენციით აკრძალული იარაღისა; გამომგონებელი იტყვის: როდესაც ატომური ბომბის დამზადების ტექნიკური შესაძლებლობა გაჩნდა, იგი უნდა გავაკეთო; მოწინააღმდეგესაც აქვს ამის შესაძლებლობა, და, რომ მან არ დამასწროს, მე ვალდებული ვარ მის შექმნაზე ვიზრუნო; მეცნიერი ამბობს: მე ჭეშმარიტების ძიების წყურვილი მამოძრავებს და სრულებით არ ვფიქრობ იმაზე თუ რა პრაქტიკული გამოყენება ექნება ჩემს აღმოჩენას. არის თუ არა ეს არგუმენტები საკმარისი იმისათვის, რომ ზნეობრივი პასუხისმგებლობისაგან გავათავისუფლოთ ყოველი მათგანი? ის, რომ პოლიტიკოსი, რომელმაც განკარგულება გასცა და ჯარისკაცი, რომელმაც იგი შეასრულა, პასუხისმგებელია მომხდარი ტრაგედიისათვის — ეს ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. მაგრამ პასუხისმგებელია თუ არა მეცნიერი და გამომგონებელი? მათ ხომ უშუალო მონაწილეობა არ მიუღიათ აღნიშნულ ბოროტებაში, თუმცა მისი მოხდენის წინამძღვრები კი შექმნეს. მეცნიერს, რომ აღმოჩენები არ გაეკეთებინა, ხოლო გამომგონებელს ბომბი არ დაემზადებინა, ცხადია, ვერც პოლიტიკოსი გამოიყენებდა მას. ბუნებრივია, დგება მათი პასუხისმგებლობის საკითხიც. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აქ საქმე ეხება არა იურიდიულ, არამედ მხოლოდ ზნეობრივ, მორალურ პასუხისმგებლობას. ის, რომ მეცნიერი და გამომგონებელი იურიდიულად დამნაშავენი არ არიან — უდავოა. მაგრამ ათავისუფლებს ეს მათ ზნეობრივი პასუხისმგებლობისაგან? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, საჭიროა დავაზუსტოთ მეცნიერების, პოლიტიკისა და ზნეობის რაობა

მეცნიერება ადამიანის ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგია. მისი მიზანია სამყაროს კანონზომიერების აღმოჩენა და ჭეშმარიტი ცოდნის დადგენა. მეცნიერება მოწოდებულია იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს ადამიანის მისწრაფება ჭეშმარიტებისაკენ. რა შეიძლება იმაზე უფრო კეთილშობილური საქმე იყოს, ვიდრე ის, რომ ჩაწვდე სამყაროს საიდუმლოებას და შეიმეცნო იგი, დაეუფლო ჭეშმარიტებას, თავი დააღწიო შეცდომებსა და ილუზიებს — რა უნდა იყოს ამაში ცუდი და შემაშფოთებელი. თითქოს პასუხი ნათელი და ერთმნიშვნელოვნად გარკვეული უნდა იყოს. ეს მართლაც ასე იქნებოდა, რომ მეცნიერების, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველების, განვითარებას არ მიეღო პრაქტიკული, გამოყენებითი ასპექტი.

ანტიკურ ეპოქაში მეცნიერება ჩამოყალიბდა ფილოსოფიის წიაღში. აქ ისინი ჯერ კიდევ მკვეთრად არ იყვნენ გამიჯნული ერთმანეთისაგან. ორთავეს მიაკუთვნებენ სიბრძნეს. ფილოსოფოსსაც და მეცნიერსაც ბრძენს ეძახდნენ. მათ ერთი მიზანი ამოძრავებდათ, განსხვავება

მხოლოდ შემეცნების საგნებშია. მიზანი კი ეს არის არსებულის როგორც არსებულის ჭვრეტა და მის შესახებ ჭეშმარიტი ცოდნის დადგენა. მეცნიერებას არა აქვს პრაქტიკული დანიშნულება. ნივთების დამზადება ადამიანის ბიოლოგიურ და სხვა პრაქტიკულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად (მაგ., სასოფლო-სამეურნეო იარაღები, სამხედრო საჭურველი და ა. შ.) ხელოსნობის საქმეა. რა თქმა უნდა, იგი გარკვეულ ცოდნას ემყარება, მაგრამ ეს არის არა მეცნიერული, არამედ გამოცდილებითა და დაოსტატებით შეძენილი ცოდნა, ამიტომ ხელოსნობის საფუძველი არ არის და არც შეიძლება იყოს მეცნიერება. პირველი პრაქტიკული, მეორე კი გონებაჭვრეტითი საქმიანობაა. ამასთან უპირატესობა მეორეს ეძლევა. ეს სავსებით შეესაბამება ანტიკური ეპოქის სულისკვეთებას, რადგან ფიზიკური შრომა ადამიანური ღირსების დამამცირებელ საქმიანობად ითვლება. ხელოსნობა, რომელიც მაშინდელ ტექნიკას ქმნის, არ არის მეცნიერების საქმე. ანტიკური ეპოქის ფილოსოფია თეორიულად ამართლებს მეცნიერებისა და ტექნიკის მოწყვეტას ერთმანეთისაგან. ამ მხრივ ტიპიურია არისტოტელეს შეხედულებანი მეცნიერების ბუნების შესახებ.

არისტოტელეს აზრით, ადამიანები ცოდნას ესწრაფვიან თავიანთი ბუნების მიხედვით, მაგრამ ცოდნა სხვადასხვაგვარია: 1. არსებობს პრაქტიკული ცოდნა, რომლის საგანია გარკვეული ერთეული და მიზნად ისახავს რაიმე სასარგებლოს მოპოვებას. იგი ადამიანს საშუალებას აძლევს დაიკმაყოფილოს ესა თუ ის პრაქტიკული მოთხოვნილება. მისი მეშვეობით ადამიანი ამზადებს რაიმე ნივთს ან ცდილობს შეასრულოს სასარგებლო მოქმედება (მაგ., ხელოსნობა და მკურნალობა); 2. არსებობს არაპრაქტიკული ცოდნა, რომლის საგანი ზოგადია და მიზნად ისახავს მიზეზების გამოკვლევას. იგი იქმნება არა პრაქტიკულ-მომხმარებლური მიზნით — მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ დროსტარებისათვის. მისი მიზანია თვითონ ცოდნა და არა რაიმე სარგებლობის მოპოვება. ეს არის მეცნიერება. არისტოტელე განასხვავებს სამი ტიპის მეცნიერებას: გონებაჭვრეტითს (მეტაფიზიკა, ფიზიკა, მათემატიკა), პრაქტიკულს (პოლიტიკა, ეთიკა) და შემოქმედებითს (პოეტიკა). ამასთან, უპირატესობას იგი აძლევს გონებაჭვრეტით მეცნიერებას (შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს სიტყვა პრაქტიკულმა. ბერძნული სიტყვა „პრაქსის“ ნიშნავს ქცევას. ამიტომ პრაქტიკული მეცნიერება შეისწავლის ადამიანის ქცევებს, მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას). როგორც ვხედავთ, მეცნიერებათა კლასიფიკაციის არისტოტელესეულ სქემაში ადგილი არ აღმოჩნდა გამოყენებითი, ე. წ. ტექნიკური მეცნიერებებისათვის. ხელოსნებს არისტოტელე ადარებს უსულო საგნებს, რომლებიც მოქმედებენ, რაღაცას აკეთებენ, მაგრამ არ იციან თუ რას აკეთებენ (მაგ., ცეცხლი, რომელიც წვავს). განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ უსულო საგნები მოქმედებენ თავიანთი ბუნების, ხოლო ხელოსნები — ჩვევის მიხედვით.

მეცნიერების არსისა და დანიშნულების ამგვარი გაგება დიდი ხნის მანძილზე იყო გაბატონებული ევროპულ აზროვნებაში. შუა საუკუნეებში როგორც ფილოსოფიას, ისევე მეცნიერებას დაკისრებული ჰქონდა ერთი ამოცანა — ღვთისმეტყველების სამსახური. აღორძინების ეპოქამ შეცვალა ასეთი ღირებულებითი ორიენტაცია და ადამიანი დააყენა ყურადღების ცენტრში, მაგრამ მეცნიერების ტექნიკასთან დაკავშირების საქმეში შემობრუნება მოხდა კაპიტალიზმის ეპოქაში. მსხვილი ინდუსტრიის შექმნის საჭიროებამ აუცილებლობით მოითხოვა ტექნიკის სრულყოფა და პროგრესი. ამისთვის უკვე საკმარისი არ არის გამოცდილება და დაოსტატება, რაც ხელოსნობას ედო საფუძვლად. მეცნიერების გარეშე შეუძლებელი გახდა მრეწველობის განვითარება. ამან განაპირობა მეცნიერებისადმი ადამიანის დამოკიდებულების შეცვლა. საზოგადოების მამოძრავებელ სტიმულებად იქცა — მოგება და სარგებლიანობა. გაბატონდა ვიწრო პრაქტიციზმი — ყველაფერი ფასდება იმის მიხედვით, თუ რა მოგების მოტანა შეუძლია მას. ანალოგიურად განიხილება მეცნიერება. ის იმდენადაა ფასეული და ღირებული, რამდენადაც სასარგებლოა. დაიწყო მეცნიერებათა მიღწევების დანერგვა ტექნიკაში. მაგრამ დასაწყისში ეს პროცესი ნელა მიმდინარეობდა. ცნობილია, რომ ორთქლის მანქანის დანერგვას დასჭირდა 100 წელი, ხოლო ფოტოგრაფიისას—100 წელზე მეტი. ვითარება მკვეთრად შეიცვალა XX საუკუნეში. ამჟამად მეცნიერული აღმოჩენების დანერგვა გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს. მაგალითად, ატომური ენერგიის დაუფლებას და მის სამხედრო მიზნით გამოყენებას დასჭირდა სულ ხუთი წელი. და ეს ვადები უფრო და უფრო მცირდება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ერთიან, განუყოფელ პროცესად იქცა. ამან გამოიწვია გამოყენებითი, ტექნიკური მეცნიერებების აყვავება და განვითარება.

თანამედროვე მეცნიერება არ არის მოწყვეტილი პრაქტიკულ, ტექნიკურ რეალიზაციას — არ არსებობს წმინდა, კარჩაკეტილი, თეორიული, გონებაჭვრეტითი მეცნიერება, რომელსაც მხოლოდ სამყაროს შემეცნება და ჭეშმარიტება აინტერესებდეს და მეტი არაფერი. იგი იქცა პრაქტიკულ მეცნიერებად და მისი შემადგენელი მომენტი გახდა ტექნიკური პროგრესი. მეცნიერებას მიეკუთვნება არა მარტო

ფიზიკა, ქიმია, კიბერნეტიკა და ბიოლოგია, არამედ მათი შესატყვისი ტექნოლოგიაც. დღეს მეცნიერია არა მხოლოდ აღმომჩენი, არამედ გამომგონებელიც.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს პოლიტიკის ცნების ზუსტი დადგენა. მას ვიხილავთ მხოლოდ ერთი კუთხით: იგი არის სახელმწიფოებრივი საქმიანობის ძირითადი მიმართულების გამოხატულება. ამიტომ პოლიტიკა ამ შემთხვევაში გულისხმობს იმ მიმართებას, რომელსაც სახელმწიფო ორგანოები და მოღვაწეები იჩენენ მეცნიერების მიმართ. პოლიტიკის მიმართება მეცნიერებასთან დამოკიდებულია ორ გარემოებაზე: 1. ობიექტურ პირობებზე: რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მეცნიერებას სახელმწიფოს უშუალო ინტერესებისათვის. ეს განპირობებულია საზოგადოების განვითარების სოციალ-ეკონომიკური დონით; 2. სუბიექტურ ფაქტორებზე: რამდენად ხედავს და აცნობიერებს ესა თუ ის პოლიტიკური მოღვაწე მეცნიერების აღმოჩენებს და მათი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს. ეს კი უკვე ბევრად დამოკიდებულია სახელმწიფოს სათავეში მყოფი პიროვნებისა და მისი გარემოცვის ღირებულებით ორიენტაციასა და გამჭრიახობაზე. ხშირად პოლიტიკური მოღვაწე ვერ იყენებს მეცნიერების მიღწევებს, რადგან სათანადოდ ვერ აფასებს მათ. ასე მოუვიდა ჰიტლერს, რომელმაც ვერ გამოიყენა ატომური ბომბის შექმნის რეალური შესაძლებლობა. ომის მსვლელობაში გერმანელ ფიზიკოსებს შეეძლოთ დაემზადებინათ ატომური ბომბი და თუ ეს არ მოხდა, ამის ერთ-ერთი მიზეზი აღმოჩნდა ფაშისტების პოლიტიკური სიბეცე და მეცნიერებისადმი აგდებული დამოკიდებულება. ჰიტლერმა გასცა განკარგულება, რომ მეცნიერებს ემუშავათ მხოლოდ ისეთ იარაღზე, რომლის დამზადება და გამოცდა შესაძლებელი იქნებოდა ექვსი კვირის განმავლობაში. ატომურ ბომბზე მუშაობა კი მოითხოვდა დიდ ხარჯებს და განუსაზღვრელ დროს, ამასთან, არ არსებობდა წარმატების უტყუარი გარანტია ამის გაგება პოლიტიკურ გამჭრიახობასა და მეცნიერულ ალღოს მოითხოვდა, რაც კაცობრიობის საბედნიეროდ ჰიტლერს არ აღმოაჩნდა. მას, რომ ეს გაეგო, ვინ იცის, რამდენ დამატებით უბედურებასა და ტანჯვას მოუტანდა ფაშიზმი კაცობრიობას.

ადრე პოლიტიკოსები ხშირად ინდიფერენტულობას, გულგრილობას ან სუსტ ინტერესს იჩენდნენ მეცნიერების მიმართ. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო მათ მიერ მეცნიერების როლის შეუფასებლობა საზოგადოების განვითარებაში. მეოცე საუკუნეში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა, რადგან აშკარა და ცხადი გახდა, რომ სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიკური პროგრესი და სამხედრო ძლიერება ბევრადაა დამოკიდებული მეცნიერების განვითარების დონეზე. პოლიტიკა უშუალოდ შეიჭრა მეცნიერულ ლაბორატორიებში. იგი უკვე აღარ კმაყოფილდება გამოგონებების ორგანიზაციით, არამედ წარმართავს მეცნიერული კვლევისა და ძიებების სფეროს. ამას მოყვა მეცნიერული აღმოჩენებისა და მათი ტექნიკური რეალიზაციის გასაიდუმლოება. განსაკუთრებით ეს ეხება ბუნებისმეტყველების იმ დარგებს, რომელთა პროგრესზე უშუალოდაა დამოკიდებული ახალი სამხედრო იარაღის შექმნა ან სრულყოფა.

მაშასადამე, პოლიტიკის მიმართება მეცნიერებისადმი ცალმხრივია. მას უპირატესად მისი გამოყენებითი, ტექნიკური მხარე აინტერესებს. მაგრამ იგი არც ე. წ. ფუნდამენტურ მეცნიერებათა მიმართ არის გულგრილი, რადგან ტექნიკურ მეცნიერებათა პროგრესი მათ მიღწევებზეა დამოკიდებული. პოლიტიკა ხელს უწყობს წმინდა თეორიულ კვლევას იმდენად, რამდენადაც მისი შედეგები განაპირობებს ტექნიკის სრულყოფასა და განვითარებას.

ზნეობა ანუ მორალი აწესრიგებს ადამიანთა ურთიერთობას სიკეთისა და ბოროტების მიხედვით. თუ ადამიანის ქცევა სიკეთეს ამკვიდრებს, მაშინ იგი მორალურია, თუ ბოროტებას — ამორალური. იმისათვის, რომ დავადგინოთ თუ რა ტიპის — მორალურ თუ ამორალურ ქცევასთან გვაქვს საქმე, საჭიროა ვიცოდეთ თვითონ ქცევა და ის მოტივები, რომლებიც მას განსაზღვრავენ. თუ ადამიანი მეორე ადამიანს დახმარების ხელს უწვდის, ეს ჯერ კიდევ არაფერს ამბობს მის ზნეობრიობაზე. თუ იგი ამას აკეთებს ანგარებით, რომ რაიმე სარგებლობა მიიღოს, მაშინ ეს ქცევა არ იქნება ზნეობრივი. მორალური იქნება მხოლოდ ისეთი ქცევა, რომელიც სრულდება უანგაროდ, მხოლოდ სიკეთის გულისთვის, ყოველგვარი საზღაურისა და საფასურის გარეშე. ამიტომ ზნეობრივი ადამიანი შეიძლება პრაქტიკულად დაზარალებულიც კი აღმოჩნდეს. არაზნეობრივი ადამიანი ხშირად უფრო უკეთ წარმართავს თავის ცხოვრებას, ვიდრე ზნეობრივი. პრაგმატული, სარგებლიანობის თვალსაზრისით მორალური ნორმების დაცვა და მათ შესაბამისად მოქმედება ხშირად წამგებიანია. მაგრამ ადამიანი მაინც მიდის ამაზე, მსხვერპლად ეწირება და ამას აკეთებს მხოლოდ სიკეთის დასამკვიდრებლად. ამიტომ ზნეობრივი აქტის შესრულება გარკვეულ გმირობას, თავგანწირვას მოითხოვს, რაც, ცხადია, ყველას არ შეუძლია.

თუ ადამიანმა ბოროტება ჩაიდინა, მაშინ იგი დამნაშავეა და ამორალური. აქ საეჭვო არაფერია. მაგრამ როგორია ვითარება, რო-

ეროვნული

დესაც იგი დანაშაულს არ ჩადის? არის თუ არა ადამიანი ზნეობრივად პასუხისმგებელი იმ დანაშაულისათვის, რომელშიც უშუალოდ მონაწილეობა მას არ მიუღია? რა თქმა უნდა, იგი იურიდიულად პასუხისმგებელი არ არის იმ დანაშაულისათვის, რომლის არც მონაწილეა და არც თანამონაწილე. მაგრამ ათავისუფლებს კი ეს მას ზნეობრივი პასუხისმგებლობისაგან. სხვაგვარად, არის თუ არა ზნეობრივი ის ადამიანი, რომელიც ბოროტებას არ ჩადის, მაგრამ არც იბრძვის მის წინააღმდეგ? დანაშაულის არ ჩადენა არის თუ არა ყოველთვის მორალურობის ტოლფასი? აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ სიკეთე მკვიდრდება მხოლოდ ბოროტებასთან ბრძოლაში. ამიტომ სიკეთისათვის ბრძოლა, რომელიც ზნეობრიობის მაჩვენებელია, ნიშნავს ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლას. ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობა არ არის მორალური საქციელი. მორალურია ქცევა, რომელიც მიმართულია ბოროტების წინააღმდეგ სიკეთის დასამკვიდრებლად; ვინც ბოროტებას ჩადის, ამორალურია, ხოლო ვინც სიკეთეს ამკვიდრებს — მორალური. მაგრამ ადამიანი, რომელიც განზე დგას და არ მონაწილეობს სიკეთისა და ბოროტების ჭიდილში — არამორალურია. იგი ბოროტებას არ ჩადის, მაგრამ არც სიკეთეს თესავს. თუ ადამიანს დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ შეეძლო მის წინააღმდეგ ბრძოლა და არაფერი არ იღონა, მაშინ იგი ზნეობრივად პასუხისმგებელია, თუმცა იურიდიულად პასუხისმგებელი არ არის. იურიდიული პასუხისმგებლობა ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოხატულებაა. აქ იგი პასუხს აგებს მხოლოდ თავისი საქციელისათვის. ზნეობრივი პასუხისმგებლობა კი ადამიანის თავისუფლების გამოვლენაა. აქ იგი პასუხს აგებს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვების ქცევისთვისაც. თუ როგორ გამოიყენებენ სხვები მისი მოქმედების შედეგებს, როგორ მაგალითს აძლევს იგი სხვებს, როგორ იქცევიან მის ირგვლივ მყოფნი — ყოველივე ამისთვის ადამიანი ზნეობრივად პასუხისმგებელია. სინდისის ქენჯნა და მონანიება მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანი ზნეობრივი არსებაა. და თუ ადამიანმა ეს თვისება დაკარგა, მაშინ იგი ცხოველად გადაიქცევა. ამგვარად, ზნეობრივი პასუხისმგებლობა ტვირთია, რომელსაც ადამიანი თავისი მხრებიდან ერთი წუთითაც ვერ ჩამოიღებს. ვერც ვერავინ შეეშველება ამ ტვირთის ზიდვაში. ყოველ ადამიანს თავისი ზნეობრივი პასუხისმგებლობა აქვს და მას ვერავინ ვერ გაათავისუფლებს ამ მძიმე მოვალეობისაგან. სხვა სხვის ნაცვლად ვერ იკისრებს მას. ადამიანის ვალია ფრთხილად ატაროს ეს მძიმე ტვირთი.

ახლა პასუხი გავცეთ ზემოთ დასმულ კითხვას მეცნიერის ზნეობრივი პასუხისმგებლობის შესახებ. მეცნიერება დღეს აღარ არის კარჩაკეტილი, მოწყვეტილი ცხოვრების ორომტრიალს. პოლიტიკა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებს იყენებს და მას უკვე მის გარეშე ფუნქციონირება აღარ შეუძლია. ამ პროცესს სიკეთეც და ბოროტებაც მოაქვს, ორივეში თანაბრად მონაწილეობს ის შედეგები, რომელთაც მეცნიერები თავიანთი ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგად ქმნიან. თუ რა მიმართულებით — სასიკეთოდ თუ საზიანოდ იქნება გამოყენებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ამას პოლიტიკა განსაზღვრავს და არა მეცნიერება. ამიტომ პოლიტიკოსების ზნეობრივი პასუხისმგებლობა ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. მაგრამ როგორია მეცნიერთა ზნეობრივი პასუხისმგებლობა? არიან თუ არა ისინი პასუხისმგებელნი იმ დადებითი ან უარყოფითი შედეგებისთვის, რომლებიც მათ აღმოჩენებს პოლიტიკოსების მოქმედების მეოხებით მოყვება? ზოგიერთი სწავლული თვლის, რომ მეცნიერება ამ პასუხისმგებლობისაგან თავისუფალია. მაგალითად, ამერიკელი ფიზიკოსი ედუარდ ტელერი, რომელიც ხელმძღვანელობდა ამერიკული წყალბადის ბომბის შექმნას, მსჯელობს ასე: იარაღის შექმნა მეცნიერის, ხოლო მისი გამოყენება პოლიტიკოსის საქმეა. როდესაც რომელიმე იარაღის შექმნის ტექნიკური შესაძლებლობა არსებობს, ჩვენი ვალია შევქმნათ იგი, თორემ მოწინააღმდეგე დაგვასწრებს; თუ როგორ, რა მიზნით იქნება გამოყენებული ეს იარაღი, ამაზე პოლიტიკოსმა იფიქროს და პასუხიც მან აგოს. ეს არის მეცნიერის მხრივ ყოვლად უპასუხისმგებლო მსჯელობის ნიმუში. მთელი ტრაგედია იმაშია, რომ მეცნიერი ამზადებს იარაღს, რომლის გამოყენებას მას უკვე აღარავინ არ ეკითხება. იარაღი მისგან გაუცხოებულია. შექმნის პროცესი მის ხელთაა, შედეგი კი არა. მეცნიერს არ შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ამ იარაღს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენებენ. დავუშვათ, რომ პოლიტიკოსი, რომელთანაც იგი თანამშრომლობს, მაღალი ზნეობის მქონე პიროვნებაა. მაგრამ მას ხომ სხვა შეცვლის და, ვინ იცის, ვის ხელში აღმოჩნდება ეს საშინელი იარაღი. მაგალითად, ატომური ბომბის დამზადება დაიწყო რუზველტის ბრძანებით, მაგრამ იგი გამოიყენა ტრუმენმა ისეთ ვითარებაში, როდესაც ამის საჭიროება არ არსებობდა. აქ ანგარიშგასაწევია შემდეგი გარემოებაც ოპენჰაიმერი ატომურ ბომბზე მუშაობას ამართლებდა იმით, რომ ეშინოდათ ფაშისტებს არ დაესწროთ მისი გამოყენება. გერმანელები მაშინ არ მუშაობდნენ ატომურ იარაღზე და ამიტომ მათ არც შეეძ-

ლოთ მისი დამზადება. რასაკვირველია, იმ მკაცრი გასაიდუმლოების პირობებში, რომელიც მაშინ არსებობდა, ოპენჰაიმერს ეს არ შეეძლო სცოდნოდა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ატომური ბომბი გამოიყენეს არა გერმანელების, არამედ იაპონელების წინააღმდეგ. ე. ი. არა იმ მიზნით, რისთვისაც მეცნიერები აკეთებდნენ, არამედ სულ სხვა დანიშნულებით და ეს გადაწყვიტეს პოლიტიკოსებმა მეცნიერებთან შეთანხმების გარეშე. გამოდის, რომ მეცნიერმა არ იცის, ვინ, როდის და რისთვის გამოიყენებს მის მიერ დამზადებულ იარაღს.

ატომური ფიზიკის სფეროში მომუშავე გერმანელმა მეცნიერებმა ზნეობრივი სიმტკიცე გამოიჩინეს. 1941 წ. ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ატომური ბომბის დამზადება ტექნიკურად შესაძლებელია. მართალია, ჰიტლერმა ვერ გაიგო ეს და ამიტომ უარყო ამ მიმართულებით მუშაობა, მაგრამ არც გამოჩენილ მეატომე ფიზიკოსებს უცდიათ მისი დარწმუნება, განსხვავებით რაკეტაზე მომუშავე ფიზიკოსებისაგან. ჰიტლერს არც რაკეტის შექმნის შესაძლებლობა სჯეროდა, მაგრამ მერაკეტე ფიზიკოსებმა შეძლეს მისი დარწმუნება და კიდეც შექმნეს სათანადო რაკეტები. მეატომე ფიზიკოსებს კი ასეთი საბედისწერო ნაბიჯი არ გადაუდგამთ და სწორედ ამაშია მათი მორალურობა.

მართალია, მეცნიერი იარაღს ქმნის და არ იყენებს მას, მაგრამ იგი პოლიტიკოსს აძლევს იმ იარაღს, რომელზეც უკვე მას ხელი არ მიუწვდება. ეს არის გაუცხოების სიტუაცია, როდესაც შენ კონტროლს ვერ უწევ შენს მიერ შექმნილ შედეგს. იმას, რასაც შენ ქმნი, იყენებს სხვა და მის გამოყენებაში შენ არავითარ მონაწილეობას არ იღებ. მეცნიერმა წინასწარ იცის, რომ გაუცხოების სიტუაციაში მისმა ქმნილებამ შეიძლება ბოროტება მოუტანოს კაცობრიობას და ამიტომ მან პასუხისმგებლობაც უნდა იკისროს.

მაგრამ შეიძლება შემოგვედაონ: ყველაფერი ეს ეხება მეცნიერ-გამომგონებელს და რა შუაშია მეცნიერი-აღმომჩენი. მეცნიერული აღმოჩენები ხომ ჭეშმარიტების მიზნით კეთდება? ხშირად აღმომჩენი არც კი ფიქრობს იმაზე, რუ რა გამოყენება ექნება მის აღმოჩენას. მაგალითად, ოტო ჰანი, როდესაც ურანის გახლეჩის ფაქტი აღმოაჩინა, არც კი ფიქრობდა მისი ტექნიკური გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. მას ხომ ეს აღმოჩენა სამხედრო მიზნით არ გაუკეთებია. მას, როგორც მეცნიერს, მხოლოდ ჭეშმარიტების დადგენა აინტერესებდა. ეს მართლაც ასეა. თვითონ ჰანის აღმოჩენა მეოცე საუკუნის ატომური ფიზიკის განვითარების შედეგია. გამოჩენილი ფიზიკოსები — პლანკი, რეზერფორდი, აინშტაინი, ბორი, ჰაიზენბერგი, დირაკი და სხვები ადგენდნენ მიკროსამყაროს ფუნდამენტურ კანონზომიერებებს ისე, რომ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ მათი შედეგების პრაქტიკულ გამოყენებაზე. უფრო მეტიც, ზოგიერთ მათგანს არც კი სჯეროდა მისი. მაგალითად, ატომური ფიზიკის ისეთმა დიდმა ავტორიტეტმა როგორიც რეზერფორდი იყო, 1933 წ. განაცხადა, რომ ახალი აღმოჩენების ფართო მასშტაბით პრაქტიკული გამოყენება ახლო მომავალში სისულელეაო. აგებენ თუ არა მეცნიერები პასუხს იმ ტექნიკური შედეგებისათვის, რომელთაც ისინი არ ითვალისწინებენ და ზოგჯერ წინასწარმეტყველებაც არ შეუძლიათ? შეიძლება თუ არა ადამიანი პასუხს აგებდეს იმისათვის, რაც მან არ იცის? აქაც უნდა გავითვალისწინოთ გაუცხოების სიტუაცია: აღმოჩენას მეცნიერი აკეთებს, მაგრამ მისი ტექნიკური გამოყენება უკვე მასზე აღარ არის დამოკიდებული. ეს უკვე გამომგონებლის საქმეა, რომელიც მას იყენებს ისე, რომ არაფერს არ ეკითხება მის აღმომჩენს. ჰანისთვის ოპენჰაიმერს არ უთხოვია ნებართვა მისი აღმოჩენის ტექნიკური რეალიზაციის თაობაზე. ამასთან შენი აღმოჩენა შეიძლება გამოიყენოს მოწინააღმდეგემ. მეცნიერმა არ იცის — თუ ვინ, როგორ და რა მიზნით გამოიყენებს მის აღმოჩენას. მაგრამ მან ხომ იცის, რომ გაუცხოების ვითარებაში ასეთი შესაძლებლობა არსებობს. ამიტომ მას ზნეობრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს.

ხომ არ ვვარდებით აბსურდულ მდგომარეობაში? ცეცხლის აღმომჩენს, ვთქვათ პრომეთეს, ხომ არ უნდა დავაკისროთ პასუხისმგებლობა ყველა იმ უბედურებისათვის, რაც მისმა აღმოჩენამ კაცობრიობას მოუტანა? ხომ არ ეკისრება მას პასუხისმგებლობა ჯორდანო ბრუნოს კოცონზე დაწვისათვის? ცხადია, არა. აღმომჩენს პასუხისმგებლობა ეკისრება არა ცალკეული, კონკრეტული შედეგისათვის, არამედ იმისათვის, რომ იგი ამ შემთხვევების შესაძლებლობას ქმნის. პრომეთეს პასუხისმგებლობა ეკისრება არა ჯორდანო ბრუნოს დაწვისათვის, არამედ იმისათვის, რომ მან ადამიანს ასეთი ბარბაროსული აქტის განხორციელების შესაძლებლობა მისცა. შესაბამისად, მეცნიერი რომელიმე კონკრეტული შედეგისათვის კი არ აგებს პასუხს, არამედ იმისათვის, რომ იგი ქმნის მათი მოხდენის შესაძლებლობას. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ: ჰანს რომ ურანის გაყოფა არ მოეხდინა, ვერც ოპენჰაიმერი შექმნიდა ატომურ ბომბს, მაშინ ვერც ტრუმენი გასცემდა განკარგულებას და ვერც მფრინავი მოიყვანდა მას სისრულეში. შეიძლება შეგვეპასუხონ: ჰანს რომ ურანის გახლეჩის ფაქტი არ აღმოეჩინა, სხვა აღმოაჩენდა, ოპენჰაიმერს, რომ ატომური ბომბი არ გაეკეთებინა სხვა გააკეთებდა. სწორია, მაგრამ მაშინ სხვას და არა მათ დაეკისრებოდა პასუხისმგე-

ბლობა. ამით საკითხი კი არ მოიხსნებოდა, არამედ ერთი კონკრეტული ინდივიდიდან გადაინაცვლებდა მეორე კონკრეტულ ინდივიდზე.

ამგვარად, პოლიტიკას მეცნიერების მიღწევების გამოყენებით სიკეთეც და ბოროტებაც მოაქვს კაცობრიობისათვის. პოლიტიკა მეცნიერებას იყენებს თავისი მიზნებისათვის, მეცნიერება კი მას ამის საშუალებას აძლევს. ამიტომ ზნეობრივი პასუხისმგებლობა ორივეს უნდა დაეკისროს, ოღონდ, მეცნიერებას თავისი აღმოჩენების გამოყენების შესაძლებლობისათვის, ხოლო პოლიტიკას — ამ შესაძლებლობის რეალიზაციისათვის.

მეცნიერებმა ხომ არ უნდა აიღონ ხელი თავიანთ კვლევა-ძიებაზე? ეს შეუძლებელია. რუსოს მოთხოვნა, რომ უარი ვთქვათ მეცნიერებასა და ხელოვნებაზე და დავუბრუნდეთ ბუნებას — უაზრო და განუხორციელებელია. რუსომ კითხვას — „ზნეობის გარყვნას თუ გაუმჯობესებას შეუწყო ხელი მეცნიერებათა და ხელოვნებათა წინსვლამ“ — უპასუხა ხალხისადმი მოწოდებით: „დაამსხვრიეთ მარმარილოს ქანდაკებები, დაწვით სურათები, გააგდეთ მეცნიერები, რომლებიც თქვენ გრყვნიან“. ამიტომ რუსოს იდეალია ცივილიზაციის უარყოფა და პირველყოფილი ბუნებრივი მდგომარეობისაკენ დაბრუნება: „ღმერთო, ყოვლის შემძლებელო, გვიხსენ სწავლა-განათლებისაგან და დამღუპველ ხელოვნებათაგან და დაგვიბრუნე უცოდინლობა, უმანკოება და სიღარიბე — ეს კეთილი თვისებები, რომლებსაც მხოლოდ შეუძლიათ ბედნიერების მონიჭება“. მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე არა თუ ხელის აღება, არამედ მისი შეჩერებაც კი აღარ შეუძლია დღეს ადამიანს. იგი კიდევ გაგრძელდება და გაღრმავდება, თუ მსოფლიო კატასტროფამ — თერმობირთვულმა ომმა არ შეაჩერა მისი აღმავლობა.

მეცნიერებმა ხომ არ უნდა შეზღუდონ თავიანთი კვლევის სფეროები იმით, რომ უარი თქვან ისეთ დარგებში მუშაობაზე, რომელთაც შეიძლება საბედისწერო შედეგები მოჰყვეს? მართლაც, ზოგიერთმა მეცნიერმა შეწყვიტა მუშაობა ასეთ აღმოჩენებზე, როდესაც გააცნობიერა მათი გამოყენების საშიშროება, რაც მეტყველებს მათ მაღალ ზნეობრიობაზე. მაგრამ ეს არ არის პრობლემის გადაწყვეტა. ჯერ ერთი, არავის არ შეუძლია ზუსტად დაადგინოს თუ რომელ აღმოჩენას ახლო ან შორეულ მომავალში რა მოჰყვება. მეორე, ყოველთვის აღმოჩნდება მსურველი, რომელიც მოცემულ სფეროში მუშაობას გააგრძელებს.

ხომ არ შეიძლება, რომ მეცნიერები შეთანხმდნენ და არ გააცნობიერებინონ პოლიტიკოსებს ახალი აღმოჩენების მოსალოდნელი შედეგები? ცხადია, პოლიტიკოსს მეცნიერისაგან დამოუკიდებლად არ შეუძლია იცოდეს ახალი მეცნიერული აღმოჩენები და მათი ტექნიკური გამოყენების შესაძლებლობები. ასეთი ინფორმაცია მას მეცნიერმა უნდა მიაწოდოს და დაარწმუნოს მის რეალობაში. გავიხსენოთ თუ როგორი სიძნელეების გადალახვა დასჭირდათ ფიზიკოსებს, რათა დაერწმუნებინათ პრეზიდენტი რუზველტი ატომური ბომბის შექმნის შესაძლებლობაში, მათ შორის ყველაზე მეტად აქტიურობდა სცილარდი, რომელმაც ამისთვის აინშტაინის ავტორიტეტიც კი გამოიყენა. რა თქმა უნდა, თუ მეცნიერები შეთანხმდებოდნენ ერთმანეთში და მტკიცედ დაიცავდნენ საიდუმლოს, მაშინ თითქოს ახალი იარაღის შექმნის საშიშროება თავიდან აცილებული იქნებოდა. ჰაიზენბერგი მოგვიანებით იგონებდა: „1939 წელს თორმეტი კაცი, რომ შეთანხმებულიყო, შეეძლოთ ატომური ბომბის შექმნა ჩაეშალათო“. ამ მიმართულებით გერმანელმა ფიზიკოსებმა კიდეც გადადგეს ნაბიჯი. 1941 წლის შემოდგომაზე ჰაიზენბერგი კოპენჰაგენში ჩავიდა, რათა ბორს შეთანხმებოდა. მაგრამ იმდენად დიდი უნდობლობა და შიში იყო გამეფებული, რომ ყოფილმა მასწავლებელმა და მოწაფემ ამ თემაზე ლაპარაკიც კი ვერ მოახერხეს. გაუთავებელი დუმილობისა და უნდობლობის ატმოსფეროში მეცნიერთა რაიმე შეთანხმება, კონტროლი გაუწიონ თავიანთ აღმოჩენებს, გამორიცხულია. და სანამ კაცობრიობას ანტაგონიზმი და ძალადობა, ომები და ტერორიზმი არ დაუძლევია, მანამ იგი ყოველთვის შეუძლებელი იქნება

ცნობილი ინგლისელი მწერალი და მეცნიერი ჩარლზ სნოუ თავის გახმაურებულ წიგნში „ორი კულტურა“ წერდა, რომ „სიკეთისა და ბოროტების ბედი მეცნიერთა ხელშია“. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ დებულებას, რადგან მეცნიერება პოლიტიკის გარეშე არ განსაზღვრავს კაცობრიობის ბედს. მას მხოლოდ პოლიტიკასთან ერთად შეუძლია ამ როლის შესრულება. ამიტომ მართებული იქნება შემდეგი დებულება: სიკეთისა და ბოროტების ბედი მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ხელშია. მაშასადამე, საჭიროა მეცნიერებისა და პოლიტიკის თანამშრომლობა, ოღონდ ზნეობის საფუძველზე. ორთავე უნდა ხელმძღვანელობდეს მორალური პრინციპებით და ამკვიდრებდეს მათ. ამისთვის აუცილებელია მეცნიერთა და პოლიტიკოსთა დიალოგი, რაც გულისხმობს მათ შორის ურთიერთგაგებისა და ურთიერთნდობის ატმოსფეროს შექმნას. მეცნიერმა უნდა შეიგნოს ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მას თანამედროვე ეპოქაში აკისრია. მან ხელი უნდა აიღოს თავის ნეიტრალურ, თვითდამამშვიდებელ პოზიციაზე, რომ თითქოს მისი საქმეა აღმოჩენები, ჭეშმარიტების დადგენა, დანარჩენი კი მას არ ეხება. თუ ნიუტონის ეპოქაში ასეთ პოზიციას გამართლება ჰქონდა, დღეს იგი ყოვლად დაუშვებელია, რადგან თანამედროვე

მეცნიერების მიღწევებზე, მათ დანერგვასა და გამოყენებაზე ბევრადაა დამოკიდებული კაცობრიობის ბედი. მეცნიერმა უნდა შეძლოს ამ მძიმე ტვირთის ზიდვა, სხვა უფლება მას არა აქვს. პოლიტიკოსმა უნდა შეცვალოს თავისი ცალმხრივი დამოკიდებულება მეცნიერებისადმი. მან უარი უნდა თქვას თავის მომხმარებლურ, პრაგმატისტულ პოზიციაზე მეცნიერებისადმი. პოლიტიკოსს მეცნიერება უნდა აინტერესებდეს არა მხოლოდ მისი შედეგების გამოყენების თვალსაზრისით, არამედ როგორც თავისთავად ღირებული ფენომენი, რომლის მიზანია ჭეშმარიტების ძიება და დადგენა. პოლიტიკოსმა უნდა გააცნობიეროს ის ფაქტი, რომ იგი სარგებლობს მეცნიერთა დაძაბული ინტელექტუალური შრომის შედეგებით, ამიტომ მათი გამოყენების საკითხი უნდა გადაწყვიტოს არა თვითნებურად, დამოუკიდებლად, არამედ მეცნიერებთან შეთანხმებით. ამისთვის მან ყურად უნდა იღოს და ანგარიში გაუწიოს მეცნიერთა რჩევას. თუ ადამიანი ზნეობის საფუძველზე მოახერხებს მეცნიერებისა და პოლიტიკის გაერთიანებას, მაშინ სასწორი სიკეთისა და ბოროტების შეურიგებელ ჭიდილში პირველ მხარეს გადაიხრება.

პოლიტიკა არ არის განყენებული, იზოლირებული მოვლენა. მისი ხასიათი განისაზღვრება საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურით. თუ საზოგადოების უმაღლესი მიზანია ჰუმანიზმი, მშვიდობა და ადამიანთა ბედნიერება, მაშინ პოლიტიკაც ზნეობრივ იდეალებს ემყარება. ამ შემთხვევაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სიკეთეს და არა ბოროტებას მოუტანს ადამიანს. სწორედ ამას ემსახურება სოციალისტური ქვეყნების სამშვიდობო პოლიტიკა. ამის ნათელი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის მიერ ახლახან წამოყენებული კონკრეტული, რეალისტური პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს კაცობრიობის განთავისუფლებას ბირთვული იარაღისაგან უკვე მეოცე საუკუნის ბოლოსათვის. აღნიშნული პროგრამის განხორციელება მსოფლიოს იხსნიდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოყენების კატასტროფული შედეგებისაგან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არჩილ ბეთანელი, მანანა ქველაძე

# რობოტი და თანამედროვეობა

„...ერთი პატარა ორღანო იყო, სამი კაცი იჯდა და ორი დედაკაცი. ერთი ჰახრაკი აბრუნა პატრმა, კაცებმა და ქალებმაც ძვრა და მიხედ-მოხედვა დაიწყეს. ორღანო უკრავდა, კაცები თამაშობდნენ და ქალებს სირჩა ეჭირათ, ვითომ ღვინოს სვამდნენ, პირზე მიიდებდნენ...“

სულხან-საბა ორბელიანი

ვკითხულობთ ამ სიტყვებს და უნებლიედ გვებადება კითხვა: რას გულისხმობდა სულხან-საბა. ალბათ, იმ მოქმედ მექანიკურ სათამაშოებს, თანამედროვე რობოტების შორეული წინაპრებად რომ მოგვევლინნენ. „მრავალი საკვირველება ვნახე, მაგრამ ამის მეტი ვერ დავისწავლე“-ო, წერს ავტორი (სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, ქართული პროზა, წიგნი V, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1988, გვ. 216-217). დიახ, იმ დროისათვის ეს უბრალო სათამაშოები უდიდეს საოცრებას წარმოადგენდნენ. მაშ რაღას იტყოდნენ იმდროინდელი მნახველები თანამედროვე რობოტების ხილვისას. რობოტებისა, რომლებიც ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში შეიჭრნენ და წარმატებით ცვლიან ადამიანებს მათ მძიმე შრომაში.

ცნობილია, რომ სიტყვა „რობოტი“ ხმარებაში შემოვიდა 1920 წელს, ჩეხი მწერლის, კარელ ჩაპეკის პიესით „RUR“ ანუ „როსუმული უნივერსალური რობოტები“. ამ პიესაში გამომგონებელი და მისი ვაჟი აგებენ ადამიანის ფორმის მანქანებს — რობოტებს, რომლებიც ცვლიან რა ცოცხალ ადამიანებს, ფაბრიკა-ქარხნებში შრომობენ.

თვით კ. ჩაპეკის მოწმობით, სიტყვა „რობოტი“ თურმე მისმა ძმამ, იოზეფმა მოიგონა, რომელსაც პიესის ავტორმა სთხოვა ერჩია თუ რა სახელი მიეცა ნაწარმოებში მოქმედი ხელოვნური ადამიანებისათვის. მართალია, მათ უკვე ჰქონდათ ერთი სახელწოდება — ლაბორები (ლათინური სიტყვიდან labor შრომა, მუშაობა), მაგრამ ეს სახელწოდება ავტორს ნამეტანად ღვარჭნილად ეჩვენებოდა. იოზეფმა, რომელიც ამ დროს მოლბერტთან იჯდა და ხატავდა, ჩაიბუზღუნა: „მაშ უწოდე მათ რობოტები...“. მან ფუძედ ჩეხური სიტყვა „robota“ აიღო, რაც საბატონო ბეგარას, მძიმე, კატორღულ შრომას ნიშნავს. ამიტომ, რობოტი — ესაა მუშა, მშრომელი, ადამიანის თანაშემწე, მისი შემცვლელი მძიმე შრომაში (ვ. ბუსლენკო, ჩვენი კოლეგა — რობოტი, მოსკოვი, „მოლოდაია გვარდია“, 1984, გვ. 29).

თანამედროვე ვითარებაში, წარმოებაში, სადაც საქმე გვაქვს ისეთ ნივთიერებებსა და მასალებთან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, ექსტრემალურ სიტუაციებში, გამოყენებულია რობოტი — ავტომატები, რომლებიც ადამიანისებრ მოძრაობებსა და მოქმედებებს ასრულებენ. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ისეთი პირობები, როდესაც ადამიანს არ შეუძლია იმუშაოს სპეციალურ დამცავ მოწყობილობათა გარეშე. ასეთია, მაგალითად, შედუღება ვაკუუმში, წყლის ქვეშ, კოსმოსში, რადიოაქტიური გამოსხივების პირობებში. მნიშვნელოვანია რობოტის ფუნქცია იქ, სადაც საფრთხეშია ადამიანის ნერვული სისტემა, ფსიქიკა.

გაძნელდა კვალიფიციური მუშების გამო-

ძებნა სპეციფიკურ საწარმოთათვის. ადამიანები გაურბიან არაკეთილსასურველ პირობებში მუშაობას (მაღალტემპერატურიანი საამქროები, დაირიანებული, არასასიამოვნო სუნიანი, ჭუჭყიანი და ხმაურიანი, მომწამლავ და ფეთქებადნივთიერებებიანი გარემო).

საოცრად იმატა კადრების დენადობამ მარტივ, ერთგვაროვან, მონოტონურ ოპერაციებზე. კონვეიერის მუშა, რომელიც დროის მოკლე მონაკვეთში რითმულად იმეორებს მარტივ, ერთგვაროვან ოპერაციებს, მორალურად დაკნინებულია. კონვეიერმა წაართვა მუშას შემოქმედებითი აზარტი, პროფესიული სიამაყის გრძნობა. ერთგვაროვანი, მონოტონური სამუშაოს ზეგავლენა ადამიანის ნერვულ სისტემაზე, ფსიქიკაზე იმდენად შემაწუხებელია, რომ ხშირია გამოთქმა: „რობოტად გადავიქეცი“. ამიტომაც ადამიანმა შექმნა რობოტი, რათა თავად არ გადაიქცეს რობოტად. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთგვაროვანი, მონოტონური მუშაობის შეცვლის მეორე მიმართულებაც, რომელიც კაპიტალისტურ ქვეყნებში „შრომის ჰუმანიზაციის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

შვეციის საავტომობილო კომპანიის „სააბის“ ქარხანაში ნახევარკილომეტრიანი კონვეიერი, თავისი მონოტონური და ერთგვაროვანი ოპერაციებითურთ, შეიცვალა სატვირთო მანქანების ჯგუფური აწყობის მოედნებით. მუშათა ავტონომიური ჯგუფები ოპერაციათა სრულ ციკლს ასრულებენ და გარკვეული დამოუკიდებლობით სარგებლობენ, კერძოდ, მონაწილეობენ ხელფასის განაწილებაში, ახალ მუშათა დაქირავებაში და ა. შ. „სააბის“ მალე მიბაძეს ამერიკულმა „როკფელერ ინტერნეიშნლმა“ და „ინტერნეიშნლ ჰარვესტერმა“, იტალიურმა „ფიატ-მარაფიორიმ“, ფრანგულმა „პეჟომ“ და სხვა კორპორაციებმა. წარმოებაში ავტონომიური ჯგუფების ან ბრიგადების შექმნამ ზოგიერთ დასავლელ ეკონომისტსა და სოციოლოგს საფუძველი მისცა განეცხადებინა, თითქოს კაპიტალისტურ ქვეყნებში დაიწყო შრომის „განთავისუფლება“, მისი „ადამიანური განვითარების იარაღად“ გადაქცევა. „ჰუმანიზაციის“ პროგრამები, ამტკიცებენ ისინი, ანელებენ და თანდათანობით აღმოფხვრიან კიდეც ანტაგონიზმს შრომასა და კაპიტალს შორის. სინამდვილეში, „შრომის ჰუმანიზაციის“ პროგრამები არ სცილდებიან წარმოების კაპიტალისტური რაციონალიზაციის ფარგლებს, და, საბოლოოდ, აძლიერებენ მშრომელთა ექსპლუატაციას (რას ნიშნავს „შრომის ჰუმანიზაცია“, გაზეთი „კომუნისტი“, 1985 წლის 16 იანვარი).

ცხადია, თუ რა დიდი როლი ენიჭება რობოტს თანამედროვე ცხოვრებაში. მისი ფესვები კი შორეულ წარსულშია.

უძველესი დროიდან, სტიქიასთან შერკინებაში, პირველყოფილი ადამიანი ცდილობდა საარსებო გარემოს, ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებას. არსებობისათვის ბრძოლაში მოხდა ცეცხლის აღმოჩენა, ბორბლის გამოგონება.

სრულიად ბუნებრივია, რომ მონათხრობი თანამედროვე სამრეწველო რობოტის წინაპრების შესახებ მჭიდრო კავშირშია მითებსა და ლეგენდებთან. რას იზამ, ასეთია ადამიანის მახსოვრობის თვისება — გულგრილად კი არ აფიქსირებს ფაქტებს, არამედ ოცნებობს, ჭვრეტს დღევანდელ რეალობას, ასახავს რა წარსულს მომავალში.

სამრეწველო რობოტების გამოყენების „უტყუარი“ ხსენება ჯერ კიდევ ჰომეროსის „ილიადაში“ გვხვდება. ჰომეროსი აღგვიწერს ღმერთ-მჭედელ ჰეფესტოსს, რომელიც მეტყველ ოქროს მხევალს კვერავს და შემდეგ იშველიებს მას:

.მოახლენი შეუდგნენ მხარში
და მოჰყვებოდნენ ოქროვანნი,
ქალწულთ სადარნი,
ცოცხლებსა ჰგვანდნენ, ჰკუაც ჰქონდათ,
ხმაცა და ძალაც,
მათ უკვდავებმა შეასწავლეს ყოველი
საქმე...

(„ჰომეროსი, „ილიადა“, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, „თბილისი, 1979 წ. გვ. 417-418). აღსანიშნავია, რომ ამ მხევლების შთამომავლები აქტიურად მონაწილეობენ თანამედროვე სამჭედლო-საწნეხ წარმოებაში.

ხელოვნური ცოცხალი არსების შექმნის ოცნება კაცობრიობას მრავალი საუკუნის განმავლობაში აღელვებდა. ადამიანს ყოველთვის სურდა გვერდით ყოლოდა „არსება“, რომელიც მისი მსგავსი იქნებოდა, მაგრამ, რომელსაც ექნებოდა მეტი ძალა, საზრიანობა, სიბრძნე, იქნებოდა თვინიერი თანაშემწე და საიმედო მეგობარი. ამ ოცნებამ გამოხატულება ჰპოვა მრავალრიცხოვან ანტიკურ მითსა და შუასაუკუნეების ლეგენდებში, სხვადასხვა დროის მწერლებისა და პოეტების მხატვრულ ნაწარმოებებში.

ჩვენს დრომდე არა ერთმა თქმულებამ მოაღწია მოქმედი სათამაშოების შესახებ, რომლებიც ადამიანს, ნაირგვარ ცხოველებს, ფრინველებს, მორბენალ და მოღრიალე მხეცებს ასახიერებენ. ჰერონ ალექსანდრიელმა, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში ცხოვრობდა, თავის წიგნში — „ავტომატების თეატრი“, თეატრის მთელი მოწყობილობაც კი აღწერა. ამ წარმოდგენებში მონაწილეობდნენ ფიგურები, თოჯინები, რომლებიც მოძრაობაში მოჰყავდა კბილა თვლებს, ბლოკებსა და ბერ-

კეტებს. პიესა, რომელსაც ჰერონ ალექსანდრიელის „ავტომატების თეატრი“ ასრულებდა, წარმოადგენდა ლეგენდას ნავპლიოსის შესახებ, რომელიც ტროის ომის პერიოდს განეკუთვნება (ა. ბ. გორდინი, გასართობი კიბერნეტიკა, მოსკოვი, „ენერგია“, 1974, გვ. 5).

თუ ახალი მოწყობილობა, ხელსაწყო, მანქანა ან მექანიზმი არსებულისაგან ძირეულად, პრინციპულად განსხვავდება, ამბობენ, რომ ის ახალი თაობისაა.

რობოტების თაობათა რიგი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ.

პრობლემის ჩანასახის განვითარების თვალსაზრისით, ყურადსაღებია ნულოვანი ფაზა. რობოტების *ნულოვანი თაობა* შორეულ, ისტორიულ წარსულთანაა დაკავშირებული. სამრეწველო რობოტის, როგორც ადამიანის მექანიკური თანაშემწის, გვარტომობა იწყება იმ პირველი სამარჯვებით, რომლებიც ადამიანს ეხმარებოდა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში. რობოტიზაციის ნულოვან ფაზად ცეცხლის აღმოჩენა და ბორბლის გამოგონება უნდა ჩაითვალოს. რამდენიმე ათასი წლით ადრე ჩვენს ერამდე, ნეოლიტის ეპოქაში, ადამიანი ქვის ბურღვისათვის იყენებდა პირველ საჭრელ იარაღებს. 3-4 ათასი წლით ადრე ჩვენს ერამდე შემოღებული იყო თუნის წრე — თანამედროვე სახარატო და კარუსელური ჩარხების შორეული წინაპარი. ანტიკურ სამყაროში რობოტების „წინაპრები“ იყვნენ „გაცოცხლებული“ ქანდაკებანი და სხვადასხვა სასწაულებრივი მანქანები.

*პირველი თაობის* რობოტები ადამიანისა და ცხოველის მამოძრავებელი ფუნქციების მოდელირებას ახორციელებენ. მათ შეუძლიათ სიარული, ხტომა, გადაძრომა, მარშირება, ალებ-დადება, აწევ-დაწევა და შენჯღრევა.

*მეორე თაობის* რობოტებს შეუძლიათ შეგრძნების ფუნქციების მოდელირება. ისინი ხედავენ, ისმენენ, ყნოსავენ, შეხებით შეიგრძნობენ.

*მესამე თაობის* რობოტები ახორციელებენ აზროვნების ფუნქციის მოდელირებას. ისინი სცნობენ, იხსენებენ, იგებენ, სინჯავენ, ცდებიან და შეცდომებზე სწავლობენ.

თუ რობოტების ნულოვან და ნაწილობრივ პირველ თაობათა ისტორია საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა, სამაგიეროდ, მომდევნო თაობათა ისტორია ხანმოკლე იყო. პირველი თაობის რობოტებს სწრაფად მოჰყვა მეორე და შემდეგ მესამე თაობის რობოტები. ამჟამად უკვე ცხადად ჩანს რობოტების მომავალ თაობათა განვითარების მიმართულებანი.

რობოტების ევოლუცია შორეული ანალოგიით შეიძლება ადამიანის ევოლუციას მივამსგავსოდ. დასაწყისში იყო homo habilis (ადამიანი მარჯვე), რომელმაც ჯერ კიდევ არ იცოდა ცეცხლის მოპოვება და სათანადოდ მისი გამოყენება, ხოლო მეურნეობის წამყვანი ფორმა იყო ნადირობა. შემდეგ იყო homo erectus (ადამიანი წელში გასწორებული, უკანა კიდურებზე — ფეხებზე მტკიცედ მდგარი) და ბოლოს ადამიანი გონიერი — homo sapiens (ლ. ფაინბერგი, მაიმუნიდან ადამიანისაკენ, ჟურნალი „ნაუკა ი ჟიზნ“, 1982, № 5, გვ. 72 და ფერადი ჩანართი, გვ. VI-VII). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნულოვანი და პირველი თაობის რობოტები homo habilis და homo erectus გვანან, ხოლო მესამე თაობის რობოტები — homo sapiens განვიხილოთ აღნიშნულ თაობათა რობოტები და შემდეგ კი რობოტების მომავალ თაობათა შექმნის პერსპექტივები.

საათების წარმოების განვითარებასთან ერთად, XVI-XVIII საუკუნეებში ძალიან პოპულარული გახდა ცოცხალ არსებათა მოქმედი მექანიკური მოდელები, რომლებიც შეიძლება პირველი თაობის რობოტებს მივაკუთვნოთ და სამრეწველო რობოტების პირველი თაობის წინამორბედებად ჩავთვალოთ. ამგვარი მოდელი-ავტომატის დამზადება ითვლებოდა მექანიკოსების ტექნიკური სრულყოფის სიმწიფის ატესტატზე ერთგვარ გამოცდათ, უხვებდა მათ სახელსა და დიდებას.

ეს სწორედ ის საკვირველება იყო, რომელიც სულხან-საბა ორბელიანმა ევროპაში მოგზაურობის დროს ნახა.

შვეიცარიის ერთ-ერთ მუზეუმში ინახება გასაოცარი მანქანა-ავტომატები, „მექანიკური ადამიანები“, რომლებიც XVIII საუკუნეში შექმნეს ნიჭიერმა მესაათეებმა მამა-შვილმა პიერ ჟაკმა და მისმა ვაჟმა ანრიმ დრომ. გაწაფულმა ოსტატებმა შეძლეს მექანიზმის მოძრაობის განსაცვიფრებელი გამართულობის, სიმკვირცხლისა და დამაჯერებლობის მიღწევა. ეს მექანიზმები მოძრაობაში მოჰყავდა ჩვეულებრივი საათის მოსამართ ზამბარას.

...მაგიდასთან ახლოს, სკამზე ზის დიდი თოჯინა, სიმაღლით 5-6 წლის ბავშვის ტოლი. ის გადამწერია. მარჯვენა ხელში ბატის ფრთა უჭირავს, მის წინ, მაგიდაზე სამელნე და ფურცელია. გადამწერი ფრთხილად აწებს კალამს მელანში, ხრის თავს და ქაღალდზე დიდი მონდომებით გამოჰყავს ლამაზი, მოზრდილი ასოები. ამთავრებს რა წერას, ის რამდენიმე ხანს ჩერდება, აბრუნებს თავს, იღებს საქვიშარს, ჩანაწერს გასაშრობად მოაყრის ცოტაოდენ ქვიშას და ცოტა ხნის მერე დაფერთხავს მას.

გადამწერის გვერდით მხატვარია, რომელსაც ფანქარი უჭირავს ხელში. მხატვარი დახრილია ქაღალდზე და აუჩქარებლად ხატავს სხვადასხვა ფიგურებს. დროდადრო იგი ჩერდება, აკვირდება

დახატულს, ფიქრობს და სულს უბერავს ქაღალდს, რათა მტვრის ნამცეცები გადმოყაროს.

პიერ ჟაკისა და ანრი დროების მესამე „მექანიკური ადამიანია“ გოგონა-მუსიკოსი. ეს თოჯინა იგივე ზომისაა, როგორისაც მისი „ძმები“. მისი თითები კლავიშებზე დარბიან, თავი კი ისე იხრება, თითქოს ხელების მოძრაობას აყოლებს თვალსო. მუსიკოსი მკაფიოდ და ადვილად უკრავს ტრელებსა და სწრაფ პასაჟებს, მისი მკერდი კი ისე ადი-ჩადის, თითქოს არ ძალუძს დაიოკოს ის მღელვარება, მუსიკამ რომ მოჰგვარა. დაკვრას რომ დაასრულებს, შემსრულებელი მსუბუქად ხრის თავს, მადლობას უხდის მსმენელებს.

ანდროიდები ჩვენს დროშიც დიდ ინტერესსა და აღფრთოვანებას იწვევენ. მიუხედავად იმისა, რომ „მექანიკური ადამიანები“ მხოლოდ და მხოლოდ ბაძავენ ადამიანის შესახედაობასა და მის ზოგიერთ მოძრაობას, მნახველებს დიდხანს არ უნელდებათ გრძნობა, რომ მათ წინაშე ნამდვილი, ცოცხალი არსებაა.

ითვლება, რომ სიტყვა „ანდროიდი“ ანრი დროს საპატივცემოდ იყო შემოღებული. სინამდვილეში ეს სიტყვა წარმოდგება ბერძნული სიტყვისაგან **„anthros“**, რაც მამაკაცს ნიშნავს და ერთფუძიანია სიტყვასთან **„anthropos“** — ადამიანი და ადამიანისმაგვარი.

ანდროიდები — მექანიკური ადამიანები — შეკუმშული ზამბარების მექანიკური საუკუნის ასახვა იყო. ზამბარები ამოძრავებდნენ სხვადასხვანაირი ავტომატების, კბილა თვლების, ბერკეტების, მუშტების, ხრახნების ურთულეს სისტემას. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ანდროიდები საათების თავისებური ნაირსახეობა იყო. კ. მარქსი თვლიდა, რომ სწორედ საათმა დაუბადა აზრი ადამიანს წარმოებაში ავტომატების გამოყენებისა (ვ. ბუსლენკო, ჩვენი კოლეგა — რობოტი, გამომც. „მოლოდაია გვარდია“, მოსკოვი, 1984, გვ. 24).

XVIII საუკუნეში არანაკლები პოპულარობა მოიპოვა საკვირველი „მექანიკური ადამიანების“ —ავტომატების შემქმნელმა, ფრანგმა მექანიკოსმა ჟაკ ვოკანსონმა, რომელიც საფრანგეთის აკადემიაშიც კი იყო არჩეული. მის ნაშრომებს შორის ყველაზე ცნობილია ფლეიტის დამკვრელი — ადამიანის ზომის თოჯინა, რომელსაც ტუჩებთან ფლეიტა აქვს მიტანილი. თოჯინა ჩაჰბერავს რა ინსტრუმენტს, გარკვეული თანამიმდევრობით ჩამოკრავს ხელს ფლეიტის სარქველებს. ავტომატი თერთმეტ განსხვავებულ მელოდიას ასრულებს.

ვოკანსონის მეორე შედევრია იხვი, რომელსაც შეეძლო შეესრულებინა სხვადასხვა მოძრაობების საკმაოდ დიდი კომპლექსი. იგი არამარტო ყიყინებდა, არამედ დადიოდა და ჭყუმპალაობდა წყალში, ამოძრავებდა თავს, შლიდა ფრთებს და ნისკარტით წესრიგში მოჰყავდა ბუმბული. გარდა ამისა, იგი სვამდა წყალს და კენკავდა მარცვალს. საკვებს კი „ინელებდა“ სპეციალური ქიმიური ნივთიერებების დახმარებით (ამისათვის მას მუცელში მოწყობილი ჰქონდა თავისებური ქიმიური ლაბორატორია).

მოგვითხრობენ, რომ ერთხელ ვოკანსონი შეხვდა ახალგაზრდა ანრი დროს, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა დიდი ოსტატობით დაამზადა მექანიკური ხელები ახალგაზრდისათვის, რომელიც ნადირობის დროს დაშავდა. როდესაც ვოკანსონი ხელების აღნიშნულ მექანიზმს გაეცნო, იგი მიუბრუნდა დროს და უთხრა: „ჭაბუკო, თქვენ იმით იწყებთ, რითაც მე მსურდა დამემთავრებინა“.

XVIII საუკუნემ მსოფლიოს მექანიკური ავტომატების სხვა გამოჩენილი კონსტრუქტორებიც აღუზარდა.

შესანიშნავმა რუსმა მექანიკოსმა, ვ. პ. კულიბინმა შექმნა მთელი რიგი საინტერესო ავტომატები, მათ შორის ცნობილი „კვერცხის ფორმის“ საათი, რომელიც ერმიტაჟში ინახება. ეს საათი შესახედაობითა და ზომით ბატის კვერცხს ჩამოჰგავს. მხატვრულად გაფორმებულ ოქროს კორპუსში მოთავსებულია არამარტო საათის მექანიზმი, არამედ ავტომატების მთელი მინიატურული თეატრი, რომელშიც ერთი ციცქნა ფიგურები წარმოდგენას დგამენ მელოდიის თანხლებით. იმისათვის, რომ წარმოდგენა დაიწყოს, საჭიროა სპეციალური ისრის მობრუნება. ზუსტად შუადღისას საათი ჰიმნს უკრავს, დღის მეორე ნახევარში კი — მელოდიას, რომელიც თვით კულიბინმა შექმნა. ყოველი მეოთხედი, ნახევარი და სრული საათი ასევე ზარის რეკვით აღინიშნება.

მოსამართი ავტომატებით — ადამიანისა და ცხოველების მექანიკური ანალოგებით გატაცება XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისშიც კი გრძელდებოდა. მექანიკური სათამაშო-ავტომატები ერთნაირი გასართობი იყო როგორც მოზრდილებისათვის, ასევე ბავშვებისათვისაც.

ის მდიდარი გამოცდილება, რაც მექანიკოსების მთელმა თაობებმა დააგროვეს სათამაშო-ავტომატების კონსტრუირება-აგებაში, დაეხმარა მომდევნო თაობას გადასულიყო მანქანურ წარმოებზე. ახლა ადამიანებს აღაფრთოვანებს არა გასართობად შექმნილი უცნაური მანქანა-სათამაშოები, არამედ საქმიანი და სერიოზული სამრეწველო რობოტები.

როგორც აღვნიშნეთ, პირველი თაობის რობოტები წარმატებით ახორციელებენ ადამიანის მამოძრავებელი ფუნქციების მოდელირებას. მათ შეუძლიათ სიარული, ხტომა, გადაძრომა, ტვირთის აღებ-დადება, აწევ-დაწევა და შენჯღრევა. მოძრაობათა ეს ნაირსახეობა საშუალებას აძლევს რობოტს შეასრულოს მრავალი საწა-

რმოო პროცესი, დახატოს, დაუკრას ფორტეპიანოზე.

ყოველი სამრეწველო რობოტი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: მანიპულატორისა და პროგრამატორისაგან. პირველი ახორციელებს ყველა საჭირო მოძრაობას, ხოლო მეორე — ყველა საჭირო მართვას. სათანადოდ, კონსტრუქციულად ყოველ სამრეწველო რობოტს აქვს „ტანი“ (მართვის მოწყობილობა) და მექანიკური ნაწილი („ტანი“ და „ხელი“). რობოტის „ტანი“ სადგარია, ხოლო „ხელი“ — მრავალრგოლიანი ბერკეტოვანი მექანიზმი— მანიპულატორი. იმისათვის, რომ „ხელმა“ განახორციელოს მოძრაობათა მრავალსახეობა, მას აქვს „კუნთები“ — ამძრავი. „კუნთების“ დანიშნულებაა „ტვინის“ სიგნალების გარდაქმნა „ხელის“ მექანიკურ გადაადგილებებად. „მექანიკურ ხელს“ აქვს „მტევანი“, ანუ წამტაცი მოწყობილობა, რომელიც საჭერით ბოლოვდება. სამრეწველო რობოტების უმრავლესობას აქვს ერთი „ხელი“, მაგრამ არის ორ, სამ და მეტ „ხელიანი“ რობოტებიც.

რობოტის მექანიკური „ხელები“ მოწყობილია სამი პრინციპის შესაბამისად. პირველი პრინციპი ადამიანის ხელის კონსტრუქციის მექანიკური მოდელირებაა, მეორე — სპეციალური შტანგების ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ, კუთხურ გადაადგილებათა ერთობლიობა. მესამე — პირველი და მეორე პრინციპების კომბინაციაზეა დაფუძნებული.

დიდი ტვირთამწეობის მისაღწევად გამოყენებულია ჰიდრავლიკური ამძრავი, ზუსტი მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიური ხაზებისათვის — ელექტრული, ხოლო ქიმიურ, ფეთქებად ნივთიერებებთან მუშაობისათვის უფრო უსაფრთხოა პნევმოძალოვანი მოწყობილობა. ამჟამად რობოტების 50 პროცენტს აქვს პნევმატიკური „კუნთები“, 40 პროცენტს — ჰიდრავლიკური, 10 პროცენტს — ელექტრომექანიკური და სხვ. მაგრამ ბოლო ხანებში ელექტრომექანიკური „კუნთები“ სულ უფრო-დაუფრო პოპულარული ხდება, რაც დაკავშირებულია ელექტრომანქანების სრულყოფასთან.

რამდენიმე სიტყვა პედიპულატორების შესახებ. ესაა მანიპულატორების „უახლოესი ნათესავები“, რობოტის „ფეხები“ (manus ბერძნულად ხელი, pedis ფეხი). ბორბალი ეფექტურია გლუვ და მყარ ზედაპირზე. ხოლო ასეთი ზედაპირები ბუნებაში იშვიათია. ფეხი კი ეფექტურია ნებისმიერ ზედაპირზე გადაადგილებისათვის. სწორედ ეს გაითვალისწინეს კონსტრუქტორებმა. ასე, მაგალითად, მთვარის ზედაპირის დაზვერვისათვის შემუშავებულია ექვს და რვაფეხა სატრანსპორტო მანქანები. ოთხი ან სამი ფეხი წონასწორობის შენარჩუნებისათვისაა განკუთვნილი, დანარჩენი ოთხი ან სამი — გადაადგილებისათვის.

პირველი თაობის რობოტები ფართოდაა გამოყენებული მრეწველობის სხვადასხვა დარგებში, განსაკუთრებით კი მანქანათმშენებლობასა და მეტალურგიაში. ტოლიატის, მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის და მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნები არამარტო ქმნიან კონსტრუქციებს, და ფართოდ იყენებენ პირველი თაობის რობოტებს, არამედ ამზადებენ სამრეწველო რობოტებსა და ავტომატიზებულ კომპლექსებს. ამავე დროს, პირველი თაობის რობოტებს ნაკლიც გააჩნიათ. ისინი გამიზნული არიან ოპერაციების წინასწარ დაპროგრამებული მიმდევრობით შესრულებისათვის. ასეთი რობოტის მართვა ხორციელდება ზუსტად განსაზღვრულ და უცვლელ პირობებში, წინასწარ მიცემული პროგრამის შესაბამისად. ამიტომ პირველი თაობის რობოტები „უგნურნი“ და „ბრმები“ არიან. ისინი ასრულებენ მხოლოდ სათანადო ინსტრუქციებს და შეგუება არ შეუძლიათ მოულოდნელ სიტუაციებთან. მაგალითად, ლითონსაჭრელი იარაღის ცვეთასთან. ცხადი გახდა, რომ საჭირო იყო შეგრძნების ფუნქციების მქონე რობოტები, რომლებსაც შეეძლებოდათ ხედვა, სმენა, ყნოსვა, შეხებით შეგრძნება. ეს კი მეორე თაობის რობოტებია, — შემგრძნები რობოტები.

შემგრძნები რობოტების მართვა დამყარებულია კიბერნეტიკის ფუნდამენტურ იდეაზე — უკუკავშირის იდეაზე. როგორც ვ. ბუსლენკო აღნიშნავს, პირველი თაობის რობოტების მართვა შეიძლება დავახასიათოთ როგორც პირდაპირი კავშირი: რობოტი ზემოქმედებას ახორციელებს მანიპულირების ობიექტზე (ვ. ბუსლენკო, ჩვენი კოლეგა — რობოტი, მოსკოვი, გამომცემლობა „მოლოდაია გვარდია“, 1984, გვ. 91). მეორე თაობის რობოტებს, პირიქით, ახასიათებთ უკუკავშირი: მანიპულირების ობიექტი ზემოქმედებას ახდენს რობოტზე. შემგრძნები რობოტის მართვის სისტემა აწარმოებს შეგრძნების ხელოვნური ორგანოებიდან მოწოდებული ინფორმაციის დამუშავებასა და ანალიზს. ამ ინფორმაციის გათვალისწინებით, უკუკავშირის პრინციპების გამოყენებით, შემსრულებელი ამძრავების მართვას.

რობოტების მგრძნობიარე ელემენტებს გადამწოდები ეწოდება. სამრეწველო რობოტების გადამწოდები შეიძლება დაიყოს ორ დიდ კლასად: შიგა და გარე. შიგა გადამწოდების დანიშნულებაა თვით რობოტების ფუნქციონირების კონტროლი. ამისათვის ისინი შემსრულებელი მექანიზმების ამძრავებშია დაყენებული. გარე გადამწოდების დანიშნულებაა იმ ობიექტების მდგომარეობის კონტროლი, რომლებთანაც „საქმე აქვთ“ სამრეწველო რობოტებს. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების საშუალებით განისაზღვრება დეტალის, ნამზა-

დის, მზა კვანძის მდგომარეობა, ფორმა და სხვა მახასიათებლები. თანამედროვე ელექტრონიკამ საშუალება მოგვცა შეგვექმნა მრავალნაირი გადამწოდები.

გარე ინფორმაციის ყველაზე მარტივი და გავრცელებული გადამწოდია ე. წ. კონტაქტური გადამწოდი — სამრეწველო რობოტის „შეხების გრძნობა“. მანიპულატორის საჭერის ბოლოზე დაყენებულია სპეციალური ამომრთველები. ეს ამომრთველები აფიქსირებენ დეტალთან ან ჩარხთან შეხების ფაქტს და რობოტის „ტვინში“ გზავნიან იმპულსს. ასეთი ამომრთველები საშუალებას აძლევენ რობოტს განსაზღვროს დეტალის ან წარმოქმნილი წინააღმდეგობის მდგომარეობა. სპეციალური გადამწოდის საშუალებით ხდება საჭერის შეკუმშვის ძალის მართვა უკუკავშირით და ამით საგნის ან თვით ხელოვნური „ხელის“ დაზიანების თავიდან აცილება.

განსაკუთრებით მოხერხებულია უკონტაქტო გადამწოდები: ოპტიკური, ელექტრომაგნიტური, ულტრაბგერითი. ისინი ობიექტს აფიქსირებენ უშუალო შეხებამდე.

რამდენიმე სიტყვა რობოტის „მხედველობის“ შესახებ.

რობოტების ვიდეოსისტემათა შემუშავება დაიწყო ტელეკამერების შექმნით. ობიექტის გამოსახულება გარდაიქმნება იმ მრავალ ათას წერტილად, რომლისგანაც შედგება სატელევიზიო გამოსახულება. ეს შავი და თეთრი წერტილები შეიყვანება რობოტის მმართველ ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაში (ეგმ) ციფრული ინფორმაციის სახით, ორობითი კოდით. შავ წერტილს ერთეული ასახავს, ხოლო თეთრს — ნული. კომპიუტერის ელექტრონულ „მეხსიერებაში“ საგნის გამოსახულება გარდაიქმნება ნულებისა და ერთეულების სერიად. ახლა რობოტს შეუძლია „დაინახოს“ საგანი, ე. ი. შეადაროს მისი ციფრული კოდოგრამა მეხსიერებაში შენახულ ციფრების ანაწყობს და „იცნოს“ იგი, ე. ი. განსაზღვროს ობიექტების რა კლასს ეკუთვნის. იქ, სადაც ნულები გადადიან ერთეულებში, ეგმ აღნიშნავს ობიექტის სილუეტს და მის ორიენტაციას. ამის შემდეგ, გამოთვლის რა მის მახასიათებლებს, (მაგალითად ფართობს, პერიმეტრს, დიამეტრს და სხვ) ადარებს მათ საკუთარ მეხსიერებაში შენახულ მახასიათებლებს. როდესაც ეგმ მოძებნის მეხსიერებაში ციფრების მსგავს ანაწყობს, რობოტი „იცნობს“, თუ ვის ხედავს იგი. ამის შემდეგ ის „უბრძანებს“ თავის „თითებს“, თუ რა უნდა გაუკეთონ საგანს. უნდა ვიფიქროთ, რომ რობოტს შეიძლება უკეთესი „მხედველობა“ ჰქონდეს, ვიდრე ადამიანს. ადამიანის თვალს შეუძლია ელექტრომაგნიტური ტალღების სპექტრის მხოლოდ ოპტიკური ნაწილის აღქმა, ხოლო ბიოლოგიურად შეუზღუდველი ელექტრონული მოწყობილობა შეიძლება მგრძნობიარე იყოს ინფრაწითელი და ულტრაიისფერი სხივებისადმი. ელექტრონული „თვალი“ შეიძლება „ხედავდეს“ სიბნელეშიც და ზეკაშკაშა განათებისას ღუმელში, ტელესკოპურად ან მიკროსკოპურად; მას შეუძლია მოახდინოს ზესწრაფი და, აგრეთვე, ზენელი პროცესების ფიქსაცია. მაშინ შესაძლებელი გახდება ის, რაც არ „დაესიზმრება“ ადამიანის მხედველობას, მაგალითად, ობიექტის ნივთიერების სპექტროგრაფული ანალიზი უშუალო „დათვალიერებით“ (ვ. ბუსლენკო, ჩვენი კოლეგა — რობოტი, მოსკოვი, „მოლოდაია გვარდია“, 1984, გვ. 84).

მეორე თაობის რობოტებმა შესაძლებელი გახადეს მათი გამოყენების ახალი სფერო — კონტროლი. რობოტი-კონტროლიორი წარმატებით ცვლის ადამიანს ამ შრომატევად და მომაბეზრებელ ოპერაციაზე. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა სპეციალური რობოტები, ე. წ. საზომი ცენტრები. საზომი ცენტრის მთავარი თვისებაა მოქნილობა. შესაძლებელია მისი დაპროგრამება ნებისმიერი ფორმისა და ზომის დეტალზე, წინასწარ „დაევალოს“ საჭირო სიზუსტე და გაზომვის დასაშვები სიჩქარე, გაზომილი დეტალის ზომების გადახრების შეტყობინება და პროგრამული მართვის ჩარხის მართვაც კი, ლითონსაჭრელი იარაღების მდგომარეობის კორექტირების თვალსაზრისით.

მეორე თაობის სამრეწველო რობოტების „პროფესიებს“ დაემატა კიდევ ერთი — სასმელი წყლის დეგუსტატორი. ბერლინში დაყენებულია ექვსი ასეთი რობოტი. ისინი, დროის გარკვეულ შუალედებში, წყალსადენის ქსელიდან იღებენ წყლის სინჯებს და წამების განმავლობაში აწარმოებენ მის ანალიზს.

მეორე თაობის რობოტების შესანიშნავი მაგალითებია საბჭოური პლანეტშუა ავტომატური სადგურები „ვენერა 13“, „ვენერა 14“ „ვენერა 15“ და „ვენერა 16“. კოსმოსურმა რობოტმა „ვენერა 13“ უკვე შეასრულა მასზე დაკისრებული ამოცანები. ამ რობოტმა შეძლო დედამიწაზე გადმოეცა პლანეტა ვენერას ზედაპირის გამოსახულება, ტემპერატურის წნევისა და სიმაღლის გაზომვათა შედეგები. პლანეტა ვენერა, ეს ციური ლამაზმანი, ჯერ კიდევ მიუწვდომელი და არასტუმართმოყვარეა კოსმონავტებისათვის, ამიტომ მათ მაგიერ მეცნიერული ამოცანების გადასაწყვეტად გამიზნულია კოსმოსური რობოტები.

ასევე შესანიშნავი მაგალითია 1970 წლის 12 სექტემბერს დაწყებული კოსმოსური ექსპერიმენტი, როდესაც ავტომატური სადგური „ლუნა 16“ გაფრინდა მარშრუტით „დედამიწა-მთვარე-დედამიწა“. ფრენის დროს შესრულებული იყო რიგი რთული მანევრები, შემდეგ

სადგური დაჯდა მთვარის ზედაპირის წინასწარ შერჩეულ რაიონში, აიღო მთვარის გრუნტის ნიმუშები. სადგურის უკანმაბრუნმა ნაწილმა, კოსმოსური რაკეტის საშუალებით, განახორციელა გადმოფრენა დედამიწაზე და საბჭოთა კავშირის წინასწარ შერჩეულ რაიონში დაჯდომა.

მესამე თაობის ინტელექტუალური რობოტი თავისებური კიბერნეტიკული „ცოცხალი" არსებაა, რა თქმა უნდა, ამ ტერმინის უფრო ფართო გაგებით. ასეთ „არსებას" აქვს შემდეგი ძირითადი ორგანოები: რეცეპტორები — გარე და შიგა ინფორმაციის სხვადასხვა გადამწოდები: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, შეხებითი შეგრძნება. გარდა რეცეპტორებისა, აქვს ეფექტორებიც—გარემომცველ გარემოზე ზემოქმედების საშუალებანი. ეს არის „კუნთები" ანუ სერვომოტორები, რომლებსაც მოქმედებაში მოჰყავთ სხვადასხვა კიდურები: ხელები, ფეხები, ხორთუმი, საცეცები და სხვ. ასეთ „ორგანიზმში" მთავარია საკმაოდ განვითარებული „ტვინი", რომლის როლს ცენტრალური ეგმ ასრულებს. ამ ეგმ-ს უშუალო კავშირი აქვს ადამიან-ოპერატორთან. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ასეთ რობოტს აქვს მიზანშეწონილი ქცევა, ყოველ შემთხვევაში, მაიმუნზე სულელი არ არის. სხვა რობოტებისაგან განსხვავებულად მას „კიბერს" უწოდებენ (ვ. ბუსლენკო, ჩვენი კოლეგა — რობოტი, მოსკოვი, „მოლოდაია გვარდია", 1984, გვ. 95).

კიბერს აქვს უნარი იმ ადამიანური ენის გაგებისა, რომელზეც მას ოპერატორი ესაუბრება. კიბერი თვითონ აყალიბებს მის „შეგნებაში" გარემოს საკმაოდ დაწვრილებით მოდელს — იმ რეალურ ვითარებას, რომელშიც უხდება „არსებობა". კიბერს შეუძლია შექმნილი სიტუაციის ანალიზი, ოპერატორის მიერ დასახული საერთო მიზნის მისაღწევად თავისი მოქმედების დაგეგმვა. ასევე შეუძლია დასახოს სასურველი მოძრაობანი და მოახდინოს მათი რეალიზაცია არასასურველი ინფორმაციისა და სწრაფად ცვალებადი სიტუაციის პირობებში.

იაპონიაში შეიქმნა მესამე თაობის რობოტი-კიბერი, რომელსაც 2-3 წლის ბავშვის ინტელექტუალური უნარი აქვს. მას შეუძლია შეასრულოს თხოვნა, მოძებნოს სათავსოში რაიმე და მოიტანოს იგი, გასცეს პასუხი კითხვებზე. გარეგნულად ეს კიბერი ადამიანის მაგვარია (ვ. ბუსლენკო, ჩვენი კოლეგა-რობოტი, მოსკოვი, „მოლოდაია გვარდია", 1984, გვ. 161).

მაგრამ, მიუხედავად დიდი მიღწევებისა, რობოტების ხელოვნური ინტელექტის შექმნაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მეცნიერების მიერ დადგენილია პრინციპი, რომ საჭიროა გამოვიკვლიოთ ის კი არა, როგორ მუშაობს ადამიანის ტვინი, არამედ ის, თუ რას აკეთებს იგი. გამოკვლეული უნდა იყოს ადამიანის ყოფა-ქცევა და ცოდნის შეძენის პროცესი, ე. ი. ხელოვნური ინტელექტის შექმნისათვის უპირატესობა ეძლევა ფსიქოლოგიას და არა ფიზიოლოგიას.

განვიხილოთ პრობლემა ჰიბრიდისა — „ადამიანი-მანქანა". აქ ჩვენ ვუახლოვდებით ახალ ჰიპოთეზას, წარმოშობილს ბიონიკის, კოსმონავტიკისა და კიბერნეტიკული მედიცინის განვითარებასთან ერთად. პროფესორი მანფრედ კლაინსი, ცოცხალი ორგანიზმების ბიოქიმიური წონასწორობის სპეციალისტი, ინჟინერ-მათემატიკოსი, და ნატან კლაინი, ნეიროფიზიოლოგი, ფსიქოფარმაკოლოგიის სპეციალისტი, გვევლინებიან ადამიანთა ე. წ. კიბორგანიზაციის მომხრეებად.

აი, რას წერდნენ ისინი ამ საკითხის თაობაზე: „წინასწარ ავაწყოთ ადამიანის სხეულის სრული ელექტრონულ-მექანიკური მოდელი და შევიცადოთ. და აი, სასწრაფო დახმარების მანქანამ საავადმყოფოში საავტომობილო კატასტროფაში უიმედოდ დაშავებული სწავლული მოიყვანა. მას სიცოცხლის რამდენიმე წუთიღა დარჩენია, მაგრამ ჯერ კიდევ სალ გონებაზეა და ესმის თავისი მდგომარეობა. იგი ბიოლოგია. და სწავლული წყვეტს, უფრო სწორად, ბედავს კაცობრიობის ისტორიაში უპრეცენდენტო ექსპერიმენტს. მისი კოლეგები და მეგობრები მაქსიმალური სიფრთხილითა და სიზუსტით ცვლიან მისი ყოფიერების სხეულოვან გარსს. მისი „მე", მისი ადამიანური არსი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი ტვინი ცოცხალი რჩება, მაგრამ ამჯერად იგი ფუნქციონირებს სრულიად განსხვავებულ, ხელოვნურად შექმნილ კვაზიბიოლოგიურ სისტემაში".

დროთა განმავლობაში, როდესაც შევძლებთ ადამიანის ტვინის სრულფასოვანი უჯრედების მიღებას მასაზრდოებელ გარემოში, შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება იმ მაღალმწარმოებლური გამოსათვლელი მანქანების შესაქმნელად, რომლებიც შედგებიან ლითონისა და ცოცხალი სუბსტანციისაგან. ნერვული უჯრედების კარნახით მოქმედი ასეთი მანქანები, როგორც ამას ბიოკიბერნეტიკოსები ვარაუდობენ, თავისი შესაძლებლობებით არსებულთ გადააჭარბებენ.

ამ კიბორგს, ამ ცოცხალ ტვინს, კოსმოსური ერის ადამიანი უწოდეს. ზოგიერთები ოცნებობენ წინასწარ გამოითვალონ და შექმნან კონსტრუქციები, კოსმოსში ცხოვრებისა და მუშაობის კონკრეტული პირობებისათვის. ამისათვის აღარ იქნება საჭირო გამუდმებული გარსი — ჰერმეტული სკაფანდრი.

სიცოცხლისათვის შეუთავსებელი ზოგიერთი

ფაქტორის ზემოქმედებით კიბორგი კოსმოსში თავს ისე იგრძნობს, როგორც სახლში.

უნდა ვაღიაროთ, რომ მაინცდამაინც სასიამოვნო არ არის მსგავსი რამის წაკითხვა ან მოსმენა. არ არის სასიამოვნო იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხედველობაში ვიღებთ ისეთ „დამაჯერებელ არგუმენტს“, როგორიცაა კოსმოსში ხანგრძლივი ყოფნა ადამიანის სიცოცხლისათვის გაუთვალისწინებელი პირობების ზემოქმედებისას.

გასაგებია, რომ ამ ანტიჰუმანისტურ პროექტს არაფერი აქვს საერთო კოსმოსური სივრცის დაპყრობისა და ათვისების ნათელ მიზნებთან. „ჩვენ კოსმოსი მანქანებისათვის კი არა, ადამიანებისათვის გვინდა“, — წერდა აკადემიკოსი ვ. ვ. პარინი, და ძნელია, არ დავეთანხმოთ მას (ვ. პეკელის, კიბერნეტიკული ნარევი, მოსკოვი, „ზნანიე“, 1982, გვ. 222-223).

სადღეისოდ რობოტები ყოვლისშემძლედ და ყველგანშემღწევად წარმოგვიდგება. მათ აითვისეს ასამდე ოპერაცია. რობოტები ძირითადად გამოყენებულია მრეწველობაში. ამჟამად დაიწყო მათი გამოყენება სოფლის მეურნეობაშიც. სსრ კავშირში უკვე შეიქმნა ხილის საკრეფი რობოტები. ამჟამად კონსტრუქტორები მუშაობენ მეცხოველეობის, მემცენარეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებისათვის რობოტების შესაქმნელად. რობოტმა აითვისა ისეთი ეგზოტიკური ოპერაციაც კი, როგორიცაა ცხვრის კრეჭა. და თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ყოველ ცხვარს თავისი ზომა და ინდივიდუალური ფორმა აქვს, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად დიდი ინტელექტუალური დატვირთვა უხდება რობოტ-მკრეჭავს. იქმნება რობოტი-დიასახლისი, რომელიც შესძლებს შრომატევადი ოპერაციების (ბინის დალაგება, საჭმლის მომზადება, ბავშვის მოვლა და სხვ) შესრულებას.

და მაინც მარტოხელა ინტელექტუალური რობოტი თითქმის არავის სჭირდება. მისი დატვირთვა საპროექტო სიმძლავრის ნახევარსაც კი ვერ აღწევს და რამდენადაც საკმაოდ ძვირი ღირს, ეკონომიურად არახელსაყრელია. ასე, მაგალითად, პირველი თაობის რობოტები ციკლური პროგრამული მართვით ღირს 5-დან 36 ათას დოლარამდე.

რასაკვირველია, არის წარმოებები, სადაც ერთფეროვანი, დროთა განმავლობაში უცვლელი ოპერაციებია. ასეთ საწარმოში მარტოხელა რობოტებიც კი გამოსადეგია. და თუ სამუშაო მიმდინარეობს განსაკუთრებით ძნელ და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საზიანო პირობებში (ოკეანის სიღრმეში, მიწის ქვეშ, კოსმოსში, რადიოაქტიური გამოსხივების პირობებში), ეკონომიკა უკან იხევს უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორის — ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საჭიროების წინაშე. ასე რომ, ეს გზა მისაღები, მაგრამ შეზღუდულია. რობოტების ძირითადი მასა უნდა გაერთიანდეს „ბრიგადებში“. ამისათვის კი არსებობს ავტომატური ხაზი, მაგრამ ეს ხაზი უმწეოა გაუთვალისწინებელ ვითარებაში.

რობოტები, რომლებიც ერთ ტექნოლოგიურ ხაზზეა ჩამწკრივებული, გაცილებით ეკონომიურია. მათ შეუძლიათ შეუწყვეტლივ იმუშაონ სადღეღამისო დროის 80 პროცენტამდე. თვითონ რობოტები დეტალებს არ ამუშავებენ, ამისათვის არსებობენ ჩარხები, რობოტი კი ემსახურება ჩარხს ან საამწყობო ოპერაციებს ასრულებს.

იმ შემთხვევაში, თუ ჩარხები და რობოტები კონვეიერით არიან დაკავშირებული, რობოტი კონვეიერიდან იღებს ნამზადს, აყენებს მას ჩარხზე, დამუშავების შემდეგ კი ხსნის და აბრუნებს ისევ კონვეიერზე. პირველ ჩარხზე დამუშავებული ნამზადი მეორე ჩარხისათვის უკვე ნახევარფაბრიკატია და ა. შ. ხაზის ბოლოს კი გაგვაჩნია უკვე მზა და, შესაძლოა, შეღებილი დეტალიც კი. ყოველივე ეს, ერთი შეხედვით, ოპტიმისტურ განწყობას გვიქმნის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სახითაც რობოტი ნაკლებად სჭირდება ვინმეს. წარმოება ხომ ნამზადით არ იწყება. დამამზადებელი უბნებისა და ნედლეულის საწყობისადმი წაყენებული მოთხოვნილებები კი მრავალნაირია. ამავე დროს, წარმოება დეტალით არ მთავრდება; ის ნაკეთობით მთავრდება, რომელიც არანაკლებ ორი-სამი დეტალისაგან შედგება და თუ რობოტიზებულია მხოლოდ ერთი დეტალის დამამზადებელი უბანი, მაშინ სხვა უბნები ჩამორჩებიან. ასეთი რამ საკმაოდ ხშირია იმ საწარმოებში, სადაც რობოტიზებული უბნები გვხვდება. ეს უბნები თვიურ გეგმას რამდენიმე დღეში ასრულებენ, შემდეგ კი მომავალი თვის დასაწყისამდე ჩერდებიან, იმის გამო, რომ სხვა არაფრის გაკეთება „არ იციან“.

როგორია რობოტის „მოღვაწეობა“ საამწყობო უბანზე? აქ წარმოჩნდება ახალი შემადგენელი რგოლი — ეგმ, რომელიც მთელ უბანს მართავს. ვითარდება შიგასაამქრო ტრანსპორტის მთელი ქსელი. თვითეულ რობოტთან უნდა მიდიოდეს მისი მკვებავი რგოლი. ეგმ ასრულებს დისპეტჩერის ფუნქციას. დეტალი რობოტ-ამწყობს მიეწოდება ზუსტად განსაზღვრულ დროს. მაგრამ სხვა, არარობოტიზებული უბნები, რომლებიც ცალკეულ დეტალებს ამზადებენ, ვერ მოასწრებენ რობოტიზებული საამწყობო საამქროების მომსახურებას. ასე რომ, ამ შემთხვევაშიც რობოტი ეფექტური არ არის.

გამოსავალი ერთია: თუ ვნერგავთ რობოტებსა და ჩარხებს რიცხვითი პროგრამული მართვით (რპმ), ეს უნდა მოხდეს მთელი სა-

წარმოო ციკლის მასშტაბით — ნამზადიდან ნაკეთობამდე.

მსგავსი ავტომატი-საამქროები კარგია მსხვილსერიული და მასიური წარმოებისათვის. იქ, სადაც ყველაფრის გაწყობა და გამართვა შეიძლება რამდენიმე წლისათვის და ნაკეთობა-წარმოების ობიექტი არ იცვლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ასეთი ავტომატური ხაზების შექმნა და ამორტიზაცია 8-10 წლის მანძილზე გრძელდება. მაგრამ თუ ნაკეთობათა ნომენკლატურა ყოველ 1,5-2 წლის განმავლობაში იცვლება, ხაზი არარენტაბელურია პროდუქციის გამოშვების დიდი მოცულობის დროსაც კი.

ახალ წარმოებაზე გადასვლის პროცესი ყოველთვის მტკივნეულია წარმოებისათვის. საჭიროა შეიცვალოს ყველაფერი: დოკუმენტაცია, ოპერაციათა მიმდევრობა, ტექნოლოგიური აღჭურვილობა. ჩარხები ხელახლა უნდა გაიმართოს. და თუ ეს საწერმო წვრილსერიული ან საშუალოსერიულია, მაშინ თითქმის მთელი დრო მის კვლავაწყობაზე დაიხარჯება. გარდა ამისა, მასიურ წარმოებაშიცაა შესაძლებელი გაუთვალისწინებელი მდგომარეობა: მაგალითად, გატყდა კონვეიერის ერთერთი უბანი, ჩამორჩა დამამზადებელი საამქრო, გადაიწვა ჩარხის ძრავა ან, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ. და ყველაფერი ჩერდება. მმართველი ეგმ მხოლოდ დისპეტჩერია, მას შეუძლია მხოლოდ გვაუწყოს უწესივრობის შესახებ და მიგვითითოს ადგილი, სადაც ეს უწესივრობა მოხდა. და თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი საამქროს შემადგენელი მანქანებისა და სხვა მოწყობილობების რაოდენობა ათასებია, მაშინ ნათელი გახდება, რომ თუნდაც ერთერთი მათგანის მწყობრიდან გამოსვლის ალბათობა ძალიან დიდია, და, ამდენად, მოცდენის დრო გაცილებით მეტი შეიძლება აღმოჩნდეს ნამუშევარ დროზე. იმისათვის, რომ ეს თავიდან აიცდინონ, ცდილობენ გაზარდონ თვითეული მოწყობილობის საიმედობა, შექმნან ოპერატიული ბრიგადები უწესივრობის აღმოსაფხვრელად.

ამჟამად, განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში სამრეწველო პროდუქციის 50-70 პროცენტს წვრილსერიულ და საშუალოსერიულ წარმოებათა პირობებში ამზადებენ. ასეთ წარმოებათა ავტომატიზაცია მსხვილსერიულ და მასიურ წარმოებებთან შედარებით განსაკუთრებით რთულია, რადგანაც მათი სახასიათო ნიშანთვისებაა — პროდუქციის სახეობის ხშირი ცვალებადობა და ნაკეთობათა მცირე რაოდენობა თვითეულ ცალკეულ გამოშვებულ პარტიაში.

წვრილსერიული წარმოების ავტომატიზაციაში საგრძნობი წვლილი იყო შეტანილი რიცხვითი პროგრამულმართვიანი მოწყობილობების (ლითონსაჭრელი ჩარხები, სამრეწველო რობოტები, საზომი რობოტები და სხვ.) შექმნით. ამ მოწყობილობის სწრაფი გადართვა პროდუქციის ახალი სახეობის წარმოებაზე შესაძლებელია სამართი პროგრამის შეცვლით. მაგრამ ლითონსაჭრელი ჩარხები რიცხვითი პროგრამული მართვის (რპმ) უფრო მაღალი მწარმოებლურობით და დიდი ღირებულებით ხასიათდება. ამიტომ, მწვავედ დაისვა საკითხი მათი დატვირთვის ოპტიმიზაციის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ამ ჩარხების დატვირთვა მთელი სამუშაო დროის 30-35 პროცენტს შეადგენს. დატვირთვის გაზრდა საწარმოო პროცესის საფუძვლიანი გადაკეთებისა და ეგმ-ს გამოყენების გარეშე ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

წვრილსერიულ და საშუალოსერიულ წარმოებათა ავტომატიზაციის შემდეგი ნაბიჯია მოქნილი საწარმოო სისტემა (მსს) ამ სისტემათა ბაზაზე მომავალში შეიქმნება მოქნილი ავტომატიზებული და ავტომატური (უხალხო) წარმოებანი ან ავტომატური ქარხნები.

მსს, გარდა ჩარხებისა პრმ-ით, იერთიანებს ნამზადების ჩატვირთვისა და გადაზიდვის მოწყობილობებს, დეტალების ავტომატური კონტროლის და ლითონსაჭრელი იარაღებისა და ჩარხების მდგომარეობის (მუშაობისათვის მზადყოფნის) დიაგნოსტიკის სისტემებს. მსს მართავს ეგმ, რომელიც სისტემის ყველა ელემენტის მუშაობის კოორდინაციას ახორციელებს.

ამჟამად მსოფლიოში 200 მსს იხმარება, მათგან სსრ კავშირში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში 60-მდე. მსს-ს დანერგვა წარმოებაში საშუალებას იძლევა შემცირდეს მომსახურე პერსონალის ოდენობა 70 პროცენტით, გადართვის დრო 7-ჯერ, სამარჯვების ღირებულება 50 პროცენტით, დეტალის საამქროში ყოფნის დრო — 10-15-ჯერ, პროდუქციის თვითღირებულება — 20 პროცენტით (ვ. ნ. ვასილევი, მოქნილი ავტომატიზებული სისტემების განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები, „ვესტნიკ მაშინოსტროენიი“, 1984, № 10, გვ. 3-7).

ასეთი საწარმოო სისტემის მოქნილობა მდგომარეობს შემდეგში: თუ საჭიროა ახალი დეტალის დამუშავებაზე გადასვლა, მმართველი ეგმ ჩარხებს, რობოტებს, ავტომატიზებულ საწყობებსა და ტრანსპორტს უცვლის პროგრამას და უბანი უკვე ახალ ტექნოლოგიურ პროცესს ახორციელებს. მაგრამ თუ ერთერთ ჩარხს იარაღი გაუტყდა, ეს ჩარხი, ბუნებრივია, დროებით გამოეთიშება საქმეს. მისი დავალება კი გადაეცემა ნაკლებადდატვირთულ ან სათადარიგო ჩარხს ან, შესაძლებელია, რომ ეს დავალება გადანაწილდეს ყველა ჩარხზე, შესაბამისად შეიცვლება ავტომატური ტრანსპორტის მარშრუტი. წყობიდან გამოსული თა-

რალის შეცვლისთანავე უბანი უწინდელ კონფიგურაციას უბრუნდება. ამიტომ უნდა შეიქმნას ისეთი პროგრამა, რომლის საშუალებითაც გამომთვლელი ქსელი თვითონ შეიმუშავებს მოქმედების სტრატეგიას და გარდაქმნის მსს-ს კონფიგურაციას (ი. უსვიცკი, წარმოება მოქნილი და საიმედო, „ზნანიე-სილა“, 1984, № 10, გვ. 11-8).

უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილება მსს-ს მიმართ — მოდულობაა. მოდული — მსს-ის ელემენტარული კომპონენტია, რომელსაც ავტონომიური ფუნქციონირება შეუძლია. შეუძლებელია, რომ მსს ერთნაირი იყოს სხვადასხვა წარმოებისათვის. ასევე ძნელია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შევქმნათ ახალი მსს. ამიტომ მიზანშეწონილია შეიქმნას ტიპიური მოდულები: მსს-ის დამუშავებისათვის, ტრანსპორტირებისათვის, საწყობში მოთავსებისათვის. ტიპური მოდულების საშუალებით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს პრაქტიკულად ნებისმიერი მანქანათსამშენებლო წარმოება.

ტიპური მოდულების შექმნა საშუალებას იძლევა გადავწყვიტოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა — შევქმნათ მსს ეტაპებად, უკვე არსებულთან ახალი ავტომატური დამამუშავებელი უჯრედებისა და ახალი უბნების დამატებით. ამგვარად ადვილია მოქმედ საწარმოთა მოდერნიზაცია და რეკონსტრუქცია. მოდული უნდა იყოს საკმაოდ დამოუკიდებელი, უზრუნველყოფდეს არამარტო დეტალების დამუშავების ოპერაციების ფართო დიაპაზონს, არამედ ტესტირებას, ხარისხის კონტროლს და დიაგნოსტიკას. ასეთი მოდულებით ადვილია მთელი წარმოების გაერთმთლიანება.

დასასრულს, გონების თვალით გადავხედოთ მომავალს — როგორი იქნება მომავლის რობოტი? რა მიმართულებით განვითარდება რობოტის მომავალი თაობები?

კარელ ჩაპეკის ზემოხსენებული პიესის „RUR“-ის დასკვნით ნაწილში პიესის ერთ-ერთი გმირი, მიმართავს რა რობოტებს, ამბობს: „სამყარო თქვენ გეკუთვნით!“ შეიძლება ითქვას, რომ ეს წინასწარმეტყველება სრულდება. ამჟამად რობოტები გამოყენებულია ოკეანის სიღრმესა და კოსმოსში. ისინი მტკიცედ შეიჭრნენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ყოფა-ცხოვრების სფეროებში. მომავალში კი რობოტების გამოყენების შესაძლებლობანი ხარისხობრივად ახალ საფეხურზე ავა. მოსალოდნელია რობოტების ფართო გამოყენება კოსმოსურ ტექნოლოგიაში.

ჭერჭერობით, როგორც ამას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. ვ. რაუშენბახი აღნიშნავს — ადამიანებს აქვთ უდავო უპირატესობა ავტომატებთან შედარებით. რობოტისაგან განსხვავებით, ადამიანებს ახასიათებთ სურვილის უნარი, ნების გამოვლენა (ბ. ლომოვი, ადამიანი და ავტომატები, მოსკოვი, „პედაგოგიკა“, 1984, გვ. 125). რობოტებისათვის ჭერჭერობით ასევე მიუღწეველია ემოციები, გრძნობები, თვითშეგნება, განსაკუთრებით კი იუმორის გრძნობა, რომელიც პირველხარისხოვან როლს თამაშობს ადამიანის აზროვნების პროცესში. პროფესორი ი. შკლოვსკის ჰიპოთეზით, ხელოვნური გონების შექმნა სამყაროში მატერიის განვითარების უმაღლესი ეტაპია. ევოლუციის ხარისხოვნად განსხვავებული ეტაპებია: არაცოცხალი ევოლუციის პროცესში მყოფი მატერია, ცოცხალი ევოლუციის პროცესში მყოფი მატერია, ბუნებრივი გონიერი სიცოცილე, ხელოვნური გონიერი სიცოცხლე. ი. შკლოვსკის აზრით, ბუნებრივ გონიერ არსებათა ერა შედარებით ხანმოკლე ეტაპია სამყაროში მატერიის განვითარებისა (ვ. ბუსლენკო, ჩვენი კოლეგა-რობოტი, მოსკოვი, „მოლოდაია გვარდია“, 1984, გვ. 218).

აღსანიშნავია თანამედროვე კიბერნეტიკის ერთ-ერთი საოცარი მიღწევა — შექმნილია ეგმ, რომელიც ადამიანის აზრებს, ფიქრებს, ოცნებებს კითხულობს.

ინტელექტუალური რობოტების — კიბერების სრულყოფით ადამიანი ქმნის არამარტო ცხოვრების ახალ სახეს, არამედ სოციალურ ურთიერთობათა ახალ ფორმასაც. ახალ თაობათა ინტელექტუალური რობოტების ცხოვრებაში დანერგვის შედეგები შესაძლებელია არანაკლებ არსებითი იყოს კაცობრიობისათვის, ვიდრე ბირთვული ენერგიის დაუფლება, კოსმოსის ათვისება, ეგმ-ს გამოგონება, გენური ინჟინერიის მეთოდების შექმნა. ყველა შემთხვევაში ადამიანებმა არ უნდა დაივიწყონ მათი უძველესი, სანუკვარი ოცნება — რობოტი იყოს ადამიანის თვინიერი თანაშემწე და საიმედო მეგობარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრე კარბელაშვილი

# ქართველი პუბლიცისტი ბულგარეთში

ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობას ჯერ კიდევ 1083 წელს ჩაეყარა საფუძველი, როცა გრიგოლ ბაკურიანის ძემ როდოპის მთებში ქართველთა სავანე — ბაჩკოვოს მონასტერი დააარსა. სწორედ ამაზე წერდა ბულგარელი ლიტერატურის დიდი პატრიარქი ივანე ვაზოვი თავის ქართველ მეგობარს თედო სახოკიას: „წამიერად გავჭვრიტე იმ შორეულ ტკბილ წარსულს, რომელიც ჩვენს ორ მოძმე ხალხს სულიერად აკავშირებდა. განა ბაჩკოვოს სავანეს ბრძნულსა და მადლიან ლვაწლს ჩვენამდე არ მოუღწევია? მისმა ამაგმა ხომ ‚საშვილიშვილოდ გაალრმავა ჩვენი კულტურული ურთიერთობა!“

დიახ, სწორედ ქართველი და ბულგარელი ხალხის სულიერი ურთიერთობა იყო იმის მიზეზი, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართული გაზეთები და ჟურნალები ფართოდ აშუქებდნენ ბულგარელი ხალხის ცხოვრებას, განსაკუთრებით კი 1877-78 წ.წ. განმათავისუფლებელი ომის წინა პერიოდში, ომის დროს და შემდგომ წლებში, როცა ბულგარეთის სახელმწიფო დამოუკიდებელი ცხოვრების გზას დაადგა. ქართველი ხალხისათვის ახლობელი იყო ბულგარელების გულისტკივილი, მათი გამარჯვებები და დამარცხებები.

• • •

იმ ქართველთა შორის, რომლებიც მონაწილეობდნენ 1877-1878 წლების განმათავისუფლებელ ომში ბულგარეთის მიწაზე, გიორგი ჯორჯაძეც იყო. პროფესიით ჟურნალისტმა, რუსეთის არმიის კაპიტანმა, დიდი საბრძოლო გზა განვლო და თავის კორესპონდენციებში, თბილისში, „დროების“ რედაქციაში რომ გზავნიდა, დაწვრილებით აღწერდა ბრძოლის ველზე დანახულსა და განცდილს.

გ. ჯორჯაძე წარმოშობით კახეთიდან იყო, ალბათ, გრემიდან, რაზეც მეტყველებს 1874 წელს თელავიდან „დროების“ რედაქციაში გამოგზავნილი მისი წერილები და ფსევდონიმი გ. გრემელი. ზოგიერთი ამ წერილის დასახელება: „თელავის ქალთა სასწავლებელი“ (1874, № 453), „გლეხების მოტყუება თხლეჭაჭის გამოხდის საქმეში“ (1875, № 13), „ზაქათალის მაზრის სასწავლებლის დაკეტვა და თელავში სამხედრო პროგიმნაზიის გახსნა“ (1875, №№ 19, 20). შემდეგ, იგი ჩრდილო კავკასიიდან, პიატიგორსკიდან გზავნის ასეთ წერილებს: „ცუდი სამკურნალო პირობები ჩამოსულ ავადმყოფთათვის“ (1875, № 101) „სამკურნალოდ ჩამოსულთა დროსტარება“ (1875, № 90), „კახური ღვინის გასაღება“ (1875, № 124). 1876 და 1877 წლებში გ. ჯორჯაძე ისევ ჩრდილო კავკასიაშია და „დროებაში“ სულ უფრო ხშირად აქვეყნებს პუბლიცისტურ მასალებს.

1877 წლის აპრილში გ. ჯორჯაძე კიშინიოვშია. თუ როგორ მოხვდა ჩრდილოეთ კავკასიიდან ქართველი ჟურნალისტი მოლდავეთში ამაზე „დროების“ მკითხველებს დაწვრილებით უამბობს იგი კიშინიოვიდან 28 აპრილს გამოგზავნილ წერილში; ეს კორესპონდენცია საინტერესოა, რადგან 12 აპრილს რუსეთმა დაიწყო ბულგარეთის განმათავისუფლებელი ომი, ხოლო კიშინიოვი იმ დროს რუსეთის არმიისათვის მთავარ ბანაკს წარმოადგენდა.

საინტერესოა, რომ სწორედ კიშინოვში ჩამოყალიბდა ბულგარეთის მოხალისეთა ნაწილები და აქედან ბულგარეთში წასულ მეხამელები და აქედან ბულგარეთში წასულ „დრუჟინას“ ლეგენდარული შიპკის დაცვის დღეებში მეთაურობდა მაიორი კონსტანტინე ჭილაშვილი (დღეს სოფიაში ერთი ქუჩის ფირნიშზე წარწერაა: „მაიორი კ. ჩალაევი).

1876 წლის 3 ოქტომბერს სოფ. სმორეტრესტენიკადან კაპიტანი გ. ჯორჯაძე იტყობინება კავკასიის ბრიგადის სამხედრო მოქმედებაზე. მისი ეს კორესპონდენცია „დროების“ № 175 და № 176-ში დაიბეჭდა გაგრძელებით:

„21 ივლისი. ქ. პლევნას დაზვერვა. გამოირკვა რომ ჯარების რიცხვი ქალაქში გაზრდილიყო. ყოველი ბატარეა ერთმანეთთან დაკავშირებული აღმოჩნდა ტელეგრაფით. მაშინვე კრუპის ზარბაზნებიდან მტერმა დაიწყო სროლა. დაზვერვის შემდეგ ს. ბოგოტი.

24 ივლისი. ს. ბოგოტიდან გადასვლა ს. იოგლიჯში, რომელიც ქ. ლოვჩის მახლობლად არის.

26 ივლისი. ლოვჩის დაზვერვა. თუმცა ზარბაზნებს შეუწყვეტლივ გვესროდნენ და ზარბაზნის ტყვიებიც შიგ ჩვენს შუაში სკდებოდა, მაგრად ჯერ წინ წავიწიეთ, და შემდეგ დავბრუნდით. მხოლოდ ერთი ცხენი დაგვიჭრეს ზარბაზნის ტყვიის ნატეხით. დაბრუნების დროს შემოგვიტიეს ჩერქეზებმა და ბაშიბუზუყებმა, მაგრამ ვერა გაიტანეს-რა, მხოლოდ ერთი ოსის ურიადნიკი დაგვიჭრეს მხარში" — იწერებოდა გ. ჯორჯაძე.

განაგრძობდა რა მომდევნო დღეებში ჩატარებული სამხედრო ოპერაციების აღწერას, გ. ჯორჯაძე შემდეგ ძალზე დაწვრილებით აღწერდა ქ. ლოვჩისთვის ჩატარებულ მძიმე ბრძოლას:

„22 აგვისტოს შეუდექით კვალად ლოვჩის აღებას (ქ. ლოვჩა ერთხელ იყო ჩვენგნით აღებული ივნისშივე მაგრამ, რადგანაც სხვა ჯარი არ დაუმატეს და მხოლოდ ერთი სოტნის ყაზახების ანაბარას გახადეს, მოვიდნენ ოსმალები და გამორეკეს ჩვენი ყაზახები და წესიერათ გამაგრდნენ).

ჩვენ მივადექით პლევნოსა და ლოვჩის შოსეს გზით. ჩვენი დანიშნულება იყო, რომ პლევნოსკენ არ უნდა გაგვეშო ოსმალოს ჯარი. დილის ექვსი საათიდან შეიქმნა გახურებული სროლა; ჩვენმა ქვეითმა ჯარმა აიღო ჯერ პირველი ბექობი და ლელეები (რედუტი), რომელიც შემდეგ ჩვენს რეკოგნოსტიროვკისა გაემაგრებინათ ოსმალებს. შემდეგ გამაგრდნენ ოსმალები უკანასკნელ სიმაგრეებში და არ მისცეს ნება მარჯვენას მხრით ჩვენს ჯარს ზარბაზნის წინ წამოწევა სამჯობინარს პოზიციაზედ. ამ დროს წავიწიეთ ჩვენ წინ და დაუწყეთ ზარბაზნის სროლა და რაკი უმთავრესი ყურადღება ოსმალოების ბატარეისა ჩვენზედ იყო მოქცეული და გვესროდნენ შეუწყვეტლივ და ჩვენც წინ ვიწეოდეთ ამის გამო მოასწრეს მარჯვენას მხრით ზარბაზნების წინ წამოწევა და ამ სახით ვიფრინეთ ოსმალოს ბატარეია, ზედდატანებით ქვეითი ჩვენი ჯარი მივიდა იეროშითა და რაკი ჩვენი ქვეითი ჯარი მოექცა მტრის სანგრებში და გაიქცნენ ოსმალები, ამ დროს მარტო ჩვენმა ვლადიკავკასის ყაზახეთის პოლკმა ოსებიანათ გადაუჭერით გზა ორ ბატალიონ ოსმალოს. ქვეითა ჯარს, ჩავერიენით შიგ, აიღია ხიშტი და ხმალი, ექვსასაზედ მეტი გავკაფეთ. ამათვენ ჯარში მხოლოდ ერთი აფიცერი შეგვხვდა, თურმე დაჭრილი ყოფილიყო და როდესაც მივაგდეთ ცხენი და დავსჭყივლეთ „იავამ ეფენდი!" მაშინვე გადაყარა იარაღი.

მართალია, მტერი არიან, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, ძალიან ერთგულათ იბრძვიან და ყოჩაღათ... ხუთი ათასს ამბობენ ოსმალოს ზარალს ამ შემთხვევაში, ჩვენის ქვეითის ჯარის მხრით ათას ხუთასი იყო დაჭრილი და დახოცილი, ამათ რიცხვში თორმეტი აფიცერი".

1877 წლის 22 აგვისტოს რუსეთის სპეციალურმა რაზმმა ა. იმერეტინსკის (ბაგრატიონის) მეთაურობით გაათავისუფლა ქალაქი ლოვჩა.[1]

შემდეგ გ. ჯორჯაძე „დროებაში" კვლავ განაგრძობდა საბრძოლო ოპერაციებზე ინფორმაციების გამოქვეყნებას.

„26 აგვისტოს ბეჯითად შაუდექით პლევნოს აღებას. ჩვენ ამ დღეს ს. ტურევიცში ვიდექით და მეორე დღეს, ესე იგი 27-ს მხოლოდ ზარბაზნით ბრძოლა იყო და კანტა-კუნტით თოფითა. 29-ს წავიწიეთ წინ ს. ბრესტვეცთან და შეიქნა გახურებული სროლა თოფისა და ზარბაზნისა.

---

1 ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკიმ (1837-1900) პეტერბურგში პაჟთა კორპუსი დაამთავრა 1855 წელს. 1857 წელს მსახურობდა მე-14 ქართულ გრენადერთა პოლკში. დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემია. 1863 წელს შტაბს-კაპიტნის ჩინით ვარშავის ოლქის გვარდიის შტაბის უფროსია, ხოლო 1869 წლიდან ვარშავის სამხედრო ოლქის უფროსის თანაშემწე, გენერალ-მაიორი.

1875 წელს ა. იმერეტინსკი პეტერბურგში მე-2 ქვეითი დივიზიის უფროსია. შემდეგ, 1877 წელს იგი მონაწილეობს ბულგარეთის განმათავისუფლებელ ომში ქალაქ ლოვჩისა და ქალაქ პლევნას განთავისუფლების დროს. სამხედრო სტრატეგიის საკითხებში დიდ გამოცდილებასა და ნიჭიერებას ამჟღავნებს. 1881 წლიდან, 12 წლის მანძილზე მუშაობს რუსეთის მთავარ სამხედრო პროკურორად. როგორც დიდი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, 1892 წელს აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად, ხოლო 1897 წელს დანიშნეს ვარშავის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად და ვარშავის გენერალ-გუბერნატორად.

ა. იმერეტინსკი 1900 წელს გარდაიცვალა ვარშავაში.

დღეს ბულგარეთის ქალაქ ლოვჩში აღმართულია ობელისკი წარწერით: „1877 წლის 22 აგვისტოს ქალაქი ლოვჩა გაანთავისუფლა რუსეთის რაზმმა თავად იმერეტინსკის მეთაურობით". ქალაქ ლოვჩის ერთ-ერთ ქუჩა ა. იმერეტინსკის სახელს ატარებს.

ჩვენის მხრით ღენერალი სკობელევი იყო, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა, რომ უეჭველად სს. კაბინისა და ბრესტვეცის შუა მარჯვენას მხრით ღედუტი უნდა აეღო. თოთხმეტი ათასი ქვეითი ჯარი ჰყვანდა, ისიც ნახევარზედ მეტი ყაზახის თათრობა, რომელთაც თითქმის ულალატეს კიდეც და რამთვენიმე სალდათი ოსმალებისაკენ გაიქცნენ. მაგრამ მაინც გულადათ მიუძღოდა ჯარს წინ თითონა და მართლაც აიღო ეს რედუტი მეორე დღეს 30-ს აგვისტოს. ამ დღეს მოაწვა მთელის ძალით ოსმალოს სამოცი ათასი კაცი (60.000). ორი საათი როგორც იყო შეიმაგრა თავი, მოითხოვა ერთი ბრიგადა ქვეითი ჯარი მომაშველეთო, მაგრამ ყური არავინ უგდო და ამ სახით დავბრუნდით უკან.

მას დღეს აქეთ როგორც იმ ალაგს ეგრეთვე მარჯვენას მხრიდანაც უუაუუნებენ პლევნის დიდ ზარბაზნებს, მაგრამ საძრაობაც ველარ უუვეს და იერიშით მისვლა (ატაკა) კი ვაგლახათ ველარ გაუბედნიათ, რადგანაც საკმაოდ მიწვა ჩვენი ჯარი: 8.100 მარცხენა მხრით მოკვდა ჩვენი ჯარი, 4.00 მარჯვენას მხრით. ამათ რიცხვში 2.000 რუმინიისა.

7-ს ენკენისთვემდისინ ს. უჩინდოლისა და ბრესტვეცის გარეშემო ვტრიალებდით და 7-ს ენკენისთვეს კი გადავედით ქ. სოფიის შოსეს გზაზე და დავსდექით ერთი დღე ს. კნიაჟნაში. 8-ს ენკენისთ. გადაველით ს. სმორეტ-ტრესტენიკში ვიდრე 12-ს რიცხვამდე. 12-ს ენკენისთვეს სხვათა შორის ცხენოსანის ჯარისა წაველით დუნაის პირას ქ. რაზოვას დასაზვერათ და აღმოჩნდა, რომ კარგათ იყვნენ გამაგრებულნი, მხოლოდ ცოტა ჯარით: დაუწყეთ რუმინიის ზარბაზნებით სროლა და ამ სახით დავბრუნდით უკან.

16-ს და 17-ს ს. რიბნაში ვიდექით მდინარე მიტის მარცხენას მხრით.

18-ს დილით მარტო ჩვენი ვლადიკავკაზის ყაზახის პოლკი, ოსებიანათ, წაველით სოფიის შოსეს გზისკენ დასაზვერავათ და დავსდექით ოსმალებისგნით დამზადებულ ხანგლებზედ ს. გორნიდუბნიკში.

19-ს წაველით წინ და დავდექით რედომირცის მარცხენას მხრით და დავანგრიეთ დიდი, თალიანი ქვითკირის ხიდი მდინარე პანეგაზედ. ამავე დღეს ს. ლუდოვიცთან შეგვექნა გახურებული სროლა ჩერქეზებთან და ბაშიბუზუკებთან, რომელთაც წავართვით ხუთასი სული ძროხა, შვიდასი ცხვარი, ასიოდე ცხენი და ოცი ურემი დადებული ბარგი ტანისამოსი და სახლის ავეჯეულობა.

20-ს ენკენისთვეს დავყევით მდინარე ისკრის ხეობას და ღამე ს. ჩუმაკოეცაში ვიდექით.



21-ს ისევ უკან გავბრუნდით. მხოლოდ მეორეს მხრით მდინარე ისკრისა, და მივედით ს. ბორნაში, აქ ასიოდე ჩერქეზი შემოგვხვდა, ცხრა მოვკალით, თერთმეტიც მძიმეთ დაჭრილები დარჩნენ და დანარჩენები გაიქცნენ. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია. ამავე დღეს ს. რეცელეცზედ გავიარეთ, თუმცა აქაც შემოგვხვდნენ ჩერქეზები, მაგრამ სათოფედ არ მოგვეკარნენ და გაგვექცნენ. ამავე დღეს შუადღისას გადმოველით ს. ლუკოვიცაში, დავწვით აქაც დიდი ხიდი და კვალად შეგვექნა სროლა ოღონდ რეგულიარნი (მუდმივი) ცხენოსან ჯართან, რომელთაც თექვსმეტი სროლითა აქვსთ თოფები დატენილი, მაგრამ ვერც არას ესენი გახდნენ. ოცამდის მოვკალით და ეს აღნიშნული თოფებიც ჩვენ დაგვრჩა და სხვა იარაღიც ცხენებიანათ. ამ დღეს ს. ლუკოვიცაში დავდექით.

22-ს ენკენისთვეს გადმოველით ს. რედომირცაში და მეორე დღეს იქ დავყავით.

24-ს დილით მოგვაწვა სოფიიდამ თხუთმეტი ათასი (15.000) ქვეითი და ცხენოსანი, აგრეთვე უკანიდამ პლევნოდამ მომავალი ჯარი, რომელნიც ორი ათას ავადმყოფს-დაჭრილებს აცილებდნენ სოფიისკენ. დღე იყო ნისლიანი ასე, რომ ას ნაბიჯზედ ძლივს ერჩეოდა კაცი. ამ სახით მოგვამწყვდიეს შუაში, დაუშინეთ თოფი და ზარბაზანი, გავიკაფეთ გზა. დავბრუნდით ისკის ხეობაში და მოველით ს. ჩუმაკოვცაში, მთგვივიდა იმ ღამეს კარგი ორი გოჯი მეტი თოვლი და ასე ვიყავით შექცევაში საზაფხულოს ტანისამოსით... ცამეტი ცხენი მოგვიკვდა სიცივით.

შემდეგ „დროებაში“ გ. ჯორჯაძე აღნიშნავდა:

„პლევნოში ოსმალოს ჯარი მართალია ძალიან შეწუხებულები იყვნენ შიმშილით, მაგრამ თხუთმეტი ბატალიონი ქვეითი ჯარი, ორი პოლკი ცხენოსანი თავიანთ ზარბაზნებიანათ ს. გორნი-დუბნიკიდამ მოკიდებული შოსეს გზის პლევნოდამ მარცხენა მხრის სოფლებში მოჰფენოდნენ და ორმოცი ათასი ურემი ხორბალი, ქერი, სიმინდი, თივა და სხ... მრავალი შეიტანეს პლევნოში და ცოტა იმედი მიეცათ გამაგრებისა...“

მართლაც, 1877 წლის 9 ოქტომბერს დიდი საბრძოლო კოლონით პლევნოში ჩავიდა შეფქეტ-ფაშა — ბულგარეთში 1876 წლის აპრილის აჯანყების სისხლში ჩამხრჩობი თურქი სარდალი.

მან სულთანის ხელით დაწერილი წერილი ჩაუტანა პლევნოში გარშემორტყმული თურქეთის არმიის სარდალს ოსმან-ფაშას. სულთანი ამ წერილის თანახმად სარდალს ანიჭებდა ყველაზე უმაღლეს წოდებას — გააზი (გამარჯვებულს). და მართლაც მან ხომ რუსების სამი იერიში მოიგერია პლევნოს სიმაგრეზე.

მაგრამ ამჯერად მის წინ იდგნენ დიდებით მოსილი გენერალი ედუარდ ივანეს ძე ტოტლებენი, კავალერიის მეთაური იოსებ ვლადიმერის ძე გურკო და გენერალი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკი.

როგორც ცნობილია, ყველაზე მძიმე ბრძოლები რუსეთის არმიას 1877-78 წ.წ. ბულგარეთის გამანთავისუფლებელ ომში მოუხდა პლევნოსთან. ამ ქალაქზე იერიშები უშედეგოდ მთავრდებოდა და რუსეთის ჯარს დიდი ზარალი მოსდიოდა.

გადაწყდა ქალაქის ბლოკადა. ამ რთულ ამოცანის გადასაწყვეტად რუსეთიდან გამოიძახეს ცნობილი ინჟინერ-ფორტიფიკატორი გენერალ-ადიუტანტი გრაფი ი. ტოტლებენი. როგორც კი გამოჩენილ სპეციალისტს პლევნოს ბლოკადის საინჟინრო ნაგებობების ხელმძღვანელობა დაავალეს, მან მოითხოვა შტაბის უფროსად ა. იმერეტინსკის დანიშვნა.

გაზეთი „კავკაზი“ 25 სექტემბრის № 192-ში წერდა: „გენერალი გურკო დანიშნულია პლევნოსთან თავმოყრილი ჯარების უფროსად. სკობელევი მე-16 დივიზიის უფროსად, დონდუროვ-კორსაკოვი მე-13 კორპუსის მეთაურად, ტოტლებენი — თავად კარლის თანაშემწედ, თავადი იმერეტინსკი — რუსეთ-რუმინეთის ჯარების შტაბის უფროსად“.

ახალ თანამდებობაზე ა. იმერეტინსკის მეტად რთული და საპასუხისმგებლო მუშაობა მოელოდა და მან ბრწყინვალედ გაართვა მას თავი. შემდგომ ე. ტოტლებენი გენერალზე წერდა: „მოკლე დროში მოაწყო შტაბი, მისი შემადგენლობა შესანიშნავი იყო, შტაბი თავადის ხელმძღვანელობით დღე და ღამ მუშაობდა, რათა საქმეს წარმატება მოჰყოლოდა, წინა იერიშებში საშინელი ზარალისაგან დაშლილ ჯარში ასე აუცილებელი წესრიგი დამყარდა ყველა ნაწილში და ნაწილები შესაძლებლობის მიხედვით მომარაგებული არიან სურსათით: კორპუსებისა და ცალკეული რაზმის უფროსებმა თავის დროზე მიიღეს ყველა ინსტრუქციები“.

1877 წლის 10 დეკემბერს ხუთთვიანი ალყის შემდეგ პლევნო დაეცა, ხოლო ოსმან-ფაშა სოფიისაკენ ალყის გარღვევის ცდის დროს ტყვედ ჩაიგდეს რუსმა ჯარებმა.

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკის პლევნოს დაცემის დღეს წმ. გიორგის მე-3 ხარისხის ორდენი გადაეცა. მართლაც დიდი იყო მისი დამსახურება ამ ციხე-ქალაქის აღებაში.

წინ იყო სოფია.

ბალკანებზე ძნელი გადასვლის შემდეგ 1877 წლის დეკემბერში რუსეთის არმიამ სოფიას უწია. ქალაქში ერთ-ერთი პირველი შევიდა ვლადიკავკაზის პოლკი, რომელშიც შედიოდა კაპიტან გ. ჯორჯაძის ასეული. შემდგომ, 1880 წლის 17 დეკემბერს „დროების“ ნომერში იგი იხსენებდა: „ქ. სოფიაში წინათაც ვიყავი: 23-ს დეკემბერს 1877-ს წელსა პირველად ჩვენი კავკასიის ყაზახები შემოვედით [illegible] ქ., შემდეგ ს. გორნი ბოგროვის და ვრაჟდებნი ხიდთან (მდინარე დიდი ისკრა) ომისა, სადაც ოსმალოს ჯარი ძრიელ დავაზარალეთ: შვიდასამდის მკვდარი დასტოვეს ბრძოლის ველზე და ათასორასამდის დაჭრილი სოფიის სავადმყოფოში თავიანთ ექიმებით და ცხრა ზედამხედველი ინგლისელი ქალებით. ოსმალებმა შემდეგ ამ დამარცხებისა ველარ გაამაგრეს ქალაქი, წაუკიდეს ოთხსავ კუთხით ცეცხლი და ღამე გაიპარნენ. ასე უომრათ დაგვრჩა ქალაქი სოფია. ამ საგანზედ მაშინაც გამოვგზავნე კორესპონდენცია „დროებაში“, მაგრამ როგორც ეს, ისე სხვა მრავალი კორესპონდენციები, ბრძოლის ველიდამ გამოგზავნილი სამწუხაროდ დარჩნენ დატუსაღებულნი“.

კავკასიის ბრიგადა ქ. სოფიის აღების შემდეგ, სხვადასხვა მიმართულებით გაემართა ოსმალების ჯარების დაქსაქსული ჯგუფების ლიკვიდაციის მიზნით. ოსების დივიზიონი თვით გენერალ ი. გურკოს მეთაურობით ქ. ინციმანისკენ გაემართა, ყუბანის პოლკი გენერალმა ვენიმოვსკიმ ქ. სამაკოვისკენ წაიყვანა, ხოლო ვლადიკავკასის პოლკი გაემართა ქ. რადომირცისკენ (სწორედ ამ პოლკში შედიოდა გ. ჯორჯაძის კაზაკთა ასეული).

როცა ვლადიკავკასის პოლკმა დაადგინა, რომ ოსმალების ჯარი ქ. დუნიცის მხარეს წასულიყო, უკან დაბრუნდა სოფიაში და აქედან 31 დეკემბერს სოფ. გორნი-ლუბოვოში ჩავიდა.

გიორგიმ ახალი — 1878 წელი ქ. სამაკოვში აღნიშნა.

„ამ სამაკოვთან ჩვენი ჯარი წამოსწეოდა თურმე ოსმალებსა და რაკი ოსმალებს აღარ შესძლებოდათ გამაგრება და ფილიპოპოლიდამაც გზის მოჭრისა ჰშინებოდათ, ამისათვის ძალიან გონივრულად მოქცეულიყვნენ, მოახდინეს ტყუილი შერიგება, ვითომც სულთნის ბრძანებით, და ამ სახით მოგვიტყუეს ორი გენერალი, ვენიამინოვსკი და ჩერევი, თვით ოსმალოს ფაშაც გადმოვიდა ჩვენს ღენერლებთან თავისი შედგენილი ტყუილის ტელეგრამმით და ლაზათიანათ თურმე შაზარხოშდნენ; შემდეგ გამოესალმა და იმ ღამესვე გააპარა თავისი ჯარი სამაკოვიდამ და მით უშველა თავის თავსა...

მეორე დღეს ჩვენებმა „ახ!“ იძახეს თურმე, მაგრამ გვიანლა იყო!“

3 იანვარი. სოფელი დოლნი-ბანიში.

4 იანვარი. სოფელი ვარვარაში.

5 იანვარს გიორგი კაზაკებით ქალაქ თათარ ბაზარჯიყლში ჩავიდა, რომლის უმთავრესი ნაწილი ოსმალოების მიერ გადამწვარი იყო.

6 იანვარი. ქართველი კაპიტანი ქალაქ ფილიპოპოლშია.

7 იანვარი. კავკასიის ბრიგადა სოფ. დედმენდერში იკრიბება.

10 იანვარი. სოფ. ტაჰტალაში (ტაპოლე).

11 იანვარი. ქალაქი სტანიმაკი. აქ გადაწყდა ოსმალების ჯარების შემდგომი დევნა.

12 იანვარი. ყუბანის კაზაკების ოთხი ასეული ანდრიანოპოლისკენ მიემართება, ხოლო გ. ჯორჯაძის ასეული ქართული მონასტრის გადასარჩენად როდოპის მთებისკენ იღებს გეზს.

როგორც ცნობილია გრიგოლ ბაკურიანის ძემ დიდ წარმატებებს მიაღწია ბიზანტიის სახელმწიფო სამსახურში და ალექსი კომნენის გამეფების დროს (1081 წ.) გახდა ბიზანტიის იმპერიის დასავლეთის დომესტიკოსი — ჯარების მთავარსარდალი. სწორედ მან ქალაქ ასენოვგრადიდან 10 კილომეტრზე, როდოპის მთებში ააგო შესანიშნავი მონასტერი ქართველებისთვის.

დიდი ქართველი მოღვაწის — გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ ბულგარეთის მიწა-წყალზე დაარსებული მონასტერი მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევდა და იწვევს. დიახ, აქაური ხუროთმოძღვრება, საეკლესიო ფრესკები, წიგნები და ქართული ხელოვნების იშვიათი ძეგლები ისტორიის შესანიშნავი ნიმუშებია.

1878 წლის იანვარში, სუსხიან ზამთარში კაპიტანმა გ. ჯორჯაძემ თავისი კაზაკების ასეულით ბრძოლებით განვლო გზა სოფიიდან ფილიპოპოლამდე; აჰყვა დერი-დერის ხეობას და ბაჩკოვოს მონასტერთან სასტიკი ბრძოლა გაუმართა და იქიდან განდევნა ოსმალთა ჯარის ნაწილი, რომელსაც განზრახვა ჰქონდა გაეძარცვა და დაერბია გრიგოლ ბაკურიანის ძის დაარსებული ქართული კულტურის კერა ბულგარეთში. შემდეგ, 1878 წლის ივლისში, ქართველი ჟურნალისტი მარტო წავიდა როდოპის მთებში და შეეცადა ამოეკითხა ქართული წარწერა მონასტრის ძვირფას რელიქვიაზე — „ღვთისმშობლის ხატზე“.

1878 წლის 29 ივლისს გიორგი ჯორჯაძემ ბულგარეთიდან საქართველოში გამოგზავნა წერილი, რომელიც გაზეთ „დროების“ № 158-ში დაიბეჭდა სათაურით — „ივერიის“ მონასტერი ბულგარეთში“.

აი, როგორ აღწერდა იგი მონასტრის მდებარეობას: „სტანიმაკის (დღევანდელი ასენოვგრადი. ა. კ.) ქალაქიდან ორი საათის სავალია, ხოლო ფილიპოპოლიდან (დღევანდელი პლოვდივი. ა. კ.) ექვსი საათის (30 ვერსი) ამ აღნიშნულს მონასტრამდის. მონასტერი დგას ს. ბანკოვის თავში, მდინარე ჩეპელდერესის ხეობაში. მდებარეობა მშვენიერ მდიდარს სურათს წარმოადგენს. შენობაა აშენებული მაღალ ადგილას, შემოზღუდულია მაღალის გალავნით, შემკული შიგნითა და გარშემო მშვენიერის ცივი წყაროებით, ბაღებით, ბოსტნებით, ხეხილით, მარჯვენას მხრით ჩამოსჩუხჩუხებს თერგზედ უფრო მშფოთვარე და მჩქეფარე მდინარე ჩეპელდერესი, რომელზედაც გადადგმულია მაღალი ხიდი ქვით-კირისა; გარშემოდან გამოიცქირებიან პატარა ბალკანის მთის ქანჩახები, ბუქურები და ფერდობები ნაძვითა და ჯაგნარით სავსე; გზა ამ ხეობაში დაკლაკნული და საცალფეხოა; მონასტრის ბოლოს ბულგარების სოფელი ბანკოვა მდებარეობს“.

შემდეგ გ. ჯორჯაძე განაგრძობდა:

„ეს ხსენებული მონასტერი არის აშენებული რომის მეფის ალექსისაგან მეათე საუკუნეში. ამ ადგილას თუმცა ძველთაგანაც მონასტერი ყოფილა გაბრიელ მთავარ-ანგელოზის სახელობაზედ; მაგრამ რადგანაც მონასტერი რომელიმე შემთხვევის გამო გაუქმებულა და ყურის მგდებელი აღარავინ ჰყოლია, ამისათვის შენობაც დანგრეულა და შემდეგ აქა აღნიშნული რომის მეფეს ალექსის განუმშვენიერებია „ივერის წმ. ღვთისმშობლის ხატის“ სახელობაზედ“.

დღევანდლამდე შემორჩა ქართულ სავანეს მდიდარი განძეულობა, რომელთა შორის უძვირფასესია საპატიო ადგილზე მოთავსებული ღვთისმშობლის უძველესი ნაკეთობის ხატი. იგი 1311 წელს ქართული ოქრომჭედლური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ოსტატობით მოუჭედავთ მოოქროვილი ვერცხლით, უფრო მოგვიანებით, სახელდობრ 1819 წელს, იგი ვერცხლის უშნო-ტლანქი სამოსელით შეუმოსავთ.

ბაჩკოვოს მონასტერში მყოფი გ. ჯორჯაძე მასზე გაკეთებული წარწერის ამოკითხვას შეეცადა:

„ხატი „ვედრებისა“ მშვენიერი, სასოებიანი, ვერცხლით შეჭედილი და ვერცხლშივე ხუცური ასო მთავრულის ასოებით ნაწერი. მაგრამ სამწუხაროდ სულ ვერ გადმოვწერე, რადგან ხატს სხვა ახლად შემორტყმული ვერცხლიცა აქვს გულამდის, რომლის გამოც მომეტებული ნაწილი წერილისა დამალულია: არხიმანდრიტმა ნება არ მომცა ხატის დაშლისა და გადმოწერისა. ამის გამო რაც ასოები სჩანდა, შეუცვლელად ისე გადმოვწერე, მხოლოდ ახომხედრულად. მწერლობა ორ ნაწილად განიყოფება, ე. ი. ხატის მარჯვენას მხრით და მარცხენას მხრით:

დედა ღვთისა ივერია.

ხატი ესე ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობლისა, წელსა შნ (950) პეტრე რუისელისაგან. ორთა ძე მათა სახსოვრად მ. ყოველთა ვიტრატისშვილთა ორი ძესი: ათანა და ოქროსპირესა: და ძმა-ძეთა. მ. კ.

რ. ძველსა მეფობასა კეთილ-მსახური მეფეთა ანდრონიკე: მტლ. და ანდრონიკესსა პალეოლოღის ძეთა ქართლის კონსტანტინეს და

დიმიტრისა ბაგრატიოსა და დასაბამიდან მ. ტ. ი. თქთ. ღვთის-მშობლის

. . . . .

როგორც არხიმანდრიტმა დამარწმუნა, დანარჩენი დაფარული მწერლობა ორივე მხარეს სრულს სიტყვას არ შეადგენს, არამედ თითო ასო წერტილებით არის გაყოფილი, როგორც მაგალითად — მ. კ. და სხ.“ — წერდა გ. ჯორჯაძე „დროებაში“.

ახლა მკითხველთათვის უსათუოდ საინტერესოა როგორ არის დღეისათვის დადგენილი ტექსტი ღვთისმშობლის ხატზე.

ა. შანიძის მიერ ეს ტექსტი ასე იქნა წაკითხული: „მოიჭედა წმინდა ესე ხატი ყოვლად წმინდისა დედოფლისა ჩუენისა ღვთისმშობლისა პეტრიწონს ძართა ხორცილად ძმათა მიერ ტაოელთა ეგნატის შვილთა მოძღუარისა ათანასის და ოქროპირისა პერეპერითა რვა (125) და წინაშე ხატისა საკანლითა ვერცხლისაითა საბერძნეთის მეფობასა კეთილად. მსახურთა მეფეთა ანდრონიკე მიხეილ და ანდრონიკესსა პალეოლოლის ძეთასა, ხოლო ქართლს კონსტანტინესსა და დიმიტრისსა ბაგრატიონითასა დასაბამიდგან წელთა ბერძნულად ხყით (6819) ხოლო ქართულად ხშიე (6915)“.

ძნელი არ არის გ. ჯორჯაძის ამოკითხული ტექსტისა და ქართველი მეცნიერების მიერ დადგენილი წარწერების შედარება. როგორც ჩანს, ქართველ ჟურნალისტს მართლაც შეუშალა ხელი ვერცხლით დაფარულმა ტექსტის ნაწილმა, ხოლო როგორც ა. შანიძემ აღნიშნა თავის წიგნში „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში“, ხატზე წარწერის გასარჩევად პლოვდივიდან მიიწვიეს სომეხი ოსტატი, რომელმაც ფრთხილად შემოაცალა ხატს ვერცხლის ფენა (ქართველი მეცნიერის წიგნს „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში“ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის პრემია მიენიჭა).

ღვთისმშობლის უძველესი ნაკეთობის ხატი ბაჩკოვოს მონასტერში საინტერესოა არა მარტო როგორც ძველი ქართული ოქრომჭედლობისა და ქართული საეკლესიო საიუველირო ხელოვნების თვალსაზრისით, არამედ ამ წარწერითაც, რომელიც საყურადღებო ცნობას იძლევა პეტრიწონის მონასტრის შესახებ და მთელი ეპოქის ხასიათს ხსნის.

ტექსტიდან ჩანს, რომ მონასტერი ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ ქართველთა კუთვნილება ყოფილა. ტექსტში ნახსენები „ტაო“ საქართველოს კუთხესა და მის ორგანულ ნაწილს ნიშნავდა, ხოლო ტაოელი ძმები, ეგნატეს შვილნი, ათანასე და ოქროპირი, მონაზვნები ყოფილან. სწავლა-განათლება პეტრიწონის სემინარიაში მიუღიათ, სადაც სწავლა — გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ დაწერილი ტიპიკონის მიხედვით წარმოებდა, ხოლო მასწავლებლად ე. ი. მოძღვრად, იმ დროს ტაოელი (ქართველი) ათანასე ყოფილა.

ერთი რამ ცხადია, ბულგარეთში მყოფმა გ. ჯორჯაძემ ჯერ კიდევ 1878 წელს მიაქცია ყურადღება და შეეცადა იმ ტექსტის ამოკითხვას ძვირფას ისტორიულ რელიქვიაზე, რომლითაც შემდგომ ასე დაინტერესდნენ ქართველი მოღვაწეები და საბჭოთა მეცნიერები.

გ. ჯორჯაძე „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში დაწვრილებით წერდა იმაზეც, თუ რა უამბო მას არხიმანდრიტმა „ივერიის“ მონასტრის შესახებ: „ამ მონასტერს გუჯარი ჰქონია, თალათინზედ ოქროს ვარაყით დაწერილი აშენებელი მეფის ასექსისაგან, მაგრამ ოსმალებმა რომ ეს ქვეყანა დაიპყრო, როგორც აქედან, ეგრეთვე მრავალი სხვა მონასტრების ვუჯარებიც სულ სტამბოლში წაიღეს და დაწვესო და მხოლოდ სიტყვიერის გარდმოცემით ჩემის წინამოადგილეთაგან გამიგონია, რომ ამ გუჯარაში იყო გამოცხადებული როგორც აშენება ამ მონასტრისა, ეგრეთვე ხატის გადმოტანა ივერიიდან და მრავალი სხვა და სხვა ამბავიო, მაგრამ ეხლა ჩვენ დაწვრილებით ნამდვილათ დროთა განმავლობის გამო აღარა ვიცით-რაო. ასე მითხრა არხ-მანდრიტმა.

მონასტერი ძველს ბიზანტიის არხიტექტურაზედ არის აშენებული, კედლები სხვა-და-სხვა წმიდანების სურათებით სავსე; ძველი მხატვრობა მხოლოდ შესავალ კარებთანლა არის დარჩენილი.

ეზო-შენობა ძალიან ვრცელია; ათას ორასი კაცი ჩვენის ცხენებით ერთი ღამე დავრჩით აქა და ნახევარზედ მეტი ცარიელი ადგილი იყო კიდევ დარჩომილი. ეხლა ორმოცდაათამდის ნაკურთხი და უკურთხი ბერია თავიანთ არხიმანდრიტით, წირვა-ლოცვა ბერძნულათაა და ბულგარიულათ; თვით ბერებიც ზოგი ბერძენია და ზოგიც ბულგარელი. წელიწადში ორჯერ დღესასწაულობენ და მრავალი მლოცავიც მოდის თურმე“.

რაც შეეხება სიტყვებს, რომ „ამ მონასტერს გუჯარი ჰქონია, თალათინზედ ოქროს ვარაყით დაწერილი აშენებელი მეფეს ალექსისაგან“, ეს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.

საქმე ის არის, რომ გ. ჯორჯაძის მიერ დასახელებული „ალექსი“, ბულგარეთის მეფე ივანე ალექსანდრე იყო (1331-1371), რომელმაც დიდი მფარველობა გაუწია ბაჩკოვოს მონასტერს. მან აღადგინა ტაძარი, განაახლა და მოხატა საძვალე, რომელიც გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ იყო აგებული. სწორედ ივანე ალექსანდრემ მოახატინა გრიგოლ ბაკურიანის ძისა და თავისი ფრესკა. ამას გ. ჯორჯაძემ მიაქცია ყურადღება და შემდგომ „დროების“ სხვა ნომრებში აღწერა ამ მეფის მოღვაწეობის პერიოდი.

* * *

1878 წლის 3 მარტს კონსტანტინოპოლის მახლობლად სოფელ სანსტეფანოში რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება. ამ დროისათვის რუსეთის არმიის ერთი ნაწილი გამოჩენილი რუსეთის მხედართმთავრის მ. დ. სკობოლევის მეთაურობით გავიდა მარმარილოს და ეგეოსის ზღვების სანაპიროებზე, მათ შორის იყო გიორგი ჭორჭაძის ასეული.

რუსეთის არმია პრაქტიკულად კონტროლს უწევდა თურქეთის მთელ ევროპულ ნაწილს, მათ შორის კონსტანტინეპოლის რაიონს და სამი ზღვის — შავი, მარმარილოს და ეგეოსის სანაპიროებს. ამ მდგომარეობამ მძიმე საგონებელში ჩააგდო ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო და იმის შიშით, რომ რუსეთის არმია კონსტანტინოპოლში არ შესულიყო და შემდგომ არ შექმნილიყო ძლიერი ბულგარეთის სახელმწიფო, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო გემები ეგეოსისა და მარმარილოს ზღვებში შევიდნენ.

დედ-აგაჩის ჰორიზონტზეც გამოჩნდნენ ისინი.

1878 წლის 15 ივლისს გიორგი ჭორჭაძემ დედ-აგაჩიდან წერილი გამოგზავნა „დროების“ რედაქციაში, რომელიც გაზეთში 1878 წლის № 139-ში გამოქვეყნდა.

აი, რას წერდა ქართველი ჟურნალისტი ეგეოსის ზღვისპირა ქალაქიდან:

„ეს მეოთხე წელიწადია თურმე რაც აქ პირველი სახლი დაიდგა და ქალაქად დაარსდა. აქ არის ნავთ-სადგური სავაჭრო და სამხედრო ხომალდებისა და გემებისა. ენუსი უფრო ძველი ისტორიული ქალაქია, მაგრამ გემი ვერ უდგება და მხოლოდ ნავებით შედიან. დიდი აგაჩიდამ რკინის გზაც არის გაყვანილი ანდრიაპოლისაკენ და თუნდ სტამბოლისაკენაც.

აქა სცხოვრობენ უცხო ქვეყნის კონსულები: — ავსტრიისა, ფრანციისა, იტალიისა, ანგლიისა და სხვა; მაგრამ ყველაზედ მიუკარებელი საზოგადოებასთან ცხოვრება ანგლიის კონსულსა აქვს, ჩვენი აქ მოსვლა ყველასათვის სასიამოვნო დარჩა.

ამას წინათ ხეებს ქვეშ ჩვეულებრივ კავკასიელთა ცხელ-ცხელ მწვადებს შევექცეოდით, ზედ წითელი ღვინო, — თუმცა კახური არ გახლდათ, მაგრამ არც ნაკლები იყო. ფრანციის ხომალდმა ნამდვილი ბუნებითი „ბორდო“ „ლაფიტი“ „შამპანია“ და სხვ. სასმელებით ხელი შეგვიწყო. ამ ლხინის დროს ხუთივე კონსული ცოლ-შვილიანათ დაუპატიჟებლივ წამოგვადგნენ თავზედ, ზევრი „პაროლის“, „ბონ“ და „მერსი“ გაჩაღდა. ძალიან კმაყოფილნი დარჩნენ, ნამეტნავათ ქალები... „ჩვენ სრულებით სხვა აზრი გვქონდა ჩერქეზ-ყაზახებზედო მაგრამ ამაზედ მეტი კადნიერება და ზრდილობა ალარ შეიძლებაო და სხვ“. ჩვენც რასაკვირველია დიდი მადლობა გადაუხადეთ და სამაგიერო კომპლიმენტი, რომ „გაგვაბედნიერეთ“ და მობრძანდით დაუპატიჟებლივ და სხვ... და სხვა... ცეკვა და სიმღერაც ძალიან მოიწონეს (უფრო სიმარდე), ასე ყველანი ქალიან-კაციანათ ეშხიანათ შევზარხოშდით და ამ სახით ყველანი თავ-თავიანთ ბინაზედ მივაცილეთ.

ჩვენ ე. ი. კავკაზიის ყაზახის ბრიგადას შარკიოიდამ ვიდრე ქ. მაკრიცამდის ზღვის პირას გვიჭირავს. პირველს ამ თვეს ანგლიჩანის ბრანენოსი მოადგა დიდიაგაჩთან, ჩამოხტნენ ნავებში, ორის ზარბაზნითა და გაინავარდეს ზღვაში, პირი ქნეს სამოტრაკის კუნძულისაკენ და ასზედ მეტი ზარბაზნებით გაისროლეს და თოფისას ხომ ვინ დასთვლიდა. ამ სახით ექვსი საათი მეტი ივარჯიშეს და შემდეგ ისევ გემში შავიდნენ და მხოლოდ ათიოდ აფიცერი გადმოხტა აქა და ცოტა ხნის შემდეგ თითო ბოთლი პივო დალიეს და გასცურეს ისევ თავიანთ ბინისაკენ, მითომ ჩვენ დაგვენახვნენ და გვაჩვენეს თავი, მაგრამ თუ ომი იქნა ამათაც ვნახავთ რა შვილებიც არიან. მართლაც თუ ომი იქნა დიდი აგაჩია იმათი ჯარის გადმოსასხდომი ადგილი იქნება“.

იმავე წლის აგვისტოში გიორგი ჭორჭაძე კონსტანტინეპოლშია.

ძალზე საინტერესო წერილი — „ოსმალეთი“ დაწერა კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს გიორგი ჭორჭაძემ. მან ეს წერილი კონსტანტინოპოლიდან თბილისში 25 აგვისტოს გამოგზავნა და იგი „დროების“ 1878 წლის № 184-ში დაიბეჭდა.

კონსტანტინეპოლში გიორგი ჭორჭაძე ქართველებს შეხვდა.

„ქართველების ვაჭრობა, რაც შეეხება თავიანთ შეძლების კვალად, გაჩაღებულია. სულ ოც-და-ათამდის მოვაჭრე იქნება და მომეტებული ნაწილი რკინეულის საქონლითა ვაჭრობენ“, — აღნიშნავდა ჟურნალისტი.

არც ერთი რუსი ოფიცერი სამხედრო ტანსაცმლით არ იყო ჩასული კონსტანტინეპოლში და როგორც გიორგი ჭორჭაძე წერს, „ნამდვილ ბერიკულ სურათს წარმოადგენდნენ ზოგიერთები, უჩვევნი სამოქალაქო ტანისამოსისა, ზოგი გაკოტრებულ დრეციკ ურიას ჰგვანან, ზოგი ვისა და ზოგი ვისა და ზოგი ვის“.

თვითონ გიორგი ჭორჭაძეს რა ეცვა?

— „მე ჩემის ჩერქესკით შეველ სტამბოლში, თუმცა ძალიან ამეწინაალმდეგნენ“.

კონსტენტინეპოლიდან თბილისში გამოგზავნილ წერილში გიორგი ჭორჭაძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმდროინდელ რთულ პოლიტიკურ ვითარებას. ჯერ ერთი, თვით კონსტანტინოპოლში იმის შიში ჰქონდათ, რომ სან-სტეფანოში მყოფი რუსეთის ჯარი შეიძლება კონსტანტინეპოლში შესული-

ყო. მართლაც, სან-სტეფანოდან ხომ კარგად მოჩანდა კონსტანტინეპოლი, ისე ახლოს მივიდა რუსეთის არმია ამ ქალაქთან. და მეორეც, უცხოეთის სახელმწიფოები მზად იყვნენ კონსტანტინეპოლში შესულიყვნენ იმის საბაბით, რომ ქალაქი რუსეთის არმიისაგან დაეცვათ.

და ამაზე ქართველი ჟურნალისტი წერდა: „მრავალთ უწით, რომ სტამბოლის ხელში ჩასაგდებათ მთელი ევროპის ძრიელ სახელმწიფოებს თვალები უქუეციათ და ელტვიან ყოვლის ჟამს შემდეგის ლექსით: „როდის იქნება ეს სამეფოცა ჩემი იყოს!“

გიორგი ჭორჯაძეს ღრმად სწამდა, რომ ევროპის სახელმწიფოები ვერ შესძლებდნენ თავთავიანთი საწადელის მიღწევას: „ცარიელი ნატვრით სურვილი არ ალსრულდება და არც ლიტონის ძალით გაკეთდება რამე“.

კონსტანტინეპოლში ყოფნის შემდეგ 1878 წლის აგვისტოში ქართველი ჟურნალისტი ანდრიაპოლში (დღევანდელი ოდრინი) მოხვდა 1879 წლის თებერვალში და, რასაკვირველია, შეეცადა ქართველი საზოგადოებისათვის გაეცნო ეს ქალაქი და მისი ცხოვრება. ამავე წლის „დროების“ № 46-ში დაბეჭდილ წერილში, რომელიც მან ანდრიაპოლიდან 7 თებერვალს გამოგზავნა, გიორგი ჭორჯაძე დაწვრილებით აღწერს ამ ქალაქის გენერალ-გუბერნატორ რეუფ-ფაშასთან შეხვედრას. საინტერესოა, რომ რეუფ-ფაშასთან უფრო ადრე შეხვედრები ჰქონდა ალექსი წერეთელს — ბულგარეთის სახალხო გმირს.

გიორგი ჭორჯაძე დაწვრილებით უამბობდა ქართველ მკითხველს ამ ქალაქში მომხდარ არეულობაზე, რომელმაც ძალზე შეაშინა ანდრიაპოლის გენერალ-გუბერნატორი რეუფ-ფაშა და იმაზე, თუ როგორ გაგზავნა იგი რუსეთის არმიის კორპუსის მეთაურმა რეუფ-ფაშას სასახლეში, რათა შესაძლო საშიშროებისაგან გადაერჩინა გენერალ-გუბერნატორი.

ეს საქმე რეუფ-ფაშას ვითომ მოსწონებია და როგორც გიორგი ჭორჯაძე წერს „მე იმავე დღეს გამოვეცხადე რეუფ-ფაშას და მოვახსენე ჩემი დანიშნულება, ვითომც ეამა და ძალიან პატივით მიმილო“.

სანამ იმაზე ვიტყოდით, თუ როგორ აღწერდა გიორგი ჭორჯაძე რეუფ-ფაშას, გვინდა აღვნიშნოთ ზოგიერთი რამ ამ პიროვნების შესახებ.

რეუფ-ფაშა 1877-1878 წლებში თურქეთის ჯარის დიდ ნაწილებს მეთაურობდა. მაგალითად, 1877 წლის ივლისში იგი სათავეში ედგა 8 ათასიან დივიზიას, რომელიც სხვა ნაწილებთან ერთად იცავდა ქალაქ ესკი-ზაგრას (დღევანდელი სტარა-ზაგორა) რუსეთის არმიის შეტევისაგან ცნობილი რუსი მხედართმთავრის ი. გურკოს ხელმძღვანელობით. რეუფ-ფაშა შემდგომ პერიოდში მონაწილეობდა შიპკას იერიშებში. როგორც ცნობილია, სან-სტეფანოში 1878 წლის 3 მარტს, რუსეთსა და თურქეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ, რუსეთის ყოფილი ელჩი კონსტანტინეპოლში გრაფი ა. იგნატიევი, რომელმაც ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა რუსეთის მხრივ და რუსეთის საელჩოს ყოფილი მდივანი ა. წერეთელი — ამ ხელშეკრულების პროექტის ერთ-ერთი ავტორი, პეტერბურგში გაემგზავრენ. მათთან ერთად პეტერბურგში ჩავიდა რეუფ-ფაშაც.

ამგვარად, ალექსი წერეთელმა რეუფ-ფაშასთან ერთად იმოგზაურა პეტერბურგამდე და ეჭვი არ არის, ნ. იგნატიევთან ერთად მასთან არაერთი შეხვედრა ჰქონდა.

და აი, მეორე ქართველი — გიორგი ჭორჯაძე ხვდება რეუფ-ფაშას ანდრიაპოლში, როგორც უკვე ამ ქალაქის გენერალ-გუბერნატორს.

„თვითონ რეუფ-ფაშა ჩერქეზის ჩამომავლობისაა, ტანადობაც და სახეც აძლიერებს ამას, — პირ-ხმელი, კაცია, ფერმიხდილი, მიმინოსავით თვალები და სხ... მრავალნი ამბობენ ვითომც გულითაც კაი კაციაო, მაგრამ რაც არ ვიცი მე იმის შესახებ ვერას მოგახსენებთ. ეს იყო და არის ოსმალების მოწინავე ჯარის უფროსი და ამას გარდა ანდრიაპოლის სამხედრო გენერალ-გუბერნატორათ არის დანიშნული“ — წერდა გიორგი ჭორჯაძე.

როგორც ქართველი ჟურნალისტი წერს, რეუფ-ფაშასთან ხშირად მოდიოდა ვიცე-გუბერნატორი (ეროვნებით ბერძენი) და საიდუმლოდ თათბირობდა.

„გუშინ არხიმანდრიტი X X მოვიდა რეუფ-ფაშასთან და რაღაც საიმედო სასიამოვნო ამბავი მოახსენა. შემდეგ არხიმანდრიტისა რამოდენსამე ხნის შემდეგ კანტი-კუნტათ სოფლელი ბერძნის მღვდლები ფაშას გამოეცხადნენ სოფლისავე წარმომადგენელ „გოგია ტეტიეებით“ და ამ სახით ყოველს დღეს მოდიან და სალამს აძლევენ; ამის გამო ფაშა ძალიან კმაყოფილია და სეკლეტარიც რაღაცა ოსმალურათ დაწერილ ბარათებს ურიგებს სანუგეშოთ...

ჩემი აქ ყოფნა როგორც შევნიშნე ბოლოს ბოლოს, არ ეჭიშნიკათ და ძალიან გულს მოდგინეთ სწადიათ შეტყობა — მე ოსმალურს ვლაპარაკობ თუ არა და ან ამათი მოქმედების მიზანი თუ მესმის! ჩემო ძმიავ! ყველას გიცნობთ რა შვილებიცა ხართ მაგრამ... ვნახავთ რითაც გათავდება საქმე. ქართული ანდაზაა: „გამქცევიც ღმერთს ეხვეწებოდა და მომწევნიცაო!“...

აღნიშნულ წერილში ქართველი ჟურნალისტი ეხებოდა ომის შედეგად შექმნილ მძიმე ვითარებას და გულისტკივილით ამბობდა — „გვეყო რაც ვიომეთო“.

* * *

დიდი ხანი არ არის, რაც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ეკრანებზე გამოვიდა მხატვრული ფილმი პეტკო-ვოევოდას ცხოვრებაზე. იგი ბულგარეთის სახალხო გმირია. მის შესახებ მრავალი ნაშრომია ბულგარეთში გამოქვეყნებული და დღესაც მუშაობენ ისტორიკოსები მისი სამხედრო მოღვაწეობის საკითხებზე.

გიორგი ჯორჯაძე, თურმე, პირადად შეხვედრია პეტკო-ვოევოდას. მაგრამ სანამ ამ შეხვედრაზე უშუალოდ ვილაპარაკებთ, მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება დაწვრილებითი ცნობები პეტკო-ვოევოდას ცხოვრებიდან.

პეტკო-ვოევოდამ იარაღს ხელი მოჰკიდა 17 წლის ასაკში, როცა თურქებმა ძმა მატიო მოუკლეს. მას შემდეგ არ შეუწყვეტია ბრძოლა ბულგარეთის განთავისუფლებისათვის. მრავალგზის პატიმრობისა და დამცირების შემდეგ იგი 1864 წელს საბერძნეთში გაემგზავრა და ათენის სამხედრო სკოლაში შევიდა, სადაც სწავლა არ დაუმთავრებია. სწორედ აქ დარწმუნდა, რომ ბულგარეთში ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული ნიადაგი აჯანყებისათვის. 1866 წელს იტალიაში ჩავიდა. იგი შეხვდა დიდ იტალიელ რევოლუციონერს ჯუზეპე გარიბალდის.

ჯ. გარიბალდის ინიციატივით დაახლოებით 300 რევოლუციონერისაგან შეიქმნა რაზმი, რომელიც მონაწილეობდა აჯანყებაში კუნძულ კრიტოსზე 1865 წელს. ეს რაზმი „გარიბალდის" სახელით იყო ცნობილი და მან არაერთი გამარჯვება მოიპოვა. სწორედ ამ რაზმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ახალგაზრდა პეტკო-ვოევოდა იყო.

„დარიგებებს, რომელიც მომცა თავისუფლებისათვის მებრძოლმა ცნობილმა იტალიელმა რევოლუციონერმა, მე ზუსტად ვასრულებდი და შემდგომ ისინი ძლიერ დამეხმარნენ და თვით მე უკვე სხვანაირად ვუყურებდი საკუთარ თავს და ჩემს მიზანს" — წერდა შემდგომ პეტკო ვოევოდა. დიახ, ჯ. გარიბალდმა ახლებურად წარმოუდგინა ახალგაზრდა ბულგარელს ცხოვრების მიზანი და ამ მიზნის მიღწევისათვის ბრძოლის გეგმა.

გარიბალდელთა რიგებში პეტკო-ვოევოდასთან ერთად სიცილიის მთებში და მდინარე პოს სანაპიროებზე იყვნენ ბულგარელებიც. „ასეთ ადამიანებს, — წერდა შემდგომ ჯ. გარიბალდი, — საკმარისი როდია მადლობა გამოვუცხადოთ. ჩემი დიდი პატივისცემა და ჩემი სამშობლოს მადლობა მათდამი გულწრფელი და ღრმაა".

როცა 1876 წლის შემოდგომაზე ჯ. გარიბალდმა შეიტყო ბუქარესტში ბულგარელი რევოლუციონერების მზადება აჯანყებისათვის, მათ წერილი გაუგზავნა: „ძვირფასო მეგობრებო... იტალიის ხალხი თქვენი ხალხისადმი დამსახურებული სიმპათიით არის გამსჭვალული თქვენი უბედურებისა და გმირობის გამო. მე დამწუხრებული ვარ, რომ არ შემიძლია უშუალო მონაწილეობა მივიღო თქვენს ბრძოლებში".

ჯ. გარიბალდი დიდი ყურადღებით ეპყრობოდა 22 წლის ბულგარელ პეტკო-ვოევოდას და მას ბრძოლის გადამწყვეტ ადგილებში გზავნიდა.

აჯანყებამ კუნძულ კრიტოსზე ვერ მიიღო გარედან დახმარება და დამარცხდა. პეტკო-ვოევოდა ახერხებს 18 გარიბალდელთან ერთად ჯერ ალექსანდრიაში (ეგვიპტე), ხოლო იქიდან მარსელში და ათენში ჩასვლას. როცა თურქეთის მთავრობამ შეიტყო მისი ათენში ყოფნა, ათენის საკონსულოს მეშვეობით საბერძნეთის მთავრობას მოთხოვა ხელი შეეშალათ პეტკო-ვოევოდასათვის რაიმე რაზმის შექმნაში. საბერძნეთის მთავრობამ მინისტრ დ. ბულგარისის მეშვეობით (წარმოშობით ბულგარელი) სთხოვა პეტკო-ვოევოდას დაეტოვებინა საბერძნეთის დედაქალაქი. იმ დროისათვის მგზნებარე პატრიოტმა ათენში ბულგარელებისაგან უკვე შექმნა რაზმი და სამშობლოში დაბრუნდა.

ზღვით მოგზაურობის დროს მას ეცვა თურქი გენერლის, ხოლო რაზმის წევრებს თურქი ჯარისკაცების ფორმა და გზაში თურქეთის გემები მორიდებით გვერდს უქცევდნენ თურქ „ფაშას", რომელიც გემბანზე ამაყად იდგა.

სამშობლოში დაბრუნებული პეტკო-ვოევოდა მგზნებარებით ჩაება ბულგარელი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

აი, რას წერდა პეტკო-ვოევოდაზე გაზეთ „დროების" 1878 წლის № 193-ში გიორგი ჯორჯაძე:

„ოსმალოს მთავრობამ უკანასკნელად დიდძალი ფული აღუთქვა, ვინც პეტკოს მოჰკლავდა და თავს მოსჭრიდა ან ცოცხლად დაიჭერდა. ამ ათი წლის წინათ კი ჩავარდნილიყო ტყვედ, მაგრამ სატუსაღოდან ისევ გაჰქცეოდათ და შემდეგ, თუმცა ბევრი სდიეს, მაგრამ ხელში ვერ ჩაიგდეს, ასი და ორასი კაცი ბევრჯერ შეხვედრია და მოამწყვდიეს, მაგრამ მაინც ხმალდა-ხმალ გააპო და გავიდა უვნებლად. დაჭრილი ბევრს ალაგას არის, მაგრამ შესანიშნავი ომი როდოპის მთებში მოუხდა. აქ ყბაში მოარტყეს ტყვია და ეხლაც შიგვე აქვს ნიკაპთან გამობურცული; იმ დროს ბეჭებშიც ჰკრეს და ის ტყვიაც შიგვე აქვს, შემდეგ ხმლით წაეხვივნენ, მაგრამ სულ მუსრი გაავლო და გაუვიდა სამას კაცზე მეტს. ეხლა არც ერთი ოსმალო ვერა ჰბედავს პეტკოს მდევრობას. ამ მაზრაში და ბევრგან სხვაგანაც ოს-

მალოს პატარა ბალღი როდესაც ტირის, დედა მაშინვე შეუტევს: „ჩუმად იყავ, თორემ პეტკო მოვაო“. ამ ომიანობის დროს ოთხასი კაცი მეტი ჰყავდა შემოკრებილი და თუ ვინმე ქრისტიანების სოფელს ოსმალოები ვაგლახით შესძრახავდნენ რამეს, მაშინ ვაი იმათ ტყავს და მართლაც ისრე დაშინებულები არიან, რომ პეტკოს ორი კაცი რომ მივიდეს სოფელში, რაც უნდა იმას ჩაიდენენ“.

გიორგი ჯორჯაძემ შეიტყო, რომ პეტკო-ვოევოდა მახლობელ სოფელში იმყოფებოდა და გადაწყვიტა მასთან შეხვედრა, მალე, მისი თხოვნით პეტკო-ვოევოდა მათ ბანაკს ესტუმრა კიდეც.

„შესახედავად კარგი გასხლეტილი ვაჟკაცია, ჩვენი ყაზახური ქუდი ეხურა, ბულგარეთის ძველებური მუნდირი წმინდა შავი მაუდისა; საყელო და მაჯები ოქრომკედით ნაკერი. როგორც ჩვენი თავად-აზნაურობის მუნდირი, შალვარი ადგილობრივი უბრალო შალისა, რუსული წაღები, ხმალი ფრანგული, ქამარი და ყაწიმი (პორტუბეი) რუსული, ხოლო შიგნით თავიანთებური სარტყელი შამობორბლილი და სხვა და სხვ.“ — წერდა შემდგომ პეტკო-ვოევოდაზე გიორგი ჯორჯაძე „დროებაში“.

და ქართველი ჟურნალისტი განსაკუთრებით აღნიშნავდა: „ეს პეტკო სოფელ დუკანარისშია დაბადებული და ეხლაც მოსახლკარობა იქ აქვს უჩუმრათ. ფერეჯიკიდან ექვსი საათის სავალია (80 ვერსი), ჩამომავლობით ბულგარელია, ბერძნულს და ოსმალურს კარგად ლაპარაკობს. ოცდათხუთმეტი წლისაა და აგერ თხუთმეტი წელიწადია თურმე, რაც ყაჩაღათ არის გავარდნილი“.

გიორგი ჯორჯაძემ უამბო პეტკო-ვოევოდას, რომ მისი სახელით სარგებლობენ ყაჩაღები და ფულს ართმევენ მოსახლეობას.

„ამას წინათ ორმოცამდის დაიარაღებულ ბერძნებს გამოვუდექით, მაგრამ მთაში დაიმალნენ, ამათაც ხარჯის აღება დააპირეს პეტკოს სახელობაზედ და ოსმალებმა პეტკოს მიწერილი ბრძანება გვიჩვენეს (პეტკოსი არ იყო), რომელშიაც ორას ოქროს თხოულობდა ფერვენჯიკის სოფლიდამ“. — წერდა ამაზე გიორგი ჯორჯაძე „დროებაში“.

დიახ, ძალზე დაწვრილებით აცნობებდა ქართველი ჟურნალისტი ქართველ საზოგადოებას ბულგარელი ხალხის საყვარელი შვილის პეტკო-ვოევოდას შესახებ.

1879 წელს პეტკო-ვოევოდა დიდი პატივით მიიღეს პეტერბურგში იგი გენერალ-ლეიტენანტმა მ. სკობელევმა გამოჩენილ რუს მხედართმთავრებს წარუდგინა.

როგორც პროფესორი იონა მიტევმა ბულგარეთიდან გვაცნობა, პეტკო-ვოევოდა ერთადერთი ბულგარელი ეროვნული რევოლუციონერი იყო, რომელსაც სამხედრო სასწავლებლის დამთავრებისა და რუსეთის არმიაში სამსახურის გარეშე მიენიჭა რუსეთის არმიის კაპიტნის ჩინი. პეტერბურგშივე მას გადაეცა ორდენი „მამაცობისათვის“.

* * *

ბულგარეთში ყოფნის დროს გიორგი ჯორჯაძე გულმოდგინედ სწავლობს ბულგარეთის ისტორიას და ეცნობა იმ ადამიანებს, რომელთა სახელი სამუდამოდ დარჩა ბულგარელი ხალხის გულში.

იხსენებდა რა ბულგარეთის წარსულს, იგი 1881 წელს სოფიიდან იწერებოდა: „ბოლგარიის სისხლის ოფლით ნაშრომი გადადიოდა ოსმალეთის ფაშების, კაიმაკამების, ბეგების, ზაფთიების და სხვათა ხელში. საჭირო არ არის აღვწეროთ აქ დაწვრილებით ყოველივე მოქმედება ოსმალებისა, რადგანაც საქართველო კარგად იცნობს იმათ თავისის ისტორიულის ცხოვრებით. 1829 წ. ბოლგარიის ბედის ბორბალმა ნელი-ნელა დაიწყო წალმა ტრიალი... ამ აღნიშნულს წელს იური ვენელინმა დასწერა პირველად ბოლგარიის ისტორია, რომელმაც მთლად ბოლგარიის ერს გაუელვა გულში და დაჰბადა მათში რაღაც უხილავი დამოუკიდებლობითი ძალა, ხალხოსნური სიამაყე. ამ დროიდამ ბოლგარნი შეუდგნენ თავიანთ წარსულის გამოკვლევას, გამოვიდნენ იმ ღრმა ძილიდამ, რომელიც საუკუნეობით განგებას, ბედს თუ შემთხვევას მიენიჭებინა. ვიდრე ი. ვენელინმა არ დასწერა ისტორია, ბოლგარებმა თითქმის არც-კი იცოდნენ თავიანთი ვინაობა (რადგანაც ოსმალებმა დასწვეს ყველა ბიბლიოთეკებში წიგნები, გარდა სამღვთო წერილებისა, და მარადის ჰსდევდნენ ყოველგვარ საერო ანუ სახალხო წიგნების გამოცემებს ამ უკანასკნელის დრომდინაც); მხოლოდ ზეპირულს გარდმოცემებზედ იყო მთელი მათი ისტორიული ცხოვრება დამყარებული“.

„ვენელინის შემდეგ, გამოჩნდნენ ისეთი პატრიოტნი, როგორიც მაგალითად, ნეოფილატ ბოზვერი, რომელმაც იკისრა სარდლობა თავგანწირულად, რათა დაეხსნა თავისი თანამოძმენი იმ წყვდიადიდამ და შევიწროვებიდამ, რომელშიაც ბოლგარიის ერი ცხოვრობდა. ნეოფილატ ბოზვერმა ჩქარა მიაგნო სათავეს — თუ საიდამ უნდა დაეწყო თავისი განზრახულობის დასაგვირგვინებლად საქმე. ამისათვის გადასახლდა იგი სტამბოლში და დაუწყო ქადაგება იქ მყოფთ ბულგარელებს. ამ დაუძინებელ ქადაგებას გარდა, რომ უფრო მკვიდრს ნიადაგზედ დაედგა და შეესრულებინა თავისი განზრახულობა 1848 წ. გამოსცა პირველი ბულგარული გაზეთი „ცარეგრადსკი ვესტნიკ“, რომელმანც, სადაც ხმა არ მისწვდებოდა, გაალვიძა ხალხი“ — აღნიშნავდა ქართველი პუბლიცისტი.

ნეოფიტ ბოზვერს დღეს ბულგარეთის ხალხი იხსენებს, როგორც დიდი ავტორიტეტის მქონე მასწავლებელსა და ლიტერატორს.

გ. ჯორჯაძე „დროებაში" აღნიშნავდა — „ნეოფილატ ბოზვერი ბერძნების პატრიარხმა დაიჭირა და გაგზავნა ათონის მთის მონასტერში პატიმრად, სადაც მოწამლეს". ეს ისტორიულ ფაქტს შეესაბამება — ბოზვერი ათონის მთის მონასტერში გარდაიცვალა.

ქართველი ჟურნალისტი წერდა, რომ ნ. ბოზვერის ფართო საგანმანათლებლო მოღვაწეობამ „გამოიწვია მამულის სიყვარული უცხო ქვეყნებში მყოფი ბულგარიის ვაჭრებს შორის, როგორც მაგალითად, ქ. ბუხარესტისა და ოდესის ვაჭრებმა პანაუზოვმა და აფრიამოვმა თავიანთის საკუთარის ხარჯით 1835 წ. ოსმალოს მთავრობის ნება-დართვით გახსნეს პირველი სასწავლებელი ბოლგარიულს ენაზედ ქ. გაბროვოში, რომელიც დღესაც იმათის შეწირულს ფულის სარგებლობით არსებობს". აქ მხოლოდ „პანაუზოვის" ნაცვლად უნდა ყოფილიყო „პალაუზოვი", ხოლო „აფრიამოვის" ნაცვლად — „აპრილოვი".

როგორც გ. ჯორჯაძე აღნიშნავს — „1866-ში გამოიცა გაზეთის „მაკედონია" სლავეიკოვის რედაქტორობით) ესეც მინისტრად იყო და წელს გადააყენეს თანამდებობიდან. პოეტია და მცოდნე ბოლგარიულის ენისა საფუძვლიანად. ეხლა ფილიპოპოლშია (დღევანდელი პლოვდივი. ა. კ.) მასწავლებლად. ეს გაზეთი იყო ლამპარი მანათობელი ბოლგართათვის, მაგრამ გაზეთმა მხოლოდ 1872-ის მიაღწია, თვით სლავეიკოვი ოსმალებმა ჩაამწყვდიეს სტამბოლში პატიმრად (საიდამაც შემდეგ გაიპარა) და გაზეთის მოისპო".

დღეს საქართველოდან ბულგარეთში ჩამოსულმა ტურისტებმა უსათუოდ უნდა მოინახულონ სოფიაში გ. რაკოვსკის ქუჩა № 138 სახლში გახსნილი პ. სლავეიკოვის მუზეუმი, სადაც თავმოყრილია მდიდარი მასალები ბულგარეთის ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ჟურნალისტის, დემოკრატის და პირველი ბულგარელი პოეტის პ. სლავეიკოვის (1827-1895) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. აქ შემორჩენილი ცნობილი ბულგარელი მოღვაწის ბიბლიოთეკა 2 ათასზე მეტ წიგნს ითვლის. სოფიაში პ. სლავეიკოვის სახელს ატარებს დიდი საკონცერტო დარბაზი და კინოთეატრი „სლავეიკოვის მოედანზე".

„მაკედონის" გაზეთის შემდეგ, ნაიდენოვის რედაქტორობით, გამოიცა «Право» (უფლება), რომელმაც იცოცხლა მხოლოდ ორი წელიწადი. რაკი ოსმალოს მთავრობამ აკრძალა „უფლების" გამოცემა, ნაიდენოვმა ამის მაგიერ გამოსცა სხვა გაზეთი «Напредво» (წინ); მაგრამ 1876 წ. ამანაც განუტევა თავისი არსებობა ოსმალოს მთავრობის ბრძანებით. რადგან ბოლგარიაში ვერ იხეირა პოლიტიკურმა გაზეთმა, ამისათვის შეამხანაგდნენ რამდენიმე რევოლუციონერი ბოლგარნი (ამათ რიცხვში დრინოვიც ერია) და ქ; ბუხარესტში დაიწყეს გაზეთის «Свобода» (თავისუფლება) გამოცემა კარაველოვის რედაქტორობით; ამ გაზეთს სხვა გაზეთებიც დაჰყვა თან «Независимость» (დამოუკიდებლობა), «Знание» (ცოდნა) და ბოლოს ომის გამოცხადებიდან ქ. ბრაილაში (რუმინიაში) გამოიცა „Въдраждение" (განახლება) ხვეტოხლავ მილაროვის (საპუნოვის) რედაქტორობით"—წერს გ. ჯორჯაძე.

გ. ჯორჯაძემ სხვა ბულგარელ მოღვაწეებთან ერთად დაასახელა ლ. კარაველოვი.

ლ. კარაველოვი (1837-1879) სახელგანთქმული მწერალია, პოეტი, პუბლიცისტი. ბულგარეთის კულტურისა და რევოლუციის თვალსაჩინო წარმომადგენელი. იგი ავტორია 20-ზე მეტი მოთხრობის, მრავალი ფელეტონის, ლექსის, პოემის, პიესის (ზოგიერთი მისი პიესა დღესაც იდგმება ბულგარეთში, თუნდაც „ძველი დროის ბულგარელები" და „დედის ბავშვი" და სხვ.).

ლ. კარაველოვი 10 წლის მანძილზე, 1857-1867 წ.წ. ცხოვრობდა მოსკოვში და შესანიშნავად გაეცნო მოსკოვის მოწინავე, დემოკრატიულად და რევოლუციონურად განწყობილ ინტელიგენციას, რომელიც ცხოვრობდა გერცენის, დობროლიუბოვის, პისარევისა და ჩერნიშევსკის იდეებით. 1861 წელს მან მოსკოვში გამოაქვეყნა პირველი ტომი ბულგარეთის სახალხო შემოქმედებაზე, ხოლო 1868 წელს — მეორე ტომი.

უნდა აღინიშნოს, რომ გ. ჯორჯაძემ სოფიაში დაწერილ წერილში ლ. კარაველოვი რამდენჯერმე ახსენა და შემდგომ ამ პიროვნებას არაერთხელ მიაქცია ყურადღება ქართულმა პრესამ. ამ მხრივ საინტერესოა ჟურნალ „მოამბეში" (XI, გვ. 38) დაბეჭდილი წერილი ბულგარეთის ისტორიაზე. წერილში აღნიშნულია, რომ ლ. კარაველოვმა 1869 წელს დააარსა გაზეთი „თავისუფლება" და „რომლის პროგრამაში კარაველოვი ამბობდა, რომ გაზეთის აზრია: „ქომაგობა და სარჩლი გაუწიოს ბოლგართა ინტერესებსა და ბოლგარელ ერს უჩვენოს გზა და საშუალება თავისუფლებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევისა... „თავისუფლებას" დიდი გასავალი ჰქონდა, დიდძალი ნომრები გადმოჰქონდათ ამ გაზეთისა დუნაის გაღმა, ოსმალეთშიაც. მისი კითხვა ყველას ფრთებს უსხავდა სიხარულისას, ულვიძებდა პატრიოტულს გრძნობას. ლიუბენის სახელი თან-და-თან გაითქვა და ყველა მოწინავე, პატიოსანი და მოაზრე შვილნი ბოლგარეთისა მისნი თაყვანისმცემელნი და მომხრენი შეიქმნენ. ლიუბენის წინ მოწიწებით ქედს

იხრიდნენ რუმინიაში დიდი ხნის გადახვეწილი ბოლგარელი მდიდრები და ჩორბაჯიები, მაგრამ თაყვანსა სცემდნენ მანამდე, სანამ „თავისუფლება“ მარტო პოლიტიკურ ბრძოლებსა ჰქადაგებდა ოსმალთა წინააღმდეგ და ლაპარაკში სანამ დემოკრატიული კილოც არ გაურია“.

გ. ჯორჯაძემ თავის წერილში ბულგარელ რევოლუციონერთა შორის „დრინოვი“ დაასახელა. დიახ, ვინც მონაწილეობდა გაზეთ „სვობოდას„ გამოცემაში. საინტერესოა ეს პიროვნება. მ. დრინოვი (1838-1906) — ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე იყო, ბულგარეთის სალიტერატურო საზოგადოების (1911 წლიდან ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია) ერთ-ერთი ორგანიზატორი და თავმჯდომარე. იგი აირჩიეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრათ. იყო მოსკოვის უნივერსიტეტის დოქტორი, ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი. 1878 წელს ბულგარეთის განთავისუფლების შემდეგ სათავეში ჩაუდგა სახალხო განათლების და სამღვდელოების განყოფილებას. მისი შრომებიდან დღეს ბულგარელი სპეციალისტები მოიხსენებენ: „შეხედულებები ბულგარეთის ხალხის წარმოშობაზე და ბულგარეთის ისტორიის დასაწყისზე“, „ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სლავიანების დასახელება“, „სამხრეთ სლავიანები და ბიზანტია X საუკუნეში“.

გ. ჯორჯაძე წერდა: „ბოლგარიამ ამ სახით მიახწივა ვიდრე 1877-ამდის. ამ წელს 12-ს აპრილს რუსეთმა გამოუცხადა ომის ოსმალეთსა და სრულიად გაანთავისუფლა ბოლგარია... ომის შემდეგ სვეტ. მილაროვმა გამოსცა ქ. ტორნოვოში გაზ. «Българии левь» (ბოლგარიის ლომი) 1879 წ., რომელიც დიდი დამცველი იყო კონსტიტუციურის მმართველობისა. ქ. სოფიაში გამოსცა გრეკოვმა გაზ. «Вытошь» (ვიტოში სოფიის ახლოს მდებარე მთის სახელია)“, და შემდეგ თანდათან აცნობდა გ. ჯორჯაძე „დროების“ მკითხველებს თანამედროვე პრესის მდგომარეობას.

„ამ უკანასკნელ დროს თითქმის აქა აღნიშნული გაზეთები ყველა აღკრძალულია და ვერ განაგრძეს თავიანთი არსებობა. სვეტ. მილაროვმა გამოსცა ახალი გაზეთი ამ დეკემბრის პირველიდამ „София“ (სოფია), მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრმა არ მისცა იმას რედაქტორობის უფლება და ამანაც თქვენი ჰირი წაიღო. ამ აღნიშნულს გაზეთებს გარდა რუმელშაში გამოდის შემდეგი გაზეთები: ფილიპოპოლში — „Марица“ (მარიცა, მდინარის სახელია) „Народны глась (ხმა ერისა), რომელიც აღკრძალულია სამთავროში, „Независимость“ (დამოუკიდებლობა) კარაველოვისა და სლავეიკოვის ხელმძღვანელობით — ესეც აღკრძალულია ბოლგარიის სამთავროში“ — განაგრძობდა გ. ჯორჯაძე და აღნიშნავდა: „აქ ჩვენ ჩამოვთვალეთ ის გაზეთები, რომელთაც გავლენა ჰქონდათ ხალხში და სარგებლობაც მოუტანეს, თორემ ამათ გარდა წელიწადში ოცზე მეტი ახალი გაზეთი გამოიცემა და, ულონობის გამო, ჩქარა კვდება ისევე“.

როგორც „დროებაში“ (1882, № 32) გამოქვეყნებული და სხვა წერილებიდან სჩანს, გ. ჯორჯაძე ბულგარეთის ისტორიის შესანიშნავი მცოდნეა, ბულგარელი ხალხის დიდი მეგობარი და მის ჟურნალისტურ თვალს არ გამოჰპარვია ბულგარელების ცხოვრების ყოველი სიახლე. ამ მხრივ ქართველმა ჟურნალისტმა განსაკუთრებული ყურადღება ბულგარეთის პრესაზე გაამახვილა და შეეცადა ქართველი საზოგადოებისათვის ყველაფერზე თანმიმდევრობით მოეთხრო, დაეხასიათებინა გაზეთების რედაქტორ-გამომცემლები.

თუ გავითვალისწინებთ, რომ გიორგი ჯორჯაძემ „დროებაში“ გამოაქვეყნა მთელი რიგი წერილები ბულგარეთიდან 1877 წლიდან 1882 წლამდე, მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა როგორც ბულგარეთში, ისევე საქართველოში განსაკუთრებული შესწავლის ღირსია. ამ ქართველი ჟურნალისტის ცხოვრებამ და მოღვაწეობამ თავისი ადგილი უნდა ჰპოვოს ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში და იმ პიროვნებათა შორის, რომლებიც 1877-78 წ. წ. იარაღით ხელში თავგამოდებით იბრძოდნენ ბულგარეთის განთავისუფლებისათვის და მეგობრობის ხიდის გასადებად ქართველ და ბულგარელ ხალხთა შორის. დიახ, გ. ჯორჯაძე იმ ადამიანთა რიცხვში შედის, რომელთა შესახებ ბულგარეთის ლიტერატურის კლასიკოსი ი. ვაზოვი სწერდა თ. სახოკიას: „ქართველთა გმირობა, ჩემთვის ძველთაგან ცნობილი, საქვეყნოდ თვალსაჩინო გახდა ჩვენი ხალხის განმათავისუფლებელი 1877-78 წლების ომის დროს, როდესაც თქვენი მამაცი მეომარნი ჩვენს თანამემამულეებთან და რუს ძმებთან ერთად თურქებს ებრძოდნენ“.

დავით ჩხიკვიშვილი

# ციცინათელა

ომის წინ 212-ე საგანგებო დანიშნულების საავიაციო პოლკში ვმსახურობდი.

ის მართლაც ყოველმხრივ საგანგებო იყო. უპირველეს ყოვლისა, მფრინავებით. ჩვენ ორმოცდახუთი პილოტი მთელი ავიაციის მშვენებას წარმოადგენდა. საგანგებოდ იყო დაკომპლექტებული პოლკი შტურმანებითა და რადისტებითაც. ერთი სიტყვით, 212-ე საგანგებო დანიშნულების საავიაციო პოლკი უძლიერეს საავიაციო ძალას წარმოადგენდა.

ბედმა გამიღიმა, როდესაც საავიაციო სკოლის დამთავრების შემდეგ სავალდებულო სამსახურის გასაგრძელებლად ამ პოლკში გამომაგზავნეს. პოლკის მეთაურის ალექსანდრე გოლოვანოვის ბრძანებით ესკადრილიის უფროსის კაპიტან ალექსანდრე ნოვიკოვის თვითმფრინავზე დამნიშნეს მსროლელ-რადისტად.

პირველად მას 1941 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში შევხვდი. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ იგი არასდროს არ დამავიწყდება. უპირველეს ყოვლისა, ნოვიკოვის გარეგნობამ — ცოცხალმა, მეტად მოხდენილმა, რალაც თეატრალურად დახვეწილმა მოძრაობის მანერამ, მისი სახის ლამაზმა ნაკვთებმა, ქოჩორა ქერა თმამ, და ამავე დროს, მეტად ლამაზმა და ჭკვიანმა ცისფერმა თვალებმა — მიიქცია ჩემი ყურადღება.

როდესაც მასთან გამოვცხადდი, ალექსანდრე ნოვიკოვმა ესკადრილიის უფროსი შტურმანი კაპიტანი ივანე პეტუხოვი იხმო თავის ოთახში და ჩემი თავი წარუდგინა. დიდხანს ვისაუბრეთ.

— ამიერიდან ჩვენ ერთი ეკიპაჟი ვიქნებით, ერთ თვითმფრინავზე ვიფრენთ. ეს ისეთი რამაა, რომ განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს. საღამოს ჩემთან მოდით, თითო ჭიქა ავწიოთ ამ დღის აღსანიშნავად, — თქვა ალექსანდრე ნოვიკოვმა.

დაიწყო დაძაბული და დამქანცავი მხედრული შრომა. ვსწავლობდით ჯგუფურ ფრენას მწყობრში, უძრავი და მოძრავი ობიექტების დაბომბვას, საჰაერო ბრძოლას ავიოგამანადგურებლების წინააღმდეგ, ფრენას ღამით და დღისით, ფრენას ღრუბლიან ამინდში, რასაც ავიაციაში „ბრმა ფრენა“ ეწოდება და ა. შ. ექვსი მშვიდობიანი თვე იყო მეტად მძიმე შრომის თვეები და ამ ხნის განმავლობაში ჩვენს შორის დამყარდა ჭეშმარიტად ჯანსაღი, მხედრულად პრინციპული, ადამიანურად კი მეტად გულწრფელი და მეგობრული ურთიერთობა. ნოვიკოვი და პეტუხოვი პროფესიონალი მფრინავები იყვნენ. მე უმცროსი მეთაურის ჩინით სავალდებულო სამხედრო სამსახურს გავდიოდი და ისინი, მიუხედავად ამისა, როგორც თანასწორს, როგორც მეგობარს, უფრო მეტიც, როგორც უმცროს ძმას, ისე მეპყრობოდნენ.

ომის დაწყება რომ გავიგეთ, ალექსანდრე ნოვიკოვი, რატომღაც, პირველი ჩემთან მოვარდა, მკლავებში ხელები ჩამავლო და ჩაფიქრებული, საოცრად ნაღვლიანი თვალებით ჩამაშტერდა. მერე კი, როცა ფიქრებიდან გამოერკვა, მითხრა: „შენ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, გული გაიმაგრე, ნურაფრის გეშინია, აქა ვართ ყველა, შენს გვერდით“.

ალექსანდრე ნოვიკოვის ეს სიტყვები გულზე მომხვდა. გულის სიღრმეში მეწყინა, რომ იგი რაღაც შიშზე მელაპარაკებოდა, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ იყო ის, რომ ამ საუბრით სულ სხვას მიმანიშნებდა. მას თავის ბედზე ნაკლებად, ჩემი — ყმაწვილი კაცის — ბედი არ აწუხებდა. ძმობას მეფიცებოდა.

და მართლაც, ომის პირველ სისხლიან თვეებში, როცა ჩვენს ავიაციას საოცრად დიდი დანაკარგები ჰქონდა, ამ კაცის მაღალმა პროფესიონალიზმმა და გონიერებამ ბევრად განაპირობა ის, რომ იმ ომს გადავურჩი, ომს,

რომელშიც ჩემი თაობის ყოველი ასი სალდათიდან შინ მხოლოდ სამი დაბრუნდა.

ომის დაწყების დღეს, თითქმის მთელი დღე დაძაბული ვუცდიდით ბრძანებას საბრძოლო გაფრენის შესახებ და, როცა იგი მივიღეთ, ალექსანდრე ნოვიკოვი თვითმფრინავში ჩაჯდომის წინ, ჯერ ივანე პეტუხოვთან მივიდა და მხარზე ხელი შემოარტყა, შემდეგ მე მომიახლოვდა გულში ჩამიკრა და შემომძახა: «С богом, сынок!»

თვითმფრინავმა კურსი ვარშავისკენ აიღო.

ეს გაფრენა საკმაოდ დეტალურად მაქვს აღწერილი სხვა მოგონებებში. აქ მას შევეხები მხოლოდ ალექსანდრე ნოვიკოვთან დაკავშირებით.

საბრძოლო ფრენის დროს, თვითმფრინავში ზედმეტი ლაპარაკი კატეგორიულად აკრძალულია. ესეც რომ არ იყოს, მფრინავებს სალაპარაკო დროც კი არ აქვთ. მაგრამ მომეჩვენა, რომ ამჯერად რაღაც სამარადისო სიჩუმე ჩამოვარდა თვითმფრინავში. დიახ, სიჩუმე..., რაღაც შემზარავი სიჩუმე...

ვგრძნობდი, რომ ისევე როგორც მე, ყველა ღრმა ფიქრებში იყო წასული.

თავში ათასი სულელური აზრი მიტრიალებდა. რაღაც მაწუხებდა, რაღაც ღრღნიდა ჩემს გულსა და სულს. შევეცადე ლოგიკური კავშირი მომენახა ამ ნაგლეჯ აზრებს შორის, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, მოვინდომე შემზარავი მყუდროების დარღვევა, მაგრამ ესეც ვერ შევძელი. ამისათვის საჭირო იყო, ლარინგოფონში რაღაცა მეთქვა, მაგრამ რატომღაც მომეჩვენა, რომ ეს ნოვიკოვისა და პეტუხოვის გულისწყრომას გამოიწვევდა და ამიტომ ისევ ამ სამარადისო და შემზარავ სიჩუმეს მივენდე...

სწორედ ამ დროს მომესმა ყურსასმენებში ალექსანდრე ნოვიკოვის ხმა:

— დავით, „ციცინათელა“ იცი ზეპირად?

ჰერი-ჰა! მგონი ეს ჩვენი მეთაურიც ახირებულ ჰკუაზეა, — გავიფიქრე. ეტყობა დაძაბულობიდან განტვირთვა ესაჭიროება, თუ არა ეს „ციცინათელას“ არ მომთხოვდა. ასე იყო ყოველთვის, როცა რაღაც მძიმე საფიქრებელი, თავსატეხი ჰქონდა, ან შინაგანი დაძაბულობა კულმინაციამდე მიაღწევდა ხოლმე. იმავე წამს მეტყოდა: დავით „ციცინათელა“ იცი?“ ის რატომღაც ფიქრობდა, რომ „ციცინათელა“ სტალინის საყვარელი სიმღერა იყო.

— რასაკვირველია, ვიცი.

— რუსულად?

— არა, ქართულად!

— ქართულად!?. ქართულად ყოველმა ქართველმა იცის, რუსულად რატომ არ ისწავლე? ერთი ამას შეხედე!

— კი მაგრამ, თქვენ რატომ არ ისწავლეთ ქართულად?

— ვინ გითხრა რომ არ ვისწავლე! აბა მოუსმინე, — თქვა ნოვიკოვმა და სიმღერასავით დაიწყო: „ჩემო ციცინატელა, გაპრინდი ნელა-ნელა...“ და ა. შ.

ამ დროს ჩვენს საუბარში შტურმანი პეტუხოვი ჩაერთო და გაბრაზებულმა თქვა:

— ჩვენს ქვევით სახელმწიფო საზღვარია! გთხოვთ შეწყვიტოთ ეს „პოეზიის საღამო“. თორემ, როგორც ვატყობ, თქვენ მალე სიმღერასაც წამოიწყებთ!

— კარგი, დავით, ეს საუბარი შემდეგ განვაგრძოთ. ახლა კი ჰაერსა და მიწას მივხედოთ. მოემზადეთ დავალების შესასრულებლად! — ბრძანა ნოვიკოვმა.

მიწას ძირითადად კაპიტანი პეტუხოვი ადევნებდა თვალყურს, მე ჰაერი „მებარა“ და ყურადღებით ვიცქირებოდი, რომ არაფერი არ გამომპარვოდა. 6500 მეტრის სიმაღლეზე მივფრინავდით. ამ სიმაღლეზე მხოლოდ დიდი კალიბრის საზენიტო არტილერიას შეეძლო ჩვენამდე მოეღწია.

ჩვენს უკან და მაღლა, მართლაც აფეთქდა საზენიტო არტილერიის რამდენიმე ყუმბარა, რომლებმაც თეთრი კვამლის ბურთულების მსგავსი რამ დატოვეს ჰაერში. მე ეს მეთაურს მოვახსენე. შტურმანმა ურჩია მეთაურს კურსი შეეცვალა, მაგრამ ნოვიკოვმა უარი თქვა, რადგანაც მტრის საზენიტო არტილერია მეტად არაზუსტად ისროდა და დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდა, მალე მან საერთოდ შეწყვიტა სროლა.

ახლა უკვე მტრის ავიოგამანადგურებლების გამოჩენა იყო მოსალოდნელი, ჩვენი თვითმფრინავის მარჯვნივ და მარცხნივ, ოდნავ უკან, მწყობრით მოფრინავდნენ უფროსი ლეიტენანტების ფოკანოვისა და კაირევიჩის თვითმფრინავები. ალექსანდრე ნოვიკოვმა მათ ნიშანი მისცა და თვითმფრინავთა მწყობრი კიდევ უფრო შემჭიდროვდა. ასეთი წყობა აძლიერებდა ავიაგამანადგურებლების წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის უნარს.

სანამ შტურმანი პეტუხოვი ავიოყუმბარებს ყრიდა, ვარშავის აღმოსავლეთით, ქალაქ ბლომბერგის სამხედრო ქარხანაზე, ჩვენს დაბლა შევნიშნე სამი ავიაგამანადგურებელი ME 109. მეთაურს მოვახსენე. იგი ამ ცნობას საოცარი სიმშვიდით შეხვდა. მართალი გითხრათ გამიკვირდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ სხვაგვარად არ შეიძლება მოქცეულიყო. ობიექტის დაბომბვა გრძელდებოდა და მას არ შეეძლო საბრძოლო კურსისა და ფრენის რეჟიმის შეცვლა, ჩემთვის მას არ სცალოდა.

როცა საბრძოლო დავალება შესრულებული იქნა, მან ყუმბარებდაცლილი ჩვენი თვითმფრინავი სიმაღლეზე წაიყვანა. ვხედავდი, თუ როგორ გვიახლოვდებოდნენ ავიოგამანადგურებლები. იყო მომენტი, როცა „მესერშმიტის“ პილოტის ძარის მინას მზის სხივი მოხვდა და

მან ციცინათელასავით გაანათა და მერე ჩაქრა, კვლავ შავი ფერის თვითმფრინავი დავინახე. სულელური აზრი ამეკვიატა თავში. წინ საჰაერო-სასიცოცხლო შეტაკება მელოდა მესერშმიტებთან, მე კი ციცინათელებზე ვფიქრობდი.

ყურსასმენში ნოვიკოვის ხმა მომესმა:

— დავით, როგორაა საქმე, ხედავ „მესერშმიტებს“?

— დიახ, ვხედავ, მაგრამ ეს თქვენი ციცინათელები ისე შემიძვრა თავში, რომ მოსვენებას არ მაძლევენ. და მართლაც, ყურსასმენში მეთაური მელაპარაკებოდა, ხოლო სადღაც შორიდან „ციცინათელას“ სიმღერა მესმოდა. აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, რომ არავინ მღეროდა, რომ ეს ჩემი შინაგანი იყო, მაგრამ ეს საქმეს არ ცვლიდა. ეს შინაგანი ხელს მიშლიდა, მობილიზებული ვყოფილიყავი, ჩემს ძირითად საქმეზე მეზრუნა და მეფიქრა.

მეთაურს, ალბათ, მოეჩვენა, რომ ჭკუიდან გადავიდოდი, რადგანაც გაბრაზებულმა იყვირა:

— მე შენ მოგცემ ციცინათელებს, მე... შენ ხომ არ გაგიჟდი!!

როგორც ჩანს მალამოსავით მომიხდა მეთაურის ეს „ალერსი“.

შორს რომ არ წავიდე, მოხდა ისე, რომ ჩემი პირველი საბრძოლო გაფრენა, ისიც ომის პირველ დღეს იმით აღინიშნა, რომ მტრის „მესერშმიტი“ ჩამოვაგდე. ამ ფაქტს მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ჩვენი ავიაციისათვის, რადგანაც ამით დადასტურდა, რომ ჩვენს მძიმე თვითმფრინავს შეუძლია წარმატებით ებრძოლოს მტრის ავიოგამანადგურებლებს.

უკან რომ ვბრუნდებოდით, ალექსანდრე ნოვიკოვმა მკითხა:

— რა ციცინათელები გიძვრებოდა თავში? მე ვერ გავიგე, რის თქმა გინდოდა?

მე მოვუყევი იმ სინათლის ეფექტზე, რასაც მინაზე მოხვედრილი მზის სხივის ანარეკლი იწვევს და ვუთხარი, ამან ციცინათელები გამახსენა მეთქი.

ალექსანდრე ნოვიკოვმა დიდხანს იცინა, მერე კი, გული რომ მოიოხა, პეტუხოვს უთხრა:

— გესმის, ივან ივანიჩ, ეს ბავშვი ექიმებს უნდა ვაჩვენოთ, თორემ საქმე ცუდად წაუვა, სულ ეს „ციცინათელა“ აქვს თავში.

— „ციცინათელა“ მე კი არა, სულ თქვენ გიტრიალებთ თავში. ეს მე თქვენგან გადმოვედო.

— ეს ეკიპაჟია, თუ საგიჟეთი? ერთი ემოციურია, მეორე მსახიობი! ბოლოს და ბოლოს, თუ კაცი ხარ, მითხარი, მფრინავი ხარ, თუ მსახიობი. ამდენ ლექსებს რომ კითხულობ ნერონი ხომ არა ხარ, ნერონი!

ესე იგი მე მსახიობი ვარ და არა მფრინავი, არა? — იყვირა ნოვიკოვმა.

აეროდრომზე რომ დავფრინდით, ნოვიკოვმა გვერდზე გამიყვანა და მკითხა:

— დავით, თუ კაცი ხარ, ერთი მითხარი, რა ნახა ამ შენმა პეტუხოვმა ჩემში ნერონის შესადარი?

საოცრად იწყინა ნოვიკოვმა პეტუხოვის ეს ხუმრობა. იქვე თვითმფრინავის ქვეშ წაიჩხუბეს, პეტუხოვი გრძნობდა, რომ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და ბოდიშს იხდიდა მეთაურის წინაშე. ალექსანდრე ნოვიკოვი მოლბა..., შერიგების ნიშნად მხარზე ხელი შემოარტყა პეტუხოვს და ორივე ერთად შტაბისაკენ გაემართნენ.

ეს ამბავი აგორდა და მთელ პოლკს მოედო. ზოგიერთმა სცადა ნოვიკოვისათვის ნერონი შეერქვათ, მაგრამ ხალხი სამართლიანია. „ნერონის“ „კლიჩკა“ ნოვიკოვისათვის მფრინავებმა გულთან არ გაიკარეს, სამაგიეროდ მას «Светлячок»-ი დაარქვეს. ეს კი საოცრად გამოხატავდა ამ კაცის ნათელ ბუნებას.

ის ღამე სმოლენსკის გარეუბანში, რომელიღაც სოფელში გავათიეთ. ქალაქს მტრის ავიაცია ბომბავდა და ჩვენ, მფრინავები ქალაქიდან გაგვიყვანეს. აღგზნებული ვიყავით. არავის არ დაეძინა. ივანე პეტუხოვი დიდხანს რაღაცა გრძელ და ულაზათო ამბავს ყვებოდა. საუბარი მას ნოვიკოვმა შეაწყვეტინა და მომიბრუნდა, რომ რაღაცა ეკითხა. მომეჩვენა, ნოვიკოვი ჩვენს საბრძოლო გაფრენაზე დაიწყებდა საუბარს. სხვა თუ არაფერი, ეს იყო ჩვენი პირველი მეტად რთული და სახიფათო საბრძოლო გაფრენა, რომელშიც მონაწილეობდა ყველა „კომპონენტი“: საზენიტო არტილერია და მტრის ავიოგამანადგურებლები. ათასი განცდა და ფიქრი იყო მასთან დაკავშირებული... მაგრამ ნოვიკოვმა სულ სხვა რამ მკითხა.

— დავით „ციცინათელა“, ვთქვათ, არ იცი ზეპირად, არც „ვეფხისტყაოსანი“ იცი?

— როგორ არ ვიცი, ვიცი. ვიცი აფორიზმები, ვიცი ის, რაც სკოლაში მასწავლეს.

— კი მაგრამ სკოლაში ის რატომ არ გასწავლეს, რომ საქართველოში განათლებულ კაცად ითვლებოდა მხოლოდ ის, ვინც „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა? შენ, ძმაო, მგონი, მხოლოდ გვარით ხარ ქართველი, ისე ქართული არაფერი არ გაცხია, — თქვა მან და რუსულად „ვეფხისტყაოსნიდან“ რამდენიმე ტაეპი მოაყოლა:

„იყო არაბეთს როსტევან,
მეფე ღვთისაგან სვიანი,
. . . . . . .
„თუმცა ქალია, ხელმწიფედ,
მართ ღმრთისა დანაბადია;
. . . .
„ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.
. . . . . . . . . . .

„რასაცა გასცემ, შენია,
რაც არა, დაკარგულია!“
და. ა. შ.

ალექსანდრე ნოვიკოვი „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდა მთელი თავისი შინაგანი განცდით, რაღაც განსაკუთრებული შემართებითა და მონდომებით. მე გაშტერებული შევცქეროდი მას და ვგრძნობდი, რომ საშა ახლა, ამ წუთში იქ, სადღაც უძველეს საქართველოში იყო თავის საყვარელ გმირებთან. დღემდე მეგონა, რომ კარგად ვიცნობდი ამ კაცს, ვიცოდი, რომ იგი საოცრად კეთილშობილი კაცი და ნიჭიერი მფრინავია, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს ცოდნა ყოვლად ზერელე იყო. მართალია, ხანდახან იგი მომაძახებდა რუსთაველის აფორიზმს, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა იმას, რომ ამ კაცმა თითქმის მთელი რუსთაველი იცის ზეპირად!?

— ამხანაგო მეთაურო, კი მაგრამ საიდან რუსთაველით ასეთი დაინტერესება?

— რუსთაველით მისი იუბილეს დღეებში დავინტერესდი. როდესაც ლენინის ბიბლიოთეკის ახალი კორპუსი შენდებოდა, მოსკოვში ვიყავი და ყურადღება მივაქციე დიდი მწერლების ბარელიეფებს, რომლებიც ამ შენობის კედელზე კეთდებოდა. ეს სერია რუსთველის ბარიელიეფით იწყებოდა. მაშინ რუსთაველზე თითქმის არაფერი ვიცოდი. როდესაც ჩემმა მეგობარმა მფრინავმა კაპანაძემ, — და ასეთი მეგობარი კი მე მყავდა ომის წინ, მომიყვა რუსთაველის შესახებ, და ბალმონტის თარგმანი მაჩუქა. როგორც ხედავ, შედეგმაც არ დააყოვნა, და დღეს მომინდა რუსთაველის წაკითხვა, რუსთაველის გმირებთან ყოფნა იმისათვის, რომ ამ წუთებში არავინ იკე არ ეხმაურება ჩემს განწყობილებას, როგორც რუსთაველის პოეზია. ჩვენ ქაჯეთის ციხესავით უნდა შევანგრიოთ ფაშისტური გერმანია და ვიხსნათ სიკეთე ფაშისტებისაგან. აი, რაა რუსთაველი ჩემთვის, რატომ ჩემთვის?! — ყველა ჩვენიანისათვის!!

— საქართველოში ყოფილხართ?

— არა, არასდროს. ამის ბედნიერება არ მქონია. აი, გათავდება ომი და თუ დამპატიჟებ, სტუმრად გეწვევი საქართველოში.

ალექსანდრე ნოვიკოვი პირველი სამხედრო მფრინავი იყო, რომელსაც მე შევხვდი ომის წლებში და რომელსაც არა მარტო რაღაც საოცარი სიფაქიზით უყვარდა საქართველო, არამედ მან იცოდა, თუ რატომ უყვარდა იგი. გასაოცარი ის იყო, რომ ასეთი ადამიანი საკმაოდ ბევრი იყო ჩვენს შორსმფრენ ავიაციაში. ერთ-ერთი მათგანი იყო საინჟინრო სამსახურის მაიორი ანდრეევი. იგი იყო ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ანდრეი ჟდანოვის შვილი. ეს განათლებული ინჟინერი და უკეთილშობილესი ადამიანი ჩემთან ერთად 746-ე ავიაპოლკში მსახურობდა. იგი იყო კაცი, რომელიც სულიერ ძმობას მიწევდა და ამით ომის წლებში სამხედრო სამსახურის მძიმე ხვედრს მიმსუბუქებდა. მასთან მუდამ ახლო ყოფნის სურვილს განსაკუთრებით ის გარემოება მიძლიერებდა, რომ მან შესანიშნავად იცოდა რუსთაველის ლექსი და ქართულადაც ასე თუ ისე ლაპარაკობდა. მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, რომ თუ სადმე როიალს ან პიანინოს ნახავდა. იმწამსვე მიუჯდებოდა და ქართულ ჰანგებს აჟღერებდა.

სხვებიც იყვნენ ჩემს თანამებრძოლებს შორის საქართველოს და რუსთაველის პოეზიის მცოდნენი. მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა მაიორ ვიქტორ გოლცევს, რომელიც ომის დროს შორსმფრენი ავიაციის გაზეთის «Советский сокол»-ის რედაქტორად მუშაობდა.

ვიქტორ გოლცევი — გოლცევების დიდი არისტოკრატიული ოჯახის მემკვიდრე — რუსული კულტურის უდიდესი მოღვაწე იყო და ომამდე და ომის შემდეგ მან უდიდესი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის შესწავლასა და პროპაგანდის საქმეში. იგი ათეული წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის ქართულ სექტორს და ქართული კულტურის სამსახური მთელი თავისი ცხოვრების მიზნად აქცია.

ომის წლებში ხშირად ვხვდებოდი მას მოსკოვში, პეტრე დიდის სასახლეში, სადაც შორსმფრენი ავიაციის შტაბი იყო მოთავსებული. ყოველი შეხვედრა მასთან იყო ჩემთვის დღესასწაულიც და დიდი გამოცდაც, რადგანაც საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის საოცრად დიდ მცოდნესთან საუბარი მეტად მიჭირდა. იგი კი ამ თემას არ შორდებოდა. სულ მეკამათებოდა, და, სამწუხაროდ, ჩვენში კომპეტენტურ პარტნიორს ვერ ნახულობდა.

კარგად მახსოვს ერთი საუბარი მასთან, რომელიც ქალაქ თბილისში საკავშირო მწერალთა კავშირის პლენუმის ჩატარებას ეხებოდა. იგი 1937 წლის დეკემბერში ჩატარდა და მიეძღვნა შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლისთავს. ვიქტორ გოლცევი მიყვებოდა იმის შესახებ, თუ რა დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ივანე ჯავახიშვილის მოხსენებამ. იგი ამბობდა, რომ ეს მოხსენება მთელი იუბილის გვირგვინი იყო.

ივანე ჯავახიშვილს ვიქტორ გოლცევი ჭეშმარიტი მეცნიერის უზენაეს გამოხატულებად თვლიდა. იგი ერთ-ერთი იმ უნაკლო კაცთაგანი იყო, ამბობდა იგი, — რომლებსაც მე საერთოდ შევხვედრივარ ცხოვრებაში.

მე საქართველოში ყურადღება მივაქციე იმ გარემოებას, — განაგრძობდა გოლცევი, — რომ ივანე ჯავახიშვილის მიმართ, ხმარობენ

სიტყვას „მამულიშვილი“. ეს სიტყვა გოლცევმა ქართულად წარმოსთქვა. გოლცევს ძალიან მოსწონდა ეს სიტყვა, რადგანაც იგი მრავლის მომცველია, და რაც მთავარია, საოცრად ასახავს საქართველოს მთელი ისტორიის გმირულ თავისებურებას. ეს ცნება ალბათ, საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ამ სახელით იმ ადამიანებს ამკობდნენ, ვინც გამორჩეული იყო თავისი ნიჭით, ცოდნით, მოღვაწეობით და ვინც ყოველივე ამას საქართველოს ბედნიერებას ახმარდა.

ვიქტორ გოლცევი ამბობდა, რომ შოთა რუსთაველმა თავის „ვეფხისტყაოსანში“ ჭეშმარიტი მამულიშვილების მხატვრული სახეები მოგვცაო. ისინი, პოემის მიხედვით, სპარსელებად, ინდოელებად და არაბებად არიან წარმოდგენილნი, მაგრამ სინამდვილეში ყოველ მათგანში ქართული გული ძგერს, ისინი ქართული ეროვნული ხასიათის მატარებელნი არიან და საქართველოს ემსახურებიან.

მისი აზრით, თვით ივანე ჯავახიშვილის პიროვნებაში გამორიცხული იყო ყოველგვარი პირადი ინტერესები, იგი უანგაროდ, აბსოლუტური სისპეტაკით ხალხის ინტერესებს ემსახურებოდა. ივანე ჯავახიშვილი იყო უზარმაზარი ტაქტის კაცი, ფაქიზი და თავაზიანი ადამიანებთან დამოკიდებულებაში, მეტად კეთილი, მოკრძალებული და თავმდაბალი. მაგრამ იგი ამავე დროს იყო შეუვალი, მაღალი პრინციპების მქონე პიროვნება, როცა საქმე ეხებოდა მამულის საქმეს. აი, ეს არის, ალბათ, მამულიშვილობა, ჭეშმარიტი მამულიშვილობა. — დაასრულა გოლცევმა.

ომის შემდეგაც ხშირად ვხვდებოდი ვიქტორ გოლცევს. ამ ხნის განმავლობაში მეც დავლვინდი, საკმაო განათლებაც შევიძინე და მასთან საუბარი არ მიჭირდა. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და კულტურის სამინისტროში ვმუშაობდი და ვიქტორ გოლცევთან უშუალო სამსახურებრივი ურთიერთობა დამიმყარდა. ერთხელ ვიქტორ გოლცევს გავახსენე რომ იგი ომის წლებში არ ეთანხმებოდა ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირი ტარიელი კი არა, ავთანდილია. გოლცევი თვლიდა, რომ რუსთაველი ალტაცებით ხატავს და ხოტბას ასხამს ტარიელის სიმამაცეს, ვაჟკაცობას, კაცთმოყვარეობას, და მთავარი გმირიც იგიაო. ომის შემდეგ მას თავისი შეხედულება შეცვლილი ჰქონდა. ცხადზე ცხადია, რომ, — ამბობდა იგი, — ნაწარმოებში ჭეშმარიტი ჰუმანიზმის მატარებელი, უპირველეს ყოვლისა, ავთანდილია. იგია ტირანიის და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის გენიალური მხატვრული განსახიერება და ივანე ჯავახიშვილი ცამდე მართალი იყო, როცა პრიორიტეტს ამ მხატვრულ სახეს ანიჭებდა.

მეორეც, იმის შემდეგ ვიქტორ გოლცევის ლექსიკონში გაჩნდა „მამულიშვილის“ ცნების ორი განმარტება; ჭეშმარიტი და ყალბი მამულიშვილობისა. ღმერთმა იცის, საქართველოში ხშირი სტუმრობის დროს რამდენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ადამიანს შეხვედრია ვიქტორ გოლცევი, და მათთან შეხვედრით რამდენი რამ შეუძენია და, სამწუხაროდ, რამდენი რამე დაუკარგავს კიდეც. ერთხელ მითხრა. რომ მრავალჯერ მინახავს ქართველი კაცი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს მამულიშვილობაზე და მეტ წილად თავი შეურაცხყოფილად მიგვრძვნია იმის გამო, რომ გარკვეულმა გარემოებამ მაიძულა, რომ ამ კაცთან რაღაც ურთიერთობა მქონოდაო. რამდენი ღვინო დალეულა ქართულ სუფრაზე, რამდენს უთქვამს სადღეგრძელო ამა თუ იმ „მამულიშვილის“ სადიდებლად, მაგრამ მთელი ჩემი არსებით მიგრძვნია, რომ ზოგიერთი მათგანი მიბაძვის კი არა, განკიცხვის ღირსია. უდიდესი ცოდვაა, როცა ის რაც საუკუნეების განმავლობაში ქართული ერის მიერ ასე წმინდად იქნა მოტანილი, ახლა ზოგჯერ ასე უაზროდ და უპასუხისმგებლოდ ურიგდება სუფრაზე ზოგიერთ უზნეო და უქნარა კაცს.

თვით შორსმფრენი ავიაციის სარდალი, ავიაციის მთავარი მარშალი ალექსანდრე გოლოვანოვი იყო საოცრად შეყვარებული საქართველოზე. ამის შესახებ მე უკვე ვწერდი, მაგრამ მინდა დავუმატო, რომ ეს სიყვარული მას გათვითცნობიერებული ჰქონდა. სიყვარული მოვიდა მასთან ჩვენი ხალხისა და ქვეყნის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად.

ასეთი ადამიანები შემდგომაც ბევრი შემხვედრია ცხოვრებაში. ლენინგრადში ვიყავი, საბჭოთა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უნივერსიტეტების რექტორების შეხვედრის მონაწილე გახლდით. უკან მოსკოვში „სტრელა“-ს მოვყავდი. კუპეში აღმოვჩნდი სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილე ნიკოლაი სოფინსკისთან ერთად. კონიაკს შევექცეოდით და ვსაუბრობდით. ამ საუბარმა რუსთაველთან მიგვიყვანა. და რა გაოცებული დავრჩი, როცა მან დაიწყო და მთელი ნახევარი საათის განმავლობაში „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იკითხა. შეჩერდა მხოლოდ იმიტომ, რომ დაიღალა. თქვა, რომ მთელი რუსთაველი ზეპირად იცის.

— ომი რომ გათავდა, პარტიულ სკოლაში ვსწავლობდი. სწორედ იქ დავეწაფე რუსთაველს, — თქვა მან.

ამას წინათ გავიგე, რომ ნიკოლაი საფინსკი მეცენატობას უწევს „ვეფხისტყაოსნის“ იუგოსლავიის ენებზე თარგმნისა და გამოცემის საქმეს. ხოლო მისმა ძმამ ვსევოლოდ საფინსკიმ, ცნობილმა საბჭოთა დიპლომატმა, ინგლისში აუქციონზე ერეკლე II მემორიალური ნივთები შეიძინა და საქართველოს მუზეუმს გადასცა საჩუქრად.

1958 წელს მოსკოვში ბრწყინვალედ ჩატარდა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. კულტურის მინისტრად ვმუშაობდი და დეკადის ხელმძღვანელობაც მე მომიწია.

დასკვნითი კონცერტის შემდეგ დიდი თეატრის შენობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ბანკეტი გამართა, რომელზედაც მოგვიწვიეს დეკადის ოციოდე მონაწილე და რესპუბლიკის ხელმძღვანელები. სუფრა ნ. ხრუშჩოვს მიყავდა. მან ორ საათზე მეტი ილაპარაკა საქართველოზე, მაგრამ ეს სხვა თემაა და მასზე აქ საუბარი არ იქნება.

სიტყვა კლიმენტი ვოროშილოვმა აიღო. სადღეგრძელოში თქვა, რომ სტალინმა შესანიშნავად იცოდა მსოფლიო ლიტერატურა და, ცხადია, ქართული მწერლობა, რომ იგი უშუალო მონაწილეობას იღებდა „ვეფხისტყაოსნის“ ნუცუბიძისეული თარგმანის განხორციელებაში. ვოროშილოვი ამბობდა, რომ სტალინი ხშირად ქართულ და რუსულ ენაზე უკითხავდა მათ „ვეფხისტყაოსანს“ და ვოროშილოვმა რამდენიმე სტროფი ზეპირად წარმოთქვა პოემიდან. იგი ამბობდა, რომ სტალინი მეტად მუსიკალური კაცი იყო, კარგად მღეროდა, იცოდა მრავალი სიმღერა, უყვარდა ოპერის სპექტაკლებზე დასწრება. მან თქვა, რომ სტალინს შესანიშნავი ტენორი ჰქონდა და რადგანაც თანამომღერლები არ ჰყავდა, ხანდახან პატეფონზე ქართულ სიმღერას აამღერებდა და თვითონაც აყვებოდაო, ჩვენ რამდენიმე კაცს ქართული სიმღერებიც გვასწავლაო. მე, მაგალითად, შემიძლია ვიმღერო „ციცინათელა“, და „სულიკო“, „ხასანბეგურასაც ვიმღერებ თქვენთან ერთად, თუ ვინმე მას წამოიწყებსო“. „ციცინათელას“ ხსენებაზე რატომღაც გამახსენდა ალექსანდრე ნოვიკოვი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ეს სიმღერა სტალინის საყვარელი სიმღერა იყო. საოცრად საინტერესო და მნიშვნელოვან პრობლემებზე იყო საუბარი ამ სუფრაზე და მე კი თავში კვლავ „ციცინათელა“ შემიძვრა. ეს გარემოება საოცრად მიშლიდა ხელს ღრმად აღმექვა ის, რაც ხდებოდა ირგვლივ. და მიუხედავად ამისა არ ვცდილობდი „ციცინათელას“ განდევნას ჩემს არსებიდან. იგი უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა. მეჩვენებოდა რომ მის გარეშე შეუძლებელია არა მარტო ჩემი არსებობა, არამედ თვით ყოველივე ის, რაც სუფრაზე ხდება; „ციცინათელა“ ამ გარემოს კანონზომიერ და განუყრელ ნაწილად მეჩვენებოდა. საოცრებაა, შეიძლება ძნელი დასაჯერებელიც, მაგრამ ეს მართლაც ასე იყო. ვოროშილოვი რაღაც მეტად საინტერესო ამბებს ყვებოდა სტალინზე. ჩემს შიგნით კი ალექსანდრე ნოვიკოვის ხმით ვიღაცა „ციცინათელას“ მღეროდა. ყოველივე ეს ერთად საოცარ ჰარმონიას ქმნიდა, ჰარმონიას შინაგანი სულიერი დღესასწაულისა.

რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“ გატაცებულ ადამიანებს უცხოეთშიც მრავალს შევხვედრივარ. ახლო ვიცნობდი ჩეხ იედლიჩკასა და ჩერნის, გერმანელ პეჩს, ჰენრიხ ჰაინცს, ალფრედ კურელას, ავსტრიელ რობერტ ბლაიხშტაინერსა და ჰუგო ჰუპერტს, პოლონელ იგორ სიკირიცკისა და იან ბრაუნს, ინგლისელ დავით ლანგსა და მრავალ სხვა ქართველოლოგსა და „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელს. მათთან საქმიანი ურთიერთობა მქონდა და ზოგიერთ მათგანთან ახლაც ვთანამშრომლობ. დიდად ვაფასებ მათ ღვაწლს ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში. მაგრამ მათ საქმიანობას განცვიფრებაში არასოდეს არ მოვუყვანივარ, რადგანაც მათი პროფესია ხომ ქართველოლოგიაა.

სულ სხვაა, როცა შეხვდები უცხოელს, რომელსაც შენი ქვეყნის შესწავლა თავის პროფესიად არ გაუხდია, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებას ისეთი ზეგავლენა მოუხდენია მასზე, რომ მისი თაყვანისმცემელი გამხდარა მთელი ცხოვრების მანძილზე.

1959 წელს პოლონეთში ჩატარდა ქართული კულტურის დეკადა. ეს იყო ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პირველი დიდი, კოლექტიური გასვლა უცხოეთში. მასში ქართული კულტურის სამასზე მეტი მოღვაწე მონაწილეობდა. ჩემს ამოცანას არ წარმოადგენს ამ დეკადის თუნდაც ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტის გაშუქება. ეს შორს წაგვიყვანდა უპირველეს ყოვლისა, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ამ დეკადას უდიდესი გამოხმაურება ჰქონდა არა მარტო პოლონეთში, არამედ მთელს ევროპაში. როგორც პრესა წერდა, ეს იყო ქართული კულტურის ჭეშმარიტი აღმოჩენა, მისი ლიტერატურის, მუსიკის, კინოს, თეატრის, სახვითი ხელოვნების, ქორეოგრაფიისა და ხალხური შემოქმედების ჭეშმარიტი ტრიუმფი.

მაგრამ ჩვენც ბევრი რამ ახალი აღმოვაჩინეთ პოლონეთში. აღმოვაჩინეთ ის, რაც მანამდე საქართველოში არავინ არ იცოდა. ქალაქ კრაკოვში ყოფნის დროს ჩვენ გავიგეთ, რომ ამ ქალაქში არსებობდა „რუსთაველის წრე“. საქართველოს ოფიციალური დელეგაცია (ნიკო მუსხელიშვილი, ირაკლი აბაშიძე, სიმონ ჩიქოვანი, შალვა ამირანაშვილი, გიორგი მელიქიშვილი, ქეთევან ლომთათიძე და ამ სტრიქონების ავტორი) მიგვიპატიჟეს წრის სხდომაზე. იგი ჩატარდა „პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების „სააქტო დარბაზში. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ამ წრის ხელმძღვანელმა გვაუწყა, რომ წრეში ასეულობით სხვადასხვა ასაკის ადამიანია გაერთიანებული, მათ შორის ქართველებიც, წრის წევრებმა ზეპირად იციან „ვეფხისტყაოსანი“.

ოფიციალური ნაწილის შემდეგ წრის ათიოდე წევრმა პოლონურ და ქართულ ენებზე ზეპირად წაიკითხეს ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. კიდევ უფრო გაგვაოცა კრაკოვის პოეზიის თეატრმა, რომლის სპექტაკლს იმავე დღეს საღამოთი დავესწარით. ამ ორიგინალური თეატრის სცენაზე მსახიობები ასახიერებდნენ მსოფლიო პოეტური კლასიკის შედევრებს. სპექტაკლის შემდეგ ჩვენ შევხვდით თეატრის კოლექტივს და გაოცებული დავრჩით, როცა გავიგეთ, რომ თეატრი ამჟამად მუშაობს „ვეფხისტყაოსანზე“ და რამდენიმე დღის შემდეგ შედგება მისი პრემიერა.

დეკადის დღეებში საქართველოს მთავრობის დავალებით ქართველი ხალხის სახელით პოლონელ ხალხს გადავეცი საჩუქრად დიდი პოლონელი მხატვრის ვალიშევსკის რამდენიმე ფერწერული ნამუშევარი, რომელიც მხატვარმა საქართველოში ცხოვრების დროს შექმნა. ამ საჩუქარმა უდიდესი სიხარული გამოიწვია პოლონეთში. და რაოდენ გაოცებული დავრჩით, როცა მეორე დღეს საზეიმო ვითარებაში პოლონეთის მთავრობამ ქართველ ხალხს საჩუქრად გადმოგვცა პოლონეთის მუზეუმებში დაცული XVI-XVII საუკუნეების სამი ქართული ხელნაწერი.

კიდევ ერთი ეპიზოდი კრაკოვიდან. კრაკოვში ყოფნის დროს „ვაველის“ ცნობილ სასახლეში ვცხოვრობდით. ეს საოცრად დიდი პატივისცემა იყო, რადგანაც აქ მხოლოდ უცხო ქვეყნების მთავრობის დელეგაციებს ღებულობენ.

საღამოთი შედგა დიდი წვეულება, იგი ვოევოდსტვოს (ოლქი) ხელმძღვანელობამ მოაწყო. წვეულება დასასრულს უახლოვდებოდა, როცა სიტყვა მოითხოვა პოლონეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ (გვარი, სამწუხაროდ, არ მახსოვს) დღესაც ვნანობ, რომ ეს სიტყვა არავის არ ჩაუწერია, რომ იგი ჩვენი მომავალი თაობებისათვის შემოგვენახა. მისი სიტყვა იყო ჰიმნი საქართველოზე, ნამღერი დიდი ნიჭითა და გულწრფელობით. იგი ამბობდა, რომ ქართველ ხალხს განსაკუთრებული დამსახურება აქვს საკაცობრიო ცივილიზაციის წინაშე, რადგანაც ეს ხალხი იდგა ამ ცივილიზაციის აკვანთან და აქედან მოყოლებული უდიდესი წვლილი შეაქვს მის განვითარებაში. ძნელად თუ მოინახება მეორე ასეთი მცირერიცხოვანი ერი, რომლის კულტურის ხვედრითი წონა ასეთ დიდი და მნიშვნელოვანი იყოს საკაცობრიო კულტურაში. იგი ამბობდა იმის შესახებ, რომ რუსთაველმა, სულ ცოტა 200 წლით მაინც დაასწრო ევროპულ რენესანსს და თუ შემდგომ პერიოდში ცოტა ხნით შეჩერდა ქართული კულტურის პროგრესი, ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პატარა ერმა დიდი სისხლის ფასად გადაუკეტა აღმოსავლეთის ველურ ურდოებს კავკასიიდან ევროპაში მიმავალი გზები, როდესაც რუსთაველით ზომავ მსოფლიო პოეზიას, მაშინ რწმუნდები, რომ არ არიან დიდი და პატარა ერები, არიან მცირერიცხოვანი და მრავალრიცხოვანი ერები და ერის დიდება მისი მოსახლეობის რაოდენობით არ განისაზღვრება.

ამ სადღეგრძელოს საერთო აღფრთოვანება მოჰყვა, აპლოდისმენტები არ წყდებოდა. კიდევ უფრო იმატა სიხალისემ, როდესაც ათიოდე ქართველი მომღერალი სუფრიდან ადგა, სადღეგრძელოს ავტორთან მივიდა და ქართული მრავალჟამიერი, — მარადიულობისა და სიცოცხლის ეს საოცარი სიმღერა, — შემოსძახა. სამწუხაროა, მაგრამ რატომღაც ეს სადღეგრძელო არ მოეწონა სუფრის ზოგიერთ წევრს, მათ იგი გაზვიადებული და უადგილო მოეჩვენათ. ირაკლი აბაშიძემ, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ საპასუხო სიტყვა წარმოთქვა. წამოდგა ირაკლი აბაშიძე და ბრძანა: სამოქალაქო ომის წლებში წითელარმიელებმა ერთ-ერთი სოფელი აიღეს, სადაც ძველი რუსი არისტოკრატის მიტოვებული სასახლე იყო. წითელარმიელები სასახლეში რომ შეცვივდნენ, მათი ყურადღება მიიპყრო დიდმა ფერწერულმა ნაწარმოებმა, რომელიც სამეჯლისო დარბაზის კედელზე ეკიდა. პოლკის კომისარმა აუხსნა წითელარმიელებს, რომ ეს დიდი მხატვრის რუბენსის ნაწარმოებია, რომელიც მსოფლიოს შედევრად ითვლება და რომ მას არა აქვს ფასი. მაშინ წითელარმიელებმა გადაწყვიტეს მსოფლიოს ეს დიდი მხატვრული ქმნილება სოფსაბჭოს საკუთრებაში გადაეცათ. ეს რომ სამაზრო რევკომმა გაიგო, პატარა სოფელს დიდი მხატვრული ნაწარმოები აქვს საკუთრებათო, გადაწყვიტა სურათი სამაზრო ცენტრში წამოეღოთ და დიდი მაზრის საკუთრებათ გაეხადათ. ამან სოფლის მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. პატარა სოფელმა დახმარებისათვის მიმართა განათლების სახალხო კომისარს ანატოლი ლუნაჩარსკის. გლეხები სთხოვდნენ სახალხო კომისარს ეპასუხა კითხვაზე: აქვს თუ არა უფლება პატარა სოფელს ჰქონდეს დიდი ხელოვნება!

ანატოლი ლუნაჩარსკიმ განკარგულება გასცა, რომ მაზრას დაებრუნებინა სოფლისათვის დიდი რუბენსის შედევრი, ხოლო გლეხებს უპასუხა: „დიახ, პატარა სოფელს აქვს უფლება გააჩნდეს დიდი ხელოვნება!“

ირაკლი აბაშიძემ შთაგონებით მოყვა ეს ამბავი, შემდეგ ხალხს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა და დაჯდა.

მომეჩვენა, რომ სუფრის წევრებს, რომლებიც განაბული უსმენდნენ ირაკლი აბაშიძეს, სუნთქვა შეეკრათ... ცოტა ხნით სრული სიჩუ-

მე ჩამოვარდა... შემდეგ, ვითომც უუმბარა აფეთქდაო, იქუხა მოწონების შეძახილებმა. ზოგიერთი გადაეხვია კიდეც ირაკლის.

თერთმეტი წლის შემდეგ ქართული კულტურის დღეები მოეწყო საფრანგეთში. დეკადას მფარველობდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლეროა, რომელიც ამჟამად „იუმანიტეს" მთავარი რედაქტორია. რამდენიმე ეპიზოდი მინდა გავიხსენო ამ დეკადიდან, რომლებიც ასე თუ ისე ჩვენი საუბრის თემას ეხება.

ჩვენი დელეგაცია „იუმანიტეს" რედაქციაში მიიწვიეს. ჩვენ შემოგვხვდა გაზეთის რედაქტორი კულტურის დარგში და დარბაზში შეგვიყვანა, სადაც გაზეთის თანამშრომლები და აქტივისტები გველოდნენ. რედაქტორი ტრადიციისამებრ მოგვესალმა და წარმატებები გვისურვა. მე მადლობა გადავიხადე მოწვევისათვის და დელეგაციის წევრები წარვუდგინე. აქ იყვნენ: სერგო ზაქარიაძე, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარე გივი მელაძე და რაიკომის მდივანი გივი ზაუტაშვილი. გაიმართა მეტად გულახდილი და მეგობრული საუბარი. ახლა რომ ვიხსენებ იქაურობას, კარგად მაქვს აღბეჭდილი მეხსიერებაში, რომ საუბრის მთავარი თემები „ვეფხისტყაოსანი" და ქართული კინო იყო. რედაქტორმა დაწვრილებით მოჰყვა იმის შესახებ, თუ როგორ აღინიშნა პარიზში შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი. როცა ქართულ კინოზე ჩამოვარდა საუბარი, ითქვა რომ სერგო ზაქარიაძის მიერ განსახიერებული ჯარისკაცის მამის მხატვრული სახე მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა. აღნიშნეს შენგელაიას, ჭიაურელის, ჩხეიძისა და აბულაძის ფილმების დიდი მნიშვნელობა მსოფლიო კინემატოგრაფიის განვითარების საქმეში. განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი ოთარ იოსელიანის მეტად ნაყოფიერ და ნიჭიერ მოღვაწეობას კინემატოგრაფიაში. ფრანგმა კინემატოგრაფისტებმა აღიარეს „ქართული ფილმი" როგორც მსოფლიო კინემატოგრაფიის თავისთავადი და მნიშვნელოვანი ფენომენი. ქართული ფილმი, თქვა გაზეთის რედაქტორმა, ისეთივე თვითმყოფადი, ნიჭიერი და მნიშვნელოვანი მოვლენაა მსოფლიო კინოში, როგორც, ვთქვათ, იტალიური კინო, იაპონური კინო, ან კიდევ რუსული კინემატოგრაფია.

ოქტომბრის რევოლუციის 58 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა საელჩოში გრანდიოზული მიღება გაიმართა. აქ მოწვეული იყვნენ საფრანგეთის პრეზიდენტი, მთავრობის წევრები, კულტურის მოღვაწეები და სხვა მრავალი საპატიო სტუმარი. ამ მიღებაზე ჩვენც, საქართველოს დელეგაციის წევრებიც მიგვიწვიეს. როდესაც დარბაზში შევედით,. მწერალ კონსტანტინე სიმონოვის წრეში აღმოვჩნდით. აქ იყვნენ მწერლის მეუღლე, საფრანგეთის კომპარტიის მდივანი ჟაკ დიუკლო, საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის მაშინდელი მინისტრი კაზანეცი და ფრანგი სტუმრები. კონსტანტინე სიმონოვი, რომელსაც „წინანდლის" ბოთლი ეკავა ხელში და თანამოსაუბრეებს ჭიქებს უვსებდა, ქართული ღვინოების შესახებ ლაპარაკობდა. ჩვენს დანახვაზე იგი გამხნევდა და მეტი რიხით ალაპარაკდა. როგორც შემდეგ გამოირკვა, კონსტანტინე სიმონოვი ამტკიცებდა, რომ ქართული ღვინოები ფრანგულზე ნაკლები არაა, რაზეც ფრანგების ხალისიან წინააღმდეგობას წააწყდა. მაშინ საუბარში ჩაერია ჟაკ დიუკლო. მან შემდეგი ისტორია გაიხსენა.

ერთხელ, — თქვა ჟაკ დიუკლომ — მოსკოვში ყოფნის დროს ამხანაგმა სტალინმა თავის აგარაკზე მიმიწვია და სხვა ამხანაგებთან ერთად სადილზე მიმიპატიჟა. სტალინი ყურადღებიანი და ფაქიზი მასპინძელი იყო, მაგიდის ირგვლივ დადიოდა, კერძებს გვაწვდიდა და ღვინოსაც ჭიქებში თვითონ გვისხამდა. სუფრას თვითონ თამადობდა, მეტად შთამბეჭდავად და ღრმად, მაგრამ მეტად მოკლედ და ლაკონიურად ლაპარაკობდა. ერთ-ერთი სადღეგრძელოს დროს მან ხოტბა შეასხა ქართულ ღვინოს, შემდეგ ჩემსკენ გადმოიხედა და ღიმილით თქვა: „ეს ქართული ღვინო ფრანგულ ღვინოზე უკეთესია, ამაში, ალბათ, თვით ამხანაგი ჟაკ დიუკლოც დამეთანხმება".

— მე ჯერ დავიბენი, — განაგრძობდა ჟაკ დიუკლო, — მერე გონს მოვედი და მეც ღიმილით ვუპასუხე:

— ამხანაგო სტალინ, მე როგორც კომუნისტი თქვენ სავსებით გეთანხმებით, ხოლო როგორც ფრანგი ვაცხადებ, რომ ფრანგული ღვინოები საუკეთესოა მსოფლიოში. სტალინს მოეწონა ჩემი პასუხი, გულიანად გაიცინა, ჩემთან მოვიდა და მეგობრულად თავისი ჭიქა ჩემსას მიუჭახუნა.

ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის 58-ე წლისთავის დღესასწაული „შანსელიეზეს" თეატრის შენობაში ჩატარდა. საზეიმო სხდომის შემდეგ შედგა ქართული ხელოვნების მოღვაწეთა კონცერტი. განზრახული იყო, რომ მოხსენებას გააკეთებდა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ლეროა. საზეიმო სხდომის დაწყებიდან რამოდენიმე საათით ადრე სასტუმროში მოვიდა ჩვენი საელჩოს პირველი მრჩეველი და მითხრა, რომ ამხ. ლეროასთან ერთად სიტყვით მე უნდა გამოვსულიყავი. მან ჩემი გამოსვლის ტექსტიც კი მომიტანა. დავჯექი, ტექსტს გადავხედე და საჭირო შესწორებები შევიტანე, დავუმატე ზოგიერთი რამ საქართველოს შესახებ. შემდეგ ჩვენი დელეგაციის წევრს, გაზეთ **«Московские новости»**-ს (ფრანგული გამოცემა) რედაქტორს სოკოლოვს ვთხოვე იგი ფრანგულად ეთარგმნა.

სცენის წინ სამი კაცი გამოვედით: ლეროა,

სოკოლოვი და მე. სიტყვა ლერუამ დაიწყო... ატყდა დარბაზში საოცარი სტვენა... როგორც გამოირკვა, ბილეთების დიდი ნაწილი „მემარცხენე“ ექსტრემისტებმა“ ჩაიგდეს ხელში და საზეიმო სხდომა ფრანგი კომუნისტების წინააღმდეგ გამოიყენეს. მიუხედავად სტვენისა, ხმაურისა ამხ. ლერუამ სიტყვა მაინც ბოლომდე მიიყვანა. მე შევცქეროდი ამ სცენას და გაოცებამ შემიპყრო. მსგავსი რამ არასდროს არ მინახავს და განმიცდია. ყოველივე ეს უცხო იყო ჩემთვის.

სიტყვა მე მომცეს. სტვენას ველოდი, მაგრამ ჩემთვის მოულოდნელად დარბაზი გაინაბა. ეს უკვე ბევრ რამეს ნიშნავდა. სული მოვითქვი და დავიწყე ჩემი სიტყვა. წავიკითხე პირველი აბზაცი და სოკოლოვმა თარგმნა ფრანგულად. ის იყო მეორე აბზაცის კითხვა უნდა დამეწყო, რომ დარბაზიდან გაისმა ხმა: „ბატონო დავით, თუ შეიძლება, ქართულად!!“, ეს ალბათ ქართველი ემიგრანტების შეძახილები იყო. ამას შეეძლო არეულობის გამოწვევა. ეს რომ არ მომხდარიყო, ის, რაც რუსულად ტექსტში ეწერა, მე ქართულად წარმოვთქვი და სოკოლოვს ვთხოვე ტექსტის მიხედვით ეთარგმნა. სიტყვას დარბაზის აპლოდისმენტები მოჰყვა.

დეკადის დახურვის საღამო პარიზის მახლობლად ქალაქ შამპანში ჩატარდა, იგი უზარმაზარ თეატრალურ შენობაში მოეწყო.

სცენაზე კვლავ სამი კაცი ვიდექით: ლერუა, სოკოლოვი და მე.

პირველი სიტყვა ლერუას უნდა ეთქვა და საოცრად ვღელავდი ვაი თუ პარიზის ისტორია გამეორდესთქო. მაგრამ, როგორც ჩანს, აქ, მუშათა უბანში უკვე სხვა აუდიტორია იყო.

ამხ. ლერუამ სიტყვა დაიწყო შოთა რუსთაველის აფორიზმით: ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისი მტერია.

შემდეგ მან ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საქართველო პოეტების ქვეყანაა, რომ რუსთაველი არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიოს პოეზიის ერთ-ერთი მთავარი მწვერვალია. ლერუამ ილაპარაკა საქართველოს არქიტექტურულ ძეგლებზე, რომლებსაც სახელმწიფო იცავს და უვლის, უნიკალურია ქართული მუსიკალური კულტურაც. ქართველები ალბათ ერთადერთი ხალხია მსოფლიოში, რომელსაც გააჩნია ოთხხმიანი სიმღერებით.

მე გახლდით საქართველოში და ქართველმა ხალხმა მომხიბლა. ამ პატარა რესპუბლიკას მოჰყავს იმდენი ჩაი, რამდენიც უზარმაზარ ინდოეთს, მაგრამ ქართველის სუფრაზე ჩაის იშვიათად ნახავთ. აქ ღვინოს სვამენ, დიახ, ღვინოს და, მერე როგორ ღვინოს!

ვინც საქართველოში მოხვდება, იგი მუდამ რჩება მისი მოვალე, რადგანაც შეხვედრა მასთან ამდიდრებს ადამიანის სულიერ სამყაროს.

ამხ. ლერუას სიტყვის შემდეგ მე თითქმის სათქმელი არაფერი დამრჩა და დღეგრძელობა და ბედნიერება ვუსურვე ჩვენს მასპინძლებს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ალექსანდრე ნოვიკოვს.

**1941** წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში მოხდა ჩვენი უკანასკნელი გაფრენა „ДБ-3ф“ თვითმფრინავზე. მე ფეხში დავიჭერი და მცენსკში, ჩვენივე პოლკის სანიტარულ ნაწილში დამტოვეს, ხოლო პეტუხოვი, რომელსაც თვალი სერიოზულად დაუზიანდა მოსკოვში გააგზავნეს, სამხედრო ჰოსპიტალში. ასე დავშორდით ჩვენ ერთმანეთს. ალექსანდრე ნოვიკოვი ყაზანში მიავლინეს, სადაც ზამთარში სრულიად შემთხვევით შეხვდა პოლკოვნიკ გოლოვანოვს, რომელიც უკვე დივიზიის მეთაური იყო. გოლოვანოვს გაუხარდა ნოვიკოვთან შეხვედრა და იგი ახალი, 433-ე პოლკის მეთაურის მოადგილედ დანიშნა, ხოლო პეტუხოვი ჯერ დივიზიის, ხოლო შემდგომ შორსმფრენი ავიაციის მთავარ შტურმანად დაინიშნა.

ყაზანში შეიკრიბა დიდი ჯგუფი მფრინავებისა, რომლებმაც დაიწყეს ახალი ოთხძრავიანი თვითმფრინავის „ТБ-7“-ის (შემდგომში მას ავიაკონსტრუქტორის ვ. მ. პეტლიაკოვის საპატივცემლოდ ПЕ-8 ეწოდა) შესწავლა.

ეს იყო შესანიშნავი თვითმფრინავი, საუცხოო აეროდინამიური მონაცემებით. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ავიოქარხანას უახლოეს დროში არ შეუძლია ორი საავიაციო პოლკის დაკომპლექტება, ამიტომ 433-ე პოლკი ყაზანიდან გაისტუმრეს და ორძრავიანი, ДБ-3ф-ის თვითმფრინავებით დააკომპლექტეს. ამ პოლკს თან გაყვა ალექსანდრე ნოვიკოვი. მე კი 746-ე პოლკში მოვხვდი და ოთხძრავიან თვითმფრინავებზე დავიწყე ფრენა.

ორი წელი ალექსანდრე ნოვიკოვზე არაფერი მსმენია და ეს მაშინ როდესაც ორივე შორსმფრენ ავიაციაში ვითვლებოდით.

მხოლოდ **1943** წლის გაზაფხულზე გავიგე, რომ ალექსანდრე ნოვიკოვის თვითმფრინავი იანვარში ერთ-ერთი გაფრენის დროს მტრის საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო.

**1944** წლის ზაფხულში სხვებთან ერთად ალექსანდრე ნოვიკოვი ჩვენმა ჯარებმა გერმანელების ტყვეობიდან გაანთავისუფლა. მან წერილით მიმართა ავიაციის მთავარ მარშალს ალექსანდრე გოლოვანოვს და დახმარება თხოვა. გოლოვანოვმა იგი თავისთან მიიწვია სასაუბროდ. ალექსანდრე ნოვიკოვი ფრონტზე დაბრუნებას მოითხოვდა, მაგრამ გოლოვანოვს მისი ჯანმრთელობა და საერთო მდგომარეობა იმდენად სავალალოდ მოეჩვენა, რომ ჩვენი ავიაციის სარეზერვო ნაწილში განაწესა ღრმა ზურგში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლიკო ცაიშვილი

# რუსთაველის მხატვრული აზროვნების თავისებურებათა შემეცნებისათვის

შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის ვერც ერთი მკვლევარი ვერ აუხვევს გვერდს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგს, რასაც თვალსაჩინოდ ადასტურებს კიდეც რუსთველოლოგიის ისტორია.

აღიარებული ჭეშმარიტებაა ისიც, რომ პოემის პროლოგში კონდენსირებული სახით მოცემული ყველა ფილოსოფიურ-თეოლოგიური და ესთეტიკური კონცეფცია ბრწყინვალედაა რეალიზებული „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სამყაროში. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია პროლოგის ერთი სტროფი.

21. „მას ერთსა მიჯნურობასა
ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა
ყურნიცა დავალდებიან;
ვთქვენ ხელობანი ქვენანი,
რომელნი ხორცთა ჰხვდებიან,
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს
არ სიძვენ, შორით ბნდებიან“.[1]

პოემის ამ სტროფზე ბევრმა მკვლევარმა გამოთქვა აზრი, მაგრამ ამჯერად არ შევეხებით ამ პასაჟის ინტერპრეტაციის ისტორიას, ჩვენს მსჯელობაში ძირითადად დავეყრდნობით უახლეს რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმულ შენიშვნებს.

განსახილველ სტროფში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სიტყვა „ჰბაძვენ“. ჩვენი აზრით, ეს ტერმინი და, საერთოდ, მთელი სტროფიც წარმოადგენს ერთ-ერთ ამოსავალ წერტილს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობისა და მთლიანად პოემის მხატვრული შინაარსის შემეცნებისათვის.

„ბაძვა“ საყოველთაოდ ცნობილი ტერმინია ფილოსოფიური, თეოლოგიური და ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში. გენეტიკურად იგი უკავშირდება პლატონის მოძღვრებას. აქედან მოყოლებული იცვლებოდა და ივსებოდა მისი შინაარსი და ეს პროცესი დღემდე გრძელდება.

მაინც რა აზრია ჩადებული რუსთაველის მიერ ამ ცნებაში? ნ. ნათაძე თავის უახლეს გამოკვლევაში გვთავაზობს შემდეგ კომენტარს: „ბუნებრივია, რომ ეს სიტყვა („ბაძვა“) გავიგოთ როგორც ზეციური „იდეებისადმი“ ქვეყნიურ საგანთა მიმართების აღმნიშვნელი პლატონისეული ტერმინი „მიმეზის“ (რაც ბაძვას ნიშნავს)“.[2]

დაახლოებით ამგვარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს აგრეთვე რ. სირაძე. რუსთველისეულ „ბაძვას“ ისიც პლატონურ-ნეოპლატონურ ტრადიციას უკავშირებს.[3]

ვფიქრობთ, რომ საკითხის ამგვარად დასმა ერთგვარად ცალმხრივი მიდგომის შედეგია.

რუსთაველისა და წინარე (ქრისტიანულ) ეპოქაში „ბაძვა“ ტერმინი თავის თავდაპირველ (პლატონისეულ) მნიშვნელობას ინარჩუნებს მხოლოდ წმინდა თეორიული თვალსაზრისით, რაც იმას ნიშნავს, რომ გადარჩა მხოლოდ მოდელი, რომელიც აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსით ხორციელდება.

სამყაროს ხედვის ნეოპლატონური ფილოსოფიის მიხედვით, ტრანსცენდენტური ერთიდან ილვრება, მოეფინება ნათელი, რომელიც ემანაციის პირველ საფეხურზე წარმოქმნის განუყოფელ ანუ იდეათა სამყაროს. შემდეგ ეს ნათელი იშლება უთვალავ სხივებად ანუ სულთა სამყაროდ, უკანასკნელი საფეხური ღვთაებრივი ნათლის ემანაციისა კი წარმოადგენს რეალურ საგანთა სამყაროს. ამ ფაზაში ნათელი თანდა-

თან ქრება, კარგავს თავის ცხოველმყოფელობას და იკარგება უკუნეთში. ამასთან ერთად, ყოველი არსი, რომელიც ემანაციის დაბალ საფეხურზე დგას, ისწრაფვის (ბაძავს) მაღალ იერარქიულ დონეზე მყოფი არსისაკენ. აი, ეს არის ძირითადად სამყაროს ჰარმონიული ხედვის ის ნეოპლატონური მოდელი, რომელიც მიიღო ქრისტიანობამ. ეს დებულება ნათლად ჩანს მრავალი თეოლოგის შრომებში, თუნდაც, ვთქვათ, ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან: „ამას ცხადად ჰყოფენ უმაღლესნი უკუე განმგებელობითა უმდაბლესთაჲთა და ერთ-ნივთისაგანნი ურთიერთასპყრობითა და განმტკიცებითა, ხოლო უქუემოესნი სალმრთოდ მიქცევითა პირველთა მიმართ“.4 მაგრამ ქრისტიანულმა თეოლოგიამ სრულიად შეცვალა არსის და ემანაციის (რაც აგრეთვე ძირითადია პლატონისა და ნეოპლატონიზმის მიმეტურ თეორიაში), როგორც მსოფლმხედველობრივი კატეგორიების გაგება. ქრისტიანული თვალსაზრისით არსთა ბუნება არაერთგვაროვანია; განასხვავებენ ღვთაებრივ უმაღლეს არსს, ანგელოზურ არსს და ა. შ.

ემანაცია ქრისტიანული თვალსაზრისით ტრანსცენდენტური ღმერთის კეთილი, შემოქმედების აქტია, ამავე დროს, პირუკუ, დაბალ იერარქიულ საფეხურზე მდგომი არსის სწრაფვა უმაღლესისაკენ ნიშნავს მათ მისწრაფებას ეზიარონ ღვთაებრივი არსის ისეთ გამოვლინებას, როგორიც არის ნათელი, სიკეთე, სიყვარული და სხვ. ხოლო არც ერთი ეს თვისება თეოლოგიური თვალსაზრისით არ მოიცავს ტრანსცენდენტურის ჭეშმარიტ არსს, რომელიც შეუცნობელი და მიუღწეველია. ალბათ, სწორედ ესა აქვს მხედველობაში ა. ფ. ლოსევს, როდესაც წერს:

**«здесь всегда имелось в виду становление человека богом не по своей субстанции и не по своей природе (это для христианства было бы языческой верой) но становление богом только по благодати в результате высшего молитвенного восхождения человека, ни на одно мгновение не перестающего быть тварью, созданной «из ничего», а не эманирующей из природы самого бога»[5].**

სწორედ ამ დონეზე უნდა განიხილებოდეს რუსთველისეულ „ბაძვა“-ში ნეოპლატონური პოსტულატების რემინისცენცია.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა ტერმინმა „ბაძვამ“ ქრისტიანულ ეპოქაში სრულიად გარკვეული, შეიძლება ითქვას, კონკრეტული ეთიკური კონცეფციის მნიშვნელობა შეიძინა. თესალონიკელთა მიმართ პავლე მოციქულის მიერ მიწერილ ეპისტოლეში ვკითხულობთ: „მობაძავ ჩუენდა იქმნენით და უფლისა“ (1, 6), ანდა კიდევ მეტყველი ციტატა ათონური ხელნაწერიდან: „რამეთუ ქრისტესთვის გსურის, ჯერ არს ბაძვაჲ ვნებათა მისთა“ (6). ეს წმინდა ეთიკური შინაარსი, რომელიც, როგორც ვხედავთ, დასტურდება ტერმინ „ბაძვაში“, შუა საუკუნეებში, გადაიქცა უმნიშვნელოვანეს კულტურულ, ზნეობრივ და აგრეთვე შემეცნებით ნიშანსვეტად.

სწორედ ამ ფაქტის გამოძახილია ის უშუალო კონტექსტი, რომელშიაც მოთავსებულია ჩვენთვის საინტერესო ტერმინი: „თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან“.

როდესაც ლაპარაკია იმ წმინდა ეთიკურ შინაარსზე, რომელსაც შეიცავს რუსთველისეული „ბაძვა“, ჩვენს თვალსაწიერში იჭრება „ვეფხისტყაოსნის“ სხვა გამოთქმა, კერძოდ „ვალი“, რომელსაც, ვფიქრობთ, ორგანული კავშირი აქვს ამ საინტერესო ტერმინთან.

ქრისტიანულ-თეოლოგიური აზროვნების დამახასიათებელ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ადამიანის ადგილი ქვეყანაზე, მისი დამოკიდებულება ღმერთთან ერთგვარად გაორებულია. ერთი მხრივ, ადამიანი ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ამაღლებული ფიგურაა რეალურ სამყაროში (გავიხსენოთ შესაქმე, ანდა მისი უშუალო გამოძახილი „ვეფხისტყაოსნის პირველსავე სტროფებში: „...ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“), მაგრამ, ამავე დროს, იგი ცოდვილია, მარადიული გარდაუხდელი ვალი აწევს მის სულს. ამ დებულების დასადასტურებლად უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა, როგორც მსოფლიო, ისე ქართული საეკლესიო და, საერთოდ, მთელი ქრისტიანული მწერლობიდან. რაც, ალბათ, ძალზე შორს წაგვიყვანდა. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში საკმარისია ერთი საყოველთაოდ ცნობილი ადგილის მოტანა მათეს სახარებიდან „და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩუენნი“. (6, 12), ქრისტეს მოვლინება, განკაცება ცოდვის ტვირთების ანუ ვალის გადახდის იდეასთან არის დაკავშირებული ქრისტესადმი „მიბაძვის“ ეთიკური კოდექსი, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, სწორედ ამ ქრისტიანულ-თეოლოგიურ შეხედულებას ეფუძნება.

აღნიშნული ვითარების გამოძახილი უნდა იყოს ავთანდილისადმი მიმართული სიტყვები:

147. „გამოემართა ავთანდილ,
მოყმე მხნე, ლაღად მავალი,
ოც დღე იარა, ღამეცა
დღეს ზედა წაჰრთო მრავალი,
იგია ლხინი სოფლისა,
იგია ნივთი და ვალი...“

ამ სტროფში ჩვენთვის საინტერესოა მესამე სტრიქონი — „ლხინი სოფლისა“. ამ შესიტყვების მნიშვნელობა შედარებით ცხადია. ავთანდილი სოფლის ბედნიერებაა, სოფლის სიხა-

რული (ზემოთ უკვე მივუთითეთ, რომ ადამიანის ამგვარი გაგება დამახასიათებელია შუა საუკუნეებისათვის). თითქოს ამავე რიგის უნდა იყოს გამოთქმა „ნივთი“, რასაც იზიარებს ვახტანგ V: „ნივთი ყოველ საფერს, სახმარს ჰქვიან“. ამ განმარტებას იზიარებს თავის გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“ ნ. ნათაძეც. იგი აღნიშნავს: „ნივთი — სიმდიდრე, საფასე. სოფლისა ნივთი და ვალი — ამ პოეტური სახის აზრი, როგორც ჩანს, ისაა, რომ ავთანდილი არა მარტო ქვეყნის სიმდიდრე და განძია, არამედ მისი მიზანიც: ქვეყნის ვალია, ამ მშვენიერ ვაჟკაცს მისი შესაფერი ბედნიერება მისცეს“,[7] მაგრამ თავის უკანასკნელ ნაშრომში იგივე მკვლევარი ტერმინ „ნივთს“ განმარტავს როგორც მატერიას. ამგვარი გაგება, როგორც აღნიშნავს კიდეც მეცნიერი, დასტურდება ძველ ქართულ მწერლობაში (მაგალითად, პეტრიწთან).[8] ჩვენც მისაღებად მიგვაჩნია ეს უკანასკნელი ინტერპრეტაცია და აქედან გამომდინარე ფრაზის კომენტარი, ჩვენი აზრით, ასეთ სახეს მიიღებს — „ნივთი“ როგორც მატერიალური საწყისი, ხოლო „ვალი“ როგორც სულიერი. რადგან ვალის გადახდის მოტივი ქრისტიანულ-თეოლოგიურ აზროვნებაში სულიერი ქმედების სფეროა (აქვე აღვნიშნავთ, რომ არც „ნივთის ვახტანგისეული განმარტება უშლის ხელს სიტყვა „ვალის“ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ გაგებას).

საყურადღებოა ერთი გარემოებაც: რუსთაველი სიტყვა „ვალს“ იდენტური შინაარსობრივი დატვირთვით ხმარობს კომპოზიციური თვალსაზრისით ერთგვაროვან სიტუაციებში. კერძოდ, როცა მისი პოემის მთავარ გმირთა ცხოვრებაში დგება მძაფრი გარდატეხის, „ჭირთა თმენის“, უდიდესი სულიერი შეჭირვების მომენტები. იგი თითქოს შეახსენებს მკითხველს, რომ ბედნიერების მოსაპოვებლად ინიციაციის გზაზე შემდგარი გმირისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ცოდვის ტვირთვა, ვალის გადახდა.

გავიხსენოთ ტარიელის სიტყვები:

342. „მეფემან ახმა დურაჯთა
მითხრა მიტანად ქალისა,
გამოვუხვენ და წავედით
ჩემად სადებლად ალისა;
მაშინ დავიწყე გარდახდა
მე საწუთროსა ვალისა.
ალმასისა ხამს ლახვარი
ლახვრად გულისა სალისა“.

ან კიდევ:

361. „დღენი გამოხდეს და გული
უფრორე დამწვეს კვლავ ალთა,
ველარ ვუჭვრეტდი ლაშქართა,
მინდორის თამაშად მავალთა;
დარბაზს ვერ მივე; მკურნალთა
დამიწყეს მოსვლა მრავალთა,
მაშინ დავიწყე გარდახდა
სოფლისა ლხინთა დავალთა“.

ინიციაციის ქრისტიანული იდეა თავისებურად გარდატყდა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტურ სამყაროში. პოემის ფაბულა, სიუჟეტის განვითარება, გმირთა ხასიათები შინაგანად მჭიდროდ უკავშირდება ქრისტიანობის ამ წარმართველ იდეას.

შოთა რუსთაველს რომ თავისი ჩამოყალიბებული და გარკვეული შეხედულებები ჰქონდა ესთეტიკის სფეროში, კარგად ადასტურებს პროლოგის ყველასათვის ცნობილი სტროფები. ამ შეხედულებათა შესახებ ბევრ მკვლევარს გამოუთქვამს თავისი მოსაზრება, მაგრამ, ვფიქრობ, რომ სრულყოფილად ვერ შევიმეცნებთ რუსთაველის ესთეტიკას, თუ საგანგებოდ არ შევჩერდებით ისევ და ისევ ტერმინ „ბაძვაზე“.

როდესაც ვლაპარაკობთ ქრისტიანული „მიმეზესის“ შესახებ, როდესაც განვიხილავთ მის ონტოლოგიურ-გნოსეოლოგიურ და ეთიკურ ასპექტს, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მის ესთეტიკურ შინაარსს, რადგან ქრისტიანული აზროვნების ამ სამი ძირითადი ნაკადის ერთმანეთისაგან მოწყვეტა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ყოვლად დაუშვებელია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ რელიგიური მსოფლმხედველობისათვის უმნიშვნელოვანესი შემეცნების („გნოსის“ ან თეოლოგიური ტერმინოლოგიით „თეოზის“) აქტის განხორციელებისათვის, ეთიკურთან ერთად უმთავრესია აგრეთვე ექსტატიურ-ემოციური ანუ, თანამედროვე ენით ესთეტიკური მომენტი.[9]

ეს უკანასკნელი თავისთავად გულისხმობს ხელოვნების წარმმართველ როლს ქრისტიანული შემეცნების პროცესში.

შუა საუკუნეების საეკლესიო ხელოვნება (ცხადია ლიტერატურაც) და ღვთისმეტყველება ფუნქციური თვალსაზრისით ძირითადად ერთგვაროვანია. ეს ფუნქცია ქრისტიანულ-გნოსეოლოგიური ფუნქციაა. სწორედ ამიტომაცაა თეოლოგია ასე მხატვრული, ხოლო მხატვრული შემოქმედება ასე თეოლოგიური. (გავიხსენოთ რუსთაველი — „შაირობა სიბრძნისაა ერთი დარგი“).

ქრისტიანული გნოსეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა საეკლესიო ლიტურგიკაა. ხელოვნების ისეთი დარგები და ჟანრები როგორიცაა საეკლესიო მხატვრობა, მუსიკა, აგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, ჰომილეტიკა და სხვ. ყოვლად წარმოუდგენელია ღვთისმსახურებისაგან მოწყვეტით. საეკლესიო ლიტურგიკა მთლიანად სიმბოლიზირებული პროცესია, შესაბამისად, ამ სიმბოლიკითაა გამსჭვალული ეპოქის მხატვრული მეტყველება, რადგან ღვთის შე-

მეცნების ერთი მთავარი გზა სიმბოლურ აზროვნებაზე გადის (კათაფატიკა).

სიმბოლოს ქრისტიანული თეორიის უთვალსაჩინოესი შემოქმედი ფსევდო-დიონისე არეოპაგელი წერს: „...და ზეშთაბუნებისანი იგი და უმსგავსონი სიმარტივენი მრავალფეროვნითა განყოფილთა ს ა ხ ე თ ა ი თ ა (ხაზგასმა ჩემია) განმრავლდებიან და ნივთიერ იქმნებიან" (9, 16), აქვე, მეტი სიცხადისათვის, გთავაზობთ რუსულ თარგმანს:

«И сверхъестественная и неизобразимая Простота через частичных символов умножается и изображается»[10].

საერთოდ, ქრისტიანული მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი მისი ყოვლისმომცველი სიმბოლიზმია. შუა საუკუნეების მოაზროვნეთა მიმართება ისტორიულ თუ თანამედროვე სინამდვილესთან, ტრანსცენდენტური თუ რეალური სამყაროს თავისებური ხედვა, ამ სიმბოლიზმის ნიშნითაა ალბეჭდილი.

როგორია ეს საეკლესიო ქრისტიანული სიმბოლიზმი? თავისთავად სიმბოლო მიმეტური აზროვნების ერთ-ერთი ფორმაა. მისი ძირითადი ფუნქციაა სინამდვილის, შუა საუკუნეების შემთხვევაში ღვთაებრივი ჭეშმარიტების, მიბაძვა-ასახვა. ვფიქრობთ, ეს აზრიც იგულისხმება პროლოგის „ბაძვაში". სხვაგან რუსთაველი ამბობს: „ქედსა გარდავდეგ, ლომ-ვეფხნი მოვიდეს ერთგან რებულნი — სახედ ვამსგავსე მიჯნურთა..." 908. „ბაძვა", „სახედ ვამსგავსე", როგორც ჩანს, ერთი რიგის გამოთქმებია.

როდესაც ვეცნობით მედიევისტურ პრობლემებზე დაწერილ ნაშრომებს, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ტიპიურ ფრაზას (ცხადია, სხვადასხვა ვარიაციებით) — ქრისტიანული მსოფლაღქმა ალეგორიულ-სიმბოლურია. (მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე, და არა მარტო თანამედროვე,[11] ხელოვნების თეორიაში არის ცდა ამ ორი ცნების გამიჯვნისა; მაგრამ, როგორც ჩანს, სიმბოლოს, როგორც უნივერსალური ტერმინის დამკვიდრება შეუქცევადი პროცესია).[12] შუა საუკუნეების სიმბოლიკა უეჭველად ალეგორიული ხასიათისაა, აქ ყველა სახე — სიმბოლოს უკან იმალება რომელიმე რელიგიური დოგმა ანუ ასახვის ობიექტი, რომელთანაც იგი ცალსახა ალეგორიულ მიმართებაშია.

ღვთისმეტყველი და საეკლესიო მწერალი სინამდვილეს ალეგორიული პრიზმიდან ჭვრეტს. იქნება ეს მოწამის ბიოგრაფია (გავიხსენოთ ჰაგიოგრაფია), თუ წარსულის ისტორიული რეალია (მაგალითისათვის ბიბლიური ეგზეგეტიკა). მართებულად შენიშნავენ, რომ: именно преходящий выведенный из тождества себе мир людей осознается как «схима» и «схема». Как иносказательная «фигура», как образ отличный от «первообраза» — как аллегория[13].

რუსთველისეული „ბაძვა", ვფიქრობთ, სწორედ ალეგორიულ სიმბოლიკას გულისხმობს.

სხვათა შორის, ალბათ, მსოფლმხედველობის მძლავრი ალეგორიული ნაკადი აპირობებს ხშირ შემთხვევაში საეკლესიო ხელოვნებაში სიმბოლოს ვიზუალური პლანის სქემატურობას. იგი ფაქტიურად ასრულებს თავის ესთეტიკურ არსებობას პირველსახისაგან მოწყვეტით. მისი ემოციური ზემოქმედება წარმოიდგინება მხოლოდ ლიტურგიკულ პრაქტიკასთან მიმართებაში. იგივე მსოფლმხედველობრივი ფაქტი განსაზღვრავს, აგრეთვე, მრავალი მხატვრული კლიშეს არსებობას (დღესაც იგავ-არაკი ალეგორიული კლიშეების მეშვეობით იქმნება, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსანშიც" მრავალ პოეტურ კლიშეს მონახავს დაინტერესებული მკითხველი). ამგვარი ესთეტიკით ალბეჭდილი მხატვრული ძეგლები თავისებურ კომპლექსურ მიდგომას ითხოვენ. ეს პირობა იმ ეპოქაში თავისთავად, ძალდაუტანებლად სრულდებოდა, რადგან პუბლიკაც იმ ენით აზროვნებდა, როგორითაც შემოქმედი.

ცხადია, რომ ყოველივე, რაც ეხლა ითქვა, ტოტალურად არ შეიძლება გავრცელდეს მთელს საეკლესიო ხელოვნებაზე, რომელმაც ბევრი მარადიული მხატვრული ღირსებით შემკული ძეგლი დატოვა კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ აქ, ვფიქრობთ, ჭეშმარიტება ინდივიდუალური ნიჭის გამობრწყინებაში უნდა ვეძებოთ, რომელშიაც სპონტანურად მოცემულია დიდი ხელოვნების პრინციპები (აქ მკითხველს ვთხოვთ ისე არ ჩათვალოს, თითქოს ავტორი ფიქრობდეს, რომ ქრისტიანობა აპრიორულად ხელის შემშლელი პირობაა ხელოვნების განვითარების გზაზე, ჩვენ აქ ის ეპოქა გვაქვს მხედველობაში, როცა ქრისტიანული კულტურა საკუთარი მსოფლმხედველობრივი კონცეფციების თვითგამორკვევისა და დამკვიდრების ფაზაშია, ხოლო თუ რა ალმავლობა გამოიწვია ამ კულტურამ, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია)!

ქართული სალვთისმეტყველო აზროვნების წიაღში მტკიცედ დამკვიდრდა ისეთი რიგის გნოსეოლოგიურ-ესთეტიკური ტერმინები, როგორიცაა: „ბაძვა", „სახე", „ხატი", „იგავი". კარგადაა შენიშნული სპეციალურ ლიტერატურაში თეოლოგიურ მნიშვნელობათა თუ რა ფართო სპექტრი შეესაბამება ამ ტერმინებს, რაც, თავის მხრივ, ეროვნული ღვთისმეტყველების და, საერთოდ, ქართული კულტურის მაღალ დონეზე მიუთითებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ტერმინოლოგია სრულად არის ასახული „ვეფხისტყაოსნის" მხატვრულ ტექსტში.

ზემოთ აღნიშნული ტერმინები ალეგორიულ-სიმბოლური (რაც თავისთავად მიმეტურსაც გულისხმობს) მეტყველების ფორმებია, ხოლო ამ გამოთქმათაგან განსაკუთრებული აზრობრივი დატვირთვა აკისრია „სახეს“ და მისგან ნაწარმოებ ფრაზებს — „სახის მეტყველება“, „სახის შემოღება“ და მისთანანი. ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში აღნიშნულია, რომ „სახეს“ ძველ ქართულ მწერლობაში შეესაბამება ისეთი ცნებები, როგორიცაა იდეა, სიმბოლო, ნიშანი, ფორმა, მაგალითი, ნიმუში (პარადიგმა) და სხვ. სწორედ ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი დაკვირვება გვინდა შევთავაზოთ მკითხველს.

რა იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის სიტყვებში: „მე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“. სწორად შენიშნავს ე. ხინთიბიძე, როდესაც წერს, რომ ქართულ საღვთისმეტყველო ტექსტებში „სახე“ ხშირად შეესაბამება ბერძნულ „ეიდოს“ (იდეა) და „მორფე“ (ფორმა) მაგრამ განმარტება, „ღმერთო, შენ შეჰქმენ ყოველი ცოცხალი სხეულის სახე (იდეა) ანუ ფორმა“,[14] არ უნდა შეესაბამებოდეს საქმის რეალურ ვითარებას. აქ „ყოველი ცოცხალი სხეული“ კი არ იგულისხმება, არამედ ყოველი ადამიანის არქეტიპის, ადამის შექმნა.[15] მკვლევარის კონტრარგუმენტი რომ ამ შემთხვევაში უსარგებლო აზრობრივ ტავტოლოგიასთან გვექნება საქმე, უსაფუძვლოა. ერთგვარი განმეორება სტრიქონში მართლაც არის, მაგრამ არც ისეთი, როგორც ეს პირველი შეხედვიდან ჩანს, რადგან აქ რუსთაველი ზუსტად მისდევს შესაქმის ტრადიციას. ცნობილია, რომ მოსეს პირველი წიგნის მეორე თავში ხელმეორედაა აღწერილი ადამიანის შექმნის ამბავი და ამით ხაზგასმულია მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა.

«Факт создания человека уже упоминался раньше в истории творения мира, но именно только упоминался в этой общей истории мироздания в качестве составной ея части (რაც ზუსტადაა ასახული „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყის სტროფში), здесь же он подробно передается в виде особого самостоятельного предмета повествования (როგორც ეს ვეფხისტყაოსანშია)“.[16]

„სახეში“ აქ იგულისხმება პირველსახე (ადამი, ადამიანის პირველსახე), რის აქცენტირებასაც ემსახურება სიტყვა „ყოვლისა“, ვფიქრობთ, სწორედ ამგვარი ინტერპრეტაციის საფუძველზე შეიძლება ღრმად ჩავწვდეთ აღნიშნული სტროფის მხატვრულ მნიშვნელობას.[17]

ჩვენ ზემოთ ვცადეთ გაგვეანალიზებინა შუა საუკუნეების (წინარე რუსთველური ეპოქის) ზოგიერთი ძირითადი გნოსეოლოგიურ-ესთეტიკური და ეთიკური პრინციპი „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებაში, მაგრამ აქ წამოიჭრება ერთი ძალზე მნიშვნელოვანი (თუ არა მთავარი) საკითხი — რჩება თუ არა რუსთაველის პოეტური გენია ამ „კულტურულ ჩარჩოებში“?

ვერავითარი ალეგორიულ-სიმბოლური ახსნა ვერ ამოწურავს რუსთაველის ლექსის სიდიადეს, პოემის მხატვრული სინამდვილე სრულიად დამოუკიდებელი სინამდვილეა, რომელიც ყოველგვარი გადატანითი აზრის გარეშეც ინარჩუნებს თავის ღირებულებას (სხვა საქმეა, რომ სიღრმისეული შრეების წვდომა აძლიერებს მკითხველზე მის ესთეტიკურ ზემოქმედებას). მთავარი ისაა, რომ ყველაფერი ეს გააზრებული შემოქმედებითი პროცესის შედეგია, რაშიაც ადვილად დავრწმუნდებით, თუ კი დავუფიქრდებით რუსთაველის ეპოქას, მის თვისობრივად ახალ ხასიათს. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა (როგორც ევროპაში ჯოტომ და დანტემ) როგორც ნიჭიერთაგან უნიჭიერესმა, თავის წინარე ეპოქის კულტურულ მონაპოვრებზე დაყრდნობით, დაასრულა თავისი თანამედროვეთა ძიებანი და გახსნა კარიბჭე ახალი ჰორიზონტების დასაპყრობად.

ალეგორიული სიმბოლიკა რუსთაველის მხატვრული აზროვნების, მისი პოეტიკის მხოლოდ ერთი მხარეა. „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური სამყარო, თავისი ფაბულითა და სიუჟეტით, თავისი გმირებით შეჭმარიტი მხატვრული სიმბოლოა ზოგადსაკაცობრიო თუ ეროვნული ყოფისა!

ამასთან დაკავშირებით მაგონდება გერონტი ქიქოძის წერილი აკაკიზე, სადაც იგი შენიშნავს, რომ აკაკის სატრფიალო ლირიკის შედევრებში შეუძლებელია გაარჩიო რაზე წერს პოეტი: საყვარელ ქალზე თუ სამშობლოზე (აქ, ვფიქრობ, გ. ქიქოძე გულისხმობდა, რომ აკაკი ერთსაც უმღეროდა, მეორესაც და, ალბათ, კიდევ რაღაც მესამესაც)). ზუსტი დაკვირვებაა მაღალი ღირსების მხატვრული სიმბოლოს უმთავრეს სპეციფიკაზე.

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტური სამყარო თავისთავად უკავშირდება ეროვნულ-ისტორიული მსოფლმხედველობის უნივერსალიებს, ამირანიანის ეპოსს, წმინდა გიორგის კულტს, ქრისტეს წამებას, ღვთისმშობელს, თამარ მეფეს (მომავალში ალბათ სხვაც აღმოჩნდება), მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული რეალობის მთლმა ვერცერთი ამ არქეტიპის აღმოჩენა ვერ ამოწურავს პოემის მარადიული მშვენიერების საიდუმლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში პოემა თავად არ გადაიქცეოდა ქართული და ზოგადსაკაცობრიო კულტურის უმნიშვნელოვანეს უნივერსალიად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შენიშვნები:

1. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ თბილისი, 1957 წ. შემდეგაც ვსარგებლობთ ამ გამოცემით.

2. ნ. ნათაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიური მოტივები“, თბ., 1985 წ., გვ. 11.

3. რ. სირაძე, „ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან“, თბ., 1978 წ., გვ. 129, 214-215.

4. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბ., 1961, 41, 13.

5. А. Ф. Лосев, «Эстетика возрождения», стр. 36.

6. „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის დამდგენი კომისიის, ქართული ენის ისტორიული ლექსიკონის მასალებიდან (ინახება კომისიაში).

7 „ვეფხისტყაოსანი“, ნ. ნათაძის. გამოცემა, თბ., 1974 წ., გვ. 55.

8 ნ. ნათაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

9. შ დრ. В. В. Бычков, Византийская эстетика, М. 1972. გვ. 43—44, Лосский, Отрицательное богословие в ученни Дионисня Ареогагита,

10. Перевод Игумена Генадия (эикаловича), Буэнос-Аэрес, 1957 г.

11 შაგ. ჰეგელთან.

12. შდრ. А. Ф. Лосев, Проблема символа и реалистическое искусство, М. 1976, გვ. 135—139 აგრეთვე «краткая литературная энциклопедйя», VI.

13. С. С. Аверинцев, Поэтика Ранневизантийской литературы», გვ. 118.

14 ე. ხინთიბიძე, მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“, გვ. 167-193.

15 შდრ. ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, „მაცნე“, 1972, № 2, № 4.

16. А. П. Лопухин, Толковая Библия, Петербург, 1904 г., том I, გვ. 17.

17. აქ საჭიროა დამატებით ითქვას შემდეგი. ე. ხინთიბიძის აზრით პროლოგის მეორე სტროფში ცნებაში „სახე“ ჩადებულია არისტოტელესეული შინაარსი: „სახე“ „ტანის“ ენტელეხია ანუ სული სხეულის დასრულება, მისი ფორმაა.

მაგრამ ადამიანის სული ქრისტიანული თვალთახედვით არ არის იდენტური „ყოველი ცოცხალი სხეულის“ სულისა, ამიტომ მათი ერთ რიგში მოქცევა არაა მართებული. ამდენად აღნიშნული სტროფია ძირითადი შინაარსი, რომელიც ქრისტიანულ თვალსაზრისს ემყარება, ასე უნდა გავიგოთ: პოეტი აქ ქრისტიანული გაგებით ცოდვილი სულის სახსნელ ლოცვას აღავლენს ღვთისადმი, რომელმაც შექმნა ადამი — პირველი და ერთადერთი უცოდველი ადამიანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამილა ცაგარეიშვილი

# ქართული ეთნოგრაფიის პატრიარქი

(აკად. გ. ჩიტაიას დაბადებიდან 95 წლისთავის გამო).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ცნობილი საბჭოთა ეთნოგრაფი გიორგი ჩიტაია ეკუთვნის საუკუნის დასაწყისის იმ რჩეულ ქართველ მოღვაწეთა პლეადას, რომელთაც თავს იდვეს დიდი მამულიშვილური მისია: მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარონ ხალხის სამსახურს, მისი მაღალი კულტურის კვლევასა და სათანადოდ წარმოჩენას.

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც, ივ. ჯავახიშვილის მხარდაჭერით, გ. ჩიტაია სათავეში ჩაუდგა დიდ ეროვნულ საქმეს — ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის უშრეტი საგანძურის შესწავლას. მისი მუშაობის მოწოდებად თავიდანვე იქცა ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიისათვის მტკიცე საფუძვლისა და სწორ მატერიალისტურ ბაზაზე შემუშავებული გრძელვადიანი პროგრამის შექმნა, დარგის მყარ საწყისებზე ჩამოყალიბება, ეთნოგრაფიული ფაქტებისა და მასალის ფიქსაციის სწორი მეთოდების დადგენა. გ. ჩიტაიას მეცნიერული ინტერესის არეალში მოექცა როგორც ზოგადი, ისე რეგიონალური კვლევის პრობლემები. მან დაამუშავა ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში ახალი მიმართულება, რომელიც საბჭოთა ეთნოგრაფიის ძირითადი პრინციპებისა და ევროპული ეთნოგრაფიული მეთოდების კრიტიკული შესწავლისა და გაანალიზირების საფუძველზე შეიქმნა; ჩამოაყალიბა და დანერგა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ახალი „კომპლექსურ-ინტენსიური" მეთოდი, რომელსაც წლების მანძილზე სრულყოფდა, ხვეწდა, პრაქტიკული მუშაობით ამოწმებდა.

მის პირველ ნაშრომს — „ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან ალბულალის რაიონში" (1926 წ.) ივ. ჯავახიშვილმა მაღალი შეფასება მისცა არა მარტო თავის ფუნდამენტალურ გამოკვლევაში „ქართველი ერის ეკონომიური ისტორია", არამედ პირად წერილშიც:

„დიდად პატივცემულო ბ-ნო გიორგი!

დიდად გმადლობთ თქვენი ნაშრომისთვის. საინტერესოა და სიამოვნებით გადავიკითხე. ზოგი ჩემთვის საგულისხმო ცნობებიც მოვიპოვე. სასურველია სხვა თემებშიც ასეთივე კვლევა-ძიება მოახდინოთ და გამოაქვეყნოთ.

თქვენი კეთილსმოსურნე
ივ. ჯავახიშვილი

ტფილისი

1929. 7. XI".[1]

გ. ჩიტაიას ახალი ეთნოგრაფიული მეთოდით წარმოებული საკვლევაძიებო მუშაობის შედეგების სისწორე და მნიშვნელობა შემდგომაც არა ერთხელ დადასტურებულა მისი ხელმძღვანელობით მომუშავე კოლექტივის მეცნიერული მიღწევებით.

გ. ჩიტაიას პიროვნების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონიეს ჩვენი [illegible] ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა. ჯერ კიდევ თბილისის მეორე ვაჟთა გიმნაზიაში სწავლის პერიოდში, [illegible]გორც მუყაით და ნიჭიერ მოსწავლეს, [illegible]ადღება მიაქცია ცნობილმა პედაგოგმა [illegible]ზოგადო მოღვაწემ სერგი გორგაძემ. ს. [illegible]გაძემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გ. ჩიტაიას ბიოგრაფიაში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან საჭიროდ ჩათვალა რომ, როგორც პერსპექტიულ ახალგაზრდას, სწავლა გაეგრძელებინა და ურჩია პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა განყოფილებაზე შესვლა. ხელმოკლეობას რომ ხელი არ

შემშალა გ. ჩიტაია ს. გორგაძემ წარუდგინა ექვთიმე თაყაიშვილს, შემდეგ იზრუნა იმისთვისაც, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მისთვის სტიპენდია დაენიშნა.

1911 წელს გ. ჩიტაია ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე. პეტერბურგში გამგზავრების წინ მას ექვთიმე თაყაიშვილმა გზა დაულოცა და დაარიგა: იქ კარგი მასწავლებლები გეყოლება — ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი. იმედი გვაქვს გაგვიმართლებ. სიბეჯითე და მუყაითობა თვითონ გაგიკაფავს გზასო.

პეტერბურგის უნივერსიტეტში ამ დროს მეცნიერ-მკვლევართა შესანიშნავი პლეადა გადასცემდა მეცნიერულ ცოდნას. უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი კი ორიენტალისტიკის აღიარებულ მსოფლიო ცენტრად ითვლებოდა. სასწავლო პროცესში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სტუდენტთა მეცნიერულ წრთვნას, აღმოსავლური და ევროპული ენების დაუფლებას.

გ. ჩიტაია პირველი კურსიდანვე ჩაება ინტენსიურ სამეცნიერო მუშაობაში. ნ. მარის მითითებით ის იწყებს ირანული ენის შესწავლას, გერმანული ენის სრულყოფას; ეწაფება ევროპულ ლიტერატურას, აქტიურად მონაწილეობს ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში, იყო წრის თავმჯდომარეც.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დიდი გავლენა და ღვაწლი, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა დასდო ეთნოგრაფიას. პეტერბურგში მოღვაწეობის პერიოდში უკვე თვალსაჩინოდ გამოიკვეთა მისი ინტერესი ეთნოგრაფიისადმი, ქართული ეთნოგრაფიული მასალის პროგრამული შეგროვების იდეას იგი ფართოდ ნერგავდა სტუდენტ-ახალგაზრდობაში. გ. ჩიტაიამ სწორედ ივ. ჯავახიშვილთან ურთიერთობისას შეიგრძნო ეთნოგრაფიის მეცნიერული მნიშვნელობა, ფასი და სიყვარული.

1913 წ. გ. ჩიტაია, მეორე კურსის სტუდენტი, მონაწილეობს ანისის ნაქალაქარის გათხრებში, 1914 წ. ი., ორბელის მიწვევით, შირაკის ექსპედიციაშია, სადაც მდ. ახურიანის აუზის მაკრორეგიონში ეწევა სომხეთის ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლას.

1916 წ. იგი ამთავრებს უნივერსიტეტს და, სამშობლოში დაბრუნებული, მასწავლებლობს ქ. ფოთის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში. — 1922 წლიდან იწყება გ. ჩიტაიას ფართო სამეცნიერო მოღვაწეობა, როცა იგი, ივ, ჯავახიშვილის რეკომენდაციით, სამუშაოდ გადმოდის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში. სწორედ აქ შეიქმნა ეთნოგრაფთა პირველი უჯრედი, რომელმაც თავის თავზე გადაიტანა როგორც დარგის სიმძიმე, ისე პირველი გამარჯვებების ყიჟრული. ამ პერიოდის გამოკვლევებმა დაადასტურეს სწორედ ქართულ საბჭოთა ეთნოგრაფიაში შემუშავებული „კომპლექსურ-ინტენსიური" კვლევის მეთოდის სისწორე და პერსპექტიულობა, გზა გადაულობეს მეცნიერებისათვის უსარგებლო თეორიებსა და მეთოდებს, აღიმაღლეს ხმა ქართული კულტურის მდიდარი ტრადიციების დასაცავად და ღირსეული შეფასებისათვის, გაიტანეს პირველი ხნული მეცნიერულ ყამირზე.

გ. ჩიტაიას მეცნიერული მოღვაწეობა თავიდანვე ორი მიმართულებით წარიმართა. პირველი: საორგანიზაციო — დარგის დაფუძნება-განვითარების ორგანიზაციულ და თეორიულ საფუძვლებს, სამუზეუმო, საველე და სასწავლო პროცესების ორგანიზებას ეხება; მეორე, სამეცნიერო-ზოგად-ეთნოგრაფიულ, საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის საკვანძო პრობლემათა დასმასა და კვლევა-ძიებას. ამ ორი მიმართულებით სისტემატურმა მუშაობამ განაპირობა საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბება-განვითარება, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის შექმნა. ამ საქმეში გ. ჩიტაიას მუშაობის თანამდგომი და მონაწილე იყო პროფ. ვ. ბარდაველიძე.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ეთნოგრაფიული მუშაობის გაძლიერების პარალელურად, გ. ჩიტაია აყალიბებს ეთნოგრაფიულ უჯრედებს სსრკ. მეც. აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის კავკასიამცოდნეობის ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1936 წლიდან „ენიმკი"-ში იქმნება ეთნოგრაფიის სექცია, 1938 წლიდან ეთნოგრაფიის განყოფილება, 1961 წლიდან საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის სექტორი (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იგი 1929 წლიდან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას ბიოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის კათედრაზე, სადაც კითხულობს ზოგადი ეთნოგრაფიის კურსს. 1940 წ. საფუძველს უყრის ეთნოგრაფიის კათედრას ისტორიის ფაკულტეტზე, საბჭოთა კავშირში რიგით მეორეს, მოსკოვის უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის შემდეგ.

განუსაზღვრელია გ. ჩიტაიას დამსახურება ეთნოგრაფიული კადრების აღზრდის საქმეში. წლების მანძილზე კითხულობდა საქართველოს, კავკასიისა და ზოგადი ეთნოგრაფიის კურსს, სპეც. კურსებს სამეურნეო ყოფის, მატერიალური კულტურის, სოციალურ საკითხებზე. მასვე ეკუთვნის „ზოგადი ეთნოგრაფიის საფუძვლების" შედგენა ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. მისი საუნივერსიტეტო ლექცი-

ები ხასიათდებოდა მაღალი თეორიულ-მეცნიერული დონით. იგი სტუდენტ ახალგაზრდობას უნერგავდა საგნის სიყვარულს, პირველწყაროზე მუშაობის ჩვევებს, ფაქტების ანალიზისადმი სწორ მიდგომას.

80-იან წლებში გ. ჩიტაიამ თავისი იდეა — ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობის შესახებ პირველად სიმონ ჯანაშიას გაუზიარა; 40-იან წლებში კი ეს საკითხი ოფიციალურად დასვა სამეცნიერო და ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე და ათეული წლების მანძილზე იბრძოდა ამ იდეის განხორციელებისათვის. თუ დღეს საქართველოში ასეთი მუზეუმი არსებობს და საყოველთაო გამოხმაურება აქვს მოპოვებული არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის გარეთაც, გ. ჩიტაიას დამსახურებას მიეწერება. გ. ჩიტაიამ არა თუ პრაქტიკულად ჩაუყარა საფუძველი ამ დიდ ეროვნულ საქმეს, არამედ მანვე შეიმუშავა მუზეუმის მოწყობის ძირითადი პრინციპები. „სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა გიორგი ჩიტაიას, ეს ღია ცის ქვეშ მოწყობილი საუცხოო მუზეუმიც საკმარისი იქნებოდა მისი სახელის უკვდავსაყოფადო", წერს მუზეუმის ექსპოზიციით კმაყოფილი აკად. აკაკი შანიძე.

გ. ჩიტაიას სახელთანაა დაკავშირებული ეთნოგრაფიული გამოფენის ძირითადი პრინციპების შემუშავება და საგამოფენო ექსპონატების კომპლექსში, როგორც ადამიანის „შრომის ჯამის" წარმოდგენა. მის არქივში ინახება აკად. გ. ჩუბინაშვილის დასკვნა გ. ჩიტაიას მიერ შემუშავებულ „ქართული ყოფის კომპლექსური გამოფენის დეტალიზებულ პროგრამაზე და მასზე გამოთქმულ გ. ნიორაძისა და ს. მაკალათიას შენიშვნებზე. დოკუმენტში მოცემულია გ. ჩიტაიას პოზიციის პრინციპული შეფასება. გ. ჩუბინაშვილი იცავს მის მეცნიერულ ღირსებებს არასაფუძვლიანი შენიშვნებისაგან და რეკომენდაციას აძლევს დაუყოვნებლივ რეალიზაციისათვის. მისი აზრით, პროგრამის მთავარი ღირსება მისი კომპლექსურობაა, რაც ყოფითი მოვლენების მატერიალური, სოციალური და სულიერი ცხოვრების ერთობლიობაში ვლინდება. გ. ჩიტაიას მიერ შემუშავებული ეს დეტალიზებული პროგრამა მიღებულ იქნა მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს მიერ და საფუძვლად დაედო ეთნოგრაფიულ ექსპოზიციას.

ამ პერიოდში ეწყობა ხევსურეთისა და სვანეთის პრობლემურ-თემატური და რეგიონალური გამოფენები: XIX ს. ქართული ტანსაცმელი, კავკასიური ხალიჩები, ხის ჩუქურთმა, ქართული საბრძოლო იარაღი, და სხვ. 1951-1954 წწ. მისივე ხელმძღვანელობით მოეწყო ქართული ერთიანი სანიმუშო ეთნოგრაფიული გამოფენა. გ. ჩიტაიას სამუზეუმო ეთნოგრაფიული მოღვაწეობა ამაზე არ შეჩერებულა. მისი თანადგომით ამუშავდა ებრაელთა ეთნოგრაფიული მუზეუმი (1935-1939), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო ეთნოგრაფიული კაბინეტ-მუზეუმი, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, ნორჩ ისტორიკოსთა მოამაგის, ირ. მიქელაძის თანადგომით, ეთნოგრაფიული კაბინეტი, მისივე ინიციატივით, საქართველოს მუზეუმის ფონდები გამდიდრდა მეზობელი ქვეყნების მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული კოლექციებით. თემატური გეგმების, პროგრამების მიწოდებითა და კონსულტაციებით მან ხელი შეუწყო მხარეთმცოდნეობითი მუზეუმების დაარსებას საქართველოს მასშტაბით.

გ. ჩიტაიას სამეცნიერო-კვლევითი ინტერესები ვრცელი დიაპაზონისაა და მოიცავს ფართო თვალსაწიერს. იგი 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია.

გ. ჩიტაიას მეცნიერულ მემკვიდრეობას პროგრამული მნიშვნელობა ენიჭება სანდო ეთნოგრაფიული ფაქტებისა და მოვლენების ობიექტური შეგროვების, ცალკეული ელემენტებისა და მოვლენების თვითმყოფი ნიშნების გამოვლენის, ცალკეული ეთნოგრაფიული ფაქტების შეხამების კონკრეტულ სოციალ-ეკონომიკური პირობებისა და საერთო ისტორიული პროცესების ღრმა ანალიზთან, ქართველი ხალხის კავკასიისა და წინააზიის ხალხებთან კულტურულ-ეთნიკური კავშირების თავისებურებების გამოვლენაში.

მისი მეცნიერული ინტერესი მოიცავს საქართველოსა და კავკასიის ხალხების სამეურნეო ყოფის მატერიალური კულტურისა და სოციალურ ურთიერთობასთან ძირითად პრობლემებს, სადაც წარმოჩენილია კულტურის ცალკეული ელემენტების წარმოქმნის ფესვები, თვითმყოფადობა, ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, კულტურულ-ისტორიული და გენეტიკური კავშირი სხვა ხალხებთან, წინა აზიის უძველეს ცივილიზაციის სამყაროსთან.

ახალი და მდიდარი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე მის მიერ შესწავლილია ქართველი ხალხის სამიწათმოქმედო კულტურა, დადგენილია სამიწათმოქმედო სისტემის მოდელი, სახვნელი იარაღების განვითარების ძირითადი ფორმები, დაწყებული მარტივი სახეობიდან (კავწერა, საწერა) რთულ სახვნელ იარაღამდე (საანეულო გუთანი), რაც საფუძვლად დაედო სამიწათმოქმედო კომპლექსების გამოვლენას როგორც საქართველოს დაბლობისა და ბარის, ისე მთის მიწათმოქმედების კარდინალური საკითხების კვლევისას. ამ მეცნიერული კვლევის შედეგები მნიშვნელოვან მონაპოვრადაა მიჩნეული აგროეთნოგრაფიის ზოგად ისტორიაში და გამოყენებულია ზოგადი ეთნოგრაფიის სახელმძღვანელოში.

გ. ჩიტაიას ეკუთვნის ქართული საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციულ-სტრუქტურულ პრინციპებზე აგებული საცხოვრებლის კლასიფიკაციის შედგენა და დასახლების ტიპის, მისი ეთნოგრაფიული საფუძვლების გამოვლენა.

მან სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა დასახლების ეთნოგრაფიული ცნებაც, რაც ადამიანის საცხოვრებელი და სამეურნეო პირობების ერთიანობას გულისხმობს.

აღსანიშნავია მისი ღვაწლი საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და ეთნიკურ გაერთიანებათა ნომენკლატურის დაზუსტების სფეროში; მთის მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების ისტორიული პროცესების კანონზომიერების ახსნაში (გაყონვის თეორია).

გ. ჩიტაიას გამოკვლევები, მიძღვნილი საქართველოსა და ძველი აღმოსავლეთის ეთნოკულტურული მოვლენების გამოვლინებისადმი, განპირობებულია კულტურულ-ისტორიული, ზოგჯერ გენეტიკური მემკვიდრეობით. დეტალური კვლევით (ვ. ბარდაველიძის თანადგომით) დადგენილია ხალხური ორნამენტის ორი ძირითადი სტილი: მთური და ლაზური; ლაზურ ორნამენტში მოცემული უძველესი მოტივებისა და შინაარსის ახსნა.

მის დამსახურებად ითვლება, შედარებითი მეთოდის გამოყენებით, კონკრეტულ ფაქტებზე საქართველოს, კავკასიისა და წინააზიის ცალკეული ელემენტების პარალელების გამოვლენა.

გ. ჩიტაიას მეცნიერული კვლევა ემსახურება ქართველი ხალხის ეთნოგენეზის გადაჭრას. იგი მიზნად ისახავს მოცემული ერთეულის ეთნიკური თავისებურებების განსაზღვრას, რაშიც იგულისხმება ყოფის, სულიერი და მატერიალური კულტურის სპეციფიკურ თავისებურებათა კონკრეტული ერთიანობა. მასვე ეკუთვნის თანამედროვე სოციალისტური ყოფის შესწავლის თეორიულ-მეთოდოლოგიური ამოცანების ძირითადი პრინციპების ფორმულირება და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მეთოდებისა და პრინციპების შემუშავება. მნიშვნელოვანია გ. ჩიტაიას მემკვიდრეობა ზოგადი ეთნოგრაფიის საკითხების გაშუქებისა და ქართული ისტორიული ეთნოგრაფიის მომზადება-გამოცემის საქმეში.

გ. ჩიტაიამ სამეცნიერო მოღვაწეობის პირველი წლებიდანვე მთავარი ყურადღება საველე-საექსპედიციო სამუშაოების წარმოებას მიაქცია. მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით 1923 წლიდან განხორციელებულია ორმოცზე მეტი ეთნოგრაფიული ექსპედიცია — უკლებლივ საქართველოს ყველა რეგიონსა და ჩრდ. კავკასიის რიგ კუთხეებში.

გ. ჩიტაიას სამეცნიერო მოღვაწეობამ დიდი ხანია ფართო გამოძახილი ჰპოვა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც, იგი უცხოეთის სამეცნიერო წრეებშიც აღიარებულია საქართველოსა და კავკასიის მიწისმოქმედების ისტორიისა და ეთნოგრაფიის საუკეთესო სპეციალისტად. უცხოეთის სამეცნიერო ბეჭდვითი ორგანოების თხოვნით, გ. ჩიტაიას ნაშრომები გამოცემულია გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, ჩეხურ, უნგრულ, ჩინურ და ვიეტნამურ ენებზე. მიწვეული იყო ბერლინის, ფილადელფიის, პარიზის, მოსკოვის საერთაშორისო ეთნოგრაფიულ კონგრესებზე.

გ. ჩიტაია 75 წლის მანძილზე ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მისი თაოსნობით საქართველოს საისტორიო საზოგადოება იცავს იმ სახელოვან ტრადიციებს, რაც მას ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის მცდელობით დაარსებულმა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ უანდერძა. არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეთნოგრაფიული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე ეთნოგრაფიის დარგში, ფაზისის აკადემიის რექტორი, ღია ცის ქვეშ მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, თსუ ეთნოგრაფიის კათედრის პროფესორ-კონსულტანტი, რამდენიმე სარედაქციო კოლეგიისა და სამეცნიერო საბჭოს წევრი, მრავალი აკადემიური ჟურნალის, გამოცემათა სერიების, მონოგრაფიების რედაქტორი. სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემსწავლელი საერთაშორისო კომიტეტის წევრი, მსოფლიო ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ბიბლიოგრაფიის რედაქციის წევრი და სხვ. იმ დიდი დამსახურებისათვის, რაც გ. ჩიტაიამ ეთნოგრაფიის განვითარებას დასდო, მას სათანადოდ აფასებს თანამედროვეობა. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობის ორდენებით, მედლებით.

შრომაში გაირბინეს წლებმა...

დღეს ქართული ეთნოგრაფიის დიდი ბურჯი — აკად. გ. ჩიტაია 95 წლისაა. იგი კვლავ ხალხის სამსახურში დგას.

ვუსურვოთ ამაგდარ მოძღვარს მხნედ ევლოს ერისკაცობის ნათელ გზაზე.

# წიგნების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამართლებრივი ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენი

ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ იურიდიულ ლიტერატურას შეემატა კიდევ ერთი საინტერესო და საჭირო გამოცემა — ალ. შუშანაშვილის „სახალხო მსაჯულის წიგნი“. როგორც წიგნის სახელწოდება გვიჩვენებს, იგი ძირითადად განკუთვნილია სახალხო მსაჯულთათვის, მაგრამ თუ მის შინაარსს გავეცნობით, დავინახავთ, რომ ის სასარგებლოა სამართლის დარგის ყველა მუშაკისათვის და საერთოდ სამართლებრივი ცოდნით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

ავტორი ეხება საბჭოთა სამართლის თითქმის ყველა დარგს, ცალკეული დისციპლინების ძირითად საკითხებს, რაც სერიოზული სიძნელის დაძლევას მოითხოვდა. ამას განსაკუთრებულად უნდა გაესვას ხაზი, რადგან საბჭოთა სამართლის თითოეული დარგი ბევრი სპეციფიკურობით ხასიათდება და ძნელია ერთმა მკვლევარმა წეროს ყველა, თუნდაც რამდენიმე ამ დისციპლინაზე.

საბჭოთა სამართლის თითქმის ყველა რთული ინსტიტუტი არის წიგნში გადმოცემული და ყველგან დაცულია მეცნიერული სიზუსტე, ვერ ვხვდებით რაიმე თეორიულად მცდარ აზრს, ცნებათა და დებულებათა გაურკვეველ განმარტებას. წიგნი დაწერილია მარტივი, გასაგები ფორმით, რაც პოპულარულ ხასიათს ანიჭებს მას და საინტერესო საკითხავს ხდის.

**წიგნის პირველ** თავში ვრცლადაა განხილული **სახალხო მსაჯულის ინსტიტუტი.** ავტორი ეხება ამ ინსტიტუტის ისტორიას, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსს, გადმოგვცემს სახალხო მსაჯულთა უფლებამოსილებას, სახალხო მსაჯულის, როგორც მოსამართლის მდგომარეობას საბჭოთა კანონმდებლობით, მის პიროვნებას და როლს მართლმსაჯულების განხორციელებაში. განხილულია სახალხო მსაჯულთა საბჭოს როლი, მისი შექმნის და საქმიანობის წესი, მისი ამოცანები სასამართლო საქმიანობის გაუმჯობესების საქმეში. საკმაოდ ვრცლადაა გადმოცემული სახალხო მსაჯულთა ანგარიშვალდებულება ამომრჩეველთა წინაშე, ანგარიშების ჩაბარების წესი, სახალხო მსაჯულის ვადამდე გაწვევის საფუძვლები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტის სრულყოფის საკითხებზე მსჯელობა (პრობლემის მნიშვნელობა, სახალხო მსაჯულთა არჩევის წესი, სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, სახალხო მსაჯულთა რაოდენობის გაზრდა, მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა ფუნქციების გამიჯვნა). ავტორი მოკლედ, მაგრამ სავსებით გასაგებად ეხება ამ საკითხებზე ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებებს და ასაბუთებს თავის მოსაზრებებს. მაგალითად, სავსებით სწორად მიუთითებს, რომ ...„მართლმსაჯულების ავტორიტეტის, კანონიერი, დასაბუთებული და დამაჯერებელი განაჩენის დადგენას სახალხო მსაჯულთა დიდი რაოდენობა კი არ უზრუნველყოფს, არამედ სასამართლოს შემადგენლობის მომზადების დონე, მოქმედი კანონმდებლობის ღრმა ცოდნა და საქმის განხილვა-გადაწყვეტისას მისი ზუსტი და განუხრელი დაცვა“ (გვ. 28).

**მეორე თავი** დათმობილი აქვს **საბჭოთა სოციალისტურ მართლმსაჯულებას.** სახელდობრ, აქ ავტორი განიხილავს მართლმსაჯულების ცნებას და ამოცანებს, მართლმსაჯულებასა და სოციალისტურ კანონიერებას, საბჭოთა მართლმსაჯულების კონსტიტუციურ პრინციპებს: მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ; მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობა; საქმის განხილვის კოლეგიურობა და სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა პირველი ინსტანციის სასამართლოში; მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა დამოუკიდებლობა და მათი დამორჩილება მხოლოდ კანონისადმი; მართლმსაჯულების განხორციელება კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის საწყისებზე; სასამართლოს მიერ საქმის განხილვა ღია სხდომებზე; ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფა; სამართალწარმოე-

1. ალ. შუშანაშვილი. **სახალხო მსაჯულის წიგნი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1985 წ.**

ბის ეროვნული ენა; დანაშაულის ჩადენაში ბრალეულად ცნობა და სისხლის სამართლებრივი სასჯელის გამოყენება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით; სამართალწარმოებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა. შემდეგ ავტორი ეხება ვ. ი. ლენინის როლს საბჭოთა მართლმსაჯულების სრულყოფასა და განვითარებაში, პირველი საბჭოთა სასამართლოების შექმნისათვის გაწეულ ზრუნვას, მათი ამოცანების განსაზღვრისათვის გაწეულ საქმიანობას, საბჭოთა მართლმსაჯულების პრინციპების ჩამოყალიბებას, სკკპ როლს სოციალისტური კანონიერებისა და მართლმსაჯულების განმტკიცების საქმეში.

**მესამე თავში** ავტორი გაგვაცნობს **სამართალდაცვითი სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახეებსა და სტრუქტურას.** განხილულია სასამართლო ორგანოთა, პროკურატურის, ადვოკატურის, სახელმწიფო არბიტრაჟის, ნოტარიატის ორგანოების სისტემა, ფუნქციები და მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი. აქვე მიმოხილულია ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, როგორიცაა ამხანაგური სასამართლოები, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები, ხაზგასმულია მათი როლი სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში.

წიგნის **მეოთხე თავი** ეხება **სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებას.** აქ ავტორი პირველ რიგში იხილავს სისხლის სამართლის პროცესის ზოგად დებულებებს, როგორიცაა კანონმდებლობა სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების შესახებ, სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილენი, მტკიცების საგანი და მტკიცებულებები, აღკვეთის ღონისძიებები, საქმეთა განსჯადობა და აცილების წესი და საფუძვლები. შემდეგ მოკლედ არის გადმოცემული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის არსი და მნიშვნელობა, ჩამოთვლილია ორგანოები, რომლებიც აღძრავენ სისხლის სამართლის საქმეს, დახასიათებულია საქმის აღძვრის საბაბი და საფუძვლები, ახსნილია სისხლის სამართლის საქმის აღძვრის და აღძვრაზე უარის თქმის პროცესუალური გაფორმების მნიშვნელობა. სპეციალურად მსჯელობს ავტორი მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების არსისა და მნიშვნელობაზე, წინასწარი გამოძიების საერთო პირობებზე, ბრალდების წაყენებისა და ბრალდებულის დაკითხვის რეგლამენტაციაზე, მტკიცებულებათა შეგროვებაზე, წინასწარი გამოძიების შეჩერებისა და დამთავრების წესსა და პირობებზე. ასევე სპეციალურად არის ხაზგასმული სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოში წარმოების წესი და პირობები. სახელდობრ: სამართალში მიცემა, მისი არსი და მნიშვნელობა, სამართალში მიცემის დროს გამოსარკვევი და გადასაწყვეტი საკითხები; სასამართლო განხილვა და განაჩენის დადგენა; წარმოება საკასაციო ინტონაციის სასამართლოში; განაჩენის აღსრულება. საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოში; საქმეების განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

**მეხუთე** თავი ეძღვნება **სამოქალაქო საქმეთა წარმოებას**, ე. ი. სამოქალაქო პროცესის საკითხებს. ავტორი ახასიათებს კანონმდებლობას სამოქალაქო საქმეთა წარმოების შესახებ, სასამართლო ქვემდებარეობას, სამოქალაქო პროცესის მონაწილე პირებს, მათ უფლება-მოვალეობებს, წარმომადგენლობას, მტკიცებულებს, საქმეთა განსჯადობას, იხილავს სარჩელის ცნებას, მის წარდგენას, შეგებებულ სარჩელს, სარჩელის უზრუნველყოფას, მოკლედ არის გადმოცემული სასამართლოში სამოქალაქო საქმეების განხილვისათვის მომზადების წესი და მნიშვნელობა, სასამართლო განხილვის პირობები, გადაწყვეტილების გამოტანის, მისი გამოცხადების და აღსრულების მარეგულირებელი ნორმების შინაარსი. განხილულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების წარმოება, განსაკუთრებული წარმოება, საქმეთა წარმოება საკასაციო ინსტანციაში, საზედამხედველო წარმოება, საქმის გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

VI-X თავებში ავტორი განიხილავს მატერიალური სამართლის ცალკეული დარგების ძირითად დებულებებს. პირველყოვლისა ყურადღება არის გამახვილებული **სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე,** სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლებზე, დანაშაულის ცნებასა და ბრალეულობაზე, დანაშაულის მომზადებასა და მცდელობაზე, თანამონაწილეობაზე, სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობის ასაკზე, შეურაცხადობაზე, აუცილებელ მოგერიებასა და უკიდურეს აუცილებლობაზე.

**სამოქალაქო კანონმდებლობიდან** ავტორი იხილავს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, სამოქალაქო უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობას, იურიდიულ პირებს, გარიგებებს, წარმომადგენლობასა და რწმუნებულებას, სასარჩელო ხანდაზმულობას. სპეციალურად არის ჩამოყალიბებული საკუთრების სამართლის დებულებები: საკუთრების უფლების ცნება, საკუთრების ფორმები და სახეები, საკუთრების უფლების დაცვა-ვალდებულებითი სამართლიდან მიმოხილულია ვალდებულების ცნება, ხელშეკრულებითი ვალდებულებები, ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებანი, ვალდებულების შესრუ-

ლება, პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. მოკლედ არის განმარტებული მემკვიდრეობითი სამართლის საკითხები: მემკვიდრეობის ცნება, სამკვიდროს გახსნა, მემკვიდრეობის საფუძვლები, კანონისმიერი და ანდერძისმიერი მემკვიდრეობა, სამკვიდროს მიღება და მემკვიდრეობაზე უარის თქმა.

ცალკე (VIII) თავი აქვს დათმობილი **საბინაო კანონმდებლობას**, ხაზგასმულია საბინაო პრობლემის მნიშვნელობა, დახასიათებულია საბინაო ფონდები, მოქალაქეთა ძირითადი საბინაო უფლებები და მოვალეობები. ცალ-ცალკე არის განხილული საცხოვრებელი სადგომების მიცემა ამ სადგომით სარგებლობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდის სახლებში. სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებით და საერთო საცხოვრებლებით სარგებლობა, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში ბინის მიღებისა და სარგებლობის წესები, ინდივიდუალური საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომით სარგებლობა.

**შრომის სამართლიდან** გადმოცემულია შრომის კანონმდებლობის ამოცანები, შრომის ხელშეკრულების ცნება, სამუშაოზე მიღება, სამუშაოზე გადაყვანისა და განთავისუფლების საფუძვლები, შრომის დისციპლინის ცნება და მნიშვნელობა, წახალისებისა და დასჯის საფუძვლები და წესი, განხილულია შრომის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, შრომითი დავების განხილვისა და გადაწყვეტის წესი და პირობები.

**საოჯახო სამართლის** საკითხებიდან ავტორი მოგვითხრობს საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის ამოცანებზე, დაქორწინების წესსა და პირობებზე, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებზე, ქორწინების შეწყვეტასა და ბათილობაზე, ოჯახის როლზე, მშობლის უფლების ჩამორთმევის საფუძვლებსა და წესზე, საალიმენტო ვალდებულებებზე, შვილად აყვანაზე, მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტებზე.

სარეცენზიო წიგნი როგორც შინაარსით, ისე ფორმით უაღრესად სასარგებლო გამოცემაა და იგი უდავოდ დიდ დახმარებას გაგვიწევს როგორც მშრომელთა ფართო ფენების სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლების, ისე მართლმსაჯულების უკეთ განხორციელების საქმეში.

გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა, რომელთა გათვალისწინება ჩვენი აზრით, სასარგებლო იქნება შემდგომი გამოცემებისათვის.

1. რამდენადაც წიგნი მიზნად ისახავდა სახალხო მსაჯულთათვის და არა მარტო მსაჯულთათვის, საერთოდ სამართლებრივი ცოდნის მიწოდებას, სასურველი იყო, ჩვენი აზრით, მოკლედ მაინც თქმულიყო საკოლმეურნეო და მიწათსარგებლობის კანონმდებლობის შესახებ, რამე თუ იგი მარტო ქალაქელი მსაჯულებისა და მკითხველებისათვის არ არის განკუთვნილი.

2. მართალია ავტორი სიზუსტით ჩამოთვლის სასჯელის სახეებს, მაგრამ ალბათ იმის გამო, რომ წიგნი ადრე იყო გადაცემული დასაბეჭდად, მასში არაფერია ნათქვამი სატრანსპორტო საშუალებათა ჩამორთმევაზე (სსკ 341 მუხლი), რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 1 ივლისის ბრძანებულებით იქნა შემოღებული. ეს, ცხადია, გათვალისწინებული იქნება შემდგომ გამოცემაში;

3. იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ტექნიკურ თუ ტერმინობრივ უზუსტობებს. მაგალითად: 154-ე გვერდზე „სასამართლო" სხდომის ნაცვლად წერია „სამსჯავრო" სხდომა, 226-ე გვერდზე „განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ხულიგნობის" ნაცვლად უნდა იყოს „განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობა", „როგორც ამას ხმარობს სისხლის სამართლის კოდექსი.

რა თქმა უნდა, აღნიშნული შენიშვნები სრულებით არ ახდენს გავლენას სარეცენზიო წიგნის ღირსებაზე, იგი კვალიფიციურად დაწერილი, საჭირო და სასარგებლო გამოცემაა და დაეხმარება არა მარტო სახალხო მსაჯულებს, არამედ სამართლის საკითხებით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

**ავთანდილ კოზახიძე**

●

**რედაქციის მისამართი:**
**თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.**

●

**ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11, პ/მგ. მდივნის — 98-55-18, განყოფილებების— 98-55-15; 98-55-17, 98-55-20.**

გადაეცა ასაწყობად 22.01. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.03. 86 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 10511, ტირაჟი 32.000. შეკ. 175. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,

ფასი 80 კაპ.

67ᵉ/48

ინდექსი
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ